

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

**ახალი ეპოქის დასაწყისი –
საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკა
(1918-1921)**

**BEGINNING OF A NEW ERA –
THE DEMOCRATIC REPUBLIC OF
GEORGIA (1918-1921)**

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისადმი

The International Scientific Conference is held to commemorate the 100th
anniversary of establishment of the Democratic Republic of Georgia

პრომეზის კრებული
PROCEEDINGS

1-2 ივნისი, 2018
June 1-2, 2018

მთავარი რედაქტორი: როინ მეტრეველი
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

Editor in chief: Roin Metreveli
*Academician, Vice-President of the Georgian National Academy of
Sciences*

სარედაქციო კოლეგია:

მაია გონაშვილი, სერგო ვარდოსანიძე, ირაკლი ირემაძე, ნინო პოპიაშვილი,
გოჩა საითიძე, კლარა (ინგა) ქარაია, კახა შენგელია, ლაშა ჩხარტიშვილი,
თეიმურაზ ხუციშვილი, ოთარ ჯანელიძე

Editorial Board:

Maya Gonashvili, Sergo Vardosanidze, Irakli Iremadze, Nino Popiashvili, Gocha Saitidze, Klara (Inga) Karaia, Kakha Shengelia, Lasha Chkhartishvili, Teimuraz Khutsishvili, Otar Janelidze

რედაქტორები: გურანდა ჭელიძე, ხათუნა ბასილაშვილი, ქეთევან ინწკირველი
Editors: Guranda Tchelidze, Khatuna Basilashvili, Ketevan Intskirveli

სარედაქციო კოლეგია მადლობას მოახსენებს კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კონფერენციის ჩატარებაში გაწეული დახმარებისათვის.

ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

გამოქვეყნებული მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

The editorial board wishes to express its sincere gratitude to Caucasus University for its support in holding the Conference.

The views expressed in the journal are those of the authors and do not necessarily reflect the view of the editorial board.

The authors are responsible for accuracy of their writings and references indicated.

დამკაბადონებელი: გიორგი ბაგრატიონი

Layout: Giorgi Bagrationi

© კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

© Caucasus University Publishers, 2018

ISBN: 978-9941-9470-7-0

სარჩევი

კახა შენგელია	
წინათქმა	7
როინ მეტრეველი	
რედაქტორისაგან	8

ისტორია

პაატა ნაცვლიშვილი	
„საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ – ტერმინის ისტორია.....	9
კახა შენგელია, გურანდა ჭელიძე	
1918-1921 წლების საქართველო პიტერ სკინერის წიგნში „საქართველო: მინა კავკასიონის ქვემოთ“	18
ოთარ ჯანელიძე	
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაციები და ქართული პოლიტიკური სპექტრი	28
დოდო ჭუმბურიძე	
აკაკი ჩხენკელის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში	41
მაია მაჭავარიანი	
პირველი მსოფლიო ომი და ზავი 1918 წლის ქართული პრესის ფურცლებზე.....	50
ტარიელ ფუტყარაძე	
საქართველოს მენშევიკური და ბოლშევიკური მთავრობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ავტონომიის შექმნის შესახებ	58
ეკა კვაჭანტირაძე	
საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სომეხთა ეროვნული საბჭოს საქმიანობის ისტორიისათვის	76
ნოდარ ჩხაიძე, ქეთევან სინარულიძე	
ჩოხატაურის 1919 წლის აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.....	84
ლელა სარალიძე	
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო უწყების ისტორიიდან.....	94
მაკა ქამუშაძე	
ქართულ-ბერძნული დიპლომატიური ურთიერთობები 1918-1921 წლებში	104

თეიმურაზ ხუციშვილი

საქართველოსა და თურქეთის სადავო ტერიტორიები
დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების კონტექსტში 112

გოჩა საითიძე

საქართველოს სამხედრო საქმის ისტორიიდან (1918-1921 წწ.) 123

როინ ყავრელიშვილი, თაქი სალაშქრორ ჰასან ქოჰალი

რამდენიმე თურქული დოკუმენტი კავკასიისა და
ქართული ლეგიონის შესახებ..... 137

ნიკო ქელბაქიანი

ირანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა:
საბჭოთა ინტერვენცია ირანსა და ამიერკავკასიაში 149

ზურაბ ბრაგვაძე

პირველი რესპუბლიკის ბრძოლები დამოუკიდებლობისათვის 158

ცისანა ბიბილეიშვილი

საქართველო და ქართველები ქეთევან დავრიშვილის შემოქმედებაში..... 172

ედიშერ ჯაფარიძე

მიხეილ მუსხელიშვილი – ქართველი ემიგრანტი მეცნიერი
ევროინტეგრაციის სათავეებთან 182

მაია პატარიძე, როლანდ სპანდერაშვილი

საქართველოს პირველი რესპუბლიკის უცნობი ფულადი ნიშნები
საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრის ფონდებიდან 194

ნათია კენჭიაშვილი

პოლიტიკური რიტორიკა 1918-1921 წლების ქართული
პოლიტიკური დისკურსის მიხედვით..... 201

სერგო ვარდოსანიძე

სეკულარიზმის ეკლესიური და საერო გაგება საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)..... 214

თენგიზ ვერულავა

ჯანდაცვის სისტემა საქართველოს
დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921) 228

Valery Modebadze

Conflicts between Russia and Georgia in 1918-1921..... 226

სამართალი

ირაკლი ირემაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
დამფუძნებელი კრების არჩევნები: საარჩევნო სისტემა,
პოლიტიკური სუბიექტები, საარჩევნო კამპანია და შედეგები..... 233

გიორგი ლაცაბიძე

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პირველი
რესპუბლიკის საქართველოში (1918-1921 წწ.)..... 243

მარინა კობახიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და
მისი ისტორიული და სამართლებრივი ზეგავლენა დღევანდელი
სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო
რესპუბლიკის განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე..... 250

თათია ნიკვაშვილი, ცირა ჯანანაშვილი

დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური
თანაცხოვრება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში..... 261

ეკონომიკა

მედეა ზურაბიშვილი

ფინანსური სამყარო და საქართველოს ცენტრალური ბანკის
რეფორმები 1919-1921 წლებში 271

თამარ კვანტალიანი

ეკონომიკური რეფორმები საქართველოს პირველ
დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)..... 280

განათლება

მაია ახვლედიანი, ლელა ეძგვერაძე

ერთი საგანმანათლებლო კერა XX საუკუნის
10-იანი წლების საქართველოში 287

იმერ ბასილაძე, ნატო ქობულაძე

დიმიტრი უზნაძე – საქართველოში სასკოლო სისტემის
რეფორმატორი (1910-1921) 295

მარიამ მანჯგალაძე, ქეთევან ინწკირველი

განათლების სისტემა და ენობრივი პოლიტიკა საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921წწ.)..... 304

ია ლაღუა

სკოლების „გაეროვნების“ პოლიტიკა პირველი რესპუბლიკის დროს..... 312

ნინო პოპიაშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) და
ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხები 320

ალუდა გოგლიჩიძე

1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს განათლების
სისტემის რეფორმირების გამოცდილება და პოსტკოლონიური ქვეყნის
გამოწვევები – ისტორიული გაკვეთილი თანამედროვეობის ჭრილში 329

კულტურა

ნუგეშა გაგნიძე

გრიგოლ რობაქიძის 1917-18 წლების პუბლიცისტიკა 343

ხათუნა ჭანიშვილი

1918 წლის გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული რამდენიმე
პუბლიკაციის ფილოსოფიური გააზრებისათვის 352

მარიამ მარჯანიშვილი

დამოუკიდებლობის დღე ემიგრანტთა ცნობიერებაში 360

ინგა (კლარა) ქარაია

სამუზეუმო სფეროს განვითარება საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.)..... 367

სალომე ჭანტურიძე

შალვა ქიქოძის ჩანახატები საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ჟურნალებიდან 377

გიორგი მეურმიშვილი, დარეჯან აბულაძე, ეკა მაზიაშვილი

ევგენი ლანსერე-დამოუკიდებელი საქართველოს კულტურის სათავეებთან ... 386

გიორგი ჩართოლანი

ქართული დრამატული სტუდიის როლი პროფესიული
ქართული თეატრის ფორმირების პროცესში 1918-20 წლებში..... 396

მარინე ვასაძე

სათეატრო ჟანრები, ფორმები და ენა მეოცე საუკუნის
20-იანი წლების ქართულ და ევროპულ თეატრში..... 406

ლაშა ჩხარტიშვილი

პოლიტიკური და შემოქმედებითი ქაოსი ქართული თეატრის
სცენაზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) 414

Anar Yerkebay

The Georgian Theater of the Independence Period: A View from the Side..... 422

წინათქმა

1918 წელს, ერთი საუკუნის წინ საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე საქართველოს ევროპულ ფუნდამენტს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. დაარსების დღიდანვე ქვეყნის განვითარების უმთავრეს პრიორიტეტად განისაზღვრა დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულება და ევროპული მომავალი. ჩვენმა წინაპრებმა სწორედ მაშინ დაიწყეს დაგეგმვა და პრაქტიკული განხორციელება ისეთი საკითხებისა, როგორცაა კონსტიტუციის მიღება, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, სახელმწიფოს მშენებლობაში ქალების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა, შრომითი უფლებების დაცვა და კიდევ ბევრი სხვა. გაცილებით უფრო ადრე, 100 წლის წინ ჩაეყარა მყარი საფუძველი ევროპის ქვეყნების დაინტერესებას საქართველოში და ჩვენი სამშობლოს ევროპასთან ინტეგრაციის აქტიურ პროცესებს. როცა თვალი გადავაგვლე ჩვენს ისტორიულ მეხსიერებას, დავინახე, რომ იმდროინდელი აქტიუალური საკითხები დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას, პირიქით, სულ უფრო მეტი სიმწვავეთ იჩენს თავს თანამედროვე ევროპული საქართველოს მშენებლობის პროცესში.

ისტორიული გამოცდილება კიდევ უფრო მეტად გვკარნახობს ჩვენი ქვეყნის წარსულიდან პოზიტიური მარცვლების დღევანდლობაში გადმოტანას და პირველი რესპუბლიკის გამოცდილების გაზიარებას, საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის გაცოცხლებას – როცა საქართველო ქმნიდა თავის წილ ევროპასა და დემოკრატიას.

2018 წლის 1-2 ივნისს ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავს და, ამავდროულად, კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების 20 წლის იუბილეს. ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებმა, მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა, მათთან ერთად საქართველოს, საფრანგეთის, თურქეთისა და ყაზახეთის სხვადასხვა უნივერსიტეტისა თუ ორგანიზაციების მკვლევრებმა იმსჯელეს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცნობი თუ ჯერ კიდევ უცნობი საკითხების შესახებ ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის მიმართულებით. ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ კავკასიის უნივერსიტეტში გაცოცხლებული ისტორია ბევრ საინტერესო ფაქტსა და მოვლენას მოჰყენს ნათელს. თითოეული ავტორი პასუხისმგებელია ნაშრომებში გამოთქმულ მოსაზრებებსა და დასკვნებზე. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე კრებულით ახალი ფურცელი დაიწყება ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის კვლევასა და თანამედროვე საქართველოს მშენებლობაში.

კახა შენგელია

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი

რედაქტორისაბან

კავკასიის უნივერსიტეტს ოცი წელი შეუსრულდა. ეს დრო შეიძლება ისტორიისთვის ძალზე მცირე – ერთი ამოსუნთქვა იყოს, თუმცა რეალობამ გვაჩვენა, რომ, მონდომების შემთხვევაში, ამ პერიოდშიც ბევრის გაკეთება შეიძლება. ამის ნათელი, მეტად თვალსაჩინო მაგალითია სწორედ კავკასიის უნივერსიტეტი, რომელიც საუნივერსიტეტო კოლექტივის – პროფესორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის (განსაკუთრებით გამოვყოფ უნივერსიტეტის პრეზიდენტს, პროფესორ კახა შენგელიას) თავდადებული, მიზანმიმართული შრომის შედეგად, ქვეყნის უმაღლესი განათლების მონინავე ცენტრად იქცა. უნივერსიტეტს აქვს შესანიშნავი შენობა – თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით, კათედრებით, ლაბორატორიებით. რაც მთავარია, უნივერსიტეტს ჰყავს მაღალი დონის პროფესურა – პედაგოგები, რომლებიც კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების გარანტს წარმოადგენენ.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ახლახან, უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავს. ფართო იყო კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობა. გარდა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებისა, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ უცხოელებიც. არსებითი იყო საფრანგეთის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების მოხსენებები.

1918-21 წლები საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის დროა. სწორედ ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის პრობლემებს შეეხო ძირითადი მოხსენებები.

წინამდებარე კრებულში შევიდა მოხსენებათა საფუძველზე შექმნილი სტატიები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე დასმული, ამ პერიოდის სხვადასხვა კარდინალური საკითხის შესახებ. ეს იყო პრობლემები, რომლებიც თან სდევდა საქართველოში პირველი რესპუბლიკის დაარსებას (1918 წლის 26 მაისი), დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადებას, სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შექმნა-სრულყოფას, გერმანიასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებას, საზავო ხელშეკრულებას ოსმალეთთან, ქართველი ერის – მთელი დემოკრატიული ძალების მთავრობის გარშემო კონსოლიდაციას, ურთიერთობას აზერბაიჯანთან და სომხეთთან და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენებები გამოირჩეოდა აქტუალობით, პრობლემების მნიშვნელობითა და შეფასების სიახლით.

წინამდებარე სამეცნიერო სტატიების კრებული, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნება დასმული პრობლემების გამონვლილვით გარკვევისათვის. შეიძლება მას გაეცნოს ფართო მკითხველი საზოგადოება. მაღლიერებით უნდა მოვიხსენიოთ კავკასიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა კონფერენციის მაღალ სამეცნიერო და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისთვის. თავის მხრივ, კრებულში შესული ნაკვლევი მასალა მნიშვნელოვანი წვლილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

როინ მეტრეველი

აკადემიკოსი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ისტორია

პაატა ნაცვლიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა
და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

„საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ – ტერმინის ისტორია

საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავი, რომელსაც ასე მასშტაბურად ვზეიმობთ საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, დასტურ ღირს-შესანიშნავი თარიღია.

ამ თარიღის აღსანიშნავად საიუბილეო წლის დასაწყისიდან მრავალი ღონისძიება დაიგეგმა და მაღალპროფესიონალური დიზაინით მშვენივრად შეფუთული გამოქვეყნდა კიდევ სამთავრობო საიტზე <http://events.gov.ge/>, რომელიც, სხვათა შორის, ფეისბუქშიც არის განთავსებული.

საიტის კონტენტზე არაფერს ვიტყვით, ვერც დაგეგმილ თუ უკვე გამართულ ღონისძიებათა ავ-კარგზე მოგახსენებთ რამეს, მხოლოდ ტერმინოლოგიურ უზუსტობაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

„100 წელი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან“ – ასეთია სამთავრობო საიტის სახელწოდება თუ სლოგანი, რომელმაც, ფაქტობრივად უკვე ლოგოდქვეულმა, საქართველოს მთელი მედიასივრცე მოიცვა – ინტერნეტიდან და ტელევიზიიდან დაწყებული, პრესითა თუ ბანერებით დამთავრებული.

მაგრამ „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“ არ არის სწორი ფორმა!

ან „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ უნდა ვწეროთ, ან „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. ისინი პარალელური და, შეიძლება ითქვას, სინონიმური ფორმებია. საქართველოს მეორე დემოკრატიული რესპუბლიკა არ არსებობდა და ორი მსაზღვრელის – „პირველისა“ და „დემოკრატიულის“ ერთდროულად გამოყენება „საქართველოს რესპუბლიკასთან“ მიმართებით, არა გრამატიკული, არამედ შინაარსობრივი შეცდომაა.

სამთავრობო საიტიდან ეს შეცდომა, როგორც ჩანს, თავიდან საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადავიდა და მერე მისი მეშვეობით კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა. ამგვარი არასწორი ფორმა გვხვდება, მაგალითად, მშვენიერ სატელევიზიო კლიპებში, რომლებიც კარგა ხანია გადის ეთერში. ამგვარი არასწორი ფორმები გვხვდება, სხვაგანაც, მაგალითად, – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საიტზე, ილიაუნის საიტზე, აგრეთვე – თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე დამონტაჟებულ ლაით-ბოქსებსა თუ ბანერებზე.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ გვხვდება სწორი ფორმებიც – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ ან „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო არქივის საიტები. სხვათა შორის, გამონაკლისის სახით სწორი ფორმა დაფიქსირებულია იმ სამთავრობო საიტზეც, რომელზეც მოგახსენებდით. დიდად სასიხარულოა, რომ გამონაკლისთა შორისაა და სწორი ფორმით არის ამ საიტზე ანონსირებული კავკასიის უნივერსიტეტში ჩატარებული კონფერენცია.

ძნელი სათქმელია, რისი ბრალია ამგვარი შეცდომა, ენისა და ისტორიის უცოდინრობის, უპასუხისმგებლობისა თუ ნაჩქარეობის, მაგრამ ფაქტია, რომ ახლა ამას აღარაფერი ეშველება – ეს ყველაფერი უკვე ისტორიის ნაწილია, ხოლო ჩვენ იმად გავამახვილეთ ამ შეცდომებზე ყურადღება, რომ საქმე უშუალოდ ეხება სწორედ იმ ტერმინს, რომელიც ჩვენი მოხსენების საგანი გახლავთ.

ჩვენი მიზანია, ნათელი მოვფინოთ ისტორიას და წარმომავლობას ტერმინისა – „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. აქ შეგნებულად არ ვწერთ, – „შევისწავლოთ და ნათელი მოვფინოთ“, ჩვენთვის აქ შესასწავლი არაფერია. უბრალოდ, გვინდა ზოგიერთი დღემდე უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი ფაქტი საცნაური გავხადოთ ფართო საზოგადოებისათვის.

ხოლო მოხსენება თავისი არსით საკმაოდ უჩვეულოა. დანამდვილებით ძნელი სათქმელია, რა არის იგი – მეცნიერული გამოკვლევა, ისტორიული ექსკურსი, რეტროსპექტიული მიმოხილვა თუ ემოციური მემუარები. ის ალბათ ერთდროულად არის ერთიც, მეორეც, მესამეც, მეოთხეც და, შესაძლოა, კიდევ რაღაც სხვაც.

* * *

ტერმინი „პირველი რესპუბლიკა“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებით ახალია, გვიანდელი. იგი არსად არის ნახსენები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ დოკუმენტებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, იმდროინდელ პრესაში, დემოკრატიულ რესპუბლიკის პოლიტიკურ მოღვაწეთა მემუარებსა თუ წერილებში, ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში... იგი მხოლოდ ბოლო 30 წელიწადია, რაც გამოჩნდა და გავრცელდა პრესასა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჩვენ შევეცადეთ შეგვედგინა ამ ტერმინის სათაურებში გამოყენების ერთგვარი ქრონოლოგიური ნუსხა, რომელიც სრული, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ გარკვეულწილად ასახავს ტერმინის გავრცელების სიხშირეს, არეალსა და დინამიკას.

ცალკე გვაქვს ამონერილი წიგნები და ცალკე საგაზეთო თუ საყურნალი პუბლიკაციები, რისთვისაც გამოვიყენეთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი.

პირველი წიგნი, რომლის სათაურშიც დაფიქსირდა ტერმინი „პირველი რესპუბლიკა“, გახლავთ მათა გოგიბერიძის ნაშრომი „ფედერალისტთა პარტიის სოციალ-ეკონომიკური პროგრამა და პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში“, რომელიც 1999 წელს გამოსცა გამომცემლობა „მემატინანემ“.

ამას მოჰყვა კიდევ 10 წიგნი, რომელთა სათაურებში ეს ტერმინია გამოყენებული: 2000. როლანდ კალანდაძე, „დემოკრატია, როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის იდეოლოგია“ (აქ ეს ტერმინი ალბათ ხსნა იყო ავტორისათვის, რადგან

სათაურში სიტყვა „დემოკრატიის“ ორგზის ხსენება გარკვეულ უხერხულობას შექმნიდა), თბ., „მეცნიერება“;

2001. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., „მემატიანე“;

2013. „დამოუკიდებლობის 1028 დღე: საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატრიანე (1918-1921)“, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

2013. ალექსანდრე დაუშვილი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა და რუსეთის ბოლშევიკური პრესა“, თბ., „უნივერსალი“;

2015. შოთა ვადაჭკორია, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ოსმალეთის ექსპანსიური პოლიტიკა“, თბ., „გეორგიკა“;

2015. ოთარ ჯანელიძე, „ნოე რამიშვილი – საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი“, თბ., „პეტიტი“;

2015. „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ (საქართველოს ეროვნული არქივის მასალები/ალბომი), თბ.;

2016. დიმიტრი შველიძე, „პირველი რესპუბლიკა“, თბ., „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;

2017. დიმიტრი სილაქაძე, „საქართველოს პირველი რესპუბლიკის არმიისა და სახალხო გვარდიის შეიარაღება“, თბ., „სეზანი“;

2017. „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ (საქართველოს ეროვნული არქივის მასალები/ალბომი, მეორე გამოცემა), თბ.;

ასე რომ, ელექტრონულ კატალოგში სულ 11 წიგნი იძებნება, რომელთა სათაურში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაში გამოყენებულია ტერმინი „პირველი რესპუბლიკა“. შედარებისთვის დავძენთ, რომ ამავე კატალოგში შეტანილია 19 წიგნი (მათ შორის – ერთი რუსულ ენაზე), რომელთა სათაურში გვხვდება ტერმინი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“.

ერთი წიგნის სათაურში ერთდროულად გამოყენებულია ორივე ტერმინი:

2003. გიორგი შარაძე, „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა“, თბ. საწარმოო გაერთიანება „მეცნიერება“.

ასე რომ, ბოლოდროინდელი შეცდომები თუ უზუსტობანი, რომლებითაც დავინწყეთ ჩვენი მოხსენება, შეიძლება სულაც აქედან იღებდეს სათავეს. ყოველ შემთხვევაში, ორივე ტერმინის ერთდროული გამოყენების მაგალითი მანამდე ვერსად მოვიძიეთ.

რაც შეეხება საგაზეთო პუბლიკაციებს, სულ პირველზე მოგვიანებით მოგახსენებთ, ხოლო 1990 წლიდან დღემდე 8 პუბლიკაცია იძებნება, რომელთა სათაურში ჩვენთვის საინტერესო ტერმინია გამოყენებული:

1990. გურამ ყორანაშვილი, „პირველი რესპუბლიკა, პირველი პრეზიდენტი: ნოე ჟორდანიას პოლიტიკური თვალსაწიერის შესახებ“, გაზ. „რესპუბლიკა“, 20 ნოემბერი;

2003. ნანია სალუქვაძე, „როგორ დაეცა პირველი რესპუბლიკა“, გაზ. „რეზონანსი“, 17 თებერვალი;

2009. ქრისტინე ფაღავა-ბულეზი, „წვლილი პირველი რესპუბლიკის ისტორიაში“, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 17-23 დეკემბერი;

2013. საზაფხულო სკოლა „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“, გაზ. „24 საათი“, 19 ივლისი;

2015. „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 ოქტომბერი;

2016. ია აბულაშვილი, „პირველი რესპუბლიკა – როგორ ეხმარებოდა გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებაში“, გაზ. „რეზონანსი“, 18 ივნისი;

2017. ოთარ ჯანელიძე, „სამი ალბომი საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 მაისი;

2018. „საქართველოს პირველი რესპუბლიკა-100“, გაზ. „ახალი განათლება“, 5-18 აპრილი;

გარდა ამისა, 2008 წელს „24 საათის“ ჩანართ **Weekend**-ს ჰქონდა რუბრიკა „90 წელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან“, რომლითაც იმ წლის მაისში (№ 77 და № 78) გამოქვეყნდა ოთარ ჯანელიძის წერილების ციკლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენ ვსაუბრობთ ტერმინის სათაურებში გამოყენებაზე, თორემ რომელ ტექსტში როდის და რამდენჯერ არის გამოყენებული ტერმინი „საქართველოს რესპუბლიკა“, ამის აღნუსხვა ყოვლად შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში ამ ტერმინის გამოყენების ყველაზე ადრინდელ შემთხვევად მითითებულია გაზეთ „სამშობლოს“ 1989 წლის 26 მაისის ნომერი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გამომავალი პირველი გაზეთი აღმოჩნდა, 1920 წლის შემდეგ, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა და გერბი დაიბეჭდა.

გაზეთის პირველ გვერდზე სადღესასწაულო ანშლაგთან („26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა!“), დამოუკიდებელი საქართველოს ფერად დროშასთან, შავ-თეთრ გერბთან თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნის ნოტებთან თუ ტექსტთან ერთად, დაბეჭდილია ცნობილი ისტორიკოსების უშანგ სიდამონიძისა და გურამ ყორანაშვილის მონათხრობი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ საერთო სათაურით: „პირველი რესპუბლიკა“.

საინტერესოა, რომ პირველი ავტორი, ვინც ეს ახალი ტერმინი თავისი ნაშრომის სათაურად გამოიყენა (1990 წლის ნოემბერში), სწორედ ერთ-ერთი ამ მეცნიერთაგანი, გურამ ყორანაშვილი გახლდათ.

ეჭვი არ არის, ტერმინს „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ საფრანგეთის ხუთი რესპუბლიკის ანალოგია დაედო საფუძვლად და არა, ვთქვათ, კორეის ექვსი რესპუბლიკისა, იმის მიუხედავად, რომ გაზეთ „სამშობლოში“ ამ ტერმინის გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე, 1989 წლის 25 თებერვალს კორეის ავტორიტარული მეხუთე რესპუბლიკის ლიდერმა ჩონ დუხვანმა ძალაუფლება პირდაპირი არჩევნების გზით არჩეულ პრეზიდენტს რო დეუს გადააბარა, რითაც დასაბამი მიეცა კორეის მეექვსე რესპუბლიკას. თუმცა მთლად პირდაპირი ანალოგია სამართლიანი არც საფრანგეთთან იქნება, რესპუბლიკების ნუმერაციას კონსტიტუციის რედაქციები რომ უდევს საფუძვლად, რადგან საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას ფაქტობრივად არ უმუშავია ოკუპაციის გამო და პირველი რესპუბლიკა ამ კონსტიტუციის მიღებიდან ორიოდე კვირაში დასამარდა.

„პირველი რესპუბლიკა“ გაზეთ „სამშობლოს“ 1989 წლის 26 მაისის ნომრის პირველ გვერდზეა დაბეჭდილი და მოწინავე წერილის ფორმა აქვს. ისტორიკოსთა ტექსტებს წინ სარედაქციო ლიდი უძღვის, რომლის ტექსტიც აქ მთლიანად მოგვყავს:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც არსებობის 68 წელიწადს ითვლის, მეორე რესპუბლიკაა საქართველოს ისტორიაში. პირველი რესპუბლიკა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა და სამ წელიწადს იარსება. ამ დღეს აღდგა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქვეყანას დაკარგული ჰქონდა. წელს ფართოდ აღვნიშნავთ 26 მაისს – საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს.

ჩვენ ვთხოვეთ ცნობილ ისტორიკოსებს უშანგი სიდამონიძეს და გურამ ყორანაშვილს, იმ ნომრის მონიშნავდნენ, რომელიც 26 მაისს ეძღვნება და რომელშიც ზოგიერთი ისტორიული მასალაა წარმოდგენილი, გამოეთქვათ აზრი 26 მაისის ეროვნულ, პოლიტიკურ და ისტორიულ მნიშვნელობაზე.“

სწორედ ამ ტექსტიდან იღებს სათავეს ტერმინი „პირველი რესპუბლიკა“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაში.

ეს სულაც არ ყოფილა შემთხვევითი და „სამშობლოს“ რედაქტორის მიერ კარგად გააზრებული სარედაქციო პოლიტიკის და თანმიმდევრული მოქალაქეობრივი პოზიციის ერთი მკაფიო გამოვლინება იყო.

იმ პერიოდის გაზეთ „სამშობლოს“ საბჭოთა პრესისათვის უჩვეულო სითამამე და ეროვნული პრობლემატიკის გააქტიურება ახასიათებდა, რაც ყბადაღებული „გლასნოსტისა“ და ეროვნული სულისკვეთების საყოველთაო აღმავლობის ფონზეც კი აშკარად გამოარჩევედა მას ქართულ პრესაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის გარდა, 1989 წელს გაზეთ „სამშობლოში“ დაიბეჭდა საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი, საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომის სტენოგრამა, ნოე ჟორდანიას სიტყვა დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომაზე, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულება; რუსეთის მე-11 არმიის სარდლის, გენერალ ჰაკერის მოხსენება, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპეციალური კომიტეტის საგანგებო მოხსენება „საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ“ და საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიასთან დაკავშირებული მანამდე უცნობი სხვა არაერთი მასალა.

ხოლო მისი რედაქტორისათვის „სამშობლო“ არ ყოფილა პირველი გაზეთი, სადაც მან მრავალ სიახლის დანერგვასთან ერთად საქართველოს პირველი რესპუბლიკის მანამდე დაფარული ისტორიის პოპულარიზაცია დაიწყო.

1989 წლის 26 მაისი იმავე წლის 9 აპრილის სისხლით მოპოვებული სიტყვის თავისუფლების პირობებში აღინიშნა, მაგრამ ერთი წლით ადრე წარმოუდგენელი იყო 26 მაისის და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შესახებ რომელიმე გაზეთს ხმა ამოეღო.

ქართული პრესის და არა მარტო პრესის ისტორიისათვის ალბათ საინტერესოა, რომ პირველი ქართული გაზეთი, რომელმაც საბჭოთა პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ გახლდათ, რომლის რედაქტორი სწორედ ამ და ამგვარი პუბლიკაციების გამო რამდენიმე თვეში ჩამოაშორეს რესპუბლიკის მეორე ნამყვან გაზეთს და შედარებით „მშვიდ“, შეუდარებლად ნაკლები ტირაჟისა და, ამდენად, ნაკლები გავლენის მქონე გაზეთ „სამშობლოში“ გადაიყვანეს.

შემორჩენილია „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და შემდეგ „სამშობლოს“ რედაქტორის სამუშაო ჩანაწერები, რომლებშიც ავტორს ჯერ კიდევ მანამდე მოუნიშნავს წინ წამოსაწევი საგაზეთო თემები, სანამ მას „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორად დანიშნავდნენ 1985 წლის მარტში. ასეთ თემათა შორის იყო 26 მაისის, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა. ეს მაშინ სრულიად წარმოუდგენელი იყო და ვერავინ იფიქრებდა, თუ ამ ჩანაწერს ოდესმე განხორხორციელება ეწერა.

პირველი სამი წლის განმავლობაში ეს მართლაც შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ 1988 წელს, პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 70-ე წლისთავზე, 26 მაისის აღნიშვნაც მოხერხდა. 20-იანი წლების დასაწყისის შემდეგ ამ თარიღის აღსანიშნავი წერილი საბჭოთა სინამდვილეში პირველად სწორედ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა 1988 წლის 26 მაისს. ეს იყო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ავთანდილ მენთეშაშვილის სტატია „70 წლის წინათ...“, რომელიც დაიბეჭდა რუბრიკით „ისტორიის ფურცლები“ და ქვესათაურით „1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა“. რედაქტორმა ბევრი იბრძოლა საიმისოდ, რომ რუბრიკად თუ არა, ქვესათაურად მაინც ყოფილიყო ფრაზა „26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!“, მაგრამ ამის უფლება არ მისცეს. თუმცა ის კი მოხერხდა, რომ ტექსტში 26 მაისი ნახსენები იყო, როგორც დღესასწაული. დღესასწაულისა რა გითხრათ და, ეს იმ დროისათვის ნამდვილი სასწაული იყო.

სწორედ ამ პუბლიკაციის ერთგვარი გაგრძელება გახლდათ მომდევნო წელს გაზეთ „სამშობლოში“ 26 მაისის ფართოდ აღნიშვნა და შემოტანა ახალი ტერმინისა „პირველი რესპუბლიკა“.

ამ ტერმინის პრემიერიდან ზუსტად 14 წლის შემდეგ, 2003 წლის 26 მაისს, უკვე მას მერე, რაც ეს ტერმინი სხვაგანაც გამოჩნდა, გაზეთ „განათლებულ საქართველოში“, რომელსაც „სამშობლოს“ რედაქტორი პარალელურად ედგა სათავეში, მან თავისი ხელმოწერით გამოაქვეყნა მონიშნავი წერილი სათაურით „52 მაისი და ოთხი რესპუბლიკა“, სადაც პირველი რესპუბლიკის კვალდაკვალ მომდევნო რესპუბლიკებიც „დანომრილია“.

საქართველოს რესპუბლიკების დანომვრისას სტატიის ავტორი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომლის არსებობა ზუსტად 70 წელიწადს გაგრძელდა, ერთ, მეორე რესპუბლიკად თვლის, თუმცა ერთ ხანს საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციის წევრი იყო და ამ სახით შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რის გამოც შეიძლებოდა ის პერიოდი ცალკე გამოყოფილიყო. რაც შეეხება კონსტიტუციას, ამ 70-წლიან პერიოდში საქართველომ კონსტიტუციის ოთხი რედაქცია მიიღო – 1922, 1927, 1937 და 1978 წლებში.

საქართველოს მესამე რესპუბლიკად ავტორს 1990-1991 წლების საქართველოს რესპუბლიკა მიაჩნია, როცა ზვიად გამსახურდიას უზენაესმა საბჭომ ბოლო საბჭოთა კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. მეოთხე რესპუბლიკად კი იგი 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მოქმედების პერიოდს მიიჩნევს. როგორც ჩანს, ავტორი რესპუბლიკად არ თვლის სამხედრო საბჭოს, დროებითი მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს დროინდელ უკონსტიტუციობის სამწლიან მონაკვეთს, იმის მიუხედავად, რომ 1992 წლის 21 თებერვალს სამხედრო საბჭომ

ალადგინა 1921 წლის კონსტიტუცია, მაგრამ მას, ისევე როგორც 71 წლის წინათ, ფაქტობრივად არ უმუშავია, ამჯერად – როგორც სრულიად შეუსაბამოს არსებულ ვითარებასთან.

„განათლებული საქართველოს“ მონინავეში ვკითხულობთ:

„მანსოვს ცნობილი ისტორიკოსის უშანგ სიდამონიძის გაოცება, როცა პირველად ვიხმარე ეს ტერმინი – „პირველი რესპუბლიკა“. ეს იყო 1989 წლის 26 მაისს, გაზეთ „სამშობლოს“ მე-14 ნომერში. მან ჯერ იუცხოვა ეს ორი სიტყვა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაში, მერე კი – რატომაც არა, მშვენიერი მიგნებააო, თქვა. როგორ არ უნდა მიხაროდეს, რომ ჩემს მიერ შემოტანილი ეს დეფინიცია ასე დამკვიდრდა ჩვენს ისტორიოგრაფიასა თუ პრესაში.

პირველი რესპუბლიკა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ნოე ჟორდანიასა და მენშევიკების რესპუბლიკა – 1918 წლის 26 მაისი შედეგი გახლდათ.

მეორე რესპუბლიკა – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ბოლშევიკების რესპუბლიკა – საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივი დაკარგვის, წითელი რუსეთისაგან ქვეყნის ოკუპაციისა და ანექსიის ნაყოფი იყო.

მესამე რესპუბლიკა – ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკა, პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე – მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ დაფარულ და მერე დაუფარავ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და საერთაშორისო ვითარების შეცვლას მოჰყვა შედეგად.

მეოთხე რესპუბლიკა, თუმცა 1995 წელს მიღებული კონსტიტუციით რესპუბლიკა აღარ ჰქვია, ედუარდ შევარდნაძის საქართველო გახლავთ, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, პირველი და მესამე რესპუბლიკების მემკვიდრეა, მთავარი მოქმედი პირ(ებ)ის თვალსაზრისით კი, – მეორე რესპუბლიკის ერთგვარ რესტავრაციას წარმოადგენს.

თუმცა პირველ, მესამე და მეოთხე რესპუბლიკებს ორი 26 მაისი აერთიანებს. ისტორიამ ისე იწინაა, რომ საქართველოს ოთხი რესპუბლიკა პირველ-მესამისა და მეორე-მეოთხის პრინციპით დანყვილებულიყო. პირველი და მესამე რესპუბლიკები მშვიდობიანად, დეკლარაციითა საფუძველზე დამყარდა, მეორე და მეოთხე რესპუბლიკები კი სისხლისღვრის შედეგად შეიქმნა“.

15 წლის წინანდელ ამ სიტყვებს მხოლოდ ის შეიძლება დავამატოთ, რომ ამასობაში საქართველომ მეხუთე რესპუბლიკა გაიარა და მეექვსე რესპუბლიკის მიჯნაზე დგას.

მეხუთე რესპუბლიკად შეიძლება ჩაითვალოს პერიოდი 2004 წლიდან, ეგრეთ-წოდებული „ფრანგული“ მოდელის დანერგვიდან დღემდე, უფრო სწორად, – 2017 წლის კონსტიტუციის სრულად ამოქმედებამდე. თუმცა ამ პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო მოდელმა რამდენიმე პრინციპული ცვლილება განიცადა – სუპერსაპრეზიდენტო მოდელიდან სუპერსაპრემიერო მოდელამდე და უკან – საპარლამენტო მოდელისაკენ.

2017 წლის კონსტიტუციამ უკიდურესად დაასუსტა ხელისუფლების სხვა შტოები და ქვეყნის მმართველობის წმინდა საპარლამენტო მოდელი ჩამოაყალიბა. მისი საბოლოოდ ძალაში შესვლის შემდეგ საქართველო გადაასწრებს საფრანგეთს რესპუბლიკების რაოდენობით და სამხრეთ კორეას დაენევა.

ესეც შენი მეექვსე რესპუბლიკა!

თუმცა ამ მოხსენების ბოლოს კვლავ უნდა დავუბრუნდეთ პირველ რესპუბლიკას, უფრო სწორად, – ამ ტერმინის ისტორიას.

ზემოთ წიგნების ჩამონათვლისას ვახსენეთ შარშან გამოცემული ალბომი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. სწორედ ამ ალბომს და კიდევ ორ სხვა გამოცემას მიუძღვნა თავისი საგაზეთო გამოსვლა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა, პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ. „სამი ალბომი საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ“ – ასე ჰქვია მის რეცენზიას, რომელიც გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის 2017 წლის 2 მაისის ნომერში გამოქვეყნდა.

რეცენზიას ქვესათაურიც აქვს:

„ვინ და როდის შემოიტანა საქართველოში ტერმინი „პირველი რესპუბლიკა“?

ამ კითხვაზე პროფესორ ოთარ ჯანელიძის პასუხზე უკეთეს დასკვნას ჩვენი მოხსენებისთვის ვერც ვინატრებდით.

აი, რას წერს იგი თავის რეცენზიაში:

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სინონიმად ჩვენში ფართოდ დამკვიდრდა ტერმინი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. მას პრესასა თუ რადიო-ტელევიზიებში ხშირად იყენებენ ჟურნალისტები, ასევე, ცალკეულ გამოსვლებსა თუ განცხადებებში მიმართავენ პოლიტიკოსები და სხვ. სახელწოდებამ თანდათან სამეცნიერო მიმოქცევაში გადაინაცვლა და ადგილი ისტორიოგრაფიაშიც დაიმკვიდრა. ცხადია, ამის საწინააღმდეგო არაფერი შეიძლება გვექონდეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნება მეტად პირობითია. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტერმინი ხალხური არ არის და მას თავისი ავტორი (ნათლია) ჰყავს. ამასთან, მისი შემოტანა ჯერ კიდევ იმ დროს განეკუთვნება, როდესაც საქართველოს სამწლიანი მონაკვეთის შესახებ არათუ ფართო საზოგადოებამ, სპეციალისტებმაც კი ბევრი არაფერი იცოდნენ.

როგორც არაერთ სხვა საქმეში, აქაც პირველობა ცნობილ ქართველ ჟურნალისტსა და მკვლევარს, პროფესორ პაატა ნაცვლიშვილს ეკუთვნის. მან ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, 1989 წლის 26 მაისს გაზეთ „სამშობლოში“, რომლის რედაქტორიც თვითონ იყო, დაბეჭდა მონინავე წერილი სათაურით „პირველი რესპუბლიკა“. ისტორია არ არის ზუსტი მეცნიერება, მაგრამ სიზუსტე არც მას აწყენს და კარგი იქნება მკითხველმაც იცოდეს საქმის ნამდვილი ვითარება“.

დიახ, პროფესორ ოთარ ჯანელიძის დახმარებით საქმის ნამდვილი ვითარება გაირკვა, თუმცა კი ეს ჩვენი მოხსენება მართლა უჩვეულო რამ გამოვიდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 63, 26 მაისი, 1988

გაზ. „სამშობლო“, № 14, 26 მაისი, 1989

გაზ. „განათლებული საქართველო“, № 1, 26 მაისი, 2003

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 89, 2 მაისი, 2017

Paata Natsvlishvili
PhD in Social Sciences, Professor
Director, Institute of History & Geography of Georgian Emigration
Grigol Robakidze University

THE FIRST GEORGIAN REPUBLIC – HISTORY OF THE TERM

Summary

Over the past 30 years, the term „First Georgian Republic“ has spread widely in the Georgian media and scientific literature, as a synonym, the parallel form of the Georgian Democratic Republic (1918-1921). For the first time, the term „First Republic“ in relation to the Georgian Democratic Republic was used in the Georgian newspaper „Samshoblo“ on May 26, 1989 by its Editor-in-Chief in his editorial „The First Republic“.

კახა შენგელია
ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
კავკასიის უნივერსიტეტი

გურანდა ქელიძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
კავკასიის უნივერსიტეტი

1918–1921 წლების საქართველო პიტერ სკინერის ნიგნო „საქართველო: მიწა კავკასიონის ქვემოთ“

გარდაქმნებით აღსავსე იყო გასული საუკუნის 90-იანი წლები. „ცივი ომის“ დასრულებამ და სოციალისტური ბანაკის კოლაფსმა წარმოშვა ახალი, სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც მსოფლიო ისტორიული პროცესების დამოუკიდებელ აქტორებად იქცნენ. მათ შორის იყო საქართველო, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლავ გახდა ინტერესის ობიექტი მსოფლიოს წამყვან ძალებს შორის. მიმდინარე პროცესების პარალელურად უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდა მისი ისტორიული წარსულითა და ღირსეანიშნაობებით. „რანი ვართ და რანი ვიყავით“ – ალბათ ამ კითხვაზე ეძებდა პასუხს ამერიკელი ისტორიკოსი პიტერ სკინერი (Peter Skinner).¹ მის მიერ 2014 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემული ნიგნი „საქართველო – მიწა კავკასიონის ქვემოთ“ (Georgia. The Land Below the Caucasus) შესანიშნავი გზა აღმოჩნდა იმისათვის, რომ მას დასავლეთის ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო საქართველოს ისტორია და ნიგნის სახელწოდებაშივე დაენახებინა საქართველოს უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობა. როგორც ნიგნის წინასიტყვაობაში თავად ავტორი წერს, „ეს ნიგნი ცდილობს მკითხველს პირდაპირ და მისთვის გასაგებ ენაზე შესთავაზოს ერის ილუსტრირებული ისტორია, იმისათვის, რომ მოუყვეთ მათ ვინ რა გააკეთა, როდის და როგორ“ (Skinner, 2014, გვ. ii).

როგორ დაიწყო ნიგნის ისტორია? ჟურნალ ქართველოლოგის მეხუთე ნომერში ვკითხულობთ: „2013 წლის ნოემბერში ჟურნალ „ქართველოლოგის“ რედაქციას წერილი მოსწერა ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა არქეოლოგმა ლევან კიკნაძემ, გაგვაცნო ამერიკელი ისტორიკოსი პიტერ სკინერი, რომლის ილუსტრირებული ნიგნი საქართველოს ისტორიაზე მზადდებოდა გამოსაცემად. თან შემოგვთავაზა გამოსაქვეყნებლად პიტერ სკინერის სტატია და გვაუწყა ავტორის გულისტკივილი

1 პიტერ სკინერი – ბრიტანული წარმოშობის თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი, მეცნიერი და რედაქტორი; დაინტერესებულია საქართველოს ისტორიითა და კულტურით. მსოფლიო საზოგადოება კარგად იცნობს მის ნიგნს „მსოფლიო სავაჭრო ცენტრი“, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტიდან მოკლე ხანში გამოიკა და მაშინვე რვა ენაზე ითარგმნა. პიტერ სკინერმა 2007, 2008 და 2010 წლებში საქართველოში იმოგზაურა და ღრმად დაინტერესდა ჩვენი ქვეყნის წარსულით. იგი იყო ქართული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის 2008 და 2009 წლების საერთაშორისო სიმპოზიუმების ინგლისურენოვანი გამოცემის რედაქტორი. საქართველოს შესახებ ნიგნის გამოცემის შემდეგ, 2015 წელს საქართველოს დიასპორის მამინდელმა მინისტრმა ბატონმა გელა დუმბაძემ მას გადასცა ჯილდო საქართველოს პოპულარიზაციის საქმეში გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის. იგი ამავე დროს არჩეულ იქნა საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის საპატიო წევრად.

იმის თაობაზე, რომ ინგლისურენოვანი მკითხველისათვის ძალზე ცოტაა ცნობილი საქართველოს ისტორიაზე და არც სათანადო ლიტერატურაა ხელმისაწვდომი. მე, ჩემი მხრივ, ვაუწყებ ბატონ პიტერს, რომ ჩვენში ინგლისურ ენაზე უკანასკნელ წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნი გამოიცა და საზღვარგარეთელმა ქართველოლოგებმაც სქელტანიანი მონოგრაფიები გამოაქვეყნეს ინგლისურ და გერმანულ ენებზე საქართველოს ისტორიის შესახებ. მაგრამ ამავე დროს მისი წერილის გამოქვეყნება, სათანადო ექსპერტიზის შემდეგ, აუცილებლად მივიჩნევთ. სტატიაში ჩანს დიდი სიყვარული და აღფრთოვანება საქართველოს მდიდარი კულტურით და ხანგრძლივი გმირული ისტორიით. მაგრამ, ამასთან ერთად, გულისტკივილიც იმის შესახებ, რომ ინგლისურ ენაზე ამ ქვეყნის შესახებ ძალიან ცოტა იბეჭდება და რაც დაბეჭდილია, არაა ხელმისაწვდომი ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის“ (<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/jurnal/8>).

თითოეული ქართველისათვის საამაყო უნდა იყოს პიტერ სკინერის პოზიცია, რომელიც შეეხება ბრწყინვალე ქრისტიანულ კულტურასა და აქ მცხოვრები ხალხის მაღალ ერუდიციას. მეტიც, ავტორის აზრით, საქართველოს ისტორია ხშირად წარმოდგენილია როგორც მხოლოდ ერთგვარი ქვეტექსტი სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის ისტორიისა, მაშინ როცა „საქართველოს მდიდარი და გავლენიანი კულტურის ისტორია თავისთავადია, განუმეორებელი, და არა მეზობელი ქვეყნებისგან შეთვისებული, არამედ უნიკალურად ქართული“ (<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/jurnal/8>).

პიტერ სკინერის წიგნში ჩვენი წარსულის შესახებ თხრობა იწყება უძველესი დროიდან და სრულდება 1921 წლით. მიუხედავად ავტორის მიერ აღნიშნული ინგლისურენოვანი გამოცემების დეფიციტისა, დღეს მისი წიგნიც უნდა მოვიაზროთ ჩენს ხელთ არსებული, საკუთარი ხელწერით გამორჩეული ინგლისურენოვანი სხვადასხვა გამოცემის გვერდით, თუმცა ამჯერად ჩვენი ყურადღება არა მათ შეფასება-შედარებაზე, არამედ პიტერ სკინერის ზემოთხსენებულ კონკრეტული ნაშრომზე შევაჩერეთ.

წიგნში „საქართველო. მიწა კავკასიონის ქვემოთ“ – მოთხრობილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. შედგება 6 ნაწილისაგან და 21 თავისაგან. ესენია:

1. ანტიკური საქართველო: ბერძნები, რომაელები და ქრისტიანობის მიღება;
2. არაბთა დაპყრობებიდან ოქროს საუკუნემდე;
3. დამპყრობლები და ოკუპანტები – ჯალალ ედ-დინი, მონღოლები, თემურ-ლენგი;
4. საქართველოს დაშლა და თურქებისა და სპარსელების ჩარევა;
5. დამოუკიდებლობის დაკარგვა. საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ;
6. დამოუკიდებელი საქართველო 1918-1921 წლებში: საბჭოთა ოკუპაცია 1921 წელს.

წიგნს თან ახლავს მითითებები, ბიბლიოგრაფია. საერთო ჯამში მისი მოცულობა 500 გვერდია. ყდაზე გამოსახულია გერგეთის სამება.

როგორც ავტორი ამბობს, მისი „ნაშრომი არ არის ორიგინალური აკადემიური ნაშრომი; ის მხოლოდ განიხილავს საქართველოს ისტორიას უფრო მარტივ კონტექსტში. მისი წიგნი ეყრდნობა დაახლოებით 300 სხვა წიგნს (მათ შორის 95%

ინგლისურენოვანს). ყოველი ჩემი გამოყენებული წყარო მიუთითებს ორიგინალზე და განუმარტავს მკითხველს, რა საიდან მოვიდა. თუმცა ციტირებული მასალების უმეტესობა პირველად იხილავს დღის სინათლეს არააკადემიური წრეებისთვის. ჩემს წიგნში მითითებულია ყველა გამოყენებული წყარო, მაგრამ სამწუხაროდ, იქიდან რეალურად ძალიან ცოტა მკითხველს მიუწვდება ხელი, უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში დაცული ლიტერატურის გარდა (<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/archive/8/5>). აქვე მივესალმებით ავტორის მიერ წიგნშივე გაკეთებულ შენიშვნას, რომ შესაძლებელია მითითებებში დაშვებული იყოს უნებლიე შეცდომება, რის გამოსწორებასაც ის აპირებს შემდგომ გამოცემებში (Skinner, 2014, გვ. ii).

პიტერ სკინერი საინტერესოდ გადმოსცემს საქართველოს ისტორიის თითოეულ ეპიზოდს, თუმცა ჩვენი ყურადღება ამაჯერად მის მიერ დანახულ, ჩვენი აზრით, მართლაც რომ უნიკალურად ქართულ ისტორიაზე, 1918-1921 წლების საქართველოზე შევაჩერეთ, რომელიც წიგნის მეექვსე ნაწილში მე-20 თავს მოიცავს – გვ. 451-471. მითითებულ 20 გვერდზე საქართველოს ეს სამწლიანი ისტორია წარმოდგენილია 11 ქვეთავის სახით.

1. შესავალი: ჩამოყალიბების ფაქტორები;
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: გერმანიის მხარდაჭერა;
3. საქართველოს მთავრობა: პრობლემები და პოლიტიკა ქვეყნის მშენებლობაში;
4. რუსეთისა და თურქეთის საფრთხის პირისპირ;
5. საქართველო თანხმდება ბრიტანეთის სამხედრო მისიას;
6. დიპლომატიური საქმიანობა: პარიზის სამშვიდობო კონფერენცია;
7. საქართველო საერთაშორისო აღიარების ძიებაში;
8. საქართველო – საბჭოთა რუსეთის სამიზნე;
9. რუსეთ-საქართველოს შეთანხმება და შემდგომი ჩარევა;
10. დასავლეთის უარი მხარი დაუჭიროს დამოუკიდებელ საქართველოს;
11. რუსეთის შემოჭრა საქართველოში, 1921.

წიგნში პიტერ სკინერი ეხება 1918-1921 წლების მოვლენების ყველა მხარეს – თურქეთს, რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებს, ბრძოლას დენიკინის თეთრ არმიასთან, სომხეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესებს, ეროვნული უმცირესობების საკითხებს, და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ქმედებებს. თუმცა ჩამოთვლილი ქვეთავების სათაურებიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორი ძირითად ყურადღებას ამახვილებს საგერეოპოლიტიკურ ვითარებასა და დიდი სახელმწიფოების ინტერესებსა და მოქმედებაზე საქართველოსთან მიმართებაში. შესაბამისად, მკითხველის ყურადღების ფოკუსირება ხდება ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში. შეიძლება ითქვას, ეს არცაა გასაკვირი, რადგან თხრობის დასაწყისშივე ავტორი სამართლიანად და ობიექტურად აღნიშნავს ახალი დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე არსებულ გამოწვევებს – საფრთხეს თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის მხრიდან, რომელთა მოქმედებაც განსაზღვრავდა საქართველოს მიმართ იმჟამინდელი და სამომავლო პოლიტიკის რაობას (Skinner, 2014, გვ. 451). ამასთან ავტორი საბჭოთა რუსეთის პრობლემას განიხილავს აზერბაიჯანსა და სომხეთში მიმდინარე პროცესების კონტექსტში.

ობიექტურია ბატონი სკინერი იმ მხრივაც, რომ ხაზგასმით აღნიშნავს ევროპის ქვეყნების მთავარ საზრუნავს გავლენის სფეროების მოპოვების თვალსაზრისით. აქვე აღნიშნავთ, რომ არ ჩანს ავტორის პოზიტიური დამოკიდებულება გერმანიის ხელისუფლების საქართველოსადმი არსებული ინტერესების მიმართ, რასაც მოწმობს მისი მოსაზრება, რომ „გერმანია შეეჯახა თურქეთს, მის მოკავშირეს ომში და გახდა საქართველოს, მისი ყოფილი მოწინააღმდეგის გარანტორი. ეს იყო ქმედება, რომელიც ემსახურებოდა გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების განხორციელებას და არა თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპების აღიარებას (Skinner, 2014, გვ. 453). დიდ სახელმწიფოთა შორის იგი მოიხსენიებს ბრიტანეთს, მის მიერ გერმანიის ჩანაცვლებასა და საქართველოში უსაფრთხოების უზრუნველყოფას თურქეთის შესაძლო თავდასხმის წინააღმდეგ, თუმცა ბაქოსა და ბათუმის ოლქში ბრიტანეთის ქმედებას „ოკუპაციას“ უწოდებს (Skinner, 2014, გვ. 454). ამკარად და ღიად საუბრობს ბრიტანეთის ინტერესებზე. საქართველოს მთავრობაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე გერმანიასთან და ბრიტანეთთან კავშირის სასარგებლოდ.

პიტერ სკინერი ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს ახალი მთავრობის სურვილს, რომ მთავარი იყო არა მარტო გერმანიისა და ბრიტანეთის მხარდაჭერის მოპოვება, არამედ საქართველოს სუვერენიტეტის აღიარება და მხარდაჭერა სხვა ერების მხრიდან (Skinner, 2014, გვ. 454). ამ თვალსაზრისით, ჩვენი როგორც მკითხველებისა და ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა პარიზის სამშვიდობო კონფერენცია – მთავარი და მნიშვნელოვანი ეტაპი სახელმწიფოთშორისი ურთიერთობების დარეგულირების საქმეში I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ეს იყო კონფერენცია, რომელსაც ახლადგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობა საერთაშორისო აღიარების იმედებს უკავშირებდა, ამასთან მათ მოლოდინს ზრდიდა აშშ პრეზიდენტის ვუდრო უილსონის „14 პუნქტი“, რომელშიც საუბარი იყო ერთა თვითგამორკვევის შესახებ; ასევე ერთა ლიგის შექმნა მშვიდობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. პიტერ სკინერი ერთა თვითგამორკვევაზე აქცენტს აკეთებს პრეზიდენტის მიერ არათავისუფალი მიწების დასახელებით, მაგრამ პირდაპირ მიუთითებს, რომ მათ შორის საქართველო ნახსენები არ ყოფილა (Skinner, 2014, გვ. 460). ამით ავტორი შესაძლებელია ამწვავებს კიდევ მკითხველის განწყობას პარიზის საზავო კონფერენციის შედეგების მიმართ საქართველოსთან დაკავშირებით. ამასთან, იგი ხაზს უსვამს ევროპის წამყვანი სახელმწიფოების სანდოობის დაბალ ხარისხს საქართველოსთან და სომხეთთან მიმართებაში. ავტორის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ევროპის სახელმწიფოების მხრიდან არა მარტო საბჭოთა რუსეთის უარყოფის, არამედ მეფის რუსეთის აღდგენისა და მის ფარგლებში საქართველოს დაბრუნების სურვილიც (Skinner, 2014, გვ. 461).

საინტერესოა ბატონი სკინერის დამოკიდებულება უშუალოდ რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით. იგი მკაფიოდ და ნათლად აცნობს მკითხველს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განწყობას რუსეთის მიერ შეთავაზებული თანამშროლობის შესახებ, რასაც ასახელებს კიდევ საბჭოთა ვერაგული რეაგირების მიზეზად. რუსეთის მთავრობის მოთხოვნა „საქართველოს ტერიტორიაზე მთავრობის მიერ ანტისაბჭოთა საქმიანობის შეწყვეტის საპასუხოდ, რუსეთი გამოსხატავდა საქართველოს დე-იურე აღიარების მზაობას“ (Skinner, 2014, გვ.

466). მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოთხოვნა არღვევდა სუვერენიტეტს, აღიარების პირობა სერიოზული ცდუნება აღმოჩნდა, რამაც საქართველო–რუსეთის მოლაპარაკების პროცესი განაახლა. თუმცა ავტორი ამავდროულად წარმოაჩენს ანტიბოლშევიკური განწყობის ზრდასაც. საერთო ჯამში, საბჭოთა რუსეთის ქმედებებში სამიზნესთან მიმართებაში განსაკუთრების გამოყოფს სერგო ორჯონიკიძის, იოსებ სტალინისა და სერგეი კიროვის ფიგურას. შეიძლება ითქვას, რომ ნიგნის ეს ნაწილი გაყენებულია ავტორისეული განსაკუთრებულად წინააღმდეგობრივი განწყობით სტალინის მიმართ, რასაც, ჩვენი აზრით, აძლიერებს სტალინის პიროვნების შესახებ ერთი საინტერესო წყაროს გამოყენება (Skinner, 2014, გვ. 470). თუმცა აქვე დავძენთ, რომ სტალინთან ერთად არანაკლები როლი ითამაშეს საქართველოს გასაბჭოების საკითხში ლენინმა, კიროვმა და ტროცკიმ.

ანტიბოლშევიკურთან ერთად, ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს ბათუმში მიმდინარე მოვლენების ფონზე გაძლიერებულ ანტიინგლისურ განწყობას, რასაც თან ერთვოდა დასავლეთის უარი მხარი დაეჭირა დამოუკიდებელი საქართველოსათვის (Skinner, 2014, გვ. 458). მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნებთან მოლაპარაკების პროცესში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა რიგ წარმატებას მიაღწიეს ფინანსური და სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერის, იტალიური სამთო კომპანიის ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში დაშვებისა და საქართველოდან საფრანგეთში საფეიქრო წარმოების განვითარებისათვის საჭირო აბრეშუმის ქვის ექსპორტის შესახებ (Skinner, 2014, გვ. 468). აღნიშნული ინფორმაცია, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს არა მარტო 100 წლის წინანდელი ისტორიის გასაცოცხლებლად, არამედ დღევანდელ დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაქმნელად, რადგან თანამშრომლობას ზემოთხსენებულ სფეროებში შესაძლებელია სერიოზული გაგრძელება მოჰყვეს, მით უმეტეს მაშინ, როცა დღეს ასე უჭირს ტყბულისა და ტყვარჩელის მალაროებს. ასე რომ, ერთის მხრივ ისტორიის ამსახველი მასალა, შესაძლებელია დღეს სხვადასხვა მიმართულებით დასავლური ინვესტიციების მოზიდვასა და ქართული პროდუქციის საზღვრებს გარეთ ექსპორტირებაში დაგვეხმაროს.

რუსეთის, თურქეთისა და ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის ფონზე ბატონი სკინერი შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებს, თუმცა საუბრობს ახლადგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის ფორმირებისა და მათ მიერ გატარებული სხვადასხვა ღონისძიების შესახებ. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში იგი მოიხსენიებს 9 მინისტრს, ამასთან სახელწოდებები წარმოდგენილია უზუსტობით (Skinner, 2014, გვ. 468). მაგალითად: სოფლის მეურნეობის ნაცვლად უნდა იყოს მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი – ფინანსთა და ვაჭრობა–მრეწველობის მინისტრის სახლით უნდა იყოს მოხსენიებული. ამასთანავე თუ დავეყრდნობით ბოლო მონაცემებს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ, მოხსენიებულია მხოლოდ 7 მინისტრი (<https://on.ge>). ასე რომ, ეს საკითხი სერიოზულ გადახედვას საჭიროებს.

შედარებით მწირია ავტორის თხრობა ამ მიმართულებით, თუმცა იგი ეხება იმ პერიოდში თითქმის ყველა სფეროში განხორციელებულ ღონისძიებებს. ყურადღება

მახვილდება საქართველოს ჯერ კიდევ შეზღუდულ ინფრასტრუქტურაზე, ქვეყნის მოსახლეობის კატეგორიებზე, იმ დროს არსებული ტექნოლოგიების გამოყენების დეფიციტზე; სამენარმეო საქმიანობის შენელებაზე. ასეთი რთული ვითარების ფონზე – საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიების დაკარგვა, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში საცხოვრებლისა თუ სურსათის, წესრიგისა და კანონმორჩილების პრობლემები – პიტერ სკინერი უფრო მეტ აქცენტს აკეთებს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგებზე, აღნიშნავს რა მთავრობის წევრთა იდეოლოგიური მრწამსის შესახებ – საუბრობს ბურჟუაზიის ინტერესების უარყოფასა და გლეხებისა და მუშა-ხელის ნახალისებაზე. ავტორი აშუქებს მოვლენებს თბილისში, უპირველეს ყოვლისა, დამფუძნებელი კრების, როგორც თავად ამბობს „სრულფასოვანი პარლამენტის არჩევნების“ შესახებ (Skinner, 2014, გვ. 461). იგი ხაზს უსვამს არჩევნებში მონაწილეობის ლიბერალურ უფლებასა და ფარული წესით კენჭისყრას, არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას ნებისმიერი პარტიისა და ჯგუფისათვის. მასვე შემოაქვს ხმის მიცემის აღმნიშვნელი ტერმინი „Franchise“ (Skinner, 2014, გვ. 461). ეს უკანასკნელი ჩვენში უფრო მეტად გამოიყენება ეკონომიკური შინაარსით, თუმცა ამჯერად ავტორი მას განსხვავებულ დატვირთვას აძლევს. ვფიქრობთ, მისი ნაშრომი ამ თვალსაზრისითაცაა საინტერესო, რადგან დაინტერესებულ მკითხველსა თუ მკვლევარებს ინგლისურ ენაზე პოლიტიკური და ეკონომიკური ლექსიკის გამდიდრების შესაძლებლობას აძლევს. პიტერ სკინერი წიგნში ცალკე გამოყოფს არჩევნების შედეგებს, თუმცა აქ შეინიშნება მთელი რიგი უზუსტობები. პირველ რიგში ეს ეხება არჩევნების საერთო შედეგის მაჩვენებელს – 550,477 ხმის ნაცვლად ავტორი 505,477-ს მიუთითებს (Skinner, 2014, გვ. 462). უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ ეს კორექტურული შეცდომა იყოს. სრულყოფილად არ არის მითითებული არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური სუბიექტი, რაც ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს და მისი ცოდნა დასავლელი მკითხველისათვის საინტერესო ასპექტს წარმოადგენდეს. ასევე პიტერ სკინერი მხოლოდ სოციალ-დემოკრატებით, ეროვნულ დემოკრატებითა და სოციალისტ-რევოლუციონერებით იფარგლება, მაშინ როცა დამფუძნებელ კრებაში კიდევ სხვა პოლიტიკური პარტიებიც იკავებდნენ ადგილს. ამასთან სასურველი იყო ავტორს დამფუძნებელი კრების შესახებ აღენიშნა ისიც, რომ არჩევნებში მონაწილეობდნენ ქალები და მათ შორის 5 ქალბატონი იქნა არჩეული დამფუძნებელი კრების დეპუტატად, რაც იმ პერიოდში სრულიად უცხო მოვლენაა წამყვანი დასავლური სახელმწიფოებისთვისაც კი. ამის დასტურია სკინერის მიერ აღნიშნული უცხოელი პოლიტიკოსების – რამსეი მაკდონალდის, კარლ კაუცკის, პიერ რენოდელის, ემილ ვან დერ ვალდეს ვიზიტის შესახებ საქართველოში. ისინი მხარს უჭერდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, იხილებოდნენ აქ მიმდინარე რეფორმებით, ამკარად გამოხატავდნენ პოზიტიურ დამოკიდებულებას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში (Skinner, 2014, გვ. 469).

ერის მშენებლობისათვის გატარებული პოლიტიკის კონტექსტში ავტორი განიხილავს მინის პოლიტიკას, სამრეწველო კანონმდებლობასა და შრომის კოდექსს, რომლის შესახებ ის აღნიშნავდა: „ახალი კოდექსი ცვლიდა ცხოვრებას. თუ ქართული კანონმდებლობას ევროპული დემოკრატიების კანონმდებლობებს შევადარებთ,

შეიძლება ითქვას, რომ საქართველო მოიაზრება განათლებული შრომითი პრაქტიკის მქონე ლიდერ ქვეყანათა შორის“ (Skinner, 2014, გვ. 457). ავტორის მიერ მაშინ არსებული რეალობის ასეთი შეფასება მართლაც რომ მრავლისმომცემია უცხოელი მკითხველისათვის, რომლისთვისაც კიდევ უფრო ნათელი ხდება მაშინაც და დღესაც საქართველოს მიერ დემოკრატიული საზოგადოების შენების სურვილი.

რაც შეეხება განათლებასა და კულტურას, პიტერ სკინერი საუბრობს მხოლოდ უმაღლესი განათლების – უნივერსიტეტის მნიშვნელობის შესახებ. ორიოდე სიტყვით აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დასავლური გაგების აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის შესახებ, თუმცა მკითხველს ამცნობს ქართველი მეცნიერების მიერ გამოვლენილი შემოქმედებითი პოტენციალისა და მათი მიღწევების მნიშვნელობის თაობაზე (Skinner, 2014, გვ. 457).

წიგნში განხილული ზემოთ აღნიშნული ქვეთავებიდან ჩანს, რომ ავტორი ოთხ ქვეთავს უთმობს სწორედ რომ რუსეთის მიერ საქართველოს გასაბჭოების საკითხებს. საბჭოთა პოლიტიკას საქართველოში ის ძალმომრეობით პოლიტიკას უწოდებს. მისი შინაარსის გადმოცემისას ის იყენებს ტერმინს „Faustrecht“ (Skinner, 2014, გვ. 471), რომელიც ითარგმნება როგორც „მუშტის სამართალი“. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი ჩვენთვის ნაცნობ ქართულენოვან და ინგლისურენოვან გამოცემებში არ გვხვდება. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი უფრო მეტად დაკონკრეტება და სამენციერო მიმოქცევაში შემოტანა. აღნიშნული ტერმინი ზუსტად ასახავს საბჭოთა ხელისუფლების ქმედებას, რადგან მისი შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: სიტუაცია, სადაც ყველა ცდილობს, რომ მისთვის სამართლიანად მიჩნეულს ძალმომრეობითი მეთოდებით მიაღწიოს; ეს სიტყვა წერილობით წყაროებში პირველად XV საუკუნეში დასტურდება და თავდაპირველად ორთაბრძოლის მნიშვნელობით გვხვდებოდა. XVI საუკუნიდან სიტყვამ სხვა მნიშვნელობაც შეიძინა, კერძოდ, უფრო ძლიერის უფლება ან სამართლის აღდგენა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. სხვა წყაროები მისი უფრო მოკლე და ლაკონური განმარტებით შემოფარგლებიან და მას მუშტის სამართალს უწოდებენ. ვფიქრობთ, საბჭოთა ხელისუფლების შინაარსის გადმოსაცემდ ტერმინი „მუშტის სამართალი“ უფრო მეტად უნდა იქნას ჩვენ მიერ გამოყენებული.²

ტერმინებთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგიც – წიგნს თან ახლავს ინდექსაციის გვერდები, სადაც გვხვდება საქართველოს დემორატიული რესპუბლიკის აბრევიატურა ინგლისურ ენაზე – GDR, რაც Georgia Democratic Republic ნიშნავს (Skinner, 2014, გვ. 492). ეს ძალიან საინტერესო დეტალია, რადგან მსგავსი აბრევიატურა ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში უკავშირდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამიერიდან შესაძლებელია სკინერისეული აბრევიატურის გამოყენებაზე ფიქრი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბრიტანელ გენერალ მილნს პიტერ სკინერი მოიხსენიებს როგორც C-in-C (Skinner, 2014, გვ. 467). ეს უკანასკნელი აბრევიატურაა Commanders in Chief, რაც მთავარსარდალს, შეიარაღებული ძალების უმაღლეს მეთაურს ნიშნავს. მთავრსარდალის აღსანიშნავად ინგლისურ ენაზე აღნიშნული ტერ-

2 Faustrecht – ტერმინის თარგმანისა და მნიშვნელობის მოძიებისათვის მაღლობს ვუხდით კავკასიის უნივერსიტეტის გერმანული ენის დეპარტამენტის დირექტორს, ფილოლოგიის დოქტორს ქალბატონ ქეთევან ნიკოლაძეს.

მინის ცოდნა ისტორიკოსებისათვის მნიშვნელოვანია დღევანდელ დღეს, რადგან უფრო ხშირად გვინებს პროფესიული საქმიანობის დაკავშირება ინგლისურნოვან სამყაროსთან.

რაც შეეხება წიგნის გაფორმებას: წიგნს თან ახლავს 140 ფერადი და შავ-თეთრი ილუსტრაცია, რომლებიც მოძიებულია არა მარტო საქართველოს საცავებში, არამეს ერმიტაჟში, პალერმოს მუნიციპალიტეტის მუზეუმში. ვფიქრობთ, რომ ეს კიდევ ერთი საფუძველია საქართველოს შესახებ ხელოვნების ძეგლების კვლევის-ათვის. თუმცა ილუსტრაციების ნაწილი ავტორს მოპოვებულია აქვს ინტერნეტის მეშვეობით (Skinner, 2014, გვ. ii). სწორედ ეს უკანასკნელი ამშვენებს ჩვენთვის საინტერესო პერიოდს, და ამ მხრივ რაიმე სიახლეს ვერ ვხედავთ. ეს ილუსტრაციებია – გენერალ კრეზენშტაინის, სოციალ-დემოკრატი ლიდერების 1918 წლით დათარიღებული ფოტო, თბილისის უნივერსიტეტის, ლორდ კერზონის, ოლივერ უორდროპის, გიორგი კვინიტაძის ფოტოები.

და ბოლოს, წიგნს თან ახლავს 20 ფერადი რუკა (Skinner, 2014, გვ. vii). ცალკეული პერიოდების ამსახველი კარტოგრაფიული მასალა აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომითაა შექმნილი ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, ისტორიკოს-კარტოგრაფ ქალბატონ მანანა შეყილაძის³ მიერ, რომელმაც წიგნის ოცივე თავისათვის სპეციალურად მოამზადა ოცი ისტორიული რუკა. მან და პიტერ სკინერმა რვა თავის განმავლობაში ინტენსიურად იმუშავეს ონლაინ-რეჟიმში. ბატონი სკინერის მიერ საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული მასალების კარგად და საფუძვლიანად ცოდნას მისი და ქალბატონი მანანას გაცნობის ისტორიაც მოწმობს. ქალბატონი მანანა მან ნოდარ ასათიანისა და ოთარ ჯანელიძის საქართველოს ისტორიის ინგლისურნოვანი ნაშრომის მეშვეობით აღმოაჩინა. წიგნისათვის სპეციალურად შექმნილ რუკებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ წიგნის ავტორის მოთხოვნით, რუკები დადებულია თანამედროვე რელიეფურ საფუძველზე. ბატონი სკინერის მოთხოვნა იყო ასევე საქართველო რუკაზე გამოჩენილიყო არა ლოკალური მასშტაბით, არამედ რეგიონული მნიშვნელობით. თითქმის ყველა რუკა მოცემულია შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. ასეთი მიდგომა პირდაპირ პასუხობს წიგნის სათაურს. სკინერის აზრით, ასეთ შემთხვევაში მკითხველს ეძლეოდა შესაძლებლობა ზუსტად გაეგო გეოგრაფიულად და პოლიტიკურად რა ტიპის ქვეყანასთან ჰქონდა საქმე. საინტერესოა, რომ ბევრი რუკა წიგნში მოცემული სახით პირველად შემოდის ქართული ისტორიულ გეოგრაფიაში. შედგა ისეთი რუკები, რომელსაც აქამდე ანალოგი არ ჰქონია – მაგალითად ქართული ეკლესია-მონასტრები, რომელსაც იქვე აქვს ქრონოლოგიური საძიებელი. 1918–1921 წლების საქართველოს შესახებ რუკაც სპეციალურად ამ წიგნისათვის შეიქმნა. მართალია რუკის სახელწოდებაა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს“, მაგრამ ამ რუკაზე ასახულია 1918 წლიდან მოყოლებული მოვლენები. რუკაზე დატანილია საქართველოს ისტორიული და თანამედროვე საზღვრები. ისინი განსხვავებული ფერითაა წარმოდგენილი. რუკის ლეგენდაზე მითითებულია კიდევ – „საქართველოს ტერიტორიული მოთხოვნები ერთა ლიგაში 1919 წელს“. ადრე არსებული რუკებისაგან განსხვავებით, საბჭოთა

3 საკითხის საკვლევად შედგა ინტერვიუ ქალბატონ მანანა შეყილაძესთან 2018 წლის 16 იანვარს.

არმიის ნაწილების გადაადგილების მარშრუტთან მითითებულია მათი მოქმედების დაწყების თარიღები. როგორც ბრძოლის ველი, ცალკეა აღნიშნული ტაბახმელა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრირება უცხოეთში მოხდა ბათუმიდან, შესაძლებელია უცხო მკითხველს გაუჩნდეს მოსაზრება მთავრობის რეზიდენციის ბათუმში მდებარეობის შესახებ. აქედან გამომდინარე კარტოგრაფმა მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნულ რუკაზე ეჩვენებინა მთავრობის ემიგრირების გზა ხმელეთზე – თბილისიდან ბათუმამდე, შემდეგ უკვე ბათუმიდან ტრაპზონამდე და სტამბულისაკენ (Skinner, 2014, გვ. 450).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ უცხოელ მკითხველს გაუჩნდა კიდევ ერთი კარგად საკითხავი წიგნი, რომელშიც აშკარად იგრძნობა, რომ საქართველო იყო ევროპა, რომ საქართველო დასავლური სამყაროს ნაწილია. რაც შეეხება ქართველ მკითხველს, აქ მისთვის საინტერესოა ავტორისეული ხედვა და პოზიცია, მით უმეტეს, როცა ის დისტანციიდან გიცნობს და გაფასებს. ჩვენი აზრით, სწორედ ამ დისტანციურობის შედეგია ის ხარვეზები, რომელიც თან ახლავს განხილულ ნაშრომს. სასურველი იყო ავტორს 1918-1921 წლების ისტორიის მომზადების პროცესში გაეთვალისწინებინა შემდეგი საკითხები:

1. 1918–1921 წლების მთავრობის წევრებსა თუ საზოგადო მოღვაწეებს პიტერ სკინერი მოიხსენიებს მხოლოდ გვარებით, ზოგან ინიაციალითა და გვარით. სასურველია ავტორს ჰქონდეს ერთიანი და თანმიმდევრული მიდგომა. ამასთანავე იგი უმეტესწილად არ უთითებს ცალკეული პირების სტატუსს, რაც ვფიქრობთ, დაინტერესებული მკითხველისათვის დამატებით კითხვის ნიშნებს აჩენს.

2. სასურველი იყო ავტორს მიეთითებინა ყველა ის ქვეყანა, რომლებმაც აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა ამ სამწლიან პერიოდში.

3. ავტორი არაფერს ამბობს ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ, რომელიც ამ პერიოდის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოღვაწეა და მიგვაჩნია, რომ 1918–1921 წლების ისტორიის მისი სახელის გარეშე გაშუქება არ იქნება სრულყოფილი და სრულფასოვანი.

რასაკვირველია, ჩვენ მიერ წარმოდგენილი რამდენიმე ხარვეზის მიუხედავად, წიგნი არ კარგავს თავის მნიშვნელობას და შესანიშნავი შენაძენია ისტორიოგრაფიისათვის. მით უმეტეს გასათვალისწინებელია ავტორისეული ხედვა, რომ ის არ არის სფეროს სპეციალისტი და წიგნი ყველა პირობას ვერ დააკმაყოფილებს (<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/8/5>), თუმცა მას შემოაქვს სერიოზული ინტრიგა ქართველი მკვლევრებისათვის, რომ უფრო მეტად ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფართო აუდიტორიისათვის წარმოჩენის თვალსაზრისით. ეს ასეცაა, მით უმეტეს, რომ სამომავლოდ წიგნი კარგადაა შესასწავლი მასში ასახული ყველა ეპოქით. განსაზღვრულ უნდა იქნას რამდენად სწორადაა გადმოცემული ავტორის მიერ გამოყენებულ ჩვენთვის ახალ ინგლისურენოვან წყაროებში აქამდე კარგად ნაცნობი მოვლენები. გასათვალისწინებელია მისი რეკომენდაციაც ფაქტებით გაჯერებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით (<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/8/5>). ამ უკანასკნელმა, ასევე ერთ კონკრეტულ ავტორთან და ეპიზოდთან მუშაობამ კიდევ უფრო მეტად დაგვარწმუნა მენტალური ისტორიის შექმნის აუცილებლობაში. ასე რომ, ჯერი ისტორიკოსებსა და მათ ნაშრომებზეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნათმელაძე, ნ. (რედ.). (2012). საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში. ტომი IV. თბილისი

Skinner, P. (2013). Georgia. The Land Below The Caucasus. New-York-London-Tbilisi

<https://on.ge> – უკანასკნელად გადამონმებულია 31.05.2018

<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/8/5> – უკანასკნელად გადამონმებულია 31.05.2018

Kakha Shengelia

PhD in History, Professor

Caucasus University

Guranda Tchelidze

PhD in History, Professor

Caucasus University

THE YEARS OF 1918-1921 IN A BOOK BY PETER SKINNER „GEORGIA – THE LAND BELOW THE CAUCASUS”

Summary

The paper deals with the history of Georgia of 1918-1921 as described in the book by an American Historian Peter Skinner „Georgia – The Land Below the Caucasus”; namely, with the principle issues describing the domestic-political environment of Georgia, foreign political relations and cultural aspects; the paper also gives an overview of the sources used, the terms and some cultural features. The paper highlights the aspects that need to be focused on when investigating the period of 1918-1921 and stresses significance of the work as it allows foreign readers to get acquainted with the history of the country. The paper further emphasizes the need of publishing a more comprehensive work on the history of Georgia.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაციები და ქართული პოლიტიკური სპექტრი

დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებული ჩვეულებრივი წესი და მიღებული პრაქტიკაა: ახლად არჩეული მთავრობა დეკლარაციით წარსდგება პარლამენტის წინაშე და მას თავის სამოქმედო გეგმას, პროგრამას, მათი განხორციელების გზებსა და საშუალებებს გააცნობს. საქართველოს პირველი რესპუბლიკაც, რომელიც იმთავითვე ამკვიდრებდა დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს, ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. იმ არასრული სამი წლის განმავლობაში, რაც ეს ქართული სახელმწიფო არსებობდა, ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ორჯერ მოისმინა და განიხილა მთავრობის დეკლარაცია, საფუძვლიანად იმსჯელა მათზე და შესაბამისი დადგენილებებიც მიიღო.

პირველი ამგვარი ფაქტი 1918 წლის ივნისს, ხოლო მეორე 1919 წლის მარტს განეკუთვნება. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კოალიციური, ხოლო 1919 წლისათვის უკვე ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) იყო. რაც შეეხება ოპოზიციურ სპექტრს, განსახილველ პერიოდში იგი დიდად არ შეცვლილა და არსებითად სამი პოლიტიკური პარტიით შემოიფარგლა. ესენი იყვნენ: საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და მისი კაბინეტის ფორმირებიდან სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ, 1918 წლის 15 ივნისს, ნოე რამიშვილი, როგორც პრემიერი, წარსდგა ეროვნული საბჭოს წინაშე და წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია. დეკლარაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დაწყებული საქმიანობის ანგარიშსა და მუშაობის სამომავლო პროგრამას შეიცავდა. მასში გამოკვეთილი იყო ქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კარდინალური საკითხები, ხაზგასმული იყო ის ტენდენციები, რომელთა მიხედვითაც მთავრობა საქმიანობის გაგრძელებას აპირებდა. თემატიკა დაჯგუფებული იყო შემდეგნაირად: 1. საგარეო პოლიტიკური გამოწვევები; 2. რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვა; 3. სახელმწიფოს ზოგიერთ კუთხეში წარმოშობილი ანარქიის დაძლევა (უპირველესად მხედველობაში იყო დუშეთის აჯანყება); 4. სამხედრო-თავდაცვითი მშენებლობა; 5. ეროვნულ უმცირესობათა უფლებები; 6. თვითმმართველობის რეფორმა; 7. სასამართლო; 8. განათლება; 9. ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემატიკა; 10. აგრარული რეფორმის განხორციელება; 11. სოციალური პრობლემატიკა; და 12. დამფუძნებელი კრების მოწვევა.

მთავრობას თავის უმთავრეს მოვალეობად მიაჩნდა საქართველოს გამოყვანა მსოფლიო ომის ქარტეხილიდან, გარეშე საფრთხის თავიდან აცილება და მშვიდობის უზრუნველყოფა. გარკვეული კომპრომისის ხარჯზე მთავრობამ შეძლო აღნიშნული, სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემის მოგვარება.

დეკლარაციაში აისახა ამ კუთხით განხორციელებული ორი მნიშვნელოვანი მოვლენა. 1. გერმანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება და 2. ოსმალეთთან დადებული ზავი.

აღინიშნა, რომ 1918 წლის 28 მაისს, ქალაქ ფოთში, გერმანიის საიმპერიო მთავრობის წარმომადგენელთან დადებულ იქნა წინასწარი ხელშეკრულება.¹ ხელშეკრულებით, გერმანიამ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობის დაცვა იკისრა. დეკლარაციაში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, გერმანიამ გამოგზავნა თავისი ჯარი, რომელიც „იმოქმედებს ჩვენს განკარგულებათა თანახმად და მთავრობას ხელს შეუწყობს გარემე საზღვრების დაცვის საქმეში“.²

ოსმალეთთან დამოკიდებულების შესახებ დეკლარაციაში ითქვა, რომ 1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას³ და ამ გზით გადაიდგა პირველი ნაბიჯი მოსაზღვრე სახელმწიფოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის დასამყარებლად.

ითვალისწინებდა რა ამ ხელშეკრულების აუცილებლობით განპირობებულ, მაგრამ ქვეყნისათვის საჩოთირო შინაარსს, მთავრობა აღიარებდა: „4 ივნისის ხელშეკრულების ზოგიერთი პირობები ქართველ ხალხის გულში სრულიად სამართლიან მწუხარებას გამოიწვევს“, თუმცა იქვე იმედს გამოთქვამდა, რომ „ნორჩი რესპუბლიკის ენერგიულ შემოქმედების და დიპლომატიური საქმიანობის (შედეგად) მომავალში ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესები დაცულ იქნება“.⁴

ამგვარი იმედის საფუძველს საქართველოს მთავრობას გერმანიის დაპირება აძლევდა, რომ ხსენებული ზავის პირობები ახლო მომავალში გადაისინჯებოდა. გამოცხადებულიც იყო, რომ ქალაქ კონსტანტინოპოლში შეიკრიბებოდა გერმანიისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოების კონფერენცია. ამ კონფერენციაზე მიწვეული საქართველოს დელეგაცია, რომელიც მთავრობამ ოფიციალურად დაამტკიცა, უკვე ემზადებოდა ოსმალეთში გასამგზავრებლად.⁵

დეკლარაციაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთავრობა გააგრძელებს მშვიდობიან, კეთილმეზობლურ ურთიერთობებს კავკასიის რესპუბლიკებთან და ერებთან და რომ, დიპლომატიური გზებით უზრუნველყოფს ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას.

ამ კონტექსტში აუცილებელია განიმარტოს, რომ საქართველოს მთავრობა ერთგული დარჩა ნეიტრალიტეტის პრინციპისა, რომელიც პირველად 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში გაცხადდა.

1 ხელშეკრულების ტექსტი იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1796, ანან. 1, საქმ. 85, ფურც. 1-9; ფ. 1864, ანან. 1, საქმ. 28, ფურც. 1-12

2 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანან. 1, საქმ. 64, ფურც. 1; ასევე, გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 16 ივნისი

3 ხელშეკრულების ტექსტი იხ. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, 343-360

4 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანან. 1, საქმ. 64, ფურც. 1; ასევე, გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 16 ივნისი

5 კონფერენცია არ გამართულა. საქართველო-ოსმალეთის ბათუმის ხელშეკრულებამ 1918 წლის ოქტომბერში გაფორმებული მუდროსის ზავის შედეგად ძალა დაკარგა.

ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებისას პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ დასრულებული არ ყოფილა. ახლად წარმოშობილმა სახელმწიფომ საჭიროდ მიიჩნია, განესაზღვრა ქვეყნის დამოკიდებულება ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი, რაც აისახა კიდევ ხსენებულ დოკუმენტში. საქართველომ საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, როგორც სამხრეთ კავკასია იყო, ნეიტრალიტეტი ნაკლებად რეალური ჩანდა, მაგრამ მისი საჯარო დეკლარირება მკაფიოდ და ნათლად ცხადყოფდა ქართული სახელმწიფოს სამშვიდობო მისწრაფებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი, განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატები, ნეიტრალიტეტს არ მიიჩნევდნენ იდეალად და იგი მხოლოდ „მიმდინარე პოლიტიკის საფუძვლად“ წარმოედგინათ.

გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადება მთავრობას ქვეყნის სუვერენობის საკმარის გარანტიად ესახებოდა და ვერ აცნობიერებდა იმ რისკებსა და საფრთხეებს, რაც ახლად შექმნილ პატარა ქართულ სახელმწიფოს სხვადასხვა მხრიდან ემუქრებოდა.

სრულიად საპირისპიროს მონიშნავს ის ფაქტი, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფოებრივ ამოცანად დაისახა.⁶ დეკლარაციაში აღნიშნული იყო: „მთავრობა თავის მოვალეობად რაცხს დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დემოკრატიული წყობილება ყოველნაირ გარეშე და შინაურ საფრთხისაგან“.

იქვე მითითებული იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად აუცილებლად საჭიროა საკუთარი, ევროპიულის წესით განვრთნილი ჯარის შედგენა და ამავე დროს მთელის ხალხის მიერ სამხედრო ხელოვნების შესწავლა, რათა საჭიროებისას სახელმწიფომ შესძლოს თავისი საზღვრების დაცვა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სერიოზულ საფრთხედ აღიქვამდა იმ „არეგულარეებს, რომელმაც თავი იჩინა სახელმწიფოს ზოგიერთ კუთხეში“. აცხადებდა, რომ ამით ხელი ეშლებოდა „დიდი რევოლუციით მოპოვებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა განხორციელებას“ და პირობას იძლეოდა, მთელი ძალ-ღონით აღმოეფხვრა ამ ანარქიის ნიადაგი.

დეკლარაციაში ყურადღება ჰქონდა დათმობილი ეთნიკურ უმცირესობათა საკითხს. ისე როგორც 1918 წლის 26 მაისს დამტკიცებულ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტში, განსახილველ დოკუმენტშიც მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს (როგორც მაშინ უწოდებდნენ – „ნატეს ერებს“) „მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი“.

საქართველოს მთავრობის დეკლარაციაში გამოკვეთილი იყო ქვეყანაში დემოკრატიული წყობილების განმტკიცების აუცილებლობა, გამოთქმული იყო დაპირება, რომ ახლო მომავალში სრულ დემოკრატიულ საფუძველზე მოიწვევდნენ

6 ჯანელიძე ო., საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბ., 2015, გვ. 48

საქართველოს დამფუძნებელ კრებას, დაჩქარდებოდა საერობო თვითმმართველობის შემოღება, განისაზღვრებოდა ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის ურთიერთობა, ასევე გატარდებოდა სასამართლო რეფორმა. მთავრობა პირობას დებდა, რომ გააგრძელებდა სკოლის გაეროვნულებას და დროულად დაასრულებდა სავალდებულო უფასო პირველ დანყებით სწავლა-განათლებაზე გადასვლას.

დეკლარაცია შეიცავდა მთავრობის ხედვას ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის შესახებაც, რომელიც ასე იყო ფორმულირებული: „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად ...საჭიროდ მიგვაჩნია ფინანსიური მეურნეობის მოწესრიგება, ფულის სისტემის შემუშავება და საკუთარი ფულის მოჭრა, ხოლო, ვიდრე ეს რთული საქმე მოეწყობოდა, – მთავრობა ზომებს მიიღებს შინაური და საგარეო სესხის ასაღებად. მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგება შემოსავლისა და ქონების მიხედვით პროგრესიული გადასახადის შემოღებას და გადასახადთა მთელ სისტემის გარდაქმნას“.

აგრარულ სფეროში გათვალისწინებული იყო დანყებული მიწის რეფორმის დროული განხორციელება და ზრუნვა ინტენსიურ სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

დეკლარაციის თანახმად, მთავრობას ზომები უნდა მიეღო საწარმოო ძალთა განვითარების უზრუნველსაყოფად. ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ხალხის სამსახურში გამოსაყენებლად მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა „ყოველგვრი მადნეულობის სახელმწიფოს საკუთრებად აღიარება“ და საზღვარგარეთ ნედლეულის გატანაზე სახელმწიფო კონტროლის დანერგვა. ამ ინიციატივებისათვის სამართლებრივი ბაზის მოსამზადებლად განზრახული იყო ეროვნულ საბჭოში შესაბამისი კანონპროექტების წარდგენა.

საქართველოს მთავრობას უყურადღებოდ არ დარჩენია არც სოციალური პრობლემაცა. მას „დიდმნიშვნელოვან მორიგ საქმედ“ წარმოედგინა ხალხის სურსათით უზრუნველყოფა და უმუშევრობის შემცირება. გეგმავდა სოციალური კანონმდებლობის განვითარებასა და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის დასაქმების მიზნით, მთავრობას განზრახული ჰქონდა სარკინიგზო ქსელის გაზრდა, ტყეების „წესიერი ექსპლუატაცია“, საირიგაციო არხების გაყვანა და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად დეკლარაციაში მიჩნეული იყო ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი „ერთი ძლიერი მთავრობის“ არსებობა. ქვეყანაში აღარ უნდა დარჩენილიყო მთავრობის უფლებით აღჭურვილი რომელიმე სხვა ორგანო (იგულისხმებოდა მუშათა და გლეხთა საბჭოები).

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დეკლარაციაში საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნება-განვითარების მკაფიოდ და ნათლად გამოხატულ სურვილს, მომავლის იმედსა და რწმენას. ამის აღნიშვნა მით უფრო აუცილებელია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის მიუხედავად, თვით დომინანტი პოლიტიკური ძალის – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ელიტაში კვლავ რჩებოდნენ ადამიანები, რომლებსაც ეჭვი ეპარებოდათ ქართული სახელმწიფოს დღეგრძელობაში და თვალი კვლავ „დემოკრატიულ“ რუსეთზე ეჭირათ.

საქართველოს მთავრობის დეკლარაციას თუ დემოკრატიულ ღირებულებათა კუთხით განვიხილავთ, უნდა ითქვას, რომ მას სრული გამჭვირვალობა ახასიათებდა. დეკლარაცია ერთგვარი პათოსით იყო შედგენილი, მისი ტექსტი უხვადაა გაჯერებული იმ დროს ფართოდ გავრცელებული რევოლუციური ფრაზეოლოგიით, საგრძნობია სოციალ-დემოკრატიული პარტიული სტილიც, მაგრამ ხელისუფლებას არაფერი დაუმაღავს ქვეყნის მოქალაქეებისათვის – არც მიღწევები, არც ნაკლოვანებები, არც სახელმწიფოს წინაშე მდგომი სიძნელე-გამონვევები და არც სამომავლო გეგმები თუ ამოცანები. ამასთან, დეკლარაციაში რეალისტურად იყო შეფასებული „ნორჩი რესპუბლიკის“ შესძლებლობები, არ იყო დასახული ამბიციური, იმაზე მეტი მიზნები და ამოცანები, რისი განხორციელებაც სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებით, შეუძლებელი იქნებოდა.⁷

საქართველოს მთავრობის დეკლარაციამ ეროვნული საბჭოს ნევრთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. დოკუმენტის გაცნობას ხანგრძლივი პოლიტიკური დებატი მოჰყვა. მისი მონაწილენი, აღმასრულებელი ხელისუფლების სამოქმედო პროგრამის ავ-კარგის განხილვის პარალელურად, ცდილობდნენ წარმოეჩინათ თავიანთი პოზიციები და მათ სისწორეში დაერწმუნებინათ როგორც მონინალმდევე მხარე, ისე ფართო საზოგადოებაც. ქართულ სინამდვილეში ეს ამ ტიპის პირველი საჯარო პაექრობა იყო.

მთავრობის დეკლარაციის განხილვას 1918 წლის 15 და 16 ივნისს სამი სხდომა მიეძღვნა. იყო კრიტიკული შეფასებებიც და მონონების გამომხატველი გამოსვლებიც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ფედერალისტებმა: სამსონ ფირცხალავამ, სვიმონ მდივანმა, აკაკი პაპავამ და სამსონ დადიანმა, უპარტიო კონსტანტინე აფხაზმა, რადიკალ-დემოკრატებმა დავით ჩიქოვანმა და ალექსანდრე ახმეტელმა, ესერმა იოსებ გობეჩიამ და გრიგოლ ნათაძემ, ეროვნულ-დემოკრატებმა: გრიგოლ ვეშაპელმა, გერონტი ქიქოძემ, რევაზ გაბაშვილმა, მიხეილ მაჩაბელმა, იოსებ მაჭავარიანმა, შალვა ქარუმიძემ, სოციალ-დემოკრატებმა ირაკლი წერეთელმა და ნოე ყორღანიამ.

სამსონ ფირცხალავამ განაცხადა, რომ ფედერალისტური პარტია მხარს უჭერს რესპუბლიკის მთავრობას, მოიწონა წარმოდგენილი დეკლარაცია, თუმცა გამოთქვა რამდენიმე შენიშვნაც 1. მოითხოვა, რომ მთავრობას მეტი ყურადღება დაეთმო ქვეყნის „სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის“; 2. გერმანიასთან ურთიერთობას უნდა მიეცეს უფლებრივი სახე. 3. მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ აქამდე ყველა პარტია და მათ შორის სოციალ-დემოკრატიაც, პარტიულ მუშაობას ეწეოდა, – დღეიდან სახელმწიფოს ქმნის და რომ ის ეწევა სახელმწიფო მოღვაწეობას. მთავრობის პოლიტიკა უნდა იყოს წმინდა ეროვნული პოლიტიკა. დასასრულს დასძინა: „მთავრობის პროგრამა ბევრს რამეს აღნიშნავს გასაკეთებელს და ნახევარიც რომ გააკეთოს, – ესეც დაუფასებელი იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკის წინაშე“.⁸

კონსტანტინე აფხაზმა აღნიშნა, რომ სუსტია მთავრობის კავშირი პერიფე-

7 ჯანელიძე ო., საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბ., 2015, გვ. 69

8 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 18 ივნისი

რიებთან და მათ შორის არ არის გაბმული სათანადო ქსელი. მიუთითა, რომ აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს ბიუჯეტი და სიძნელეების მიუხედავად, იგი დროულად უნდა შედგეს. ხაზი გაუსვა, რომ აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებამდე, პროექტი უნდა გადაიხედოს ეროვნულ საბჭოში, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცებას, მოხელეთა კადრების პროფესიონალური ნიშნით შერჩევასა და სხვ.⁹

გრიგოლ ვეშაპელმა ეჭვი გამოხატა, რომ სოციალ-დემოკრატები შეძლებდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობას. მისი სიტყვით, „ჩვენი მთავრობის პირველშობილი შეცოდება ის არის, რომ სოციალისტური პოლიტიკის და ეკონომიკის მოციქულებმა იკისრეს არასოციალისტური სახელმწიფოს აშენება“.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან გამოყოფილი რადიკალ-დემოკრატიული პარტიის სახელით გამოსულმა დავით ჩიქოვანმა სხვა საკითხების გვერდით, შენიშნა, რომ დეკლარაციაში არაფერი იყო ნათქვამი ეკლესიის შესახებ და დასძინა: მთავრობას უნდა განეცხადებინა, რომ სათანადო პირობების მიხედვით ეკლესია უნდა ჩამოშორდეს სახელმწიფოს.¹⁰

ეროვნულ-დემოკრატები არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ეროვნული საბჭოს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებით და მთავრობის დეკლარაციას თავიანთი პარტიული გამოცემის ფურცლებიდანაც გამოეხმაურნენ. კერძოდ, გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ვასილ წერეთლისა და რაფიელ ინგილოს კრიტიკული სტატიები.¹¹

ესერთა ფრაქციის სახელით მთავრობის დეკლარაცია უარყოფითად შეაფასა იოსებ გობეჩიამაც. მან მიუთითა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ხარვეზებზე და გააკრიტიკა მთავრობა ქვეყნად არსებული ანარქიის გამო. გლენტა გამოსვლების მიზეზებად გობეჩიამ აგრარული საკითხის გადაუწყვეტელობასთან ერთად „ადმინისტრაციული აპარატის მოშლილობა და უვარგისობა“ დაასახელა.

კრიტიკას შეიცავდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის გაზეთის „სახალხო საქმის“ გამოხმაურებაც მთავრობის დეკლარაციაზე. გაზეთი მიანიშნებდა სახელმწიფო აპარატის გაუმართაობაზე, ცენტრსა და პროვინციას შორის სახელმწიფოებრივი კავშირის სისუსტეზე და სხვ.

ოპოზიციონერ დეპუტატთა სიტყვებისა და შენიშვნების გამო საბჭოს განმარტება მისცეს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა, ფინანსთა მინისტრმა გიორგი ყურულმა და მინათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა.

დეკლარაციის ორდღიანი განხილვის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ კენჭი უყარა რეზოლუციის ორ ვარიანტს. პირველი პროექტი სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წარმოადგინა და ასეთი შინაარსის იყო: „მოისმინა რა მთავრობის მოხსენება მისი სამოქმედო გეგმის შესახებ, საქართველოს ეროვნული საბჭო უცხადებს სრულ ნდობას დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პირველ მთავრობას“.

მეორე, – ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის რეზოლუციის პროექტი აღნიშნავდა: „დღევანდელი მთავრობის სამხედრო, აგრარული და ფინანსიური პოლიტიკა

9 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 19 ივნისი

10 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 20 ივნისი

11 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 20, 21 ივნისი

საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს. ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მთავრობის ორგანიზაციას სახელმწიფოებრივ და სოციალისტურ ელემენტებს შორის პარიტეტის პრინციპის მიხედვით კოალიციურ პლაფროტმის ნიადაგზე.“

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდობლობა გამოუცხადა ნოე რამიშვილის კაბინეტს. ამას მათი წარმომადგენლის გიორგი ჟურულის მინისტრობიდან გადადგომა უნდა მოჰყოლოდა. ჟურულმა ითხოვა კიდევ განთავისუფლება, მაგრამ საბოლოოდ იგი მთავრობის შემადგენლობაში დარჩა და პარტიიდან გავიდა.¹²

საბჭოს უმრავლესობამ, ეროვნულ-დემოკრატების გამოკლებით, დაამტკიცა რეზოლუციის პირველი პროექტი და ნოე რამიშვილის მთავრობას სრული ნდობა გამოუცხადა.¹³

ნოე ჟორდანიას სიტყვით: „საქართველოს პირველ მთავრობის პირველ დეკლარაციის განხილვამ ნამდვილი პარლამენტარული განწყობილება შექმნა ეროვნულ საბჭოში“.¹⁴

სოციალ-დემოკრატიული პერიოდული პრესის თანახმად კი, „მთავრობის დეკლარაციის განხილვის დროს საქართველოს პარლამენტმა ნამდვილი სარკის როლი ითამაშა და ყველა წრეების და პარტიების გულისნადები გამოააშკარავა“.

1918 წლის ზაფხულში, გაზეთი „ერთობა“ ასე აფასებდა საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას: „მიუხედავად ყოველგვარი ინტრიგისა, შიგნით თუ გარეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მაინც საუკეთესო ოაზისია მთელი რუსეთის და ამიერკავკასიის ანარქიით მოცულ უსაზღვრო სივრცეში“.¹⁵ ამ სიტყვებში არაფერი იყო გადაჭარბებული. მოკლე დროში მართლაც, საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის აღმშენებლობას, მოესწრო არაერთი დემოკრატიული ინსტიტუციის ფორმირება, სათავე დაედო სახელმწიფოებრივ წესრიგსა და სხვა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეორე დეკლარაცია უკვე საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა. ეს აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ ფართო დემოკრატიული პრინციპით არჩეულმა ამ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, რომელშიც დიდი უპირატესობით სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა, მუშაობის დაწყებისთანავე ჩამოაყალიბა და დაამტკიცა რესპუბლიკის ახალი, ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

აღმასრულებელი ხელისუფლების სამოქმედო პროგრამა მთავრობის თავმჯდომარის მინდობილობით საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა დამფუძნებელ კრებას 1919 წლის 21 მარტს წარუდგინა.

დეკლარაცია აცხადებდა, რომ ახლად შემდგარი მთავრობის მთავარი მიზანი იყო „რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცება და გაფართოება დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში“. საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას, დოკუმენტში იმედი იყო გამოთქმული, რომ „მსოფლიო სამშვიდობო კონგრესი“

12 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, ანან. 3, საქმ. 1, ფურც. 42

13 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 18 ივნისი

14 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 18 ივნისი

15 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 21 ივლისი

თავის საბოლოო სიტყვას იტყვოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის ცნობის საქმეში, რომ დიდმა ბრიტანეთმა ქვეყანას უკვე აღუთქვა დამოუკიდებლობის აღიარება. „საქართველოს მთავრობა მონადინებულია მოკავშირეთა დანარჩენ სახელმწიფოებთანაც შეთანხმების მიღწევას და მათი დახმარებით საერთაშორისო ოჯახში სრულუფლებიან წევრათ ჩარიცხვას“, – ხაზს უსვამდა დეკლარაცია.

საშინაო ცხოვრების საკითხებიდან დეკლარაციაში ყურადღება მახვილდებოდა „მართვა-გამგეობის გამარტივებაზე“, ერობების ჩამოყალიბებაზე იმ მაზრებში, რომლებშიც ჯერ კიდევ მოკლებულნი იყვნენ ამ ინსტიტუტს, თვითმმართველობის ორგანოებისათვის ადგილობრივ დონეზე მმართველობის უფლების მინიჭებაზე, სასამართლო რეფორმის დასრულებაზე (მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა არჩევითობა, სენატის ჩამოყალიბება). მთავრობა დაპირებას იძლეოდა, რომ „გაანელებდა“ სასურსათო და ეკონომიკურ კრიზისს, შეამცირებდა ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ ხარჯებს, ახლო მომავალში შეადგენდა და დამტკიცებდა ბიუჯეტს, გამონახავდა შემოსავლის დამატებით წყაროებს, „მშრომელთა ინტერესების უზრუნველყოფით“ დაანესებდა გადასახადების ახალ სისტემას, სრულყოფდა სოციალურ კანონმდებლობას, წაახალისებდა კერძო ინიციატივებს, გაააქტიურებდა ბრძოლას სპეკულაციის წინააღმდეგ, შემოიღებდა უფასო, სავალდებულო და საყოველთაო პირველ დაწყებით განათლებას, იზრუნებდა ხალხში „პროფესიონალურ-ტექნიკურ და სამეურნეო ცოდნის“ გავრცელებისათვის, ეკლესიას განაცალკევებდა სახელმწიფოსაგან და სხვ.

დეკლარაციაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა საქართველოს განაპირა კუთხეების პრობლემას, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ მთავრობა მიზნად ისახავს აფხაზეთსა და სამუსლიმანო საქართველოში „თავისებური განვითარების უზრუნველყოფას, ადგილობრივი ძალებით შინაური მართვა-გამგეობის მოწყობას და დედა სამშობლოსთან შეგნებულათ დაკავშირებას“.¹⁶

მთავრობის დეკლარაციის შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს ფრაქციათა წარმომადგენლებმა. სოციალისტ-ფედერალისტთაგან შალვა ალექსი-მესხიშვილი გამოვიდა, ესერთაგან სიტყვა წარმოთქვა ლეო შენგელაიამ, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიულ სახელით სპირიდონ კედიამ ილაპარაკა. ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის მზადყოფნა გამოხატეს, მაგრამ იმავდროულად მკაცრი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს მთავრობის განუელი მუშაობა და სამომავლო მოქმედების გეგმაც.

შალვა ალექსი-მესხიშვილმა განაცხადა: „ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია გზა, რომლითაც მთავრობა აპირებს სიარულს. ...ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალ ხანაში და დღესვე უნდა ჩაეყაროს მტკიცე საძირკველი მომავალ სოციალისტურ წყობილებას. ... ძირიანად უნდა შეიცვალოს აგრარული კანონი, რომლის ცხოვრებაში გატარებას მთავრობა აპირებს. ამის მაგივრად უნდა გატარდეს მინის სოციალიზაცია. ...სოფლის მეურნეობაში, მრეწველობა-ალემბიცემობაში მთავრობა უნდა მიისწრაფოდეს, სადაც კი შესაძლოა, კოლექტივიზაციისაკენ. ...ცდილობდეს ეკონომიკურ ცხოვრების უმთავრეს დარგთა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელში გადაცემას“.

16 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 21 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 13

ორატორმა ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს ხარჯის მასშტაბურობასა და შემოსავლის სიმცირეზე, მუშათა და სახელმწიფო მოსამსახურეთა მძიმე პირობებზე მზარდი ინფლაციის პირობებში, მანვე მოითხოვა სრული ამნისტიის გამოცხადება ყველა პოლიტიკური დამნაშავესათვის, ხოლო უბრალო ბოროტმოქმედთათვის – სასჯელის შემსუბუქება.¹⁷

შ. ალექსი-მესხიშვილმა, ფრაქციის დავალებით, წაიკითხა ფედერალისტთა პარტიის დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმული იყო: აუცილებელია სახელმწიფოს მეტი დაახლოება „სოციალისტურ დემოკრატიასთან ჩვენს გარშემო და ევროპაში. ...დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფას“.

სოციალისტ-ფედერალისტთა დეკლარაცია იწუნებდა მმართველი პარტიის კურსს, რომელიც მიმართული იყო საქართველოში „მარტოოდენ დემოკრატიული სახელმწიფოს“ დამყარებისაკენ მისთვის სოციალისტური ხასიათის მიუცემლად. სანაცვლოდ კი აცხადებდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის აუცილებელია მეურნეობის განსაზოგადოება, რომელიც უნდა მოაწყონ კოოპერატივებმა, საერობო და საქალაქო თვითმმართველობამ და მთელმა სახელმწიფომ.

დასასრულს, დეკლარაცია მიუთითებდა, რომ ფედერალისტური პარტიის მიმართება ხელისუფლებისადმი იქნებოდა კრიტიკული, „ფხიზელი და საქმიანი“, მაგრამ „რესპუბლიკის დაცვაში, ვისგანაც უნდა მოელოდეს მას საფრთხე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ყოველთვის მზად იქნება მხარში ამოუდგეს დამფუძნებელ კრებას და თავდადებით, საკუთარი სისხლით დაიცავს საქართველოს თავისუფლებას“.¹⁸

მთავრობის დეკლარაციის განხილვა და შეფასება სოციალისტ-ფედერალისტებს ამით არ დაუხსრულებიათ. ამ პარტიის ოფიციალურმა „სახალხო საქმემ“ რამდენიმე კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა და მმართველი პოლიტიკური ძალა სასურსათო საქმეში არსებულ პრობლემებში დაადანაშაულა, მიუთითა, რომ მთავრობა მოკლებულია სახელმწიფოებრივ შემოქმედებას და ქვეყანას საფრთხეში აგდებს.¹⁹

„სახალხო საქმის“ მეთაურ წერილში კი, რომელიც უშუალოდ მთავრობის დეკლარაციას მიეძღვნა, აღნიშნულია: „მენშევიკური მთავრობის ეს დეკლარაცია არა თუ დღემდე გამოცემულ ყველა დეკლარაციაზე სუსტია, რომელიც კი საქართველოში გამოცემულა, ის ისეთივე ლიბერალური, ზომიერი, პერსპექტივის და დემოკრატიზმის გრძნობას არის მოკლებული, როგორც იყო გუჩუკოვების და მილიუკოვების²⁰ დეკლარაცია.“ შინაარსით დეკლარაცია სოციალისტური დემოკრატი-

17 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 22 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 5

18 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 22 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 8-9

19 ფედერალისტური პარტიის ოპოზიციონერობაში ეჭვი შეჰქონდათ ეროვნულ-დემოკრატიებს. გაზეთ „საქართველოს“ პუბლიცისტის სიტყვით: „ფედერალისტებმა რევოლუციის ორი წელი იმას მოანდომეს, რომ მენშევიკებთან ერთიანი ფრონტი შეექმნათ და მხნედ შესდგომოდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს შენებას საქართველოში“. გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 22 მარტი.

20 ა. გუჩუკოვი – „17 ოქტომბრის პარტიის“ (ოქტიაბრისტთა) ლიდერი, რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე (1910-1911 წწ.), დროებითი მთავრობის სამხედრო და საზღვაო მინისტრი (1917 წ.); პ. მილიუკოვი – კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტთა) პარტიის ლიდერი, საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის დროებით მთავრობაში (1917 წ.).

ის ვერც ერთ სკოლას, ვერ ერთ ფრთას ვერ დააკმაყოფილებს. ეს დეკლარაცია აღტაცებაში მოიყვანს ჩვენი საზოგადოების ლიბერალურ წრეებს, მრენველ-ვაჭრებს, მაგრამ შრომის ხალხს დეკლარაცია არაფერს აძლევს არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად.²¹

მთავრობის დეკლარაციის შესახებ დისკუსიისას, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თავმჯდომარე ლეო შენგელაიამ მმართველი ძალისა და მთავრობის პოლიტიკას ოპორტუნისტული უწოდა. მერყევი საგარეო პოლიტიკის შედეგად მიიჩნია ის გარემოება, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქართულმა სახელმწიფომ ვერ შეიძინა ვერც ერთი მოკავშირე, რომ მას თითქმის ყველა მეზობელ ერთან ომი და შეტაკება მოუხდა, რომ „ჩვენ ვერ დავიცავით ნაციონალიზმის პოზიციები და დავთმეთ ინტერნაციონალიზმის პოზიციებიც. ...ჩვენ თითქოს დიდი ყურადღება მივაქციეთ თავდაცვის საქმეს, მაგრამ ვერ შევქმენით ვერც ხეირიანი რეგულარული ჯარი და ვერც ნამდვილი სახალხო მილიცია!“²²

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მმართველ პოლიტიკურ ძალას ორ სკამზე ჯდომაში სდებდა ბრალს, აცხადებდა: „სოციალ-დემოკრატიის მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ორ სკამზე ზის. მუშათა ხმებით გაბატონებულს მას ვერ გაუგია, რომ ერთსა და იმავე დროს შეუძლებელია მუშათა ინტერესების დამცველიც იყო და ბურჟუაზიის საქმეც აკეთო. ამიტომაც სოციალ-დემოკრატია მუდამ რყევამია“.²³

ესერთა წარმოდგენით, საქართველოს დამფუძნებელი კრება „უნდა იქნეს ორგანო რევოლუციის სოციალური გაღრმავებისა“, ხოლო ქვეყანაში არსებული ძალთა განწყობილება და თანამედროვე საერთაშორისო სიტუაცია იმის წინა პირობად, რომ საქართველო გადაექციათ „ახალ სოციალურ ცხოვრების ოაზისად“. ლ. შენგელაიას სიტყვით, „მხოლოდ მთავრობა ქვეყნის სოციალისტური პროგრამითა და მოქმედებით, მთავრობა ძირითადი სოციალური გარდაქმნისა – გაუძღვება ღირსეულად რევოლუციონურ მშრომელ ხალხს“. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია მხოლოდ ასეთ მთავრობას გამოუცხადებს ნდობას და მთელი თავისი ძალ-ღონით მხარს დაუჭერს მას.²⁴

განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოირჩეოდა მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერის, სპირიდონ კედიას გამოსვლა. წარმოდგენილი დეკლარაციის ავ-კარგი მან ერთობ ორიგინალური მეთოდით განიხილა: რადგან აღმასრულებელ ხელისუფლებაში არავითარი ახალი ელემენტი არ შემოსულა, არც პიროვნების სახით და არც როგორც ფსიქოლოგიური მოტივი, ამიტომ „მთავრობის მომავალი პოლიტიკა იქნება გაგრძელება მისი წარსული პოლიტიკისა“, – განაცხადა კედიამ და ახლად ფორმირებული მთავრობის მომავალი საქმიანობა მისი წარსული მოქმედების ანალიზს დაუკავშირა.

21 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 23 მარტი

22 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 22 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 18

23 გაზ. „შრომა“, 1919 წ., 8 მარტი

24 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 22 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 19-20

ს. კედიამ აღნიშნა სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე დაშვებული მთელი რიგი შეცდომები, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ხარვეზები და ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა ფსიქოლოგიურად მოუმზადებელია ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის. ს. კედიამ ეს გარემოება უპირველესად იმით ახსნა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია არასოდეს ესწრაფოდა ქვეყნის პოლიტიკურ თავისუფლებას და იგი დამოუკიდებელი საქართველოს მმართველობის საჭესთან მხოლოდ გარემოების ძალით აღმოჩნდა. მისი სიტყვით, „მთავრობა, რომელსაც საქართველოს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის ძიება თავის დღეში არ ჰქონია და რომელმაც მხოლოდ გარემოების ძალდატანებით ჩაიბარა უკვე დამოუკიდებელ საქართველოს მართვა-გამგეობა, ცხადია, ...ვერ გამოიჩინდა იმ შემოქმედებით სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომლითაც მხოლოდ შეიძლებოდა ...ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო შენობის აგება და გამაგრება“.²⁵

სპირიდონ კედიამ მთავრობა დაადანაშაულა იმაში, რომ იგი დარჩა ინტერნაციონალური სოლიდარობის მოიმედედ და შეაფერხა „ჩვენი მდგომარეობის შესაფერი“ რეგულარული ჯარის შექმნა, რომ სასამართლო ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ იმყოფება, არჩეულ მოსამართლეთა შორის ბევრი თანამდებობისათვის სრულიად გამოუსადეგია და სხვ. „უსისტემო და ულოლიკო“, – ასე დაახასიათა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა და იგი მმართველი პოლიტიკური ძალის „სოციალისტურ ცოდოსა და დანაშაულს“ დაუკავშირა.

„მთავრობას ვერ გაუბედნია ან არ სურს იცნოს მესაკუთრის უფლება თავის საკუთრებაზე, გზას უხშობს თავისუფალ და კერძო ინიციატივას. ხელისუფლების უსისტემო და ულოლიკო ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება უფსკრულისაკენ მიექანება. მისი წარსული პოლიტიკის გაგრძელება ჩვენს ქვეყანას დაღუპავს და გაანადგურებს“, – განაცხადა ს. კედიამ.

მთავრობას დღემდე ვერ გაურკვევია სახელმწიფოებრივი შემოქმედების ორიენტაცია – კრიტიკულად დასძინდა სპ. კედია – მერყეობს „მებრძოლ ინტერნაციონალურ პოლიტიკასა და ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას შორის“, იგი ახორციელებს „რევოლუციონურ სოციალიზმის“ პროგრამას და მოქმედებს არა სახელმწიფოებრივი საზომითა და საჭიროებით, არამედ პარტიული იდეოლოგიის თვალსაზრისით“.

სპ. კედია ხელისუფლებას ურჩევდა, დაეგმო „სარევოლუციო სოციალიზმის“ კურსი, რადიკალურად გარდაექმნა მუშაობა და დადგომოდა „ნაცად და საიმედო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოებრივი შემოქმედების გზას“.

განსახილველი დეკლარაციის მძაფრი კრიტიკისა და იმის მიუხედავად, რომ ეროვნულ-დემოკრატიებმა უნდობლობა გამოუცხადეს ერთპარტიულ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას და „პრინციპიულ და საქმიან ოპოზიციას“ დაადგნენ, სპირიდონ კედიამ დაბეჯითებით განაცხადა, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხში „ყველ მთავრობასთან იქნება ყოველ გასაჭირის დროს“.²⁶

25 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 22 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 10

26 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 22 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 15

არანაკლებ კრიტიკული იყო ეროვნულ-დემოკრატიული პრესა. გაზეთ „საქართველოს“ მოწინავეს თანახმად, მთავრობა უხვია დაპირებებში, მაგრამ ვერ უთითებს, „რა გზით, რა სახსრებით და საშუალებით“ აპირებს მათ შესრულებას. „წინასწარ შეგნება, წინასწარ მზადება, თუ შორეული არა, მახლობელ დროის მოვლენათა მაინც განჭვრეტა და მათი ანგარიშის განწევა, – ასეთი თვისებები სრულიად არ ახასიათებს ჩვენი სოციალისტური მთავრობის მოღვაწეობას“.²⁷

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ოპოზიციურ დეპუტატთა კრიტიკულ გამოსვლებს პასუხი გასცა და მთავრობის დეკლარაცია დაიცვა რაჟდენ არსენიძემ. მისი სიტყვით, „ის მოვლენა, რომ საქართველოს ხალხმა სოციალისტებს მისცა ხმა (განსაკუთრებით სოც. დემოკრატებს), მოწმობს იმას, რომ გზა სოციალ-დემოკრატების მიერ ამორჩეული, არის სწორი. მაშასადამე, ჩვენი პოლიტიკის ღერძი უნდა დარჩეს იგივე, როგორც იყო აქამდე და როგორსაც ხმა მისცა ხალხმა. ...აქ ლაპარაკობენ მთავრობის შეცდომებზე, მაგრამ განა, როდესაც ახალს აშენებს ვინმე, მას შეცდომები არ მოუვა“?²⁸ „ვინც ახალ გზას იკაფავს, მას ნაბორძიკების უფლებაც უნდა ჰქონდეს“.²⁹

დეკლარაციაზე მსჯელობის დასასრულს, დამფუძნებელ კრებას წარედგინა ორი რეზოლუცია: 1. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა, ასეთი შინაარსით: „მოისმინა რა მოხსენება მთავრობის შედგენის შესახებ და მისი სამოქმედო პროგრამა, დამფუძნებელი კრება სავსებით ინონებს მას, ამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას და გადადის მორიგ საკითხზე“. 2. სოციალისტ-ფედერალისტური ფრაქციის რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო: „დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა განცხადება მთავრობის შემადგენლობის შესახებ და აგრეთვე მისი დეკლარაცია და გადადის მორიგ საკითხზე“.³⁰

ეროვნულ-დემოკრატებს მთავრობისა და მისი დეკლარაციის დამტკიცებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ესერებმა და ფედერალისტებმა სოციალ-დემოკრატების რეზოლუციისათვის კენჭისყრისას თავი შეიკავეს, მაგრამ ეს რეზოლუცია მაინც ხმების აბსოლუტური უმრავლესობით იქნა მიღებული.

მთავრობის დეკლარაციების განხილვა და ოპოზიციური პარტიების მიერ მათი თავისუფალი შეფასება მკაფიოდ წარმოაჩენს საქართველოს პირველი რესპუბლიკის დემოკრატიულ ბუნებას, ცხადყოფს ქვეყანაში არსებულ პლურალისტურ გარემოს; გვიჩვენებს, რამდენად ცხოველმყოფელი იყო პოლიტიკური პროცესი 1918-1921 წლების საქართველოში, როგორ ყალიბდებოდა ხელისუფლების ინსტიტუტი მრავალპარტიულ სისტემაში, როგორი იყო ოპოზიციის მონაწილეობა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში.

27 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 25 მარტი

28 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 25 მარტი

29 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 22 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 27

30 საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 22 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 28

Otar Janelidze
Doctor of History, Professor
Georgian National Museum

DECLARATIONS OF THE GOVERNMENT OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA AND THE GEORGIAN POLITICAL SPECTRUM

Summary

The highest legislative body of the Democratic Republic of Georgia heard and discussed the Government's Declaration two times, held debates and reached an appropriate resolution. The declaration was first presented to the National Council on June 15, 1918 by the head of the Coalition Government Noe Ramiishvili; the second hearing of a similar document presented to the Constituent Assembly of Georgia by one-party Social-Democratic government was held on March 21, 1919.

In both instances the document led to heated political debates. The opposition parties expressed their readiness for defending independence of Georgia but at the same time severely criticized the government's performance and its action plan. The opposition parties were not content with criticism at the plenary meetings and responded to the government's declarations in their party publications (the "Sakartvelo", the "Sakhalkho Sakme" and the "Shroma").

The National-Democratic party distrusted Noe Ramishvili and his cabinet while the others supported him. The National-Democrats dissociated from the approval of the government and its declarations. The Essers and the Federalists abstained from voting.

Debates over the government's declaration and free expression of opinion by the opposition parties clearly indicates the democratic nature of the first Republic of Georgia and the pluralist environment in the country; it shows how active the political process was in 1918-1921, how the government institution was formed in multi-party climate and what role the opposition played in the formation of the state.

დოდო ქუმბურიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

აკაკი ჩხენკელის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში

1918 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის ჯარი საქართველოში შემოიჭრა. ის არ დასჯერდა ბრესტის ზავით გათვალისწინებულ ქართულ და სომხურ რაიონებს და გაცილებით დიდი ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა. ტრაპიზონის კონფერენციაზე ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაციამ, რომელსაც ქართველი პოლიტიკოსი აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა, ვერ შეძლო სასურველი შედეგის მიღება. ვერც ბათუმის კონფერენციამ ალაგმა ოსმალ დამპყრობელთა მადა. კონფერენციის პირველივე სხდომაზე (11 მაისი) გამოვლინდა უთანხმოებები, როგორც ამიერკავკასიისა და ოსმალეთის, ისე ოსმალეთისა და გერმანიის დელეგაციებს შორის. გერმანელებს არ მოეწონათ ოსმალთა გაზრდილი მადა, რაც მათ ამიერკავკასიის მიმართ გამოხატეს. ამიერკავკასიის დელეგაციამ მოითხოვა, რომ მოლაპარაკებები წარმართულიყო ბრესტის ზავის საფუძველზე, იგივე აზრის იყო გერმანიის მხარეც. ოსმალთა დელეგაციის მეთაურმა – ჰალილ ბეიმ განაცხადა, რომ „ამიერკავკასიის მთავრობამ ჩაშალა ტრაპიზონის კონფერენცია, რის გამოც საქმე ხელახალ შეტაკებამდე მივიდა, ამიტომ შემდგომი მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მოთხოვნებს ვერ დაეფუძნებაო. სანაცვლოდ მან აკაკი ჩხენკელს შესთავაზა საზავო ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომლითაც ოსმალეთის ხელში დამატებით უნდა გადასულიყო ახალციხის, ახალქალაქის, ალექსანდროპოლისა და ერზიზის მაზრები. ამით 1828 წლის საზღვარი აღდგებოდა. საქართველოსთვის ურთულესი ისტორიული მომენტი დადგა. უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება, რითაც ქვეყანა და ხალხი საბოლოო დაღუპვისგან გადარჩებოდა.

ქართველმა პოლიტიკოსებმა აკაკი ჩხენკელის თაოსნობით შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი მოძებნეს: საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა და გერმანიის მოკავშირეობა. ურთულეს მდგომარეობას განაპირობებდა: 1. საქართველოს რაიონებში ოსმალთა საოკუპაციო ჯარის დაუნდობელი თარეში და ოსმალთა სარდლობის სახიფათო ულტიმატუმები, რაც საბოლოოდ ასამარებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის იდეას; 2. ამიერკავკასიის მთავრობაში შეუთანხმებლობა (სომხები ანტანტას, აზერბაიჯანლები ოსმალეთს ემხრობოდნენ); 3. ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის წევრი ქართველი სოციალ-დემოკრატები პრორუსულ პოზიციაზე იდგნენ და ძნელი იყო ასე მოკლე დროში მათი დამოუკიდებლობის მხარეზე გადმოყვანა; ამ ურთულეს მომენტში აკაკი ჩხენკელმა ყველაფერი გააკეთა მდგომარეობის განსამუხტავად და საქართველოს გადასარჩენად; იმედოვნებდა, რომ გერმანია ამიერკავკასიაში ოსმალეთის ასეთ გაძლიერებას არ შეურიგდებოდა.

13 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციამ შეადგინა მემორანდუმი, რომლითაც მოითხოვა ოსმალეთის მიერ 11 მაისს შემოთავაზებული „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულების“ დოკუმენტი განეხილა მოკავშირე ოთხთა სახელმწიფოს ყველა წარმომადგენელს. ამას ოსმალები არ დაეთანხმენ. ჰალილ ბეიმ 14 მაისს კიდევ უფრო მძიმე ნოტა გადასცა ჩხენკელის დელეგაციას: მოითხოვა ალექსანდროპოლ-ჯულფის რკინიგზის გადაცემა, რასაც ასაბუთებდა ჩრდილოეთ სპარსეთში ინგლისელებთან ბრძოლის სტრატეგიული აუცილებლობით [Документы 1919].

ალშფოთებულმა გერმანიის გენშტაბის უფროსმა გენერალმა ლუდენდორფმა დაავალა ოსმალეთის გენშტაბის უფროსის მოადგილეს გენერალ ფონ სექტს, რომ ენვერ-ფაშას ტერიტორიული პრეტენზიები მოექცია ბრესტის ზავის ფარგლებში, შეეჩერებინა ოსმალთა შემდგომი წინსვლა ამიერკავკასიაში და აქ გამოთავისუფლებული მათი ჯარები სპარსეთსა და მესოპოტამიაში გადაესროლა [Людендорф 1924].

ოსმალეთის დამპყრობლურ მადას ვერც გერმანია ერეოდა, ის საქართველოს დახმარებას ცდილობდა იმით, რომ შულენბურგის რჩევით, საქართველოში მცხოვრები გერმანელი კოლონისტების და ტყვეებისაგან უნდა ჩამოყალიბებულიყო რაზმები, რომლებიც დაიცავდნენ საქართველოს საზღვრებს ოსმალთა შემოტევებისაგან [ვაჩნაძე 1992].

შექმნილ ვითარებაში დახმარება რომ უფრო ეფექტური ყოფილიყო, გერმანიის წარმომადგენლებმა ურჩიეს აკაკი ჩხენკელს – საქართველოს ეროვნულ საბჭოს ოფიციალურად ეთხოვა მფარველობა გერმანიისათვის. მართლაც, 14 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გერმანიას სთხოვა დახმარება საერთაშორისო და პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებში, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა გარეშე და შინაური მტრებისაგან [Пипия 1978].

ამ პოლიტიკური ვითარებისა და მოკავშირეთა შორის უთანხმოების ფონზე აკაკი ჩხენკელმა ნამდვილი დიპლომატიური ნიჭი გამოავლინა, რაზეც მეტყველებს ნოე ჟორდანიასდმი 15 მაისს გაგზავნილი მისი წერილიც. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი პირდაპირი შედეგი იყო ჩხენკელის პირადი ინიციატივისა და დიპლომატიურ-პოლიტიკური ბრძოლისა, რასაც კარგად აჩვენებს როგორც ნოე ჟორდანიასთან, ასევე, ნოე რამიშვილთან და სხვა ქართველ პოლიტიკოსებსა და სამხედრო მეთაურებთან გაგზავნილი მისი წერილები.

გერმანია დარწმუნდა, რომ ენვერი და სხვა ოსმალო პოლიტიკოსები კავკასიაში საკუთარ ინტერესებზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე გერმანიის ბედზე, ან ინგლისთან ომზე [Kühlmann, R. 1948].

კავკასიელი მაჰმადიანური მოსახლეობის ანტირუსულ გამოსვლას გეგმავდა და აქეზებდა ავსტრია-უნგრეთის ჯარების სარდლობაც.

ოსმალთა წინაშე სამი ძირითადი გეგმა იყო: ეგვიპტის, ბალკანეთისა და კავკასიის დაპყრობისა. უპირატესობას ისინი კავკასიის დაპყრობას ანიჭებდნენ, აქედან სურდათ გასვლა შუა აზიისკენ და იქაური მაჰმადიანების დაპყრობა. გერმანიას კი, უპირველესად, სუეცის არხის განმენდა და ეგვიპტიდან ინგლისელების განდევნა უნდოდა.

ამ პოლიტიკური ვითარებისა და მოკავშირეთა შორის უთანხმოების ფონზე აკაკი ჩხენკელმა ნამდვილი დიპლომატიური ნიჭი გამოავლინა, რაზეც მეტყველებს ნოე ჟორდანიასდმი 15 მაისს გაგზავნილი მისი წერილიც.

წერილს ჰქონდა მინაწერი: „ამ პოლიტიკას სავსებით ვიზიარებ და ვეთანხმები. ნ. ნიკოლაძე“ [სცსსა, ფონდი 1861, საქმე 23].

ამ ვრცელ და ისტორიული, დიპლომატიური თუ სხვა თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტიდან შეიძლება გამოვყოთ ძირითადი ასპექტები, რასაც საქართველოსთვის ყოფნა-არყოფნის პერიოდში სვამს ერთი ქართველი კაცი, იმ პარტიის წევრი, რომლისთვისაც მანამდე ეროვნული საკითხი სასხვათაშორისო იყო, ახლა კი ეროვნული არსებობის სადავე მის ხელთ აღმოჩნდა. წერილში ჩანს ჩხენკელის სიმამაცე, პრაგმატულობა, დიდი ნახტომისკენ ერის ნაქეზების უნარი, ის ნიუანსები, რასაც ის ხედავდა კარსმომდგარი საფრთხეების მიღმა.

1. 15 მაისის დილით ოსმალების ნოტა საქართველოს ტერიტორიაზე ჯარების გაშვების შესახებ ბათუმის კონფერენციაზე მყოფი ამიერკავკასიის სახელმწიფო დელეგაციის ქართველი წევრებისათვის მოულოდნელი არ იყო, ეს შეთავაზება-ულტიმატუმი მათ წინა დღით მიიღეს, მაგრამ უარი თქვეს ფორმალურად, ტაქტიკური მოსაზრებით, რათა ეგრძნობინებინათ ოსმალებისა და გერმანელებისთვისაც, რომ ქართველები ასე ადვილად არ ნებდებოდნენ.

2. ოსმალეთის მთავრობის ამგვარი აგრესიული ულტიმატუმი გერმანიის სახელით გააპროტესტა გერმანიის მისიის მეთაურმა ფონ ლოსოვმაც, მაგრამ ოსმალებს უკან ვერ დაახევინა;

3. ეს ყველაფერი ფორმალურ, გარეგნული დეკორის დანიშნულების იყო. სინამდვილეში კი, ქართველებს არაოფიციალურად უნდა მიეცათ ოსმალებისათვის რკინიგზით ჯარის გატარების უფლება, რომ არ მომხდარიყო მათი შეტაკება ქართველების ან სომხების ნაწილებთან (აზერბაიჯანი მათ მხარეზე იყო), ამიტომ ოსმალეთის ჯარს მეთვალყურედ მოყვებოდა ორი გერმანელი ოფიცერი ჯარისკაცებით. ეს გერმანელები ქართველებს დაუყონებლივ ალექსანდროპოლში უნდა გაეგზავნათ, აზერბაიჯანული მხარის წარმომადგენელს – ნაზარბეგოვს ცალკე უნდა შეთანხმებოდნენ, რომ ოსმალებისთვის არაოფიციალურად შეეწყობოდა ხელი.

4. ჯარების ჩქარა გასვლა საქართველოს ტერიტორიიდან სასარგებლო იყო ქართველებისათვის: ისინი ნაკლები დარჩებოდნენ საქართველოში, ოსმალების სარდალი ვეჰიბ-ფაშა იძლეოდა სიტყვას, რომ სხვა ჯარს არ მოხსნიდა ფრონტიდან.

5. სამხედრო საიდუმლოება მკაცრად უნდა დაცულიყო, არც პრესას და არც სემის დეპუტატებს სამხედრო საკითხებზე ხმამაღლა არ უნდა ესაუბრათ. ჩხენკელი გმობდა გაზეთების აგრესიულ ტონს ოსმალების და მითუმეტეს გერმანელების მიმართ. ის ურჩევდა ჟორდანას, რომ თბილისში გამომავალ ქართულ და რუსულ გაზეთებში – „ბორბა“, „იზვესტია“ და „ერთობა“ დაესვათ მთავრობის კაცი, ვინც ამას გააკონტროლებდა.

6. ჩხენკელმა იცოდა, რომ გერმანიასაც თავისი ზრახვები ჰქონდა საქართველოსადმი, მაგრამ ეს ნაკლები ბოროტება იყო იმასთან შედარებით, რაც ქვეყანას რუსეთისა და ოსმალეთისაგან ელოდა. საგულისხმოა მისი სიტყვები: „ბორბას“ და „იზვესტიას“ უნდა ჩააგონოთ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზედაც ასე ჭყვიან, უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე, რომ ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებს პირველს შევურიგდეთ, ვინაიდან გერმანიამ თუ გვიხსნა, მხოლოდ თავის იმპერიალისტიური მადის დასასაბუთებლად და არა რუსი ამხანაგების ლამაზ თვალისათვის“.

7. ომი შეუძლებელი იყო საქართველოსათვის, მას არ უნდა ჩაედინა ის, რაც 31 მარტს მოხდა – სომეხი დეპუტატების და რუსი სამხედროების წაქეზებით ომში ჩაება ოსმალებთან და ტრაპიზონის კონფერენციის მოლაპარაკებებს ხელი შეუშალა. ამას ჩხენკელი აბრალებდა ჟორდანიას-რამიშვილს და შიშობდა, რომ რუსებსა და განსაკუთრებით სომხებს არ აეძულებინა ისევ ქართველები ომში ჩაბმულიყვნენ. თურქების გასვლა ჯუღფისაკენ წინააღმდეგობის გარეშე უნდა მომხდრიყო, თუ პრესა, ან რუსის სამხედრო წრეები ამას არ დაეთანხმებოდნენ, ქართულ მხარეს სასტიკად უნდა დაეცვა ეს მიმართულება. ჩხენკელს ეფიქრებოდა ჟორდანიას პრინციპულობა და წერდა: „სპეციფიკური შენი ტაქტიკა დამლუპველია, ესე იგი კომპრომისი, ნახევარი ნაბიჯი წინ, ნახევარი უკან. ამან დალუპა ჩვენი ტრაპეზუნდის პოზიცია, ერთი დღის მაგიერ ერთი კვირა ვიკამათეთ“.

8. ქართულმა დელეგაციამ განუცხადა თურქებს და გერმანელებს, რომ პირველი ხელშეკრულების პროექტი, რაც უკვე გადმოგზავნილი ჰქონდათ ჟორდანიასთან, თუკი ის სისრულეში მოვიდოდა, მაშინ იქნებოდა სუბიექტი საერთაშორისო უფლებისა, ესე იგი ხელშეკრულება მთლიანი ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან დაიდებოდა, რაც თურქებს არ აწყობდა, რადგან მათ სურდათ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, ოსმალურ ჯარში განვევა აზერბაიჯანის ახალგაზრდობისა, რითაც ამ ურთულეს ჟამს ფრონტს გააძლიერებდნენ. ფონ-ლოსოვი არწმუნებდა ქართველებს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობებს დაიცავდა ბერლინის ინსტრუქციის ძალით, ემზრობოდა ამიერკავკასიის მთლიანობას, ცდილობდა ოსმალთა მადის ალაგმვას, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. მუშაობა ამიერკავკასიის სახელით ინტენსიურად წარმოებდა და ჩხენკელის დელეგაციას იმედი რჩებოდა, რომ მოახდენდა თავის სასარგებლოდ საზღვრების რამდენადმე შესწორებას.

9. ჩხენკელს არ განუხილავს დელეგაციის სომხურ და აზერბაიჯანულ ნაწილთან საკითხი ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის შესახებ, ელოდებოდა ფონ-ლოსოვის მცდელობის შედეგს, მაგრამ, როგორც ქართველი დიპლომატი და მისი თანმხლები ქართველი დელეგატები ვარაუდობდნენ, მალე გერმანიაც დაეთანხმებოდა ოსმალეთს, რადგან ინგლისის შემოტევები გაძლიერდა და ამისთვის დამატებითი სამხედრო ძალა იყო საჭირო, მოკავშირეები ამას აზერბაიჯანში ხედავდნენ.

10. ჩხენკელის დაჟინებული მოთხოვნით, სასწრაფოდ უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ზავის შეკვრა ქართველებისთვის მისაღებ პირობებში. სომხები, რა თქმა უნდა, არ შეურიგდებოდნენ თურქების გეგმას და ომს გამართავდნენ, როგორც ამბობდნენ ხატისოვი და კაჩაზნუნი, – მათ შორეული იმედი მაინც რჩებოდათ ინგლისისა. თურქები თუ ნებით არა, ძალით გაივლიდნენ ამიერკავკასიას, დაიპყრობდნენ საქართველოს, ჩააყენებდნენ ჯარს სიმაგრეებში და ინგლისელებს არ მიუშვებდნენ მანამდე, სანამ არ ამოჟღერდნენ ქართველობას. თუ ჟორდანია და ეროვნული საბჭოს სხვა ლიდერები დაადგებოდნენ 31 მარტის ტაქტიკას და ომში ჩაერთვებოდნენ, საქართველო დაილუპებოდა.

11. ჩხენკელი თხოვდა ჟორდანიას, დაერწმუნებინა სომხები, არ აელოთ იარაღი. მაშინ ის შესძლებდა გერმანელების კეთილგანწყობის მოპოვებას და სომხების დახსნას ხოცვა-ჟლეტისაგან, რადგან გერმანელები მათ აფასებენ ვაჭრული ნიჭის

გამო. მათი ყოფნა საქართველოსთან ერთ ფედერაციაში არ შეიძლებოდა, რადგან ეს არც ოსმალებს სურდათ, არც აზერბაიჯანლებს, ამასთანავე, სომხებს ტერიტორიული საზღვრები არ ჰქონდათ გამოკვეთილი, რაც კონფლიქტურ სიტუაციებს უქმნიდა მეზობლებთან, საქართველო კი ამ კონფლიქტებში ვერ ჩაერეოდა.

12. საჭირო იყო ბათუმში მოლაპარაკების შეწყვეტა, რადგან თურქების პროექტი მიუღებელი იყო თბილისის დელეგაციისათვის;

13. ჩხენკელის წერილი ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმში სრულიად საიდუმლოდ უნდა წაეკითხათ, ჩხენკელი შეუძლებლად მიიჩნევდა ამ საგანზე საოლქო კომიტეტში ან ფრაქციაში ლაპარაკს. ის თამამ წინადადებას აძლევდა სოციალ-დემოკრატების ლიდერსა და ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს: „თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ, თუ არ შეგიძლიათ, უკეთესია გადადგომა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერი დაიღუპება. თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი. საჭიროა ამ წუთშივე გათვალისწინება ყველა ამისა, საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას“.

14. აფხაზებს, განსაკუთრებით ოსმალეთში მცხოვრებ მოჰაჯირებს, ოსმალები აქეზებდნენ დამოუკიდებლობისკენ და იდგა საფრთხე მათ მიერ აფხაზეთის ოკუპაციისა. ბათუმის კონფერენციაზე კი, ჩხენკელის თქმით, სოხუმის ოლქზე თურქების მხრიდან დავა არ იყო, ის მიიღებდა იმავე უფლებას, რასაც დანარჩენი საქართველო;

15. განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა უნდა შენარჩუნებულიყო აზერბაიჯანთან, დამოუკიდებლობის შემდეგ ის გახდებოდა საქართველოს კიდევ უფრო დიდი მეგობარი. უნდა დახმარებოდნენ ბაქოს, რომელიც ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ფარგლებში იყო.

ჩხენკელს მიაჩნდა, რომ ეს წერილი იყო მისი ერთ-ერთი გამამართლებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა დარჩენოდა ეროვნულ საბჭოს, რასაც იმ შემთხვევაში გამოიყენებდა, თუ მისი მიმართვის ადრესატები არ დაიჯერებდნენ, არ შეასრულებდნენ მის რეკომენდაციებს და საქართველოს ბედს უკუღმა წაიყვანდნენ.

ოსმალეთის ჯარები ამიერკავკასიის ქართული დელეგაციის პროტესტს ყურს არ ათხოვებდნენ და აგრძელებდნენ წინსვლას: მათ 15 მაისსვე აიღეს ალექსანდროპოლი, შემდეგ თბილისისა და ერევნის მიმართულებით დაიძრნენ. 1918 წლის 17 მაისს ბათუმის კონფერენციაზე გერმანიის დელეგაციის მეთაურის – ფონ ლოსოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა ასეთი შინაარსის იყო:

„პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ მე გერმანიის იმპერიის კანცლერისგან მივიღე ქვემოთ მოტანილი შემდეგი ინსტრუქცია:

გერმანიას არ შეუძლია ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა იცნოს ამჟამად, მანამდე, ვიდრე ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას არ იცნობს რუსეთი. საიმპერატორო კარის წარმომადგენელს რუსეთში გრავი მირბახს გადაცემული აქვს რწმუნება ჰკითხოს რუსეთის მთავრობას, როგორია მისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ამიერკავკასიის ხელისუფლების თხოვნის თანახმად, გერმანია მზად არის იკისროს შუამდგომლობა ამ საკითხზე რუსეთსა და ამიერკავკასიის სახელმწიფოს შორის შეთანხმების მისაღწევად. ამასთან, თქვენ ვალდებული ხართ აცნო-

ბოთ ბატონ ჩხენკელს, რომ ამიერკავკასიის ცნობა გერმანიისაგან სხვა არცერთ პირობაზე არაა დამოკიდებული, გარდა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ცნობისა მოსკოვის რუსული ხელისუფლებისაგან.

ამა წლის 8 რიცხვით გამოგზავნილი გაიდარ-ბეი ბამატოვის წერილით მეცნობა, რომ ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის ტუზემც ხალხებსაც გამოუთქვამთ დამოუკიდებლობის სურვილი. როგორც კი მივიღებ ინსტრუქციას საიმპერატორო ხელისუფლებისაგან, რომელიც ჩათვლის ამ ხალხების დამოუკიდებლობის ცნობას შესაძლებლად, დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ხელისუფლება ისევე აღიარებს ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისა და დაღესტნელების დამოუკიდებლობას, როგორც ამიერკავკასიის სახელმწიფოსას“.

ოსმალური ჯარები საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს არსებობასაც. ამას იუნყებოდნენ ჩხენკელისადმი გამოგზავნილი ქართველი სამხედროებისა და პოლიტიკოსთა დეპეშებიც. 19 მაისის რამიშვილის დეპეშა – ჩხენკელისადმი იუნყებოდა: „ელიზავეტპოლში მოვიდა შეიხი ულ-ნელამი. მოსახლეობამ მას მოთხოვა ბათუმში წამოვიდეს და თურქების დელეგაციას მოელაპარაკოს. მას მისცეს დავალება მოითხოვოს თურქული არმიის გაგზავნა გუბერნიაში წესრიგის აღსადგენად. ჩემი მხრიდან ამაზე უარის თქმა გამოიწვევს მთელი მუსულმანური ფრაქციის აღშფოთებას. ველოდები თქვენს მითითებას. უარყოფითი პასუხი გამოიწვევს ხელისუფლების კრიზისს. ნოე რამიშვილი“ [სცსსა, ფონდი 1861, საქმე 23].

19 მაისსვე აკაკი ჩხენკელის ინიციატივით, ამიერკავკასიის დელეგაციამ მიმართა ფონლოსოვს, ეშუამდგომლა ოსმალეთის წინაშე, რათა საომარი ოპერაციები შეწყვეტილიყო, გერმანიის ამ მოთხოვნას ოსმალები არ დათანხმდნენ [Документы 1919].

20 მაისს გენერალი ნაზარბეკოვი ამიერკავკასიის სარდლობას მოახსენებდა: „მიუხედავად საზავო მდგომარეობისა, თურქები განაგრძობენ სამხედრო მოქმედებასა და, კერძოდ, კარაკლისის ფრონტზე აგრძელებენ რა შეტევას, დღეს სოფელ ავდიბედიდან გარეკეს ჩვენი ნაწილები. მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ თურქები თბილისის გზატკეცილზე და ლორის რაიონში აჯგუფებენ დიდ ძალებს. ცნობილია მათი განზრახვა – გააგრძელონ მათი შეტევა კარაკლისზე და შემდეგ თბილისზე. ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, ალექსანდროპოლისა და ერევნის გზის დაკავება მხოლოდ დასაწყისია შემდეგი დაპყრობისა“ [Документы 1919].

ბათუმში, გერმანულ-ქართული შეხვედრების დროს, რასაც ჩხენკელი თითქმის დელეგაციის სხვა წარმონაღებლებისაგან კონსპირაციულად მართავდა, გადაწყდა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის საკითხი [გოცირიძე, 2009].

22 მაისს ზურაბ ავალიშვილის ხელმძღვანელობით დასრულდა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის შედგენა. ბათუმში ჩასულმა ნოე ჟორდანიამ აქტი თბილისში წაიღო. მას უნდა შეეთანხმებინა აქტის ტექსტი სხვადასხვა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ისე უნდა გამოეცხადებინა. ამ დღეებს დაწვრილებით იგონებს ზურაბ ავალიშვილი [ავალიშვილი, 2011].

24 მაისის ღამით ჩხენკელმა დეპეშა გაუგზავნა გენერალ კვინიტაძეს: წერდა, რომ მოვლენები ისე ვითარდებოდა, სასწრაფო იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. როგორც ავალიშვილი იგონებს, ეს დეპეშა თავისი ხელით დაშიფრა გენერალმა ოდიშელიძემ.

„წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი (იაპონიის ომისათვის), ყოფილი სამხედრო გუბერნატორი სამარყანდის ოლქისა, დასავლეთის ფრონტის რუსეთის ერთ-ერთი ლაშქრის უფროსი და სხვადასხვა... სანამდე მიდით, გენერალო! ის კი გახარებულია“, – წერს ავალიშვილი და ამ სიტყვებში აქცევს იმ ირონიას, რაც არ შეიძლებოდა არ გაჩენილიყო ამ დროს მოღვაწე რუსული ხელისუფლების უერთგულესი ადამიანების ეროვნულ ბანაკში ასე სიხარულით გადასვლის გამო [ჭუმბურიძე 2018].

ხშირად საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები სინამდვილეს ამახინჯებდნენ იმით, რომ ამტკიცებდნენ, თითქოს დამოუკიდებლობის აქტი მთლიანად გერმანიის ინიციატივით მომზადდა, საქართველოს მაშინდელ ლიდერებს (გულისხმობენ სოციალ-დემოკრატებს) არ სურდათ დამოუკიდებელი საქართველო. სინამდვილეში, 1918 წლის 26 მაისის აქტი იყო: 117 წლის მანძილზე ქართველი ერის დაუცხრომელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგი ქართული სახელმწიფოს აღსადგენად და რუსეთის კოლონიური უღლის გადასაგდებად: ეს აქტი მოამზადეს ქართველმა პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, პატრიოტებმა, რომელთა კუთვნილება მარტო ერთ პარტიას და ერთ სოციალურ ჯგუფს არ მიეწერება; შექმნილი პოლიტიკური ვითარება მხოლოდ მაპროვოცირებელი და დამაჩქარებელი იყო დამოუკიდებლობის იდეის განსახორციელებლად, გერმანია კი, ქართველი ერის საერთო მიზნიდან გამომდინარე, პოლიტიკურად ყველაზე ხელსაყრელი მოკავშირე აღმოჩნდა; პოლიტიკური და პრაქტიკული ხელმძღვანელობა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის საქმეში გასწია სოციალ-დემოკრატმა, საერთო-ეროვნული ინტერესების გამტარებელმა პიროვნებამ – აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც მთელი ქართული საზოგადოება გააერთიანა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გარშემო, დაარწმუნა თავისი პარტიის მერყევი და პრორუსული ნაწილი ამ იდეის განხორციელების აუცილებლობაში. ისტორიას ცალკეული შტრახები კი არა, არამედ ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად, ჰუმანიზმისა და სიკეთის გადასარჩენად, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მუდმივი ბრძოლის ერთი მთლიანი სურათი ქმნის. საქართველოს ისტორიის ამ საერთო სურათში XX საუკუნის გამოჩენილი დიპლომატის, პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და მამულიშვილის – აკაკი ჩხენკელის პორტრეტი შთამბეჭდავად იხატება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Документы 1919: Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с.269-273.

Kühlmann 1948: Kühlmann, R. v. Erinnerungen, Heidelberg: Verlag Lambert Schneider 1948. 590 Seiten.

Людendorф 1924: Людendorф Э., Мои воспоминания о войне 1914-1918г.г. т.2, М. 1924, с. 187.

ვაჩნაძე 1992: დავით ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში, მოგონებანი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი „ივერია“, 1992, №1, გვ. 129.

Пипия 1978: Пипия Г.В. , Германская империализм в Закавказье в 1910-1918 г. М.1978., გვ. 103.

სცსსა, ფონდი 1861, საქმე 23: სცსსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 23, ფურცელი 5-8.

სცსსა, ფონდი 1831, საქმე 46: სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 46, ფურცელი 8.

Документы 1919: Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с.306.

Документы 1919: Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с.302.

გოცირიძე, 2009: გიორგი გოცირიძე, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, გამომცემლობა „უნივერსალი“, **თბილისი, 2009, გვ. 178;**

ავალიშვილი, 2011: ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები, გამომცემლობა „მხედარი“, თბილისი, 2011, გვ. 74-79.

ჭუმბურიძე 2018: დოდო ჭუმბურიძე, აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გამომც. „უნივერსალ“, თბილისი, 2018, გვ. 142.

Dodo Chumburidze

Doctor of Historical Sciences, Chief Research-worker of Ivane Javakhishvili

Institute of History and Ethnology of Tbilisi State University

AKAKI CHKHENKELI'S ROLE IN THE RESTORATION OF THE INDEPENDENCE OF GEORGIA

Summary

In the spring of 1918, the Ottoman army invaded Georgia. The Ottoman Empire violated the terms and conditions of a peace treaty known as the Treaty of Brest and occupied the territories beyond the Georgian and Armenian regions envisaged by the Treaty. The delegation of the Transcaucasian Democratic Federative Republic to the Trabzon and Batumi Peace Conferences, led by Akaki Chkhenkeli – a statesman and diplomat from Georgia, failed to achieve the desirable goal. Neither German military commanders proved capable of containing the strife and quenching the thirst for conquer of their allied Ottoman Empire. The head of the Ottoman Delegation – Khalil Bai offered Akaki Chkhenkeli a new draft peace accord, under which the Ottoman Empire, in addition to already occupied regions, would take possession of the regions of Akhaltsikhe, Akhalkalaki, Alexandropol and Etchmiadzin. That would mean the return to the 1828 border demarcation and Georgia losing additional territories. It was a decisive moment in the history of Georgia. Georgia had to make a decision that would save the

country and the people from being exterminated. A group of Georgian politicians led by Akaki Chkhenkeli managed to find a single way out of the situation Georgia faced at that time: the restoration of the independence of Georgia with the help of German mediation. Germany promised Georgia to help it regain the territories lost under the Treaty of Brest and to contain the aggression from the part of the Ottoman Empire. The situation was exacerbated due to the difficulties associated with the disagreements and discrepancies existing among the members of the Government of the Transcaucasian Democratic Federative Republic (the Armenians supported the Triple Entente, whereas the Azeri supported the Ottoman Empire) as well as the fact that the Georgian Social Democrats – the members of the Government of the Transcaucasian Democratic Federative Republic – had adopted pro-Russian stance and it was anything but easy to convince them of the significance of abandoning the orientation towards Russia and remaining committed to the independence of the country, in such a short period of time. Under these cumbersome circumstances, Akaki Chkhenkeli did his best to defuse tension and save Georgia.

The Act of Independence adopted by Georgia on May 26, 1918 was the direct result of Akaki Chkhenkeli's personal initiative and his diplomatic and political struggle, which is best documented in his epistolary correspondence addressed to the prominent figures such as: Noe Zhordania, Noe Ramishvili, General Giorgi Kvinitadze and other political or military leaders. The article gives the review of the epistolary correspondence and reveals the role Akaki Chkhenkeli played in uniting the entire Georgian society around the idea of state independence and of how he managed to convince the hesitant and pro-Russian members of his party of the necessity and significance of implementing this idea.

პირველი მსოფლიო ომი და ზავი 1918 წლის ქართული პრესის ფურცლებზე

ქართული პრესის ისტორიის მკვლევართა, საცენზურო კომიტეტის და საარქივო მასალების მონაცემების შეჯერების და გაანალიზების შედეგად, 1918 წელს გამოშვებული ჟურნალ-გაზეთების საერთო რაოდენობა იყო 49 (28 გაზეთი, 21 ჟურნალი) (ბაქრაძე. 1947. 54-60)

1918 წელს თბილისში 9, ხოლო ქუთაისში 4 ახალი გაზეთი გამოვიდა მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში საქართველოში ძირითადი საგამომცემლო ცენტრები იყო თბილისი და ქუთაისი, აქტიურდება რეგიონალური ცენტრები. კერძოდ, 1918 წელს თითო ახალი გაზეთი გამოვიდა ფოთში, ბათუმში, ოზურგეთში, ბერლინში. თბილისში გამოდიოდა ძველი – 6 და ახალი – 12 ჟურნალი, ხოლო ქუთაისში ორი ახალი ჟურნალი. ვინაიდან ჟურნალებში არ არის ფაქტობრივი მონაცემები, ამიტომ გამოყენებულია მხოლოდ საგაზეთო მასალები.

არა მარტო მსოფლიოსთვის, არამედ საქართველოსთვისაც, 1918 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა. 1918 წლის ქართული პრესის ფურცლები წლის პირველ ნახევარში დათმობილი ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების განხილვას, ხოლო წლის მეორე ნახევარი მსოფლიო საერთაშორისო მოვლენებიდან გამომდინარე საგარეო პოლიტიკის (პირველი მსოფლიო ომის დამთავრება, ერთა ლიგის შექმნა, პარიზის საზავო კონფერენცია) მნიშვნელოვანი საკითხების გაანალიზებას, რომელთა შედეგებზე დიდად იყო დამოკიდებული ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მომავალი.

მიუხედავად 1918 წელს საქართველოში მიმდინარე დიდი პოლიტიკური ძვრებისა, თუ ჩვენ 1918 წლის ქართულ პრესას წინა წლის (1917) პრესას შევადარებთ, 1918 წელს შეინიშნება არა თუ კლება (რაც სავსებით ლოგიკური იქნებოდა პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე), არამედ ჟურნალ-გაზეთების თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც რიცხობრივი (2) მატება.

1918 წლის პრესა უთუოდ თავისუფალი პრესაა. მთავრობის მხრიდან შეზღუდვები ან აკრძალვები თითქმის არ იყო. წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც ქართული პრესა სარგებლობდა შემდეგი სააგენტოების მასალებით: ფრანგული „ჰავასი“, გერმანული „ვოლფი“, ინგლისური „რეიტერი“, იტალიური „სტიფანო“ და რუსული „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო“, 1918 წლის ქართული პრესა ძირითადად ეყრდნობოდა ახალშექმნილ „საქართველოს საინფორმაციო სააგენტო“-ს მიერ მოწოდებულ მასალებს. საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, 1918 წლის ქართული გაზეთების ძირითადი რუბრიკა იყო „ზავის გარშემო“. თუმცა პირველად ჩნდება რუბრიკები: „რადიო დეპეშები“ („სახალხო საქმე“) და „პირდაპირი მავთულით“ („სოციალისტ-რევოლუციონერი“).

ქართული პრესა არსებული საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარე,

შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს გაარკვიოს და მკითხველს მიაწოდოს პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნების დამოკიდებულება მომავალ ზავთან მიმართებაში. პერიოდულ გამოცემათა სიმრავლის მიუხედავად, ამ საკითხს თავისი ფურცლები დაუთმო იმ პერიოდში გამომავალმა ხუთმა გაზეთმა: „კლდე“, „საქართველო“, „სახალხო საქმე“, „შრომა“, „ხალხის მეგობარი“ (ბაქრაძე. 1947. 54-60).

ამიერკავკასიაში პოლიტიკური წელი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკის ჰეგემონიით დაიწყო და დამთავრდა მაშინ, „სახალხო საქმის“ სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც „სოციალ-დემოკრატების მიერ ეროვნული საკითხის მიფუჩეჩება შეუძლებელი გახდა“ („სახალხო საქმე“, 1918, № 81). ამ ხნის განმავლობაში თავისი ხიბლი დაკარგა და თითქოს გახუნდა სოციალისტური ლოზუნგები, ძმობის ერთობის და რევოლუციის იდეები. „ლამაზი ფრაზეოლოგიით ხელოვნურად დაფარული უფსკრულის წინაშე ერთბაშად დადგა ქართველი ერი“ („სახალხო საქმე“, 1918, № 195). ქვეყანას თავად უნდა გადაეწყვიტა თავისი ბედი. „ილუზიის მიტოვება და სინამდვილის აღიარება გეგმის უარყოფას მოითხოვს, ხოლო რა ძნელი საქმეა სოციალ-დემოკრატებისათვის საყვარელი აზრებისა და ფრაზების უარყოფა, ყველამ იცის.“ ირონიულად შენიშნავდა „სახალხო საქმის“ პუბლიცისტი ქრ. რაჭველი-იშვილი სტატიის „მწარე გაკვეთილები“ („სახალხო საქმე“, 1918. № 239) გაზეთი „საქართველო“ კი შემდეგნაირად მიმართავდა მმართველ პარტიას: „თუ ხელთ გიჭირავთ საქმე ამა ქვეყნისა, უნდა მკაფიოდ მიგყავდეთ იგი დასახული მიზნისაკენ და არა ძირს უთხრიდეთ იმ სახელმწიფოებრივ იდეას, რომლის დადგმულ ტახტზე თქვენვე დაგაბრძანათ ბედმა“ („საქართველო“.1918. № 84).

ქართული პრესა ცდილობს ამოხსნას და მკითხველს აუხსნას პირველი მსოფლიო ომისა და ზავის საიდუმლოება და ამ მხრივ ქართულ პრესას, როგორც რუსეთის იმპერიული მარწმუნებლისგან ახალგანთავისუფლებული დამოუკიდებელი ქვეყნის პრესას, განსაკუთრებით აინტერესებს მისი დიდი მეზობლის მომავალი ზავთან მიმართებაში.

ამ საკითხისადმი ქართული პარტიული პრესის დამოკიდებულება მათი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვაგვარი იყო. სოციალისტთა აზრით, ინგლის-ამერიკის კოალიციამ დაამარცხა თავიანთი მეტოქე, მაგრამ გამარჯვებულ იმპერიალიზმს სხვა მტერი მოევლინა, რომელიც ცდილობს არა მარტო იმპერიალიზმის შესუსტებას, არამედ ემუქრება მის არსებობას. მოკავშირეები განგებ აგვიანებენ ზავის ჩამოგდებას. რადგან მანამდე სურთ რევოლუციური ცეცხლის ჩაქრობა გერმანიასა და რუსეთში. „ამერიკა, რომელიც თითქოს დემოკრატიის პრინციპების დასაცავად ჩაერია ომში და რომელმაც უილსონის პირით წამოაყენა ხალხთა ლიგის დაარსების მოთხოვნა. დღეს აცხადებს, რომ ლიგა მომავლის საქმეაო და ჯერ აშშ-ს სამხედრო ძალების გაძლიერებაა საჭირო. ყველა ეს ფაქტი აშკარად გვეუბნება, რომ იმპერიალიზმი პირდაპირ ომს უცხადებს რევოლუციურ მოძრაობას“ („შრომა“, 1918, № 90).

მსოფლიო რეაქციის ბურჯად დღეს ამერიკა გამოდის. „ამერიკის მსხვილი ფინანსისტები მთელი ქვეყნის მბრძანებლობას ლამობენ და სამხედრო ფლოტის გაძლიერების იმ პროგრამას, რომელიც 3 წლის უკან შეიმუშავეს. ამერიკის გამარჯვებულ იმპერიალიზმს ახალი პერსპექტივები ეხატება. მაგრამ ეს ოცნება უტოპია იქნება თუ ჩანასახშივე არ ჩაკლავდნენ რევოლუციას. ეს მათ კარგად ესმით, ამიტო

ზომებიც მიიღეს, და ამიტომ გერმანიას მოსთხოვეს რევლუციური დემოკრატიის სრული განიარაღება, რაც გერმანიას დიდ ზიანს მოუტანს. იგივეს აკეთებენ რუსეთში. ჯარები გადმოსხეს უკრაინაშიც და ცდილობს ძველი რუსეთის მთლიანობის აღდგენას“. ავტორის აზრით, ეკონომიურად რუსეთი საუკეთესო ბაზარია კაპიტალისტებისათვის. რუსეთი თუ აღდგება მათ მიერ დასახული გეგმით, ეს ცენტრალურ ევროპაში სოციალისტურ რევოლუციებს შეაფერხებს. ამიტომ ავტორის დასკვნით, „საერთაშორისო დემოკრატიამ მთელი ძალები უნდა მოიკრიბოს, რომ საბოლოოდ გაგლიჯოს მონობის ჯაჭვები და თავისი ისტორიული მისია პირნათლად შეასრულოს“ („შრომა“, 1918, 87).

სოციალისტებისგან განსხვავებით ეროვნულ-დემოკრატთა აზრით, თუ ომი გერმანიის დამარცხებით დამთავრდა – ეს იქნება ამერიკული სამხედრო და სახელმწიფო ორგანიზაციების გამარჯვება. „ამერიკას სურს კაცობრიობისათვის უნახავი ზავი -- ისეთი ზავი დაამყაროს, რომ შემდეგში ომები აღარ იყოს. თუმცა თვით ვილსონის საზავო პირობები ორჭოფულია და ერთადერთი მსაჯული სადაო კითხვებისა ალბათ თვით ავტორი – ამერიკის ჯარი იქნება. მაგრამ ორივე მებრძოლს – ფეოდალ ვილჰელმს და ბურჟუა უილსონს ერთი საერთო მტერი ყავთ – მუჟიკი ლენინი, რომლის პოლიტიკაა ყველა იმ ყაჩაღი ხალხის, რომელსაც არაფერი აბადიათ. იმედი აქვთ შეძლებული ხალხის სიმდიდრის გაყოფისა და ხელში ჩაგდებასა. რედაქციის აზრით, „რუსეთის „რევოლუციის“ და ანარქიის ბედი ეწევა ყველა იმ სახელმწიფოს, რომლებიც ომს ვერ შეძლებენ და ზავს კი ჩამორჩებიან ვილსონის წარმოსახვისათვის. და თუ ამერიკას ლენინის სოციალიზმი არ აშინებს, მას ლენინზე საშინელი ყარაული ყავს. მეზობელ კუნძულზე ყვითელი რასა – იაპონია ჩინეთი. რომელიც სწორედ დღეს რუსეთში ლენინის გვარდიის როლს თამაშობს. თუ საფრანგეთ-ინგლის-ამერიკა და მთელი თეთრი რასა არ დასთანხმდა კომპრომისულ ზავს დამარცხებულ რუსეთსა და სხვა ქვეყნების ხარჯზე და ომი ვილსონის სამოთხის მოსვლამდე განაგრძეს ლენინიანადაც და იაპონიანადაც ის დაემართება, რაც თავის დროზე რუსეთს დაემართა“ დაასკვნის რედაქცია („კლდე“, 1918, № 5).

ისტორიის თანახმად, მთელი 1918 წლის განმავლობაში ლენინის რუსეთი უილსონის მთავარ პრობლემად დარჩა. პრობლემა ორი სახის იყო: 1. უილსონმა ვერა და ვერ გადანყვიტა შეერთებოდა თუ არა ინგლისს და საფრანგეთს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მათ ინტერვენციაში და 2. თუ როგორ დაემტკიცებინა მსოფლიოსთვის, რომ მხოლოდ ლიბერალური ამერიკა იყო მსოფლიო ხალხების თვითგამორკვევის ჭეშმარიტი ქომაგი და არა ბოლშევიკური რუსეთი. უილსონის მოკავშირეების საიდუმლო იმპერიალისტური ხასიათის ხელშეკრულების გამოქვეყნებით და ერთა თვითგამორკვევის თავისეული პრინციპის გაცხადებით ლენინმა უილსონს ხელიდან ყველაზე უფრო მსუყე ლიბერალური იდეა გამოჰგლიჯა (ქენქაძე. 2008. 104-105).

პირველმა მსოფლიო ომმა და, რაც მთავარია, დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ქართული ეროვნული აზროვნება კიდევ უფრო გაააქტიურა და იგი სამშობლოს სამსახურში ჩააყენა, რაშიც გარკვეული დამსახურება პრესასაც მიუძღვის.

„ვილსონის პრინციპები პატარა საქართველოსაც გარანტიას აძლევს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გამტკიცებისათვის“ („სახალხო საქმე“, 1918, № 372) – აი ქართული პრესის მთავარი თეზისი.

რედაქცია იმედიანად და უკვე რეალურად შეჰყურებს რა მომავალ ზავს, მიიჩნ-

ნევს: „გულუბრყვილობა იქნება ჩვენის მხრით იმის მტკიცება, რომ აშშ მხოლოდ ჰუმანური მოსაზრებით ხელმძღვანელობს ზავის დროს, ევროპა ომმა სისხლისგან დასცალა და დალაღა. იმ რეალურ ძალთა განწყობილების გამო, რომელიც დღეს მსოფლიოში შეიქმნა, აშშ-ს შეუძლია თითქმის უბრძოლველად და უომრად მსოფლიოს თავისი პირობები მოახვიოს. უილსონის 14 პუნქტი ბევრნაირად შეიძლება იყოს გამოყენებული. უილსონის პროგრამაზე დათანხმება თავისთავად ნიშნავს ამერიკის ჰეგემონიის აღიარებას“. კერძოდ რედაქციისათვის ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მუხლს, სადაც საუბარია ერთა თვითგამორკვევაზე. „ეს ფორმულა ყოველთვის ყოფილა და ეხლაც არის, მხოლოდ ფრაზა, რომელსაც ყველანაირი შინაარსი შეიძლება მიეცეს. იმისდამიხედვით თუ რა ძალთა განლაგებაა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. უილსონის საზომით საქართველოს სრული უფლება უნდა ჰქონდეს და აქვს დამოუკიდებლად არსებობისა. საერთაშორისო მდგომარეობიდან თუ შევხედავთ, ჩვენც და ევროპამაც ანგარიში უნდა გაუწიოს ისეთ ფაქტორს, როგორც არის გერმანიის მფარველობა. გერმანია მოვიდა ჩვენთან როგორც სტუმარი ჩვენივე თხოვნით და ევროპაც იძულებული გახდება ამ ფაქტს ანგარიში გაუწიოს“. გაზეთის აზრით, ევროპას არ შეუძლია არც გერმანიას და არც საქართველოს მიწუსად ჩაუთვალოს ის, რომ „შეერთებულისა და შეთანხმებულის ძალდონით ქვეყანა გადაარჩინოს ბოლშევიკური რღვევა-რბევისა და ოსმალეთის აოხრებისაგან. ქართველი ერი საბედისწერო მომენტის წინაშე იდგა და მან უყოყმანოდ აირჩია გზა გერმანიასთან შეთანხმებისა – ქვეყნის გადასარჩენად“. საერთაშორისო მდგომარეობის და არსებული ფაქტორების გათვალისწინებით, რედაქცია იმედს იტოვებს, რომ „როდესაც საქართველო აუცილებლად წარსდგება ევროპის წინაშე როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული ერი, რომელსაც თავისუფლებისთვის ბრძოლის დროს არც ერთხელ არავის უფლება არ შეუზღუდავს და არჩეული ნეიტრალიტეტი არ დაურღვევია თავისუფლად შეუძლია უთხრას ევროპას, რომ მე მხოლოდ ჩემი თავისუფლებისათვის ვიბრძოდი. თუ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს რაიმე გასავალი ექნება, ამ პრინციპის მიხედვით უპირველეს ყოვლისა უნდა მოეწეოს საქართველო“ („სახალხო საქმე“, 1918, № 367).

ქართული პრესა სწორად აცნობიერებს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალ საერთაშორისო ზავს საქართველოს პოლიტიკური მომავლისათვის და ამის მიზეზებს მკითხველს აცნობს. კერძოდ, საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზავის ჩამოგდებას და მშიდობიან ცხოვრებას. იურიდიულად საქართველო ნეიტრალური ქვეყანაა, რაც დამოუკიდებლობის პირველ დღესვე გამოაცხადა. „მართალია, ჩვენ პირდაპირ არცერთ კოალაციაში არ ვიღებთ მონაწილეობას, მაგრამ ჩვენი სუსტი ეკონომიკა, მრეწველობა, და სახელმწიფოებრივი განვითარება მოითხოვს რომ ჩვენ გარშემო ქაოსი არ იყოს. ამიტომ რაც შეიძლება მალე ზავი – აი ჩვენი მიზანი, ვინაიდან დღეს ჩვენი დამოუკიდებლობა ყველას წარმავალი ჰგონია. განსაკუთრებით იმ უცხოელებს, რომლებიც ჩვენში დაბანაკებულან და წყალს ამღვრევენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა მრავალმა ქვეყანამ აღიარა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა ჯერჯერობით საბოლოოდ კიდევ არაა გამორკვეული. სამშვიდობო კონფერენციის შემდეგ, როცა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა გამოირკვევა, ჩვენს შინაურ და გარეშე მტრებს ერთხელ და სამუდამოდ ლაგამი ამოედება“. რედაქცია სწორად საზღვრავს, „ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ წელს

ომი დამთავრდება. ბოლო ცნობით, გერმანია და ავსტრია-უნგრეთი დათანხმდა ამერიკის ყველა მოთხოვნებს, ამიტომ გატანჯული კაცობრიობისა და პატარა საქართველოსათვის ზავი ახლოვდება“ დაასკვნის რედაქცია („სახალხო საქმე“, 1918, № 372).

პრესა ანალიზებს რა საქართველოს მყიფე დამოუკიდებლობას, მთავრობას მეტი სიფხიზლის და სწრაფი მოქმედებისკენ მოუწოდებს. რედაქციის აზრით, ანტანტის ბლოკის მთელი ძალა მიმართულია იქითკენ, რომ გერმანიის იზოლაცია მოახდინონ. ამის საფუძველს იძლევა ოსმალეთის მაგალითი, რომელმაც სეპარატული ზავი დადო ინგლისთან და დარდანელის განმენდა დაიწყო მინებისაგან. ინგლისის ესკადრის შემოსვლა შავ ზღვაზე სულ სხვა პირობებში აყენებს საქართველოს. ინგლისისთვისაც არ უნდა იყოს სასარგებლო და სასურველი საქართველოს პოლიტიკური სიკვდილი. რადგან ამიერკავკასიაში მხოლოდ საქართველოს შეუძლია იყოს ისეთი სახელმწიფო, რომელიც გამოდგება ევროპული გზებისთვის კავკასიაში. „მართალია უილსონის ნოტაში არაა ნახსენები ჩვენი ქვეყანა, მაგრამ არა იმიტომ რომ მისი საკითხი გადანყვეტილია რუსეთის სასარგებლოდ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვერ შევძელით ან უკეთ ვერ მოვასწარით, მისი საერთაშორისო საკითხად გახდომა. ევროპაში გადადგმული ნაბიჯები იმედს იძლევა, რომ საქართველო აღარ გახდება რუსეთის პროვინცია. ამიტომ ჩვენი მთავრობის ვალაია მომზადებული შეხვდეს ყოველგვარ კომბინაციას და მოხერხებული მესაჭესავით ავიცილოთ ჩვენი პატარა ნავი დამსხვრევას. მთავარია ინგლისთან ჩვენი პოლიტიკა იყოს ქართული – საქართველოს სახელმწიფოს სასარგებლოდ მიმართული. ჩვენც ამისთვის ბევრი გარემოება გვინყობს ხელს, თუ დროზე მოვასწარით ფარის ხმარება“ – დაასკვნის რედაქცია („ხალხის მეგობარი“, 1918, № 298).

ქართული პრესა საზოგადოებას მთავრობის სამოქმედო გეგმების შესახებ თავის მოსაზრებებს სთავაზობს. „საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი მოსარჩელე ძალამ – გერმანიამ ძლიერება დაკარგა. ბუნებრივია ჩვენი საგარეო მდგომარეობაც შეირყა. დღეს ჩვენი ბედი იმაზეა დამოკიდებული თუ რა პოზიციას დაიკავებენ შეთანხმების სახელმწიფოები. ჩვენთან ბევრს აშინებს ის, რომ ანტანტა რუსეთის მოკავშირეა. ამ დასკვნით თითქოს ინგლისი და აშშ რუსეთს დაეხმარება ჩვენი თავისუფლების დამხობაში. ასეთი შიში უადგილოა. რუსეთ-ინგლისის ინტერესები არც თუ ისე შეთანხმებულია, რომ ეს ნაბიჯი გადიდგას. ამიტომ ამ მხრივ დიდი მუშაობაა საჭირო. არ უნდა დავკმაყოფილდეთ მარტო ინგლის-საგრანგეთის აქ ჩამოსულ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებით. ენერგიული მუშაობა უნდა გავაჩალოთ პარიზსა, ლონდონში და ნიუ-იორკში. უნდა დავიხმაროთ იქაური გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები და უნდა შევქმნათ ჩვენთვის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრი“ – მიიჩნევს რედაქცია („ხალხის მეგობარი“, 1918, № 298).

არსებული საერთაშორისო მდგომარეობის ვრცელი ანალიზის საფუძველზე არ. ჯაჯანაშვილის წერილში გამოთქმულია შორსმჭვრეტელო პოლიტიკური პროგნოზი, რაც ქართული პრესის მაღალკვალიფიციურობაზე მეტყველებს. ავტორის შეფასებით, როდესაც საქართველოს პოლიტიკური წრეები გერმანიას უკავშირებდნენ მომავალს, თავის იმედებს ინტერესთა იმ სხვადასხვაობაზე ამყარებდნენ, რომელიც გერმანიასა და ოსმალეთს შორის არსებობდა. გერმანიას არ უნდოდა, რომ საქართველო ოსმალეთის სათარეშოდ გადაქცეულიყო. მეორეს მხრივ, გერმანია დაინტერესებული იყო, რომ რუსეთის სამხრეთში მისი მომავალი ალორძინების წინააღმდეგობისათვის

კედელი აღმართულიყო და ამ კედლად საქართველო უნდა ქცეულიყო. სწორედ ამ ორ ცხადად ჩამოყალიბებული ინტერესის წყალობით, გერმანია გამოექომაგა საქართველოს და ხელი შეუწყო მის დამოუკიდებლობას. მართალია, დღეს მსოფლიო ორ დიდ კოალიციად არის დაყოფილი, მაგრამ არცერთის შიგნით არ არსებობს ინტერესთა თანხვედრა და რაც უფრო მეტი დრო გაივლის და რაც უფრო ჩამოშორდება მათ საერთო მტრის საშიშროება, მით უფრო ცხადი გახდება კოალიციის შიგნით არსებული უთანხმოება და ინტერესთა დაპირისპირება. აშშ-იაპონიის ინტერესთა თანხვედრა ვერ მოხდება. ხოლო თუ ინგლისმა დაინახა, რომ ამერიკის ჰეგემონია ზღვაზე გაიზარდა, ამერიკის წინააღმდეგ ინგლისის მოკავშირედ შეიძლება იაპონია გახდეს, აშშ-ც კარგად იგრძნობს ინგლისი და მასთან შეთანხმებული იაპონია თუ რა საშიშროება იქნება მისთვის და აუცილებლად ეცდება მათ ახალი ძალა დაუყენოს წინ. და ასეთ ძალად ავტორის აზრით, სწორედ ძლიერი რუსეთი უნდა გადაიქცეს, რომელსაც ამერიკა აღმართავს ინგლისსა და იაპონიის წინააღმდეგ. „მიუხედავად დიდი ზეიმით გამოცხადებული პროგრამისა, რომ ყოველ ერს უნდა მიენიჭოს თვითგამორკვევის უფლება, ამერიკა მაინც უმჯობესად ცნობს მომავალ კონფერენციაზე დაინახოს წარმომადგენელნი „მთელი რუსეთისა“, რაც ასე უნდა გავიგოთ: ამერიკა არ სცნობს რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს და სურს კონფერენციაზე იხილოს არა მთელი, არამედ მთლიანი რუსეთი, თუნდაც ეს აშკარად ეწინააღმდეგებოდეს ამერიკის მიერ წამოყენებულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. მაგრამ რამდენადაც დაჟინებით მოითხოვს აშშ ამას, მით უფრო ცხადი იქნება ინგლისის სამოქმედო ხაზი, რომელმაც ერთი კონკურენტი გერმანია კი ჩამოიშორა, მაგრამ აღარ მოისურვებს ახალი კონკურენტებს – აშშ-ს და ძლიერ რუსეთს. ამიტომ რუსეთი ინგლისისთვის საინტერესოა როგორც ეკონომიური ექსპლუატაციის სივრცე და არა მისი აღდგენა იმპერიის საზღვრებში. ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს ინგლის-ამერიკა სხვადასხვანაირად შეხედავენ. ამრიგად, ზოგიერთთა მოსაზრება, რომ საქართველო-გერმანიის მეგობრობა ინგლისის მტრული განწყობის საბაზად იქცევა, უსაფუძვლოა. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენ მომავალს უიმედოდ ვუცქიროთ, კონფერენცია საფუძვლიანად შეცვლის ძალთა განწყობილებას, ამიტომ საჭიროა შინაგანი ორგანიზაციის განმტკიცება. და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა იმ დროისათვის, როცა ეს საკითხი საერთაშორისო კონფერენციაზე დაისმება“ („სახალხო საქმე“, 1918, № 373).

ამრიგად, 1918 წლის ქართული პრესის მასალების დეტალური ანალიზი საშუალებას იძლევა დასკვნისა:

პირველ მსოფლიო ომმა და, რაც მთავარია, დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, ქართული ეროვნული აზროვნება კიდევ უფრო გაააქტიურა და იგი სამშობლოს სამსახურში ჩააყენა, რაშიც გარკვეული დამსახურება პრესასაც მიუძღვის.

1918 წლის ქართული პერიოდიკა, შესაძლებლობის ფარგლებში გვევლინება, როგორც მონაწილე, მონშე, აქტიური ზედამხედველი და ანალიტიკოსი მიმდინარე საერთაშორისო მოვლენებისა.

ქართული პრესა შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს მკთხველს აუხსნას პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნების დამოუკიდებულება ზავთან მიმართებაში.

ქართული პრესა სწორად აცნობიერებს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ზავს საქართველოს პოლიტიკური მომავლისთვის და ამის მიზეზებს აცნობს მკითხველს.

ქართულ პრესას, როგორც რუსეთის იმპერიული მარწუხებისგან ახალგანთავისუფლებული დამოუკიდებელი ქვეყნის პრესას, განსაკუთრებით აინტერესებს მისი დიდი მეზობლის მომავალი ზავთან მიმართებაში.

ქართული პრესა აანალიზებს რა საქართველოს მყიფე დამოუკიდებლობას, მთავრობას მეტი სიფხიზლისა და სწრაფი მოქმედებისკენ მოუწოდებს და საზოგადოებას მთავრობის სამოქმედო გეგმების შესახებ თავის მოსაზრებებს სთავაზობს.

ქართველ პუბლიცისტთა წერილებში გაშუქებულია, დაკავშირებულია, გავლენებულია პარალელები და გაკეთებულია დასკვნები საქართველოსთვის მტკიცეულ საკითხებზე.

ამდენად, დღევანდელი გადასახედიდან, კიდევ უფრო მეტად აქტუალური და საინტერესოა, თუ როგორ აისახა 1918 წლის მსოფლიო ისტორიული მოვლენები საერთაშორისო პრესის და სააგენტოების მასალები ქართულ გამოცემებში. თანამედროვე ეტაპზე თემის აქტუალურობა იმ ფაქტითაცაა განპირობებული, რომ ის საერთაშორისო ნორმები, მათი მიღება და დაცვა, რომელიც საუკუნის დასაწყისში, ჯერ მხოლოდ ფეხს იკიდებდა, თანამედროვე საზოგადოებაში კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება. დღევანდელ პირობებში, დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ძირითადი პრინციპი მშვიდობის შენარჩუნება და ყველა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მთავარ ინტერესს და საკვლევ საკითხს წარმოადგენს პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლის საერთაშორისო მოვლენების შეფასება და ანალიზი ქართული პრესის მასალებზე დაყრდნობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაქრაძე გ., „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ – 1819-1946, თსუ, თბილისი, 1947, გვ. 54-60
- სარედაქციო სტატია, „ზავის პერსპექტივები“, „კლდე“ – № 5, 1918, 13 ოქტომბერი, გვ. 1
- „რაე“ ფსევდონიმი. „სადღეისო“, „საქართველო“, № 84, 1918, 1 მაისი, გვ. 2
- სარედაქციო სტატია, „სახალხო საქმე“, № 81, 1918, 21 თებერვალი, გვ. 1
- სარედაქციო სტატია, „სახალხო საქმე“, № 195, 1918, 9 აპრილი, გვ. 1
- რაჭველიშვილი ქ., „მწარე გაკვეთილები“, „სახალხო საქმე“, № 239, 1918, 23 მაისი, გვ. 2
- სარედაქციო სტატია, „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო“, „სახალხო საქმე“, № 367, 1918, 26 ოქტომბერი, გვ. 2
- სარედაქციო სტატია, „ზავის საკითხი“, „სახალხო საქმე“, № 372, 1918, 1 ნოემბერი, გვ. 1
- ჯაჯანაშვილი, არ., „ინტერესთა წინააღმდეგობა“, „სახალხო საქმე“, № 373, 1918, 2 ნოემბერი, გვ. 2
- ქენქაძე ე., „აშშ-ს საგარეო პოლიტიკური ისტორია“, თსუ, თბილისი, 2008, გვ. 104-105
- „კალმისტარი“ . ფსევდონიმი, „იმპერიალიზმი და რევოლუცია“. „შრომა“, № 90, 1918, 1 დეკემბერი, გვ. 2

- „ლილიანი“ . ფსევდონიმი (1918. 2 7 ნოემბერი) „საერთაშორისო მდგომარეობა“, „შრომა“ № 87, გვ. 1
- სარედაქციო სტატია. (1918. 5 ნოემბერი) „ახალი ხანა და ახალი პოლიტიკა“. „ხალხის მეგობარი“ № 298, გვ.1
- „გ-კე“. ფსევდონიმი. (1918. 5 ნოემბერი). „რა იქნება?“. „ხალხის მეგობარი“ № 298, გვ. 2

Maia Machavariani
Professor
University of Georgia

PARIS TRUCE IN 1918 ON THE PAGES OF GEORGIAN NEWSPAPERS

Summary

By gathering and analyzing the data obtained from various sources: namely from historical research, Censorship Committee and archived materials, we can maintain that the total number of magazines and newspapers published in 1918 in Georgia was 49 (out of which 28 were newspapers and 21 magazines).

The main objective of the present research was to appraise the part of Georgian press materials published in 1918 precisely describing the political, socio-economic situation and the situation of the armed forces of Europe by the end of World War I and its influence on international processes. Based on the above performed appraisal, Georgian press and its influence on formation of the public opinion was analyzed.

The issue was given due consideration by almost all the major newspapers published at that time; later Georgian newspapers „the Klde“, „the Saqartvelo“ „the Sakhalkho Saqme“, „the Shroma“, and „Khalkhis Megobari“ started publishing comprehensive articles by Georgian authors whose ideas were based on the materials and thinking of foreign journalists. Analysis and evaluation of these materials allows highlighting the role played by the Georgian press in the global processes and its impartiality.

Analysis of the researched material makes it clear that newspapers having different political stance give fair evaluations of the ongoing processes and make forecasts, the accuracy of which speaks for their professionalism, which is further proved by later developments in history.

The Georgian press of that time pays special attention to the relationship of young, independent Georgia with Europe, which is why it paid special attention to the first steps taken towards establishing, further strengthening and reinforcing the relationship of the two parties.

Georgian historiography has not fully studied publications of Georgian press of 1918 on Europe's and Russia's political orientation and attitude to the Truce. Therefore, the present article is a modest endeavor of studying these drawbacks of Georgian historiography.

ტარიელ ფუტკარაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

საქართველოს მენშევიკური და ბოლშევიკური მთავრობები
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ავტონომიის შექმნის შესახებ

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისის მიხედვით, 1921 წლის 16 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის საფუძველია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია; მაგ., საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ:

აჭარის ავტონომიის იდეა „პოპულარული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.). აჭარის ავტონომია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში დადასტურდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით, თუმცა, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო იგი პრაქტიკულად არ განხორციელდა“ (საქართველოს ისტორია 2003, გვ. 114). სხვა ავტორების აზრითაც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებისა და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მიერ 1919 წლის 31 აგვისტოს ორგანიზებული ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად¹.

ვფიქრობ, ამგვარი მიდგომა გადასასინჯია, რამდენადაც, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“ და საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიზანი იყო არა მხოლოდ აჭარის, არამედ ოსმალეთის მიერ ოკუპირებული მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. საქართველოს პირველი დემოკრატიული ხელისუფლების პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა ოსმალეთის მიერ ოკუპირებული ისტორიული საქართველოს ტერიტორიის შემოერთებას (და არა მხოლოდ აჭარის შემოერთებას, როგორც ეს ჰგონია ბევრ ძველ თუ ახალ ავტორს; იხ., მაგ.: კე-დია 2001; ნ. ვერძაძე, 2002...). ჟორდანია-რამიშვილის ხელისუფლებამ ამ მიმართულებით ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა; კერძოდ:

– საქართველოს ეროვნული საბჭოს მხარდაჭერით 1918 წლის 15 მაისს საქართველოს დედაქალაქში დაარსდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“;

– საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების მხარდაჭერით 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში ჩატარდა სამუსლიმანო საქართველოს დელეგატთა ყრილობა, რომელმაც მოითხოვა არა მხოლოდ აჭარის, არამედ ოსმალეთის მიერ ოკუპირებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს – ბათუმის მხარის, კერძოდ, ბათუმისა და ართვინის ოლქების, ტრაპიზონის, არტაანისა და ყარსის ოლქების ნაწილის – შეერთება საქართველოსთან ფართო ავტონომიის უფლებით. დადგენილების შესა-

1 იხ., უ. ოქროპირიძე 2011, გვ. 221; ნ. დაშინანი 2013, გვ. 185 და სხვ.

ბამისად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში შევიდა შემდეგი ჩანაწერი:

„თავი 11. ავტონომიური მმართველობა; მუხლი 107: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს სოხუმის ოლქი, **სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე)** და ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 108. წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებელ იქნება ცალკე კანონით“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული /1918-1921/, 1990, გვ. 476).

შდრ.: საქართველოში ბოლშევიკურმა საოკუპაციო რეჟიმმა 1921 წლის 16 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შექმნა რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის ანტიქართული ხელშეკრულების შესაბამისად და გაცილებით მცირე ტერიტორიაზე.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია საქართველოს მენშევიკური მთავრობისა და საქართველოში ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის მიდგომებს შორის არსებული არსებითი სხვაობების წარმოჩენა საარქივო მასალებზე დაყრდნობით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“. 1918 წლის აპრილში ბათუმში ოსმალეთის საოკუპაციო ჯარის შესვლის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან (საქართველოსთან) დაბრუნების მოსურნე სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთა აქტიურმა ნაწილმა დატოვა ოსმალეთის მიერ ხელახლა ოკუპირებული ტერიტორია და თბილისს შეაფარა თავი. მათ კარგად იცოდნენ როგორც მშობლიური მხარის, ასევე, ზოგადად, საქართველოს ისტორია; შესაბამისად, თავიანთი ქართველობის (/ეთნიკური მეობის) გადარჩენის პერსპექტივას მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ხედავდნენ. ოსმალურ ოკუპაციას გამორიდებულმა მუსლიმანმა ქართველებმა 1918 წლის 15 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს ხელშეწყობით² საქართველოს დედაქალაქში დაარსეს **„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“**. თავმჯდომარედ აირჩიეს ოსმალეთში ტყვედ მყოფი მემედ აბაშიძე; წევრებად: ჰ. აბაშიძე (მოადგილე), ს. დიასამიძე (მდივანი), ხ. თხილაიშვილი, კ. შერვაშიძე, ზ. აბაშიძე, ს. ბაჟანიძე, ქ. ნოლაიძე, ი. ქათამაძე და სხვ. კომიტეტმა თავისი პოლიტიკური მრწამსი ჩამოაყალიბა დოკუმენტში: „პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“, რომელიც 3 თავისა და 79 მუხლისაგან შედგებოდა. პროგრამას თავიდან ბოლომდე ლაიტმოტივად გასდევდა სამუსლიმანო საქართველოს დედასამშობლოსთან შეერთების იდეა³.

1920 წლის თებერვალში ბათუმში სტუმრად მყოფი ახმედ ჯევადის⁴ ცნობით, ბათუმში არსებული ისლამისტების (სედაი მილეთის) პარტია „სამუსლიმანო საქა-

2 ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჰაიდარ აბაშიძის წერილები.

3 დოკუმენტისათვის ანალიზისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: უ. ოქროპირიძე 2011: 124.

4 1920 წელს გამოქვეყნებულ მასალაშია ახმედ ჯევადი; დღეს ცნობილია, როგორც აჰმედ ჯავადი – ჯავად მამადალი-ოღლუ ახუნდზადე (აზერბაიჯანელი პოეტი).

რთველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“ „საქართველოდან დიდძალი ფულის მიღებისათვის ამტყუნებდა“; ახმედ ჯევადი იქვე წერს: „მემედ-ბეგის მბრძანებლობაში საქართველოს ორი ავტონომილი იმყოფება“ (ახმედ ჯევადი 1920). მისივე ცნობით, მემედ-ბეგ აბაშიძე ქართველი ნაციონალისტი; მის მიერ დაფუძნებულ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“ მიზნად აქვს ფართო ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო მის მონინაალმდევე პარტიას – სედაი მილეთს ანუ ისლამისტების პარტიას სურს სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის, ართვინის, ყარსისა და არტაანის ოლქები) ავტონომია ოსმალეთის შემადგენლობაში (აჰმედ ჯევადის შესახებ ვრცლად იხ. მ. ჩოხარაძე 2010).

ლოგიკურია დაეუშვათ, რომ საქართველოს დედაქალაქში დაფუძნებული „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომელსაც ეროვნული საბჭოსგან ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდა, ეროვნულ საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ აყალიბებდა კომიტეტის ნაბიჯებსა და მთავარ მიზანს – ოსმალეთის მიერ ოკუპირებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს – აჭარა-ქობულეთის, მაჭახელას, ლივანას, ჭანეთის (ლაზეთის) დიდი ნაწილის, შავშეთ-იმერხევის, ტაოს დიდი ნაწილის – შემოერთებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და „ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების“ ყრილობა. 1919 წლის დასაწყისიდანვე „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება შეთანხმებულად მოქმედებდნენ ტაო-კლარჯეთისა და აჭარის ხეობებიდან „ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების“ ყრილობის⁵ დელეგატთა ჩამოსაყვანად. ისინი თანამშრობლობდნენ, ასევე, 31 მარტის ყრილობის დადგენილებების მომზადების პროცესში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ 1919 წლის 31 აგვისტოსა და 1 სექტემბრის ყრილობას დაესწრნენ **საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები: საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე⁶** და ცნობილი ქართველი პატრიოტები: სამსონ ფირცხალავა, პეტრე სურგულაძე. არსებითია ისიც, რომ პავლე საყვარელიძის არქივში აღმოჩნდა ამ ორდღიანი ყრილობის დადგენილებების განსხვავებული პროექტები (იხ. ქვემოთ).

31 აგვისტოს ყრილობას დელეგატები ესწრებოდნენ ბათუმისა და ართვინის ოლქიდან; ასევე, დიდი ალბათობით, ლაზეთიდან – ხოფა-რიზესა⁷ და არტაანის

5 ამ ყრილობის ჩატარება აუცილებელი იყო იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოლაპარაკების დროს გაბათილებულიყო 1918 წელს ოსმალეთის ოკუპაციის პირობებში თურქი მოხელეების მიერ სამუსლიმანო საქართველოში ჩატარებული ე.წ. (გაყალბებული) პლებისციტის შედეგები.

6 1918 წლის 6 ივნისს ეროვნულმა საბჭომ სხდომაზე დაამტკიცა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენი კომისია“. თავდაპირველად ამ კომისიის მდივანი იყო სოციალ-დემოკრატი პავლე საყვარელიძე; შდრ.: კომისიის შემადგენლობა: ნოე ჟორდანიას, სერგი ჯაფარიძე, რაჟდენ არსენიძე, პავლე საყვარელიძე, ივანე ჩერქეზიშვილი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ რცხილაძე, კონსტანტინე მაყაშვილი, სამსონ დადიანი. მოგვიანებით პავლე საყვარელიძე დაინიშნა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორად, რის გამოც მან დატოვა კომისიის მდივნის თანამდებობა; შემდეგ პავლე საყვარელიძე გახდა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე.

7 ლაზეთის (რიზეს ჩათვლით) ქართველობის შესახებ მსჯელობისათვის იხ.: აბაშიძე 2002, გვ. 11

(არდააჰანის) მხარეებიდანაც⁸; შესაბამისად, ყრილობის დოკუმენტებში გამოყენებული დასახელება: „ბათუმის ოლქი“ უთოდ გულისხმობს „ბათუმის მხარეს“ (და ეს დაზუსტებულიცაა 1921 წლის კონსტიტუციაში!)⁹.

ბათუმის მხარის წარმომადგენელთა ყრილობამ აირჩია სამუსლიმანო საქართველოს მეფლის (საბჭო) მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით და ერთხმად დაადგინა ბათუმისა და ართვინის ოლქების (აჭარა, ბორჩხა, ართვინი, შავშეთი და ტაოს დიდი ნაწილი) შემოერთება დანარჩენ საქართველოსთან ავტონომიის საფუძველზე; ყრილობამ თავისი დელეგაცია გააგზავნა პარიზის საზავო კონფერენციაზე. მრავლისმეტყველი ფაქტია ისიც, რომ ბათუმში მიღებული ორივე დადგენილება საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაადასტურა 1 სექტემბერსვე.

1919 წლის 31 აგვისტოს ყრილობის პირველი დადგენილების სამი ვარიანტი არსებობს; ამათგან ხელმოწერილი ორი ვარიანტი დაცულია თბილისში, პავლე საყვარელიძის არქივში; მესამე ვარიანტს კი ხელი მოეწერა ბათუმში ყრილობის დელეგატთა მიერ. ხელმოწერილი ვარიანტი არსებითად იმეორებს თბილისში დაცული პროექტების დებულებებს, მაგრამ **მათგან განსხვავდება ავტონომიის მოთხოვნით**. როგორც ჩანს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აპირებდა, ავტონომიის დაფიქსირების გარეშე შემოეერთებინა ოსმალეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ისტორიული ტერიტორია, მაგრამ **ხელისუფლების ზოგი წარმომადგენლის მიერ ავტონომიის იდეის გაუღერების შემდეგ**, ადგილობრივ ელიტალურ წრეში აქტუალური გახდა ოკუპირებული მხარის შემოერთება ავტონომიის ფორმატით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პავლე საყვარელიძის არქივში დაცული ვრცელი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს 1919 წლის პირველ ნახევარში ბათუმში, ზოგადად, სამუსლიმანო საქართველოში მიმდინარე პროცესების დეტალურ ანალიზს. წერილი გაგზავნილია ბათუმიდან თბილისში 1919 წლის 21 ივლისს; ადრესატები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; ასლი: საგარეო საქმეთა მინისტრს და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარეს სილიბისტრო ჯიბლაძეს. საბჭედ მანქანაზე აკრებილ ტექსტს ხელს აწერს კ. გოგოლაძე (ხელმოწერა არ არის მანქანაზე ნაბეჭდი).

წერილიდან აშკარად ჩანს, რომ დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ ბათუმში (სამუსლიმანო საქართველოში) საგანგებოდ წარგზავნილი პირის მიერ (დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში). დავიმოწმებთ ვრცელ ფრაგმენტს ამ საინტერესო და, ჩემი აზრით, მეტად **კვალიფიციური დოკუმენტიდან** (საიდანაც ისიც ჩანს, რომ ავტონომიის იდეა ფაქტობრივად ხელოვნურად იყო პროვოცირებული):

სამუსლიმანო საქართველოში ბევრი პრობლემაა იმიტომ, რომ „ამ ბოლო დრომდე ჩვენ სამუსლიმანო საქართველო სავსებით მივიწყებული გვექონდა; ჩვენს მტრებს

8 პავლე საყვარელიძის არქივში დაცულ ერთ დოკუმენტში (1919 წლის 21 ივლისი), რომლის ადრესატები არიან: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე სილიბისტრო ჯიბლაძე (დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), ვრცელი მსჯელობაა საქართველოში არტაანის ქართველობის ინტეგრაციის პირობების შექმნის შესახებ.

9 რუსულიდან თარგმნილი გეოგრაფიული დასახელებების: ბათუმის მხარისა და ბათუმის ოლქის აღრევის შესახებ იხ.: ტ. ფუტკარაძე 2018

კი არ ეძინათ. **რუსეთის მთავრობა ყოველ ნაირად ცდილობდა, რომ ეს ხალხი ჩვენ არ დაგვეკავშირებოდა. რუსეთის მთავრობა უნერგავდა მათ ჩვენს სიძულვილს** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.), აგონებდა მათ, რომ ისინი ნამდვილი თურქებია. ჩვენ კი ამის სანინალმდეგოთ თითოც არ გაგვინძრევია“ (გვ. 2)... ახლა ერთ მეტის მეტ საყურადღებო რამეზე, – ეს გახლავთ კითხვა ავტონომიისა და არა უბრალო ავტონომიისა, არამედ ფართე ავტონომიისა¹⁰. მე პირადად ამ ლოზუნგის გადასროლა სამუსლიმანო საქართველოსათვის მეტისმეტ სახიფათოთ მიმაჩნია. მარა პირველ ნაციონალურ კრებაზე, რომელსაც ბათუმის ოლქის წარმომადგენლებიც დაესწრენ, აკაკი ჩხენკელმა¹¹ თქვა: „თავისუფალი სამუსლიმანო საქართველო თავისუფალ საქართველოში“ ე. ი. სამუსლიმანო საქართველოს საქართველოში უნდა მიეცეს ავტონომია“. **მას შემდეგ ეს ლოზუნგი მოედო მთელ ბათუმის ოლქს... შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ ეს დაპირება ოფიციალური მიმართვით დაადასტურა** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.). ეხლა ზოგიერთებისაგან მესმის, რომ ეს როგორ შეიძლებაო. გადაჭრით უნდა მოგახსენოთ, რომ ვინმე პასუხისმგებელ პირს რომ ეს წამოსცდეს, ჩვენი საქმე (საქართველოს გაერთიანება – ტ.ფ.) აქ ჩაილურის წყალს დალევეს... ნოე ჟორდანიას სიტყვა აქ სწამთ, როგორც ღვთის სიტყვა და მისი დაპირება აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ვინც ამ დაპირებას ეწინააღმდეგება, ის დათვურ სამსახურს გვინევს... კარგია თუ ავი, ეს უნდა მოხდეს. მე ისიც გადმომიცეს, რომ თითქო ზოგიერთი პასუხის მგებელ პირები მემედ-ბეგ აბაშიძეს ვერ ენდობიან. გარწმუნებთ, რომ ეს დიდათ შემცდარი აზრია. დიახ, მემედ-ბეგი სხვა აზრის იყო. ის ჩვენ აქ წინეთ გვებრძოდა. ეს მე ვიცი და ვიცი არანაკლებ სხვებზე. ამ სხვებზე უფრო მეტიც ვიცი. მარა ჩემთვის ცხადია, რომ ეს კაცი არაა ჩვენი მოლაღატე. ის გულწრფელად, თავგამოდებით ემსახურება იდეას: სამუსლიმანო საქართველო (და არა მხოლოდ აჭარა – ტ.ფ.) უნდა შევიდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში ფართე ავტონომიით. ამ „ფართოზე“ შეიძლება შემდეგ მასთან შეთანხმება. ის შემდეგ ბევრ რამეზე დაგვეთანხმება, ვფიქრობ მე. მარა როგორც **პასუხის მგებელი პირი, როგორც თქვენ მიერ ნდობით აღჭურვილი და აქ სამუშაოდ გამოგზავნილი** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.), გთხოვთ მერწმუნოთ, რომ ის გულწრფელი ჩვენი მომხრეა და მასზე იჭვის შეტანა დიდი დანაშაულია სინდისის წინაშე“ (გვ. 8-9).

საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ავტონომიის შესახებ 1920 წელს საინტერესო ცნობებს გვანვდის პეტრე გელეიშვილიც; მისი აზრითაც, **ავტონომიის თემა არ მოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის წიაღიდან**; თუმცა, ამკარაა, რომ რუსული პროპაგანდით მიზანმიმართულად დაშინებულ მუსლიმან ქართველებს მეტი გარანტიები ესაჭიროებოდათ, დამცავ მექანიზმად კი ავტონომიას ხედავდნენ; დოკუმენტში ვკითხულობთ:

10 აქ და ყველგან დაცულია ავტორის სტილი – ტ.ფ.

11 აკაკი ჩხენკელი 1912 წელს აირჩიეს რუსეთის იმპერიის IV მოწვევის დუმის დეპუტატად ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან და სოხუმის ოკრუგიდან. 1917 წელს იყო რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში. 1917-1918 წლებში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს და მისი აღმასკომის, აგრეთვე საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) წევრი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან საქმეთა მინისტრი 1917-1918 წლებში. 1918 წლის აპრილში იყო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921 წლის იანვარში დაინიშნა საფრანგეთში საქართველოს დესპანად. გარდაიცვალა ემიგრაციაში.

რასაც აქ (ბათუმის მხარეში – ტ.ფ.) ყოველგან და ყველასაგან გაიგონებ, არის ავტონომია. დიდი და პატარა, ბეგი, გლეხი თუ სასულიერო პირი, ნასწავლი თუ უსწავლელი, პირველ გაცნობისთანავე ავტონომიას მოგახლის პირში, ამით დაიწყებს და ამითვე გაათავებს თქვენთან ლაპარაკს. ყველა ასე გაკაპასებით გეუბნება ავტონომიაზე, მაგრამ საკმაოა ცოტა დაუყვავო, ცოტა გადაუკრა სიტყვა იმის შესახებ, რომ ცალკე ავტონომია ბევრ ხარჯს მოითხოვს, თქვენ ამის ატანა არ შეგიძლიათ, ამას ის ემჯობინება, რომ აქაური ხალხის წარმომადგენლები შევიდნენ საქართველოს მთავრობის სამსახურში და ქართველ ჩინოვნიკებთან ერთად, ადათისა და ადგილობრივი ზნე-ჩვეულების მიხედვით, თვით მართონ თავისი ქვეყანაო, მაშინვე კილოს შეიცვლიან და მშვიდობიანად დაგინყებენ ლაპარაკს და მალე თანხმობასაც გამოგიცხადებენ. **სიტყვა ავტონომია აქ მხოლოდ ე.წ. ინტელიგენციის გამოგონილი და ხალხში გასროლილი ლოზუნგია. „ავტონომია“ აქ გამოუგონია რამდენიმე ინტელიგენტს...** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.) პირველ შეხვედრაზე ისე გეგონებათ, რომ აქ ავტონომიის საკითხი ისე მომნიჭებულია, იმისი სიყვარული და აუცილებლობის გრძნობა ისე გასჯდომია ხალხს ძვალრბილში, რომ უამისოდ სიცოცხლეც არ ეხერხებაო. მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ მიხვდეთ, რომ ცხადად დაინახოთ, რომ აქ არათუ ხალხს, თვით ვითომ ამ ხალხის მეთაურებსაც არა აქვთ შეგნებული, თუ რა არის ეს ავტონომია. ამ ადგილობრივი ინტელიგენტური ძალების სამსახურში მიღება და მართვა-გამგეობის საქმეში გამოყენება აქ ერთიანად გადაწყვეტს ავტონომიის საკითხს... ბათუმის ოლქი ჩვენი რესპუბლიკისათვის ყველაზე უფრო საშიში მხარეა. ის პირდაპირ მიდებულობს საქართველოს **ისტორიულ მტერ ოსმალეთის ტერიტორიაზე**, რომელთანაც ქართველ მახმადიანებს აერთებს რელიგია... ისლამი ეს რაღაც უნივერსალური ძალაა, რომელიც იპყრობს და ფარავს ყველა სხვა ძალას, ყველა სხვა დამოკიდებულებებს. ჩვენი იმედები ამ ხალხში ჩვენი განმტკიცების საქმეში ემყარება მხოლოდ ნაციონალური გრძნობის ძალას. ჩვენ ამ მხარეში ვხედავთ ჩვენს სისხლით ძმებს, რომელთა გვარიშვილობივ მრავლობით არიან ქრისტიან ქართველთა შორის და ამიტომაც ლიტონი სიტყვა როდია, როცა ვლაპარაკობთ: აჭარლები ჩვენი ღვიძლი ძმები არიანო.¹²

1919-1920 წლებში ბათუმის მხარეში მიმდინარე პროცესების თვითმხილველების, პ. გოგოლაძისა და პ. გელეიშვილის ფასეული ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ:

საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში ბათუმის მხარის წარმომადგენლობის ყოფნა და საქართველოს ხელისუფლების მიერ ბათუმის მხარის ადგილობრივი ხელისუფლების დაფასება სრულად დააბალანსებდა (და მომავალშიც დააბალანსებს!) ანტიქართული ძალების მიერ ადგილობრივ ქართველებში ჩანერგილ შიშს.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საერთოდ არ განიხილავდა აჭარის ავტონომიის საკითხს; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ავტონომიასთან მიმართებით კი გაორებული პოზიცია ჰქონ-

12 სილაგაძე, გურული 1998, VII, ავტონომიის საკითხი, გვ. 22-24

და. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა პავლე საყვარელიძის პირად არქივში ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის პირველი დადგენილების ორი ხელმოწერილი პროექტი (მესამე პროექტს ხელი მოეწერა). ჯერ წარმოვადგენთ პირველი დადგენილების პროექტის სამივე ვარიანტს, შემდეგ კი წარმოვადგენთ პირველი დადგენილების სამივე პროექტის შეპირისპირებით ანალიზს.

ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება (1919–1921 დაუთარილებელი. სამოქალაქო განათლების განყოფილება. პავლე საყვარელიძის პირადი არქივი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)¹³; დადგენილების პირველი ხელმოწერილი პროექტი:

„ჩვენ ბათომის ოლქის (იგულისხმება „ბათუმის მხარე“ – ტ.ფ.) მუსულმან ქართველთა წარმომადგენელნი ერთხმად ვმონებთ ღვთისა და ქვეყნის წინაშე: რომ ჩვენ, ბათომის ოლქის (ქვემოთ დამონებულ მასალაში ხაზგასმა ყველგან ჩემია – ტ.ფ.) მკვიდრნი მრავალ საუკუნეთა ისტორიით, სისხლ-ხორციით [ხელით მინანერი: სისხლით და ხორციით] და იდეალებით [ხელით მინანერი: კულტურით და ზნე-ჩვეულებით] მუდამ განუყრელი ვყოფილვართ [ხელით მინანერი: ვიყავით და ვართ] ჩვენი დედა-სამშობლო საქართველოდან [ხელით ჩასწორებული: საქართველოსთან], რომ ჩვენი მხარე უსამართლოდ მოსწყვიტეს საქართველოს სხეულს ბრესტილიტოვსკის ძალდატანებითი ხელშეკრულებით, რომელიც უკუგდებულ იქმნა, მთელი ამიერ-კავკასიის მიერ სათანადო პროტესტით მოკავშირეთა წინაშე და რომელიც ან უკვე გაბათილებულია მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვებით.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ქალაქი ბათომი მუდამ ქართული ყოფილა, რომ თურქების შემოსევამ მრავალი ქართველი აიძულა დაეტოვებინა აქ თავისი კერა და ამით ქალაქს ქართული ელფერი დაეკარგა, რომ ან ბათომი გადაიქცა ბუდეთ, სადაც თავს იყრიან მრავალი ბოროტგანზრახული ელემენტები, რომელნიც ლამობენ ჩვენი სამშობლოს პოლიტიკის ამღვრევას და ძირს უთხრიან მოკავშირეთა და საქართველოს შორის კეთილგანწყობილებას;

ვითვალისწინებთ რა ქალაქ ბათომის მნიშვნელობას საქართველოს აღორძინებისათვის და ამ ქალაქის და მთელი მხარის მომავალ დაცემა-განადგურებას იმ შემთხვევაში თუ აწინდელი გამოურკვეველი მდგომარეობა აქ შეიცვალა;

გამოვსთქვამთ მთელი ჩვენი კუთხის მცხოვრებთა ნება-ყოფლობით მხურვალე სურვილს და მტკიცე გადაწყვეტილებას, რათა ბათომი და მისი ოლქი კვლავ შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკას, როგორც მისი განუყოფელი და უდავო ნაწილი ამ მხარის მკვიდრთა საბედნიეროთ, საზოგადოებრივ წესის და მშვიდობიანობის განმტკიცების და გამარჯვებულ მოკავშირეთ ღირსების ტრიუმფისათვის.

ინებოს ღმერთმა, ჩვენი პატარა კუთხე გულის სიღრმიდან ამოძახილმა ხმამ მიაღწიოს მათ გულ-ყურამდის, ვისგანაც დამოკიდებულია მისი ბედის გადარჩევა და აგვისრულდეს ჩვენი ნატვრა და მისწრაფება“.

ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დად-

13 <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0constite--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=constite&cl=CL3.2&d=HASH01bcd62c7c80716abbe48890> (დამონება: 07.04.2018)

გენილება (1919–1921 დაუთარილებელი. სამოქალაქო განათლების განყოფილება. პავლე საყვარელიძის პირადი არქივი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) ხელით მინანერი: ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება¹⁴ (დადგენილების მეორე ხელმოწერილი პროექტი):

„ჩვენ შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმისა მოგვეცა რა შეძლება ვაუწყოთ მთელს ქვეყანას ჩვენი ერის სურვილები, ვმონმოთ:

1. ჩვენი ერი ქართველი ერის შტოა, ჩვენი მხარე ხანგრძლივ ისტორიის მსვლელობაში ყოველთვის შეადგენდა საქართველოს სახელმწიფოს ნაწილს.

2. ბრესტ-ლიტოვსკის ძალდატანებით ხელშეკრულებით ჩვენი მხარე მოშორებულ იქნა საქართველოდან და ეხლა, როცა ეს ხელშეკრულება გაბათილებულია მოკავშირეთ გამარჯვებით, ჩვენს ერს სწყურია შეერთება დედა-საქართველოსთან.

3. აწინდელი გამოურკვეველი მდგომარეობამ გარდაქმნა **ბათომი და მთელს ჩვენს მხარეს** პოლიტიკურ ავანტიურიზმის საგნათ, იგი სპობს ამ კუთხის ეკონომიურ კეთილდღეობას, ხელს უწყობს არა სასურველ ბოროტ-განზრახულ ელემენტების მოქმედებას და იწვევს მცხოვრებთა აფორიაქებას.

4. ჩვენი ერის ინტერესები, ჩვენი სამშობლო საქართველოს ინტერესები, მთელი ამიერკავკასიის ინტერესები და დიდ სახელმწიფოთ ღირსება, რომელთაც დაანგრეეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ითხოვენ, რომ **ბათომის და მისი ოლქის** გამოურკვეველ მდგომარეობას ბოლო მოეღოს და **ჩვენი მხარე** დედა-საქართველოს დაუბრუნდეს.

ამას ვმონმოთ ჩვენ ჩვენი ერის ნება-ყოფლობის თანახმად და გვნამს, რომ ჩვენი ლაღადი შესმენილ იქნება მათ მიერ ვისგანაც დამოკიდებულია ჩვენი ოლქის ბედ-იღბალი“.

როგორც ვხედავთ, პავლე საყვარელიძის არქივში დაცულ არც ერთ პროექტში ნახსენები არ არის ავტონომია. ლოგიკურია დავუშვათ, რომ ეს ვარიანტები ასახავს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პოზიციას. დადგენილების მესამე პროექტი ძირითადად იმეორებს პირველი და მეორე ვარიანტების დებულებებს; დამატებულია მხოლოდ ავტონომიის მოთხოვნა (ეს ვარიანტი გაიგზავნა ერთა ლიგაში)¹⁵:

ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება. გამოქვეყნებული¹⁶. წერილი დადასტურებული იყო ხელმოწერებით¹⁷. **ბა-**

14 <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0constite--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=constite&cl=-CL3.2&d=HASH973200f8359eca75e4428f>

15 <http://blogger.ge/post/2022#sthash.5tOauGNP.dpuf>

16 ა. სილაგაძე, ვ. გურული 1996: 33-37. იგივე ვარიანტი 2002 წელს გამოქვეყნებული აქვს ნ. ვერძაძეს (დამონმებული აქვს 1919 წლის 2 სექტემბრის გაზეთი „სახალხო საქმე“ № 617). გარკვეულწილად სახეცვლილი ეს ვარიანტი გამოქვეყნებული აქვს გ. კუკულაძესაც (დამონმებულია: სცსსა, ფ. 1861, აღ. 2, ს. 42: 1-3); იხ.: კუკულაძე 2016.

17 ხელმოწერთა საცხოვრისების გეოგრაფია ცხადყოფს, რომ ყრილობის მონაწილესათვის მთელი „სამუსლიმანო საქართველო“ და „ბათუმის ოლქი“ სინონიმებია და მოიცავს ამჟამინდელ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ტაო-კლარჯეთის დიდ ნაწილს. ყრილობის მონაწილე ბევრის ზოგ ხელმოწერას თანახმად საგვარეულო ბეჭედი (ზოგი ხელმოწერა არაბული ასოებითაა (ეს დოკუმენტი გაიგზავნა ერთა ლიგაში). დოკუმენტი ხელმოწერებითურთ გამოქვეყნებულია ა. სილაგაძისა და ვ. გურულის მიერ წიგნში: „საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი I. მემედ-ბეგ აბაძიძე. დოკუმენტები და მასალები. თბ., 1996 წ. გვ. 33-37.

თუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლები, შეკრებილნი ქალ. ბათუმში, რიცხვით ასი, 1919 წ. აგვისტოს 31-სა, კვირას, ვაცხადებთ ერთხმად ღვთისა და ქვეყნის წინაშე!

1. **ბათუმის ოლქის** მკვიდრნი (რუსული ტერმინების არასწორი თარგმანის გამო აქაც შეცდომით „ოლქია“ გამოყენებული! წესით, უნდა იყოს „მხარის“ – ტ.ფ.), სარწმუნოებით მუსლიმანები, **ისტორიით, სისხლითა და ხორციით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ**, მუსლიმანი ქართველები, და ტერიტორიულად და ეკონომიკურად ყოველთვის ჩვენი მხარე, დედა სამშობლოს – საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

2. **ბათუმის ოლქის** აწინდელი მდგომარეობა აუტანელ პირობებში აყენებს მთელ ხალხს, ართმევს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლებას და საშუალებას, აძლიერებს უპასუხისმგებლო ჯგუფების პოლიტიკურ თარემს და ხელს უწყობს მშვიდობიანობის და კეთილგანწყობის დამარღვეველ ადამიანთა ბოროტ განზრახულობას. ამის გამო შეუძლებელია მშვიდობიანი განვითარება.

3. ბათუმის ოლქის მკვიდრთა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საჭიროებანი, აგრეთვე ამიერკავკასიის ყველა ერის ინტერესი და ურთიერთშორის კეთილმეზობლური განწყობილება და დიდ სახელმწიფოთა ღირსება თხოულობს, რომ ბოლო მოეღოს ოლქის დღევანდელ მდგომარეობას. სახელმწიფოებრივი წესიერება დამყარდეს და ხალხმა მშვიდობიანი კეთილდღეობით ცხოვრება მოიპოვოს.

4. ვინაიდან ეს შესაძლებელია მხოლოდ მუსლიმან ქართველების განთავისუფლებით და საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთებით, ამიტომ გამოვსთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას:

ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს – საქართველოს რესპუბლიკას **სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიის ნიადაგზე** და ამ ავტონომიის ფარგლებში ეროვნულ უმცირესობათ მიენიჭოთ ჩვენთან თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება.

5. დადგენილება ეს ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, მიიღოს ყოველი ზომა ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად¹⁸.

18 ყრილობის გადაწყვეტილებას ბოლშევიკი და ანტიქართული წერილებით შეხვდა პრორუსული გაზეთი „ნამკრაი“ (ჩოხარაძე, ვაშალომიძე, გორგილაძე 2005).

ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლები, შეკრებილნი ქალ. ბათუმში, რიცხვით ასი, 1919 წ. აგვისტოს 31-სა, კვირას, გაცხადებთ ერთხმად ღვთისა და ქვეყნის წინაშე:

1. ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლითა და ხორციით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ, მუსლიმანი ქართველები, და ტერიტორიალურად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა სამშობლოს საქართველოს განუყრელ ნაწილს შეადგენდა.

2. ბათუმის ოლქის აწინდელი მდგომარეობა აუტანელ პირობებში აყენებს მთელ ხალხს, ართმევს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღების უფლებას და საშვალებას, აძლიერებს უპასუხისმგებლო ჯგუფების პოლიტიკურ თარეშს და ხელს უწყობს მშვიდობიანობის და კეთილგანწყობილების დამარღვეველ ადამიანთა ბოროტ განზრახულებას. ამის გამო შეუძლებელია მშვიდობიანი განვითარება.

3. ბათუმის ოლქის მკვიდრთა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული საჭიროებანი, აგრეთვე ამიერკავკასიის ყველა ერის ინტერესი და ურთიერთშორის კეთილმეზობლური განწყობილება და დიდ სახელმწიფოთა ღირსება თხოულობს, რომ ბოლო მოეღოს ოლქის დღევანდელს მდგომარეობას, სახელმწიფოებრივი წესიერება დამყარდეს და ხალხმა მშვიდობიანი კეთილდღეობით ცხოვრება მოაპოვოს.

4. ვინაიდან ეს შესაძლებელია მხოლოდ მუსლიმან ქართველების განთავისუფლებით და საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთებით, ამიტომ გამოვსთქვამთ შეურყეველს ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას:

ამიერიდან და სამარადისოთ ბათომი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიის ნიადაგზე და ამ ავტონომიის ფარგლებში ეროვნულ უმცირესობათ მიენიჭოთ ჩვენთან თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება.

5. დადგენილება ესე ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიიღოს ყოველივე ზომა ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად.

საინტერესო დასკვნების გაკეთების საფუძველს გვაძლევს დადგენილებისა და დადგენილების ორი სხვა პროექტის ტექსტების შეპირისპირება. ძირითად ვარიანტად ავიღებთ ხელმოწერილ დოკუმენტს.

სამივე ტექსტში საერთო პუნქტები:

ა) იდენტობა – ქართველი: ბათუმის ოლქის მკვიდრნი – სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ.

ბ) საქართველოსთან განუყოფლობა: ტერიტორიულად და ეკონომიკურად ყოველთვის ჩვენი მხარე, დედა სამშობლოს – საქართველოს – განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

გ) ქაოსი და გამოსავალი: გაურკვეველობამ ჩვენს მხარეში დაამკვიდრა განუკითხაობა და წარმოშვა ეკონომიკური პრობლემები. გამოსავალი – საქართველოსთან შეერთება.

დ) თხოვნა: ბათუმის მხარის – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ართვინისა და ბათუმის ოლქების) – დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში. ხელმოწერილ პროექტებში – ავტონომიის გარეშე.

ე) ადრესატი – დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეები:

პირველი დადგენილება: ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას.

შდრ.:

დადგენილება (მესამე პროექტი): ინებოს ღმერთმა, ჩვენი პატარა კუთხე გულის სიღრმიდან ამოძახილმა ხმამ მიაღწიოს მათ გულ-ყურამდის, ვისგანაც დამოკიდებულება მისი ბედის გადანყვეტა და აგვისრულდეს ჩვენი ნატვრა და მისწრაფება“.

დადგენილებების პროექტებს შორის სხვაობებს ქმნის ავტონომიის საკითხი და აჭარის ისტორიოგრაფია: ხელმოწერილ დოკუმენტში საუბარია „ფართე ავტონომიაზე“ და არაა წარმოდგენილი აჭარის ისტორია შდრ.:

დადგენილების პირველი პროექტი: „თურქების შემოსევამ მრავალი ქართველი აიძულა დაეტოვებინა აქ თავისი კერა და ამით ქალაქს ქართული ელფერი დაეკარგა, რომ ან ბათომი გადაიქცა ბუდეთ, სადაც თავს იყრიან მრავალი ბოროტგანზრახული ელემენტები, ჩვენი მხარე უსამართლოდ მოსწყვიტეს საქართველოს სხეულს ბრესტილიტოვსკის ძალდატანებითი ხელშეკრულებით, რომელიც უკუგდებულ იქმნა, მთელი ამიერ-კავკასიის მიერ სათანადო პროტესტით მოკავშირეთა წინაშე და რომელიც ან უკვე გაბათილებულია მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვებით“.

დადგენილების მეორე პროექტი: „ბრესტ-ლიტოვსკის ძალდატანებით ხელშეკრულებით ჩვენი მხარე მოშორებულ იქნა საქართველოდან და ეხლა, როცა ეს ხელშეკრულება გაბათილებულია მოკავშირეთ გამარჯვებით, ჩვენს ერს სწყურია შეერთება დედა-საქართველოსთან“.

აშკარაა, რომ დადგენილების სამივე პროექტი ერთი სქემითაა მომზადებული.

1919 წლის პირველ სექტემბერს ბათუმის ყრილობაზე მიღებულ იქნა მეორე დადგენილებაც, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ხელმოწერილი დადგენილების ტექსტის დამატებად (1919 წელი, 1 სექტემბერი; სამოქალაქო განათლების განყოფილე-

ბა; სეა. ფ. 1833, აღწერა 1, საქ. 191, ფურც. 186)¹⁹:

ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობამ, რომელიც შესდგა ქალაქ ბათუმში, ქალაქის თვითმართველობის შენობაში, თავის მუშაობის მეორე დღეს, პირველ სექტემბერს 1919 წ., მიიღო შემდეგი დადგენილება:

1. **სამუსლიმანო საქართველოს** დედა-სამშობლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში უნდა ჰყავდეს თავის ავტონომიური მთავრობა.

2. **სამუსლიმანო საქართველოს** საკანონდებლო პარლამენტი უნდა ჰყავდეს.

3. **სამუსლიმანო საქართველოს** ავტონომიური მთავრობა შინაგან საქმეებში უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი. ეს საქმეებია:

ა/ სარწმუნოებრივი საქმე, ბ/ სამოსამართლო, გ/ საადმინისტრაციო,

დ/ სამოსწავლო, ე/ სამეურნეო, სავაჭრო-სამრეწველო და სხვა ეკონომიური საქმეები და ვ/ სხვა შინაური საქმეები.

4. **სამუსლიმანო საქართველოს** ავტონომიური მთავრობა მთელ საქართველოს მთავრობასთან ერთად განსაზღვრულ პირობებში უნდა აწარმოებდეს შემდეგ საქმეებს: სამხედროს, საფინანსოს, საგარეოს, ფოსტა-ტელეგრაფს, რკინის გზებს და საბაჟოს.

5. **ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს** ძირითადი კანონები შემუშავებული უნდა იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრების მიერ.

6. ყრილობა **ბათუმის ოლქის** მცხოვრებთა ინტერესების და უფლებების დასაცველად და აგრეთვე ოლქის მართვა-გამგეობისათვის ირჩევს 37 წევრისაგან შემდგარ მეჯლისს.

7. მეჯლისს უფლება ეძლევა მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა **სამუსლიმანო საქართველო** ფართე ავტონომიურად შეუერთდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას; ამისათვის მას ევალება აღძრას შუამდგომლობა სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიის დამტკიცებისათვის როგორც საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე პარიზის საზავო კონფერენციის წინაშე.

8. მეჯლისს ევალება აღძრას შუამდგომლობა ინგლისის მთავრობისა და მის მოკავშირეთა წინაშე: ა/ რათა **ბათუმის ოლქის** მართებლობის უფლება გადაეცეს თვით ოლქის მცხოვრებლებს, ბ/ მოხდეს სასწრაფო ახალი არჩევნები ქალაქის თვითმართველობისა, გ/ გადაეცეს ფოსტა-ტელეგრაფი საქართველოს მთავრობას საერთო წარმოებისათვის და დ/ გადმოტანილ იქნას ქ. ბათუმში ნატანების საბაჟო აგრეთვე საერთო წარმოებისათვის.

ყრილობის თავმჯდომარე მემედ-ბეგ აბაშიძე

1919 წლის პირველ სექტემბერსვე საქართველოს მთავრობამ დაამონწა ორივე დადგენილება (ამონაწერი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1919 წ. 1 ენკენისთვის სხდომის ოქმიდან. 1919 წელი, 1 სექტემბერი; სამოქალაქო განათლების განყოფილება. სეა. ფ. 1833, აღწერა 1, საქ. 191, ფურც. 185)²⁰

19 დოკუმენტის დედანი დაცულია პავლე საყვარელიძის არქივში, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (დამონება: 05.04. 2018): <http://www.nplg.gov.ge/gsdli/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0constite--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=constite&cl=CL3.2&d=HASH016c169ed77092ac1f09551b>

20 <http://www.nplg.gov.ge/gsdli/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0constite--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=constite&cl=CL2.11&d=HASH0f7f88be3e9ec9e17f4fd6>

მოისმინეს:

მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა: ბათომის ოლქის ქართველ მუსულმანების წარმომადგენელთა ყრილობის მიერ მიღებული ორი დადგენილება (წარდგენილნი მთავრობაში დელეგაციის საშუალებით დასადასტურებლად).

დაადგინეს:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მოისმინა რა **ბათომის ოლქის** ქართველ მუსულმანთა წარმომადგენლების ყრილობის მიერ ა/წ. 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს მიღებული რეზოლიუციები, დაადგინა:

1. **ბათომის ოლქის** ქართველ მუსულმანთა წარმომადგენლების ყრილობის მიერ 1919 წელს აგვისტოს 31 მიღებული დადგენილება დადასტურებულ იქმნას.

2. 1919 წ. 1 სექტემბრის დადგენილება მიღებულ იქმნას პრინციპიალურად და გადაეცეს დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიას დაწვრილებითი განხილვისათვის.

ხელმოწერილ დოკუმენტებშიც და დადგენილებების პროექტებშიც ნათლადაა ნათქვამი, რომ **სამუსლიმანო საქართველოს ანუ ბათომის ოლქის** (/მხარის, ობლასტის) **მოსახლეობის დელეგატები ითხოვენ არა საკუთრივ ბათუმის ოკრუგის, ავტონომიას (ანუ აჭარის ავტონომიას), არამედ მთლიანი სამუსლიმანო საქართველოს – ბათუმის მხარის (ობლასტის) – ავტონომიას, სადაც შევა ბათუმისა და ართვინის ოლქები (ოკრუგები), ასევე, ტრაპიზონის, ყარსისა და არტანის ოლქების ნაწილი.** ეს თხოვნა ადეკვატური და **გაუორებელი ტერმინოლოგიით** აისახა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ კონსტიტუციაში, სადაც მკაფიოდაა გამიჯნული „მხარე“ და „ოლქი“; შდრ.:

“თავი 11. ავტონომიური მმართველობა; მუხლი 107: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს სოხუმის ოლქი, **სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე)** და ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ ავტონომიური მმართველობა“; ანუ კონსტიტუციის შემქმნელები აფხაზეთსა და ზაქათალას **ოლქად** თვლიან, სამუსლიმანო საქართველოს კი – **მხარედ**.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ტექსტებში, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციასა და 1919 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებული მუსლიმანი ქართველების ყრილობის დადგენილებებში ავტონომიის კონტექსტით წარმოდგენილია ერთნაირი მიდგომა, რაც გამოხატულია **იდენტური ტერმინოლოგიით**²¹. ეს ათვალსაჩინოებს **საქართველოს მაშინდელი**

21 ფაქტია ისიც, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზერელე ცოდნის გამო ისტორიკოსებისა თუ საზოგადო მოღვაწეების დიდი ნაწილი მაშინაც და დღესაც საქართველოს ერთი პატარა კუთხის – „აჭარის“ – სახელს აიგივებს თუ აზოგადებს მთლიანად „სამუსლიმანო საქართველოსთან“; იხ., მაგ. ნოე უორდანიას 1918 წლის 25 დეკემბერის მიმართვის ტექსტი: „მთავრობა აცხადებს, რომ ის **სამუსლიმანო საქართველოს** აძლევს ავტონომიას. თვითონ **აჭარის** წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს, რომლებითაც თავიანთი გემოვნებითა და სინდისით მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავიანთი რწმენის უფლებებს, მოავგარებენ ადგილობრივ საქმეებს და მათ თავიანთ მშობლიურ მხარეში დაამყარებენ ბედნიერებას“ (გაზ. „ერთობა“, 1919, №9); იხ. ასევე, სპ. კედიას წერილი „ჩვენი პოლიტიკისათვის სამუსლიმანო საქართველოში“, სადაც აჭარა და სამუსლიმანო საქართველო ფაქტობრივი სინონიმებია. ამ წერილში საყურადღებოა ასეთი ნიუანსიც: სპ. კედია წერს: „მეჯლისი აწარმოებს პოლიტიკურ მუშაობას. იგი დაუგზავნის ანტანტის სახელმწიფოებს მემორანდუმებს, სადაც აჭარის ხალხის ეს ნება-სურვილია გამოცხადებული, იგი დაუხვდება ინგლისის უმაღლეს კომისარს – ბენ უორდროს და მის ოფიცრებს განუცხადებს აჭარის დადანიევილებას“ (სპ. კედია, 1920). სინამდვილეში, მისტერ ოლივერ უორდროს წერილით მიმართა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისმა;

ხელისუფლებისა და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ საერთო მიზანს – საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას; კერძოდ, ორივე მხარეს სურდა **ოსმალეთის მიერ ოკუპირებული მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს** (და არა – მხოლოდ აჭარის!) შემოერთება დედასამშობლოსთან. პარალელურად, ორივე მხარე ესწრაფოდა რუსეთის იმპერიის მიერ დატერორებული მუსლიმანი ქართველების ნდობის მოპოვებასა და მათ უმტკივნეულო ინტეგრირებას ქართულენოვან სახელმწიფოში.

სულ სხვა მოტივაციაა (და მიზანი) ჰქონდათ ბოლშევიკებს (იხ. ქვემოთ).

ბოლშევიკები და აჭარის ავტონომია.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში რუსეთ-ოსმალეთის ანტიქართული გარიგებით გადაინაწილეს საქართველოს ტერიტორია²². აგრესორებმა **ბათუმი მის გარშემო არსებული მცირე ტერიტორიით** (აჭარა) ორ იმპერიას შორის გარდამავალ ზონად გამოაცხადეს (ბათუმის პორტო-ფრანკო)²³. შესაბამისად, აჭარის ავტონომიის შექმნისას ქართველ ბოლშევიკთა მიზანი იყო მოსკოვის ანტიქართული ხელშეკრულების „გაპრავება“. რასაც შეეცადნენ კიდეც:

მოსკოვის ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვის შემდეგ, 1921 წლის 16 ივლისს ე.წ. რევკომის დეკრეტით „გააფორმეს“ „აჭარის (აჭარისტანის) ავტონომიური რესპუბლიკის“ შექმნა. აჭარის ავტონომიის შექმნიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ, 1921 წლის 13 ოქტომბერს, მოენერა ხელი ყარსის ხელშეკრულებას²⁴.

შესაბამისად, უფრო ზუსტი იქნებოდა სპ. კედია, თუკი „აჭარის“ ნაცვლად გამოიყენებდა „სამუსლიმანო საქართველოს“ ან, სრულად დაასახელებდა სამუსლიმანო საქართველოს საზღვრებს: ბათუმისა და ართვინის ოლქები, ნაწილობრივ, ტრაპიზონის, არტაანისა და ყარსის ოლქები. ოლივერ უორდროპისადმი გადაცემული მიმართვა (ხელს აწერს მემედ-ბეგ აბაშიძე) დაბეჭდილია გაზეთებში: „სახალხო საქმე“, N362, 2 მარტი, 1920 წ.; „საქართველო“, N47 2 მარტი, 1920 წ. გადმობეჭდილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის III კრებულში, 2002, გვ. 31-33.

22 1921 წლის 16 მარტს რუსეთ-ოსმალეთის გარიგების შესახებ არაფერი იცოდნენ გიორგი მაზნიაშვილმა, გრიგოლ ლორთქიფანიძემ და სხვა გმირმა ქართველებმა, რომლებმაც გმირული ბრძოლით ბათუმი გაათავისუფლეს თურქი ასკერებისაგან.

23 Статья II

Турция соглашается уступить Грузии Суверенитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. I-й нынешнего договора и составляющей часть Батумского округа, при условии что:

1) Население местностей, указанных в настоящей статье договора будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении обеспечивающей каждой общине будет предоставлена возможность установить земельный закон соответствующий его положениям.

2) Турции будет предоставлен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их какими бы то ни было сборами, с предоставлением Турции прав пользоваться Батумским портом без взимания за то специальных сборов. <http://www.amsi.ge/istoria/sab/moskovi.html> ინტერპრეტაციისათვის იხ., ასევე: ო. გოგოლიშვილი 2009, გვ. 59-64

24 იხ. ყარსის ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტი: Статья 6

Турция соглашается уступить Грузии суверенитет над городом и портом Батум и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. 4 настоящего Договора и составляющей часть Батумского округа, при условии, что:

1) население местностей, указанных в настоящей статье, будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и население будет иметь возможность установить в указанных местностях земельный закон, соответствующий его пожеланиям;

2) Турции будет обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их какими бы ни

მაშასადამე, **არალოგიურია, აჭარის ავტონომიის საფუძვლად ყარსის ხელშეკრულება მივიჩნიოთ**²⁵; შდრ.: ყარსის ხელშეკრულება ხელმოწერილია მოსკოვის მარიონეტი არალეგტიმური რევკომის წარმომადგენლების მიერ და უკანონოა საქართველო კანონიერი ხელისუფლების სამართლებრივი ბაზიდან გამომდინარე. დროში აცდენაც რომ არ იყოს, რუსეთ-თურქეთის 16 მარტის ანტიქართული გარიგებას ნამდვილად ვერ „გაალეგტიმურებს“ ყარსის ხელშეკრულებაზე მოსკოვის მიერ ამიერკავკასიაში დანიშნული მარიონეტული მთავრობების (რევკომების) წარმომადგენელთა ხელმოწერები²⁶.

ფაქტია, რომ ბოლშევიკებმა უგულებელყვეს როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ზოგადად, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებიც, საქართველოს ეროვნული ინტერესებიც და ბათუმის მხარის წარმომადგენელთა 31 აგვისტოს ყრილობის დადგენილებებიც.

რუსეთისა და ოსმალეთის რევოლუციური ხელისუფლებების 1921 წლის 16 მარტის გარიგებით ორად გაყოფილი ამიერკავკასიის რუკა დღესაც ასე გამოიყურება:



შეგვიძლია დავასკვნათ:

1921 წლის მარტში როგორც ბოლშევიკების, ასევე, ქემალისტური თურქეთის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოს განადგურება და ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურ-რელიგიური დანაწევრება; ამ მიზნით შეიქმნა აჭარის ავტონომიაც. აჭარის ავტონომიის შექმნის საფუძვლად ვერ მივიჩნევთ ვერც „ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების“ 1919 წლის 31 აგვისტოს ყრილობის

было сборами, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без взимания за то специальных сборов / https://en.wikisource.org/wiki/Treaty_of_Kars/

25 ზოგი დღესაც ულოგიოდ ცდილობს გაამართლოს აჭარის ავტონომიის არსებობა და აჭარის ავტონომიის შექმნის საფუძვლად ყარსის ხელშეკრულებას ულოგიოდ აცხადებს; იხ. მაგ., „რა უფლებები აქვს თურქეთს აჭარის ავტონომიაზე და რა ეკონომიკურ უპირატესობებს აძლევს მას ყარსის ხელშეკრულება“ <http://reportiori.ge/old/aww.ge/geworld.ge/?menuid=74&id=52557&lang=1> (27 იანვარი, 2015. 12:45).

26 გეოპოლიტიკურ კონტექსტში მოსკოვისა და ყარსის ანტიქართული ხელშეკრულებების შესახებ მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე 2009, გვ. 111-136

დადგენილებას, ვერც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1921 წელს მიღებულ კონსტიტუციას და ვერც 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებას, რომელსაც საქართველოს სახელით ხელი მოაწერეს მოსკოვის მარიონეტი არალეგტიმური ბოლშევიკური რევკომის წარმომადგენლებმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშიძე 2002 – მ. აბაშიძე – ახალი მასალები; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის III კრებული, ბათუმი, 2002

გოგოლიშვილი 2009 – ო. გოგოლიშვილი, ბათუმის ოლქი უმძიმეს 1920-1921 წლებში; კრებული: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“, 2009, გვ. 59-64 http://www.archives-ajara.gov.ge/text_files/en_file_170_1.pdf

დაშნიანი 2013 – ნ. დაშნიანი, დოკუმენტები ბათუმის ოლქის საქართველოსთან შემოერთების შესახებ /1920 წელი/; ბათუმი, 2013

ვერძაძე 2002 – ნ. ვერძაძე, მემედ აბაშიძე და ეროვნული ერთიანობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი (1919 წლის 31 მარტის ყრილობა). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული III, ბათუმი, 2002. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“

კედია 1920 – სპ. კედია, „ჩვენი პოლიტიკისათვის სამუსლიმანო საქართველოში“, გაზეთი საქართველო, # 128, 130, 134, ღვინობისთვის 22, 24, 29, 1920. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული I, ბათუმი, 2001. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“

კუკულაძე 2016 – გუგული კუკულაძე, საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო); ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმი, 2016

ოქროპირიძე 2011 – უ. ოქროპირიძე, აჭარის ავტონომიის შექმნა, თბ., 2011
საქართველოს ისტორია 2000: საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის; თბ., 2003

სილაგაძე, გურული 1996 – ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი I. მემედ-ბეგ აბაშიძე. დოკუმენტები და მასალები. თბ., 1996

სილაგაძე, გურული 1998 – პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წელი): პეტრე გელიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, 1920 წლის 8 ოქტომბერი / რედ. მერაბ ვაჩნაძე; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს აპოლონ სილაგაძემ და ვახტანგ გურულმა. თბ., 1998 გამომცემლობა „ინტელექტი“

ფუტკარაძე 2009 – ტ. ფუტკარაძე, გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008; კრებული: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“; 2009. <http://www.scribd.com/doc/3809567/batumi-geostrategia>;

http://www.archives-ajara.gov.ge/text_files/en_file_170_1.pdf

ფუტკარაძე 2018 – ტ. ფუტკარაძე, ტერმინოლოგიური შეცდომები და არსგაყალბებული სიმბოლური თარიღები (ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში); საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VII, 2018

ჩოხარაძე 2010 – მ. ჩოხარაძე, აჰმედ ჯავადის „კავკასიაში მოგზაურობა“ და სამუსლიმანო საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხები XX საუკუნის I მეოთხედში, კრებული: „აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში“, ბათუმი 2010 წ.

ჩოხარაძე, ვაშალომიძე, გორგილაძე 2005 – მ. ჩოხარაძე, ა. ვაშალომიძე, ი. გორგილაძე, ბათუმის რუსული პრესა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პრობლემები 1919-1920 წლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის IV კრებული, ბათუმი, 2005

ახმედ ჯევადი 1920 – ახმედ ჯევადი, მოგზაურობა კავკასიაში, გაზეთი „სახალხო საქმე“, № 822, 8 მაისი, 1920 წ.

Tariel Putkaradze

Doctor of Philology, Professor

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia,

Head of kartvelology Center

MENSHEVIK AND BOLSHEVIK GOVERNMENTS OF GEORGIA ON CREATION OF AUTONOMY IN SOUTHWESTERN GEORGIA

Summary

According to the prevailing view in scientific literature, on July 16, 1921, the Bolsheviks set up the Autonomous Republic of Adjara on the basis of 1921 Constitution of the Democratic Republic of Georgia. This approach requires revision, as the goal of the Menshevik Government of Georgia was to attach Adjara and the whole South-West Georgia occupied by the Ottoman Empire to the Democratic Republic of Georgia. On July 16, 1921, the Bolshevik government in accordance with the Anti-Georgian Treaty of Russia-Ottoman Empire of 14 March 1921 established the Autonomous Republic of Adjara on a much smaller scale and territory.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სომეხთა ეროვნული საბჭოს საქმიანობის ისტორიისათვის

სუვერენული სახელმწიფოებრიობა, როგორც უმაღლესი ფასეულობა, ერის არსებობის და განვითარების, ხალხის თავისუფლების და ჰარმონიული ცხოვრების გარანტია. საუკუნეთა განმავლობაში საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებული სომხური საზოგადოებრივი აზრის უპირველეს საკითხს სახელმწიფოს აღდგენა წარმოადგენდა. სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის (1918 წლის მაისი) შემდეგ მწვავედ დადგა ისტორიული საზღვრების დაზუსტების საკითხი მეზობელ საქართველოსთან, რადგან ისტორიული სამართლიანობა და ფაქტობრივი სინამდვილე შეუსაბამობაში იყო. ამის გამოვლინება იყო 1918-1919 წლებში თბილისში მოღვაწე „სომეხთა ეროვნული საბჭო“-ს საქმიანობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე აწყობდა ტერორისტულ აქტებს, ფლობდა იარაღის საიდუმლო საწყობებს თბილისში, აგროვებდა მოხალისეებს ქართულ-სომხური შეიარაღებული კონფლიქტისათვის. საარქივო მასალებში და ამ პერიოდის ქართულ პრესაში ბევრი ასეთი ინციდენტი დაფიქსირებული. მათგან რამდენიმე ასეთ ფაქტს შეეხება მოხსენება.

1918 წლის 1 ნოემბერს მოხდა ტერორისტული აქტი სტრატეგიული მნიშვნელობის ძეგვის ხიდზე, რომელიც მდ. მტკვარზე იყო აგებული მცხეთასა და ქსანს შორის და ერთ-ერთ მთავარ კვანძს წარმოადგენდა საქართველოს რკინიგზის თბილისი-ბათუმის მაგისტრალურ ხაზზე. დილის 4 საათსა და 30 წუთზე ხიდი აფეთქდა. 20 წამით ადრე გაიარა ხიდზე გერმანელთა ჯარის ემელონმა. დაიწყო გამოძიება. 3 ნოემბერს აიყვანეს ორი ეჭვმიტანილი. ერთმა თავი გააცნო გრიგოლ შაროშინად, მეორემ მიხეილ კუჩარიანცად. ჩხრეკისას გ. შაროშინს აღმოაჩნდა ორი პირადობის მონმობა, ლოცვანი სომხურ ენაზე, ვერცხლისა და ქალაღდის ფული, ხოლო მ. კუჩარიანცს „დაშნაკცუთიუნი“-ს პარტიის წევრობის ბილეთი და მაუზერის ტიპის რევოლვერი. ეჭვმიტანილებს სხეულზე აღმოაჩნდათ მცირე ზომის ნაკანრი ჭრილობები, რაც დინიმიტის აფეთქების შედეგს ჰგავდა. გ. შაროშინი ამოიცნო ხიდის დარაჯმა, რომელიც რამდენჯერმე იყო შემჩნეული ხიდის დათვალიერებისას (სცსსა, 2003). ამასთან, გ. შაროშინი ძეხნილი აღმოაჩნდა კიდევ ერთ საგამოძიებო საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა 1918 წლის ოქტომბერში ნავთლულის დინამიტის საწყობის გაძარცვას (სცსსა, 2003). მაშინ შაროშინის მოძებნა ვერ მოხერხდა. ეს ასაფეთქებელი მასალა ძეგვის ხიდის ინციდენტის ადგილზე ნაპოვნი მასალის იდენტიური აღმოჩნდა. ყოველივე ეს საკმაო საფუძველს ქმნიდა მის მიმართ გამოძიების წარმოებისათვის.

ძეგვის ხიდის ინციდენტთან დაკავშირებით საქმე აღიძრა სამი ბრალდებულის: გ. შაროშინის, მ. კუჩარიანცის და ა. კიურლიანცის მიმართ. გამოძიებამ დაადგინა, რომ გრიგოლ შაროშინის ნამდვილი გვარი იყო შმაგაილოვი, პროფესიით სამხე-

დრო ინჟინერი, პოლკოვნიკი, ქ. ტულის მცხოვრები. სასამართლო პროცესზე, რომელიც 1918 წ. 21 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე გრძელდებოდა, გ. შმაგაილოვმა აღიარა დანაშაული და ორსაათნახევრიან გამოსვლაში განუმარტა სასამართლოს გერმანიის სიძულვილით გამოწვეული მისი ქმედებების მიზეზები. პეტროგრადის საინჟინრო აკადემიის დასრულების შემდეგ, ის მსახურობდა გერმანიის საზღვართან ქ. გროდნოში, ციხე-სიმაგრის მშენებელ ინჟინრად. აქ გაუჩნდა მას პირველი პროტესტი გერმანიის მიმართ, რომელიც ქმნიდა ომის კულტს. I მსოფლიო ომის პირველ წლებში გ. შმაგაილოვი მსახურობდა გენ. რენენკამფის ლაშქარში აღმოსავლეთ პრუსიაში, სადაც კიდევ ერთხელ დარწმუნდა გერმანელთა სისასტიკეში მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. 1917 წ. ოქტომბერში, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ქვეყანაში და არმიაში არსებულმა ანარქიამ გადააწყვეტინა მას ანტანტის რომელიმე ქვეყნის არმიაში სამსახური. არჩევანი ინგლისზე გაკეთდა, რისთვისაც მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის მისიის წარმომადგენელთან კავკასიაში პოლკოვნიკ პაიკთან. პაიკმა შესთავაზა შმაგაილოვს არმიაში სამსახურის ნაცვლად გამხდარიყო მათი აგენტი, რაზეც დათანხმდა.

1918 წ. ოქტომბერში გ. შმაგაილოვის ჩვენებით, მას დაევალა შეეფერხებინა სარკინიგზო მაგისტრალის ფუნქციონირება, რითაც ხელს შეუშლიდა საქართველოდან გერმანელთა ჯარის გაყვანას დასავლეთის ფრონტზე, აგრეთვე საბრძოლო მასალისა და პროდუქტის ტრანსპორტირებას. მათი აზრით, საჭირო იყო გერმანელების შეჩერება 2-3 კვირით. ამ ხნის მანძილზე უნდა მომხდარიყო გარდატეხა I მსოფლიო ომის მსვლელობაში და საბოლოოდ გადაწყვეტილიყო გერმანიის ბედი დასავლეთის ფრონტზე. ინგლისელებმა შმაგაილოვს შესთავაზეს სურამის გვირაბისა და რიონის ხიდის აფეთქება, მაგრამ მან უარი განაცხადა (სახალხო საქმე, 1918). მისი არჩევანი შეჩერდა ძეგვის ხიდზე, რომლის აფეთქება ტენიკურად უფრო იოლი იყო. გ. შმაგაილოვი სასამართლოზე ამტკიცებდა, რომ ძეგვის ხიდის აფეთქება იყო სამხედრო აქტი ანტანტის განკარგულებით, მიმართული გერმანიის კოალიციის წინააღმდეგ და არა ბოროტმოქმედება საქართველოს მიმართ (მშაკი, 1918). ის განცვიფრებას გამოხატავდა, რომ ბრალდება ამ ინციდენტს საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებად თვლიდა და უკავშირებდა მას სომხეთ-საქართველოს უთანხმოებას, მას კი სომხეთის აგენტობას აბრალებდა. სინამდვილეში კი იგი სომხეთს მხოლოდ იმის გამოც არ დაეხმარებოდა საქართველოს წინააღმდეგ, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელმაც მას თავშესაფარი მისცა და სადაც თავისუფლად შეეძლო ეცხოვრა. გ. შმაგაილოვის ადვოკატმა კ. ზელენსკიმ მოითხოვა ეს საქმე გარჩეულიყო არა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, არამედ საომარ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოების საერთაშორისო სამართლის ექსტერიტორიული პრინციპით, რადგან ეს იყო დაპირისპირება ორ სამხედრო ბლოკს შორის და არა ბოროტმოქმედება საქართველოს წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ ბრალმდებელმა ვ. დემიდოვმა აღნიშნა, რომ ექსტერიტორიული პრინციპი შეეხებოდა მხოლოდ უცხო ქვეყნის ელჩებს, კონსულებს, საზოგადოდ დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებს და არა კერძო პირებს. სასამართლომ დაადგინა, რომ ინგლისელ ოფიცრებს პაიკს და გოლდშმიტს არავითარი შეთანხმება არ ჰქონდათ თავიანთ მთავრობასთან, ამიტომ წარმოადგენდნენ კერძო პირებს. რაც შეეხებოდა იმის მტკიცებას, რომ ძეგვის ხიდის აფეთქება უნდა განხილუ-

ლიყო საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების საერთაშორისო სამართლით, ბრალმდებელმა განაცხადა, რომ საქართველო ნეიტრალიტეტს იცავდა I მსოფლიო ომში, რაც არ დაურღვევია, მოკავშირეებს მისთვის ომი არ გამოუცხადებიათ და მის ტერიტორიაზე საომარი ოპერაციები არ უნარმოებიათ. ამიტომ ამ კანონებით საუბარი საქართველოს მიმართ სრულიად უსაფუძვლო იყო. აქედან გამომდინარე დადგინდა, საქმე საქართველოს სასამართლოს გაერჩია (სცსსა, 2003).

სასამართლო პროცესზე თავისი ჩვენებით გ. შმაგაილოვმა თავი წარმოაჩინა როგორც გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლმა რუსმა პატრიოტმა, რომელიც ხედავდა რუსეთის ნგრევას ბოლშევიკების მიერ გერმანელთა ხელშეწყობით და რომელიც იდეურად გახდა მოკავშირეთა თანამზრახველი და აგენტი გერმანიის კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში (სახალხო საქმე, 1918). მაგრამ თუ მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას, ძეგვის ხიდის აფეთქებას, იმდროინდელ პოლიტიკურ მოვლენათა ასპექტში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ეს აქტი მონყობილი იყო სომხეთის ნაციონალისტური პარტიის „დაშნაკუთიუნი“-ს დაკვეთით, რათა ამ აფეთქებით, სარკინგზო მაგისტრალის პარალიზებით დაესუსტებინა ქვეყანა, მიეყენებინა ქვეყნის ისედაც მცირე ბიუჯეტისათვის დიდი მატერიალური ზარალი და ამით სარგებლობა და უპირატესობა მიეცა სომხეთის რესპუბლიკისათვის საქართველოსთან მის მომავალ ომში.

მოვიტანთ არგუმენტებს თუ რა გვაძლევს ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს. თავდაპირველად დაფუძვით, რომ ეს ტერორისტული აქტი ინგლისის მისიის დავალებით განხორციელდა, მაშინაც გაუგებარი რჩება ხიდის აფეთქება იმ დროს, როცა ანტანტას უკვე მოგებული ჰქონდა ომი და საქართველოში მყოფ გერმანელთა მცირერიცხოვან ჯარს არავითარი გარდატეხის შეტანა დასავლეთის ფრონტზე არ შეეძლო. ამასთან, ხიდის აფეთქება მოხდა 1 ნოემბერს, როცა სომხური სამხედრო შენაერთები სანაინში თავს დაესხნენ ქართული ჯარის ნაწილებს და როდესაც საქართველოს დამხმარე გერმანია ტოვებდა ჩვენს ტერიტორიას. ეჭვს იწვევს ხიდის აფეთქების საქმეში გ. შმაგაილოვის მჭიდრო ურთიერთობა მხოლოდ „დაშნაკუთიუნი“-ს პარტიის წევრებთან: მ. კუჩარიანცთან, რ. ჩალხუშიანთან, ა. კიურლიანცთან. საფიქრებელია, რომ გ. შმაგაილოვი სომხური აღმსარებლობის იყო, დაკავებისას მას აღმოაჩნდა ლოცვანი სომხურ ენაზე. გ. შმაგაილოვი ამტკიცებდა, რომ ხიდის აფეთქება იყო სამხედრო აქტი გერმანიის წინააღმდეგ და საქართველოს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ არც მას და არც ინგლის-საფრანგეთს. მისი სიტყვებით, არავის სჯეროდა იმისა, რომ იმპერიული გერმანია დემოკრატიული საქართველოს მეგობრად გამოდგებოდა; არავის სწამდა, რომ ეს მეგობრობა ხანგრძლივი იქნებოდა (სახალხო საქმე, 1918). ეს აღიარება ძალიან ჰგავს დაშნაკური სომხეთის მტრულ დამოკიდებულებას საქართველო-გერმანიის იმდროინდელი მეგობრული ურთიერთობის მიმართ, რაც საქართველოდან გერმანელების წასვლის შემდეგ უფრო თვალნათლივ გამოვლინდა საქართველოში შემოსულ ინგლისელებთან დაშნაკების საერთო ენის გამოწახვაში. სომხეთ-საქართველოს ომის (1918 წ. დეკემბერი) კრიტიკულ მომენტში, როცა საქართველოს საჯარისო ნაწილები კონტრშეტევაზე გადავიდნენ, გაათავისუფლეს სომხური ჯარის მიერ დაკავებული ქართული ტერიტორიის ნაწილი და კიდევ წინ მიიწევდნენ, სწორედ ინგლისის სამხედრო მისიამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, იკისრა არბიტრის ფუნქცია, სასწრაფოდ მოითხოვა საომარი ოპერაციის შეჩერება საქართველოს მხრიდან და დააზავა მხარეები.

სასამართლომ 1918 წლის 28 დეკემბერს გამოიტანა განაჩენი ძეგვის ხიდის საქმეზე. გ. შმაგაილოვს და მ. კუჩარიანცს მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, ხოლო მესამე ბრალდებული ა. კიურლიანცი დამნაშავედ არც ცნო და სასამართლო დარბაზიდანვე გაათავისუფლა. ბრალდებულთა ადვოკატებმა საქმე სასამართლო პალატის საკასაციო დეპარტამენტში გადაიტანეს, მაგრამ განაჩენი იგივე დარჩა (სცსსა, 2003). ამის შემდეგ ადვოკატებმა შუამდგომლობა აღძრეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას წინაშე დამნაშავეთა შეწყალების თხოვნით. 1919 წ. 26 აპრილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე მოისმინეს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მოხსენება გ. შმაგაილოვისა და მ. კუჩარიანცისათვის სასჯელის შემცირების შესახებ. მთავრობის სხდომამ დაადგინა გ. შმაგაილოვსა და მ. კუჩარიანცს სიკვდილით დასჯა შესცვლოდათ 12 წლიანი კატორლით (სცსსა, 2003). სულ მალე კი დამნაშავეები სრულიად გაათავისუფლდნენ სასჯელისაგან. საქართველოს დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ 1919 წლის 5 მაისს შეკითხვა გაუგზავნა მთავრობას და მოითხოვა განმარტება თუ რის საფუძველზე გააუქმა მთავრობამ სასამართლო გადაწყვეტილება და მისი საკუთრა შეწყალების უფლება, რომელიც დამფუძნებელი კრების პრეროგატივა იყო (სცსსა, 1833). 1919 წლის 16 მაისის დამფუძნებელი კრების სხდომაზე მოწვეულმა იუსტიციის მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ახსნა მთავრობის ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო ვითარებით და ინგლისის მისიის ზეწოლით (სდკ, 1919).

სომხური ეროვნული საბჭოს ანტიქართული საქმიანობა კიდევ რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. თბილისში, ვერის დაღმართთან მდებარე მედიკ აზარიანცის სახლის სარდაფში 1918 წლის 19 ივნისს იარაღის საწყობი აღმოჩნდა – რამდენიმე ყუთი დინამიტი, თოფები, ტყვია-წამალი, საარტილერიო ჭურვები და სხვა სამხედრო მასალა. საწყობს სომეხი სამხედრო პირები იცავდნენ. ქართულმა სახალხო გვარდიელების რაზმმა ასაფეთქებელ ნივთიერებათა უკანონოდ შენახვის ბრალდებით დააკავა ამ სახლში მცხოვრები პოლკოვნიკი კუნკოვსკი. იმავე ღამეს დააპატიმრეს ამ საქმეში ეჭვმიტანილები – თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს ყოფილი უფროსი პასტრულინი, გენერალი ფონრუბენაუ და პორუჩიკი ალექსანდროვი (ერთობა, 1918). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმმა 1918 წლის 6 აგვისტოს მიაკვლია კიდევ ერთ საიდუმლო იარაღის საწყობს მანთაშევის ქარვასლაში. აქ აღმოჩნდა ასაფეთქებელი ნივთიერებები, ყუმბარები და ზარბაზნებიც კი. ქარვასლას იცავდა 60-მდე სომეხი ჯარისკაცი. მათ წინააღმდეგობა გაუწიეს და შენობაში არ უშვებდნენ საგანგებო რაზმის წევრებს, მიუხედავად მათ მიერ წარდგენილი შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებისა. ქართულმა შეიარაღებულმა რაზმმა იარაღი აჰყარა სომეხ ყარაულს. მანთაშევის ქარვასლაში აღმოჩენილი იარაღის საწყობის აღმოჩენის შესახებ ეცნობა საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელს ა. ჯამალიანს, რომელმაც აღიარა ამ იარაღის სომხური საჯარისო ფორმირებებისადმი კუთვნილება (საქართველოს რესპუბლიკა, 1918). როგორც ჩანს, სომხური მხარე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მოკლე დროში, 1918 წლის ივნისში, არღვევდა თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემულ ბრძანებას სომხური სამხედრო ნაწილებისა და იარაღის საქართველოს ტერიტორიიდან სასწრაფოდ გატანის შესახებ

(ერთობა, 1918). საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ არ აღძრა ამ ფაქტებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე, არ გამოიძია ამ საიდუმლო საწყობების შექმნის მიზეზი და მიზანი, არც კი დასვა კითხვა სომხურ მხარესთან, ჰქონდა თუ არა სომხეთის მმართველ „დაშნაკცუთიუნი“-ს პარტიას ფარული იარაღის სა-მაღავეების უფლება თბილისის ცენტრში და ამასთან არავითარი ოფიციალური განაცხადი არ გაეკეთებინა საქართველოს მთავრობის წინაშე, მითუმეტეს არსებული ბრძანების ფონზე. ამის საპირისპიროდ, საქართველოს მთავრობა წავიდა კომპრო-მისზე, მოლაპარაკება დაიწყო სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან და მხოლოდ თხოვნის დონეზე დააყენა იარაღის გატანის საკითხი.

საქართველოს მთავრობამ შესთავაზა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენ-ლობას იარაღი გაეტანათ ქალაქგარეთ არსენალში ყველა ნივთის აღწერით. ეს ქონება სომხეთის კუთვნილებაში რჩებოდა, ქართული მხარე მხოლოდ მის დროე-ბით შენახვას კისრულობდა. პრობლემა კიდევ სამი თვე ვერ მოგვარდა. 4 ნოემბრით დათარიღებულ ა. ჯამალიანის წერილში საქართველოს საგარეო საქმეთა მინის-ტრის ე. გეგეჭკორისადმი, სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი პროტესტს გამოთქვამს ქართული მხარის საქციელის გამო. მისი თქმით, თბილისის სამხედრო გარნიზონის უფროსი გენერალი ახმეტელი გამოცხადდა მანთაშევის ქარვასლაში და მოითხოვა დალუქული საწყობების გახსნა და საბრძოლო მასალის მისთვის ჩაბ-არება. ა. ჯამალიანი აფრთხილებს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ თუ ძალით მოიხსნება ბეჭდები, ეს მოხსენდება სომხეთის მთავრობას და აღიქმება როგორც სომხეთის რესპუბლიკის მიმართ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება. მეორე დღესვე ე. გეგეჭკორი წერს ა. ჯამალიანს საპასუხო წერილს, რომელშიც მინიშ-ნებითაც კი არ არის დასმული საკითხი ამ იარაღის შენახვის კანონიერების თაო-ბაზე, პირიქით, საგარეო საქმეთა მინისტრი ცდილობს გამართლება მოუძებნოს ქართული მხარის საქციელს და ამას ხსნის ქალაქის ცენტრში საბრძოლო იარაღის შენახვის საშიშროებით. ამასთან ახსენებს ა. ჯამალიანს სამხედრო მინისტრთან მის შეხვედრას, რომელზეც მან სიტყვიერი თანხმობა განაცხადა ამ საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ აღარ ჩათვალეს საჭიროდ ოფიციალურად ეცნობებინათ მისთვის. ე. გეგეჭკორი ცდილობდა დაერწმუნებინა სომხეთის დიპლომატიური მისია, რომ ამ პრობლემის გადაჭრა სასწრაფოდაა საჭირო და სთხოვს აცნობოს მას ზუსტი დრო, თუ როდის შეიძლება მანთაშევის ქარვასლიდან იარაღის გა-დატანა თბილისის გარეთ არსენალში (სცსსა, 1864). ამის საპასუხოდ ა. ჯამალიანი ითხოვს ამ იარაღის არა თბილისის არსენალში, არამედ ერევანში გადატანას და სთხოვს ე. გეგეჭკორს სპეციალური სატვირთო მატარებლის გამოყოფას საქარ-თველოს სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლის თანხლებით (სცსსა, 1864). ქარ-თული მხარე უარს აცხადებდა ამაზე ამ დროს საქართველო-სომხეთის სასაზღვრო რაიონში არსებული დაპირისპირების გამო. 1918 წლის 18 ოქტომბერს, თურქეთის ჯარის მიერ საზღვრისპირა ტერიტორიის დატოვებისთანავე სომხურმა საჯარისო ფორმირებებმა შეავიწროვეს ქართული ჯარის ნაწილები და აიღეს სანაინი, დაი-კავეს კორინჯ-ცათერის ხაზი. სწორედ ამის გამო ქართული მხარე აფერხებდა ამ საბრძოლო მასალების სომხეთში გაგზავნას, რასაც დაჟინებით ითხოვდა სომხე-თის დიპლომატიური მისია. საქართველოს სომხეთთან დამაკავშირებელი სარკინ-იგზო მაგისტრალი ხომ სწორედ ამ კონფლიქტურ ტერიტორიაზე გადიოდა, ამი-

ტომ ვფიქრობთ, საქართველოს მთავრობა შიშობდა ეს იარაღი ქართული ჯარის წინააღმდეგ არ ყოფილიყო გამოყენებული.

1918 წლის 20 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის უფროსმა მ. კელიამ დააფიქსირა სომეხთა ეროვნული საბჭოს შტაბბინაში (არამიანცის სახლი) 500-მდე ადამიანის ფარული შეკრება საქართველო-სომხეთის მიმდინარე ომში სომეხ მოხალისეთა მობილიზაციის მიზნით. ისინი აღმოჩნდნენ ახალგაზრდა სომეხები და თბილისის მილიციიდან დათხოვნილი სომეხი ეროვნების მოქალაქეები. შეკრებას კოორდინაციას უწევდა ორი აგიტატორი და მიღებული იქნა რეზოლუცია მოხალისეთა რაზმის შექმნის თაობაზე. საგანგებო რაზმის გამოჩენისთანავე ხალხი დაიშალა და გაიქცა, ცდილობდნენ გაენადგურებინათ მოხალისეთა სიები და სხვა დოკუმენტები. საგანგებო რაზმის უფროსმა არამიანცის შენობაში დააყენა შეიარაღებული დაცვა იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომ იქ დიდძალი იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა ინახებოდა (სცსსა, 1863). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა დააპატიმრეს ამ შეკრების ორგანიზატორები – ა. ბარხუდარიანი და გ. ჯამაგოსიანი, რომელთაც ჩხრეკისას აღმოაჩნდათ მათი საქმიანობის ამსახველი მამხილებელი მასალა. ა. ბარხუდარიანს ხუთი ჩანაწერი, რომელიც ამხელდა მას საქართველო-სომხეთის ომის პერიოდში ქართველთა წინააღმდეგ მიმართულ სამობილიზაციო საქმიანობაში, გ. ჯამაგოსიანს კი სპეციალურ რაზმებში გაერთიანებულ სომეხ მოხალისეთა ექვსი სია (სცსსა, 1863). დაკავებულები ა. ბარხუდარიანი და გ. ჯამაგოსიანი გადაიყვანეს №2 საგუბერნიო საპყრობილეში (სცსსა, 1863).

არამიანცის შენობაში მომხდარი ინციდენტის ძიების პროცესში გამოჩნდა კიდევ ერთი ეჭვმიტანილი – თბილისის სამხედრო შტაბის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი დოლუხანოვი. მას აღმოაჩნდა სომხეთის მთავრობის მიერ სანქცირებული დოკუმენტი, რომლითაც ის ახორციელებდა საქართველოს ტერიტორიაზე სომეხი და რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მობილიზაციას და გაგზავნას საქართველო-სომხეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ (სცსსა, 1863). 1918 წლის 28 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით ჩატარდა ჩხრეკა არამიანცის შენობაში, შედგა ქონების ნუსხა, მოთავსდა II სართულის ოთხ ოთახში და დაილუქა. 30 დეკემბერს ორი ოთახი ლუქახსნილი და გაღებული აღმოჩნდა. გახსნილი ოთახებიდან წაღებული იყო საქმიანი ქაღალდები, მიმონერა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სალაროს წიგნები (სცსსა, 1863), ანუ ის დოკუმენტები, რომლითაც გაცხადდებოდა სომეხთა ეროვნული საბჭოს ნამდვილი საქმიანობა. ამ საქმეში სავარაუდოა ინგლისელთა მონაწილეობა, რომელთა ხელშეწყობითაც, ვფიქრობთ, გაიხსნა საქართველოს მხარის მიერ დალუქული სომეხთა ეროვნული საბჭოს ქონება. ამის ვარაუდის საფუძველს, გარდა ამ პერიოდში ინგლისელთა ზოგადად დადებითი განწყობისა სომხური სახელმწიფოს მიმართ, გვაძლევს ერთი ფაქტიც. ამ ინციდენტიდან სულ მოკლე ხანში არამიანცის შენობაში ბინა დაიდო ინგლისელთა წარმომადგენლობამ, რომელიც კატეგორიულად აცხადებდა, რომ არაფერი იცოდა სომეხთა ეროვნული საბჭოსა და მისი ქონების შესახებ.

იარაღის საიდუმლო საწყობები დაშნაკურ საბჭოს ესაჭიროებოდა არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებისა და ტერორისტული აქტების მოსაწყობად, არამედ მშვიდობიანობის დროს საქართველოში არსებული სომხური

სამხედრო რაზმების მოსამარაგებლად. ერთ-ერთი ასეთი იყო დაშნაკების უკანონო თბილისის „ტერორისტთა კორპუსი“. რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, ქართულმა საზოგადოებამ ასეთი კორპუსის არსებობის შესახებ მხოლოდ სომხური გაზეთის „ჰორიზონ“-ის 1918 წლის მაისის ნომრიდან შეიტყო, რომელიც კორპუსის ყველა წევრის მობილიზაციას აცხადებდა (ჰორიზონი, 1918).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში, სომეხთა ეროვნული საბჭოს მიერ ინიცირებულ მთელ რიგ კანონგარეშე ქმედებებზე, საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეაგირება არ მოუხდენია. მეტიც, თავდაცვის პოზიციაში აღმოჩნდა. საქართველოს ასეთი შემრიგებლური პოლიტიკური კურსი მეზობელი ქვეყნის მხრიდან სახელმწიფოებრივ სისუსტედ აღიქმებოდა და მასზე აგრესიული ზემოქმედების მოხდენასაც ცდილობდა. საქართველოს მთავრობის ასეთი პოლიტიკა შესაძლოა იმით იყო გამოწვეული, რომ სწორი მიმართულებების ძიების პროცესში მყოფი, გამოუცდელი, ახალი ქართული დემოკრატია ამგვარი გადაცდენებისაგან არ იყო დაზღვეული, ან იმით, რომ მას ჯერ კიდევ სრულყოფილად არ ჰქონდა გააზრებული სახელმწიფოებრიობის არსი, რისი შედეგიცაა პოლიტიკური გულუბრყვილობა. ერთი რამ კი ცხადია, ქართული მენშევიკურ ხელისუფლება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტს განიცდიდა, მას სრულად არ ჰქონდა გაცნობიერებული ქართული სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მიმართულებები, ქართველთა თვითცნობიერების ისტორიული მსაზღვრელების, ქართული იდენტობის უმთავრესი მარკერების აღდგენის აუცილებლობა, რაც მთლიანობაში აზარალებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- სცსსა (2003). საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 2003, აღწ. 1, საქ. 13
- სახალხო საქმე (1918). გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ. 25 დეკემბერი, №416
- მშაკი (1918). გაზეთი „მშაკი“, 1918 წ. 29 დეკემბერი, №269 (სომხურ ენაზე)
- საქართველო (1919). გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. 2 იანვარი, #1
- სცსსა (1833). საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღწ. 1, საქ. 60
- სდკ (1919). საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919, XVII სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში
- ერთობა (1918). გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. 23 ივლისი, №153
- საქართველოს რესპუბლიკა (1918). გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. 8 აგვისტო, №12
- ერთობა (1918). გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. 7 ივლისი, №140
- სცსსა (1864). საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 1, საქ. 18
- სცსსა (1863). საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1863, აღწ. 1, საქ. 17

სცსსა (1863). საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონ-
დი 1863, აღწ. 1, საქ. 1506

ჰორიზონი (1918). გაზეთი „ჰორიზონი“, 1918 წ. 15 მაისი, №108 (სომხურ ენაზე)

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. 8 აგვისტო, №12

გაზეთი „მშაკი“, 1918 წ. 29 დეკემბერი, №269 (სომხურ ენაზე)

გაზეთი „ჰორიზონი“, 1918 წ. 15 მაისი, №108 (სომხურ ენაზე)

Eka Kvachantiradze
PhD in History, Professor
Caucasus University

ON THE ISSUE OF HISTORY OF ARMENIAN NATIONAL COUNCIL'S ACTIVITIES IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

Summary

Dashnak National Council was engaged in commissioning and guiding terrorist acts on the territory of Georgia; it owned secret warehouses of the weapons in Tbilisi and mobilized volunteers to participate in the armed conflict between Armenia and Georgia (December 1918). On November 1, 1918 a terrorist act was committed on Dzegvi Bridge, on the river Mtkvari, one of the most important junctions of Tbilisi-Batumi railway-road of Georgia; the bridge was exploded. Guilty of crime turned to be G. Shmagailov and M. Kuchariants. G. Shmagailov, a Russian military engineer, tried to justify himself at the court hearing by saying he had acted as a Russian patriot against Germany, aiming to impede transportation of German troop trains to the western battle-front, thus making a radical turn in the process of the World War I. But in fact, as the research has proved the act was commissioned by „Dashnaktsutun“, the nationalist party of Armenia. The court sentenced the perpetrators to death. Noe Zhordania, the Chairman of the Democratic Republic of Georgia, substituted death penalty with 12 years penal servitude. The offenders were released before long. On 19 July, 1918, the garrison of the National guard discovered a hidden arsenal at Melik Azariants's house. On August 5, 1918, special detachment of the Ministry of Interior discovered another secret arsenal at Mantashev's caravanserai. The headquarters of the Armenian National Council was located at Aramiants's house, from where all these activities were planned and directed. There, during the secret meetings of Armenian youth mobilization of volunteers detachments was organized to participate in Georgian-Armenian war. The article gives a detailed description of the endeavours of the Armenian National Council.

ნოდარ ჩხაიძე
ისტორიის მიმართულების დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან სიხარულიძე
ისტორიის ბაკალავრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩოხატაურის 1919 წლის აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ

გურიის აჯანყება ერთ-ერთი იყო ბოლშევიკური გამოსვლების სერიიდან, რომელიც გასაბჭოებამდე მიმდინარეობდა საქართველოს ტერიტორიაზე. ბოლშევიკებმა რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორების გამო ვერ მოახერხეს 1921 წლამდე უშუალოდ სამხედრო გზით საქართველო დაეპყროთ. მიუხედავად ამისა, ისინი ცდილობდნენ დაეფინანსებინათ და ხელი შეეწყობინათ საქართველოში მცხოვრები ბოლშევიკურად განწყობილი მოსახლეობისათვის, რომ აჯანყების გზით მომხდარიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა. ამის მცდელობები მათ ჰქონდათ: მანგლისში, გორში, დუშეთში, ცხინვალის რეგიონში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და სხვა კუთხეებში.

გურიაში მომხდარი მოვლენებიც ამის მაგალითი იყო. ეს აჯანყებები საბჭოთა დროს გარკვეული თვალსაზრისით შესწავლილია, თუმცა საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი კონიუნქტურის გამო ობიექტური სურათის აღდგენა შეუძლებელი იყო, ამიტომ გარკვეული მოვლენები გადაფასებას საჭიროებს.

აჯანყება 1919 წლის 8 ნოემბერს დაიწყო და 10 ნოემბერს დამთავრდა. მიუხედავად ამისა, საკვლევი მასალა საკმაოდ მოცულობითია და გადაწვევით აჯანყების მხოლოდ ერთ ადგილს, ჩოხატაურს შეეხებოთ. სრული სურათის აღდგენა შემდგომი კვლევა-ძიების საკითხია. ვეცდებით შეძლებისდაგვარად ვუბასუხოთ კითხვებს, რამ გამოიწვია ეს გამოსვლა, რა რესურსი გააჩნდათ აჯანყებულებს, რას ეყრდნობდნენ და რა მიზანს ისახავდნენ, რამდენად იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა აჯანყებაში, იყო თუ არა დროული და ეფექტური ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები, რამ გამოიწვია აჯანყებულების მარცხი და სხვა.

გურიის გამოსვლების შესახებ პირველ რიგში ინფორმაციას თანადროული პრესიდან ვიღებთ, „საქართველოს რესპუბლიკა“, „სახალხო საქმე“, „ერთობა“ და სხვა გაზეთები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ყურადღებას იქცევს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ნოე რამიშვილის წერილი, რომელიც აჯანყებულთა მიმართ მიღებულ ზომებზე მოუთხრობდა მკითხველს. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ აჯანყების მონაწილე ზოგმა პირმა ჟურნალ „რევოლუციის მატთანში“ მოგონებების წერა დაიწყო. მათი მონათხრობი, სუბიექტურობის მიუხედავად, გარკვეულწილად ავსებს ჩვენს ცოდნას მომხდარი მოვლენის

შესახებ. საბჭოთა დროს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში თუ გამოცემაში იყო მცდელობა შეფასებულიყო ეს გამოსვლა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს დ. ჯიბლაძის „1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში“. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეექვსე ტომი, რომელშიც მიუხედავად იმისა, რომ ამ აჯანყებას მცირე ნაწილი ეთმობა, ავტორი შედარებით ობიექტურად განიხილავს აჯანყების დამარცხების მიზეზებს, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოპერატიულ ღონისძიებებს, აჯანყებულთა შეუთანხმებლობას, იარაღის უქონლობას, წყალდიდობას (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1921, ტ.VI, გვ. 668-669). ეს ფაქტები სხვადასხვა მოგონებიდან და საარქივო მასალებიდანაც დასტურდება.

პოსტსაბჭოთა საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა ჯერჯერობით ერთ-ერთ შეუსწავლელ საკითხად რჩებოდა. 2017 წლის დეკემბერში ჩოხატაურში ჩვენი ვიზიტისას, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მივაკვლიეთ აჯანყების მონაწილეთა მოგონებებს, გამოუქვეყნებელ მასალას. ეს საქმეები არ არის კატალოგიზირებული. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ მოგონებების ნაწილი სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოვა. გარდა ამისა, აუცილებლად აღსანიშნავია საარქივო მასალა, რომელიც გურიის გამოსვლების შესახებ არაერთ საყურადღებო დეტალს შეიცავს.

1919 წელს ბოლშევიკები გამოსვლას მთელი საქართველოს მასშტაბით გეგმავდნენ. რუსეთის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით აჯანყება თბილისში უნდა დაწყებულიყო 24 ოქტომბერს და დაწყებული გამოსვლა ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომ სხვა რეგიონებშიც აჯანყებულიყვნენ ადგილობრივი ბოლშევიკები. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა ინფორმაცია მიიღო, რომ აჯანყება მზადდებოდა. ამიტომ მან რეგიონებში გააგზავნა მონოდება, რომ მზად ყოფილიყვნენ მოსალოდნელი გამოსვლებისათვის (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1921, ტ.VI, გვ. 668). სამინისტრომ ოპერატიულობა გამოავლინა, დაიწყო ექვმიტანილთა მასობრივი დაპატიმრებები, ბოლშევიკები მიხვდნენ, რომ აჯანყება უიმედო იქნებოდა და შეტყობინება გააგზავნეს რეგიონებში გამოსვლის გადადების შესახებ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1921, ტ.VI, გვ. 668). მიუხედავად ამისა, ზოგ რეგიონამდე ამ ბრძანებამ ვერ ჩააღწია და მაგალითად ლაგოდეხში, სენაკში, კულაშში აჯანყება მაინც დაიწყო და ის სრულიად წარუმატებელი გამოდგა. მთავრობამ აჯანყების მოთავეთა უმრავლესობა დააპატიმრა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1921, ტ.VI, გვ. 668). მიუხედავად ამ ყველაფრისა, გურიის აჯანყება მაინც დაიგეგმა.

გურიის აჯანყების მონაწილე ბოლშევიკ ელიზბარ კალანდაძის მოგონებით, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან მას კავშირი მუდმივად ჰქონდა. იგი ხვდებოდა ფილიპე მახარაძეს, სერგო კასიანს და სხვებს. ხშირად მიდიოდა მათთან, რათა სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხში დახმარება მიეღო და გარდა ამისა, გამოსვლები ფინანსურად უზრუნველყოფილიყო. ქუთაისიდან აჯანყებას ხელმძღვანელობდა მიხა ცხაკაია, რომელიც იმ პერიოდში თბილისიდან იყო მივლინებული და მამია ორახელაშვილის ბინაში არალეგალურ შეკრებებს ატარებდა (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, კალანდაძე. ე). ბოლშევიკებს გურიაში გაგზავნილი

ჰყავდათ ცნობილი რევოლუციონერი გიორგი სტურუა. იგი, როგორც გურული ბოლშევიკები მიუთითებენ, აჯანყების დაგეგმვაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ცინცაძე). ერთ-ერთი აჯანყებული პარმენ ცინცაძე იხსენებდა, რომ ქუთაისში მას პირადად გადასცა აჯანყებისთვის 10 000 მანეთი და აჯანყების გეგმა გიორგი სტურუამ. სავარაუდოდ, ეს ფული აჯანყებულებამდე არ მისულა, რადგან პ. ცინცაძე დააპატიმრეს.¹ როგორც ირკვევა, გურიაში ბოლშევიკურ პარტიას არ ჰყავდა მრავალრიცხოვანი მომხრეები. ჰქონდათ იარაღის გარკვეული მარაგი, რასაც ნოე რამიშვილიც აღიარებდა. თუმცა მათი რესურსი საკმარისი არ აღმოჩნდა ხანგრძლივი წინააღმდეგობის გასანევად. გურული ბოლშევიკები აფიქსირებდნენ პოზიციას, რომ კავკასიის პროლეტარიატი არ უნდა მოწყვეტოდა რუსეთს (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, გიორგაძე). 1918 წლის პირველ მაისს სილიბისტრო თოდრიასა და ტარასი მაგლობლიშვილის ხელმძღვანელობით მათ პირველი მაისის დღესასწაულზე ერკეთში სამმართველოს შენობა აიღეს, ნაშალეს წარწერა დემოკრატიული რესპუბლიკა და დაანერეს ძირს მენშევიკები, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, გიორგაძე). გარდა ამისა, ცდილობდნენ მოეწყოთ მიტინგები, გაფიცვები. უნდა ითქვას, რომ მთავრობას მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მუდმივად ჰქონდა და ცდილობდა სიტუაციაზე კონტროლი არ დაეკარგა. 1918 წელს ბოლშევიკებმა რამდენჯერმე სცადეს შეექმნათ შეირალებული ძალა გურიაში. ამის მაგალითი იყო 1918 წლის 27 იანვრის დადგენილება ბოლშევიკური მილიციის შექმნის შესახებ, ხოლო თებერვალში ბოლშევიკური გვარდიის შექმნის მცდელობა (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, გიორგაძე). დიდი აღზატობით, მათ სცადეს მხარი აეხათ ლენინის წამოწყებისათვის ბოლშევიკური გვარდიის შექმნის შესახებ. თუმცა, როგორც ჩანს, მიღებული დადგენილება ვერ განახორციელეს, რადგან 1919 წლის აჯანყების შესახებ დაწერილ მოგონებებში და არც საარქივო მასალაში გურიის ბოლშევიკური გვარდია ნახსენები არ არის. გამოსვლებისთვის მზადება გურიაში 1919 წლის დასაწყისიდან დაიწყო. სამთავრობო ძალებს განსაკუთრებული ყურადღება მართებდათ, რადგან აჯანყებაში მონაწილე პირების ნაწილს კონსპირაციის გამოცდილება ჰქონდა, ზოგ მათგანს რუსეთის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა ჰქონდა მიღებული. აჯანყებისთვის მზადების პერიოდში მკაცრად გასაიდუმლოებულ პირობებში რამდენიმე კრება ჩატარდა. გურიაში, გიორგი სტურუას გარდა, აჯანყების დასაგეგმად მივლინებული იყო კიდევ ერთი ცნობილი ბოლშევიკი ბორის ძნელაძე. მას აჯანყებაში ახალგაზრდების ჩაბმა ევალებოდა (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, დ. კალანდაძე). ძნელაძემ მოახერხა და 1919 წელს ჩოხატაურის გიმნაზიაში ჩამოაყალიბა არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია „სპარტაკი“. ამ ორგანიზაციაში განევრიანებულმა ახალგაზრდებმა გაფიცვა მოაწყვეს, რამდენიმე დღით სასწავლო პროცესი ჩაშალეს (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, დ. კალანდაძე). გარდა ამისა, სპარტაკელების ნაწილმა აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. როგორც აღვნიშნეთ, ბოლშევიკები აჯანყებისთვის მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ. გურიაში გამოსვლები ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებში უნდა დაწყებულიყო,

1 როგორც ჩანს, დაფინანსების ნაწილი მაინც მიდიოდა დანიშნულების ადგილამდე. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი აღნიშნავდა, რომ აჯანყებულებს თანხა დიდი რაოდენობით ჰქონდათ.

თუმცა ოზურგეთი თავიდანვე გამოთიშული აღმოჩნდა აჯანყებიდან. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. აჯანყების წინა პერიოდში შეკრებები გაზაფხულიდან მოყოლებული იმართებოდა. აღსანიშნავია მარტის შეკრება, სადაც აჯანყებულებმა ისაუბრეს გეგმების შესახებ, ამის შემდეგ ისინი კონსპირაციის დაცვით ცდილობდნენ შეკრებები გაემართათ ზაფხულში, აჯანყების თარიღის დადგენას ხელს უშლიდა მეტეოროლოგიური მდგომარეობა, ძლიერი წვიმების გამო, ძნელი იყო ერთმანეთთან კონტაქტი, მდინარეების გადალახვა და ერთი გეოგრაფიული პუნქტიდან მეორეში გადასვლა. მიუხედავად ამისა, ისინი თათბირობდნენ და ცდილობდნენ აჯანყებისთვის მომზადებულიყვნენ. 1919 წლის ზაფხულში ბაქოში მოენყო ბოლშევიკების არალეგალური ყრილობა, სადაც სხვადასხვა მხარის წარმომადგენელი იყო მინვეული. გურიიდან ვარდენ კალანდაძემ განაცხადა, რომ მისი მხარე მზად იყო მენშევიკების დასამხობად. ამის შემდეგ ისინი ფარულად ჩამოვიდნენ და აჯანყებისთვის მზადებას შეუდგნენ. მიუხედავად სუბიექტურობისა, ბოლშევიკებიც კი ვერ უარყოფენ მოგონებებში დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების კარგ ოპერატიულ მუშაობას, მთავრობას მათ შესახებ ინფორმაცია მუდმივად ჰქონდა.

1919 წლის 23 სექტემბერს გურიის სამაზრო კომიტეტის სხდომაზე გ. სტურუამ მოუწოდა დამსწრეებს დაუყონებლივ მზადება დაეწყოთ აჯანყებისთვის, ამ კუთხით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სოფელ გორაბერეჟოულში მდინარე გუბაზეულის ხიდთან შეკრებას, დღევანდელი ერისთავების სასახლეში. შეხვედრის მონაწილეთა მოგონებების ერთი ნაწილის მიხედვით, შეხვედრას არ დასწრებია გიორგი სტურუა, თუმცა მონაწილეების მოგონებებში გვხვდება განსხვავებული ცნობაც. ჩვენი აზრით, მან შეხვედრას შეგნებულად აარიდა თავი, რადგან სამთავრობო ძალებს მასზე და სხვა ცნობილ ბოლშევიკებზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა ჰქონდათ დაწესებული და შესაძლებელი იყო, მის მისვლას კრებაზე მათი საერთო საქმისთვის ზიანი მიეყენებინა. როგორც შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე ასალო ცინცაძე იხსენებს, სტურუამ შემოუთვალა, რომ კრების ადგილას მიიყვანდა სხვა პიროვნება, რომელსაც ამოსაცნობად ხელზე ცხვირსახოცი ეკეთებოდა. როგორც ირკვევა, ეს კაცი ძველი კატორღელი მოსე ცხოიძე იყო (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ცინცაძე). კონსპირაციის შესახებ მოგვითხრობს სხვა აჯანყებულებიც. ბ. არონიში იხსენებს, რომ შეთანხმების მიხედვით ნაგომარის ხიდთან შეხვედა კაცი, რომელიც ღიღინებდა და თვითონაც ღიღინით მიახვედრა, რომ შეთქმული იყო. მან დამხვედრ კაცს პაროლი უთხრა „შავი ზღვა“, რის შემდეგაც იგი კრებაზე მიიყვანეს (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, არონიში). მიუხედავად შეხვედრის საიდუმლოდ ჩატარების მცდელობისა, როგორც ჩანს, ინფორმაცია მაინც გავრცელდა. მათ მიიღეს შეტყობინება, რომ ნაგომარში გვარდიის მეთაური სერგო მათითაიშვილი იყო შესული და ხალხს ჩხრეკდა. კრება ისე დაიშალა, რომ ვერ გადარწმუნეს აჯანყების დღე. ის კი დადგინდა, რომ ოზურგეთს თავს უნდა დასხმოდნენ ჩოხატაურის რაზმები არონიშისა და გოგუაძის მეთაურობით. აგრეთვე, აჯანყების მეთაურობა ვლადიმერ ცინცაძეს დაეკისრა. გამოყვეს რამდენიმე პირი, რომელიც სხვადასხვა სოფელში იქნებოდა რაზმის მეთაური: აჯანყების სამხედრო ოპერატიული ხელმძღვანელები იყვნენ ჩოხატაურში შერმანდი ცინცაძე, ხევ-ერკეთში მიტროფანე და ამბაკო მამალაძეები და ლადიკო ჩანტლაძე, შუა ამაღლებში სარდიონ ჯიბუტი, გიორგი ყაჭეიშვილი, მთლიანად ჩოხატაურში აჯანყების

მეთაურები სამსონ ჭანიშვილი და ტარასი მგალობლიშვილი იყვნენ. თითო რაზმს ორი მეთაური შეგნებულად ჰყავდა დანიშნული, რათა რაზმამდე ორიდან ერთს მაინც შეძლებოდა ინფორმაციის მიტანა. გარკვეული გეგმა გორაბერეჟოულის შეკრებამდეც იყო დასახული, სოფელ შუა ამაღლებაში გ. ყაჭეიშვილის სახლში განიხილეს ხალხის შეკრება, იარაღის შეძენა, ჩოხატაურის ცენტრის დაკავება, თითოეული საკითხი პრობლემური იყო. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულები ფინანსურ დახმარებას იღებდნენ სამხარეო კომიტეტისგან, იარაღის შოვნა განსაკუთრებულად საფრთხილო საქმე იყო. როგორც იხსენებენ, ზოგჯერ იარაღს გვარდიელებისგან ყიდულობდნენ, მათი ძირითადი იარაღი „ბერდენკის“ თოფები იყო. ერთ-ერთი მებრძოლის ცნობით, ერკეთში მასთან ერთად რაზმში 27 კაცი იყო და იარაღი მხოლოდ ხუთ მათგანს ჰქონდა, აჯანყების მონაწილეები მიტროფანე მამალაძე და ლადიკო ჩანტლაძე დაუკავშირდნენ ავთანდილ მამალაძეს, რომელიც მილიციის მუშაობდა ერკეთში. მან გააღო არსენალის კარები და აჯანყებულებს გადასცა იარაღი. ზოგჯერ იყო სხვა გარემოებებიც, ერთ-ერთი აჯანყებული ივანე ანთიძე იხსენებდა რომ რაზმი შეიარაღებული იყო თოფებით და ერთი შაშხანით, რომელიც თავის მენშევიკ ძმას წაართვა (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ანთიძე). ერთი მხრივ, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ აჯანყების თარიღზე შეუთანხმებლობა იარაღის პრობლემასთან იყო დაკავშირებული², გარდა ამის ისინი ნიშანს ელოდებოდნენ თბილისიდან.

ამ პერიოდისთვის გურიაში განლაგებული იყო გვარდია, რომლის მეთაური, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, სერგო მათითაიშვილი იყო. ეს უკანასკნელი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული ენთუზიაზმით ეკიდებოდა, მან აჯანყებამდე ბოლშევიკების რამდენიმე შეკრება-მანიფესტაცია ჩაშალა. როგორც მოგონებებში წერდნენ, მათითაიშვილის რაზმელები კრების მონაწილეებს ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ.

რა ძალა იყო მთავრობის განკარგულებაში? ამაზე შეგვიძლია საარქივო მასალების მეშვეობით ვიმსჯელოთ. ამ პერიოდში გურიაში განლაგებული გვარდიის განკარგულებაში 12 ტყვიამფრქვევი, 750 ხიშტი და ხმალი, ანუ ჯამში 750 ქვეთი და ცხენოსანი იყო.³

აჯანყებულების შეკრების ცენტრად დასახელდა ენერი (ქვემო ერკეთი). განვმარტოთ რატომ აირჩიეს თავშეყრის ადგილად ქვემო ერკეთი. სტრატეგიული თვალსაზრისით, ის ერთ-ერთი ახლო დაშორებული პუნქტია ჩოხატაურიდან, ამავრდოულად სწორი რელიეფი მეტად მოსახერხებელია რაზმის გადაადგილებისთვის, გარდა ამისა, რაზმელები სწორედ ზემოთ მდებარე სოფლებიდან იყვნენ. ამ სოფლებიდან მომავალი გზები კვეთს ქვემო ერკეთს. ამ რაზმებს არ უხდებოდათ რაიმე სირთულის გადალახვა, სანამ შეკრების ადგილს მიაღწევდნენ. ჩოხატაურთან ენერზე უფრო ახლოს მდებარეობს სოფელი გორა, მაგრამ, ჩვენი აზრით, გორა არ აირჩიეს ერთი მარტივი მიზეზის გამო. ოზურგეთიდან შემომავალ მთავ-

2 იარაღის რაოდენობასთან დაკავშირებით, ლეონ შენგელაიამ კითხვა დაუსვა მინისტრ ნოე რამიშვილს, რატომ ჰქონდათ დიდი რაოდენობით იარაღი აჯანყებულებს. რამიშვილმა უპასუხა, რომ ხალხს სხვადასხვა ადგილას იარაღი ისედაც ჰქონდათ ხელთ და გარკვეულწილად დაფინანსებაც გამოიყენეს შესაძენად. ამას უნდა დაეუმატოთ ერკეთში გახსნილი იარაღის საწყობი და აგრეთვე ის, რაც ჩოხატაურის ადგილისას მოიპოვეს.

3 სცსა, ფ. 1970, აღნ.2, საქ. 128

რობის ჯარს მოუწევდა გორას გამოვლა, რაც გამოიწვევდა აჯანყებულებთან მათ შეტაკებას შეკრების ადგილას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუშლიდა ჩოხატაურის აღებას. კოხნარის და ფარცხმის რაზმები არ მოსულან ქვემო ერკეთში. ჩვენი აზრით, იმიტომ, რომ ჩოხატაურის გამოვლა მოუწევდათ, რაც საშიშიც იყო მათთვის და დროსაც დააკარგინებდა. რაზმებს ერკეთში მისცეს კონკრეტული გეგმა, სია იმ პუნქტებისა, რომელიც უნდა აეღოთ ჩოხატაურში. გვარდიის შტაბის აღება დაევალათ ძმებ მამალაძეებს. შერმანდი ცინცაძეს, სანდრო რამიშვილს დაევალათ დემოკრატიული რესპუბლიკის ერობისა და მილიციის აღება, ხოლო ფოსტის აღება ისიდორე მამალაძისა და თეოფილე თედორაძის რაზმებმა ითავეს. თავის მხრივ, გამოსვლების წარმატება დამოკიდებული იყო ლანჩხუთსა და ოზურგეთში აჯანყების გეგმის მიხედვით წარმართვაზე. ამ მზადების პერიოდში მთავრობამ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სამხედრო ტექნიკური კომისიის თითქმის მთელი შემადგენლობა დააპატიმრა. აჯანყებულების ნაწილისათვის ცხადი გახდა, რომ ასეთ სიტუაციაში გამოსვლა დიდი რისკი იქნებოდა. ამიტომ ფიქრი დაიწყო აჯანყების თარიღის გადადებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სიგნალი ვერ მიიღეს ხევ-ერკეთისა და ჩოხატაურის კომიტეტებმა, გამოსვლა მაინც დაიწყო. 8 ნოემბერს, ღამით, დაახლოებით პირველი საათისთვის მობილიზებული რაზმები დაიძრნენ ჩოხატაურის მიმართულებით; ხევ-ერკეთის, ნაბელავისა და ხიდისთავის ჯგუფებს შეუერთდა გორაში გამაგრებული შუა ამაღლების რაზმი. კოხნარისა და ფარცხმის რაზმები ჩოხატაურში შემოვიდნენ საპირისპირო მიმართულებით.

მოგონებებში წერია, რომ მათ მაშინათვე მოახერხეს სასურველი პუნქტების აღება, თუმცა არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობა. ერთ-ერთმა აჯანყებულმა მიხეილ ბერძენიშვილმა დაჭრა გვარდიელი ვასო ჩიგოგიძე, რომელმაც დანებებაზე უარი განაცხადა (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, გიორგაძის ნარკვევი). აჯანყებულებმა თავიანთი მიზანი შეასრულეს, მოულოდნელობის ეფექტით გვარდიელების ასეული განაიარაღეს და ხელში იარაღი ჩაიგდეს. ერთ-ერთი აჯანყებული დ. კალანდაძე წერს, რომ 7 ტყვიამფრქვევი მოიპოვეს, რაც დიდად საეჭვო ჩანს. საარქივო მასალის მიხედვით, მთლიანად ოზურგეთის მაზრაში 12 ტყვიამფრქვევი იყო, 7 ტყვიამფრქვევის ხელში ჩაგდება აჯანყებულებს რალაც პერიოდის განმავლობაში დიდ უპირატესობას მისცემდა, მაგრამ ასე არ მომხდარა (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, კალანდაძე). ტყვიამფრქვევების ზუსტი რაოდენობის გარკვევა შემდგომი კვლევის საკითხია, რადგან აჯანყებულთა უმრავლესობა ერთს ან ორს ასახელებს, ხოლო ნოე რამიშვილი ამბობს, რომ აჯანყებულებს რამდენიმე ტყვიამფრქვევი ჰქონდათ. ფაქტია, რომ მათ ხელში არსებული შეიარაღება მხოლოდ ერთი დღე ეყოთ წინააღმდეგობის გასაწევად. გვარდიის მეთაური სერგო მათითაშვილი წერდა, რომ დახმარება არ ესაჭიროებოდა თბილისიდან, რადგანაც ადგილობრივი ძალებიც საკმარისი იყო აჯანყებულების დასამარცხებლად.⁴

აჯანყებულებმა დაიწყეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გზების დაკავება, საიდანაც მოსალოდნელი იყო გვარდიის ნაწილების შემოსვლა ჩოხატაურში. გაამაგრეს საჯავახო, ოზურგეთის და სურების გზა. შუა ამაღლების რაზმმა დაიკავა შუა ფარცხმის ეკლესია, სადაც თავს იყრიდა გვარდიის ნაწილი ირაკლი გოგოლა-

4 სცსა, ფ. 1970, აღწ.3, საქ. 148

ძის მეთაურობით. ჯერჯერობით აჯანყებულები უმრავლესობაში იყვნენ. ირაკლი გოგოლაძის რაზმი დამარცხდა და განდევნეს. აჯანყებულებმა პროკლამაციები გამოაკრეს და ჩოხატაურში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აჯანყებულების ერთი ნაწილი დაიძრა ოზურგეთისკენ, სადაც აჯანყება არ მომხდარა. არონიძის მეთაურობით დაძრული რაზმი გვარდიელებთან შეტაკებაში დამარცხდა (ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ყაჭეიშვილი). დილისათვის, როგორც ჩანს, გურიის გვარდია სერგო მათითაიშვილის ხელმძღვანელობით მობილიზებული იყო და სუფსის ხიდს მიადგა. აჯანყებულები ხიდს განსაკუთრებულად იცავდნენ, მათ ხელში იყო მაქსიმის ტიპის ტყვიამფრქვევი, რომელიც, როგორც ჩანს, მათ ჩოხატაურის აღებისას ჩაიგდეს ხელში (მგალობლიშვილი, 1926). აჯანყებულებმა ამ ტყვიამფრქვევის და ჩოხატაურში ხელში ჩაგდებული სხვა იარაღის საშუალებით მოახერხეს ერთი დღის განმავლობაში წინააღმდეგობის გაწევა. აჯანყებულთა უმრავლესობა მხოლოდ ერთი გვარდიელის თავბერიძის სიკვდილს უსვამს ხაზს, თუმცა, საფიქრებელია, რომ მსხვერპლი მეტი იყო, რადგან წერილში მთავრობის წარმომადგენელი თბილისის წერდა, რომ დაიხოცნენ მენშევიკური რაზმის წევრები.

აჯანყებულები ოზურგეთიდან და ლანჩხუთიდან დახმარებას ელოდნენ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოზურგეთი აჯანყებიდან თავიდანვე გამოთიშული აღმოჩნდა, რადგან გურიის კომიტეტის მთელი შემადგენლობა, რომელიც აჯანყებას ხელმძღვანელობდა დააპატიმრეს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1921, ტ.VI, გვ. 668). აჯანყებულებმა თავიანთი მებრძოლების ერთი ნაწილი ოზურგეთზე თავდასასხმელად გაუშვეს. მათ, როგორც ჩანს, შემოვლითი გზით მოუარეს, სოფლები ჯუმათი და მამათი აიღეს და ამის შემდეგ ოზურგეთისკენ დაიძრნენ. წყალდიდობას ნაელო ხიდი, რომელიც ოზურგეთში შესასვლელად უნდა გაეარათ აჯანყებულებს. ოზურგეთი კარგად იყო გამაგრებული ზვანის მხრიდან და აჯანყებულებმა უიმედოდ ჩათვალეს ოზურგეთზე შეტევა. ისინი უკან წამოვიდნენ, გამაგრდნენ სუფსის ხიდთან. ამასობაში ლანჩხუთში ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა საბოლოოდ დაასრულა აჯანყებულთა წინააღმდეგობა.⁵ ოზურგეთიდან მათითაიშვილის დასახმარებლად დაიძრნენ კაპიტანი ცომია და რკინიგზით ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებელი. აჯანყებულებს გეგმით განზრახული რკინიგზის აყრა ვერ შეძლეს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1921, ტ.VI, გვ. 671). აჯანყებულების მეთაურმა ტარასი მგალობლიშვილმა შუადღის სამი საათისთვის გაიგო, რომ ოზურგეთში არანაირი აჯანყება არ მომხდარა და ლანჩხუთში გამოსვლები დამარცხდა. აქ, როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მზვერავმა რაზმმა ნახა ოზურგეთი გამაგრებული იყო და დილისთვის სუფსის ხიდთან დაბრუნდა, მათ საბოლოო პასუხი მხოლოდ შუადღისთვის მიიღეს, რომ ოზურგეთში არანაირი წინააღმდეგობის იმედი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მგალობლიშვილმა ეს მოვლენები თანამებრძოლებს კრებაზე ამცნო. ხოლო საღამოს გაიგეს, რომ ჯავშნოსანი მატარებელი უახლოვდებოდათ. აჯანყებულები მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, მათ ნიგოითისკენ და ხევ-ერკეთისკენ უკან დაიხიეს. როგორც ჩანს, ორგანიზებულად, რადგან თავი თავ-თავიანთ სოფლებს შეაფარეს. 9 ნოემბერს ლამის სამ საათზე ჩოხატაური ისევ ხელისუფლების ხელში იყო (უჯმა-

5 სცსა, ფ. 1970, აღწ.3, საქ. 151

ჯურში, 1967). 10 ნოემბრის დილას 100 ჯარისკაცი და 6 ტყვიამფრქვევი შევიდა ჩოხატაურში, ბოლშევიკების წინააღმდეგობა საბოლოოდ გატყდა.⁶

ბოლშევიკები ხაზს უსვამდნენ, რომ მათი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი სამთავრობო ძალების უკეთესი შეიარაღება იყო. ეს რეალობისგან შორს არაა, რადგან, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, გვარდია და მისი მეთაურები თბილისიდან არ ითხოვდნენ დამატებით სამხედრო ძალებს. მათ, როგორც ჩანს, ჩოხატაურში მიღებული სამხედრო დანაკარგის მიუხედავად, საკმარისად ჰქონდათ რესურსი ადგილობრივი ბოლშევიკების დასამარცხებლად. ისინი ფინანსებს მხოლოდ გაქცეული აჯანყებულების დასაჭერად ითხოვდნენ. აჯანყებულებს, როგორც თავად ამბობდნენ, გადაადგილებაში ხელი შეუშალათ წყალდიდობამ, იარაღის უქონლობამ და სხვა მოვლენებმა. მაგრამ მთავარი, რამაც მათი გეგმები ჩაშალა, იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს შესანიშნავი მუშაობა. მთავრობამ დააპატიმრა გურიის აჯანყებაში უშუალოდ მონაწილე ლიდერების უმრავლესობა, მათ შორის ფილიპე მახარაძე, ბორის ძნელაძე და სხვები. ოზურგეთი აჯანყებიდან საერთოდ გამოთიშული აღმოჩნდა, ხოლო ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაზმებმა ვერ მოახერხეს კოორდინაცია და ორივეგან სამთავრობო ძალებმა გაიმარჯვეს. აჯანყებულების ნაწილმა მოახერხა და გაიქცა, დიდი ნაწილი კი გვარდიელებმა ტყვედ ჩაიგდეს. სამხედრო საველე სასამართლომ დატყვევებულებს სხვადასხვა სასჯელი მიუსაჯა, ხოლო 8 კაცი სიკვდილით დაისაჯა, ესენი იყვნენ: პარმენ მამალაძე, ტარასი მინდაძე, მიხეილ ბერძენიშვილი, ანდრო ახალაძე, თეოფილე თედორაძე, ბენიამინ ბერიძე, ფილიმონ გოგოლაძე, ავთანდილ მამალაძე. ისინი ოზურგეთი ვაშნარის მიდამოებში დაიხვრიტნენ (ანოშვილი, 1969). აჯანყებულთა გადარჩენილი ნაწილი აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ელოდებოდა საქართველოს გასაბჭოებას.

ამრიგად, განვიხილეთ რა 1919 წლის ნოემბერში ჩოხატაურის რაიონში მომხდარი გამოსვლები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აჯანყება თავიდანვე განწირული იყო დასამარცხებლად. გურულ ბოლშევიკებს არ გააჩნდათ საკმარისი ადამიანური რესურსი და შეიარაღება, რომელიც მათ გამარჯვებას მოუტანდა. გარდა ამისა, იკვეთება, რომ სამთავრობო ჯარებმა სწრაფად მოახერხეს რეაგირება და ერთ დღეში დაიბრუნეს დაკარგული ჩოხატაური. კვლევის პროცესში წამოიწია სერგო მათითაიშვილის სახელმა, რომლის მეთაურობითაც გვარდიელებმა დაამარცხეს ჩოხატაურელი აჯანყებულები.

აჯანყების ცალკეული დეტალის შესახებ დანვრილებით საუბარი, შემდგომი კვლევა – ძიების საქმეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს ისტორიის ნარკვევები (1972), თბილისი: საბჭოთა საქართველო
გაზ. ლენინის დროშა, 1969. № 131
გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, № 157

6 სცსა, ფ. 1970, აღწ.3, საქ. 150

ჟურ. მაცნე, 1967. N5

ჟურ. რევოლუციის მატრიანე, 1926. № 2

სცსა, ფ. 1970, აღნ.3, საქ. 148

სცსა, ფ. 1970, აღნ.3, საქ. 151

სცსა, ფ. 1970, აღნ.2, საქ. 128

სცსა, ფ. 1970, აღნ.3, საქ. 150

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ანთიძე ივანე

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, არონიში ბარნაბის მოგონება

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, გიორგაძის ნარკვევი

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, კალანდაძე ელიზბარის მოგონება

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, კალანდაძე ვარდენის მოგონება

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, კალანდაძე დავითის მოგონება

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, მაგლობლიშვილი ტარასის მოგონება

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ცინცაძე ასალოს მოგონება

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ცინცაძე კონსტანტინეს მოგონება

ჩოხატაურის მუზეუმის მასალები, ყაჭეიშვილი გიორგის მოგონება

Nodar Chkhaidze

Ph. D. student of History

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ketevan Sikharulidze

BA student of History

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE 1919 UPRISING IN CHOKHATAURI AGAINST THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

Summary

The paper deals with the events of 1919 rebellion in Guria region. In the Soviet era this issue was investigated to some extent; however, in modern Georgian historiography its study is far from sufficient. The aim of our paper is to objectively reconstruct the scope of the rebellion and discuss its process and outcomes. It is the first time the sources used in this paper have been published in Georgian scholarly publications.

The above mentioned rebellion includes the period of November 8-10 of 1919. However, many of the issues pose serious challenges. Who were the leaders? what was the main goal of Gurian Bolsheviks and what was the role of the Russian communist party leaders in the organization of this rebellion? Was the conspirators armament enough for success? We also touch the measures undertaken by Georgian authorities while putting down the rebellion.

Gurian Communist movement by the year 1919 can be divided into three parts:

During the first part from winter to autumn of 1919 – they arranged meetings and planned how to take advantage; how to occupy main centers throughout Guria region: Ozurgeti, Lanchkuti and Chokhatauri.

The second part was their actual protest and their first success, their brief advantage in Chokhatauri.

The third and the last part was their defeat, their persecution and execution.

ლელა სარალიძე
ისტორიის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
საგარეო უწყების ისტორიიდან

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტს წარმოადგენს. 1918 წლის 26 მაისს აღდგა 117 წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა და რომ არა 1921 წლის რუსული ოკუპაცია, საქართველო აქტიურად იდგა ევროპული ორიენტაციის, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გზაზე. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატები მოვიდნენ, რომლებიც თავდაპირველად საქართველოს სრული დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ; თუმცა რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ისინი რუს სოციალ-დემოკრატებს გაემიჯნენ, თავი ქართულ პარტიად გამოაცხადეს და ემიგრაციაში მოღვაწეობის პერიოდშიც კი, ბოლომდე, საქართველოს დამოუკიდებლობის და დასავლური ღირებულებების ერთგული დარჩნენ. ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი გახდა, რომელიც მალევე, 1918 წლის 24 ივნისს, ნოე ჟორდანიამ შეცვალა.

1918 წლის 26 მაისს, „დამოუკიდებლობის აქტის“ გამოცხადებისთანავე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა შეიქმნა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს მოუხდათ სრულიად ახალი, მანამდე არარსებული უწყებების შექმნა, როგორცაა: პარლამენტი (დამფუძნებელი კრება), საგარეო საქმეთა კომისია, საგარეო საქმეთა სამინისტრო, დიპლომატიური დაწესებულებები საზღვარგარეთ და ა. შ.).

1919 წლის 14 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მეორე სხდომაზე, მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „...საქართველოს მთავრობა არსებობს დღიდან საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებისა, ხოლო ეს – დამოუკიდებლობის გამოცხადება, მოხდა საქართველოს გარეშე მდგომ ძალების ზეგავლენით, მისი საგარეო საქმეთა მსვლელობის პროცესში. ერთის მხრით, რუსეთის ჩვენი ქვეყნიდან წასვლით, მეორეს მხრით, ოსმალეთის მოსვლით – აი ამ ორმა ისტორიულმა გავლენამ დაბადა ჩვენი დამოუკიდებლობა, როგორც აუცილებელი საშუალება ამ ქარტახილში თავის გადარჩენის და ისტორიულ წარღვნისაგან თავის დასაღწევად. მთავრობის წინაშე იდგა ერთი მთავარი საგანი, რომლის მიღწევისათვის მას უნდა მოენახა მთელი თავისი ძალ-ღონე. მას ცხოვრებამ დაუყენა ერთი ამოცანა, ერთი დილემა და ეს დილემა არის, თუ რა გზით შევსძლებთ ამ პატარა ერის, მისი პატარა საშუალებებით აოხრებისაგან გადარჩენას, მისი ფიზიკური არსებობის და

კულტურის შერჩენას. ჩვენ, დიდი რუსეთის ფრთებქვეშ შეფარებული, გადაჩვეული თავის მოვლას და ბატონობას, მოულოდნელად დავრჩით ჩვენი თავის ამარა და აი, ამ გარემოებამ უკარნახა მთავრობას მოქმედების გეზი და გეგმა“.¹

პირველი თანამედროვე ქართული საგარეო პოლიტიკური უწყება – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო (გარეშე) საქმეთა სამინისტრო, 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე შეიქმნა. საგარეო საქმეთა უწყება ძირითადი შიდასახელმწიფოებრივი დანესებულება იყო ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა დარგში. იგი მთავრობის სახელით აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს, დებდა ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს უცხოეთის სახელმწიფოებთან სავაჭრო, სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა საკითხებზე.²

საგარეო საქმეთა მინისტრად იმ დროისთვის პოპულარული საზოგადო მოღვაწე და პოლიტიკოსი, პროფესიით იურისტი – აკაკი ჩხენკელი (1874-1959 წ.წ) დაინიშნა. იგი კარგად იცნობდა მაშინდელი კავკასიის საგარეო პოლიტიკას.³ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ა. ჩხენკელი გერმანული ორიენტაციის მომხრე იყო, რის გამოც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ევროპის სახელმწიფოები, თავდაპირველად მას ეჭვის თვალთ უყურებდნენ. ა. ჩხენკელმა შეძლო ევროპის ხელისუფალთა დარწმუნება და იგი ევროპის ქვეყნებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახდა. ის ემიგრაციაში, პარიზში, საქართველოს ლეგაციის გაუქმებამდე (1933 წლის ივლისი), მისი თავმჯდომარე იყო.

1918 წლის ნოემბრიდან, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორმა (1881– 1954 წ.წ.) შეცვალა.

სამინისტროს პირადი შემადგენლობა 50 თანამშრომელს არ აღემატებოდა, ხოლო მისი სტრუქტურა და შტატები ასეთი იყო: **საგარეო საქმეთა მინისტრი:** სამინისტროს დირექტორი, ვიცე-დირექტორი, იურისკონსული, მინისტრის მდივანი; **პირადი განყოფილება:** მინისტრის პირადი განყოფილების გამგე, საქმის მწარმოებელი, მემანქანე; **პოლიტიკური განყოფილება:** განყოფილების გამგე, ევროპული სექციის გამგე, აზიური სექციის გამგე, ამავე სექციების საქმის მწარმოებლები, კანცელარიები და თარჯიმნები; **საერთო განყოფილება:** გამგე, საქმის მწარმოებელი და მისი თანაშემწე; **საინფორმაციო ბიურო:** გამგე, საქმის მწარმოებელი, კანცელარია და თარჯიმნები. სამინისტროს სტრუქტურაში, აგრეთვე, შედიოდა დიპლომატიური და სამეურნეო განყოფილებები, ასევე, ცალკეული თანამდებობები: ბულალტერი, მისი თანაშემწე, რეგისტრატორი, ყურნალისტი, დიპლომატიური კურიერები (შიკრიკები).

საგარეო საქმეთა სამინისტრო ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) წინაშე, რომელიც ისმენდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშს, განაპირობებდა ძირითად მიმართულებებს საგარეო ურთიერთობის

1 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 81, ფურც 7

2 საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის სდომის ოქმები (დედნები) (1918 წელი), საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 199, ფურც 8

3 დოდო ჭუმბურიძე, აკაკი ჩხენკელი-სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2018, გვ. 121

საკითხებში, ამტკიცებდა უკვე ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს, იღებდა დეკრეტებს, კანონებს და დადგენილებებს, რომლებიც საგარეო საქმეთა უწყებას შეეხებოდა, ისმენდა დიპლომატიური წარმომადგენლების ანგარიშებს. პარლამენტში შექმნილი იყო საგარეო საქმეთა კომისია (თავმჯდომარე – კონსტანტინე საბახტარიშვილი, შემდგომში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე). კომისია იხილავდა და ანალიზებდა საგარეო ურთიერთობის საკითხებს, შესაბამისი კანონებისა და დეკრეტების, დადგენილებების პროექტებს, ხელშეკრულების ტექსტებს, ისმენდა დიპლომატიური შიკრიკების ინფორმაციებს, ზრუნავდა უცხოეთში მყოფ ქართველთა მდგომარეობაზე და მათ სამშობლოში დაბრუნებაზე, თავის აზრს გამოთქვამდა საელჩოებისა და საკონსულოების მუშაობაზე, მათი შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ და ყოველივე ამას პარლამენტის სხდომებზე წარადგენდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს გარდა უცხოეთის ქვეყნებთან კავშირები ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსების და ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო-ეკონომიკური აგენტების მეშვეობით და საქართველოს რკინიგზების სამმართველოს სარკინიგზო წარმომადგენლებით, რომელიც უშუალოდ საელჩოების სტრუქტურაში შედიოდა.⁴

დაარსებისთანავე საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად ჩაერთო დიპლომატიურ საქმიანობაში – 1918 წლის 28 მაისს და 4 ივნისს, გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიებთან საქართველოს პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებებს მოაწერეს ხელი.⁵ გარდა ამისა, შეირჩა უცხოეთის სახელმწიფოებში გასაგზავნი პირველი დიპლომატიური მისიების (წარმომადგენლობების) და საკონსულოების კადრებიც. ეგვიპტი გეგეჭკორი მინისტრის საქმიანობას საქართველოს ემიგრაციულ მთავრობაშიც (1921 წლის 18 მარტიდან) რამდენიმე წლის განმავლობაში აგრძელებდა, ხოლო გარდაცვალებამდე, პარიზში უკვე არაოფიციალურად არსებულ ლეგაციას ხელმძღვანელობდა. 1951 წლიდან ე. გეგეჭკორი აქტიურად ჩაება ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის მამოძრავებელ ძალას „ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკული კომიტეტი“ და მის მიერ მიუხეხნეში დაარსებული „რადიო თავისუფლება“ წარმოადგენდა.⁶

1918–1921 წლების მანძილზე საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტობრივად და იურიდიულად მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ აღიარა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა სხვადასხვა ქვეყნებთან. 1918–1921 წლებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები ჰყავდა შემდეგ ქვეყნებში: აკაკი ჩხენკელი – საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში); ვლადიმერ ახმეტელაშვილი – საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში; ალექსანდრე სუმბათაშვილი – დიპლომატიური წარმომადგენელი შვეიცარიაში; გიორგი სიდამონ-ერისთავი – საქართველოს ელჩი პოლონეთში; გაბრიელ ხუნდაძე – საქართველოს ელჩი რუსეთში, ხოლო

4 საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1833 აღწ. 1, საქმე 234, ფურც 18

5 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, ст. 340, Типография Правительства Грузинской Республики, Тифлис, 1919

6 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2121, აღწ.1. საქმე 38, ფურც.5

შემდეგ აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკაში, (რუსეთში საქართველოს სრულყოფილებიანი დიპლომატიური წარმომადგენელი შემდგომში გერასიმე მახარაძე გახდა); გრიგოლ ალშიბაია – საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში; სვიმონ მდივანი – საქართველოს დროებითი რწმუნებული სომხეთში 1918 წლის დეკემბრის შუახანებამდე, ხოლო 1921 წლიდან – ელჩი ოსმალეთში; მიხეილ წერეთელი – დიპლომატიური წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებში; დავით ლამბაშიძე – საქართველოს წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში; ვიქტორ თევზაია – საქართველოს ელჩი უკრაინის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1920 წლამდე; ივანე როსტომაშვილი – საქართველოს მთავრობის დროებითი რწმუნებული შორეულ აღმოსავლეთსა და იაპონიაში; ზურაბ ავალიშვილი – საქართველოს წარმომადგენელი ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამთავრობო დელეგაციების მუდმივი წევრი ევროპაში.⁷

საქართველოს საერთაშორისო სამართლის აქტებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა სამეურნეო და სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქციების შესასრულებლად, საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით, გახსნილი ჰქონდა საკონსულოები, რომელთაგან ზოგიერთი (მაგალითად, რომში) დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციასაც ასრულებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულოების სისტემაში კონსულების ოთხივე კლასი (გენერალური კონსული, კონსული, ვიცე-კონსული, საკონსულო აგენტი) მოქმედებდა.

გენერალური საკონსულოები გაიხსნა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში – ვლადიკავკაზსა და სტავროპოლში, ასევე, ოდესასა და ბაქოში; საკონსულოები – ხარკოვში, ეკატერინოდარში (კრასნოდარში), ერევანში, პეტროგრადში, კონსტანტინოპოლსა და რომში; ვიცე-კონსულები – არმავირში, ნოვოროსიისკში; საკონსულო აგენტები კი აღსტაფასა (შემდგომ განჯაში) და ალექსანდროპოლში.

1918–1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსულების მოვალეობას ასრულებდნენ: ე. უშვერაძე – გენერალური კონსული ოდესაში; ლევან თუმანიშვილი – გენერალური კონსული ბაქოში; ალექსანდრე ჩერქეზიშვილი – კონსული პეტროგრადში; ირ. ფანჩულიძე – გენერალური კონსული ვლადიკავკაზში; ს. პაიჭაძე – გენერალური კონსული სტავროპოლში და სხვა.

საზღვარგარეთ დიპლომატიური კორპუსის და საკონსულო დაწესებულებათა შენახვის ხარჯების გაღება ახალგაზრდა რესპუბლიკის ბიუჯეტისთვის მეტად რთული იყო, მეტადრე ეს ხარჯები იმატებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების კვალდაკვალ, რადგან საჭირო ხდებოდა დამატებით ახალი ელჩების გაგზავნა. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ: „მიმდინარე საბიუჯეტო წლისათვის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს, ე. ი. 1918 წლის დეკემბერში, სულ სხვანაირი პირობები იყო მიღებული მხედველობაში, მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო შემდგენლისთვის ის ზღაპრული სიძვირე, რომელიც დღეს არსებობს და მომავალიც კიდევ უარესს გვიქადის; ან ვინ წარმოიდგენდა იმ გარემოებას თუ ოფიციალურად ასეთი კურსი გამოცხადდებოდა უცხო სახელმწიფოების ვა-

7 გიორგი შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, გვ. 150–155, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 2013

ლიუტისა. სამინისტროს თანდათან უხდებოდა ახალ პუნქტებში თავისი წარმომადგენლების გაგზავნა და შემდეგშიაც მოუხდება იმისდა მიხედვით თუ რომელი სახელმწიფო იცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას. მაგალითად: სამინისტროს გადამწყვეტილი აქვს არგენტინის რესპუბლიკაში გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი, რადგანაც ხსენებულმა რესპუბლიკამ უკვე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა (არგენტინამ საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო-დ სცნო 1919 წლის 15 სექტემბერს – ლ. ს.); აგრეთვე, შეიძლება მოგვიხდეს კიდევ სხვადასხვა ქვეყნებში წარმომადგენლების გაგზავნა. ამისდა მიხედვით გამოთხოვნილია 12.000.000. მანეთი, რომლისგანაც უცხოეთში წარმომადგენლობის და საკონსულოების შესანახად საჭიროა 8. 973.200 მანეთი“.⁸

საქართველოს სასარგებლოდ პროპაგანდის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯებით თბილისში ერთი ფრანგული და ერთი ინგლისური გაზეთი, ხოლო ბაქოში რუსული გაზეთი დაარსდა. ეს ხარჯი თვეში 38. 600 მანეთს შეადგენდა. ინგლისური გაზეთის თანამშრომელ ინგლისელს ხელშეკრულებით კვირაში 50 გირვანქა სტერლინგს უხდიდნენ (სტერლინგი ჩეკით 680 მანეთი ღირდა). 1919 წლის მონაცემებით, ჟურნალ-გაზეთების გამოსაცემად, საბიუჯეტო წლის განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტრომ 4.000.000. მანეთი გამოყო. განსხვავებით სხვა სამინისტროებისგან, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგზაო ხარჯებიც გაცილებით დიდი იყო, რადგან საჭირო იყო შორეულ სახელმწიფოებში საკუთარი აგენტების და დიპლომატიური კორპუსის გაგზავნა. 1919 წელს საგზაო ხარჯებისთვის სამინისტროს 1 00.000 მანეთი გამოუყვეს (გზის ხარჯი კონსტანტინოპოლამდე 15. 000 მანეთს შეადგენდა, პარიზამდე გემით მგზავრობა 30.000 მანეთი ჯდება).⁹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ საგარეო უწყების ხარჯებისთვის, 1919-1920 წლის ბიუჯეტიდან, თითქმის 13 მილიონი, ხოლო 1921 წლის იანვარში – დამატებით 2 მილიონამდე მანეთი გამოჰყო.

ამიერკავკასიაში დიდი ბრიტანეთის რწმუნებულის პოლკოვნიკ სტოქსის მიერ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ კერზონისადმი (Curzon of Kedleston 1859-1925), თბილისიდან, 1920 წლის 6 დეკემბერს, გაგზავნილი წერილში, რომელიც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივშია დაცული, საუბარია საქართველოს ბიუჯეტის გაზრდილ ხარჯებზე. წერილში, რომელიც ლორდ კერზონმა, 1921 წლის 3 იანვარს, ანუ რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოზე თავდასხმამდე, სულ რაღაც, ერთი თვით ადრე მიიღო, ნათქვამია: „მყარი შემოსავლების წყაროების უქონლობამ, ქალაქის ფულის ფასის მუდმივმა დაცემამ (დღეს შეფარდება ასეთია: 1 500 მანეთი = 1 ფუნტს), მთავრობა მძიმე დღეში ჩააყენა. ფაქტობრივად, მთელი უცხოური ფული, რომელიც საქართველოში შემოდის მთავრობის ხელში გადადის, მაგრამ ეს ფული ყოველთვის გონივრულად არ მოიხმარებოდა: მათი უმეტესობა იხარჯებოდა უცხოეთის ქვეყნებში საგანგებო მისიებისთვის, რაც არ ანაზღაურებდა მათზე განუღებ ხარჯებს. ძნელია დაინახო, თუ როგორ შეიძლება საქართველო თავისი ვალუტის გამყარებას უცხოური სესხის გარეშე“¹⁰.

8 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 234, ფურც 14

9 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 234, ფურც 16

10 ლ. სარალიძე, საქართველო-ინგლისის ურთიერთობის ისტორიიდან (1920 წ.), კრებულში: ახალი და უახ-

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკა, ერთი მხრივ, მიმართული იყო მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებისაკენ, მეორე მხრივ, მიზანმიმართულად იბრძოდა ევროპის ხელისუფალთა მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მისაღწევად. ქვეყნის შინაური მდგომარეობა და მეზობლებთან ურთიერთობა ხშირად მეტად მძიმე იყო. ევროპაში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის მუშაობა კიდევ უფრო რთულ პირობებში წარმოებდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, თვით ევროპის სახელმწიფოთა შინაური საქმეები და ურთიერთობა ისეთნაირად იყო აწეწილი, რომ ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ეკრანზე, საქართველოს საკითხი მეტად ბუნდოვნად ისახებოდა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ვექტორი მაინც დამოუკიდებლობის აღიარება იყო, რასაც აქტიურად აწარმოებდა, პარიზის საზავო კონფერენციაზე წარგზავნილი ქართული დელეგაცია – კ. ჩხეიძისა და კ. წერეთლის მეთაურობით, რომელიც თბილისიდან 9 იანვარს გავიდა და დიდი დაბრკოლებების შემდეგ, პარიზში მხოლოდ თებერვლის დამლევს ჩავიდა.¹¹ საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის წარგზავნას წინ უძღოდა ევროპის ინფორმირების მიზნით, პარტიული წარმომადგენლების გაგზავნა კ. გვარჯალაძის მეთაურობით. მუშაობის ოფიციალურად წარმოებისთვის, მათ შესაფერისი მანდატი ჰქონდათ. ისინი საქართველოდან 1918 წლის ოქტომბრის დამლევს გაემგზავრნენ. პირველად კოპენჰაგენში ჩავიდნენ. დანიიდან ისინი შვეციაში და იქიდან ნორვეგიაში და შემდეგ ლონდონში გადავიდნენ. იქ ყველგან საქართველოს წარმომადგენლებს ოფიციალური პირები დიდი სიმპათიით ხვდებოდნენ და ყოველგვარ დახმარებას ჰპირდებოდნენ.

ამიერკავკასიაში ინგლისელები დიდი გავლენით სარგებლობდნენ. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის ბლოკი (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი) დამარცხდა. 1918 წლის 30 ოქტომბერს, საბერძნეთის კუნძულ ლემნოსის ნავსადგურ მუდროსზე, სადაც ინგლისის კრეისერი „აგამემნონი“ იდგა ინგლისის და ოსმალეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დაზავებას. მუდროსის დაზავებით, ანტანტის სახელმწიფოების (ინგლისი, საფრანგეთი) სამხედრო ხომალდებისათვის იხსნებოდა ბოსფორის და დარდანელის სრუტეები. ოსმალეთს ჯარები უნდა გამოეყვანა სპარსეთიდან და ამიერკავკასიიდან. ანტანტის სახელმწიფოებს შეეძლოთ ბათუმის და ბაქოს დაკავება. დაზავების პირობების მიხედვით, ოსმალეთს დაუყოვნებლივ უნდა დაეშალა თავისი არმია, ხოლო სამხედრო ტყვეები მოკავშირეთა ხელში დაეტოვებინა. ოსმალეთს უნარჩუნდებოდა სამხედრო შენაერთების გარკვეული ნაწილი, რაც საჭირო იყო საზღვრების დაცვის და შინაგანი წესრიგის უზრუნველსაყოფად. თუ მათი სამხედრო შენაერთები ვერ შეძლებდნენ ანტანტის სახელმწიფოებისათვის სასურველი წესრიგის დაცვას და მოკავშირეთა ინტერესებს საფრთხე შეექმნებოდა, მაშინ გამარჯვებულ სახელმწიფოებს ოსმალეთის ყველა სტრატეგიული რაიონის ოკუპაციის უფლება ენიჭებოდათ. მუდროსის დროებითი ზავი ინგლის-საფრანგეთის 1917 წლის 23 დეკემბრის კონვენციის

ლესი ისტორიის საკითხები“, 2 (13), გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, გვ: 150-161, 2013

11 საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 178, ფურც. 15; საქმე 128, ფურც 3-7; საქმე 148, ფურც. 5-8

გაგრძელებას წარმოადგენდა. კონვენციის მიხედვით, ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს შორის იყოფდა რუსეთის იმპერიის სამხრეთ რეგიონს, იმის მსგავსად, როგორც ანტანტის სახელმწიფოებმა გაინაწილეს გავლენის სფეროებად ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიები. კავკასია ინგლისის მფლობელობაში შედიოდა.¹² ინგლისის ხელისუფლება ცდილობდა რეგიონში ანტანტის სხვა რომელიმე ქვეყნის შეიარაღებული ძალები არ შემოეშვა. 1918 წლის 7 დეკემბერს ინგლისელმა გენერალმა ჰ. უებსტერმა ბათუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთან დიომიდე თოფურიძესთან საუბარში აღნიშნა, რომ ინგლისის, საფრანგეთის და აშშ-ს მოკავშირეობის მიუხედავად, თითოეულ მათგანს რეგიონში საკუთარი მისწრაფებები ჰქონდა.¹³ ქართველ დიპლომატებს დიდი მუშაობა უწევდათ, რათა ნამყვანი სახელმწიფოების მხარდაჭერა მოეპოვებინათ. ეს იმ ფონზე ხდებოდა, როცა მოკავშირე სახელმწიფოები თავად იყვნენ დაპირისპირებული, რადგან ამიერკავკასიაში თითოეული სახელმწიფოს ხელისუფლებას საკუთარი ინტერესები ჰქონდა.¹⁴ საკუთარი მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში, ინგლისელების მიერ ამიერკავკასიის ერთპიროვნული მმართველობა მკაცრად გააკრიტიკა კავკასიაში საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელმა შარდინმა. მისი აზრით: „ინგლისელების პოლიტიკას სიმტკიცე და გავლენა აკლია. მიუხედავად მისი საოკუპაციო ძალების სიდიდისა (23 000 კაცი), ჩვენი მოკავშირეები ამ დაყოფილ ქვეყანაში სუსტებად რჩებიან. მათ ვერ შეძლეს სომხეთ-საქართველოს ომის შეჩერება, არაფერი გააკეთეს 30 000 სომეხი ლტოლვილის ყარსის ოლქსა და ერევანში დასაბრუნებლად.“¹⁵

ქართული დიპლომატიის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1920 წლის ივლისში, ინგლისის ხელისუფლებამ ბათუმი, სადაც ინგლისის ჯარი 1918 წლის დეკემბრიდან იდგა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ჩააბარა.¹⁶ 1920 წლის ბოლოს საქართველოს დაუბრუნდა მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, რომელიც ადრე რუსეთის იმპერიის ნაწილს შეადგენდა. 1921 წლის დამდეგს, საქართველომ შემოიერთა სამუსულმანო საქართველოს ნაწილი, ოსმალეთის მფლობელობაში მხოლოდ ლაზისტანი რჩებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, ქვეყნის საგარეო უწყების ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის წარმატებით დაგვირგვინდა.

მართალია, საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა, თუმცა ქართველი

12 О. Соловьев, Из истории империалистических планов расчленения Советской России (Англо – Французское соглашение от 23 декабря 1917 г), История СССР , № 3, стр. 139, 1963

13 მ. სიორიძე, „ბათუმის ოლქი დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის პერიოდში“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, აჭარა 3, გვ.457, გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2008

14 ლ. სარალიძე, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ინგლის-ამერიკის გეგმები (1918-1920 წწ.)“, კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2 (13), გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, გვ: 68-73, 2013

15 Serge Afanasyan, „L' Armenie, L' Azerbaïdjan et La Géorgie de l'indépendance à l' instoration du pouvoir soviétique 1918-1923“, p .88, édition L' Harmattan, Paris, 1981.

16 ლ. სარალიძე, ბათუმში ინგლისელების ყოფნის ისტორიიდან (1919-1920 წწ) (აკაკი რამიშვილის არქივის მიხედვით), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტ. II, გამომც. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ: 94-101, ბათუმი, 2012

დიპლომატების ძალისხმევით, იგი ერთა ლიგის ასოციაციაში განწევრიანდა. 1920 წლის 12-14 ოქტომბერს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი – ნიკოლოზ ჯაყელი, იტალიაში, ქალაქ მილანში, ერთა ლიგის ასოციაციის მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე სიტყვით გამოვიდა.¹⁷

1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომმა, ქართველი ხალხი ათეული წლის მანძილზე დასავლურ სამყაროს მოსწყვიტა. ქვეყანაში გამეფებულმა საბჭოთა რეჟიმმა საქართველო რუსული იმპერიის მარნუხებში მოამწყვდია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, აღნ. 1, საქმე 81, ფურც 7
- საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის სდომის ოქმები (დედნები) (1918 წელი), საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1836, აღნ. 1, საქმე 199, ფურც. 8
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2121, აღნ.1. საქმე 38, ფურც. 5
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღნ. 1, საქმე 234, ფურც. 14
- საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, აღნ. 1, საქმე 234, ფურც. 16
- საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1833 აღნ. 1, საქმე 234, ფურც. 18
- საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1864, აღნ. 2, საქმე 178, ფურც. 15; საქმე # 128
- ფურც 3-7; საქმე #148, ფურც. 5-8
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღნ. 1, საქმე 905, ფურც 16
- სარალიძე ლ. (2013). საქართველო-ინგლისის ურთიერთობის ისტორიიდან (1920 წ.), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (13), გვ: 150-161, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი
- სარალიძე ლ. (2012). ბათუმში ინგლისელების ყოფნის ისტორიიდან (1919-1920 წწ) (აკაკი რამიშვილის არქივის მიხედვით), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტ. II, გამომც. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ: 94-101, ბათუმი
- სარალიძე ლ. (2013). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ინგლის-ამერიკის გეგმები (1918-1920 წწ.), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (13), გვ: 68-73, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი
- სიორიძე მ. (2008). ბათუმის ოლქი დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის პერიოდში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა 3, გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი
- შარაძე გ. (2003). საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და

17 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღნ. 1, საქმე 905, ფურც 16

საგარეო პოლიტიკა, გვ. 150-155, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი
ჭუმბურძიე დ. (2018). აკაკი ჩხენკელი-სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი,
მამულიშვილი, , გვ. 121, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი
Afanasyan S. (1981). L'Armenie, L'Azerbaïdjan et La Géorgie de l'indépendance à l'in-
storation du pouvoir sovi étique 1918-1923, p .88, édition L' Harmattan, Paris
Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. (1919.).
ст. 340, Типография Правительства Грузинской Республики, Тифлис
Соловьев О. (1963). Из истории империалистических планов расчленения
Советской России (Англо – Французское соглашение от 23 декабря 1917 г), История
СССР , № 3, стр. 139, Москва

Lela Saralidze
Doctor of History
Senior researcher scientist of Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology of Tbilisi State University

FROM THE HISTORY OF THE FOREIGN MINISTRY OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

Summary

Relying on archival and press materials, the present article deals with the activities of the Ministry of Foreign affairs of Georgia in the period of the Democratic Republic (1918-1921). The Democratic Republic of Georgia is the foundation of modern Georgian State. On May 26, 1918, the statehood lost 117 years ago was restored and if not Russian Occupation in 1921, Georgia would have never given up European orientation and democratic institutions. Paradoxical as it may seem, the independent Georgian Government was headed by Social-Democrats, who initially opposed Georgia's full independence. However, after the Bolshevik coup in Russia, they cesseded from Russian Social – Democrats, declaring themselves as a Georgian party, serving the idea of Georgia's independence and adopting western-democratic values even during their emigration abroad.

The Foreign Office of the Democratic Republic of Georgia was a major internal institution in the country's foreign policy relations. It was in charge of diplomatic negotiations in the name of the Georgian Government, signed treaties and agreements with the foreign states on trade, military, economic, political and other issues.

Ministry of Foreign Affairs of the Democratic Republic of Georgia had four consuls: eneral consuls, consuls, vice consuls, consular agents.

Akaki Chkhenkeli (1874-1959) – a public figure, a lawyer and politician at this time, was designated the Minister of Foreign Affairs of Georgia. Before the announcement of Georgia's independence, he supported pro-German orientation, which initially seemed suspicious for the winners of the World War I.

A.Chkhenkeli was able to convince the European authorities and become an extraordinary and plenipotentiary representative of the Democratic Republic of Georgia in Europe. He was also the chairman of Georgian legacy in Paris, until its abolition in July 1933. As the Minister of Foreign Affairs he was succeeded by Evgeni Gegechkori (1881-1954).

Upon being established, the Ministry of Foreign Affairs was actively involved in diplomatic activities – on May 28 and June 4, 1918, signed the first international agreements with Germany and the Ottoman Empire. The first diplomatic missions (consular) and consulates were also selected to be sent to foreign States. Evgeny Gegechkori continued his ministerial activities in the Government of Georgia in exile (from March 18, 1921) and for a few years, until his death, unofficially headed the legacy in Paris.

On the one hand, the foreign policy of the Government of the Democratic Republic of Georgia was aimed at establishing peaceful relations with neighboring states but on the other, Georgian diplomats sought to gain recognition of Georgia's independence by the European authorities. As a result of the active work of the Ministry of Foreign Affairs, the Democratic Republic of Georgia was recognized by many leading countries' governments around the world.

The Founding Council of the Democratic Republic of Georgia allocated nearly 13 million out of the 1919-1920 budget and in January 1921 – an additional 2 million rubles for foreign expenditures.

Despite the agreement signed with Russia on May 7 1920, Georgia became a victim of Russian occupation under which suffered for 70 years and was cut off from the Western civilization with the Iron Curtain.

მაკა ქამუშაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

ქართულ-გერმანული დიპლომატიური ურთიერთობები
1918-1921 წლებში

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას საერთაშორისო აღიარება წარმოადგენდა. ამ მიზნით საქართველოს მთავრობას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დიპლომატიური მისიები ჰყავდა წარგზავნილი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში ქართველები ნაკლებად იყვნენ დიპლომატიური საქმიანობით დაკავებული და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის არ იყო მარტივი პროფესიონალი და გამოცდილი კადრების მოძებნა, რესპუბლიკის მთავრობამ მაინც შეძლო, რომ 1921 წლისათვის საქართველოს რამდენიმე სახელმწიფოში ჰქონოდა დიპლომატიური წარმომადგენლობა (საელჩო და მისია): იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, რუსეთში, თურქეთში, პოლონეთში, შვეიცარიაში.¹ ასევე საელჩოები არსებობდა სომხეთსა და აზერბაიჯანში. რაც შეეხება საქართველოში მოღვაწე უცხოურ დიპლომატიურ მისიებს, 1919 წლის 12 ივლისის გაზეთ „ახალ საქართველოში“ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით (გაზეთი აქვეყნებს „თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთა მისამართებს“), საქართველოში თხუთმეტი უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენელი თუ წარმომადგენლობა არსებობდა: ინგლისის მთავარი შტაბი, ფრანგული მისიის უფროსი, შვეიცარული საელჩო, ფრანგული მისია, პოლონეთის სამეფოს წარმომადგენელი, ლიტვიის წარმომადგენელი, აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი, უკრაინული მისია, უკრაინის მთავარი ელჩი, სპარსეთის მთავარი ელჩი, ესპანური ელჩის ნაცვალი, შვეიცარიელი საგანგებო დელეგაცია, საბერძნეთის სამეფო ელჩი, სომხეთის წარმომადგენელი, ჩეხ-სლოვაკთა ეროვნულ საზოგადოების წარმომადგენელი, იტალიის წარმომადგენელი, ამერიკული სამხედრო მისია, ბელგიის ელჩი.² მართალია, დასახელებულია თვრამეტი მისამართი, მაგრამ საფრანგეთის მისიის უფროსის, უკრაინის მთავარი ელჩისა და შვეიცარიელი საგანგებო დელეგაციის მისამართები ცალკე არის მოცემული. ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის არის საბერძნეთიც. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოღვაწეობდა საბერძნეთის დიპლომატიური მისია, შემონახულია საქართველოს ეროვნულ არქივში და საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. არსებული დოკუმენტების თანახმად, 1920 წლის 3 მარტს ათენიდან თბილისს გამოემგზავრა პერიკლის სკეფერისი. ეს იყო პიროვნე-

1 სარალიძე, ლ. (1994). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წ.წ. (12). თბილისი: სადისერტაციო მაცნე

2 სტილი დაცულია.

ბა, რომელიც ხელმძღვანელობდა საბერძნეთის ე.წ. საპოლიტიკო იგივე დიპლომატიურ მისიას. 1920 წლის 22 ოქტომბრის მონაცემებით მისია შედგებოდა შვიდი კაცისაგან: 1) პერიკლის სკეფერისი, 2) ლეიტენანტი ალექსანდრე რაფაელი, 3) ჟან კონსტანტარაკი, 4) ჟან ანჟელაკი, 5) ს.ტ. კანონიდი, 6) ალექსანდრე კუნდუროვი, 7) კაპრალი ნ. კურინოსი.³ ინფორმაციას საბერძნეთის სამეფო მთავრობის საპოლიტიკო მისია უგზავნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს. გარდა ზემოხსენებული დოკუმენტისა, არსებობს სხვა დოკუმენტიც, რომელიც ადასტურებს საქართველოში საბერძნეთის სამეფოს მისიის აქტიურ მოღვაწეობას. საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება 1920 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებული დოკუმენტი, რომელსაც საბერძნეთის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უგზავნის თბილისში საბერძნეთის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი. დოკუმენტი ეხება თბილისში ევროპელი სოციალისტების ვიზიტს. ეს არის მოხსენებითი ბარათი, სადაც აღწერილია ამ ვიზიტის დეტალები. დოკუმენტი დაწერილია საბერძნეთის სამეფო მისიის ბლანკზე და ხელს აწერს პ. სკეფერისი. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ბერძნული დიპლომატიის ისტორიაში პ. სკეფერისს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თბილისის შემდეგ მან დიპლომატიური მოღვაწეობა კაიროში განაგრძო, სადაც 1927-1933 წლებში იკავებდა ელჩის თანამდებობას. სკეფერესი იყო საბერძნეთის ელჩი ანკარაში, ეკავა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა.

1918-1921 წლებში საქართველოში საბერძნეთის სამეფო მხოლოდ საპოლიტიკო (დიპლომატიური) მისიით არ იყო წარმოდგენილი, თბილისში არსებობდა საბერძნეთის საკონსულო და მოღვაწეობდა კონსული ბატონი მანუილიდისი, რომელიც 1919 წელს დაინიშნა ამ თანამდებობაზე. ამის შესახებ ინფორმაციას გვანჯდის საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც გაგზავნილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სახელზე მანუილიდისის მიერ.⁴ საარქივო მასალებიდან ცნობილია, რომ მანუილიდისი 1908 წლიდან ქალაქ ბათუმში იკავებდა საბერძნეთის ვიცე-კონსულის თანამდებობას, ხოლო 1919 წელს ინიშნება თბილისში კონსულად. დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ საბერძნეთის სამეფოს საკონსულო მდებარეობდა ქსენიას ქუჩაზე, დღევანდელი ზურაბ ჩხეიძის ქუჩა. სამწუხაროდ, სხვა ინფორმაცია საკონსულოს მოღვაწეობის შესახებ ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება.

როგორც საარქივო მასალებიდან ხდება ცნობილი, საქართველოს საბერძნეთის სამეფოსთან დიპლომატიური ურთიერთობა ცალმხრივად არ ჰქონია. 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საბერძნეთში ელჩად გაგზავნა ალექსანდრე (საშა) მდივანი. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია საშა მდივნის პირადი წერილები გაგზავნილი გრიგოლ რცხილაძისადმი⁵ და ასევე მოხსენებითი ბარათი გაგზავნილი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძისადმი 1919 წელს⁶,

3 საქართველოს ეროვნული არქივი. ფ. 1891, ა.1, ს. 416

4 საქართველოს ეროვნული არქივი. ფ. 1861, ა.2, ს. 111

5 საქართველოს ეროვნული არქივი. ფ. 1864, ა.2, ს. 212

6 საქართველოს ეროვნული არქივი. ფ. 1864, ა.2, ს. 122

როდესაც ეს უკანასკნელი, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დელეგაციის მეთაური, იმყოფებოდა საფრანგეთში პარიზის საზავო კონფერენციაზე.

საინტერესოა, თუ რა ვითარება დახვდა ქართველ დიპლომატს საბერძნეთში. როგორც ცნობილია, საბერძნეთი 1453 წლიდან თურქთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. 1821 წელს ბერძნებმა დაიწყეს ბრძოლა ამ ბატონობიდან თავის დასახსნელად და თითქმის მთელი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის დასაწყისი ეს ბრძოლა გრძელდებოდა. მართალია, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მათ მოახერხეს გაეთავისუფლებინათ კონტინენტური საბერძნეთი და კუნძულების დიდი ნაწილი, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი კუნძული როგორცაა კრეტა, კვლავ თურქეთის მფლობელობაში რჩებოდა. მეცხრამეტე საუკუნის მინურულს კრეტაზე დაწყებული აჯანყება თურქეთთან ომში გადაიზარდა. ევროპული სახელმწიფოების ჩარევით ომი მალევე დასრულდა. დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის პირობები საბერძნეთისათვის სავალალო აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ საზღვრები თურქეთის სასარგებლოდ გაივლო, ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ საბერძნეთის სახელმწიფოს დაეკისრა ოთხი მილიონი თურქული ლირის გადახდა თურქეთისათვის სამხედრო ზარალის ასანაზღაურებლად. საბერძნეთი იძულებული გახდა, საერთაშორისო სესხი აეღო და ევროპული ფინანსური ზედამხედველობის ქვეშ მოქცეულიყო. 1897-1909 წლებში საბერძნეთში თერთმეტი მთავრობა შეიცვალა. 1910 წელს არჩევნების შედეგად მთავრობის სათავეში მოვიდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა ელევეთერიოს ვენიზელოსი. მისი დიდი მონდომებისა და შექმნილი ვითარების გათვალისწინებით 1912 წელს ხელი მოეწერა ბალკანური სახელმწიფოების სამხედრო თანამშრომლობას. იმავე წელს დაიწყო პირველი ბალკანური ომი თურქეთის წინააღმდეგ. თურქეთის მოთხოვნით ევროპის დიდი ძალები ჩაერივნენ ამ ომში, რის შედეგადაც ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის თანახმადაც საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა. 1913 წელს ბალკანური სახელმწიფოების სამხედრო კავშირი დაიშალა და ამავე წელს დაიწყო ბალკანეთის მეორე ომი, რომელშიც ყოფილი მოკავშირეები ებრძოდნენ ერთმანეთს. კვლავ ევროპული ძალების ჩარევით ომი შეჩერდა და ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, საბერძნეთის ტერიტორიები და მოსახლეობა კიდევ უფრო გაიზარდა. 1914 წელს დაწყებულ პირველ მსოფლიო ომში საბერძნეთის მთავრობამ გადაწყვიტა შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი, რადგან ეს ყველაზე მეტად ხელსაყრელი იქნებოდა ქვეყნისათვის, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ შეიცვალა პოზიცია და ანტანტას მიემხრო. ამ გადაწყვეტილებას არ ემხრობოდა საბერძნეთის მეფე კონსტანტინე, რომელსაც გერმანელი კაიზერის და ჰყავდა ცოლად. იგი დარწმუნებული იყო გერმანიის გამარჯვებაში და მთავრობისაგან ნეიტრალიტეტის გაგრძელებას მოითხოვდა. დაპირისპირება იქამდე მივიდა, რომ საბერძნეთს ათენიდან მართავდა მეფე, ხოლო თესალონიკიდან მასთან ოპოზიციაში მყოფი ვენიზელოსი. 1916 წლიდან საბერძნეთი ომში ჩაერთო. ინგლის-საფრანგეთის ზენოლის შედეგად მეფე კონსტანტინემ ქვეყანა დატოვა და 1917 წელს ტახტი ჩაიბარა მისმა მემკვიდრემ ალექსანდრემ. როდესაც ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა აიღეს კონსტანტინოპოლი, ანტანტის ჯარებთან ერთად ისტორიულ დედაქალაქში ბერძნული არმიის რამდენიმე დანაყოფი

ფიც განლაგდა. 1919 წელს პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა შეთანხმებით, თურქეთთან სამშვიდობო ზავის ხელმოწერამდე, საბერძნეთმა რამდენიმე დანაყოფი ქალაქ სმირნაში (დღევანდელი იზმირი) შეიყვანა, იქ მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის დასაცავად. ამ ფაქტმა იმედი ჩაუსახა ბერძენ ხალხს, რომ ე.წ. „დიდი იდეის“ განხორციელება და კონსტანტინოპოლში მათი დაბრუნება შესაძლებელი იქნებოდა. თუმცა თურქთა აქტიური თავდაცვისა და ევროპის სახელმწიფოთა მოულოდნელი გულგრილობის გამო ეს იდეა სამუდამოდ დასამარდა. 1922 წლის აგვისტოში თურქებმა თავისი ჯარი შეიყვანეს სმირნაში და რამდენიმე დღეში მიწასთან გაასწორეს ქალაქი. გაანადგურეს ბერძენი მოსახლეობა, ნაწილი კი ტყვედ წაიყვანეს. ეს ყველაფერი დამთავრდა 1923 წელს საბერძნეთსა და თურქეთს შორის დადებული ლოზანის ხელშეკრულებით, რომელიც განსაზღვრავდა ორი სახელმწიფოს საზღვრებს და რომლის თანახმად, უნდა მომხდარიყო მოსახლეობის გაცვლა: თურქეთში მცხოვრები ბერძენები უნდა გადასაუღიყვნენ საბერძნეთში და პირიქით, საბერძნეთში მცხოვრები თურქები დაბრუნებულიყვნენ თურქეთში. ამრიგად 1 500 000 ლტოლვილი მიაწყდა საბერძნეთს და ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობა, კიდევ უფრო დაამძიმა.⁷

იმ დროისათვის, როდესაც საბერძნეთში ქართველი დიპლომატი საშა მდივანი ჩავიდა, ქვეყანა დამოუკიდებლად ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებდა, ის დამოკიდებული იყო ევროპის დიდი ქვეყნების ნებაზე. საშა მდივანი აქტიურ დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწეოდა. ხვდებოდა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, შეხვედრები ჰქონდა საბერძნეთში სხვა ქვეყნების დიპლომატებთან: ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის ელჩებთან, აცნობდა მათ საქართველოში არსებულ ვითარებას. საბერძნეთის იმდროინდელ პრესაში აქვეყნებდა ცნობებს საქართველოს შესახებ. საშა მდივნის წერილები არაერთ საინტერესო ცნობას გვანვდის იმ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის დამოკიდებულებასა და ტენდენციებზე. გამოვყოფდი რამდენიმე საინტერესო საკითხს, რომლის შესახებაც ვკითხულობთ საშა მდივნის წერილებში. ეს არის შეხვედრები საბერძნეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, შეხვედრა ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის ელჩებთან. ნიშანდობლივია ის, რომ თითქმის საუკუნის წინანდელი პრობლემები დღესაც აქტუალურია საქართველოსათვის.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან საშა მდივანს ორჯერ ჰქონდა შეხვედრა.⁸ მართლია, ქართველი დიპლომატი კმაყოფილი იყო მინისტრის დამოკიდებულებით საქართველოს მიმართ, მაგრამ ამ შეხვედრების შემდეგ მან ერთი დასკვნა გააკეთა, რომ მიუხედავად დიდი სურვილისა და საქართველოსადმი კეთილგანწყობისა, საბერძნეთს ოფიციალურად რაიმე გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო: „მე აქ ვმუშაობ როგორც მთავრობის წარმომადგენელი; საბერძნეთის მმართველი წრეები, ზოგიერთი დეპუტატები და გაზეთები დიდად დავაინტერესეთ და საქართველოს დამოუკიდებლობას მხარს უჭერენ; საქართველოს დამოუკიდებლობა მიაჩნიად საბერძნეთის საციცოცხლო ინტერესების დაცვად მაგრამ მოგეხ-

7 Clogg,R. (2003). Συστημική ιστορία της Ελλάδας 1770-2000. (pp 67-122). Athens: Katopetro.

8 საქართველოს ეროვნული არქივი. ფ. 1864, ა.2, ს. 212

სენებათ, რომ საბერძნეთი დღეს ... ყურმოჭრილი მონაა; ფაქტიურად ის დამოკიდებული სახელმწიფოა, რადგანაც ფინანსური კონტროლის ქვეშაა...“⁹ ამგვარ დასკვნას აკეთებს საშა მდივანი კარლო ჩხეიძისადმი მიწერილ წერილში. მეგობრის გრიგოლ რცხილასადმი გაგზავნილ წერილში იგი ციტირებს საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვებს: „საბერძნეთი სავსებით იზიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას; მთელი თავის ძალღონით დაეხმარება ამ საკითხში; ჩვენ მხოლოდ ოფიციალურ ნაბიჯს დღევანდელ პირობებში ვერ გადავდგამთ. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თუ რა მდგომარეობაშია საბერძნეთი. მას არ შეუძლია ომის და ზავის საკითხებში თავისუფალი ნაბიჯების გადადგმა, თუ შეთანხმების სახელმწიფოებს არ შეეკითხა; ეს ჩვენი მათთან ხელშეკრულებაა. ამისთვის, ვიმეორებ – მითხრა მინისტრმა, ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს დამოუკიდებლობას და ვიმედოვნებთ სულ მალე ოფიციალურ ნაბიჯს გადავსდგამთ. როდესაც ვუთხარი, რომ მე შესაძლებელია რომ ჩემი სამინისტროს განკარგულების გამო უნდა წავიდეთ დროებით, მან მითხრა – ვიმედოვნებ მალე დაბრუნდებით, უნდა დაბრუნდეთ, ჩვენ და თქვენ ბევრი საქმეები გვაქვს საერთო.“¹⁰

ასევე საინტერესოა წერილი, სადაც საშა მდივანი აღწერს თავის შეხვედრას ბრიტანეთის ელჩთან.¹¹ მათი საუბრის თემა ეხება საქართველოდან ბრიტანეთის ჯარის გაყვანას და იტალიელების შემოსვლას. ქართველი დიპლომატის აზრით, ბრიტანეთის მთავრობას ჯარების გაყვანა არ სურდა და არც საქართველოს რუსეთთან შეერთების მომხრე იყო. საინტერესოა მისი პასუხი ბრიტანელი ელჩის კითხვაზე, უნდა თუ არა ქართველ ხალხს ინგლისელების წასვლა და იტალიელების შემოსვლა: „გთხოვთ, მითხრათ, ქართველი ხალხი უფრო იმედით უცქერის იტალიელებს და უნდა წავიდნენ ინგლისელები თუ არა?“ – „მე არ ვიცი ჩემი ქვეყნის მთავრობა რა გზას ადგას, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენი ხალხი დიდი სიყვარულით და იმედით უყურებს ინგლისს და დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ინგლისი უზრუნველყოფს საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.“

აღსანიშნავია ქართველი დიპლომატის საბერძნეთში ამერიკის ელჩთან შეხვედრის დეტალები. ამერიკის ელჩს მიაჩნდა, რომ პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოები ვერ შეძლებენ დამოუკიდებლად არსებობას, რადგან მათ სჭირდებათ ფინანსური პატრონობა. მისი აზრით, პატარა სახელმწიფოებმა და ერებმა უნდა შექმნან ფედერაციები და კონფედერაციები, რათა გააგრძელონ არსებობა.

რაც შეეხება საბერძნეთის სამეფოში საფრანგეთის ელჩს, ის კეთილგანწყობილია საქართველოს მიმართ, მაგრამ ოფიციალურად საქართველოსთან მიმართებაში რაიმე ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია. აი, რას წერს საშა მდივანი: „კარგ განწყობილებაშია ჩვენთან, თუმცა ამბობს, ოფიციალურად არ შემიძლია თქვენთან საქმე დავიკავოო...“¹²

საინტერესოა საშა მდივანის შეფასებები საბერძნეთის ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით: „მუშათა კლასი ზედმეტად მცირეა, მრეწველობა სრულიად

9 საქართველოს ეროვნული არქივი. ფ. 1864, ა.2, ს. 122

10 საქართველოს ეროვნული არქივი. ფ. 1864, ა.2, ს. 212

11 იქვე

12 იქვე

არ არის განვითარებული, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა, უმთავრესი სახსარი სახელმწიფოსი და ხალხის არსებობისა სოფლის მეურნეობაა.¹³ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი დიპლომატი ხვდებოდა, რომ სწორედ სოფლის მეურნეობა იქნებოდა საბერძნეთის ეკონომიკისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი.

წერილებში იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც ეხება ათონის მონასტერს. ქართველი დიპლომატი ორჯერ ახსენებს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას წამოჭრა საკითხი ათონის შესახებ: „რაც შეეხება ათონის მონასტრის ამბავს, მითხრა სპეციალური გამოძიებაა დანიშნული და ეჭვს გარეშეა თქვენ მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ.“¹⁴ სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ბევრი კითხვა მრჩება პასუხგაუცემელი, არ არის ცნობილი, თუ რა პრობლემაზეა საუბარი ათონის მონასტერთან დაკავშირებით.

როგორც წერილებიდან ვგებულობთ, საშა მდივანი უკმაყოფილო იყო საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებით საზღვარგარეთ მყოფი ქართველი დიპლომატების მიმართ, რადგან არ ხდებოდა მათი დროული ინფორმირება მთავრობის პოზიციებსა და გადაწყვეტილებების შესახებ. ამის თაობაზე ის კარლო ჩხეიძეს წერს: „ მე არ ვიცი, თუ რა გზას დაადგა ჩვენი მთავრობა, რომ ძირითადი საკითხი ჩვენი ცხოვრებისა ასე თუ ისე გამოარკვიოს; საუბედუროდ, ის არც ცნობებს გვანვდის, რომ ამ ცნობების მიხედვით მისმა წარმომადგენლებმა მოვიქციეთ; საუბედუროდ, არც თქვენი მოქმედების შესახებ გვაქვს ცნობები, მაშინ როცა ამ ცნობებს გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს: საბოლოოდ ჩვენი საკითხი მანდ წყდება... ამ პირობებში ჩვენი მთავრობის წარმომადგენელთათვის ზედმეტად რთული და ძნელი პირობები შეიქმნენ სამუშაოდ, აუცილებელია სხავდასხვა სახელმწიფოებში მყოფმა ჩვენმა წარმომადგენლებმა საერთო ნაბიჯები გადასდგან ხოლმე; ამას დიდი მნიშვნელობა ექნება; წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმომადგენელთა მუშაობას განკერძოებული ხასიათი აქვს და ვერ მოაქვს შესაფერისი ნაყოფი.“¹⁵

სამწუხაროდ, მსჯელობა ქართულ-ბერძნული დიპლომატიურ ურთიერთობებზე არ არის სრულყოფილი, რადგან ამ ეტაპისთვის არ არის შესწავლილი საბერძნეთის არქივებში დაცული მასალა, რომელიც საქართველოს შეეხება. ჩვენს ხელთ არსებული მასალა და ნაშრომში დასახელებული დოკუმენტები კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ქართულ-ბერძნული დიპლომატიური ურთიერთობა არ დაწყებულა მეოცე საუკუნის ბოლოს, როგორც ეს არის ცნობილი, არამედ ამ ურთიერთობას საფუძველი გაცილებით ადრე, 1918-1921 წლებში ჩაეყარა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა საბერძნეთთან. საქართველოში არსებობდა როგორც საბერძნეთის სამეფოს საკონსულო, აქ ასევე მოღვაწეობდა საბერძნეთის საპოლიტიკო მისია. საქართველოს მთავრობას კი თავისი წარმომადგენელი ჰყავდა წარგზავნილი საბერძნეთის სამეფოში. მართალია, ქართველი დიპლომატის მისია დაახლოებით სამ თვეს გაგრძელდა, მაგრამ მას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა

13 საქართველოს ეროვნული არქივი. ფ. 1864, ა.2, ს. 212

14 იქვე

15 საქართველოს ეროვნული არქივი. ფ. 1864, ა.2, ს. 122

საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ცნობადობის ამალგების საქმეში. მისი ხანმოკლე მოღვაწეობა, სავარაუდოდ, განპირობებული იყო მატერიალური სიდუხჭირით. გრიგოლ რცხილაძისადმი მიწერილ თითქმის ყველა წერილში, ის სთხოვდა მეგობარს ფულის გაგზავნას, რადგან ამონურა ყველა რესურსი. თუმცა მისი თხოვნა უპასუხოდ რჩებოდა. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ გრიგოლ რცხილაძისადმი გამოგზავნილი წერილები დაწერილია საბერძნეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის ბლანკზე. საინტერესოა, თუ რამდენად არის დაკავშირებული საშა მდივნის მოღვაწეობა, იმ ფაქტთან, რომ 1920 წელს საბერძნეთმა აღიარა დე-ფაქტო საქართველო.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბენდიანიშვილი, ა. (2001) საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921წწ.). თბილისი: მემატთანე
- ბუხრაშვილი, ე. (2015). საერთაშორისო მისიები ორმაგი სტანდარტები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საისტორიო ვერტიკალები, 35, 33-39
- კირთაძე, ნ. (1997). საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები. თბილისი: საქართველო
- სარალიძე, ლ. (1994). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წ.წ. თბილისი: სადისერტაციო მაცნე
- შარაძე, გ. (2003). საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბილისი: მეცნიერება
- ჯავახიშვილი, ლ. (2003). დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ასახვა ქართულ პრესაში. თბილისი
- Clogg, R. (2003). *Συνοπτική ιστορία της Ελλάδας 1770-2000*. (2 ed.). Athens: Katoptro

Maka Kamushadze

Doctor in Philology, Associate Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

GEORGIAN-GREEK DIPLOMATIC RELATIONS IN 1918-1921

Summary

In 1918-1921 one of the goals of the foreign politics of the Government of the Democratic Republic of Georgia was recognition of independence of Georgia by foreign countries. For this purpose the Government of Georgia had sent diplomatic missions to different European countries, including Greece. The scientific society is not well-informed about Georgian-Greek diplomatic relations of this period. I discovered important information about this subject in the National Archive of Georgia. Systematization of these documents through analytical method revealed some significant aspects of

Georgian-Greek relations. The paper presents the documents from the Archive, which proved that in 1918-1921 Georgia and Greece had bilateral diplomatic relations. For example the document of March 6, 1919 – a letter addressed to the President of the independent Democratic Republic of Georgia, N. Zhordania. According to this document, Mr. Manulidis commenced his consul duties in Tbilisi. An important document dated from 1920 is a letter of a political (diplomatic) mission of Greece in Tbilisi sent to the Ministry of Foreign Affairs of the Democratic Republic of Georgia about the membership of the mission and their families. This information indicates that during its independence in 1918 – 1921, the Georgian Republic had diplomatic relations with the Greek Kingdom. The head of the mission was mister Skeferis. In the Archive of the Ministry of Foreign Affairs of Greece a document about this person was found, dated March 9, 1920 of the Ministry of Foreign Affairs that tells about Mr.Skeferis leaving for Tbilisi, from Athens. One of the goals of the foreign politics of the Government was the recognition of independence of Georgia by foreign countries. For this purpose, in 1919 Georgian Government sent Mr. Alexandre Mdivani to the Kingdom of Greece as the head of Georgian diplomatic mission. He actively worked for getting Greece to recognize the independence of Georgia. The head of the mission had meetings with the Minister of Foreign Affairs of Greece, as well as with the ambassadors of different countries: America, Great Britain, France, Italy and informed them about the situation in Georgia. The information about activities of Alexandre Mdivani is kept in his personal correspondence with his friend Gigo Rtskhiladze. These letters contain interesting information about the approach and trends of the international community towards the Democratic Republic of Georgia. It must be mentioned that these letters are written on the form of the diplomatic mission of Democratic Republic of Georgia. Specific attention should be paid to the document kept in the Archive of the Ministry of Foreign Affairs of Greece, which was sent from Tbilisi on September 5, 1920 from the mission of the Hellenic Kingdom to the Ministry of Foreign Affairs of Greece and gives detailed description of the visit of members of European Socialist Party in Georgia invited by the Georgian Government. National Archive of Georgia keeps a document of the commissioner of Greece in Constantinople sent to the General Consul of Georgia, I. Gogolashvili about de jure recognition of independence of Georgia at the Paris conference on January 29.

The above mentioned documents indicate that Georgian-Greek diplomatic relations started in 1918-1921.

საქართველოსა და თურქეთის საღავმო ტერიტორიები დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების კონტექსტში

ცნობილია, რომ XVI საუკუნიდან ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიები (ლაზეთი, სპერი, ტაო, კლარჯეთი, აჭარა, აგრეთვე, არტანის, ახალციხისა და ახალქალაქის პროვინციები) ოსმალური იმპერიის შემადგენლობაში იყო. XVII საუკუნიდან რუსეთმა ინტენსიურად დაიწყო გავლენის სფეროების გაფართოება და დაუპირისპირდა თურქეთს შავი ზღვის ჩრდილოეთში, ბალკანეთსა და სამხრეთ კავკასიაში. ეს დაპირისპირება სლავი და სხვა ეროვნების ქრისტიანი ხალხების ანტიოსმალური მოძრაობის ფონზე ხდებოდა.



ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიები XVII საუკუნეში

XVIII საუკუნიდან რუსეთთან ერთად ანტიოსმალურ ბრძოლაში ჩაება აღმოსავლეთ ევროპის სლავები, აგრეთვე, საბერძნეთი, სომხეთი, ქართლ-კახეთი და იმერეთი.

ცნობილია, რომ 1783 წელს, ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე მეორის მცდელობით საქართველოს დიდი ნაწილი რუსეთის მფარველობაში შევიდა. XVIII საუკუნის ბოლოდან რუსეთ-თურქეთის ომების შემდგომ შავი ზღვის აუზის ტერიტორიაზე რუსეთი თანდათან იმტკიცებდა პოზიციებს. 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ქართლ-კახეთის, ხოლო 1810 წელს იმერეთის სამეფო გააუქმა და ისინი რუსეთის იმპერიის გუბერნიებად აქცია.

1820-იან წლებში, ევროპული ქვეყნების მხარდაჭერით, საბერძნეთმა ოსმალეთისგან დამოუკიდებლობისთვის დაიწყო ბრძოლა. 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის მხარდაჭერის გარდა, განხორციელდა რუსეთის ლაშქრობები ბულგარეთში, კავკასიასა და ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთით. რუსეთის კავკასიური კორპუსის გამარჯვებას გენერალ პასკევიჩის მეთაურობით მოჰყვა სამცხე-ჯავახეთის საქართველოსთან შემოერთება რუსეთის

იმპერიის ფარგლებში. რუსეთის გავლენის სფეროში მოხვდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ანაპიდან გურიაამდე; თურქეთმა ცნო რუსეთის უფლებები ქართლ-კახეთზე, იმერეთზე, სამეგრელოსა და გურიაზე, აგრეთვე, ახალციხესა და ახალქალაქზე, შავი ზღვის სრუტეებზე რუსეთის თავისუფალი მოძრაობის უფლება და საბერძნეთის ავტონომიური უფლებები (Сборник архивных документов 1992). თურქეთს დარჩა ბაიაზეთის, ყარსისა და არზრუმის საფაშოები (გურული, ჯიქია, 2013:7; Юзефович 2005:91,92). 1828 წლის აგვისტოში საბოლოოდ მოიშალა ახალციხის საფაშოს ტახტი.

1853-1856 წლების ყირიმის ომში შავ ზღვაზე ბატონობის მოსაპოვებლად რუსეთს ბრიტანეთი, საფრანგეთი და ოსმალეთი დაუპირისპირდა. ყირიმში რუსეთმა ომი წააგო, მაგრამ წარმატებები ჰქონდა ყარსში, რომელიც რუსეთის ჯარმა აიღო. 1856 წლის 18 (30) მარტის **პარიზის** ხელშეკრულებით რუსეთმა სევასტოპოლის სანაცვლოდ ყარსი, არდაგანი და ოლთისი დათმო (Юзефович 2005:125; Сборник договоров России 1952:25; Baumgart, Saab 1981:230).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში მთავარი მოტივი ბულგარელების ანტითურქული ბრძოლის მხარდაჭერა იყო. რუსეთმა პარალელურად ბრძოლები აღმოსავლეთ ანატოლიის მიმართულებითაც აწარმოა. საბრძოლო ოპერაციებში 30 000 ქართველი მოლაშქრე მონაწილეობდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1970: 441). 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) **სან-სტეფანოს** ზავით, ყარსის, ბათუმისა და არდაგანის ოლქები საქართველოს შეუერთდა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის ფარგლებში. თურქეთის ტერიტორიაზე დარჩა თორთომი, პარხალი, სპერი და ლაზეთი (Сборник договоров России 1952:159-175); ინგლისისა და ევროპის სხვა ქვეყნების მოთხოვნით, 1878 წლის 18 (30) მაისის **ლონდონის** საიდუმლო ხელშეკრულებით, ოსმალეთის ტერიტორიის ხარჯზე აზიაში რუსეთის ტერიტორია არ უნდა გაზრდილიყო (Сборник договоров России 1952:179); 1878 წლის 1 (13) ივნისის **ბერლინის** კონგრესზე დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოთხოვნით ბათუმი თავისუფალ სავაჭრო ნავსადგურად („პორტო-ფრანკოდ“) გამოცხადდა (Сборник договоров России 1952: 204); ხოლო ალაშქერტი და ბაიაზეთი ოსმალეთს დაუბრუნდა (Сборник договоров России 1952: 205).

პირველ მსოფლიო ომში, 1914 წელს რუსეთის არმიამ ერზრუმი და ტრაპეზუნტი აიღო. შემდგომში, ომში რუსეთის წარუმატებელმა პოლიტიკამ და ომით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რუსეთში მონარქიის დამხობა განაპირობა. 1917 წლის ოქტომბრიდან რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მიმართულების **ბოლშევიკური** (მემარცხენე-ექსტრემისტული) ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში ლენინის ხელმძღვანელობით, რომლებმაც ქვეყანაში საბჭოთა წყობა დაამყარეს. 1917 წლის 15 (28) ნოემბერს სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა კოალიციური მთავრობა სოციალ-დემოკრატიული ძალების მონაწილეობით, **„ამიერკავკასიის კომისარიატი“**, რომელმაც საბჭოთა რუსეთის მიმართ მტრული პოზიცია დაიკავა და ხელი შეუშალა მისი გავლენის გავრცელებას ამიერკავკასიაში.

სოციალურად და ტექნიკურად ჩამორჩენილი რუსეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხებისკენ მიდიოდა. რუსეთი ამ ეტაპზე საომარ მოქმედებებს ვეღარ გააგრძელებდა. 1918 წლის 3 მარტს, **ბრესტ-ლიტოვსკში** (ბელორუსია) ყოფილი მოკავშირეების (ინგლისი, საფრანგეთი, აშშ) ნების წინააღმდეგ რუსეთმა ხელი მოაწ-

ერა სეპარატისტულ ზავს გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან. რუსეთი საომარ მოქმედებებს წყვეტდა. თურქეთი შეეცადა სამხრეთ კავკასიაში ამ ზავით მიეღო ის, რაც ომით ვერ შესძლო. ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების მე-4 პუნქტის თანახმად, ყარსისა და ბათუმის ოლქებს რუსეთი თურქეთს უთმობდა. მოხდა კავკასიის ფრონტის ლიკვიდაცია. აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორია მთლიანად თურქების ხელში გადავიდა. 1918 წლის 11 მარტს თურქებმა აიღეს ერზრუმი, ხოლო 13 აპრილს ბათუმი. რუსეთის იმპერიის არტაანის, ყარსისა და ბათუმის ყოფილ ოკრუგებს რეფერენდუმის გზით უნდა გაერკვია რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდა ყოფნა (Документы внешней политики 1957:121).

ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები არ ცნო. 1918 წლის 12 მარტიდან 13 აპრილამდე ამიერკავკასიის კომისარიატსა და თურქეთს შორის გაიმართა **ტრაპიზონის** სამშვიდობო კონფერენცია. კომისარიატი მოითხოვდა 1914 წლის საზღვრებში დაბრუნებას, ხოლო თურქეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ცნობას. მხარეები ვერ შეთანხმდნენ, თურქეთმა ბათუმი და ქობულეთი დაიკავა (გურული, ჯიქია, 2013:15). არც ერთი ქვეყანა ამიერკავკასიას დამოუკიდებელ ქვეყნად არ ცნობდა და მის პოზიციას საერთაშორისო ასპარეზზე არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საჭირო იყო დამოუკიდებელი საერთაშორისო სუბიექტის შექმნა. თურქეთის მოთხოვნით, 1918 წლის 9 (22) აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს – **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის** შექმნა, რომელშიც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი შედიოდა (სსცია ფ. 1844, საქ. 8, ფურც. 146-147). რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება მტრულად შეხვდა ამ დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნას (Документы внешней политики 1919:291).

ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციები მოლაპარაკებისათვის ბათუმში 1918 წლის 11 მაისს შეხვდნენ. გაირკვა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკაში შინაგანი წინააღმდეგობები იყო საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ქართველები პროგერმანულ, სომხები პრობრიტანულ, ხოლო აზერბაიჯანელები პროთურქულ ორიენტაციას აღიარებდნენ. თურქეთი ბრესტის ზავის პირობებს აღარ სჯერდებოდა და მოითხოვდა სამხრეთკავკასიის რკინიგზაზე კონტროლს. შეიქმნა თურქების მიერ თბილისისა და ერევნის ალების საშიშროება (Документы внешней политики 1919:302).

გერმანიის რეზიდენტმა კავკასიაში, გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა ფედერაციის ლიდერს აკაკი ჩხენკელს განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში გერმანიის იმპერია ოსმალეთის აგრესიისგან ამიერკავკასიის ფედერაციას ვერ დაიცავდა, ხოლო თუ ქართველებს გერმანიის მფარველობა სურდათ, უნდა გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უნდა დაშლილიყო. ლოსოვი ქართველებს პირდებოდა, რომ ამ შემთხვევაში იგი იშუამდგომლებდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე საქართველოს დაცვის თაობაზე (სსცია ფ. 19, საქ. 111, ფურც. 14,15)

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციამ არსებობა შეწყვიტა და იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. შეიქმნა **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა**. მალე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს აგრეთვე სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

1918 წლის 28 მაისს ფოთში, გერმანიასა და საქართველოს შორის გაფორმდა

ხელშეკრულება, რომლითაც გერმანია საქართველოს მფარველობის ვალდებულებას იღებდა. 1918 წლის ივნისში გერმანიის ჯარები ფონ კრესენშტაინის მეთაურობით, საქართველოში განლაგდა. თურქეთმა, გერმანიამ და ავსტრიამ აღიარეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამ დროისთვის თურქეთს დაკავებული ჰქონდა სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი, ბორჯომამდე. 1918 წლის 4 ივნისის საქართველო-თურქეთის **ბათუმის** ხელშეკრულებით საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თურქეთს დაუთმო ბათუმის, ართვინის, არტაანის, ოლთისისა და ყარსის ოკრუგები, ხერთვისი, ახალციხე, ახალქალაქი. საქართველოს საზღვარი აწყურსა და აბასთუმანთან გადიოდა (Документы и материалы 1919:344). თურქებს საქართველოს სრული ოკუპაციაჲ ჰქონდათ განზრახული, მაგრამ ეს პროცესი გერმანელებმა შეაჩერეს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1972 :567).

GEORGIA:04- 10/1918 THE FIRST REPUBLIC, TURKISH INVASION & GERMAN PROTECTORATE



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 – 1921

1918 წლის შემოდგომაზე ანტანტის ქვეყნები მთელს თურქეთს აკონტროლებდნენ. თურქეთის ოტომანთა იმპერია დაიშალა. მას ჩამოაცილეს დიდი ტერიტორიები (თანამედროვე თურქეთის სამხრეთით მდებარე „არაბული“ ქვეყნები, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები). 1918 წლის 30 ოქტომბრის **მუდროსის** ზავით თურქეთს ჯარი უნდა გამოეყვანა ყველა არათურქული ტერიტორიიდან. თურქეთს უფლება ჰქონდა ჯარი დაეტოვებინა ყარსისა და ბათუმის პროვინციებში. დანარჩენი საქართველოდან, დეკემბერში, თურქეთმა ჯარები გაიყვანა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1972 :615).

1918 წლის ბოლოს მსოფლიო ომში დამარცხებულმა გერმანიამ ჯარი გაიყვა-

ნა საქართველოდან. სამხრეთ კავკასიის საკვანძო ობიექტები ინგლისის ჯარმა დაიკავა გენერალ ტომსონის მეთაურობით. საქართველომ მზადყოფნა გამოთქვა ინგლისთან თანამშრომლობის შესახებ (Документы и материалы 1919:484). ანტანტის ინტერესებში შედიოდა, რომ საქართველოს მხარი დაეჭირა დენიკინისთვის, რომელიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამოქალაქო ომს აწარმოებდა. დენიკინი რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების დამოუკიდებლობას არ ცნობდა და საქართველოს დაპყრობა უნდოდა, მაგრამ ინგლისელებმა დენიკინს ამისი ნება არ მისცეს. დენიკინს ჯერ მოსკოვი უნდა აეღო. 1919 წელს სამხრეთ კავკასიაში გავლენის სფეროს მოპოვებისთვის გააქტიურდა აშშ. ეს იყო როგორც ფარული პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საქმიანობა (Papers 1919:843), რის გამოც ინგლისმა აშშ-ს საპროტესტო მემორანდუმიც კი გაუგზავნა (Papers 1919:621). აშშ-ს გეგმები და ინტერესები ამიერკავკასიის მიმართ საკმაოდ ენერგიული იყო, მათ უნდოდათ ამიერკავკასია მათი გავლენის სფეროდ ექციათ (Miller 1924: 229, . . .).

პარიზის 1919-1920 წლების სამშვიდობო კონფერენციაზე ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიოს მოწყობის ბედი წყდებოდა. 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი საქართველოს სუვერენიტეტის დაცვისა და მნიშვნელობის შესახებ. დასავლეთის ქვეყნები აკვირდებოდნენ რუსეთის სამოქალაქო ომის შედეგებს. მოკავშირეებმა ანგარიში გაუწიეს რუსეთის რეალურ ინტერესებს კავკასიაში – საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის საკითხი კონფერენციაზე არც დასმულა. 1919 წლის აპრილში, აშშ-ს პრეზიდენტ უილსონის ინიციატივით შეიქმნა ერთა ლიგა, გაეროს წინამორბედი ორგანიზაცია. საქართველომ იმთავითვე განაცხადა სურვილი ერთა ლიგაში გაერთიანებისა, მაგრამ საფრანგეთისა და ინგლისის მოსაზრებით ერთა ლიგა ევროპის განაპირა რეგიონში მდებარე ქვეყნებს მოძალადეებისგან ვერ დაიცავდა თუნდაც მათი არასტაბილურობისა და საზღვრების შეუთანხმებლობას გამო. 1919 წლის ზაფხულში ინგლისის ჯარი სამხრეთ კავკასიიდან გავიდა, თუმცა ბათუმში მცირე საჯარისო ნაწილი დარჩა.

1920 წლის დასაწყისში საბჭოთა ძალებმა რუსეთში გამარჯვებას მიაღწიეს და სამოქალაქო ომში დენიკინის არმია დაამარცხეს. გაჩნდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მიერ სამხრეთ კავკასიის ოკუპაციის საფრთხე. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნაწილმა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) 1920 წლის დასაწყისშივე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. რუსეთს გართულებული ურთიერთობა ჰქონდა პოლონეთთან, ამიტომ საქართველოს პირდაპირი ოკუპაციისგან თავს იკავებდა. 1920 წლის 7 მაისს რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო. 1920 წლის აპრილში, საბჭოთა რუსეთმა, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ხელშეწყობით (ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე), მე-11 არმიის მეშვეობით, აზერბაიჯანის ოკუპაცია მოახდინა, დეკემბერში კი სომხეთი დაიპყრო.

1919 წლის მაისში ანტანტის მხარდაჭერით საბერძნეთმა დაიწყო თურქეთის ტერიტორიების ოკუპაცია. 1920 წლის 16 მარტს ბერძნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს. თურქეთის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების მიზნით, 1919 წლიდან თურქეთის ნაციონალურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა მუსტაფა ქემალ ფაშა, რომელიც დაუპირისპირდა როგორც ანტანტის ქვეყნებს, ასევე თურქეთის სულთნის

კოლაბორაციონისტულ ხელისუფლებას.

ქემალისტურმა თურქეთმა 1920 წელს დახმარებისთვის საბჭოთა რუსეთს მიმართა. ანტანტის წინააღმდეგ „ანტიიმპერიალისტურ“ ბრძოლაში, თურქეთისა და რუსეთის ინტერესები დაემთხვა. რუსეთის დახმარებით თურქეთს სურდა ბერძნების ჯარის დამარცხება და ანტანტის ქვეყნების განდევნა. სამაგიეროდ თურქეთი ხელს შეუწყობდა რუსეთს სამხრეთ კავკასიაში და შავი ზღვისპირეთში საბჭოთა რეჟიმების დამყარებაში. რუსეთის ინტერესებში შედიოდა აგრეთვე დასავლეთის როლის შესუსტება ანატოლიაში (Документы внешней политики 1958: 804). ლენინმა ოფიციალურად აღუთქვა დახმარება ქემალისტურ თურქეთს (Документы внешней политики 1958: 804). თურქეთმა 1920 წლის სექტემბრიდან საბჭოთა რუსეთისგან მნიშვნელოვანი სამხედრო და ფინანსური დახმარების მიღება დაიწყო (Müderrisoğlu 1990: 543; Саркисян 2012; Резников 2014: 185-189).

1920 წლის 28 სექტემბრიდან თურქეთის არმიამ დაიწყო საომარი მოქმედებები სომხეთის წინააღმდეგ და ისტორიული სომხეთის დიდი ნაწილი დაიკავა. სომხეთმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დახმარება სთხოვა. საქართველომ სომხეთ-თურქეთის კონფლიქტში ნეიტრალიტეტი გამოაცხადა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1972: 648).

1920 წლის 16 დეკემბერს, ყენევაში, საქართველოს, ერთა ლიგაში შესვლაზე უარი ეთქვა. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ჯარმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა და შეიქმნა რუსეთს დაქვემდებარებული საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა.

1921 წლის თებერვალში თურქეთმა ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს ართვინისა და არტაანის მხარეების დაუყოვნებლივ დაცლის შესახებ (ყავრელიშვილი 2012; Askeri Tarih Belgeleri Dergisi 1999: 3-5). ქართული მხარე ამ პირობებს დათანხმდა (Özder 1971: 212-215). თურქეთის ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, ბოლშევიკების მიერ თბილისის აღების შემდეგ გაჩნდა შესაძლებლობა ამოქმედებულიყო ბაქო-ყარსის რკინიგზა და ანკარის მთავრობას მათთვის ესოდენ აუცილებელი ბაქოს თხევადი საწვავის მიღება შეუფერხებლად მიეღო (ყავრელიშვილი 2012; Askeri Tarih Belgeleri Dergisi 1999: 74-76).

1921 წლის 6 მარტს ნოე ჟორდანიას თურქეთის ხელისუფლებას სთავაზობს, რომ თურქეთის ჯარებმა დაიკავონ აჭარა, ახალციხე და ახალქალაქი (ყავრელიშვილი 2012; Askeri Tarih Belgeleri Dergisi 1999 : 16-18). 9 მარტს თურქებმა საქართველოში წითელი არმიის მოქმედებების საპირისპიროდ დაიკავეს ახალქალაქის და ახალციხის მხარეები, თუმცა, ბათუმის და აჭარის დაკავების საკითხი ღიად დარჩა (ყავრელიშვილი 2012, Askeri Tarih Belgeleri Dergisi 1999: 107-109). თურქეთი აჭარას სამართლებრივად თავის კუთვნილებად თვლიდა, თუმცა რუსეთის არმიისთვის წინააღმდეგობის განევას არ აპირებდა (ყავრელიშვილი 2012; Askeri Tarih Belgeleri Dergisi 1999: 19-24). 1921 წ. 10 მარტს თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა კიაზიმ ფაშამ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და გენშტაბს გაუგზავნა ორჯონიკიძისაგან მიღებული დებუშის თარგმანი, რომლის მიხედვითაც, მოსკოვში თურქეთის მთავრობის დელეგაციასა და რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად ბათუმი, ახალქალაქი, ახალციხე და ახალციხე-ბათუმის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი უნდა დარჩენილიყო საბჭოთა

საქართველოს შემადგენლობაში (ყავრელიშვილი 2012; Askeri Tarih Belgeleri Dergisi 1999: 113-119). მიუხედავად ამისა, 1921 წლის 11 მარტს თურქეთის ჯარის ნაწილები ბათუმის რაიონში შევიდნენ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1972:649).

1921 წლის 16 მარტს **მოსკოვში**, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც დგინდებოდა საზღვრები თურქეთსა და რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. საზღვარი სარფიდან იწყებოდა და შავშეთის ქედზე გრძელდებოდა. აჭარა, ახალციხე და ახალქალაქი საბჭოთა საქართველოში დარჩა, დანარჩენი მხარეები კი თურქეთში (Документы внешней политики 1959: 598, 602, 603).

1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ბათუმიდან ემიგრაციაში, საფრანგეთში, წავიდა. 18 მარტს საბჭოთა ჯარებმა აჭარა დაიკავეს, თურქეთმა ჯარი გაიყვანა. საქართველოსა და თურქეთს შორის მოსკოვში 16 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვარი გაავლეს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1972: 650).

1921 წლის სექტემბერში თურქეთმა, საბჭოთა რუსეთის მიერ განეული სამხედრო და ფინანსური დახმარებით, ბერძნების ჯარი დაამარცხა. ტაო-კლარჯეთისა და ისტორიული სომხეთის თურქეთში მდებარე ტერიტორიაზე, ასევე ანატოლიაში, ქრისტიანი მოსახლეობის (სომხების, ბერძნების და ასირიელების) სრული ლიკვიდაცია ან განდევნა მოხდა. ამ პერიოდში, აღმოსავლეთ ანატოლიაში რელიგიური ნიშნით წარმოებულ ბრძოლებში ასი ათასობით ქრისტიანი და მუსლიმი დაიღუპა.


რუსეთს დაქვემდებარებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად რჩებოდნენ, ამიტომ რუსეთმა და თურქეთმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ისინი იურიდიულად შეერთებოდნენ რუსეთ-თურქეთის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმებას. 1921 წლის 13 ოქტომბერს, **ყარსში** ხელი მოეწერა ანალოგიურ ხელშეკრულებას თურქეთს, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის რუსეთის მონაწილეობით (Документы внешней политики 1960:420-423).

1922 წლიდან საქართველო მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია და თურქეთთან სადავო ტერიტორიის საკითხი აღარ განიხილებოდა.

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა თურქეთს და ისტორიული საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების დაბრუნება მოითხოვა იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც რუსეთის იმპერიას 1878 წლის მდგომარეობით ეკუთვნოდა. ლაზეთისა და ართვინის პროვინცია საქართველოს უნდა შეერთებოდა, ყარსი და ერზურუმისა – სომხეთს. არტანი, ოლთისი, თორთომი და სპერი სადავო ტერიტორიად იქნა მიჩნეული. დასავლეთის ქვეყნების და უპირველესად აშშ-ს კატეგორიული მოთხოვნით თურქეთ – საბჭოთა კავშირის საზღვრები არ შეცვლილა. 1952 წელს თურქეთი NATO-ში შევიდა, საბჭოთა კავშირმა ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარი თქვა სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წელს.




ჩერჩილი, ტრუმენი და სტალინი, 1945.



ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი

1991 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ თურქეთთან დამყარდა კეთილმეზობლური ურთიერთობები. 1992 წელს საქართველომ ცნო 1921 წელს მოსკოვსა და ყარსში შეთანხმებული თურქეთ-საქართველოს საზღვარი.

2002 წლიდან საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი ნომინალურად, ახალციხის ეპარქიას მიუერთა. ამჟამად ლაზეთი ნომინალურად ბათუმ-ლაზეთის ეპარქიაში შედის, ტაო-კლარჯეთი ახალციხე-ტაო-კლარჯეთისაში.



საქართველოს ეპარქიების რუკა, 2010 წელი

2018 წლის აპრილში რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტები პუტინი და ერდოღანი ანკარაში შეხვდნენ. ანტიდასავლური განწყობის ამ შეხვედრაზე პოლიტიკოსები შეთანხმდნენ მოლაპარაკებებზე რუსეთის მხრიდან თურქეთისათვის სამხედრო დახმარების შესახებ (რაკეტების მიყიდვა, თანამშრომლობა ატომური ენერგეტიკის საკითხებში და სხვა) <https://ria.ru/analytics/20180405/1517959635.html>.



რუჰანი, ერდოღანი და პუტინი, 2018.

ისტორიული პროცესები განმეორებადია და საქართველოს ტერიტორიების გადანაწილების საკითხი თურქეთსა და რუსეთს შორის შესაძლოა კვლავ აქტუალური გახდეს.

დასკვნები:

1. XVII საუკუნიდან ბალკანეთსა და შავი ზღვის აუზში გავლენისათვის, თურქეთისა და რუსეთის იმპერიები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ისტორიული საქართველოს დიდი ნაწილიც, XVIII-XIX საუკუნეებში, ეტაპობრივად, თურქეთის დაქვემდებარებიდან რუსეთის იმპერიაში მოექცა.

2. პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირების გამო რუსეთის გავლენის სფეროების გაფართოების პროცესს ევროპასა და დასავლეთ აზიაში პერმანენტულად აფერხებდნენ დასავლეთის ქვეყნები. ეს ხელს უწყობდა თურქეთის გავლენის შენარჩუნებას ისტორიული საქართველოს მხარეებზეც.

3. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1918-1920 წლებში, დასავლეთის ქვეყნების ხელშეწყობით ოსმალეთის იმპერია დაიშალა და თურქეთმა არაბული და ბალკანური ტერიტორიები დაკარგა. ამ წლებში თურქეთი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სადაო ტერიტორიების გამო საომარ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. დასავლეთის ქვეყნებმა ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავლენის შენარჩუნება ვერ შეძლეს, ხოლო 1921 წელს ანტიდასავლურად განწყობილმა საბჭოთა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები საკუთარი ინტერესების მიხედვით გაინაწილეს. ისტორიული საქართველოს მუსლიმი მოსახლეობით დასახლებული მხარეები, სადაც ქართული კულტურის ასობით ძეგლი დღემდეა შემორჩენილი, თურქეთის ტერიტორიაზე დარჩა.

4. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ, 1945 წელს, საბჭოთა კავშირმა თურქეთში მდებარე ისტორიული საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების შემოერთება დააპირა, მაგრამ დასავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს კატეგორიული მოთხოვნით, ეს შეუძლებელი გახდა.

5. 1991 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში შევიდა საბჭოთა საქართველოში შემავალი ტერიტორიები. რუსეთისა და თურქეთის მიერ

1921 წელს გავლელულ საქართველო-თურქეთის საზღვარი ამჟამადაც ლეგიტიმურად ითვლება.

6. 2018 წლის აპრილში რუსეთის, თურქეთის და ირანის პრეზიდენტები ანკარაში შეხვდნენ ერთმანეთს. ანტიდასავლური განწყობის ამ შეხვედრაზე პრეზიდენტები შეთანხმდნენ მოლაპარაკებებზე რუსეთის მხრიდან თურქეთისათვის სამხედრო დახმარების შესახებ. ისტორიული პროცესები განმეორებადია და საქართველოს ტერიტორიების გადანაწილების საკითხი თურქეთსა და რუსეთს შორის შესაძლოა კვლავ აქტუალური გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

გურული ვ., ჯიქია ლ., ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში, თბილისი, 2013

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972

სსცია – საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი
ყავრელიშვილი რ., რამდენიმე თურქული დოკუმენტი საქართველოს ისტორიის შესახებ (1921 წ.), II საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“, მოხსენებებთან თეზისები, თბ. – ბათუმი, 2012

Askeri Tarih Belgeleri Dergisi 1999: Askeri Tarih Belgeleri Dergisi, Genelkurmay Askeri Tarih ve Stratejik Etüt Başkanlığı Yayınları, Ocak, Yil,48, Sayı,107, Ankara, 1999

Baumgart W, Saab A. P., Peace of Paris, 1856: Studies in War, Diplomacy & Peacemaking, 1981

Miller D., My Diary at the Conference of Paris, New York, 1924

Papers Relating to the Foreign Relations of the V. S. Paris Peace Conference, 1919, Russia, V. II

Müderrişoğlu A., Kurtuluşa n n mal kaynaklar ö Ankaraö 1990

Tansel Selahattin Tansel, Mondros'tan Mudanya'ya Kadar, C. IV, Milli Eğitim Basımevi, Ankara, 1978

Özder M. Adil Özder, Artvin Ve Çevresi (1828-1921), Ay Matba ası, Ankara, 1971

Документы внешней политики СССР, т . 1, М., 1957

Документы внешней политики СССР, т . 2, М., 1958

Документы внешней политики СССР, т . 3, М., 1959

Документы внешней политики СССР, т . 4, М., 1960

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919

Резников А. Б., Советская Россия – Турция: От первых контактов до заключения Московского договора (16 марта 1921 г., Теория и практика овщественного развития, 2014, № 3

Саркисян С., Эволюция турецкой армии в контексте политических изменений в стране. „21-й век“, № 5 (25), 2012

Сборник архивных документов, М., Русская книга, 1992

Сборник договоров России с другими государствами, 1856-1917, М., 1952
Юзефович Т., Договоры России с Востоком, М., 2005
<https://ria.ru/analytics/20180405/1517959635.html> – გადამონმეზულია 25. 05.
2018

Teimuraz Khutsishvili
Caucasus University, Professor

CONTESTED TERRITORIES BETWEEN GEORGIA AND TURKEY IN THE CONTEXT OF THE CONFRONTATION OF RUSSIA AND THE WEST

Georgian-Russian confrontation over the contested border territories has a long history. In the 17th century the Ottoman Empire, which included a vast majority of Georgian territories, became a dominant force in Western Asia; however, the period coincided with expansion of the Russian spheres of influence as well. In the Black Sea basin backed by anti-Ottoman movement of Christian people, Russia opposed Turkey. In the 18-19th centuries the Russian Empire gradually extended and consolidated its control over a large part of historic Georgian territories.

Due to the confrontation of political and economic interests, expansion of the Russian influence in Europe and Western Asia was permanently hindered by Western countries, which, in its turn, facilitated to retaining Turkish influence over historic parts of Georgia.

In 1918-1920 the Western world facilitated to the disintegration of the Ottoman Empire; eventually the Republic of Georgia, which emerged after the collapse of the Russian Empire in 1918, and Turkey found themselves at war over the contested territories. The Western world failed to retain influence over Anatolia and the Caucasus; in due course, in 1921 anti-western Soviet Russia and Kemalist Turkey shared the territories of Georgia and Armenia at their discretion. Thus, the historic parts of Georgia settled with Muslim population and abounding with hundreds of pieces of Georgian culture were left within Turkey.

After the victory in the World War II in 1945, the Soviet Union intended to seize back the historic Georgian and Armenian territories, however, the intention remained unfulfilled at the demand of the western world, especially of the USA.

From 1991, after the collapse of the Soviet Union, the Republic of Georgia inherited all the territories previously within the Georgian Soviet Socialist Republic. The Georgian-Turkish border line drawn in 1921 by Russia and Turkey is acknowledged legitimate by the authorities of Georgia and Turkey.

საქართველოს სამხედრო საქმის ისტორიიდან (1918–1921 წწ.)

1918-1921 წლები ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდია საქართველოს უახლეს ისტორიაში. სწორედ დროის ამ მცირე მონაკვეთში აღდგა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაკარგული დამოუკიდებლობა. ქვეყანა თვითმყოფადი განვითარების გზას დაადგა. ქართველი ხალხი უდიდესმა სიხარულმა მოიცვა. სამწუხაროდ, ეს სიხარული ხანმოკლე გამოდგა – 1921 წლის 25 თებერვალს ჩვენს სამშობლოს კიდევ ერთხელ დაადგა მონობის უღელი ჩრდილოელმა მეზობელმა – ამჯერად ბოლშევიკურმა.

ოკუპანტები ქართველი ხალხის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლასაც აწარმოებდნენ – მას მხოლოდ იმ ისტორიის სწავლას აიძულებდნენ, რომელსაც ოფიციალურად მიიწოდებდა. გამომდინარე აქედან, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 70-წლიანი ისტორიის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მოღვაწე ქართველი პატრიოტების არათუ ნამოქმედარის ჯეროვნად დაფასება, არამედ მათი სახელის ხსენებაც არ შეიძლებოდა. მხოლოდ 80-იანი წლების მიწურულიდან ყინული თანდათანობით გალღვა.

ქვემოთ განვიხილავთ 1918-1921 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების სამი თვალსაჩინო, თუმცა თანამედროვე ქართული საზოგადოებრიობის ფართო წრეებისთვის ნაკლებად ცნობილი, სამხედრო მოღვაწის – ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძის, სვიმონ შავგულიძისა და ფრიდონ წულუკიძის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითად ასპექტებს. ამ პიროვნებების ღვაწლი სამშობლოს წინაშე, ჯერჯერობით, სათანადოდ დაფასებული არ არის, არადა, ისინი ნამდვილად იმსახურებენ იმას, რომ ქართველმა ხალხმა საპატიო ადგილი მიუჩინოს თვალსაჩინო მამულოშვილთა შორის.

„სანდრო იყო გაბედული, პირდაპირი, საერთო საქმისათვის თავდადებული და გამჭრიახი გონების პატრონი, ის ძლიერი ადამიანი იყო არა მარტო ფიზიკურად, სულიერადაც; მისთვის არ არსებობდა დაღლილობის გრძობა, მან არ იცოდა, თუ რა იყო გულის გატეხა და სასონარკვეთილება. სანდრო არ იყო მარტო ფიზიკური მეტროლი, ის შესამჩნევ ინტელექტუალურ ძალას წარმოადგენდა და საუცხოო ორგანიზატორი, შესანიშნავი ადამიანი იყო“ – ამგვარად ახასიათებდნენ თანამედროვენი ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძეს.¹ და რომ ეს სიტყვები სინამდვილეს შეეფერება, ამას მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ჩვენამდე მოღწეული ცნობებიც (რომლებიც, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, არც ისე მრავალრიცხოვანია) ნათლად ადასტურებს.

ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე დაიბადა 1883 წელს ქართლის სოფელ დვირში. მამამისი იყო სოფლის მშრომელი გლეხი, „სასახელო გუთნისდედა“. პატარა სანდრომ პირველდანწყებითი განათლება მშობლიური სოფლის სკოლაში მიიღო. მშობლები ადრეულ ასაკში გარდაეცვალა, რის შემდეგაც სკოლაში სწავლას თავი

1 სანდრო მაისურაძე, გაზ. „ერთობა“, 1918, 21/XII, № 276, გვ. 1

დაანება და თბილისში ზეინკლის შეგირდად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში შევიდა; გაიტაცა რევოლუციურმა იდეებმა, ჩაება მუშათა მოძრაობაში და მალე „ერთ საუკეთესო შეგნებულ მებრძოლ მუშაკად შეიქმნა“.² რუსეთის ხელისუფლებამ მასში იმპერიისთვის საშიში პიროვნება დაინახა და დაუწყო დევნა-შევიწროება. 1905-1906 წლებში მეტეხის ციხეში იჯდა. 1908 წელს ვოლოგდის გუბერნიის უსტისოლის მაზრაში გადაასახლეს, სადაც ადმინისტრაციულ სასჯელს იხდიდა. გადასახლებიდან 1913 წელს დაბრუნდა და განაგრძო ბრძოლა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ.³

1917 წლის თებერვალში რუსეთში რევოლუციამ იფეთქა... ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა... ქვეყნის მმართველობა დროებითა მთავრობამ იკისრა... 25 ოქტომბერს კი მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და ძალაუფლება ლენინის მეთაურობით შექმნილ საბჭოთა მთავრობას ჩაუვარდა ხელში. ამიერკავკასიაში ოქტომბრის გადატრიალება ავანტიურად მონათლეს და აქ შეიქმნა ადგილობრივი მთავრობა – „ამიერკავკასიის კომისარიატი“, რომელსაც სათავეში ევგენი გეგეჭკორი ჩაუდგა.

აღნიშნულ პერიოდში ამიერკავკასიაში დიდი არეულობა სუფევდა. კავკასიის ფრონტზე რუსეთის ჯარმა რღვევა დაიწყო, ჯარისკაცები თვითნებურად ტოვებდნენ საომარ ველს და სახლებში ბრუნდებოდნენ. ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები აქეზებდნენ მათ, აეღოთ თბილისი. საქართველოს დედაქალაქს დაპყრობის საფრთხე დაემუქრა.

შექმნილ ვითარებაში, სანდრო მაისურაძემ, ვალიკო ჯუღელსა და ალექსანდრე დგებუაძესთან ერთად, საქართველოს სახალხო გვარდია ჩამოაყალიბა. პირველი ბრძოლა სახალხო გვარდიამ თბილისის არსენალის ალების დროს გადაიხადა. აქ განლაგებული იყო 218-ე პოლკი არ ემორჩილებოდა „ამიერკავკასიის კომისარიატს“. 1917 წლის 12 დეკემბერს სახალხო გვარდიამ თბილისის არსენალი ბოლშევიკებს ხელიდან გამოსტაცა.⁴ ამ პერიოდში სანდრო მაისურაძე სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის – ვალიკო ჯუღელის ამხანაგად (მოადგილედ) დაინიშნა. გარდა ამისა, 1917 წლის ნოემბერში გამართულ საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში, აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. ასეთ რანგში შეხვდა იგი 1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება გამოცხადდა.

სანდრო მაისურაძე მთელ თავის ძალ-ღონესა და ენერგიას საქართველოს სუვერენიტეტის დაცვას ანდომებდა, ებრძოდა აჯანყებულ ოსებს, დუშეთის მაზრაში – ბოლშევიკებს და ა. შ. გარდა ამისა, პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, კერძოდ, იყო საქართველოს პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი.

1918 წლის ბოლოს, საქართველოს საფრთხე მეზობელი სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან დაემუქრა. ამ უკანასკნელმაც, საქართველოს მსგავსად, დამოუკიდებლობა 1918 წლის მაისში გამოაცხადა. სომხეთის მმართველ პარტიას – „დაშნაკციუთუნს“ საქართველოს მიმართ სასაზღვრო პრეტენზიები ჰქონდა. 1918 წლის

2 სანდრო მაისურაძე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, 2/II, № 1, გვ. 9

3 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, 10/VIII, № 9, გვ. 1

4 აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 191

9 დეკემბერს (ზოგიერთი წყაროს მონაცემებით, 8 დეკემბერს) სომხეთის ჯარი გენერალ ტერ-ნიკოლოსოვის მეთაურობით მოულოდნელად თავს დაესხა სადგურ სანაინთან მყოფ ქართული ჯარის სადარაჯო პუნქტებს, დახოცეს ჯარისკაცები, ტყვედ წაიყვანეს რამდენიმე მათგანი.

სომხეთის არმიამ ქვეყნის სიღრმისკენ რამდენიმე მიმართულებით შემოგვიტია, მოშალა ალავერდსა და სანაინს შორის რკინიგზის ხაზი, დაიკავა ალავერდის მალ-ლობები. სომხებმა საქართველოს მთავრობას მიმართეს ულტიმატუმით, დაეცალათ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა, სახალხო გვარდიასა და ჯარს სომხების მიერ დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლება დაავალა. მთავარ-სარდლად გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა.⁵

ნოე ჟორდანიას ბრძანებით, სახალხო გვარდია ვალიკო ჯუღელისა და სანდრო მაისურაძის მეთაურობით გაიგზავნა ბოლნისის მიმართულებით, სადაც სომხებს ხელში ჰქონდათ ჩაგდებული ქართული ზარბაზნები. 19 დეკემბერს სოფელ ეკატერინოფელდთან სასტიკი ბრძოლა გაიმართა, რომელიც სანდრო მაისურაძისთვის საბედისწერო გამოდგა. ამის შესახებ ცნობები დაცულია როგორც იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში, ისე პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების მოგონებებში.

გიორგი კვინიტაძის ცნობით, წართმეული ზარბაზნები სახალხო გვარდიამ „დაიბრუნა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და სანდრო მაისურაძის, გვარდიის შტაბის წევრის, თაოსნობით. უკანასკნელმა ამას შესწირა თავისი სიცოცხლე“ (გიორგი კვინიტაძე, ჩემი პასუხი (ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსულის“ გამო).⁶ გენერალი თავის „მოგონებებში“ დამატებით ინფორმაციასაც გვანვდის: „ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ვალიკო ჯუღელისა და სანდრო მაისურაძის თაოსნობით მდგომარეობა გამოვასწორეთ, კონტრშეტევაზე გადავედით, სომხები გავრეკეთ და ზარბაზნებიც დავიბრუნეთ“.⁷ იმ დღეს დატრიალებულმა მოვლენებმა ასახვა ჰპოვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი მოღვაწის – დავით (დათა) ვაჩნაძის მოგონებებშიც: „19 დეკემბერს, ნაშუადღევს, თბილისში გავრცელდა ხმა, რომ სომხები უეცრად დაესხნენ თავს ვალიკო ჯუღელის გვარდიის რაზმს ეკატერინოფელდში, დახოცეს გვარდიელების საგრძნობი რიცხვი და, მათ შორის, ცნობილი სანდრო მაისურაძეც“.⁸

1918 წლის 20 დეკემბერს გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა: „მხოლოდ ესლა დასრულდა სომხეთის ჯარისა, რომელიც ეკატერინოფელდზე უტევედა, და ჩვენი გვარდიის ბრძოლა. ბრძოლა დაიწყო დილის 6 საათიდან. მონინაალმდეგემ ისარგებლა ნისლით, შემოერთყა ყოველმხრივ სახალხო გვარდიას და დაიწყო შემოტევა ჩვენს ბატარეაზე, მაგრამ სახალხო გვარდიამ კონტრიერიშით მტერი სასტიკად დაამარცხა და გააქცია ბრძოლის ველიდან.

სომხებს დიდი ზარალი მივაყენეთ. მთელი ველი დაფარულია მათი გვამებით,

5 გოჩა საითიძე, ვინ იყო ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, თბ., 2002, № 2, გვ. 114-115

6 ჟურნ. „მაცნე“ (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), თბ., 1990, № 3, გვ. 87

7 გიორგი კვინიტაძე, მოგონებები, ტ. 1, თბ., 1998, გვ. 89

8 დავით ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი), ჟურნ. „ივერია“, თბილისი-ბრიუსელი, 1993, № 2, გვ. 161

ტყვედ წამოვიყვანეთ ბატალიონის უფროსი, რამდენიმე ოფიცერი და ჯარისკაცი. გაქცეული მტრის დევნა გრძელდება. ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სახალხო გვარდიელი სანდრო მაისურაძე“.⁹

19 დეკემბერს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში მთავრობის თავმჯდომარემ – ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „ამ დილას ეკატერინოფელდთან ბრძოლაში დაეცა რამდენიმე ჩვენი საბჭოს წევრი. ყველას გვარები ჯერ კიდევ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ ამ ბრძოლაში გმირულად დაღუპულა საბჭოს წევრი სანდრო მაისურაძე. თქვენ ყველამ იცით, ვინ იყო ის, მე ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას, თუ რა პირობებში მოხდა ეს ამბავი.“

მთელი ჩვენი გვარდია იმყოფებოდა ეკატერინოფელდთან. ამ დილას მტერმა ისარგებლა ნისლით, გარს შემოერტყა ჩვენს გვარდიას და დაიკავა ერთი ჩვენი ბატარეა. ბატარეის გამოსახსნელად თავისი რაზმით გაეშურნენ ჯუღელი და მაისურაძე. მაისურაძე დაეცა, მაგრამ თავისი სიკვდილით მან იხსნა რამდენიმე ასეული გვარდიელი სიკვდილისაგან“.¹⁰ სომხეთის არმიასთან შეტაკებაში 19 დეკემბერს ბრძოლის ველზე სანდრო მაისურაძესთან ერთად გმირულად დაიღუპნენ სახალხო გვარდიელები: ნესტორ მიმინაშვილი, მიხეილ დავითაშვილი, ვლადიმერ ჩხეიძე, დავით გოდერძიშვილი და სხვ. ისინი 1918 წლის 24 დეკემბერს დაკრძალეს თბილისში, ხუდადოვის ტყეში, საძმო სასაფლაოზე. დასაფლავებას საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მთელი შემადგენლობა დაესწრო ნოე ჟორდანიას მეთაურობით. სიტყვები წარმოთქვეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარემ კარლო ჩხეიძემ და სხვ.

აღნიშნულ მოვლენას ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ საგანგებო ნარკვევი მიუძღვნა მისმა რედაქტორ-გამომცემელმა, ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა (არიმათიელმა). იგი წერდა: „გამოატარეს კუბოები. ყველაზე წინ გვარდიელთა ბელადი სანდრო მაისურაძე, მას მიაყოლეს მისსივე გვარდიელები. კუბო კუბოს მისდევს, ყოველ კუბოს თავისი ჭირისუფლები. ტირილი, გოდება, მოთქმა, მემრე ამათ სულ უკან ათი-თორმეტი კუბო გამოატარეს. მათი არც სახელი ჩანს, არც ჭირისუფალი, „ვინ არიან?“ – კითხულობენ, მაგრამ მოპასუხე არავინაა.“

„და სხვანიო...“, აი, ვინ არიან ესენი, ეს ის სხვანია, რომელთა შორისაც გაიღვიძა ძველ მამა-პაპათა გმირულმა უანგარო სულმა და სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანეს თავისი ნორჩი სიცოცხლე, მიიტანეს უდრტივინველად, როგორც ძველი რომაელი მოიქცეოდა.“

და როდესაც ქართველ ერში მამა-პაპათა გმირული სული ასე გაიღვიძებს, მაშინ ამ ერის მომავალს ვერავინ დაჩრდილავს. ასეთ გმირთ დამტირებელი და მგლოვიარეც ჰპოვებს – ეს მთელი ერია, მთელი საქართველო“.¹¹

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ როგორ განვითარდა, სანდრო მაისურაძის დაღუპვის შემდეგ, საქართველო-სომხეთის ომი. ქართულმა ჯარმა წარმატებები მოიპოვა, დაამარცხა სომხები შულავერთან და სადახლოსთან. გაიხსნა გზა სომხე-

9 გაზ. „ერთობა“, 1918, 20/XII, № 275, გვ. 2

10 გაზ. „ერთობა“, 1918, 21/XII, № 276, გვ. 2

11 იოსებ არიმათიელი, ...და სხვანი (32 სახალხო გვარდიელის ხსოვნას), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, 2/II, № 1, გვ. 10

თის ტერიტორიაზე შესაჭრელად. ამ დროს ინგლისის ჯარის ამიერკავკასიის სარდლობამ საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა, ჯარს დაეცალა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები, რომელთაც სომხეთ-საქართველოს საზავო კონფერენციამდე თვითონ დაიკავებდა.

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო – მართალია, ახალქალაქის მაზრაში შენარჩუნდა ქართული ადმინისტრაცია, მაგრამ, სამაგიეროდ, ბორჩალოში დაწესდა ნეიტრალური ზონა ქართული არმიის მიერ დაკავებულ ხაზზე და მოხდა შეთანხმება, რომ ამ ზონის მართვა შერეული ადმინისტრაციით განხორციელდებოდა. საომარი მოქმედებები მთლიანად შეწყდა 1918 წლის 31 დეკემბერს. მომდევნო წლის თებერვალში შეიკრიბა საქართველო-სომხეთის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც ნეიტრალური ზონის შერეული მმართველობა დაადასტურა.¹²

სვიმონ შავგულიძე დაიბადა 1894 წელს ქუთაისში, მღვდელ იობი შავგულიძის ოჯახში; დაწყებითი განათლება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ კი სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. იგი თავიდანვე უდიდეს სიყვარულს ამჟღავნებდა მშობელი ერისა და ენისადმი. სვიმონის ერთ-ერთი თანაკლასელი შემდგომში იგონებდა: „სემინარიაში დევნას ვერ ურიგდებოდა მრავალი მოწაფე და ამ დევნილთა უკმაყოფილებამ შეარყია სემინარიის კედლები. ასეთ მოძრაობას ადგილი ჰქონდა სიმონიკას სემინარიაში ყოფნის დროს 1913 წლის 22 თებერვალს. თბილისის სემინარიის შენობას, როგორც მეამბოხეთა ბუდეც, გარს შემოერტყა ჟანდარმერია.“

სასონარკვეთილებას მიეცა ქართველი მოწაფეობა. რას აკეთებდა ამ დროს სიმონიკა? ის, როგორც სარდალი, ამხნევებდა ამხანაგებს. საუბედუროდ, მთავრობის უხეშმა ძალამ დაამარცხა მოწაფეობა და ამ მოძრაობის მესვეურები სასწავლებლიდან გარიცხეს. სიმონიკა, როგორც ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, გადასახლებულ იქნა სიმფეროპოლის სემინარიაში“.

1914 წლის აგვისტოში დაიწყო I მსოფლიო ომი, რომლის გამოცხადების შემდეგ სვიმონ შავგულიძე კიევის სამხედრო სასწავლებელში შევიდა. სასწავლებელი დაამთავრა თუ არა, ფრონტზე გაგზავნეს. ომში გამოჩენილი გმირობისთვის სვიმონ შავგულიძე დაჯილდოვდა ოქროს ხმლით, ოფიცრის გიორგის ჯვრის ორდენით, ვლადიმირის, ანას მესამე ხარისხისა და სტანისლავის მეორე და მესამე ხარისხის ჯვრებით.¹³

1917 წლის ბოლოს სვიმონ შავგულიძე სამშობლოში დაბრუნდა. იგი ჯერ თბილისის სადგურის კომენდანტად დაინიშნა, ხოლო როცა ეროვნული ჯარი შეიქმნა, პირველ ქართულ პოლკში შევიდა, აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-ფედერალისტური რაზმის შედგენასა და განვრთნაში, იყო ამ რაზმის შტაბის უფროსი, შემდეგ კი ქვეყანამ მისგან ახალი სამსახური მოითხოვა...

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის ზავი დაიდო, რომლის მეოთხე მუხლის მიხედვით, რუსეთმა ოსმალეთს არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები დაუთმო. ამიერკავკასიის მთავრობის სახელით ევგენი გეგეჭკორმა და კარლო ჩხეიძემ პროტესტი გამოთქვეს ოსმალეთისთვის

12 გოჩა საითიძე, ვინ იყო ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, თბ., 2002, № 2, გვ. 118

13 გოჩა საითიძე, გმირი ქართველთა – სვიმონ შავგულიძე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 19/VI, № 151, გვ. 6

აღნიშნული ოლქების გადაცემაზე და განაცხადეს, რომ არ ცნობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის უკანონო გადაწყვეტილებას.

სწორედ ამ დროს დაევალა სვიმონ შავგულიძეს ბათუმის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული პუნქტის – ანარიას ფორტის კომენდანტობა. სვიმონმა იცოდა, თუ რას ნიშნავდა ბათუმი საქართველოსთვის, ამიტომაც აღნიშნავდა, ვაი იმ ერს, რომელიც ბათუმს მტერს დაუთმობს და თუ შენარჩუნებას ვერ შეძლებს, ზედ არ დააკვდებაო.¹⁴

26 მარტს სვიმონმა თავის დას – ნინას წერილი გაუგზავნა, რომელიც ყველაზე უკეთ გადმოგვცემს მის სულიერ განცდებს: „ნინას! სალამი და გამარჯვება ანარიიდან! ძალიან ბევრიც რომ ეძებოთ, ვერსად იპოვით ასე კეკლუცად შემკობილ საცხოვრებელს. თვალმიუწვდენელ მთის მწვერვალზეა წამოჭიმული ჩემი სასახლე. მთელი ბათუმის მიდამოები გადაჭიმულა ჩემს წინ. თვალს ვერ მოაცილებ, ისე გიტაცებს სიმშვენიერე. ცოდვა არაა, რომ ასეთი მშვენიერი ცის ქვეშ სიკვდილი მეფობდეს? აქ მხოლოდ სიცოცხლეს უნდა ჰქონდეს ადგილი და არა სიკვდილს...

მე აქ ცალკე ვცხოვრობ, ჩამოშორებული ვარ პოლკს. „ანარიას“ ფორტის კომენდანტი ვარ. ცალკეა აქ ჩემი სამეფო. თათრები თანდათან ირგვლივ რკალივით გვეკვრიან – ვნახოთ, როგორ წავა საქმე. ჩემს „გმირებზე“ დიდ იმედებს ვერ ვამყარებ. ბავშვებით ტირიან, როცა გაუჭირდებათ... ოო, ვერ წარმოიდგენ, რას არ მივცემდი ერთ ჭიქა ღვინოში, ისე მენატრება. მოიკითხე ყველა ნაცნობი და მეგობარი. დედაჩემს უთხარი, ნურას იჯავრებს. ჩვენ არაფერი გვიჭირს. გკოცნით ყველას – თქვენი სიმონიკა“.

31 მარტს ბათუმი და ანარიას ფორტი ინახულა ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა. მას სვიმონისთვის პირადი შეხვედრისას უთქვამს, ხომ იცით, ყმაწვილო, ბათუმის გასაღები თქვენს ხელთ არისო, რაზეც ამ უკანასკნელს უპასუხია, სანამ ცოცხალი ვარ, მტერი ფეხს ვერ შემოდგამს აქ, რომ მოვკვდები, თუ შესძლებს, იზეიმოსო.

1918 წლის 31 მარტს, ღამით, ოსმალებმა ბათუმს დიდი ძალებით შეუტიეს. იმ ამბების თანამედროვეები აღნიშნულ ფაქტს ამგვარად აღწერენ: „31 მარტს, ღამით, ოსმალებმა საშინელი იერიში მიიტანეს ანარიაზე, სადაც თავგანწირულად ეკვეთა მტერს სახელოვანი მამულიშვილი კაპიტანი სვიმონ შავგულიძე თავის 3 ოფიცერსა და 84 ჯარისკაცთან ერთად, სხვა ფორტების დამცველების ლაჩრობისა და უყურადღებობის გამო, ანარია გარშემორტყმული აღმოჩნდა.“

სასტიკმა ბრძოლამ დილაშუალოდ გასტანა. რამდენიმე ათეულმა ქართველმა, სვიმონ შავგულიძის მეთაურობით, უამრავი მტერი გამოასალმა წუთისოფელს, მაგრამ ოსმალთა ჯარისკაცები ჭიანჭველასავით ესეოდნენ ანარიას ფორტს. სიმონიკა შავგულიძე გააფთრებით იბრძოდა თავის შეფიცულებთან ერთად, ვაჟკაცური კიჟინით, გამამხნევებელი სიტყვებით: „აბა, ბიჭებო, დავიხოცოთ პატიოსნად, მაგრამ მტერსაც ვანანოთ თავხედობაო“, – აათკეცებდა ქართველთა ბრძოლის ჟინს, მაგრამ...

შავგულიძე იბრძვის, გააფთრებული ომობს, მაგრამ ბოლოს ვერ აუდის მოზღვავებულ მტერს. პირველად – ამ ჯოჯოხეთურ განკითხვაში ის ფეხში იჭრება,

14 გონა საითიძე, გმირი ქართველთა – სვიმონ შავგულიძე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 19/VI, № 151, გვ. 6

მაგრამ მაინც განაგრძობს ბრძოლას. თითქმის გათენებამდე გაუმკლავდა მტერს. ბოლოს შეატყო მტერმა ტყვიების ხმაზე ანარიას სისუსტე და იერიშით შემოვიდა. დაგვრჩიო, შესძახეს კაპიტანს. გიაურებო, მხოლოდ მკვდარი დაგრჩებით, მხოლოდ მკვდარი და არა ცოცხალიო, შესძახებს ოსმალებს, ერთს კიდევ გადააბრუნებს ტყვიამფრქვევს, ერთხელ კიდევ დაჰკაფავს ციხის კარებიდან შემოვარდნილ მტერს და... ანარიას ფორტიც დაეცა... ეს მოხდა, მართლაც, სვიმონის გაციებულ გვამზე მტრის გადაბიჯების შემდეგ... დაეცა ანარია და ბათუმის ბედიც გადაწყდა...¹⁵

სვიმონ შავგულიძის თავგანწირვას უკვალოდ არ ჩაუვლია. რამდენიმე წლის შემდეგ, გამოჩენილმა ქართველმა სამხედრო მოღვაწემ, გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა თავის თანამებრძოლებთან ერთად, საბოლოოდ გამოსტაცა ხელიდან მტერს ბათუმი და დედასამშობლოს შეუნარჩუნა. 1921 წლის მარტში ბათუმისთვის წარმოებულ ბრძოლებში თავი განსაკუთრებით პოლკოვნიკმა ფრიდონ ნულუკიძემ გამოიჩინა.

„თავზედ ხელაღებული მამაცი პოლკოვნიკი ფრიდონ ნულუკიძე“ – ეს სიტყვები დიდ ქართველ მამულიშვილს, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს ეკუთვნის, ადამიანს, რომელიც თვითონ ითვლებოდა ვაჟკაცობისა და სიმამაცის სიმბოლოდ. გენერალ გიორგი კვინიტაძის თქმით, „გენერალი მაზნიაშვილი მამაცი კაცია. რამდენჯერმე მინახავს ტყვიის ზუზუნში და გადაჭრით შემიძლია ამის თქმა. ერთობ არასასურველ ვითარებაშიც მამაცია“.¹⁶

ფრიდონ ნულუკიძე დაიბადა 1894 წელს.¹⁷ მან თავისი მოღვაწეობის ასპარეზად სამხედრო სამსახური აირჩია. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მას ერთხანს ართვინის მაზრის კომისრად ვხედავთ.¹⁸ როგორც პროფესიონალი სამხედრო პირი, კავალერისტი, ფრიდონ ნულუკიძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა და მონაწილეობდა იმ დროს გადახდილ ბრძოლებში, თუმცა ის საარაკო გმირობა, რომელმაც მისი სახელი ლეგენდებით შემოსა და თვით გიორგი მაზნიაშვილიც კი ალაფრთოვანა, მან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ დღეებში, კერძოდ, 1921 წლის 18 მარტს, ოსმალთა წინააღმდეგ წარმოებულ ომში, ჩაიდინა, როდესაც ნოე ჟორდანიას და საქართველოს მთავრობის სხვა წევრები უკვე გაშლილ ზღვაში იმყოფებოდნენ და ემიგრაციაში მიემგზავრებოდნენ. ვისაუბროთ უფრო ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთთან ომის დაწყებისთანავე საქართველოს მთავრობამ თურქეთთან მოლაპარაკება დაიწყო. თურქებმა დაუმაღეს ქართველებს, რომ ისინი ბოლშევიკების მოკავშირეები იყვნენ, პირიქით, ნოე ჟორდანიას დახმარების აღმოჩენა აღუთქვეს. ამ დაპირების მერე მცირე ხანიც არ გასულა, რომ თურქეთმა ჯარი შეიყვანა ბათუმში საქართველოს დახმარების საბაბით, თუმცა წითლები ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყვნენ. როცა 13 მარტს ქართული არმიის მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე ბათუმში ჩავიდა ქალაქის

15 გოჩა საითიძე, გიორგი ქართველთა – სვიმონ შავგულიძე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 19/VI, № 151, გვ. 6

16 გიორგი კვინიტაძე, მოგონებები, ტ. I, თბ., 1998, გვ. 77

17 თამარ პაპავა, გაბნეული საფლავეები, თბ., 1990, გვ. 118

18 შალვა მალაქელიძე, მოგონებები, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 1991, № 7, გვ. 129

გამაგრების მიზნით, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: ბათუმში თურქთა ჯარი იყო მოკალათებული.

1921 წლის 16 მარტს თურქეთის მთავრობის წარმომადგენელმა ქიაზიმ-ბეიმ საქართველოს მთავრობას ნოტა გადასცა: იგი გუბერნატორად აცხადებდა თავს. ეს კი ახალი ომის დაწყებას ნიშნავდა თურქეთთან. რაკი საქართველოს მთავრობამ ჩათვალა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დაკარგულია, ნითლებთან ბრძოლის გაგრძელება უაზროდ მიიჩნია. ნოე ჟორდანიას ბრძანებით, ქუთაისში ბოლშევიკებთან მოლაპარაკება დაიწყო მისმა მოადგილემ – გრიგოლ ლორთქიფანიძემ. ამ უკანასკნელმა კაპიტულაცია არ გამოაცხადა. ბოლშევიკები დათანხმდნენ ბრძოლის შეწყვეტას იმ პირობით, თუ მათ ჯარს გზა გაეხსნებოდა ბათუმისაკენ. ქართველები იძულებულნი იყვნენ, თანხმობა მიეცათ. 16 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ჩაატარა უკანასკნელი სხდომა ბათუმში და მთავრობას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დაავალა დაეტოვებინა ქვეყნის ტერიტორია და უცხოეთიდან განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. 17 მარტს მთავრობა გემით ემიგრაციაში გაემგზავრა. ბათუმში ხელისუფლება ბოლშევიკების „რევკომის“ ხელში გადავიდა, რომელსაც სერგო ქავთარაძე ხელმძღვანელობდა.

ნოე ჟორდანიასა და გრიგოლ ლორთქიფანიძის თხოვნით, ქართული ჯარის ნაწილებს, რომლებიც ემიგრაციაში არ წავიდნენ, სათავეში გიორგი მაზნიაშვილი ჩაუდგა. ეს უკანასკნელი შემდგომში იგონებდა: „ცხადი იყო, ოსმალები თუ გამაგრდებოდნენ ბათუმში, შემდეგში ბათუმის უკან დასაბრუნებლად ჩვენ დაგვჭირდებოდა დიდი ომი, რასაც პატარა საქართველო ველარ შესძლებდა... ბათუმის დაკარგვით საქართველოს ხელიდან ეცლებოდა ერთადერთი კარგი ნავთსადგური, რომელიც გასავალი კარია ევროპისაკენ... მე ვიცოდი, რომ ოსმალეთს კავშირი ჰქონდა რუსეთთან და რუსეთი ვერ ჩაებმებოდა საქართველოსა და ოსმალეთს შორის ატეხილ ომში. ყველა ამ ფიქრებმა ელვასავით გამირბინეს თავში. მე გადავსწყვიტე, რადაც უნდა დაგვეჯდომოდა, საბჭოთა ჯარების მოსვლამდე ოსმალები ბათუმის ოლქიდან უნდა გაგვედევნა“.¹⁹ 17 მარტს ქიაზიმ-ბეის სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, რადიოს სადგური, ბარცხანას ფორტი და ქალაქის მილიციის შენობა. 18 მარტს, დილით, გ. მაზნიაშვილმა ულტიმატუმი წაუყენა ქიაზიმ-ბეის, დაუყოვნებლივ დაეცალა აღნიშნული სტრატეგიული პუნქტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხედრო მოქმედებების დაწყებით დაემუქრა. ქიაზიმ-ბეიმ ულტიმატუმი უპასუხოდ დატოვა. მაშინ გ. მაზნიაშვილმა ბრძოლის დაწყების ბრძანება გასცა.

„18 მარტს, შუადღის 4 საათამდე არ შეწყვეტილა თოფისა და ტყვიისმფრქვეველების სროლა ბარცხანასა და კახაბერის რაიონებში. ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს პოზიციები ნავთსადგურიდან საბარგო სადგურამდე და მათი ცდა იყო, აეძულებინათ ოსმალები დაეყარათ იარაღი. ასე მიდიოდა საქმე. მაგრამ ამ დროს ჩაქვის მხრიდან გამოჩნდა ჯარისკაცთა მატარებელი. ოსმალებმა იფიქრეს, ესენი ჩვენთან საბრძოლველად გამოწვეული ქართული ჯარები იქნებაო, გამოვიდნენ ფორტიდან, გააჩერეს მატარებელი და შეუდგნენ მათ განიარაღებას. სინამდვილეში კი, ის იყო საბჭოთა ჯარების პირველი ემელონი, რომელიც მოდიოდა საჯავახოს სადგური-

19 გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი (1917-1925 წწ.), თბ., 1927, გვ. 198

დან. ამ მომენტით ისარგებლეს ჯარებმა (იგულისხმება ქართული ჯარი. გ. ს.) და ფორტს მიუახლოვდნენ.

სადგურის პაკგაუზის უკან იდგა ცხენოსანი რაზმი, თავზედ ხელაღებულ მამაცი პოლკოვნიკის, ფრიდონ წულუკიძის უფროსობით. წულუკიძე თავისი რაზმით გამოვიდა პაკგაუზებიდან, გარშემოერთყა ფორტს და გაღებულ ალაყაფის კარებით შეიჭრა თვით ფორტში. ოსმალებმა გააღეს ალაყაფის კარები თავისი ჯარების გამოსაშვებად, რომლებიც გამოვიდნენ ჯარისკაცებით დატვირთულ მატარებლის ხელში ჩასაგდებად, მხოლოდ დაკეტვა მისი დაავიწყდათ. ნახევარი საათის შემდეგ ბარცხანას მთელი გარნიზონი განადგურებულ იქნა: ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი კი, რიცხვით 218 ასკერი, დაატყვევეს და ჩემ შტაბში გამოგზავნეს²⁰. ბათუმში ცხენოსანი რაზმის უფროსად ფრიდონ წულუკიძის დანიშვნის შესახებ თავის მოგონებებში მოგვითხრობს ცნობილი ქართველი მოღვაწე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა“ რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ალექსანდრე სულხანიშვილი. მისი თქმით, ეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის იდეა ყოფილა.²¹

პოლკოვნიკ ფრიდონ წულუკიძის მიერ ჩადენილი გმირობის აღწერას ჩვენ სხვა წყაროებშიც ვხვდებით: ცნობილი ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი შალვა მაღლაკელიძე თავის მოგონებებში მიუთითებდა: „ფრიდონ წულუკიძემ გენერალ მაზნიაშვილთან ერთად თავი... ისახელა ბათუმიდან თურქების გარეკვამი“.²²

ვინმე „მეგობარი“ გაზეთ „თეთრი გიორგი“-ში (№ 36) დაბეჭდილ წერილში „შავი დღე“ აღნიშნავდა: „ბათომი თურქებს პოლკოვნიკმა ფრიდონ წულუკიძემ ვაჟკაცური ბრძოლით გამოგლიჯა ხელითგან“.²³ თვალსაჩინო ქართველი ემიგრანტი მოღვაწე ნიკო ნაკაშიძე პარიზში გამომავალ ჟურნალ „ახალი ივერია“-ში (1931, № 4) წერდა: „პოლკოვნიკ ფრიდონ წულუკიძეს ჰქონდა მეტად გმირული ბრძოლა. მან ცხენოსან ნყობილებში მიიტანა იერიში ერთ-ერთ ფორტზე ბევრად უფრო ძლიერ მტერზე და ის აიღო; ასეთივე იერიშით აიღო მეორე ფორტი მეორე ესკადრონმა პოლკ. მაჭავარიანის უმფროსობით. ასე რომ, ფრ. წულუკიძის მოქმედება ერთი მომენტთაგანია იმ ბრძოლის ბათომისათვის, რომელიც ჩვენი ჯარის გამარჯვებით დამთავრდა“.²⁴

1934 წელს გაზეთ „კლდე“-ში (№ 5/6, გვ. 5-6), რომელიც გამოიცემოდა ბერლინში, დაიბეჭდა რომან მკურნალის წერილი „მიზეზნი ჩვენი დამარცხებისა“. ავტორი 1921 წლის მარტში ბათუმში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მიუთითებდა: „მთავრობა უკვე გემზეა... ბათუმში მოენყო რევკომი... გემიდან „მარია“ ჩვენ ვუცქერით უკანასკნელ ეპოპეას ქართველთა ბრძოლისას მშობელი მინისათვის... ქართული ნაწილები გაშმაგებით უტყვენ თურქის ასკერებს. უკანასკნელნი ნაწილობრივ მოისრნენ, ნაწილობრივ ტყვედ იქმნენ ნაყვანილი. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი მამაცმა ქართველმა ოფიცერმა ფრიდონ წულუკიძემ, რომელმაც ცხენოსანთა

20 გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი (1917-1925 წწ.), თბ., 1927, გვ. 198

21 ალექსანდრე სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, თბ., 2007, გვ. 76

22 შალვა მაღლაკელიძე, მოგონებები, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 1991, № 7, გვ. 129

23 გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. 538

24 იქვე, გვ.539

იერიშით ფორტები აიღო და რამოდენიმე ასეული ასკერი ტყვედ ჩაიგდო“.²⁵ ბათუმის ამბებთან დაკავშირებით, შალვა მაღლაკელიძის მოგონებების გამომცემელს, მკვლევარ ვიქტორ რცხილაძეს მოაქვს მის მიერ დამატებით მოპოვებული ცნობა ფრიდონ ნულუკიძის მიერ გამოჩენილი გმირობის შესახებ. ვინმე მიტო გოგუა, რომელიც 1921 წელს ბათუმის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე ყოფილა, მასთან საუბარში იგონებდა: „ბათუმში, 1921 წლის მარტის ბოლოს, მე, მაშინ მოწაფე, შევესწარი ერთ მომენტს. მე ვიმყოფებოდი თურქულ ყაზარმასთან ახლოს, როდესაც ატყდა სროლა. თურქმა ჯარისკაცებმა ყაზარმის შესასვლელში დაიწყეს შლაგბაუმის დაშვება. ამ დროს უეცრად გაჩნდა ცხენოსანი, რომელმაც საოცარი სისწრაფით ცხენი მიაგდო ამ შლაგბაუმთან, თვითონ ცხენს გვერდით მოექცა და ასე გავიდა შლაგბაუმის მეორე მხარეს. ამოღებული ხმლით დაერია იგი თურქებს, რამდენიმე მათგანი ძირს დასცა და დანარჩენები გაიქცნენ. მან კი შლაგბაუმი აწია და შიგნით ქართველები შეცვივდნენ. როგორც მერე გავიგე, ეს ცხენოსანი ყოფილა ფრიდონ ნულუკიძე“.²⁶

პოლკოვნიკ ფრიდონ ნულუკიძის გმირულმა ქმედებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ომის მსვლელობაზე. 18 და 19 მარტს გამართული სასტიკი ბრძოლების შემდეგ, 20 მარტს, დილით, ქიაზიმ-ბეიმ კაპიტულაცია გამოაცხადა და თავის ჯარებთან ერთად აჭარა დატოვა. ბათუმისა და აჭარის გათავისუფლებისათვის წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებთან დაკავშირებით ფრანგი ავტორი, საქართველოსა და ქართველებზე უზომოდ შეყვარებული კაცი, პოლკოვნიკი რემონ დიუგე 1927 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში „მოსკოვი და წამებული საქართველო“ წინასწარმეტყველურად აღნიშნავდა: „საქართველოს მთავარსარდლობამ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების იმედი დაკარგა. შეიძლება დაიბადოს კითხვა: რატომ არ შეეცადა იგი, რატომ შეება ახალ მტერს – თურქეთის არმიას, სწორედ მაშინ, როცა ბოლშევიკები უნდა შესულიყვნენ იქ? ზოგიერთმა შეიძლება თქვას – ეს უაზრო სისხლისღვრა იყო.“

დიდი იმედი მაქვს: ახლო მომავალში საქართველო დამოუკიდებლობას აღიდგენს. აი, მაშინ გამოჩნდება საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლობის მთელი სიბრძნე. რა თქმა უნდა, უმჯობესი იყო საქართველოს მთელ ტერიტორიას მთლიანად ბოლშევიკები დაუფლებოდნენ. თურქებს არც ერთი ნაწილი არ უნდა დარჩენოდათ. ერთ მშვენიერ დღეს ბოლშევიკების რუსეთი დაეცემა. წითლები საქართველოდან განიდევენებიან. ქართველები გათავისუფლდებიან. მთელი საქართველო აღიდგენს დამოუკიდებლობას. თურქებს ბათუმი და ბათუმის რაიონი რომ დარჩენოდათ, ალბათ, ძალიან ძნელი იქნებოდა, ანდა სრულიად შეუძლებელი თურქების ხელიდან მისი გამოგლეჯა. ისტორიული წარსულის სიმართლე საქმეს ვერ უშველიდა.

ქართველები ბათუმისთვის რომ იბრძოდნენ თურქების წინააღმდეგ და მიერეკე-ბოდნენ მათ გამაგრებული ადგილებიდან, ამით ისინი საქართველოს მთლიანობისა და თავისუფლებისათვის ომობდნენ. ვფიქრობ, როცა ღმერთი იწებებს და საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგება, ქართული ჯარის დამსახურება იქნება, რომ ამ პატარა, მამაც ქვეყანას იგივე საზღვრები ექნება, რაც 1921 წელს ჰქონდა. ცხადია, გარდა ართვინისა, არტაანისა და არტანუჯის რაიონებისა, რომლებიც თურქებს

25 გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბ., 2005, გვ. 353

26 შალვა მაღლაკელიძე, მოგონებები, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 1991, № 7, გვ. 129

დარჩათ. იმ გმირებს, რომელთაც 1921 წლის 18-19 მარტს ბათუმის გადასარჩენად მშობლიური მიწა საკუთარი სისხლით მორწყეს, ამაოდ არ შეუწირავთ თავი“.²⁷

1921 წელს ფრიდონ წულუკიძე იძულებული იყო, ემიგრაციაში წასულიყო. თავდაპირველად, იგი პარიზში ცხოვრობდა, სადაც თავს ტაქსის მძღოლობით ირჩენდა. ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავად, პოლკოვნიკი აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის მუშაობაში, გახდა 1925 წელს დაარსებული ქართული პატრიოტული ორგანიზაციის – „თეთრი გიორგის“ წევრი; თანამშრომლობდა ორგანიზაციის პარიზში გამომავალ ბეჭდვით პერიოდულ ორგანოსთან, გაზეთთან „მომავალი“.²⁸

1930 წლის 5 ივლისს პარიზში, სენტ-უანის სასაფლაოზე, დაკრძალეს საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი. სამგლოვიარო ეტლი, რომელშიც მისი ცხედარი ესვენა, დაფარული იყო ათეულობით გვირგვინით. მათ შორის იყო ფრიდონ წულუკიძის გვირგვინიც შემდეგი წარწერით: „ფრიდონ წულუკიძისაგან – მუდმივი იქნება შენი ხსოვნა და სიყვარული ჩემს გულში“.²⁹

1933 წლის 25 ივნისს პარიზის წმ. ნინოს ეკლესიის მოძღვარმა, მამა გრიგოლ ფერაძემ სენტ-უანის სასაფლაოზე პანაშვიდი გადაუხადა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, რის შემდეგაც სიტყვა ფრიდონ წულუკიძემ წარმოთქვა.³⁰

1933 წელს ემიგრანტმა ქართველმა სამხედროებმა დააარსეს „ქართველ მხედართა საზოგადოება“, რომლის სარევიზიო კომისიაში, ლეიტენანტ სიმონ გოგიბერიძესა და ექიმ იაკობ ხოჭოლავასთან ერთად, ფრიდონ წულუკიძეც აირჩიეს.³¹ „საზოგადოების მიზანი იყო ყოფილ ქართველ მეომართა – ოფიცერთა, ჯარისკაცთა და სამხედრო მოსამსახურეთა შეკავშირება, ნივთიერი და მორალური დახმარება“.³²

1934 წელს პარიზში ფრიდონ წულუკიძის ხელმძღვანელობით დაარსდა „თავადაზნაურთა საკრებულო“, რომელიც ქართული მონარქიის აღდგენას ისახავდა მიზნად. ორგანიზაცია საქართველოს მომავალ მეფედ ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელს მოიაზრებდა.³³

1937 წელს საფრანგეთში ტრაგიკულად დაიღუპა ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა“ რაზმის ერთ-ერთი წევრი სერგო მასისურაძე, რომლის დაკრძალვაზე ქ. ნანტიში სხვებთან ერთად გამოსამშვიდობებელი სიტყვა ფრიდონ წულუკიძემაც წარმოთქვა.³⁴ როდესაც XX საუკუნის 30-იან წლებში ესპანეთში სამოქალაქო ომი დაიწყო, ფრიდონ წულუკიძე „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის რამდენიმე წევრთან ერთად, მოხალისედ ჩაენერა გენერალ ფრანსისკო ფრანკოს ჯარში და იბრძოდა ინტერბრიგადების წინააღმ-

27 რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, პარიზი, 1927, გვ. 90

28 შალვა მაღლაკელიძე, მოგონებები, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 1991, № 7, გვ. 129; გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 198-199

29 ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1930, № 8, გვ. 18; გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბ., 2004, გვ. 325

30 რუსუდან დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 209

31 ჟურნ. „მხედარი“, პარიზი, 1933, № 13; გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003, გვ. 10

32 რუსუდან დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 140

33 რუსუდან დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 142

34 გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 538

დეგ. „იქიდან დაბრუნდნენ ესპანური ბერეგებით – ფრანკოს მხედრობის ქუდებით“. ³⁵

1937 წელს დაარსდა ორგანიზაცია „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“ გენერალ შალვა მალლაკელიძის ხელმძღვანელობით. მკვლევარ რუსუდან დაუშვილის თქმით, „ორგანიზაციის წევრებმა დააყენეს რუსეთის მიერ ძალადობის გზით XIX საუკუნეში შეწყვეტილი ქართული მონარქიის აღდგენის საკითხი, სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის რესტავრაციის გარეშე – კონსტიტუციური მონარქია, როგორც სიმბოლო ერის ერთიანობისა, დამყარებული ეროვნულ კონსოლიდაციასა და ფაშისტურ კორპორაციულ სახელმწიფოზე“. „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის“ ბეჭდვით პერიოდულ ორგანოს წარმოადგენდა ჟურნალი „ქართლოსი“, რომელიც 1937-1939 წლებში გამოდიოდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის – ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით. მის ავტორ-თანამშრომელთა შორის იყო ფრიდონ ნულუკიძე.³⁶ ჟურნალ „ქართლოსში“ დასტამბულ ერთ-ერთ სტატიამი ფრიდონ ნულუკიძე ახასიათებდა ესპანეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის გამომწვევ ძირითად მიზეზებს, იგონებდა თავის მონაწილეობას მასში: „რა მოხდა აქ! ერთი ნაწილი ერისა უარს ამბობს თავის ეროვნულ ცხოვრებაზე, თავის სახელოვან ისტორიაზე; ითვისებს ინტერნაციონალურ ანტიეროვნულ პროგრამას, ეძებს დახმარებას სხვა ქვეყნებში და უცხადებს ბრძოლას თავის ერს, თავის სამშობლოს, რომელიც ერთგული დარჩა ეროვნული იდეებისა და სახელმწიფო მთლიანობისა! ამ პროგრამით დაარსდა ე. წ. სახალხო ფრონტი, და მას დაუპირისპირდა შემდეგ, ეროვნული, სამშობლოს დამცველი და მსხნელი – ეროვნული ფრონტი. აღიმართა ერთი მხრივ წითელი დროშები – ნიშანი სისხლისღვრისა და სახელმწიფოს განადგურებისა მარქს-ლენინ-სტალინის სურათებით; მეორე მხრივ – ეროვნული დროშები, რომლის ქვეშ საუკუნეთა მანძილზე იყრიდა თავს ისპანეთის ერი! აი, აქ, ამ ბრძოლაში იფეთქა იმ დიდმა ეროვნულმა თვისებებმა და ტემპერამენტმა, რომელიც ისპანელს ახასიათებს. ბრძოლამ მიიღო განსაკუთრებული ხასიათი... სწორედ ამ დროს, ენკენისთვის დამლევს, გავემგზავრე ეროვნული ფრონტის ესპანეთში, რათა ჩემი თვალთა ადგილზე მენახა დიდი ერის ალორძინების პროცესი! მე იქ ხუთი თვე დავრჩი და ეს დრო სრულებით საკმარისი იყო, არ გამომპაროდა უბრალო წვრილმანიც კი“.³⁷

მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც გერმანულ ჯარში ქართული ლეგიონი ჩამოყალიბდა, ფრიდონ ნულუკიძე, რომელიც ლეგიონის დამაარსებლის – შალვა მალლაკელიძის მითითებით, „სავსებით აპოლიტიკური კაცი იყო“, მას შეუერთდა და ცხენოსანი ესკადრონი ჩამოაყალიბა.³⁸

ომის დამთავრების შემდეგ, ფრიდონ ნულუკიძემ თავშესაფარი ესპანეთში, მადრიდში ჰპოვა, სადაც იგი ოჯახთან ერთად 1947 წელს დასახლდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ესპანეთის ქართული სათვისტომოს საქმიანობაში, რაც კარგად ჩანს

35 (შალვა მალლაკელიძე, მოგონებები, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 1991, № 7, გვ. 129).

36 რუსუდან დაუშვილი, ქართველები ფაშისტურ ესპანეთში (ფ. ნულუკიძე, აღ. ამილახვარი), ჟურნ. „ომეგა“, 2002, № 10, გვ. 123-125

37 რუსუდან დაუშვილი, ქართველები ფაშისტურ ესპანეთში (ფ. ნულუკიძე, აღ. ამილახვარი), ჟურნ. „ომეგა“, 2002, № 10, გვ. 123-125; რუსუდან დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 122-123

38 შალვა მალლაკელიძე, მოგონებები, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 1991, № 7, გვ. 129-130

გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის (1874-1970 წწ.) პირად არქივში დაცული საარქივო მასალებიდან. კერძოდ, ფრიდონ ნულუკიძის წერილიდან, რომელიც მან გიორგი კვინიტაძეს 1952 წლის 25 მაისს გაუგზავნა მადრიდიდან პარიზის გარეუბან შატუში, სადაც გენერალი ემიგრაციაში ყოფნის დროს ცხოვრობდა. წერილში ერთგან ფ. ნულუკიძე აღნიშნავს: „ლეგენდები, რუსების მიერ გავრცელებული, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დამოუკიდებლად ცხოვრება, ან „ნებით მათ შეუერთდით“, უკვე არავის არ სჯერა. საქართველოს ბედს ვერ შესცვლის ვერავითარი მდგომარეობა, მისი საძირკველი მეტად ღრმათ არის ჩაყრილი ჩვენი სახელოვან წინაპართა მიერ. ამ საძირკველს ვერც „ნამგალი“, „ჩაქუჩი“ და ვერც ბიზანტიაში დაბერებული და მერმედ რუსეთში მოყვანილი ორთავიანი „არწივი“ ვერ შეარყევს!.. ის ადრე თუ გვიან გამოვა თავის ისტორიულ აღმშენებლის შარაზე!“

ფრიდონ ნულუკიძე გარდაიცვალა ესპანეთში 1960 წელს, 66 წლის ასაკში. დაკრძალულია იქვე.³⁹ ისტორიაში მუდამ ასეა, ბევრი რამ დავინწყების ფერფლით იფარება, გმირებს, გამორჩეულ პიროვნებებს კი დრო ვერაფერს აკლებს, პირიქით, რაც ხანი გადის, მათი ნამოქმედარი, მათი ღვაწლი მშობელი ერის წინაშე უფრო და უფრო მეტად ფასდება. ალექსანდრე მაისურაძეც, სვიმონ შავგულიძეცა და ფრიდონ ნულუკიძეც სწორედ ამგვარ პიროვნებათა კატეგორიას განეკუთვნებიან. მათ თავიანთი მისია ამქვეყნად პირნათლად აღასრულეს – თავდაუზოგავად ემსახურნენ სამშობლოს, ისინი ნამდვილად გამორჩეული მამულიშვილები იყვნენ, რომელთა ღვაწლიც ყველა ქართველმა უნდა იცოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- იოსებ არიმათიელი, ...და სხვანი (32 სახალხო გვარდიელის ხსოვნას), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, თბილისი, 1919, 2/II, № 1
- რუსუდან დაუშვილი, ქართველები ფაშისტურ ესპანეთში (ფ. ნულუკიძე, ალ. ამილახვარი), ჟურნ. „ომეგა“, თბილისი, 2002, № 10
- რუსუდან დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბილისი, 2007
- რემონ დიუგე, მოსკოვი და ნამებული საქართველო, პარიზი, 1927
- გაზ. „ერთობა“, თბილისი, 1918, 20/XII, № 275
- გაზ. „ერთობა“, თბილისი, 1918, 21/XII, № 276
- დავით ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი), ჟურნ. „ივერია“, თბილისი-ბრიუსელი, 1993, № 2
- ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, თბილისი, 1919, 10/VIII, № 9
- გიორგი კვინიტაძე, მოგონებები, ტ. 1, თბილისი, 1998
- გიორგი კვინიტაძე, ჩემი პასუხი (ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსულის“ გამო), ჟურნ. „მაცნე“ (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), თბილისი, 1990, № 3

39 გოჩა საითიძე, „თავზედ ხელადებული მამაცი პოლკოვნიკი ფრიდონ ნულუკიძე“, კრებ. „პოეტური სულის მეცნიერი (გიორგი ნადირაძე – 80)“, თბ., 2012, გვ. 109-126

გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი (1917-1925 წწ.), თბილისი, 1927
 შალვა მალაკელიძე, მოგონებები, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 1991, № 7
 ჟურნ. „მხედარი“, პარიზი, 1933, № 13
 თამარ პაპავა, გაბნეული საფლავები, თბილისი, 1990
 გონა საითიძე, გმირი ქართველთა – სვიმონ შავგულიძე, გაზ. „საქართველოს რეს-
 პუბლიკა“, თბილისი, 1998, 19/VI, № 151
 გონა საითიძე, ვინ იყო ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე, ჟურნ. „საისტორიო ვერ-
 ტიკალები“, თბილისი, 2002, № 2
 გონა საითიძე, „თავზედ ხელაღებული მამაცი პოლკოვნიკი ფრიდონ ნულუკიძე“,
 კრებ. „პოეტური სულის მეცნიერი (გიორგი ნადირაძე – 80“), თბილისი, 2012
 ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1930, № 8
 სანდრო მაისურაძე, გაზ. „ერთობა“, თბილისი, 1918, 21/XII, № 276
 სანდრო მაისურაძე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, თბილისი, 1919, 2/II, № 1
 ალექსანდრე სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, თბილისი, 2007
 აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991
 გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბილი-
 სი, 2001
 გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბილი-
 სი, 2003
 გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბილი-
 სი, 2004
 გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბილი-
 სი, 2005
 გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VII, თბი-
 ლისი, 2005

Gocha Saitidze
PhD in History, Professor
Caucasus University

FROM THE HISTORY OF THE MILITARY AFFAIRS OF GEORGIA (1918-1921)

Summary

The article touches upon main aspects of the life and activity of three prominent figures of the Georgian military forces in 1918-1921, Alexander (Sandro) Maisuradze, Svimon Shavgulidze and Fridon Tsulukidze, who are less known to the modern Georgian society at large. Sandro Maisuradze excelled himself in the war with Armenia in 1918, while Svimon Shavgulidze and Fridon Tsulukidze – in the battles for the defense of Batumi from the Ottomans. The contribution of these military figures to their homeland has not been properly appreciated yet, though they really deserve having a rightful place among the prominent compatriots.

როინ ყავრელიშვილი

რამდენიმე თურქული დოკუმენტი კავკასიისა და ქართული ლეგიონის შესახებ¹

პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ქართული ლეგიონის ისტორიის შესახებ, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე საკმარისად ბევრი მასალა არის გამოქვეყნებული. თუმცა, ეს საკითხი დღესაც აქტუალურია. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი მრავალი ახალი საყურადღებო დეტალი კიდევ უფრო ცხადს ხდის იმ პერიოდში მიმდინარე ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს.

ცნობილია, რომ 1914 წელს ჟენევაში პეტრე სურგულაძემ ჩამოაყალიბა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“, რომელშიაც შევიდნენ ნესტორ მაღალაშვილი, ლეო და გიორგი კერესელიძეები, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, მელიტონ ქარცივაძე და შალვა ვარდიძე და სხვები (სვანიძე, 1992:6).

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „კომიტეტი“ ჟენევიდან ბერლინში გადავიდა. გერმანიის მთავრობასთან შეთანხმების დადების შემდეგ „კომიტეტის“ წევრები სტამბოლში გაემგზავრნენ ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ამ დროს ოსმალეთი უკვე გერმანიის მხარეზე პირველ მსოფლიო ომში იყო ჩაბმული და გასაგებია, რომ მის პოზიციას საქართველოს მომავლის მიმართ „კომიტეტი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა (გრძელიძე, 1995:6).

„კომიტეტი“ შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას დასახული გეგმის განსახორციელებლად. ამ მიზნით შეიქმნა ქართული ლეგიონი ოსმალეთში, რომლის მეშვეობითაც „კომიტეტს“ სურდა რუსეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება კავკასიის ფრონტზე (გრძელიძე, 1995:7).

ლეგიონის შედგენა დაევაღათ ლეო კერესელიძეს და გერმანელ ოფიცერს – კიშკეს, რომელიც „კომიტეტის“ სამხედრო მრჩეველი იყო. ქართული ლეგიონი ჩამოყალიბდა „კომიტეტსა“ და ოსმალეთის მთავრობას შორის 1914 წლის სექტემბერში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (სვანიძე, 1995:65–67).

ლეგიონის სამოქმედო ადგილად არჩეულ იქნა ოსმალეთის აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი. ქართული ლეგიონი ემორჩილებოდა სტამბოლში გერმანიის მთავარსარდლობის სამმართველოსთან შექმნილ „კავკასიის ოფიცერთა კავშირს“, რომელსაც ხელმძღვანელობდა გრაფი შულენბურგი. სამხედრო თვალსაზრისით ლეგიონი ემორჩილებოდა, ერთი მხრივ, ტრაპიზონის ვალის² და სამხედრო კომენ-

1 ნაშრომში განხილული დოკუმენტების მოწოდებისთვის ავტორები მადლობას უხდით ქ. რიზეს რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის თანამშრომლებს დოქტორ აბდულაჰ ზაის და მაძიებელს რესულ თურანს.

2 გუბერნატორი.

დანტს ავნი ფაშას. ხოლო, მეორე მხრივ, თურქეთის მესამე არმიის სარდლობას (სვანიძე, 1992:6).

ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ასახულია ოსმალეთის ხელისუფლების სადაზვერვო საქმიანობა ოსმალეთ-რუსეთის საზღვარზე, მისი გეგმები კავკასია-სა და საქართველოში პირველი მსოფლიო ომის დროს. ასევე ოსმალეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ოსმალეთის ტერიტორიაზე შექმნილი ქართული ლეგიონის მიმართ. დოკუმენტები დაცულია პრემიერ-მინისტრის ოსმალეთის არქივში.

ოსმალეთის სახელმწიფომ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვებისთვის მიმართა სადაზვერვო საქმიანობას. ამ მიზნით ოსმალეთის სადაზვერვო სამსახურმა გაახშირა კონტაქტი ადგილობრივ თურქ და სხვა მუსლიმ მოსახლეობასთან (Yılmaz, 2008:148).

სწორედ ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული ქვემოთ მოყვანილი ხუთი დოკუმენტი.

1913 წლის 01 მაისს გაგზავნილ დეპეშაში ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობებდა, რომ რუსეთის დუმამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე მცხოვრებ მომთაბარე მეჯოგეებთან დაკავშირებით, რომ მათგან უნდა გაენვიათ ხალხი ყაზახური სამხედრო პოლკების შესაქმნელად. იმავე გადაწყვეტილებით, საზღვართან ახლოს მცხოვრებ მეჯოგეებს აეკრძალათ ორი თვით სასაზღვრო ზოლში საძოვრებზე გასვლა. აღნიშნულია, რომ ეს ინფორმაცია არზრუმის გუბერნიას მიაწოდა ბაიაზეთის მხარის მუთასარიფმა³. არზრუმის გუბერნია ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოითხოვდა, რომ მას ამ ინფორმაციის სიზუსტე საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით პეტერბურგში ოსმალეთის საელჩოს მეშვეობით გაარკვია. დეპეშას ბოლოში ახლავს ფაქსიმილე, რომელიც არ იკითხება (BOA, Fon Kodu DH. SYS, Dosya №3/Gömlük №17).

1913 წლის 09 მაისით დათარიღებული დოკუმენტი წარმოადგენს ყარაქილის-ეს №2 „აშირეთის“ განყოფილების დეპეშას არზრუმის „აშირეთის“⁴ ცხენოსანთა პოლკების ინსპექციისადმი. მასში ნათქვამია: „რუსეთის სახელმწიფომ თბილისის შემოგარენში მცხოვრები მუსლიმები ბოლო წლებში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა და გადახდისუუნარობის გამო გაათავისუფლა იმ ფულადი გადასახადისგან, რომელსაც ისინი იხდიდნენ სამხედრო სამსახურისგან გაათავისუფლების სანაცვლოდ. სამაგიეროდ, იმავე ხალხმა განაცხადა თანხმობა ფიზიკურ სამუშაოზე. მათ ეს რამდენიმეჯერ ოფიციალურად აცნობეს მთავრობას. რუსეთის დუმამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კავკასიის მუსლიმებსაც გაიყვანდა ჯარში სამსახურისთვის. ამასთანავე, იგივე რუსეთის მთავრობა ირანის საზღვარზე მცხოვრები მუსლიმებისგან ლებულობდა ძალიან მცირე გადასახადს სამხედროში გაყვანის სანაცვლოდ. დუმის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირე-

3 სანჯაყის მმართველი.

4 ორივე შემთხვევაში სიტყვა „აშირეთი“ გამოყენებულია არაპირდაპირი მნიშვნელობით და ამ შემთხვევაში სამხედრო ნაწილის დასახელებას აღნიშნავს.

ბით ალი ეშრეფ ბეგი⁵ ერთი-ორჯერ თბილისის ვალისთან⁶ მივიდა და შეეცადა გარკვევას, თუ რა ტიპის სამხედრო ნაწილებში ჩაირიცხებოდნენ მეჯოგეები სამხედრო სამსახურში გაყვანის შემთხვევაში, ახალი რიგის პოლკსა და ბატალიონში, თუ მათგან შეიქმნებოდა ცალკე კაზაკური ტიპის პოლკები. ალი ეშრეფ ბეიმ უთხრა მას, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების წარმოების შემთხვევაში, როგორც პირდაპირ, ასევე შემოვლითი გზით შესაძლოა, ამ ხალხმა უარი თქვას იარაღის გამოყენებაზე საკუთარი თანამოძმეების წინააღმდეგ. მან ასევე დასძინა, რომ საჭიროა დაფიქრდნენ მუსლიმებისგან სამხედრო პოლკების შექმნის მიზანშეწონილობაზე, რადგან ეს არ იქნებოდა სასარგებლო. ასევე ალიმ აღნიშნა, რომ, რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ზილანის მეჯოგეთა ტომის ზოგიერთი მეთაურის თქმით, მათ სამხედროში გაყვანის შემთხვევაში, ისინი ოსმალეთში გადაიხვეწებოდნენ. მომავალში ოსმალეთში მათი დასახლების მიზნით წინასწარი სამუშაოები ტარდება. იმავე ალის თქმით, ეს ყველაფერი თვით ზილანელებმა გააჟღერეს. რაც შეეხება მეჯოგეთა ასვლას ოსმალეთის საზღვართან ახლომდებარე საძოვრებზე, რამდენიმე თვის წინ რუსებმა მათ მხოლოდ ერევნის მხარეს საძოვრებზე ასვლის ნება მისცეს. ალისვე თქმით, ამ ახლო პერიოდში მეჯოგეებს მიეცათ უფლება, რომ ძველი წესით ასულიყვნენ ოსმალეთის საზღვართან ახლომდებარე საძოვრებზე. იგივე ალი აღნიშნავს, რომ მან ეს ინფორმაცია მიიღო ზილანის ტომის მეჯოგეთა მეთაურებისგან“.

აქვე მითითებულია, რომ დეპეშის გაგზავნის საფუძველი გახდა ყარაქილისეს ამირეთის №2 განყოფილების მიერ არზრუმიდან 01 მაისს 1913 წელს მიღებული №67 წერილი, რაზეც გაიცა ზემოაღნიშნული პასუხი. არზრუმიდან გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია, რომ არზრუმის სამხედრო პოლკმა თავისი აგენტურისგან, რომლებიც მუშაობენ რუსეთ-ირანის საზღვარზე მეჯოგეების მიმართულებით, ვერ მიიღო ზუსტი ინფორმაცია და ახალი ინფორმაციის გადმოგზავნა სთხოვა ყარაქილისეს სამხედრო ნაწილს (BOA, Fon Kodu DH. SYS, Dosya №3/Gömlek №17).

შემდეგი დოკუმენტი, დათარიღებული 1913 წლის 29 აპრილით, არის არზრუმის ვალის მეჭმედ ემინის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილი დამიწერილი დეპეშა. მასში ნათქვამია: „*რუსეთის დუმამ მეჯოგეებისგან ჯარში განვევის შესახებ მიიღო გადანყვეტილება და ორი თვის განმავლობაში აუკრძალა მეჯოგეებს საზაფხულო საძოვრებზე გასვლა. განვდით მუსუნის ნაჰიეს ბაიაზითის მუთასარიფისგან ახლად მოსული დეპეშის შინაარსის მნიშვნელოვან ნაწილს*“ (BOA, Fon Kodu DH. SYS, Dosya №3/Gömlek №17).

დეპეშის კუთხეში არის მინაწერი, რომ ვალი ითხოვს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან რუსეთში ოსმალეთის საელჩოს საშუალებით ამ ინფორმაციის დაზუსტებას.

მომდევნო დოკუმენტი, დათარიღებული 1913 წლის 22 მაისით, არის დამატებითი ინფორმაცია 29 აპრილის დეპეშაზე. მასში არზრუმის ვალი მეჭმედ ემინი ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრისგან ინსტრუქციებს მოითხოვს: „*ველით თქვენს სათანადო ინსტრუქციებს ამირეთის №2 ინსპექტირების განყოფილებიდან*

5 სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს მთავრობასთან კონტაქტის მიზნით მეჯოგეთა მეთაურად არჩეული გენერალი ალი ეშრეფ ბეი www.atam.gov.tr

6 იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი.

მიღებულ დეპეშასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება რუსეთის დუმის მიერ კავკასიის მუსლიმების ჯარში განწვევის საკითხებს“ (BOA, Fon Kodu DH. SYS, Dosya №№/Gömlek №17).

ცნობილია, რომ ოსმალეთის სახელმწიფო სადაზვერვო საქმიანობას ოფიციალური ხასიათი მიეცა და 1914 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში შექმნა ე.წ. „სპეციალური ორგანიზაცია“.⁷ რომელსაც მონინალმდევის სამხედრო სიძლიერის შესასუსტებლად ევალებოდა ჯაშუშური, სადაზვერვო საქმიანობა და ლოკალური აფეთქებების მოწყობა. ასეთი საქმიანობა ოსმალეთის არმიის სამხედრო გეგმებსაც ემთხვეოდა. ტრაპიზონის მხარეში ამ ორგანიზაციის ხემძღვანელად რიზა ბეი დაინიშნა (Sarısaman, 2002:496–497).

1914 წლის 07 ნოემბრით დათარიღებული დოკუმენტი წარმოადგენს ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ტრაპიზონში რიზა ბეისადმი გაგზავნილ დეპეშას. ხელს აწერს მინისტრის მრჩეველი ვინმე ალი. დეპეშა ეხება სადაზვერვო საქმიანობის წარმოებას. მასში ნათქვამია: „გთხოვთ, მოიძიოთ ისეთი პიროვნებები, რომლებიც კარგად იცნობენ ფოთსა და სოხუმს შორის სანაპირო ზოლს და იყვნენ ამ რეგიონში კონტრაბანდული საქმიანობით დაკავებული. ასევე, მოიძიეთ ქუთაისის, დაღესტნის, თბილისისა და ეკატერინოდარის მხარეების კარგად მცოდნე პირები. ამათ გარდა, გვესაჭიროება ორი ან სამი ქრისტიანი ქართველი. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში შეკრიბოთ და ტრაპიზონის ვილეთში ჩამოიყვანოთ ასი კაცისგან შემდგარი ჯგუფი, რომლებიც კარგად იცნობენ კავკასიის შიდა რაიონებს და შეუძლიათ პარტიზანული საქმიანობა. დაუყოვნებლივ გვაცნობეთ აღნიშნულის შესაძლებლობის შესახებ, რომ აქაური სამხედრო შენაერთები თვენი პასუხის შესაბამისად მოვამზადოთ. იმ შემთხვევაში, თუ მოახერხებთ და მოიძიებთ ასეთ პიროვნებებს, მათ შეიარაღების სახით მიეცემათ 400 ერთეული რუსული თოფი. ტრაპიზონში ეს იარაღი გამოიგზავნება არმიიდან. დანარჩენი 300 ერთეული რუსული თოფი გადაეცემათ ჩვენგან წამოსულ სამხედროებს. ყოჩი ბეი და თანმხლები პირები, ასევე კავალერიის ლეიტენანტი ქიამილ ბეი მეტად საჭირონი არიან თავდასხმითი მოქმედებებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირები არმიის დისლოკაციის ადგილამდე ვერ ჩამოვლენ, გთხოვთ გვაცნობოთ მათი ადგილსამყოფელის და მდგომარეობის შესახებ“ (BOA, Fon Kodu DH. ŞFR, Dosya №47/Gömlek №96,96-1).

1914 წლის 28 დეკემბრის დოკუმენტი არის ოსმალეთის არმიის თავდაცვის ცენტრალური სამმართველოს უფროსის დეპეშა რიზა ბეისადმი ტრაპიზონში. სამმართველოს უფროსის ხელმოწერა არ იკითხება. როგორც დეპეშიდან ჩანს, ოსმალეთის არმიის მეთაურობა გარკვეულ კონტროლს უწევდა მოზელის საქმიანობას, რადგან მოკლე ტექსტში ნათქვამია: „გთხოვთ, გაარკვიოთ მიიღო თუ არა მოზელმა მონანილეობა ართვინის ბრძოლებში და მოიტანა თუ არა მან რაიმე სარგებელი“ (BOA, Fon Kodu DH. ŞFR, Dosya №48/Gömlek №319).

ცნობილია, რომ მოზელი „კომიტეტის“ წევრებთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული ქართული ლეგიონის ჩამოყალიბების საქმეში. იგი იყო გერმანიის დაზვერვის სამსახურის ოფიცერი (Bay, 2015:82).

7 თურქულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია Teşkilat*ı Mahsusa-სახელით.

1915 წლის 02 იანვრით დათარიღებული დოკუმენტი წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს დეპეშას რიზა ბეისადმი ტრაპიზონის ვილაეთში. დოკუმენტი ფაქსიმილეს გარეშეა. ბოლოში აქვს მინაწერი: შინაგან საქმეთა მინისტრი. მასში ნათქვამია: „სხვებისგან განსხვავებით, ქრისტიანი ქართველების დელეგაციისგან საჩივრები არ მოგვდის. შექმნილი სიტუაციის და ურთიერთპატივისცემის გათვალისწინებით, ასევე ერთობის და ერთიანობის დაცვის მიზნით, მიეცით სახელმწიფო სამსახურებს და თანამდებობის პირებს შესაბამისი ინსტრუქციები“ (BOA, Fon Kodu DH. EUM, 2, Şb, Dosya №71/Gömlek №5).

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა თურქული წყაროებიდან და ლიტერატურიდანაც დასტურდება, რომ ლეგიონის წევრებს, რიზა ბეის გარდა, გარკვეული პრეტენზიები ჰქონდათ ტრაპიზონის მხარის ადგილობრივი მმართველების მიმართ. აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით საქმის კურსში იყო ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და გარკვეულ რეაგირებასაც ახდენდა (Bay, 2015:84).

მომდევნო დოკუმენტი, დათარიღებული 1915 წლის 23 აგვისტოთი, არის სადაზვერვო ხასიათისა და ეხება საქართველოსა და კავკასიის რეგიონს. იგი წარმოადგენს ტრაპიზონის ვილაეთიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაგზავნილ დეპეშას. დეპეშის ავტორია ტრაპიზონის ვალი ჯემალ აზმი. იგი შემდეგი შინაარსისაა: „გასულ დღეს ბათუმის სამხედრო კომენდანტმა მეზობელი მუსლიმური რაიონების (ბორჩხა, ქაიადიბი) მოსახლეობას შესთავაზა, რომ ყველა ოჯახს ოცდაათი და ყველა ცალკეულ პირს ოცი მანეთი მიეცემოდა, თუ ისინი ჩაენერებოდნენ ჟანდარმერიაში. მათ, ასევე უთხრეს, რომ რუსეთის ხელმწიფე მათით მეტად კმაყოფილია. თუმცა, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ეს წინადადება არ მიიღო. ასევე რუსებს თბილისს, ყარსსა და სარიყამიში ჰყავთ დაახლოებით 500 000 ჯარისკაცი. მაგრამ, ყველა მათგანი არ არის შეიარაღებული. ასევე თბილისში თითქმის შემოვლიათ საკვები პროდუქტი და ბათუმის მიმართულებით მომუშავე ოსმალეთის კატარღები გაჩერებულ იქნენ და ქრისტიანმა ქართველებმა აღუთქვეს რუსებს, რომ მათ თავდადებით მიემხრობიან“. აქვე მიუთითებულია, რომ ეს ინფორმაცია მიღებულია ხოფის გამგებლისგან. ხოფის გამგებელმა ეს ინფორმაცია ლაზისტანის მუთასარიფისგან დეპეშით მიიღო. ხოლო, შემდეგ მთლიანი ინფორმაცია ჯემალ აზმის გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა კი ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს.

იგივე ჯემალ აზმი აგრძელებს: „გუშინდლიდან ჩემთან იმყოფება ათინადან სპეციალური მომართვეთ ჩამოსული ორი პიროვნება, რომლებიც ნაწილობრივ ადასტურებენ ამ ანფორმაციას და ამბობენ, რომ გარდა აჭარელი მუსლიმებისა მთლიანად კავკასიელები მზად არიან აჯანყებისთვის და მათ აქვთ სხვადასხვა სახის იარაღი. ასევე, ქართველების ერთგულება რუსებისადმი მოჩვენებითია. საზღვრებზე გაგზავნილი [აქ იგულისხმება ჟანდარმერიაში ხელფასის სანაცვლოდ ჩარიცხულნი – რ.ყ.] ეჭვობენ და შიშობენ. რომ რუსები თავს დაესხმებიან ოსმალების სამხედრო ნაწილებს. ასევე, ეს ორი პიროვნება აღნიშნავს, რომ რუსების ჯარში იარაღი ყველას არ აქვს“ (BOA, Fon Kodu DH. EUM, 2, Şb, Dosya №1/Gömlek №40).

მომდევნო დოკუმენტი დაკავშირებულია ქართული ლეგიონის ფორმირებას-

თან. იგი წარმოადგენს ოსმალეთის კავშირგაბმულობის სამინისტროს დეპუტატს შინაგან საქმეთა სამინისტროში. წერილი გაგზავნილია 18 ოქტომბერს 1915 წ. ჯანიკის მუთასარიფის სულეიმან ნეჯმის მიერ. მიღებულია 29 ოქტომბერს 1915 წ. ტელეგრაფი გაგზავნილია სამსუნიდან. მასში ნათქვამია: „ჩვენთან ჩამოსულ გერმანელ მოსიო მოხელეს თან ახლავს ერთი ქართველი ხელმძღვანელი პირი. მათ გააჩნიათ ტრაპიზონის ვილაეთის და ლაზისტანის მხარის სამხედრო მეთაურობის მიერ გაცემული სპეციალური დოკუმენტაცია. ეს ორი პიროვნება ჩვენი ლივის ფარგლებში ქართველი მუჰაჯირებისგან ლეგიონის შექმნის საქმეში დახმარებას ითხოვს. მანამდე, მუჰაჯირთა ერთი ნაწილი ამ ლეგიონში განწევრიანდა. ამ ორმა პიროვნებამ განწევრიანებულთა ოჯახებზე წევრთა რაოდენობის მიხედვით გასცა ხელფასი“ (BOA, Fon Kodu, DH. ŞFR, Dosya №495/Gömlek №63).

ცნობილია, რომ ლეგიონი ექვემდებარებოდა ოსმალეთის მესამე არმიას (Çolak, 2001:512). ლეგიონს სწორედ აქედან მიღებული მითითებების საფუძველზე უნდა ემოქმედა. ზემოაღნიშნულ მდგომარეობას კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი. იგი გადაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების მთავარი სამმართველოდან ტრაპიზონის ვილაეთში იქიდან მიღებული წერილის პასუხად. დოკუმენტის თარიღია 01 იანვარი 1916 წელი. არ ახლავს ფაქსიმილე. დოკუმენტის ბოლოში არის მინაწერი – შინაგან საქმეთა საქმეთა მინისტრი. დოკუმენტში ნათქვამია: „თქვენი 1915 წლის 21 [თვე არ იკითხება] პასუხად გაცნობებთ, რომ ქართულ კომიტეტთან დაკავშირებით გენერალური შტაბიდან მესამე არმიის მეთაურობის სახელზე გაიგზავნა სათანადო ინსტრუქციები. უნდა იხელმძღვანელოთ იქიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად. კონსულთან აღნიშნული საკითხის შემდგომი განხილვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია“ (BOA, Fon Kodu, DH. ŞFR, Dosya №56/Gömlek №9).

შემდეგი დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია ოსმალეთის მოქალაქე ეროვნებით ქართველი სახელმწიფო მოსამსახურეების ლეგიონთან ურთიერთობის თვალსაზრისით. იგი წარმოადგენს ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების მთავარი სამმართველოდან ტრაპიზონის ვილაეთსა და ჯანიკის სამუთასარიფოში გაგზავნილ დეპუტატს (დანართი 1). არის სრულიად საიდუმლო. დათარიღებულია 1916 წლის 07 იანვრით. მას ხელს აწერს შინაგან საქმეთა მინისტრი თალაათი⁸.

დეპუტატის სრული ტექსტი ასეთია: „იმისათვის, რომ მომავალშიც იარსებოს უკვე დაარსებულმა ქართულმა ლეგიონმა და იყოს სასარგებლო, საჭიროა გაკეთდეს შემდეგი: სახელმწიფოს სამოქალაქო ორგანოებიდან გაენიოს სათანადო მატერიალური და ბიუროკრატიული დახმარება; სახელმწიფო სამსახურში მყოფი ეროვნებით ქართველი პირები, რომლებიც ჩართული იქნებიან ლეგიონის დახმარების საქმეში, არ უნდა ატარებდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს სანინააღმდეგო პოლიტიკას; ასევე არ უნდა ატარებდნენ პოლიტიკას პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. მათ არ უნდა მიეცეთ უფლება, რომ გასცდნენ ნაციონალურ პოლიტიკას ადგილზე მცხოვრებ ქართველთა შორის. ის, ვინც გადააცილებს თავის უფლებამოსილებას, ადგილბრძოლა ადმინისტრაციამ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში

8 იმ დროის ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრი თალაათ ფაშა.

უნდა მიიღოს დისციპლინარული ზომები მათ წინააღმდეგ, ან გადააგზავნოს ეს პიროვნებები ისეთ რაიონებში, რომლებიც არ არის ქართველებით დასახლებული. ხოლო ის, ვინც აღნიშნულ წესს არ დაემორჩილება, გათავისუფლებულ იქნას დაკავებული თანამდებობიდან; ლეგიონი უნდა დარჩეს სამხედრო ფორმირებად და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს პოლიტიკურ ორგანიზაციად“ (BOA, Fon Kodu, DH. ŞFR, Dosya №60/Gömlek №64).

„კომიტეტის“ ლიდერების ინტენსიურ კონტაქტს ოსმალეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელ წრეებთან ადასტურებს შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველის მოვალეობის შემსრულებლის სუბჰი ბეის პასუხი გენერალური შტაბისადმი. დეპეშა არის საიდუმლო. დათარიღებული 1916 წლის 19 მაისით. იგი წარმოადგენს გენშტაბის 1916 წლის 10 მაისის N1123-ით დათარიღებული წერილის პასუხს. მასში ნათქვამია: „გთხოვთ, მოავლინოთ უსაფრთხოების მთავარ სამმართველოში კავკასიის გათავისუფლების მიზნით დაარსებული ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პრინცი მაჩაბელი, რომლის შესახებაც ბოლო დროს ბერლინიდან შესაბამისი ინფორმაცია მივიღეთ“ (BOA, Fon Kodu, DH. EUM,2,Şb, Dosya №22/Gömlek №3).

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის გენერალური შტაბი მიზანშეწონილობის ფარგლებში საჭიროდ თვლიდა ლეგიონის გამოყენებას შავი ზღვის რეგიონში პარტიზანების წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში (Bay, 2015:88). ეს დასტურდება შინაგან საქმეთა მინისტრის თალაათის მიერ ჯანიკის მუთესარიფის სახელზე გაგზავნილი დეპეშით. დეპეშის თარიღია: 1916 წლის 10 ოქტომბერი. იგი არის პასუხი ჯანიკის მუთესარიფის 1916 წლის 05 ოქტომბრის დეპეშაზე. დოკუმენტს ახლავს ფაქსიმილე – თალათ. მასში ნათქვამია: „ნებადართულია ლეგიონის წევრების გამოყენება პარტიზანების დევნაში. ამ საქმის საჭიროებისთვის აუცილებელი თანხის გაცემაზე თანხმობის წერილი გადაეგზავნა გენერალურ შტაბს“ (BOA, Fon Kodu, DH, ŞFR. Dosya №69,Gömlek №72).

მომდევნო დოკუმენტი ლეგიონის იარაღით მომარაგებასთან არის დაკავშირებული და წარმოადგენს ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების მთავარი დეპარტამენტიდან ჯანიკის მხარის მუთესარიფისადმი გაგზავნილ დეპეშას. იგი არის პასუხი ჯანიკის მუთესარიფის 1916 წლის 12 ნოემბრის დეპეშაზე. ზემოაღნიშნული დეპეშის თარიღია 27 ნოემბერი 1916 წ. დეპეშას ხელს აწერს შინაგან საქმეთა მინისტრი თალაათი. დოკუმენტს ახლავს ფაქსიმილე – თალათ. მასში ნათქვამია: „ლეგიონმა მოითხოვა იარაღი მესამე არმიიდან. მუთესარიფს გენშტაბიდან ამ მოთხოვნაზე თანხმობის პასუხი გაეგზავნა“ (BOA, Fon Kodu, DH. ŞFR, Dosya №70/Gömlek №222).

1916 წლის სექტემბერში ოსმალეთის ხელისუფლებამ აღარ ჩათვალა მიზანშეწონილად ლეგიონის არსებობა. 1916 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ფონ ლოსოვი და ვეჰიბ ფაშა შუამდგომლობდნენ ქართული ლეგიონის თურქეთიდან განვევას (სვანიძე, 1992:6). ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი წარმოადგენს ლეგიონის წევრების ოსმალეთის ტერიტორიიდან ევროპაში გადასვლის და გადაადგილების შესახებ ინსტრუქციას. დეპეშა გადაგზავნილია საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს კანცელარიიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში. წერილს თან

ერთვის შემდეგი შინაარსის მოკლე განმარტება: ქართველი ლეო კერესელიძის შვეიცარიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით მისთვის შესაბამისი ნებართვის გაცემის შესახებ. დეპეშა არის სრულიად საიდუმლო. ხელს აწერს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელით მისი მრჩეველი. დოკუმენტის თარიღია: 09 იანვარი 1917 წელი (დანართი 2). ფაქსიმილე არ იკითხება. დეპეშაში ნათქვამია: „ოსმალეთის პასპორტის მქონე ქართველის, ბატონ ლეო კერესელიძის შვეიცარიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით ბერლინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ხედავს. ამ საკითხთან მიმართებაში, საელჩოს პოზიცია აღნიშნული პიროვნების გამგზავრებასთან დაკავშირებით გამოხატულია ბერლინში ოსმალეთის საელჩოდან 02 იანვარს 1917 გამოგზავნილ ტელეგრაფში. შვეიცარიაში მათი გამგზავრების გამო უნდა დადგინდეს მათი იდენტობა. ასევე, იმ პიროვნებებისაც, ვისი წასვლაც პირველი რიგის აუცილებლობაა, ეს პიროვნებები შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ნებართვის საფუძველზე უნდა გაემგზავრონ. ხოლო სხვები, რომლებიც მოკავშირე ან ნეიტრალური ქვეყნების გავლით უნდა ჩავიდნენ შვეიცარიაში, მათი გამგზავრება უნდა მოხდეს საკონსულოების საშუალებით, ასევე მათ უნდა გადაიხადონ ტელეგრაფის თანხა, ამის შემდეგ მიეცემათ გამგზავრების უფლება, მოხდება მათი პასპორტების ვიზირება და მათი წასვლაც ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შედეგად მოხდება. ყველაფერი საკონსულოებში უნდა შეგროვდეს და მიეცეს ოფიციალური სახე. ხოლო ისინი, რომლებიც არ იმყოფებიან ოსმალეთში ან უცხო ქვეყნებში ცხოვრობენ, ასეთ შემთხვევაში გამგზავრების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ადგილობრივი პოლიციის მიერ მათი პიროვნების იდენტობის შესახებ მოკვლევის საბუთი, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიეცემათ მათ პასპორტის ვიზირება. ხოლო მათ, ვინც უფრო ადრე გავიდა ოსმალეთიდან და გარკვეული პერიოდი ცხოვრობდნენ სხვაგან, შვეიცარიაში წასვლისას უნდა გაიარონ ჩვეულებრივი პროცედურები. საელჩოს პასუხად გაეგზავნა, რომ შემდეგში მსგავს საკითხებში ნებართვის გარეშე არ ემოქმედა“ (BOA, Fon Kodu, DH. EUM,5,Şb, Dosya №32/Gömlek №43).

1919 წლის 21 და 22 იანვრით დათარიღებული დოკუმენტები ეხება მუსიო მოზელის სტამბოლში გამგზავრებას.

პირველი დოკუმენტი წარმოადგენს ჯანისის მუთესარიფის მაჰმუდ რაშიდის დეპეშას შინაგან საქმეთა სამინისტროში. მასში ნათქვამია: „სტამბოლის საელჩოდან მოსული მონვევის შესაბამისად, სამსუნში გერმანიის კონსულის მოადგილე მუსიო მოზელი და მისი თანმხლები პირი ალექსანდრე რეშუნე¹⁰ ბარფი გემით „ყიზილ ირმალი“ სტამბოლში გამგზავრების ნებართვას ითხოვენ. გთხოვთ, სათანადო რეაგირებას“ (BOA, Fon Kodu: DH. EUM. 5. Şb. Dosya №53, Gömlek №26).

მომდევნო დოკუმენტი არის შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს სასწრაფო და დადებითი პასუხი ჯანისის მუთესარიფისადმი: „თქვენი 1919 წლის 21 იანვრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მუსიო მოზელის და მისი თანმხლების გამომგზავრება ნებადართულია“ (BOA, Fon Kodu: DH. EUM.5. Şb. Dosya №53, Gömlek №26).

9 იგულისხმება გერმანიის საელჩო სტამბოლში.

10 ადგილის დაზიანების გამო, „რეშუნე“ სწორად ვერ იქნა ამოკითხული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლეგიონის საქმიანობა ოსმალეთში ჯერ კიდევ სრულად შესწავლილი არ არის. ვფიქრობთ, აღნიშნული დოკუმენტების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა გაამდიდრებს საქართველო–თურქეთის ურთიერთობების ისტორიის საკითხებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

გრძელიძე 1995, გრძელიძე რ., საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი 1914–1918 წწ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995.

სვანიძე 1995, სვანიძე მ., 1914 წელს ოსმალეთსა და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება, ქართული დიპლომატია (წელიწდეული), 2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995.

სამშობლო 1992, სვანიძე მ., ქართული ლეგიონი ოსმალეთში პირველი მსოფლიო ომის დროს, გაზეთი სამშობლო, №7–10, 10 ივლისი, 1992.

Yılmaz 2008, Yılmaz R., Birinci Dünya Savaşı Başlarında Osmanlı Devleti'nin Kafkasya Siyaseti, OAKA, Cilt:3, Sayı:6, 2008.

Sarisaman 2002, Sarisaman S., Trabzon Mintikası Teşkilat-ı Mahsusa Heyet-i İdaresinin Faaliyetleri ve Gürcü Lejyonu, TTK, XIII. Kongre Bildirileri, Ankara, 2002.

Bay 2015, Bay A., Birinci Dünya Savaşında Gürcü Lejyonu Ve faaliyetleri, Kradeniz İncelemeleri Dergisi, (Sayı 18), Ankara, 2015.

Çolak 2001, Çolak M., Alman Belgelerinde Birinci Dünya Savaşı'nda Trabzon'da Gürcü Lejyonunun Kurulması ve Faaliyetleri, Trabzon ve Çevresi, Uluslararası Tarih-Dil-Edebiyat Sempozyumu Bildirileri, c.1, 3-5 Mayıs, Trabzon, 2001.

BOA, Fon Kodu DH. SYS, Dosya №3/Gömlük №17.

BOA, Fon Kodu DH. ŞFR, Dosya №47/Gömlük №96,96-1.

BOA, Fon Kodu DH. ŞFR, Dosya №48/Gömlük №319.

BOA, Fon Kodu DH. EUM, 2, Şb, Dosya №71/Gömlük №5.

BOA, Fon Kodu DH. EUM, 2, Şb, Dosya №1/Gömlük №40.

BOA, Fon Kodu, DH. ŞFR, Dosya №495/Gömlük №63.

BOA, Fon Kodu, DH. ŞFR, Dosya №56/Gömlük №9.

BOA, Fon Kodu, DH. ŞFR, Dosya №60/Gömlük №64.

BOA, Fon Kodu, DH. EUM,2,Şb, Dosya №22/Gömlük №3.

BOA, Fon Kodu, DH. ŞFR, Dosya №70/Gömlük №222.


BOA, Fon Kodu, DH. EUM,5,Şb, Dosya №32/Gömlük №43.

BOA, Fon Kodu: DH. EUM.5. Şb. Dosya №53, Gömlük №26.

BOA, Fon Kodu: DH. EUM. 5. Şb. Dosya №53, Gömlük №26.

დანართი 1. 1916 წლის 07 იანვარი. ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების მთავარი სამმართველოდან ტრაპიზონის ვალის და ჯანიკის მუ-თასარიფის სახელზე გაგზავნილი დეკრეტი.

ه
 طرزدہ و پوتہ
 جابک مقصدہ
 غایت محمدہ


 امنیت عمومیہ مدیریت
 عمومی
 خصوصی


(شيفره)

گنجی تکیونک ادرسی و اساسی اعتباراً بد استغناء اولادیه صدق بر تقبل و وضعه از این جهت شایسته
 مقرون و مندرج بودیدند بر تکیونک تکرار و تکرار مقصد تا به اولادیه ایچیه صحت کلام ده
 قطعیاً ایده تهریت و معاونتک ایضا و استمالی ایچیه ایچیه صحت کلام و بعدیه در تمام اولادیه
 اولادیه رفقوت نامری اولادیه کورمی ما مرکز تکیونک ایست عمدهی دنقط نظری صحت اولادیه بریاست
 ایضا انقاریه تقیاً ایچیه و بودیددی محظومه کوه جداره شده بقیاساتی اولادیه تلقیات و تقیاتی
 بودیهی قطعیاً تا به بحوزه و ساکو اولادیه مقصده بوقی احوال اعتباراً به نامروره اولادیه و تقیاتی به ایده
 تلقیات و مقصدات تقیاتی اولادیه و تقیاتی تلقیات سلطنتیه در تمام ایبارده غرض و تقیاتی مقصدیه
 تکرار و اولادیه و اخذیه که هم اولادیه بواقعه بیایدک و بصورتیه اصولی و اولادیه و تقیاتی و تقیاتی
 اولادیه حوزی و تقیاتی و تقیاتی ایچیه تقصیرت استغی ایچیه باینک غدا لایزم و اخذیه تقیاتی و اخذیه
 اولادیه اولادیه اسدینک ایچیه خصوصاً که صحت تکیونک تقیاتی غایبیهی فقط ایچیه در تقیاتی و تقیاتی

ماهیت بیایدی ها بر جریانه امنه میانه و بیاست
 طرزدہ و پوتہ
 جابک مقصدہ
 غایت محمدہ

60/64

დანართი 2. 09 იანვარი 1917 წელი. ინსტრუქცია ლეგიონის წევრების ოსმალეთის ტერიტორიიდან ევროპაში გადასვლის და გადაადგილების შესახებ.


 خاتمة نظر اركان
 لجنه الاصلية
 لوزاره الارشاد
 عدد ٩٤٤٥٩ / ١٩١٧

واقعه في شهر رجب سنة ١٣٣٦

مذكورة: كويجي ليوڤ كهده سيزه ارضيك
 اسويجيه عتمة ساعده ايدليك رار
 مذكور

ردودم اقم حقه
 عماد سايونجي حال كويجي ليوڤ كهده سيزه ارضيك اسويجه بكنده بريبه هاجمه لقه رنج محذوره اولمجي بانقره ايدليك
 بحقه عتمة سايونجي عتمة ساعده ايدليكي بريبه عتمة سندن آقان ٧ ٩ اوردله ٨١٧ تا ميوه تفوضم بيدلنده در
 اسويجه كيده چون كهوتيت تحقيقات غيري برم اولمك لقه رويدر ارضيك ساعده تفوضم ارضيك و تقفيه ايدليك حال كونه
 كيه جت اولمك ره شه راز و سالتيد واجود تفوضم كيريه عامه اولمك اوردله بالاسين ديري جت ساعده اوردله ايدليك
 ديره ايدليك غيري اولمك ره اولمك ره سالتيد واجود تفوضم كيريه عامه اولمك اوردله بالاسين ديري جت ساعده اوردله ايدليك
 ايدليه ماسي فاشه ايمه اولمك ره سالتيد واجود تفوضم كيريه عامه اولمك اوردله بالاسين ديري جت ساعده اوردله ايدليك
 كيه جت اولمك ره سالتيد واجود تفوضم كيريه عامه اولمك اوردله بالاسين ديري جت ساعده اوردله ايدليك
 بيد ايتان ساعده ايدليك ره سالتيد واجود تفوضم كيريه عامه اولمك اوردله بالاسين ديري جت ساعده اوردله ايدليك

هاجمه لقه رار
 هاجمه لقه رار

Roin Kavrelishvili
PhD in History, Professor
Ardahan University

Taghi Salahshour Hasan Kohal
PhD student
Ardahan University

SOME TURKISH DOCUMENTS ABOUT THE CAUCASUS AND GEORGIAN LEGION

Summary

The documents discussed in the article are official correspondence between the Ottoman Ministry of Internal Affairs, the regional administration of Trabzon, the General staff of the Ottoman Army, the Ministry of Ottoman Communication and Samsun's administration. The documents dated back to 1914-1916 reveal the plans of the Ottoman's authorities (already involved in the World War I) in the Caucasus in general and in Georgia in particular. It also shows the Ottoman authorities' attitude towards the Georgian Legion set up on the Ottoman territory.

According to the documents, the administration of Trabzon region was required to find some people who knew the coastline between Poti and Sokhumi well and had been contrabandists in the past. They also had to find some people knowing internal regions of Georgia, Dagestan and Ekaterinodar, some Georgian Christians and about 100 people, who were able to wage guerrilla warfare in the Caucasus mainland. In the document it is also indicated that the preparation and armament of this army would be carried out by the Ottoman regular army. Some parts of the documents refer to the readiness for the rebellion in the Caucasus against Russia, to the information gained by the Ottoman secret service about decisions made by the Russian Duma on the military commitment of shepherds and Muslim population living in the border regions of Russia.

Documents related to the Georgian Legion include the departure of Leo Kereselidze to Europe with the Ottoman passport, the activities of German Consulate in the East Black Sea Coast and its relationship with the Georgian Legion, the membership of Georgian Muhajirs in the Ottoman legion and salaries paid to their families.

According to the instructions of the Minister of Internal Affairs, Talaat Pasha, the legion was to be provided with proper material assistance; it should be given a hand in overcoming bureaucratic objections, however, it was highlighted that those Georgians working in governmental agencies and directly involved in supporting the legion, had only to operate according to the state's interests. Otherwise, the local authorities had the right to carry out disciplinary measures against such persons. According to the instruction, the legion should only remain as a military formation and should not become a political organization in any way.

ირანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა: საბჭოთა ინტერვენცია ირანსა და ამიერკავკასიაში

მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიას დიდი გავლენა ჰქონდა ირანზე. 1907 წლის რუსულ-ბრიტანული შეთანხმების მიხედვით, ჩრდილოეთი ირანი, ისპაჰანის ჩათვლით, რუსეთის გავლენის სფეროში შედიოდა, პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში კი რუსული ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა. შესაბამისად, 1917 წლის რევოლუციას, განსაკუთრებით კი იმავე წელს ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებას, ირანზეც უდიდესი გავლენა ჰქონდა. საბჭოთა იდეოლოგია ანტიიმპერიალიზმს ქადაგებდა, რომელიც ირანისთვის აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა.

თუმცა რუსეთის სამოქალაქო ომის დაწყებისას ბოლშევიკები რუსეთის საზღვრიდან შორს იყვნენ. კავკასიაში, რომელიც რუსეთის მთავარი დამაკავშირებელი გზა იყო ირანთან, 1918 წლის მაისში სამი რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. 1920 წელს კი სწორედ კავკასია იქცა ირანში საბჭოთა ინტერვენციის მთავარ ფორპოსტად. 1920 წლის აპრილში ბაქოს დაცემიდან ერთი თვის შემდეგ წითელი არმიის ფლოტი შეიჭრა ენზელიში, კასპისპირა გილანის პროვინციის საპორტო ქალაქში და გილანში მოქმედი ჯანგალიელთა მოძრაობის ლიდერმა მირზა ქუჩეკ-ხანმა ირანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადა.

საგულისხმოა, რომ პირველ საბჭოთა-ირანულ შეთანხმებას 1921 წლის 26 თებერვალს მოეწერა ხელი, თბილისის დაცემიდან ერთ დღეში¹. გარდა ამისა, შეთანხმებამდე 5 დღით ადრე, 21 თებერვალს სამხედრო მეთაურმა რეზა-ხანმა² თეირანში გადატრიალება მოაწყო და ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. შეთანხმება საბჭოთა ჯარების ირანიდან გაყვანას ითვალისწინებდა, თუმცა ირანის სსრ წლის ბოლომდე განაგრძობდა არსებობას გილანში, სანამ შიდა კონფლიქტებისა და არასაკმარისი საბჭოთა მხარდაჭერის გამო საბოლოოდ არ დაემხო. საბოლოოდ, შეთანხმების რატიფიცირება 1921 წლის დეკემბერში მოხდა, 1922 წლის იანვარში შაჰმა მას ხელი მოაწერა.

მაშინდელი ისტორიული მდგომარეობის გათვალისწინებით, ფაქტობრივად, ირანის სსრ-მ მხოლოდ ბერკეტის როლი შეასრულა საბჭოთა პოლიტიკაში ირანის მიმართ. თავდაპირველად საბჭოთა რუსეთი ცდილობდა, ცარისტული იმპერიალისტური პოლიტიკის შეტრიალება წარმოეჩინა. მოსკოვმა გააუქმა 1907 წლის შეთანხმება და სანავთობო კონცესიების პოლიტიკის დასრულება გამოაცხადა, რაც ძირითადად ირანზე ბრიტანული გავლენის შესამცირებლად იყო მიმართუ-

1 თუმცა მოძიებულ ლიტერატურაში ამ ორ მოვლენას შორის რაიმე სახის პირდაპირი კავშირი არ დასტურდება.

2 რეზა-ხანი შემდგომში ცნობილი გახდა რეზა შაჰის სახელით, როდესაც 1925 წელს საბოლოოდ დაასრულა ყაჯართა დინასტია და თავი ფეჰლევიანთა დინასტიის პირველ შაჰად გამოაცხადა.

ლი. ამ ნაბიჯებს მიესალმნენ ირანელები და ბოლშევიკების მიმართ დადებითადაც განწყობენ. თუმცა სამოქალაქო ომის ირანის ტერიტორიაზე გავრცელებასა და საბჭოთა ინტერვენციასთან ერთად ეჭვები ახალი რუსეთისადმი გამძაფრდა.

გარდა ამისა, საინტერესოა საბჭოთა ძალებისა და იმ ირანელი ამბოხებულების ურთიერთობები, რომლებმაც ირანის სსრ გამოაცხადეს. საბჭოთა ხელმძღვანელობაში ამ წამოწყებისადმი ერთგვარი დამოკიდებულება არ იყო. ინტერვენციას უმეტესად მხარს უჭერდა სტალინისა და ორჯონიკიძის ფრთა, ლენინი, ტროცკი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გეორგი ჩიჩერინი ირანის სსრ-ს ეჭვის თვალთ უყურებდნენ. ამასთანავე, „გილანის რესპუბლიკის“ შიდა კონფლიქტები სკეპტიკოსთა ეჭვებს ამყარებდა.

საბოლოოდ, საბჭოთა რუსეთის ძირითადი მიზანი ირანთან შეთანხმების სასწრაფო გაფორმება იყო, რათა საკუთარი უსაფრთხოება უზრუნველყო და შემდგომი შესაძლო ნაბიჯების დასატოვებლად გარკვეული საფუძველი შეექმნა. როგორც უკვე ვახსენე, შეთანხმებას 21 თებერვლის გადატრიალების შემდეგ მოენერა ხელი, რომელმაც, სავარაუდოდ, ხელის მონერა დააჩქარა, თუმცა ირანის მეჯლისმა შეთანხმების რატიფიკაცია მხოლოდ საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ მოახდინა. ამასთანავე, გილანელ ამბოხებულებთან შეთანხმების პირობები არავის არ განუხილავს, რაც ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ ირანის სსრ მხოლოდ და მხოლოდ ბერკეტად გამოიყენა ირანთან მიმართებით.

ეს კვლევა ემყარება რამდენიმე ავტორის ნაშრომს, თუმცა, სამწუხაროდ, ამ თემაზე მრავალი ნაშრომი არ მოიპოვება. ავტორებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შაქერი (1995), რომელსაც მრავლისმომცველი ნაშრომი აქვს დაწერილი ირანის სსრ-ზე. გარდა ამისა, ვოლოდარსკის (1994) აქვს გამოკვლევითი ადრეული საბჭოთა ურთიერთობები სამხრეთელ მეზობლებთან, ხოლო გენისს (2000) კარგად აქვს აღწერილი ირანში საბჭოთა ინტერვენციის ქრონიკები. ამასთანავე, შაქერი (1995) უკმაყოფილებას გამოთქვამს როგორც მის მიერ ჩატარებული კვლევის დროს საბჭოთა არქივების მიუწვდომლობაზე, ასევე ისტორიის გაყალბების მცდელობებზე ძირითადად სტალინის პერიოდში, რადგანაც ამ ინტერვენციაში ჩართულ ბოლშევიკთა უმეტესობა, მათ შორის ირანელი კომუნისტებიც, სწორედ სტალინურ რეპრესიებს ემსხვერპლნენ.

ადრეული საბჭოთა-ირანული ურთიერთობები

ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ბოლშევიკებმა ცარისტული იმპერიალისტური პოლიტიკისგან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკის წარმოჩენა დაიწყეს. ირანთან მიმართებით ლენინმა 1907 წლის რუსულ-ბრიტანული შეთანხმების გაუქმებისა და ყოველგვარ პრივილეგიაზე უარის თქმის პირობა დადო (Volodarsky 1994). რუსულ-ბრიტანული შეთანხმება ირანს გავლენის ზონებად ჰყოფდა, ორივე იმპერიას მხოლოდ თავის ზონაში შეეძლო კონცესიების მოპოვება (Abrahamian 2008). ყოფილი ცარისტული პრივილეგიების დათმობა საბჭოელთა ხელში მთავარი იდეოლოგიური იარაღი იყო, რასაც მოჰყვა კიდევაც დადებითი გამოხმაურება ირანში. 1917 წლის დეკემბერში აინ ად-დოულეს კაბინეტმა საბჭოთა რუსეთი აღიარა კიდევ ოფიციალურად (Volodarsky 1994). პროსაბჭოთა განწყობები ანტიბრიტანულ სენტიმენტებს ემთხვეოდა, მით უმეტეს, მაშინ როდესაც ბრიტანეთის გავლენა პირველი

მსოფლიო ომის ბოლოს არა მარტო მთლიან ირანზე, არამედ ახლო აღმოსავლეთზეც ვრცელდებოდა. იყო შემთხვევაც, როდესაც ქერბალის მუჯთაჰიდებმა³ ბოლშევიკები „ისლამის მეგობრებადაც“ კი გამოაცხადეს (Abrahamian 2008:49). გარდა ამისა, ბოლშევიკებმა ირანის ოკუპაციის დასრულების პირობაც დადეს. საგულისხმოა, რომ 1910-იან წლებში ირანს რეგულარული არმია არ ჰყავდა და არსებული რეგულარული შენაერთებიც რუსულ კაზაკთა სარდლობას ემორჩილებოდა.

თუმცა საბჭოელებს ირანელების მოთაფვლაზე მეტად ბრიტანეთზე ზეწოლა ჰქონდათ მიზნად. ბრიტანელთათვის რუსების მიერ კაპიტულანტურ უფლებებზე უარის თქმა იმას ნიშნავდა, რომ ირანელებს მათთვისაც შეეძლოთ ანალოგიური მოეთხოვათ, რაც მოხდა კიდევ. პრემიერმინისტრმა მოსთოუფი ალ-მამალექმა⁴ ბრიტანელებს მოსთხოვა, ფორმალურად შეერთებოდნენ საბჭოელებს 1907 წლის შეთანხმების გაუქმებაში, ხოლო შემდეგმა პრემიერმინისტრმა სამსამ ას-სალთანემ ცარისტული რუსეთის მიერ დადგენილი „დამამცირებელი“ შეთანხმებები გაუქმებულად გამოაცხადა (Volodarsky 1994:18). თუმცა ბრიტანელები არ აპირებდნენ ირანზე უარის თქმას. ბრიტანელებმა აიძულეს ირანის ახალი მთავრობა პრემიერმინისტრ ვოსუყ ოდ-დოულეს მეთაურობით, რომ ხელი მოეწერა 1919 წლის არა-პოპულარულ ბრიტანულ-ირანულ შეთანხმებაზე (Bast 2012). ბრიტანულმა ძალებმა დაიწყეს ირანის სრული ოკუპაცია.

საბჭოთა სტრატეგია ანტიბრიტანულ სენტიმენტებს ეფუძნებოდა, რომელსაც უნდა შეემცირებინა ბრიტანული გავლენა ირანზე. ჯარების გაყვანა წარმატებული ნაბიჯი იყო, მით უმეტეს, რომ ბოლშევიკები ირანში ჯარებს მაინც ვერ დატოვებდნენ 1918 წელს. ამ დროს კი ბრიტანული ჯარი ირანიდან გასვლას ნამდვილად არ აპირებდა. კიდევ ერთი ნაბიჯი კონცესიების დათმობა იყო, რომელთა უმეტესობაც მაინც ცარისტული ეპოქის ბიზნესმენებს ეკუთვნოდათ. კონცესიების დათმობა 1921 წლის შეთანხმებაშიც აისახა, რომელიც ყველა ცარისტულ კონცესიას ირანს უთმობდა (Volodarsky 1994). თუმცა ამ გულუხვ ნაბიჯს მოჰყვა აქტიური ძალისხმევა, რომ არც სხვა სახელმწიფოებს მიეღოთ მსგავსი უფლებები. მაგალითად, საბჭოელები მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ ხომტარიას კონცესიების ვინმესთვის გადაცემას. ეს კონცესია აკაკი ხომტარიას გადაეცა 1916 წელს, თუმცა მეჯლისს⁵ მისი რატიფიკაცია არ ჰქონდა გაკეთებული (Mirfendereski 2001). თუმცა ხომტარიამ ამ კონცესიისგან ხეირი მაინც ნახა და იგი „ანგლო-სპარსულ ნავთობის კომპანიას“ მიჰყიდა, რამაც საბჭოთა-ბრიტანული დავა წარმოშვა. ბრიტანელები იმ ფაქტსაც კი იყენებდნენ, რომ ხომტარია ქართველი იყო, მიუხედავად იმისა, რომ კონცესიის გაცემისას საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო. მაშინდელმა პრემიერმინისტრმა (1921 წლის ნოემბერი) ყავამ ას-სალთანემ ორივეს არგუმენტები უარყო, რადგან თუ რატიფიკაცია მომხდარი არ იყო, ე.ი. არც კონცესია არსებობდა, და შესაბამისი კონცესიები უკვე ამერიკულ „Standard Oil“-ს მიჰყიდა (Volodarsky 1994). კონცესიების შესახებ საბჭოელთა დაჟინებული მოთხოვნები კი ირანელთათვის ცარისტული პოლიტიკის გაგრძელებას ჰგავდა და

3 უმაღლესი შიიტი სასულიერო პირები.

4 1910-იან წლებში ირანში პრემიერმინისტრები სწრაფ-სწრაფად იცვლებოდნენ.

5 ირანის პარლამენტი.

ბოლშევიკების კეთილსამყოფლობის იმიჯს ვნებდა (Volodarsky 1994).

ასეთ განწყობას ხელს უწყობდა 1921 წელს ირანში საბჭოთა ელჩი თეოდორ როტშტიინი, რომელიც ასევე აქტიურად ერეოდა ირანის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა პრესასთან და ხშირად გაზეთებში საბჭოთა საელჩოდან მინოდებული მასალები იბეჭდებოდა. რაც არ უნდა უცნაური იყოს, მას ხშირად სტუმრობდა ბრიტანელთაგან მხარდაჭერილი რეზა-ხანიც, რომელსაც გადატრიალება უკვე მოწყობილი ჰქონდა და ნელ-ნელა ძალაუფლებას იხვეჭდა (Volodarsky 1994). თუმცა როტშტიინის წინამორბედმაც ბევრი კავშირის დამყარება მოახერხა უფრო რთულ 1918-1919 წლებში. ივან კოლომიციცევის ელჩობა რუსეთის სამოქალაქო ომის იმ პერიოდს ემთხვეოდა, როდესაც ბოლშევიკებს ყველაზე მეტად უჭირდათ. ირანის მთავრობა დიდხანს იყენებდა იმ ფაქტს, რომ კოლომიციცევის მივლინების წერილზე ხელი სტეფან შაუმიანს⁶ ჰქონდა მოწერილი, და არ აღიარებდა კოლომიციცეს ელჩად. თანაც ამ დროს ირანში აქტიურად მოქმედებდა რუსი კაზაკების რაზმები, რომლებიც მუდმივად თავს ესხმოდნენ საბჭოთა დელეგაციას. 1918 წლის ნოემბერში მათ საელჩო დაარბიეს, თუმცა კოლომიციცემა მოახერხა მოკავშირე ირანელებთან თავის შეფარება, მოსკოვში გამგზავრება და უკვე მოსკოვში ხელმოწერილი მივლინების წერილით ირანში დაბრუნება მომდევნო წელს. დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში იგი კაზაკებმა მოკლეს (Cronin 2012).

რუსეთის სამოქალაქო ომმა დიდი გავლენა მოახდინა ადრეულ საბჭოთა-ირანულ ურთიერთობებზე. ომის პირველ წლებში ჯერ კიდევ არსებობდა ცარისტული რუსეთის წარმომადგენლობა ირანში, რომელიც წარმატებით ახერხებდა საბჭოთა წარმომადგენლობის ლეგიტიმაციისთვის ძირის გამოთხრას. გარდა ამისა, რუსი კაზაკების რაზმები ვსევოლოდ სტაროსელსკის მეთაურობით აქტიურად მოქმედებდნენ ირანის ტერიტორიაზე. საბჭოთა ელჩსა და საელჩოზე თავდასხმების გარდა, 1920 წელს ისინი გილანში ბოლშევიკურ ინტერვენციასაც ებრძოდნენ. იმავე წლის აგვისტოში მან ირანელ კომუნისტებსა და ჯანგალიელთა შორის უთანხმოება გამოიყენა და მისმა რუსულ-ირანულმა ძალებმა რაშით⁷ და მაზანდარანი⁸ აიღეს (Sicker 1988). თუმცა სამოქალაქო ომში ბოლშევიკების წინსვლასთან ერთად ირანის რუსული კაზაკური შენაერთები ბრიტანულ ძალებს დაექვემდებარა.

გარდა ამისა, სწორედ სამოქალაქო ომი გახდა ბოლშევიკების ირანში შეჭრის საბაზი. 1920 წლის აპრილში ბაქოს ალების შემდეგ გენერალ დენიკინის ძალებმა ენზელისკენ დაიხიეს, ხოლო ენზელიზე თავდასხმა ბაქოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იყო საჭირო. მანამდეც უკვე ირანის მთავრობა უფრთხოდა მოახლოებულ წითელ არმიას. ინტერვენციამდე პრემიერმინისტრმა ვოსუყ ად-დოულემ ბრიტანელებს კავკასიურ რესპუბლიკებში დაბრუნებაც კი სთხოვა (Bast 2012), თუმცა ლოიდ ჯორჯის პოლიტიკა ამას აღარ ითვალისწინებდა. ირანი თვითონაც ცდილობდა კავკასიურ რესპუბლიკებთან კავშირის დამყარებას. ბაქოში გაგზავნეს სეიედ ზია ად-დინი⁹

6 სტეფან შაუმიანი სხვა ბაქოელ კომისრებთან ერთად 1918 წლის სექტემბერში დახვრიტეს.

7 გილანის პროვინციის დედაქალაქი.

8 ირანის კასპისპირა პროვინცია, გილანის აღმოსავლეთით.

9 სეიედ ზია ად-დინ (თაბათაბაი) 1921 წლის 21 თებერვლის გადატრიალების შემდეგ მცირე ხნით პრემიერმინისტრი გახდა.

ირანის ელჩად აზერბაიჯანსა და საქართველოში. თუმცა აღიარების პროცესი ბაქოს გასაბჭოებამ ჩაშალა (Mirfendereski 2001). სხვა მნიშვნელოვანი ურთიერთობები ირანსა და კავკასიის რესპუბლიკებს შორის სახელმწიფოებრივ დონეზე არ შემდეგარა.

ირანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

რაც შეეხება ირანის სსრ-ს, ანუ „გილანის რესპუბლიკას“, აქ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ინტერვენციამ მხარი დაუჭირა უკვე მოქმედ ჯანგალიელთა¹⁰ მოძრაობას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მირზა ქუჩექ-ხანი, დაბადებული გილანის დედაქალაქ რაშთში, და ეჰსანოლა-ხანი, დაბადებული მაზანდარანის დედაქალაქ სარიში (Genis 2000). ქუჩექ-ხანი გავლენიანი და პოპულარული ლიდერი იყო გილანში, მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული კონსტიტუციურ რევოლუციაშიც (Chaqueri 1995). 1918 წლიდან იგი უკვე აკონტროლებდა გილანის გარკვეულ ნაწილებს. ჯანგალიელთა მოძრაობის პოპულარობა ემთხვეოდა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებას, რომელიც გამძაფრდა 1918-1919 წლების შიმშილობით (Keddie 2003). ქუჩექ-ხანი ბოლშევიკებს ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ, ბრიტანელებისადმი მისი მტკიცე წინააღმდეგობის გამო. ამიტომაც ენზელის აღება ბოლშევიკებმა სწორედ მას ამცნეს, ხოლო მან რამდენიმე დღეში ლენინს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც წერდა, რომ მან ირანის სსრ გამოაცხადა „რაშთისკენ გზაზე“ (Volodarsky 1994). საგულისხმოა, რომ მან სწორედ ირანის და არა გილანის სსრ გამოაცხადა, რადგან ეს არ იყო სეპარატისტული მოძრაობა. მას ბოლშევიკური საფრთხის გამოყენება თეირანის ასაღებად უნდოდა (Chaqueri 1995).

მიუხედავად ამ ენთუზიაზმისა, მოსკოვში ირანის სოციალისტურ რევოლუციაზე აზრი გაყოფილი იყო. უკვე ენზელის ოპერაციის შემდეგ ჩიჩერინი მკაცრად აფრთხილებდა საბჭოთა ძალებს, რომ ენზელის არ უნდა გასცდნოდნენ და „ქალაქი უნდა დარჩენილიყო სპარსეთის სუვერენიტეტის ქვეშ“ (Volodarsky 1994). ინტერვენციას ძირითადად კავკასიელი ბოლშევიკები უჭერდნენ მხარს, სტალინი და ორჯონიკიძე – კავშიუროს ხელმძღვანელი. გარდა ამისა, „ირანბიურო“ სწორედ კავშიუროს დაქვემდებარებაში იყო და მასში შედიოდნენ: სერგო ორჯონიკიძე, ნარიმან ნარიმანოვი, ელენა სტასოვა, ბუდუ მდივანი და ანასტას მიქოიანი (Chaqueri 1995). სტალინის გეგმებში გილანის საბჭოთა რესპუბლიკის აღიარებაც შედიოდა, რომელსაც ჩიჩერინი „სტალინის გილანის რესპუბლიკას“ უწოდებდა (Volodarsky 1994:41). ირანის სსრ-ის დაცემის შემდეგ სტალინი განრისხებული იყო, რომ „ჩრდილოეთ სპარსეთის გასაბჭოებისა და ანექსიის“ გეგმები ჩაუვარდა ბოლშევიკი ლიდერების მხარდაჭერის არარსებობის გამო (Chaqueri 1995:367).

საბჭოთა ხელმძღვანელობის სკეპტიციზმი გამართლებული იყო. თვითონ ორჯონიკიძეც აღნიშნავდა, რომ „სპარსეთში არანაირი საბჭოთა მმართველობა არ იყო“, ხოლო მოსკოვში თვლიდნენ, რომ ქუჩექ-ხანის მთავრობა „ბურჟუა-ნაციონალისტი“ და „კომუნისტებისგან შორს“ იყო (Volodarsky 1994:39). ქუჩექ-ხანი მართლაც არ იყო კომუნისტი და კომუნისტური პროპაგანდის გავრცელებასაც ეწინააღმდეგებოდა (Sicker 1988). საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის ირანი კომუნისტური რევოლუციისთვის მზად არ იყო. ტროცკი თვლიდა, რომ გილანის რესპუბლიკა ძნე-

10 „ჯანგალ“ სპარსულად ტყის ნიშნავს, ხოლო „ჯანგალი“ – აქ: ტყეში გავარდნილს.

ლი შესანარჩუნებელი იქნებოდა, მაშინ როცა საბჭოთა აზერბაიჯანიც საფრთხეში იყო¹¹ (Volodarsky 1994). ჩიჩერინი თვლიდა, რომ მოსამზადებელი სამუშაოების გარეშე რევოლუცია შეუძლებელი იყო, ხოლო ლენინის აზრით, რევოლუცია ქვეყანას ბრიტანელებს ჩაუგდებდა ხელში (Sicker 1988). ასე რომ, ლენინისა და ჩიჩერინის პოლიტიკა თეირანის ცენტრალური ხელისუფლებისადმი იყო მიმართული, ხოლო შეთანხმების გაფორმების შემდეგ „გილანის რესპუბლიკა“ უკვე დაბრკოლებად იქცა საბჭოთა-ირანულ ურთიერთობებში.

გარდა ამისა, ზოგადი სიტუაცია გილანში საბჭოთა ხელმძღვანელობის აზრს უფრო მეტად ამყარებდა. ირანის სსრ-ის მთელი მოკლევნიანი ისტორია შიდა კონფლიქტებით არის დატვირთული. მიუხედავად საბჭოთა რესპუბლიკის ლიდერობისა, როგორც უკვე ითქვა, ქუჩე-ხანი კომუნისტი არ ყოფილა. ჯანგალიელთა მემარცხენე ფრთას ექსანოლა-ხანი მეთაურობდა, ხოლო ახალდაარსებული ირანის კომუნისტური პარტია (იკპ), რომელიც ჯანგალიელებთან კოალიციაში იყო, ქუჩე-ხანს რევოლუციის შეფერხებაში ადანაშაულებდა (Chaqueri 1995). აზრობრივი სხვადასხვაობა დაპირისპირებაშიც გადაიზარდა. 1920 წლის ივლისში კომუნისტებმა ქუჩე-ხანს გადატრიალება მოუწყვეს, თუმცა 1921 წლის მაისში ისევ შევიდნენ კოალიციაში ჯანგალიელებთან. შაქერის აზრით (1995), გადატრიალება ირანბიურომ მოაწყო, რომელიც შემდეგ ამას უარყოფდა. ამასთანავე, ვერც „გაერთიანებულმა ფრონტმა“ გაძლო დიდხანს, რადგან 1921 წლის სექტემბერში უკვე ქუჩე-ხანმა მოაწყო გადატრიალება, რომლის დროსაც იკპ-ის ბევრი წევრი დაიღუპა, მათ შორის პარტიის ლიდერი ჰეიდარ-ხან ამოღლი. მალევე შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა ქუჩე-ხანისა და ექსანოლა-ხანის მომხრეებს შორის (Volodarsky 1994). ქუჩე-ხანი გილანის მთებში გაიქცა, სადაც მალევე დაიღუპა, ხოლო ექსანოლა-ხანმა ბაქოს შეაფარა თავი, ჯანგალიელები კი რეზა-ხანის ძალებთან დამარცხდნენ.

ამავე პერიოდში საბჭოთა რუსეთს მოლაპარაკებები დაწყებული ჰქონდა დასავლეთთან. სავაჭრო მოლაპარაკებები დაწყებული იყო ბრიტანეთთან, რომლებიც დასრულდა კიდევ 1921 წლის მარტის შეთანხმებით. სამოქალაქო ომით დასუსტებული საბჭოთა რუსეთისთვის ეს მოლაპარაკებები მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც საბჭოთა ხელმძღვანელობა საკუთარ იმიჯს უფროთხილდებოდა. სტალინის წინააღმდეგობის მიუხედავად, 1920 წლის ნოემბერში პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს, სომხეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ ნებისმიერი ინტერვენციისგან თავის შეკავების შესახებ“ (Genis 2001:324). ირანში ინტერვენციის გამართლების მიზნით, ჩიჩერინი საბჭოთა რუსეთის ჩართულობასაც კი უარყოფდა და იქ მყოფ წითელ არმიას საბჭოთა აზერბაიჯანს მიანერდა, რომელზეც თითქოს „მოსკოვს არანაირი გავლენა არ ჰქონდა“ (Mirfendereski 2001:113).

ირანის, საქართველოსა და სომხეთის ერთ კონტექსტში ხსენება საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ იმავე წლის ნოემბერში დაიწყო სომხეთის გასაბჭოება. 1921 წლის თებერვალში წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა (Lang 1962), მაშინ როდესაც 1921 წლის ბოლოსთვის წითელი არმია ირანიდან პირიქით გამოვიდა. ირანის მსგავსად, კავკასიაში ინტერვენციის აქტიური მომხრეები და ხელმძღვანელები სტალინი და ორჯონიკიძე იყვნენ, მაშინ, როდესაც ლენინი

11 1920 წლის ზაფხულში საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკები გასაბჭოებული არ იყო.

და საბჭოთა ხელმძღვანელობა, ბრიტანეთთან შესაძლო კონფრონტაციის გამო, კავკასიის დაუყოვნებლივ გასაბჭოებაზე ფეხს ითრევდნენ (Genis 2000). თუმცა ამ მსგავსებებთან ერთად, ძირითადი განსხვავებებიც უნდა გამოიყოს: ლენინი და ჩიჩერინი სულაც არ ეწინააღმდეგებოდნენ კავკასიის გასაბჭოებას, ისინი უბრალოდ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ერიდებოდნენ (Genis 2000). გარდა ამისა, საჭიროა ითქვას, რომ საქართველო და სომხეთი რუსეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიები იყო და მათი ანექსია ირანის რომელიმე ტერიტორიის ანექსიაზე ბევრად ადვილი იქნებოდა. ამასთანავე, გილანის ირანისგან გამოყოფა არც ირანის სსრ-ის მიზანი არ იყო, სწორედ ამიტომ ერქვა მას „ირანის“ და არა „გილანის სსრ“. შესაბამისად, ირანის სსრ განწირული იყო მოსკოვიდან არასაკმარისი მხარდაჭერის გამო.

1921 წლის საბჭოთა-ირანული შეთანხმება

როგორც უკვე ითქვა, მოსკოვის ძირითადი ყურადღება შეთანხმების გაფორმებისკენ იყო მიმართული. ბოლშევიკებისთვის მთავარი მიზანი სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო, ხოლო ირანელთათვის – საბჭოთა ინტერვენციის დასრულება. მოლაპარაკებებზე პრემიერმინისტრმა ვოსუყ ად-დოულემ მოშავერ ალ-მამალექი გაგზავნა 1920 წლის მეორე ნახევარში. საბჭოთა ტაქტიკა ცარისტული პოზიციების დათმობას ითვალისწინებდა, თუმცა ხელსაყრელ დროს პროტენციური ნაბიჯებისათვის საფუძვლის მომზადება ასევე პრიორიტეტული იყო (Sicker 1988). 1921 წლის შეთანხმების მე-5 და მე-6 მუხლები სწორედ ამ პროტენციურ ნაბიჯებს ითვალისწინებდა. ეს მუხლები საბჭოთა რუსეთს ირანში ჯარების შეყვანის უფლებას აძლევდა, თუკი ირანის ტერიტორიიდან მას საფრთხე დაემუქრებოდა (Mirfendereski 2001). 1941 წელს სტალინმა სწორედ ეს მუხლები გამოიყენა, როდესაც მოკავშირე ბრიტანეთთან ერთად ირანის ოკუპაცია მოახდინა.

საბჭოთა-ირანულ შეთანხმებას 26 თებერვალს დაჩქარებით მოეწერა ხელი მას შემდეგ, რაც მოსკოვში რეზა-ხანის 21 თებერვლის გადატრიალების ამბავი მივიდა, რათა ამ გადატრიალებას შეთანხმების გაფორმებისთვის ხელი არ შეეშალა (Genis 2000, Bast 2012). საგულისხმოა, რომ გილანში შეთანხმების შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი იცოდნენ და არც მოლაპარაკებებში იყვნენ ჩართული (Genis 2000). ასე რომ, შეთანხმების გაფორმების შემდეგ ირანის სსრ მხოლოდ და მხოლოდ გამოყენებული ბერკეტი იყო, რომელიც უბრალოდ დაბრკოლება იყო შეთანხმების რატიფიკაციისათვის. მართლაც, ირანის მეჯლისმა სწორედ „გილანის რესპუბლიკის“ დამხობის შემდეგ მოახდინა შეთანხმების რატიფიკაცია.

ირანის სსრ 1921 წლის ბოლოს დაემხო, თუმცა როდესაც 1941 წელს სსრკ კიდევ ერთხელ შეიჭრა ირანში, „გილანის რესპუბლიკიდან“ პოლიტიკურ ასპარეზზე აღარავინ იყო დარჩენილი. ის ირანელი კომუნისტები და ჯანგალიელები, რომლებიც რეზა შაჰის რეპრესიებს საბჭოთა კავშირში გამოექცნენ, კავბიუროსა და ირანბიუროს უმეტეს წევრთან ერთად სტალინურ რეპრესიებს ემსხვერპლნენ¹² (Chaqueri 1995). ფაქტობრივად, 20 წლის შემდეგ ირანის სსრ-სთან დაკავშირებული პირებიდან პოლიტიკურ ასპარეზზე მხოლოდ სტალინი იყო დარჩენილი, რომელსაც სტალინური ისტორიოგრაფია მთელ კავკასიაში რევოლუციური მოძრაობების

12 მათ შორის ბაქოში მცხოვრები ეჰსანოლა-ხანიც.

წამყვან ძალად აღიარებდა (Yazdani 2012).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა-ირანულ ურთიერთობებში ირანის სსრ-მ მხოლოდ ბერკეტის როლი შეასრულა, თუმცა ამიერკავკასიის გასაბჭოების საქმეში გილანში ინტერვენციამ წითელი ბაქოს უსაფრთხოება უზრუნველყო, რამაც, ფაქტობრივად, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების ბედიც გადაწყვიტა. მიუხედავად იმ მსგავსებებისა, რომ ირანშიც და ამიერკავკასიაშიც საბჭოთა ინტერვენციის მოთავენი, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ბოლშევიკები იყვნენ, „გილანის რესპუბლიკის“ შენარჩუნება მაშინდელი საბჭოთა რუსეთისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა. ამას თან ერთვოდა ჯანგალიელთა მოძრაობის არასეპარატისტული ხასიათი და შიდა კონფლიქტები როგორც ირანის კომუნისტურ პარტიასთან, ასევე თვითონ ჯანგალიელთა შორის. ადრეული საბჭოთა-ირანული ურთიერთობების მთავარი შედეგი კი 1921 წლის საბჭოთა-ირანული შეთანხმება გახდა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ფონად გასდევდა ურთიერთობებს სსრკ-სა და ირანს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

Abrahamian, E., & Dawson, E., 2008. *A history of modern Iran*. Cambridge: Cambridge University Press

Bast, O. (2012). Duping the British and outwitting the Russians: Iran's foreign policy, the „Bolshevik threat,“ and the genesis of the Soviet-Iranian Treaty of 1921. In: Cronin, S. *Iranian-Russian encounters: empires and revolutions since 1800*. Milton Park, Abingdon, Oxon; New York, N.Y.: Routledge

Chaqueri, C., 1995. *The Soviet Socialist Republic of Iran, 1920-1921: Birth of the trauma*. Pittsburgh: University of Pittsburgh Press

Cronin, S. (2012). Deserters, Converts, Cossacks and Revolutionaries: Russians in Iranian Military Service, 1800-1920. In: Cronin, S. *Iranian-Russian encounters: empires and revolutions since 1800*. Milton Park, Abingdon, Oxon; New York, N.Y.: Routledge

Genis, V., 2000. *Krasnaia Persiia: Bol'sheviki v Giliane 1920-1921: Dokumental'naiia Khronika* (Russian), n.p.: Middle Eastern & Central Asian Studies

Keddie, N. R., & Richard, Y., 2003. *Modern Iran: Roots and results of revolution*. New Haven, Conn.: Yale University Press

Lang, D. M., 1962. *A modern history of Georgia*. London: Weidenfeld and Nicolson.

Mirfendereski, G., 2001. *A diplomatic history of the Caspian Sea*. New York: Basingstoke: Palgrave

Sicker, M., 1988. *The bear and the lion: Soviet imperialism and Iran*. New York: Praeger

Volodarsky, M. I., 1994. *The Soviet Union and its southern neighbours Iran and Afghanistan, 1917-1933*. Ilford: Frank Cass

Yazdani, S. (2012). The Question of the Iranian Ijtima'iyun-e 'Amiyun Party. In: Cronin, S. *Iranian-Russian encounters: empires and revolutions since 1800*. Milton Park, Abingdon, Oxon; New York, N.Y.: Routledge

THE SOVIET SOCIALIST REPUBLIC OF IRAN: SOVIET INTERVENTION IN IRAN AND TRANSCAUCASIA

In May 1920, a month after Baku turned red, the Soviet fleet descended upon Enzeli, a port in northern Iran. With the support of the Soviet forces the head of Jangali movement Kuchek-Khan declared the Soviet Socialist Republic of Iran (SSRI), which existed till the end of 1921 in Gilan Province. However, according to the Soviet-Iranian Agreement, signed on February 26, 1921, Bolsheviks had to withdraw their forces from Iran. Without foreign support “Red Persia” torn with internal conflicts, ceased existence.

While the Bolsheviks were leaving Iran, they were succeeding in Sovietization of Transcaucasia, even though there were disagreements on both interventions in the Soviet leadership. Moreover, “Iranburo” was created under “Kavburo” (Caucasus Bureau) and was dealing with the intervention. Interestingly, its leading members were: Sergo Orjonikidze, a famous Georgian Bolshevik, Nariman Narimanov, later the leader of Soviet Azerbaijan, Budu Mdivani, later the leader of Soviet Georgia, Elena Stasova, and Anastas Mikoyan, a famous Armenian Bolshevik and an associate of Stalin and Orjonikidze.

The aim of this article is to compare these two cases and assert why the Bolsheviks retreated from Iran, when they succeeded in Sovietizing Transcaucasia. This article discusses not only “Gilan Republic” itself, but also early Soviet-Iranian relations, which had great influence over these events.

This article asserts that:

- Bolshevik seizure of power had great impact over history of Iran, as in the 1910s Iran was under a partial colonial regime of Russia and Britain. First ‘anti-imperialist’ steps of the Soviet Russia, such as renunciation of oil concessions and withdrawal of forces changed the status-quo and earned Bolsheviks some sympathies in Iran. However, spill-over of the Russian Civil War and invasion in Gilan damaged Moscow’s reputation;
- The Soviet leadership disagreed over the SSRI: Stalin and Orjonikidze insisted on continuing the intervention, while Lenin, Trotsky and Georgy Chicherin were suspicious of the SSRI. Furthermore, the continuous inner conflict in Gilan did not facilitate to creation of a stable government and proved Iran was not ready for a communist revolution from the Marxist point of view;
- The main goal of the Soviet leadership was to reach an agreement with Iran, which was eventually signed on February 26, 1921; however, the Iranian Majlis only ratified it after the withdrawal of the Soviet forces. The agreement was not discussed with the “Gilan Republic” at all, thus, it was only used as a leverage in the relations with Iran;
- Finally, the experiment of “Red Persia” was doomed to fail, as the Bolsheviks lacked resources for it. However, the “Gilan Republic” played a vital role in signing the 1921 Soviet-Iranian Agreement as well as in the full Soviet occupation of Transcaucasia.

პირველი რესპუბლიკის ბრძოლები დამოუკიდებლობისათვის **(ტაბახმელის №4 სანგარის არქეოლოგიური კვლევა)**

2018 წელს საქართველოს პირველ რესპუბლიკას ერთი საუკუნე შეუსრულდა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსებით, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის ინიციატივითა და ჩვენი უშუალო შესრულებით, 2017 წლის სექტემბერში განხორციელდა №4 სანგარის არქეოლოგიური შესწავლა.

ტაბახმელის №4 სანგარი გაიჭრა პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914 წელს და მიზნად ისახავდა თბილისის დაცვას ოსმალეთის არმიის შესაძლო შემოტევის შემთხვევაში.

სანგარმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 1921 წლის თებერვალში თბილისისთვის ბრძოლების დროს. როგორც ცნობილია, თბილისისთვის ბრძოლა ბოლშევიკურ რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს შორის გადამწყვეტი ბრძოლაა და მიმდინარეობდა 1921 წ. 16-24 თებერვალს. აღნიშნულ ომს „ტფილისის ოპერაციის“ სახელითაც მოიხსენიებენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში ის უფრო ცნობილია კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლების სახელით, რადგან კოჯორსაც და ტაბახმელასაც გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა თბილისის დაცვაში. ამ ბრძოლების ტრაგიკული შედეგები კარგადაა ცნობილი და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები გენერალ გიორგი კვინიტაძის საერთო სარდლობით ერთი კვირის მანძილზე გამიჯნულად იცავდნენ დედაქალაქის მისადგომებს, მაგრამ მე-11 ნითელი არმიის რიცხოზობის უპირატესობამ იძულებული გახადა ქართველი მე-ბრძოლები, პოზიციები დაეტოვებინათ და უკან დაეხიათ, რამაც, საბოლოო ჯამში, პირველი რესპუბლიკის დასასრულიც გამოიწვია.

1921 წლის 16 თებერვლის დილას რუსეთის მე-11 არმიის ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ტაბახმელამდე შეიქმნა სოლანლულის ფრონტი, რომელსაც სარდლობდა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. მის განკარგულებაში იყო 2500 ხიშტი, 5 საარტილერიო ბატარეა, 1 ჯავშნოსანი მატარებელი და 2 ჯავშან ტრანსპორტიორი. ტაბახმელადან კოჯორამდე ფრონტის ხაზის დაცვა დაევალა გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილს (სურ. 17). აქვე განლაგდა თბილისის სამხედრო სასწავლებლის რაზმი (160 იუნკერი და 350 კადეტი) (სურ. 19) პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის (სურ. 18) მეთაურობით. ტაბახმელის დამცველებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი 1921 წლის 19 თებერვალს, როდესაც ბოლშევიკებმა შეტევა წამოიწყეს ტაბახმელას მიმართულებით, მაგრამ თბილისის სამხედრო სასწავლებლის რაზმის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ და უკან დაიხიეს.

1921 წლის შემდეგ ტაბახმელის №4 სანგარმა, ბუნებრივია, ფუნქცია დაკარგა და მისი გამოყენება სასწავლო კუთხითაც კი აღარ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ ტაბახმელის ბრძოლებიდან 96 წელი გავიდა, სანგრის კონტურები კარგად იყო შემორჩენილი (სურ. 1). გათხრების დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ სანგარი ამოჭრილი იყო კლდის დედაქანში და შესაბამისად, იგი ღრმა არ უნდა ყოფილიყო. ჩვენს წინაშეა ე.წ. მარტივი ტიპის სანგარი, რომელიც გათხრილია 116 მეტრის სიგრძეზე და აქვს ზიგზაგის ფორმა (სურ. 2; სურ. 15; სურ.16). სანგრის თავსა (დასავლეთით) და ბოლოში (აღმოსავლეთით) ფიქსირდება ბლინდაჟები. სწორედ ისინი გამოირჩევა სიღრმით და მათი სიგანეც თვალშისაცემია დანარჩენ თხრილთან შედარებით. აღმოსავლეთი ბლინდაჟის ზომებია: სიგრძე – 5.2 მ.; სიგანე – 3.4 მ.; სიღრმე – 1.1 მ. (სურ. 3). დასავლეთის ბლინდაჟი შედარებით მცირე ზომებისაა: სიგრძე – 4 მ. სიგანე – 3 მ. სიღრმე – 0.45 მ. (სურ.4). ორივე ბლინდაჟი, ისევე როგორც მთლიანად სანგარი, გათხრილია კლდოვან ქანში.

როგორც აღინიშნა, საკუთრივ სანგრის თხრილი ზიგზაგისებურად მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. თხრილის სიღრმე 30 სმ-ია; სიგანე 1-1.20 მ. (სურ. 2). სანგრის თხრილი ალაგ-ალაგ შეჭრილია და ეს ვითარება განპირობებულია მოწინააღმდეგის პოზიციებისთვის ცეცხლის უკეთ გახსნის მიზნით. ამ მონაკვეთებში სანგრის სიგანე 2 მ-ს აღწევს (სურ. 5). დასავლეთის ბლინდაჟიდან 26 მ-ის აღმოსავლეთით სანგარი საგრძნობლადაა გაფართოებული (ზომები 4X3 მ. სიღრმე – 55 სმ.). თუმცა, მისი რეალური ფუნქცია ამ ეტაპზე ვერ დავადგინეთ. მართალია, იგი მოყვანილობით წააგავს ბლინდაჟს, მაგრამ 116 მეტრის სიგრძის სანგარში სამი ბლინდაჟის არსებობა მიზანშეწონილად არ უნდა ყოფილიყო (სურ. 6). ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად სანგარი სწორედ ამ მონაკვეთამდე იყო გათხრილი და 1921 წელს მას მიემატა 26 მეტრი დასავლეთი ბლინდაჟის ჩათვლით და სწორედ მაშინ მიიღო სანგარმა ის სახე, რა ფორმითაც დღემდეა შემორჩენილი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე სანგარი გათხრილია სტრატეგიულად საკმაოდ მოხერხებულ ადგილზე – ამაღლებულ ბორცვზე, საიდანაც კარგად კონტროლდება დიდი არეალი და კარგი ხილვადობის პირობებში ჩანს ქვემო ქართლის მოზრდილი ტერიტორიები, ანუ ის ადგილები, საიდანაც მოსალოდნელი იყო მტრის თავდახმა (სურ. 2).

არქეოლოგიური გათხრების პროცესში დადგინდა რამდენიმე დეტალი. კერძოდ, გაირკვა, რომ აღმოსავლეთი ბლინდაჟიდან 55 მეტრის დაშორებით მდებარეობდა სამეთაურო პუნქტი და საველე ტელეფონი (სურ. 7; სურ. 15; სურ. 16). ასეთი ფიქრის საფუძველს იძლევა აქ ოთხკუთხა ნივთების აღმოჩენა, რომლებიც დაფარულია ცინკის თხელი ფირფიტებით. ფირფიტებს შორის სივრცე შევსებულია გუდრონით და შეკრულია დაზეთილი ქალაღლით (სურ. 9). აღნიშნული არტეფაქტები წარმოადგენს გალვანური ელემენტის ნაწილებს, საველე ტელეფონის კვების წყაროს [Нелюбин 2013:118-119]. სატელეფონო წერტილიდან დასავლეთით 18 მეტრის დაშორებით სანგრის თხრილი 4 მ-ის სიგრძეზე საგრძობლად იყო ჩაღრმავებული (70-80 სმ.). აქ დაფიქსირდა მჭიდებისა და ვაზნების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა (სურ. 8). აქვე აღმოჩნდა უნიფორმის ნაფლეთები და სასიგნალო შაშხანის გასროლილი მასრა. უნიფორმის ნაფლეთები წარმოადგენს მოლურჯო ფერის ნაჭერს (სურ. 10). სწორედ ამ ფერის ფორმა ემოსათ ქართველ იუნკრებს და მათი ფრაგმენტ-

ტების აღმოჩენა შეიძლება იმას მიანიშნებდეს, რომ ამ მონაკვეთზე ხელჩართული ბრძოლებიც მიმდინარეობა. საკმაოდ საინტერესო არტეფაქტებია სასიგნალო მაშხალის ჰილზის ფრაგმენტები (სურ. 11). ამით იუნკრები შესაძლოა დახმარებას ითხოვდნენ მტრის მოულოდნელი თავდასხმის გამო. აქვე დაფიქსირდა სამხედრო ჩექმის რკინის ნალიც, თუმცა კონკრეტულად ვის ეკუთვნოდა იგი, ქართველ მებრძოლს თუ ბოლშევიკ ოკუპანტს, ამის დადგენა ჭირს.

ნახსენები არტეფაქტების გარდა, თვალშისაცემია საბრძოლო ვაზნებისა და შაშხანის კლიპების (მჭიდების) სიმრავლე. ვაზნებს შორის გვხვდება როგორც გაუსროლელი (სურ. 13), ასევე – გასროლილი მასრები (სურ. 14). ისინი ძირითადად ამერიკული, ბრიტანული, გერმანული და რუსული წარმოებისაა. მათი კალიბრის ზომები არაერთგვაროვანია. ბრიტანული წარმოების მასრების კალიბრის ზომაა 7.7×5.6 მმ., ხოლო რუსულის – 7.62×5.4 მმ. ინგლისური ვაზნები დამზადებულია შემდეგ ქარხნებში:

Birmingham Metal and Munitions Co¹ და Kynoch&Co.Witton²; ამერიკული წარმოების ვაზნები უმეტესწილად სამი ფირმისაა: Peters Cartridge Company, Kings Mills, Ohio³, United States Cartridge Company Lowell, Massachusetts⁴ და Remington Arms Company⁵. ეს ვაზნები დამზადდა პროგრამით For Russia და მიენოდა რუსეთის საიმპერიო არმიას პირველი მსოფლიოს ომის დროს.

გერმანული და ავსტრიული წარმოების ვაზნები ეკუთვნის კომპანიებს Deutsche Waffen und Munitionsfabriken AG. Karlsruhe⁶ და Hirtenberger AG.⁷ დამზადდა რუსული კალიბრისთვის 7.62×5.4. რუსეთის იმპერიაში დამზადებული ცალები პეტერბურგისა⁸ და ლუგანსკის⁹ ქარხნებშია წარმოებული.

ტაბახმელის №4 სანგარში აღმოჩენილი თითქმის ყველა ვაზნა გამოშვებულია 1905–1917 წლებში. იგივე შეიძლება ითქვას შაშხანის კლიპებთან (მჭიდებთან) დაკავშირებითაც. მჭიდების აბსოლუტური უმრავლესობა ინგლისური ფირმის „ლი ენფილდის“ პროდუქციაა¹⁰. თუმცა, რამდენიმე ცალი იაპონური ფირმის „არისაკას“ წარმოებულია¹¹ (სურ. 14). და ბოლოს უნდა აღვნიშნოთ კიდევ ორი არტეფაქტი. ესენია შინელის ლილი და შაშხანის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ლუისის ფირმის შაშხანის ჩამკეტს (სურ.12) [Grant. 2014].

არქეოლოგიური გათხრების პროცესში მოპოვებულია სულ სულ 182 არტეფაქ-

1 <https://www.gracesguide.co.uk>

2 <http://www.leedsengine.info/leeds/histgbat.asp>

3 <http://www.petersCartridgeCompany.us>

4 <http://abandonedonline.net/locations/industry/peters-cartridge-company>

5 <https://www.remington.com>

6 <http://www.lugerlp08.com>

7 <http://www.hirtenberger.com/en>

8 <http://www.imha.ru>

9 <http://www.lcw.lg.ua>

10 <http://candrsenal.com/rifle-short-magazine-lee-enfield-mk-v>

11 <http://www.carbinesforcollectors.com/arisaka1.html>

ტი. მათგან: მასრა 38 ცალი, გაუსროლელი ვაზნა 5 ცალი, მჭიდი (მარკერი) 115 ცალი, საველე ტელეფონის ელემენტი 16 ცალი, შინელის ლილი 1 ცალი, შაშხანის ჩამკეტი 1 ცალი, სასიგნალო მაშხალის მასრა 2 ცალი, იუნკრების უნიფორმის 3 ნაჭერი და სამხედრო ჩექმის ნალი 1 ცალი.

როგორც აღინიშნა, ტაბახმელის მეოთხე სანგარი სიღრმით არ გამოირჩეოდა და როგორც არქეოლოგიური გათხრების პროცესში გაირკვა, იგი სათანადაოდ აღჭურვილიც არ იყო. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია გენერალ გიორგი კვინიტაძის მოგონებები, რომ თბილისის გასამაგრებლად გამოიყო 10 მილიონი მანეთი [კვინიტაძე 1954; 14], მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომისათვის, კოჯორ-ტაბახმელას მონაკვეთზე არსებული სანგრები საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იყო. 1921 წლის 18 თებერვალს პოზიცია დაათვალიერა იუნკერმა მიხეილ დადიანმა და შემდგომში აღნიშნავდა, რომ „სანგრები საშინელ მდგომარეობაში იყო. ნიაღვრებისგან ჩარეცხილი სანგრები ძალიან ცოტა მფარველობას უწევდნენ მსროლელებს. დიდი განსხვავება არ იყო შიგ ვიჯექით, თუ ტრიალ მინდორზე ვინექით. მიუხედავად ამისა, სკოლა ამ სანგრებში განაწილდა“ [დადიანი 2007; 20]. იუნკერი და შემდგომში ფრანგული არმიის პოლკოვნიკი ნიკოლოზ (კუკური) თოხაძის თქმით კი, „ეს იყო უბრალო თხრილები, ნიაღვრების კალაპოტი, ზოგჯერ სულ გავერანებული და უვარგისი“ [თოხაძე 1981; 60].

სანგრების დაუცველ და ცუდ მდგომარეობას ადასტურებს 1921 წლის ომის დროს სამხედრო სკოლის მეთაური პოლკოვნიკი (ემიგრაციის წლებში პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი) ალექსნადრე ჩხეიძე [ჩხეიძე 1933; 32]. თავდაცვითი პოზიციების პრობლემურობას ასევე ადასტურებენ იუნკრები – ნიკოლოზ მათიკაშვილი და მიხეილ კვალიაშვილიც, რომლებიც წერდნენ, რომ თოვლით დაფარული, გაყინული მიწის სანგრებად და ძნელად მისადგომ პოზიციებად გადაქცევა დიდ ჯაფას მოითხოვდა, თუმცა მისივე მტკიცებით იუნკრებმა მოასწრეს მტრის გამოჩენამდე სანგრების, სადარაჯო პუნქტების, ტყვიამფრქვევთა სადგომების მოწყობა და შენიღბვა [მათიკაშვილი, კვალიაშვილი 1990. 12-13].

ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა ყველა ზემოთ თქმული მოგონებების სისწორე და ობიექტურობა.

ისტორიკოს დ.სილაქაძის და ოფიცერ პ.გიგაურის ვარაუდით, ტაბახმელის მეოთხე სანგრის ზომებიდან გამომდინარე, უშუალოდ სანგრებში, სავარაუდოდ, ერთი ან ორი ასეული უნდა ყოფილიყო განთავსებული [სილაქაძე, გიგაური 2017], სანგრის უკან კი, მარჯვენა მხარეს, 23 თებერვლიდან განლაგებული იყო საარტილერიო ბატარეის ოცეული ლეიტენანტ მესხიშვილის მეთაურობით [ჩხეიძე 1933. 49-50].

ასეთი იყო ტაბახმელის №4 სანგრის არქეოლოგიური კვლევის შედეგები. ექსპედიციის თითოეულ მონაწილეს მიაჩნია, რომ ამ საქმით მოკრძალებული პატივი მიაგო იმ გმირ მებრძოლებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის რეალობაც, რომ ტაბახმელის მეოთხე სანგარი არქეოლოგიურად შესწავლილი პირველი საბრძოლო ობიექტია საქართველოში. არ გამოვრიცხავთ, ამ ფაქტმა დასაბამი მისცეს ჩვენში ბატალური არქეოლოგიის განვითარებას და ახლო თუ შორეული წარსულის სხვა საბრძოლო ადგილების არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

დადიანი 2007. მიხეილ დადიანი. რაც მახსოვს. პუბლიკაცია მოამზადა გიორგი მამულიამ. ჟურნალი თანამემამულე. №3 (24). პარიზი 2007

თოხაძე 1981. ნიკოლოზ (კუკუერი) თოხაძე. წარმოთქმული სიტყვა, ქართული სათვისტომოს კრებაზე, პარიზში, 1971 წლის 19 მარტს. დაპყრობის 60 წლისთავი. პარიზი 1981

კვინიტაძე 1954. გიორგი კვინიტაძე. ჩემი პასუხი. პარიზი 1954

მათიკაშვილი. კვალიაშვილი 1990. ნიკოლოზ მათიკაშვილი, მიხეილ კვალიაშვილი. იუნკრები. თბილისი 1990

სილაქაძე. გიგაური 2017. დიმიტრი სილაქაძე, პაატა გიგაური, ტაბახმელას №4 სანგრის ისტორია და სანგარზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგების მნიშვნელობა <http://legionerebi.com/angarishi.html>

ჩხეიძე 1933. ალექსანდრე ჩხეიძე. სამხედრო სკოლა. ჟურნალი მხედარი. №13. პარიზი 1933

Grant 2014. Grant, Neil, The Lewis Gun. Oxford. 2014

Нелюбин 2103 Нелюбин Л.Л. Иллюстрированный военно-технический словарь. Москва 2013

https://www.gracesguide.co.uk/Birmingham_Metal_and_Munitions_Co

https://www.gracesguide.co.uk/Birmingham_Metal_and_Munitions_Co, Kings Norton Metal Co; Birmingham

<http://discovery.nationalarchives.gov.uk/details/c/F161545>

<http://www.leedsengine.info/leeds/histgbat.asp>

<http://www.peterscartridge.com>

<http://abandonedonline.net/locations/industry/peters-cartridge-company>

<https://www.remington.com>

<http://www.lugerlp08.com>

<http://www.hirtenberger.com/en/>

[http://www.imha.ru/1144536250-sankt-peterburgskiy-patronnyy-zavod.html#.WbmCz7I-](http://www.imha.ru/1144536250-sankt-peterburgskiy-patronnyy-zavod.html#.WbmCz7I-jHIU)

[jHIU](http://www.imha.ru/1144536250-sankt-peterburgskiy-patronnyy-zavod.html#.WbmCz7I-jHIU)

<http://www.lcw.lg.ua/index.php/en/>

<http://candrsenal.com/rifle-short-magazine-lee-enfield-mk-v/>

<http://www.carbinesforcollectors.com/arisaka1.html>

Zurab Bragvadze
Professor
Caucasus University

THE FIRST REPUBLIC BATTLES FOR INDEPENDENCE
(Archaeological Research of Tabakhmela Rampart N4)

In 2018 Georgia celebrates the 100 anniversary of the first republic. For this occasion the General Mazniashvili State Young Legion archeological excavations were carried out at Tabakhmela rampart N4. Excavations were financed by the Reserve Fund of the President of Georgia. Archaeological researches were conducted under my direction.

Even after 96 years from the Tabakhmela battle, the trench outlines were well visible. It was clear from the beginning of the excavations that trench was cut in the rock layer of a cliff, which meant it couldn't be deep. Before us lays the so called 116-meter long, zigzag shaped, plain trench.

It is worth mentioning that Tabakhmela rampart N4 is the first archeologically studied battlefield in Georgia. We do not exclude the possibility that this precedent will encourage development of Battlefield archaeology in Georgia, and other battlefields from the distant or near past will be studied from archeological perspective.




სურ. 1 სანგრის კონტურები



სურ. 2 სანგრის ხედი




სურ. 3 აღმოსავლეთის ბლინდაჟი



სურ. 4 დასავლეთის ბლინდაჟი



სურ. 5 სანგარის შეჭრილი ადგილები




სურ. 6 სანგრის გაფართოებული ადგილი



სურ. 7 სამეთაურო პუნქტი




სურ. 8 ხელჩართული ბრძოლის ადგილი




სურ. 9 საველე ტელეფონის ელემენტები



სურ. 10 იუნკრების უნიფორმის ნაფლეთები




სურ.11 სასიგნალო შაშხანის ჰილზები




სურ. 12 „ლუისის“ შაშხანის ჩამკეტი




სურ.13 გაუსროლელი ვაზნები



სურ.14 იაპონური „არისაკას“ მჭიდები



სურ. 15 სანგარი 3D



სურ. 16 სანგრის აქსიონომეტრია



სურ.17 გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი სურ. 18 პოლკოვნიკი ალ.ჩხეიძე



სურ.19 ტაბახმელის ბრძოლების ქართველი იუნკრები

საქართველო და ქართველები ქეთევან დავრიშვილის შემოქმედებაში

ზოგჯერ ლიტერატურული ნაწარმოებებიც შეიძლება ისტორიული მოვლენების ამსახველ პირველწყაროდ მოგვევლინოს და ამის კარგი მაგალითია ქართული წარმომავლობის ფრანგი მწერლის, ქეთევან დავრიშვილის (დავრიშვილი) შემოქმედება. ქეთევან დავრიშვილი დაიბადა 1965 წ. პარიზში. მისი დიდი ბაბუა დედის მხრიდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მინათმთქმედებისა და შრომის მინისტრი ნოე ხომერიკი, მამის მხრიდან კი იოსებ დავრიშვილი, სტალინის სავარაუდო ნახევარძმა. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი ნაწარმოები ბავშვებისა და ახალგაზრდობისთვის, რომლებშიც ხშირად მოქმედება საფრანგეთში ემიგრირებულ ქართულ ოჯახში ხდება; არის არაერთი რომანის ავტორი. 2010 წ. ქეთევან დავრიშვიმ გამოაქვეყნა რომანი „შავი ზღვა“, რომელიც ითარგმნა გერმანულ, ქართულ, იტალიურ, ჰოლანდიურ და შვედურ ენებზე და დაიმსახურა „ფემინას“, „ლანდერნოს“, „პრინცი მორისის“ პრემიები. 2016 წელს კი „სხვა იოსები“, რომელსაც „დე მაგოს“ (Deux Magots) ლიტერატურული პრემია მიენიჭა. ჩვენ აქ მის მხოლოდ ოთხ ნაწარმოებს „დაუპატიჟებელ სტუმარს“, „სარკმელს“, „შავ ზღვასა“, და „სხვა იოსებს“ შევხებით, რომელთა პერსონაჟებიც საფრანგეთში ემიგრირებული ქართველები არიან.

მოთხრობაში „დაუპატიჟებელი სტუმარი“ ავტორი გადმოგვცემს ემიგრირებულ ოჯახში დაბადებული ბავშვების ქედმაღლურ და ზიზღნარევ დამოკიდებულებას საქართველოდან ჩასული მათი თანატოლი ბავშვის მიმართ. დასცინიან მის იერ-სახეს, ჩაცმულობას. მიაჩნიათ, რომ მას „საბჭოთა კავშირის სუნი ასდის“¹, მაგრამ მალე რწმუნდებიან, რომ ის არაფრით ჩამოუვარდება და ხშირად გაცილებით ღირსეულია, ვიდრე მათი ფრანგი მეგობრები.

რომანში „შავი ზღვა“ ავტორმა მხატვრულად გადმოგვცა დედამისის ოჯახის ისტორია. ოჯახი ტიფლისში ცხოვრობდა. მთავარი გმირის, თამუნის მამა, – რომლის პროტოტიპიც ნოე ხომერიკია, – ნოე ჟორდანის მთავრობის სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო. ნაწარმოებში ზედმინევენით კარგადაა ასახული გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებული ვითარება და დატრიალებული მოვლენები. „ერთმანეთთან ქართულად ვსაუბრობდით, ეს ოჯახის ენა იყო, არდადეგების. სკოლაში რუსულად უნდა გველაპარაკა. ასეთი იყო წესი. ქართული ძაღლების ენააო, გვითხრა მასწავლებელმა. თუ ამ აკრძალვას დავარღვევდით, მკაცრად გვსჯიდნენ“.² ამ მტკივნეულ საკითხს იგი სხვა რომანშიც მიუბრუნდება. ავტორი მოგვითხრობს, როგორ გაემგზავრა მთელი მთავრობა და მასთან ერთად მისი ოჯახი ემიგრაციაში. ერთ ღამეს რომანის მთავარი გმირი, თამუნა მამა-

1 K.Davrichewy, On ne t'attendait pas, p.27

2 ქ. დავრიშვილი, შავი ზღვა, თბ., 2012, გვ.8-9

მისს დაელაპარაკა და მათი საუბარი იმ ეპოქის ქეშმარიტი სურათია. „პირველად მელაპარაკა როგორც დიდს, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა კრებამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს ნამდვილი მოვლენა იყო. საუკუნეზე მეტი ხანი ქვეყანა რუსებს ჰქონდათ ანექსირებული[...]. 1919 წლის თებერვალში არჩევნები ჩატარდა. ოც წელს გადაბიჯებულ ყველა მამაკაცსა თუ ქალს შეეძლო ხმის მიცემა. სოციალ-დემოკრატიული პარტია ხმების 85%-ით გავიდა. მამაჩემი სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნეს. ნოე ჟორდანიას პრეზიდენტი გახდა. მათ წინაშე უზარმაზარი ამოცანა იყო, რამდენიმე თვეში მნიშვნელოვანი რეფორმები წამოიწყეს. მელაპარაკა რეფორმებზე სოფლის მეურნეობაში, რომლის ავტორიც თავად გახლდათ და რამაც აჯანყება და რისხვა გამოიწვია. ძველ თავადაზნაურობას მიწები ჩამოართვეს და გლეხებსა და წვრილ მემამულეებს დაურიგეს. ესაა სოციალიზმის საფუძველი, – ამიხსნა მან. მითხრა, რომ ტყეები, საძოვრები და დიდი მამულები ეროვნულ საკუთრებად გამოცხადდა, რაც ხელს უწყობდა წარმოების, ვაჭრობის განვითარებას. რეფორმამ რვასათიანი სამუშაო დღე დაანესა, ეკლესია გამიჯნა სახელმწიფოსგან და სასულიერო განათლება ამოიღო სკოლებიდან. [...] მესაუბრა მათ მუდმივ სიფხიზლეზე, რათა ახალ მთავრობას შეეძლებოდა ქვეყნის მომავლის უზრუნველყოფა. ძალიან ბევრს უნდოდა მისი განადგურება. თურქებს, რუსეთის ჯარს, ბოლშევიკებს, მთელ ქვეყანას რომ მოედევნენ. იგი ამაცი იყო და დასავლეთის დემოკრატიის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა“.³ აღწერილია 13 სექტემბრის ზეიმი ბათუმში. „13 სექტემბერი ბათუმში დღესასწაული იყო. მთავრობა ევროპული დემოკრატიის დელეგატებს მასპინძლობდა. ქალაქი დროშებით, გვირგვინებით, ყვავილებით იყო მორთული. ქუჩებში ხალხი ღელავდა, ცეკვავდა და მღეროდა. [...] გავყევით ხალხს, პლაკატებს რომ იქნევდნენ წარწერებით „ქართული დემოკრატია მიესალმება ევროპული დემოკრატიის მესვეურებს“ ან „გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს“ [...]. უცხოელები, ბელგიელი, ინგლისელი, ფრანგი და გერმანელი პოლიტიკოსები გემბანზე ავიდნენ. მათ პატრიოტული სიმღერებით, სადღეგრძელოებითა და შეძახილებით შეხვდნენ. სიტყვით გამოსულთ ბოლო არ უჩანდა“⁴. და მერე უკვე საფრანგეთში – „... არაფერი დაკარგული არ არის. იმიტომ წამოვედით, რომ შევძლოთ ჩვენი ქვეყნისთვის, თავისუფლებისთვის ბრძოლის გაგრძელება. გავაგრძელებთ კიდეც და უფრო ძლიერები დავბრუნდებით“.⁵ საფრანგეთში ჩასულები ერთხანს მარსელში ცხოვრობდნენ, მერე კი მთავრობამ ლევილში შატო შეიძინა და იქ დაბინავდნენ. „კვირაობით შატოს დარბაზში, ან თუ კარგი ამინდი იყო გარეთაც, დიდი სუფრა იმლებოდა. ჩვენს ქეიფებზე ბევრი ხალხი იყრიდა თავს, ემიგრირებული მოხუცეები და ახალგაზრდები, ლევილელი და პარიზელი ქართველები. ისმებოდა საქართველოს გათავისუფლების სადღეგრძელოები. თუ ჩვენი თამაძები ყოველთვის ერთსა და იმავე პოლიტიკურ პლატფორმაზე არ იდგნენ, როგორც ჩანს, შორს გადმოხვენილები ამ საკითხში ერთსულოვანნი იყვნენ“.⁶ ერთ-ერთ ასეთ შეხვედრა-

3 ქ. დავრიშვილი, შავი ზღვა, თბ., 2012, გვ.46-47

4 იქვე, გვ. 48-49

5 იქვე, გვ. 70

6 ქ. დავრიშვილი, შავი ზღვა, თბ., 2012, გვ. 75

ზე – „საფრანგეთის ქართული ასოციაციის თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა, ადღეგრძელა სამშობლო, თავისუფლება, ბრძოლა. ეროვნული სიმღერა წამოიწყეს. ვითარებამ საზეიმო სახე მიიღო. მერე სიმღერებმა და ცეკვებმა კიდევ უფრო ხალისიანი გახადა იგი [...]”.⁷ თუმცა, ასეთ შეკრებებს არც პარტიული უთანხმოებები აკლდა, ერთმანეთს ადანაშაულებდნენ საქართველოს ანექსიაში. „ჩვენ ვიბრძოდით, ზოგი ჩვენგანი აწამეს კიდევ. შეხედე, ახალგაზრდა კაცია და ცალი ხელი არა აქვს. ვინ აწამა? ქართველებმა, მისმა თანამემამულეებმა, რევოლუციის სახელით“ [...] ესეც მწარე სიმართლეა. ნიშანდობლივია ფრაზა – „აქ იმდენი დაპირისპირებული პარტიაა, რამდენიც ქართველი საფრანგეთში“⁸. არცთუ ისე იშვიათად, ოჯახის წევრები სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე იდგნენ და საქმე ხელჩართულ ჩხუბამდეც მისულა. როცა ბოლშევიკებმა მთელი საქართველო დაიკავეს, თამუნას მამა საქართველოში დაბრუნდა „რევოლუციის გასაგრძელებლად“. საფრანგეთში ემიგრანტების ახალი ტალღა ჩავიდა, ზოგმა რძისა და მანვნის მალაზია გახსნა, ზოგმა მძლოლად დაიწყო მუშაობა. მამამისი არ დაბრუნებულა. როგორც ვიცით, არც საქართველოში ჩამოსული ნოე ხომერიკი დაბრუნებულა უკან. თამუნა ასევე ემიგრირებულ ერთ რუს ებრაელ გოგონას დაუმეგობრდა. საინტერესოა ქართული და არაქართული ემიგრაციის დამოკიდებულება ემიგრაციის ფაქტისადმი და მათი მოლოდინები: „ჩვენი გადასახლება და ჩვენი სათვისტომო მათსას არა ჰგავს. მაშინ, როცა ჩვენ დაბრუნებას ველოდებით, ისინი ფეხს იკიდებენ“.⁹ ბევრი ქართველი აპატრიდად დარჩა, პასპორტი არ აუღია „მათ თავიანთი ჩემოდნები დაალაგეს, ზედ დასხდნენ და არასოდეს გაუხსნიათ“¹⁰, ამბობს რომანის ერთ-ერთი გმირი და ეს ფაქტიც რეალურია. ამის გამო რამდენიმე ქართველი ხანდაზმულ ასაკში შეჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და აბონდანში, მოხუც და უსახსრო ემიგრანტთა თავშესაფარში თუ არპაჟონის საავადმყოფოში მოუწია სიცოცხლის დასრულება.

საინტერესოა მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ამბებიც. „ბევრი ქართველი ჩაენერა უცხოურ ლეგიონში საფრანგეთის დასაცავად. აპატრიდების მდგომარეობა ფრანგულ ჯარში შესვლის საშუალებას არ აძლევდათ. ზოგი წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაება [...]. ბადრი ორ ებრაელ გოგონას მალავდა ვეზინეში. მთელი წელი მასთან იყვნენ [...]. 1941 წ ივნისში, როცა გერმანიამ სსრკ დაიპყრო ნამდვილმა დილემამ იჩინა თავი. საფრანგეთთან სოლიდარობისა და ჯერ მეფის რუსეთთან, მერე ბოლშევიკებთან ბრძოლას ზოგმა ქართველმა გერმანული უნიფორმის მორგება და რუსეთის ფრონტზე ბრძოლა არჩია. მინდა ვიფიქრო, რომ არც ისე ბევრი მათგანი აღმოჩნდა არარუსულ ფრონტზე, ნაცისტებთან“.¹¹ „პატრიოტული გრძნობის, საკუთარი თავისადმი ერთგულების გამო ბევრმა ქართველმა ჩაიცვა გერმანული უნიფორმა. ამას არაფერი აქვს საერთო ნაცისტებთან [...] ჩემი ქმარი ქართველ ტყვეებს უვლიდა, ბევრი რამ გააკეთა მათთვის.“¹²

7 იქვე, გვ.113

8 იქვე, გვ. 8-9

9 იქვე, გვ.95

10 იქვე, გვ.101

11 იქვე, გვ.172

12 ქ. დავრიშვილი, შავი ზღვა, თბ., 2012, გვ. 188

რომანის პერსონაჟთა უმრავლესობის პროტოტიპი რეალურად არსებობდა.

– „90 წლის ასაკში ბაბუ სარივით გაჭიმულია. თმა, რაც შემორჩა, ყორანივით შავი აქვს, წარბებიც, ოღონდ ერთი ხანია წარბების შეღებვა ავიწყდება ხოლმე. ელეგანტური კოსტიუმი და პალტო ეცვა, ყელსახვევი ეკეთა. თავის ქუდში არავისა ჰგავდა. [...] ვფიქრობ ქართულ მიწაზე, მუდამ თან რომ დააქვს მანქანის საბარგულით. ამ მიწას მას შემდეგ ინახავს, რაც 12 წლის ბიჭი საფრანგეთში ჩამოვიდა. [...] ნეტავ ბაბუს თავისი საქართველოს გარდა სხვა რამეც უყვარს? ჩვენ მხოლოდ იმიტომ ხომ არ ვუყვარვართ, რომ ჩვენს ძარღვებში ქართული სისხლია? [...] მისი ხათრით დავდივარ ქართული ცეკვის გაკვეთილებზე, დღესასწაულებსა და საფრანგეთის ქართული სათვისტომოს ნაძვის ხეებზე. [...] ბაბუს დედამ თავი მოიკლა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე იძულებული გახდებოდა ქვეყანა დაეტოვებინა. მინდოდა მოეთხრო ჩემთვის ამის შესახებ, მეგონა რომ 80 წლის შემდეგ შეეძლო...“.¹³ აქ ავტორი ფოტოგრაფიული სიზუსტით გვიხატავს ბაბუამისის, **ვიქტორ ხომერიკის** პორტრეტს. „ერთმანეთს რომ შეხვდნენ, ბებია 16 წლის იყო, ბრეტანული კეთილშობილი ოჯახიდან, რომელმაც ყველაფერი დაკარგა. ბაბუს წყალობით ქართულ ემიგრაციას შეეთვისა და აღარ მიუტოვებია. დღეს ბებია მისი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. დედაჩემის და მისი დების გაჩენის შემდეგ ბაბუმ ბებია მიატოვა. ბებიაჩემი ამბობს, რომ არასოდეს უნანია მისი წასვლა. შეუძლია უამრავი მიზეზი ჩამოთვალოს, რის გამოც ის ყველაზე უარესი ქმარია. არ მესმის, რა საერთო ჰქონდათ ოდესმე. დღეს საქართველო აქვთ საერთო და ცხადია, ჩვენც“.¹⁴ და მართლაც, ლევილში რამდენიმე ქართველი ფრანგ ქალზე იყო დაქორწინებული. ისინიც, ისე შეეთვისნენ ქართულ სათვისტომოს, რომ ზოგ მათგანს „ქართველები თავიანთ ოჯახზე ახლობლებად ექცნენ“.¹⁵

– **მამა ილია მელია.** „მამა მელია ქართული სათვისტომოს თვალსაჩინო ადამიანი, იძულებული გახდა მეთხუთმეტე რაიონში გადასულიყო. ახალი ეკლესია ერთი შენობის სარდაფშია განთავსებული. ყველაფრის მიუხედავად, ეს მათი ეკლესიაა. ზოგი არ თაკილობს იქ ჯვრისწერას. იქ ხვდებიან ერთმანეთს წირვამდე ან წირვის შემდეგ. ერთმანეთს ეხვევიან, გულში იკრავენ და მასლაათობენ. ლევილის სასაფლაოზე წასვლამდე იქ ატარებენ სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს ქართველ მგალობელთა გუნდის თანხლებით, რომელიც, ძირითადად, მოყვარულებისგან შედგება“.¹⁶

ექიმი ვალიკო (იგივე პერსონაჟი გვხვდება „სარკმელშიც“ გვ. 12-13), „რომელიც საქართველოში ექიმი იყო და ჩვენ შემდეგ ჩამოვიდა პარიზში [...]. წასვლისას ცოტა ფული ჩუმად ჩააცურა ბუფეტზე დადგმულ ლარნაკში [....] ასე გვეხმარება ხოლმე“.¹⁷

– „ემიგრანტთა მეორე თაობამ ჩამოაყალიბა ცეკვის ანსამბლი, რომელიც გასტროლებზე დადიოდა პროვინციულ ქალაქებში და პატარა დარბაზებში გამოდიო-

13 K.Davrichewy, On ne t'attendait pas, p. 10-20

14 იქვე, გვ. 35-36

15 ჟ. ხაბულიანი, უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები, თბ., 2013, გვ.85

16 ქ. დავრიშვილი, შავი ზღვა, თბ., 2012, გვ.125-126; მამა ილია მელიას შესახებ იხ. აგრეთვე, ჟ. ხაბულიანის დასახელებული ნაშრომი, გვ. 93-97

17 იქვე, გვ.150

და. ერთხელ პარიზშიც იყვნენ, ელისეს მინდვრების თეატრში.“ ამ ანსამბლს **შოთა [აბაშიძე]** ხელმძღვანელობდა, რომელსაც „სარკმელშიც“ ვხვდებით¹⁸. საინტერესოა შოთას პორტრეტი – „შოთა ელეგანტური კაცი იყო, სარივით გაჭიმული. უსაზღვრო მოთმინებით ასწავლიდა. წლებმა იერი ვერ შეუცვალა. ისეთივე ღირსებით ატარებდა ერთსა და იმავე გაცვეთილ ქუდს, გაქეჩილ პალტოს“¹⁹. ცნობილია, რომ შოთა ძველებური ნივთების მოყვარული ყოფილა და არ ვიცი რას შოულობდა, მაგრამ მეძველმანებთან დადიოდა ქართული ნივთების შესაძენად.

- **ლევლი.** „ლევლიში არის სახლი, შატოს რომ ეძახიან, პარკი და პარიზელ ქართველთა სასაფლაო. მხოლოდ ამის შეძენა შეძლეს საფრანგეთში რომ ჩამოვიდნენ, ესლა დარჩათ. აქ ხვდებიან ერთმანეთს დღესასწაულებზე, იქ მიდიან როცა კვდებიან [...] ეს მნიშვნელოვანი ადგილია ქართული ემიგრაციისთვის. [...] ხვალ ლევლიში მივდივართ ერთი მოხუცი ქართველის დაკრძალვაზე, ძალიან რომ მიყვარდა.[...] დაკრძალვაზე მთელი ქართული კოლონია იქნება. მერე, თუ არ იწვიმებს, სუფრა გაიშლება ხეების ქვეშ.“²⁰

- ნაწარმოებში ვხვდებით კარგად ცნობილ **ანთაძეების რესტორანს** „ოქროს საწმისი“, რომელიც პარიზში, მონპარნასის სადგურთან იყო და დღესაც ბევრს ახსოვს. „კვირაობით ნათესავ-მეგობრებს ვხვდებოდით „ოქროს საწმისში“. ორმა ძმამ, რომელთა თვალწინაც გავიზარდეთ, გახსნა ეს პატარა ქართული რესტორანი. მისი დახურვის დღეს იგი ბევრი ჩვენგანის განუყოფელი ნაწილი იყო. კაცები თავგადაკლული თამაშობდნენ ხოლმე იქ ნარდს. როცა ჩვენი შვილები ცდილობდნენ თავიანთი მეგობრებისთვის საქართველო გაეცნოთ, იქ მიჰყავდათ. იქ ნამდვილ ქართულ კერძებს შეექცეოდნენ, ქართულად საუბრობდნენ და არა რუსულად, უსმენდნენ მრავალხმიან სიმღერებს, დიდი ყანებით სვამდნენ ღვინოს. ხით მოპირკეთებულ, კავკასიონის ფოტოებითა და ქართული ხანჯლებით დაფარულ კედლებში ქართველი რუსში არავის ერეოდა. ბევრი აფასებდა ამ ძმების გულთბილ შეხვედრას, რომლებსაც ანეკდოტები, ქათინაურები და იუმორით სავსე სადღეგრძელოები არ ელეოდათ“.²¹ იმავე ქართულ რესტორანზეა საუბარი „სარკმელშიც“, ოღონდ სახელის მიუთითებლად.²²

- რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის, ბადრის პროტოტიპი ავტორის ბაბუა, **დავით დავრიშაშვილია**. მან ადრევე მიატოვა ოჯახი და სხვა ქალი შეირთო, რომელთანაც ექვსი შვილი ეყოლა. 60-იან წლებში იგი ცოლ-შვილთან ერთად საქართველოში დაბრუნდა, მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა და გმირთა მოედანზე ცხოვრობდა. მაგრამ, რამდენიმე წელი თბილისში ცხოვრების შემდეგ კვლავ საფრანგეთს დაუბრუნდა. მისი ვაჟი, არჩილი დღეს ქართული სათვისტომოს მღვდელია. ბადრის (ანუ დ. დავრიშაშვილის) დროებითი დაბრუნება საქართველოში, რაც რეალური ფაქტია და ალბათ, ბევრსაც ახსოვს, რომანში შემდეგნაირადაა აღწერილი: „წერილები იშვიათად მოდიოდა, ისიც გახსნილი და

18 ქ. დავრიშევი, სარკმელი, თბ., 2013, გვ.36. იხ. აგრეთვე ჟ. ხაბულიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 98

19 ქ. დავრიშევი, შავი ზღვა, გვ. 178

20 K.Davrichewy, On ne t'attendait pas, p. 88

21 იქვე, გვ.182-183

22 ქ. დავრიშევი, სარკმელი, თბ., 2013, გვ. 25

ალბათ, ცენზურაგამოვლილი. იყო რამდენიმე სატელეფონო ზარი, მაგრამ უცბად გვთიშავდნენ. [...] ბადრის შეგნებული ჰქონდა ასე შორს რომ მიდიოდა? იპოვნა თავისი საქართველო დანარჩენ მსოფლიოს მოწყვეტილ იმ ქვეყანაში? ათი წლის შემდეგ, როცა სსრკ-დან დაბრუნდა, – დიდი ბრძოლა დასჭირდა უკან დასაბრუნებლად, იმიზეზებდა საფრანგეთში დაბადებულ სამ ბავშვს, – თქვა, რომ ეს შესანიშნავი წლები იყო. მატერიალური მდგომარეობა საქართველოში უკეთესია, ვიდრე დანარჩენ საბჭოთა კავშირშიო. სოფლის მეურნეობა, ჰავა, ტრადიციები ქვეყანას უფრო საამუროს ხდის მოსახლეობისთვისო. მიუხედავად ამისა, მის ოჯახს თვალები სცვიოდა სავსე ვიტრინების დანახვაზე“.²³

საინტერესოა ბადრის (ანუ დავითის) მამის, **იოსების** სახე. იგი მეფის რუსეთის პოლიციას გაექცეოდა, მის დაბადებამდე დაუტოვებია საქართველო. თავიდან ძალიან აქტიური კაცი ყოფილა, მერე პოლიტიკური ხაზინის ქურდი, სტალინად ნოდებულის გორელი იოსებ ჯულაშვილის ბავშვობის მეგობარი თუ სავარაუდო ნახევარძმა. [...] ბადრის მამას სძულდა სოციალ-დემოკრატები, მენშევიკები, ინტელიგენცია, ზომიერი შეხედულებების მქონენი და სნობები“.²⁴ სანამ ბადრი საქართველოში იყო, მისმა შვილიშვილებმა გადანყვიტეს ბაბუა გაეცნოთ. „იცოდნენ, რომ ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს დადიოდა ვიქტორ ჰიუგოს მოედანზე მდებარე ლუდხანაში. ერთ დილას ჩაუსაფრდნენ. ერთი შეხედვით იცნეს ჩაფსკენილი, წელში გამართული, უღვაშა ასაკოვანი კაცი სქელი თმით. თავაზიანი სახით ისე შეუკვეთა ნახევარი კატხა ლუდი, მიმტანისთვის არც შეუხედავს და გაზეთში ჩარგო ცხვირი. შვილიშვილები უყურებდნენ, მაგრამ მიახლოებას ვერ ბედავდნენ. რაღაც საჭმელი შეუკვეთა, ორი საათის შემდეგ ისე წავიდა, რომ შვილიშვილებმა ნაბიჯიც კი ვერ გადადგეს მისკენ. თავიანთი შეკითხვები თავიანთთვისვე დაიტოვეს და დაკმაყოფილდნენ გაურკვეველი ლიტერატურული ნიჭის, მაგრამ ანეკდოტებით სავსე მისი წიგნების კითხვით სტალინთან გატარებული მისი ბავშვობის, მისი ტერორისტული და რევოლუციური ქმედებების შესახებ, სანამ მეფის პოლიციას საფრანგეთში გაექცეოდა“.²⁵

სწორედ ამ პერსონაჟს მიუძღვნა რომანი „სხვა იოსები“, რომელშიც ქეთევან დავრიშაშვილი XIX-XX სს. საქართველოში არსებული ვითარების ფონზე გადმოგვცემს ორი იოსების, იოსებ დავრიშაშვილისა და იოსებ ჯულაშვილის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლების ამბებს. „ბიჭები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, ძმები გეგონებოდათ“,²⁶ თუმცა, ბუნებით განსხვავებულები იყვნენ და ვერც ერთმანეთს იტანდნენ. „უბანში ბოროტი ენები დატრიალდა, არავის სჯეროდა, რომ ბავშვის მამა ბესო იყო. ქეთოს სავარაუდო საყვარლებს მიაწერდნენ, მათ შორის დამიანესაც“.²⁷ სოსოს გორის სამრევლო სასწავლებლის დასრულების შემდეგ სწავლა ტიფლისის სემინარიაში უნდა გაეგრძელებინა.

„იოსებიც [დავრიშაშვილი] გორში გაიზარდა, მომავალ სტალინთან, მის სავარაუდო ნახევარძმასთან ერთად. ის ბანკების მძარცველი, ყაჩაღი, კავკასიელი

23 ქ. დავრიშევი, შავი ზღვა, გვ.191

24 იქვე, გვ.160

25 იქვე, გვ.192

26 ქ. დავრიშევი, სხვა იოსები, თბ., 2018, გვ.6

27 იქვე, გვ.37

რევოლუციონერი, ავიაციის ერთ-ერთი პიონერი იყო. მერე, 1914 წელს საფრანგეთში დაიწყო მუშაობა. იყო საიდუმლო აგენტი, მარტა რიშარის მეგობარი თუ საყვარელი. წიგნები დაწერა თავის, როგორც პილოტის საქმიანობაზე, მერე ავტობიოგრაფიული მოთხრობა უცნაური სათაურით, რომელიც ყველას აბუჩად იგდებდა: „აჰ, რამდენს ვხალისობდით ჩემს ძმაკაც სტალინთან ერთად“. ის წიგნის გამოცემამდე გარდაიცვალა პარიზში, მარტოდმარტო, 1975 წელს.²⁸

ტიფლისში, კოლეჯში სწავლისას იოსები დაუმეგობრდა ლევ როზენფელდს, რომელიც მოგვიანებით **ლეონ კამენევი** გახდება, საბჭოთა ტრიუმფირატის წევრი სტალინსა და ზინოვიევთან ერთად. ცოლად შეირთავს **ტროცკის** დას. იოსები მისი რევოლუციონერობის პირველი წლების მოწმე გახდება.

ერთხელ, ტიფლისში იოსები შემთხვევით გადაეყრება სოსოს, რომელიც სემინარიამი სწავლობდა და სადაც **ლადო კეცხოველი** და **კამო პეტროსიანი** გაიცნო. სოსო მოუყვება სემინარიამი გამეფებულ ვითარებას. „ერთმა ახალგაზრდა ქართველმა კლასში ჩვენი ერთ-ერთი მასწავლებელი მოკლა, რუსიფიკატორი, რომელმაც ქართულს ძაღლების ენა უწოდა. [...] გასვენებაში მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა დაწყევლა ერი, რომელსაც მკვლელი ეკუთვნოდა. მარშალმა **ყიფიანმა** გააპროტესტა და გადაასახლეს. ციმბირში, საკანში თავი მოიკლა. მისმა დაკრძალვამ ქალაქში მღელვარება გამოიწვია. [...] მთელი მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. „სისხლი რომ არ დაიღვარა, – განაგრძობდა სოსო, – ეს მხოლოდ ყოფილი გენერლის, პოეტ **ჭავჭავაძის** მეფისნაცვალთან შუამდგომლობით მოხდა.“²⁹

აქ ავტორი ამკარად გულისხმობს 1886 წ. ტიფლისის სასულიერო სემინარიის რექტორის, ჩუდეცკის მკვლელობას, რის გამოც ექზარხოსმა პავლემ ქართველი ერი დაწყევლა. დიმიტრი ყიფიანმა საპროტესტო წერილი გაუგზავნა და საქართველოს დატოვება მოთხოვა. ამის გამო თანამდებობიდან გადააყენეს და იმავე წელს სტავროპოლში (და არა ციმბირში) გადაასახლეს, სადაც თავი კი არ მოუკლავს, ღამით, მძინარე მოკლეს. ვერც ალ. ჭავჭავაძე იშუამდგომლებდა მეფისნაცვალთან, რადგან იმ დროისათვის უკვე ორმოცი წლის გარდაცვლილი იყო. ნაწარმოებში მოხსენიებულია რკინიგზის დეპოს ოსტატი **ალილუევი**, რომლის ქალიშვილიც სტალინმა მოგვიანებით ცოლად შეირთო.

რომანში დიდი ადგილი ეთმობა იოსებისა და სოსოს ურთიერთობას სოციალ-დემოკრატებთან, გაფიცვებს ბათუმში. 1903 წ. კობა გააციმბირეს, იოსები კი პარიზში გაგზავნეს სასწავლებლად.

საფრანგეთიდან დაბრუნებული იოსები „სანდო ახალგაზრდებს“, ნიჭიერ ლიტერატორს **შალვა ამირეჯიბსა** და მომავალი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრს **სპირიდონ კედიას** უკავშირდება.³⁰ ნოე ჟორდანას სოციალ-დემოკრატებს უკვე მენშევიკები ერქვათ. ისინი დაუპირისპირდნენ იოსებს, რომელიც გლახთა ამბოხების მოწყობას აპირებდა. განსაკუთრებით კი მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოე ხომერიკი აუმხედრდა. „ნოე მენშევიკების საუკეთესო პროპაგანდისტი იყო. 1921

28 ქ. დავრიშვილი, სხვა იოსები, თბ., 2018, გვ.69

29 იქვე, გვ.100-102

30 იქვე, გვ. 151

წელს ერთადერთ ვაჟთან ერთად პარიზში ემიგრირებული სამშობლოში რომ დაბრუნდა, ბოლშევიკებმა დახვრიტეს“.³¹ ესეც რეალური ფაქტია.

დროებით აფხაზეთში, დასთან გახიზნული იოსები იქაც აგრძელებს რევოლუციურ საქმიანობას. მოგვიანებით, დევნილ სოსოსაც მოუწევს აფხაზეთისთვის თავის შეფარება. ამიტომაც, „ბერია თავის წერილებში სტალინს მიანერს იოსების მიერ სოხუმში მოწყობილ მანიფესტაციას. სავარაუდოა, რომ ეს ბერიას შეთხზული ერთადერთი ამბავი არ უნდა იყოს“.³²

კობა ძარცვავს იარაღის მაღაზიებს, იოსები მდიდარ ბურჟუებს ატერორებს და ფულს სძალავს. მაგრამ, ამ მეთოდებმა მალე თავი ამოწურა და სალაროების შესავსებად სხვა გზა უნდა ენახათ. კობას ხალხი გზაზე გავარდა, დაიწყო შეიარაღებული ძარცვა, ბანდიტიზმი. ამ საქმეებს კამოს მიანერენ, თუმცა იოსები ამტკიცებდა, რომ თუ ჯგუფის სათავეში კამო იდგა, მისი სულისჩამდგმელი კობა იყო [...]. როცა კობა სტალინი გახდებოდა, ველოსიპედზე შემომჯდარ კამოს სატვირთო მანქანა გაიტანს და ერთ სხვა, ძველ გორელ ამხანაგს დახვრეტენ [...] „აღამიანობის ნატამალიც არ გააჩნია, ასე რომ ხოცავს ძველ და ერთგულ ამხანაგებს?“ – ეკითხებოდა საკუთარ თავს იოსები მონიფულ ასაკში. ალბათ, ისინი წარსულის არასასურველი მოწმეები იყვნენ“.³³ ანალოგიური „თავიდან მოშორებების“ მთელი სერია იყო 30-50-იან წლებში.

დაიწყო ბანკების შეიარაღებული ძარცვა. „თავის მოგონებებში ტროცკი ზოგ ოპერაციას **ლეონიდ კრასინს** მიანერს, დუშეთის ხაზინის ძარცვას კი – კობას. თუმცა, ეს იოსების რაზმის ნამოქმედარი იყო. ოპერაცია, რომლითაც მთელი სიცოცხლე იამაყებს. მისი დაგეგმვა და შესრულება ისეთი სრულყოფილი იყო, რომ წვეთი სისხლიც არ დაღვრილა. დღისით, მზისით, მათ მნიშვნელოვანი თანხა, 375000 რუბლი გამოსძალეს დუშეთის ხაზინას, მიუხედავად იმისა, რომ მას გარნიზონი იცავდა“.³⁴

რომანში საუბარია 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტზე და მის თანმდევ მოვლენებზე ტიფლისში, რასაც ასევე იოსებ ჯულაშვილს მიანერენ, რადგან ორივე იოსებია, ერთი ასაკის და ორივე რევოლუციონერი.

მოხსენიებულია გენერალ **გრიზნოვზე** თავდასხმის ფაქტიც,³⁵ რეპრესიები და განხეთქილება ქართულ საზოგადოებაში.

საინტერესოა „ფრაგმენტი საფრანგეთის პოლიციის პრეფექტურის რაპორტიდან“³⁶ რომელიც 1927 წლის 17 ივლისით თარიღდება. მასში წვრილადაა გადმოცემული იოსების ბიოგრაფია, მის მიერ მიღებული ჯილდოები და საქმიანობა.

„კონსტანტინოპოლში ყოფნისას დავრიშევეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საბუთები უნდა შეეძინა 50 000 ფრანკად. ეს საბუთები, როგორც ჩანს, აშკარად მიუთითებდნენ, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა [...]

31 ქ. დავრიშვი, სხვა იოსები, თბ., 2018, გვ.152

32 იქვე.

33 იქვე, გვ. 173

34 იქვე, გვ.174

35 იქვე, გვ.197

36 იქვე, გვ.216

მნიშვნელოვანი სუბსიდირება მიიღეს ბოლშევიკებისგან. საფრანგეთში დაბრუნებული დავრიშვილი გამოცხადდა მე-2 ბიუროში და აღნიშნული საბუთები გადასცა.[...] უცნობია, როგორ წარიმართა ეს საქმე. მე-2 ბიუროში ამ საბუთების გადაცემის ფაქტს არ უარყოფენ, მაგრამ არავითარ ახსნა-განმარტებას არ იძლევიან მათ შესახებ.[...] დაუვინყარი ის სამსახური, რომელიც მან [ი.დ.] საფრანგეთს გაუწია როგორც მოხალისემ, შემდეგ როგორც მე-2 ბიუროს აგენტმა“.

30-იან წლებში იოსებთან წითელი არმიის გენერალი მივიდა და სტალინის სახელით სსრკ-ში დაბრუნება შესთავაზა სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელად, მაგრამ იოსებმა უარით გაისტუმრა.

1948 წელს, როცა შინ ბრუნდებოდა, ერთმა მოწიფული ასაკის მამაკაცმა შეათვალიერა და გაუღიმა. იოსებმა ბავშვობის მეგობარი, დავით მაჭავარიანი იცნო. დავითი თურქეთში ცხოვრობდა. მათ ბევრი ისაუბრეს, იოსებმა გაანდო რუსი გენერლის შეთავაზება. აღმოჩნდა, რომ ანალოგიური შეთავაზება წერილობითი სახით დ. მაჭავარიანსაც მიუღია. გადანყვიტეს ერთად დაენერათ მოგონება „იმ კაცზე, რომლისაც მსოფლიოში ყველაზე მეტად ეშინოდათ, ყველაზე მეტად სძულდათ და ყველაზე მეტად უყვარდათ“. რამდენიმე თვის შემდეგ იოსებმა შეიტყო, რომ დავითი „თავის უბადრუკ ოთახში ნახეს საწოლზე დამხობილი, ჩაცმული, ქუდიც ეხურა. თვითმკვლელობად მიიჩნის. დავითთან ერთად სტალინის წერილიც გაქრა“. ³⁷ დ. მაჭავარიანის პიროვნება და მისი სიკვდილის გარემოებებიც რეალური ფაქტია.

1953 წ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ იოსები გათავისუფლდა, ხმა ამოიღო, ინტერვიუებს იძლეოდა, გაიხსენა მათი შესაძლო სისხლით ნათესაობა. მარტომ დაინყო დავითთან ერთად ჩაფიქრებულ ხელნაწერზე მუშაობა.

ქეთევან დავრიშვილის ოთხსავე ნაწარმოებში ასახულია ქართული ტრადიციები, რომლებსაც ასე სათუთად ინახავდა ქართული ემიგრაცია – ქართული ენა, სტუმართმოყვარეობა, ურთიერთთანადგომა, სამზარეულო, თამადის ინსტიტუტი, თუ ნარდის თამაში, საშობაო ნაძვის ხისა თუ 26 მაისის დღესასწაულების აღნიშვნა ლევილში, რომელიც, ავტორს თუ დავესესხებით, „ერთი დიდი ოჯახივითაა.“ აქვე დავძენდით, რომ ლევილში ადესასაც წურავდნენ ფელამუშის გასაკეთებლად და ილია თაყაიშვილის გამართული თონეც ჰქონდათ. არც ისე იშვიათი იყო მცირე-ოდენი თანხის მქონეთა მიერ პარიზიდან ჩატანილი სურსათით გამართული საკვირაო სადილები, რომლებიც შეფარული დახმარება იყო იმისთვის, რომ ზოგ მოხუც, სხვაზე ღარიბსა და უქონელ ქართველს ერთხელ მაინც ესადილა ნორმალურად და ცოტა სურსათიც დარჩენოდა.³⁸

განხილული ნაწარმოებები მეტნაკლებად აღადგენენ ჩვენს ისტორიულ წარსულს, მის სოციალურ თუ ეკონომიკურ მოწყობას. შესანიშნავად ასახავენ ბევრი ოჯახისთვის ნაცნობ, მტკივნეულ ისტორიას, საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას ემიგრანტების საქართველოში დარჩენილი ნათესავებისადმი. ყურადღება ფოკუსირებულია ემიგრანტთა ყოფასა და ცხოვრების წესზე. ეს არის თვითმხილველებისგან მოპოვებული და ოჯახში შემონახული ფასდაუდებელი ცნობები ქართული ემიგრაციის შესახებ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას,

37 ქ. დავრიშვილი, სხვა იოსები, თბ., 2018, გვ.228

38 იხ. ჟ. ხაბულიანი, უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები, თბ., 2013, გვ.59-60

რომ ქეთევან დავრიშევის ზემოთ აღნიშნული ნაწარმოებები არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებებია, არამედ რეალური ცხოვრების ლიტერატურულ ქრილში ასახვის მცდელობაცაა და ისტორიულ პირველწყაროს უტოლდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

K. Davrichewy, *On ne t'attendait pas, L'école des loisirs, Paris, 1999, 95 p.*

ქეთევან დავრიშევი, სარკმელი, უსტარი, თბილისი, 2013, 58 გვ.

ქეთევან დავრიშევი, შავი ზღვა, უსტარი, თბილისი, 2012, 204 გვ.

ქეთევან დავრიშევი, სხვა იოსები, არტანუჯი, თბილისი, 2018, 237 გვ.

ჟაკლინ ხაბულიანი, უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები, უსტარი, 2013, 193 გვ.

Tsisana Bibileishvili

Professor

Caucasus University

GEORGIA AND THE GEORGIANS IN KETEVAN DAVRISHEV'S MASTERWORKS

Summary

The main characters of Ketevan Davrishev's (Davrishashvili) writings – “An Uninvited Guest”. “The Dormer Window”, “The Black Sea” and “Another Joseph” – are Georgians who immigrated to France. The real life of the Georgian community in France is shown on the background of historical events taking place in Georgia (and later in France) at the beginning of the twentieth century. These works can be regarded as historical sources.

მიხეილ მუსხელიშვილი – ქართველი ემიგრანტი მეცნიერი ეპროინტაგრაციის სათავეებთან

ნაშრომის მიზანია პარიზში მოღვაწე, ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის თვალსაჩინო წარმომადგენლის მიხეილ მუსხელიშვილის შემოქმედების, მისი მეცნიერული, პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-გაცნობა, სამეცნიერო წრეებში მიმოქცევა და მისი ფართო სამსჯავროზე გამოტანა.

მსოფლიოში ცნობილი პროფესორი, იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი, „ფედერალური ევროპის მოძრაობის“ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ევროპის ფორმირების ინტერნაციონალური ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტი, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და გენერალური მდივანი, მთამსვლელი, მეცნიერი და „აკადემიური პალმის“ ჯილდოს კავალერი მიხეილ მუსხელიშვილი დაიბადა 1903 წლის 8(21) ივლისს ქალაქ თბილისში.

მიხეილ მუსხელიშვილის ოჯახი განთქმული ყოფილა ძველ თბილისში. მამა – ვახტანგი სოლომონის ძე მუსხელიშვილი, ცნობილი ოფთალმოლოგი და აკაკი წერეთლის პირადი ექიმი იყო. დედა – ნატალია მირზაშვილი მეტად კეთილი, სათნო და ლამაზი ქალი ყოფილა. ექიმის ოჯახში ოთხი ვაჟი იზრდებოდა. ოთხივემ უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიიღო: ლევან მუსხელიშვილი ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი იყო, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის მამა. გიორგი მუსხელიშვილი ცნობილი ინჟინერი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში პროფესიული მუშაობისას დაიღუპა, ხოლო სოლომონ მუსხელიშვილი ცნობილი ექიმი გახდა, რომელიც 1934 წლამდე პარიზში მოღვაწეობდა.

ვახტანგ მუსხელიშვილის ოთხივე ვაჟი თბილისში, ლევანდოვსკის გიმნაზიაში სწავლობდა და ის ოთხივემ წარჩინებით დაამთავრა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ მუსხელიშვილი მიდის 1921 წლის ოქტომბრიდან (18 წლის) ჯერ გიოტინგენისა და მიუნხენის, შემდგომ კი პარიზის და ლიონის უნივერსიტეტებში სასწავლებლად, სადაც იღებს უმაღლეს იურიდიულ განათლებას. 1929 წელს დაასრულა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. სორბონის უნივერსიტეტშივე დაამთავრა ერთწლიანი „აგრეგასინ“ (საკანდიდატო გამოცდები), მიიღო კანდიდატის ხარისხი და მუშაობა დაიწყო ამავე უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პრეპარატ-დოცენტად, ხოლო პარალელურად 1932-33 წლებში იგი ლექციებს კითხულობდა პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო გამოკვლევათა უმაღლეს ინსტიტუტში.

პირადად მიხეილ მუსხელიშვილის ოჯახის შესახებ ბევრი ცნობა არ მოგვეპოვება, ნეკროლოგებიდან მხოლოდ რამდენიმე ცნობას მოგუყარეთ თავი. მიხეილ

მუსხელიშვილის მეუღლე ულამაზესი უკრაინელი ქალბატონი იყო – სახელად ნინა, რომელიც ბრწყინვალედ საუბრობდა რუსულად. მათთან ერთად ცხოვრობდა ნინას ასაკოვანი დედა ნატალია ლისენკო. მათ საკუთარი შვილი არ ჰყავდათ, თუმცა ჰყავდათ ფრანგი შვილობილი ნიკოლა სამბარი, რომელიც დაოჯახებული იყო (მ. მუსხელიშვილის გარდაცვალების შემდგომ სამიძიმარს აცხადებდნენ გაზეთებში ქალბატონი ნინა მუსხელი, ქალბატონი ნატალია ლისენკო და ნიკოლა სამბარი მეუღლით).

როგორც აღვნიშნეთ, მ. მუსხელიშვილი ემიგრაციაში 1921 წელს წავიდა, როცა მოხდა საქართველოს ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ. იგი ვერ ეგუებოდა არსებულ მდგომარეობას და სრულიად დაუფარავად აკრიტიკებდა მას, საინტერესოა მისი იურიდიული შეფასება, სადაც მან 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატს საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრული უწოდა. ამან გამოიწვია მ. მუსხელიშვილის პოლიტიკური დევნა და მისი ისტორიოგრაფიის სრულად გაქრობა-ამოძიკვა საქართველოში ბოლშევიკთა მიერ. თუმცა მასზედ ფრაგმენტულად მაინც მოიპოვება გარკვეული სახის ინფორმაციები ემიგრანტულ ჟურნალებში,¹ სადაც ვკითხულობთ, რომ მ. მუსხელიშვილი იყო მუდამ მგზნებარე, ფიცხი ტემპერამენტის კაცი, დაულალავი მკვლევარი და მაძებარი, მჩხრეკავი, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი ვერ კმაყოფილდებოდა მხოლოდ იურისპრუდენციით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ საქმიანობაშიც.

გარდა ამისა, მ. მუსხელიშვილის პიროვნულ დახასიათებას ვხვდებით აგრეთვე ბატონ ილია ტაბალუას ნაშრომში. მას დეტალურად აქვს აღწერილი მათი შეხვედრა პარიზში, 1961 წლის მაისში. იგი წერს, რომ² „მ. მუსხელიშვილი იყო მაღალი, ახოვანი, სიმპატიური და რაინდული შესახედაობის კაცი. მუსხელიშვილს პირადად ვიცნობდი, როდესაც 1961/62 სასწავლო წლებში საფრანგეთში, პარიზში მუშაობის დროს, არქივებსა და ბიბლიოთეკებში სტრასბურგში ჩავედი. ერთხელ სალამოს მის ბინაზე დავურეკე, მოვახსენე ვინც ვიყავი და შეხვედრა ვთხოვე. პასუხი, რომელშიც დიდი სითბო იგრძნობოდა, იყო მოკლე, „თუ გნებავთ, ახლავე გელოდებით“. მივედი, დამხვდა თვითონ და მისი მეუღლე. მიღება იყო ძალიან გულთბილი, ვახშამი, საუბარი..., ბატონი მიხეილი აღმოჩნდა უაღრესად სასიამოვნო, მომხიბლავი პიროვნება, მრავალი ენის მცოდნე (ქართული, რუსული, ფრანგული, ინგლისური, გერმანული), საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პოლიტიკის ნამდვილი დიდი სპეციალისტი, ღრმად ერუდირებული. დავესწარი მის ლექციებს სტრასბურგის უნივერსიტეტში ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ამ ენებზე ისე თავისუფლად, მჭევრმეტყველურად და ორატორულად კითხულობდა ლექციებს, რომ თითოეული ამ ენის ქვეყნის მკვიდრი გეგონებოდათ. ლექციებს ზეპირად ყოველგვარი ჩანაწერების გარეშე, ორატორულად სასიამოვნო მანერით კითხულობდა. ჩვენი საუბრის დროს სულ დეტალებში მეკითხებოდა საქართველოს ამბებს. მას ყველაზე მეტად უფრო აინტერესებდა ქართველის (საბჭოთა მოქალაქის) უფლებრივი მდგომარეობა. ჩემში გაოცება გამოიწვია საბჭოთა კანონმდებლობის მისმა ღრმა ცოდნამ. ვისაც მ. მუსხელიშვილთან ურთიერთობა ჰქონდა ყველა მიუ-

1 ჟურნალი „კავკასიონი“, 1965 წ., ტ. X, პარიზი. გვ.166

2 საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ტ. 1, მეცნიერება, 1994

თითებდნენ მის მაღალ კულტურაზე, ელევანტობაზე, გულწრფელობაზე, საქმისადმი ერთგულებაზე, მაღალ ერუდიციაზე, ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის იშვიათ თვისებაზე, კეთილშობილებაზე და მის თბილ დამოკიდებულებაზე კოლეგებთან და სტუდენტებთან.³

მიხეილ მუსხელიშვილი 1935-48 წლებში მუშაობდა კაიროს სამართლის ფრანგული სკოლისა და კაიროს უნივერსიტეტის ჯერ ექსტრაორდინალურ, შემდგომ კი ორდინარულ პროფესორად. 1946-48 წლამდე იყო ამავე უნივერსიტეტის სამართლის კათედრის გამგე და ასევე ეგვიპტის ხელისუფლების მრჩეველი საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკურ მეცნიერებების მიმართულებით. ამის შემდგომ მიხეილი დაბრუნდა საფრანგეთში და 1948 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე იყო სტრასბურგის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წამყვანი პროფესორი.

1948-1949 წლებში მიხეილ მუსხელიშვილმა შექმნა სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის (ე.წ. სოციალისტური) შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. 18 წელი სათავეში ედგა მას, რომელსაც შემდგომ „მუსხელის“⁴ (საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთშია ცნობა, სადაც წერია, რომ კაიროს ფრანგული სკოლის პროფესორმა Michel Mouskhelishvili-მა მიმართა კაიროში იუსტიციის სამინისტროს, მისი გვარის შეცვლის თაობაზე. უნივერსიტეტის პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა შეიცვალა გვარი და ის იწოდება დღეიდან მიშელ მუსხელად, Michel Mouskell) ცენტრი უწოდეს (ეხლაც მუსხელის ცენტრი ჰქვია). „მუსხელის“ ცენტრი წარმოადგენდა პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო სამართლის, სოვეტოლოგიის დარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს საფრანგეთში, სადაც მუშავებოდა ევროინტეგრაციისა და ევროპული საზღვრების მოშლის იდეა. იგი იყო პირველი ქართველი და ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური მოღვაწე მსოფლიოში, რომელმაც ევროგაერთიანების და ევროპული საზღვრების მოშლის იდეა წამოაყენა და დაიცვა. ამის პოლიტიკური და სამართლებრივი ხედვა ასახულია მის მონოგრაფიაში „ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“. ამავე ცენტრში დაარსა საერთაშორისო სამეცნიერო კრებული, რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები: ჟორჟ კედელი, რობერ მოსსე, გუი ერო, ანრი შამბრი და მრავალი სხვა. პროფესორმა ამავე ცენტრში გამოსცა ორი კრებული, რომელსაც უძღვის მისი ვრცელი წინასიტყვაობა, ორივე ტომმა მალევე ჰპოვა საერთაშორისო გამოხმაურება მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა წრეებში.⁵ ამიტომაცაა, რომ მ. მუსხელიშვილი დღემდე რჩება პოლიტოლოგიის ფრანგული სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და წამყვან ლიდერად. ხოლო მუსხელის ცენტრში მისი რედაქციით და თანაავტორობით გამოცემული პოლიტოლოგია-სამართალმცოდნეობის დარგის ფუნდამენტური ორტომიანი მონოგრაფია, დღესაც დასავლეთის პოლიტოლოგთა სამაგიდო წიგნად ითვლება.

საინტერესო მოსაზრებებია ასახული აგრეთვე ევროპული ფედერაციის მომავალ-

3 საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ტ. 1, მეცნიერება. 1994, გვ. 129

4 Journal Officiel de la Republique Francaise №73. 1944 წლის 31 აგვისტო

5 გაზეთი „ფიგარო“, 2.íí., 1965

ლი ფორმისა და მისი გაერთიანების შესახებ მუსხელიშვილის ნაშრომებში. ფრანგ-მა გამომცემლებმა ჟან ფრანსის ბიონმა და ჟან ლუკ პრეველმა მოიძიეს, შეკრიბეს და ერთ წიგნად გამოსცეს 1930-40-50-იან წლებში მუსხელიშვილის მიერ დაწერილი სტატიები, საერთო სათაურით „კონფედერაცია და ფედერაცია“. ანოტაცია წიგნის შესახებ ევრომოქალაქის ჟურნალის 2012 წლის 20 ივლისის ნომერში⁶ გვამცნობს ფედერალიზმის რაობას: „ფედერაცია ეს არის სუვერენიტეტის ცნება, რომელიც ასაფუძვლებს განსხვავებას ფედერაციასა და კონფედერაციას შორის. კონფედერაცია ეფუძნება ხელშეკრულებას, ფედერაცია კი-კონსტიტუციას. კონფედერაცია ქვეყნების გაერთიანებაა, ფედერაცია კი ამასთან ერთად ინდივიდების საზოგადოება. ფედერაციაში კანონი დომინირებს ძალაზე. ფედერაცია აღჭურვილია უფლებამოსილებით, რომლის განხორციელებაც აღარ ან არ არის მიზანშეწონილი ფედერირებულ სამელმნიფოსათვის (თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ.). უფლებამოსილებათა გადანაწილება ხდება სუფსიდიარულ პრინციპებზე: ფედერირებული სახელმწიფოები ფლობენ ყველანაირ უფლებამოსილებას, რომელიც არ იყო ფორმალურად მინიჭებული ფედერალური სახელმწიფოსათვის. ეს უფლებები განეკუთვნება ნაციონალურ, რეგიონალურ, კანტონალურ (შვეიცარია) საქმეებს, რომელთა განგებაც თვით მათ სრულყოფილად შეუძლიათ (განათლება, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საქველმოქმედო დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურება და ა.შ.). მუსხელიშვილი თავის ნაშრომში წერს, რომ ფედერალიზმში „ძალასა და თავისუფლებას შორის ნაციონალური ავტონომია მორიგებულია საზოგადო წესრიგის მორჩილებასთან. წევრი-სახელმწიფოების საკონსტიტუციო ავტონომიის, სამთავრობო დაწესებულებების, ზემდგომლობის, კავშირის სურვილების ფორმირებაში მონაწილეობის, კომპეტენციების გადანაწილების და არბიტრალური ხასიათის ფედერალური სასამართლოს დაწესების საშუალებით.“ მიშელ მუსხელი ასევე საუბრობს ფედერალურ კონსტიტუციაზე და აღნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს მოკლე და შემოგვათავაზოს „საერთო იდეალი“. რა იქნება ეს იდეალი ევროკავშირისათვის?!

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ევროკავშირის კონსტიტუცია დგას მიხეილ მუსხელიშვილის მიერ დაწერილი კონსტიტუციის ფუნდამენტალურ პრინციპებზე. მ. მუსხელიშვილმა, გასტონ სტეფანთან ერთად 1949 წელს დაწერა ევროპული კონსტიტუცია, სადაც განერილია პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპები, რაც დაფუძნებულია მშვიდობაზე და სოციალურ სამართალზე ფედერაციის ერთიანობაში და ფედერაციული სახელმწიფოების სხვადასხვაობაში. მუსხელიშვილი განმარტავს, რომ თუ „კონსტიტუციამ მიიღო გარკვეული ეკონომიკური და სოციალური ლოგიკა, ის შემოიტანს ფედერაციაში განხეთქილების სხვადასხვა მოტივებს, რომელთაც შეეძლება ფატალური დისკუსიების პროვოცირება კავშირის შენარჩუნებაზე“. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ფედერაციის კონსტიტუცია იღებს გარკვეულ ეკონომიკურ და სოციალურ იდეოლოგიას წევრი-სახელმწიფოების მთავრობების დაპირისპირების რისკის ფასად, ევროპული ხალხის დემოკრატიული კონტროლის ქვეშ მყოფ ფედერალურ მოძრაობაზე დამოკიდებული ისეთი არჩევანის გაკეთება, რომელსაც

6 ჯონათან ლევეგლი, მიშელ მუსხელი. კონფედერაცია და ფედერაცია: ანტითეზა. La Taurillon – ევრომოქალაქის ჟურნალი, 2012. 20 ივნისი

შეეძლება შემდგომი არჩევნების მიმდინარეობის შერყევა. დღეს იმ სიძნელის წინაშე, რასაც ევროპის დონეზე გადანყვეტილების მიღება ჰქვია, კავშირის კონფედერალური ბუნების გამო, მთავრობები ცდილობენ გადანყვეტილებათა კონსტიტუციონირებას, მაგალითად საბიუჯეტო ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც არ უნდა იყოს კონსტიტუციური ხასიათის. ჩვენ მოხარული ვიქნებით დავრჩეთ მაასტრიხტის შეთანხმების ფარგლებში. ეს მდგომარეობა ფაქტობრივად არის აღიარება უმწეობისა, რომელიც, პირველყოფლისა, გამონვეულია კავშირის ცუდი მმართველობისაგან. დასასრულს იგი წერდა, რომ „უნდა გამოვიდეთ ევროპული რეალობებიდან და ფედერალიზმი შეუთავსოთ ამ რეალობებს. ევროპა კი არ უნდა დაექვემდებაროს ფედერალისტურ პრინციპებს, არამედ უფრო ფედერალისტური პრინციპები უნდა მოერგოს ევროპულ რეალობას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევროპული ფედერალიზმის ფორმა კიდევ გამოსაგონებელია.“ ნაშრომის დასასრულს, იგი ხაზგასმით აღნიშნავს ფედერაციული პრინციპის მოქნილობას და სიმდიდრეს, რომელიც ითვალისწინებს „ყველა რთულ და მგრძობიარე დე ფაქტო სიტუაციებს. ეჭვს გარეშეა, რომ ევროპული ფედერაცია არ მიიღებს ფორმას, ადაპტირებულს ძლიერ ინდივიდუალიზმთან და მისი შემქმნელი ნაციონალური სახელმწიფოების ხანგრძლივ ისტორიასთან. ამიტომ არის, რომ შეიძლება აპრიორი ითქვას, რომ ევროპული ფედერაცია არ იქნება არცერთი მანამდე არსებულ ფედერალური სისტემის მსგავსი. ეს იქნება ფაქტობრივად ერთი სუვერენული სახელმწიფო სხვებს შორის, ერთი ეტაპი მსოფლიო ფედერაციისაკენ, რომელიც ერთადერთი საშუალება იქნება ფედერალიზმის სრული რეალიზაციისა ომის ლოგიკის უნივერსალური გადაჭრის გზით, რომელიც შედეგია სახელმწიფოების სუვერენიტეტისა, მისი უსასრულო მშვიდობის ლოგიკით შეცვლა და სამართლის გაბატონება ძალმომრეობაზე.“

მიხეილ მუსხელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენცია-კონგრესების მუშაობაში. იგი ყოველთვის საინტერესო და ვრცელი მოხსენებებით გამოდიოდა ევროინტეგრაციის და ერთიანი ევროპული საზღვრების მოშლის ინიციატივით, ევროპის საერთო ბაზრის შექმნის და ერთიანი ევროპული განათლების სისტემის მოდერნიზაციის იდეით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მოხსენება და ისტორიული გამოსვლა 1950 წლის 6 აგვისტოს ევროკონფერენციაზე სტრასბურგში, რომელიც ჩატარდა მისი უშუალო ინიციატივით. ევროკონფერენციის გახსნის წინა დღეს, ევროპის 8 ქვეყნის 300-ზე მეტმა სტუდენტმა, ევროგაერთიანების მგზნებარე ინიციატორის მიხეილ მუსხელიშვილის და სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამძღოლობით, მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა. „ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ეხლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთოს..., თქვა მაშინ მ. მუსხელიშვილმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აგრეთვე მისი გამოსვლა და ინიციატივა საერთო ევროპული ბაზრის შექმნის შესახებ ბრიუსელში,⁷ 1958 წლის 23-27 აპრილს ბრიუსელში მსოფლიო გამოფენის C.E.C.A-ს პავილიონში შედგა ევროპულ პროფესორთა ასოციაციის მორიგი კონგრესი, რომლის მუშაობის დღის წესრიგში

7 ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №28-29, გვ.43-44

იყო ორი საკითხი: ევროპის საერთო ბაზარი და ევროპის საერთო დანესებულებები. მოხსენებები ეხებოდა ევროპის ეკონომიკური მთლიანობის იურიდიულ ბუნებას და მის საერთო ასპექტს, მის ფსიქოლოგიურ მხარეს. მ. მუსხელიშვილმა კი ვრცელი მოხსენება წარადგინა, ევროპის საერთო ბაზრის შექმნის, მისი ინტეგრაციის (მთლიანობის) შესახებ და მის სამართლებრივ ასპექტებზე, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო პრესა-პუბლიკაციებში. იგი მიიჩნევდა, რომ ევროპის გაერთიანების შედეგად უნდა მოხდეს ევროპის ბაზრის გაერთიანება, რაც გაადვილებდა სავაჭრო კავშირებს ქვეყნებს შორის და შექმნიდა ერთიან საბაზრო სისტემას ევროპის კონტინენტზე. ევროპის საერთო ბაზრის სისტემის შექმნა ხელს შეუწყობდა ევროპული ქვეყნების გაერთიანებას და გაერთიანების შემდეგ მისი საერთო სიმტკიცის შენარჩუნებას.

1948-51 წლებში მ. მუსხელიშვილი საუნივერსიტეტოაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ-დამაარსებელია. 1952 წლიდან იგი იყო ევროპულ პროფესორთა ასოციაციის გენერალური მდივანი. 1952 წლის 25 სექტემბერს პარიზში შეიქმნა სპეციალური კომისია,⁸ რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მ. მუსხელიშვილი, მ. ორე, ს. ბერგსტონი, ა. ნიკურაძე, გ. მიშო, ალ. მარკი, რ. ნორთი და სხვა. ამ კომისიას უნდა შემუშავებინა დებულება ევროპულ პროფესორთა ასოციაციის შესაქმნელად, ხოლო 1955 წლის სექტემბერში ქ. ტრიესტში მოინვიეს კონგრესი, რომელშიც წარმოდგენილი იყო 18 ქვეყნის 120 წარმომადგენელი. აქ შეიქმნა ევროპულ პროფესორთა ასოციაცია, რომლის მიზანი იყო ევროპული ინტელექტუალური და კულტურული ერთიანობის ორგანიზაციის და განვითარების ხელშეწყობა. ტრიესტის კონგრესზე მთავარმა მომხსენებელმა მიშელ მუსხელმა თქვა, რომ ახლა დადგა საკითხი ევროპელთა ინტელექტუალური და კულტურული ერთობის გაერთიანების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრიესტის კონგრესის მიზანი იყო ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში ერთიანი ევროპული სწავლების მეთოდების ჩამოყალიბება, ევროპის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დაახლოება, გონივრული ურთიერთობების განვითარება. ეს იგეგმა, რასაც დღეს ბოლონის პროცესი გულისხმობს, რომლის მიზანია ევროპული ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოება და ჰარმონიზაცია, ერთიანი ევროპული სივრცის შექმნა უმაღლესი განათლებისათვის. ტრიესტის კონგრესზე შეიქმნა ევროპულ პროფესორთა ასოციაცია და განხილული იქნა საკითხების საფუძვლიანად შემუშავებისათვის კომისიები, ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულ იქნა პროფესორი ვ. არანჯო-რუიზი-ლინჩის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი იტალიიდან, ვიცე-პრეზიდენტად პროფესორი ს. დემპფი-მიუნხენიდან, ასევე პროფესორთა საჭოს წევრი ალ. ნიკურაძე გერმანიიდან და გენერალურ მდივანად პროფესორი მ. მუსხელიშვილი საფრანგეთიდან.

მ. მუსხელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთში „ერთიანი ევროპის წარმომადგენელთა არჩევნებში, იყო ჟურნალ „ევროპის ფორმირები“-ს რედაქციის კომიტეტის წევრი და ჟურნალ „სოციალისტური აზრის“ დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი.

1953 წლის 10 აგვისტოს ოფიციალურად დაარსდა სტრასბურგში „ევროპული

8 ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №21-22. გვ. 27-29, 1-5, 7-8.

ქართული მოძრაობა“, რომლის სულისჩამდგმელი და ინიციატორი ასევე მიხეილ მუსხელიშვილი იყო. „ქართულ-ევროპული მოძრაობის“ საინიციატივო წრემ დაარსა სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ალ. ჯინჭარაძე, კ. სალია, მ. ალშიბაია, ვ. ცხომელიძე. სამდივნო ხელმძღვანელობდა მოძრაობის მუშაობას ყრილობის მონვევამდე. „ევროპული ქართული მოძრაობის“ საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი მიხეილ წერეთელი, ხოლო საპატიო წევრად გრიგოლ რობაქიძე. „ევროპულ ქართული მოძრაობას“ საფუძვალად დაედო 1953 წლის 7 აპრილს, ქ. მიუნხენში შეკრებილი დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შემდეგი წესდება: 1. ქართველთა შორის ევროპის სახელმწიფოთა კავშირის და მასში სუვერენული, დემოკრატიული საქართველოს შესვლის აუცილებლობის იდეის გავრცელება. 2. გაცნობა უცხოელთათვის, რომ საქართველო მუდამ იყო სულიერად და კულტურულად ნაწილი ევროპისა და სურს გახდეს მისი წევრი. ამ მიზანთა მისაღწევად, იგი უკავშირდება კავკასიელ მეზობელთა და ევროპის სხვა ერთა ევროპულ მოძრაობებს. მოძრაობის წესდებაში ხაზგასმულია, რომ „ქართულ-ევროპული მოძრაობა“ არ იყო კუთვნილება რომელიმე პარტიისა ან ჯგუფისა. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ ქართველს, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, ვინც აღიარებდა საქართველოს სუვერენობას და იზიარებდა ევროპის მთლიანობის იდეას.⁹

მიშელ მუსხელი 1954 წლიდან იყო ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და ორჯერ არჩეული გენერალური მდივანი. ამავე წლებში პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი, მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის (ამ კავშირის ვიცე პრეზიდენტი იყო კალისტრატე სალია) და სხვა უამრავი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი გაერთიანების წევრი.

ცნობილ მეცნიერს ხშირად იწვევდნენ ლექციების წასაკითხად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ნორვეგიაში, იტალიაში, აშშ-ში, სკანდინავიის ქვეყნებში, შოლანდიაში, შვეიცარიაში და სხვა.

მ. მუსხელიშვილი 1954 წელს მიწვეული იყო The American Friends Service Committee-ს მიერ აშშ-ში ლექციების წასაკითხად. პროფესორმა წაიკითხა მოხსენებები ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქსა და უნივერსიტეტში, პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში, რელიგიურ საზოგადოებებში. მის ლექციებს ყველგან უამრავი ხალხი ესწრებოდა. ვაშინგტონში ერთ მის მოხსენებაზე მოვიდნენ მთელი დიპლომატიური წარმომადგენლობის კულტურულ სექციათა ხელმძღვანელები. იქიდან დაბრუნების შემდეგ იგი გაემგზავრა სკანდინავიაში ოსლოსა და უპსალას უნივერსიტეტების მიწვევით. მოხსენების თემა იყო ევროპის ცივილიზაციის კრიზისი და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობა.¹⁰

მ. მუსხელიშვილის სტატიები და ნაშრომები იბეჭდებოდა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე. „Monde Nouveau“, Trvaux et Enquetes კრებულებში, ასევე ნინო და კალისტრატე სალიას პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“. ესენია: „საქართველო და ევროპა“, „ერთა თვითგამორკვევის უფლები-სათვის“, „რუსეთი არ არის ევროპა“, „დამონებულ ერთა წამომადგენლობისათვის“,

9 ჟურნალი „ბედი ქართლისა“ №15, 1953 წლის სექტემბერი, გვ.30-31.

10 ჟურნალი „ბედი ქართლისა“ 1954 წლის №17, გვ 30

„სსრკ ანუ მითი ბედნიერ ერებზე“, „პროლეტარიატის დიქტატურა სახელმწიფო ლევიანობაში“, „საბჭოთა ფედერალიზმი“, „ეროვნებები და ლინგვისტიკა სსრკ-ში“, „იურიდიული ბუნება საბჭოთა კავშირში“ და მრავალი სხვა.

მიხეილ მუსხელიშვილის პირველი, ყველაზე ცნობილი და პოპულარული ნაშრომებია გამოცემული ფრანგულ ენაზე, ესენია: 1. Michel Mouskheli. *L'équite en Droit International Modern*. Paris. 1933; 2. Michel Mouskheli. *Autonomie*. 1934; 3. Michel Mouskheli. *Le Plebiscite de la Sarre*. 1933 (პირველი სამი ნაშრომი გამოსვლისთანავე მიშელ მუსხელმა დიდი სიყვარულითა და ერთუზიანობით 1933 წლის მაისში გამოუგზავნა თავის დედას წარწერით „ჩემ საყვარელ და ძვირფას დედიკოს სახსოვრად მისი საყვარელი შვილისაგან“, რომელიც დაცულია მუსხელიშვილების პირად არქივში); 4. Michel Mouskheli. *La theorie juridique de l'Etat federal: 60 fr. (J.Pedone) 1931* (18 ივლისის №457 ნელს „ახალი ლიტერატურა“-ში პარიზის სამეცნიერო ჟურნალში ცნობაა, რომ გამოვიდა მუსხელის ნაშრომი ფედერალური სახელმწიფოს იურიდიული თეორია); 5. Michel Mouskhely, Gaston Stefani, „Draft of a European Federal Constitution“ 1948.

მ. მუსხელიშვილი გატაცებული იყო ალპინიზმით, ის ხშირად დადიოდა სალაშქროდ. 1964 წლის 16 ივლისს ერთ-ერთი ასვლის დროს იტალიის ალპებში, აოსტას ხეობაში მწვერვალ სევენის დაპყრობის შემდეგ, დაშვებისას იგი კლდიდან ჩამოვარდა და ტრაგიკულად დაიღუპა. უფრო დეტალურადაა ფრანგულად აღწერილი გარდაცვალების მიზეზი ნეკროლოგში, რომლის თარგმანი ასეთია: მ. მუსხელი 1964 წლის ივლისის დასაწყისში გაემგზავრა სტრასბურგიდან ვალე დ'აოსტაში იტალიაში, ევროპის ფედერალიზმის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად. იგი ამას ყოველწლიურად აკეთებდა არდადეგების დროს. მან გადაწყვიტა, რომ ჯერ ასულიყო იტალიის ალპებში, სერვენის მასივში „დიდი ტორნალინის მწვერვალზე (3.378 მ), ხოლო შემდეგ ჩასულიყო ქალაქ აოსტაში და ლექციები წაეკითხა, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ იტალიის ალპებში საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვართან. მას ახლდა სამი პიროვნება: მისი ფრანგი შვილობილი ვაჟი, ჰოლანდიელი მეგობარი ჟან ვესტერნბროეკი, რომელიც ასევე ლექციებს კითხულობდა ქალაქ აოსტას უნივერსიტეტში და ერთი გერმანელი სტუდენტი. „1964 წლის 11 ივლისს დილით მ. მუსხელიშვილი ავიდა მწვერვალზე და უკან დაბრუნებისას ფეხი დაუსხლტა და გადაიჩეხა კლდეზე. ძალზედ საინტერესოა ამ უბედური შემთხვევის აღწერა ბატონი ჟან ვესტერნბროეკის მიერ, რომელიც დეტალურადაა ფრანგულ ნეკროლოგში გადმოცემული. სამშაბათს ჩვენ დილით დავტოვეთ ვალტურმანში. „დიდი ტორნალინის“ მწვერვალზე ასვლის შემდგომ ვისაუზმეთ და სურათები გადავიღეთ. ამინდი ისეთი კარგი იყო, რომ სამწუხაროდ უკან დავბრუნდით მხოლოდ დღის სამ საათზე, როდესაც უკვე ყინულს დნობა დაეწყო. ჩვენ ვიყავით ნახევარ გზაზე, ტორნალინის დიდ და პატარა მწვერვალებს შორის, როდესაც გზაზე პროფესორი ნაბორძიკდა და ფეხი დაუსხლტა. რამდენადაც ჩვენ თოკებით უკვე აღარ ვიყავით ერთმანეთთან გადაბმული, ჩვენ არაფრის გაკეთება აღარ შეგვიძლო, თუ არა მარტო გვეყვირა, „ბუჩქებს მოეჭიდეთ“, მან ვერაფერს მოსჭიდა ხელი და პირდაპირ გადაეცვა 150 მეტრიდან ციცაბო შიშველ კლდეზე“. პროფესორის მხლებელნი მაშინვე გაეშურენ ვალტურმანშთან ახლოს მდებარე პატარ სოფელ შენილისაკენ და უხმეს მაშველებს. მაშველების მობილიზებას და იქ მისვლას ათი საათი

დასჭირდა, რა დროსაც პროფესორი უკვე გადრაცვლილი იპოვეს და მისი ცხედარი აოსტაში ჩამოასვენეს. ამ უბედური შემთხვევის გაგების შემდგომ მუსხელიშილის მეუღლე ქალბატონი ნინა ჩამოვიდა აოსტაში და მისი ცხედარი სტრასბურგში გადაასვენა, სადაც მისი დასაფლავება მოხდა 17 ივლისს, პარასკევს, 16 საათზე სტრასბურგ-რობერტსოს ჩრდილოეთ სასაფლაოზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი დასაფლავება მოხდა ორთოდოქსული წესით და ამ მესიას ხელმძღვანელობდა მამა ჟან არნუ. ვინაიდან მუსხელიშვილს საკუთარი შვილი არ ყავდა (თუ არ ჩავთლით მის ფრანგ შვილობილს), ტრადიციისამებრ მისი კუბო ჩაასვენა საფლავში მისმა ყოფილმა უახლოესმა ექვსმა სტუდენტმა.

მ. მუსხელისშვილის დაკრძალვას მთელი უნივერსიტეტი დაესწრო, სამგლოვია-რო სიტყვა წარმოსთქვა სტრასბურგის უნივერსიტეტის რექტორმა დ. ფ. ანჟელოს-მა, პროფესორმა ა. ვიელმა და იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა რუაერმა. ასევე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილემ პოლ მოდინმა. ორივე პროფესორმა განსაკუთრებით აღნიშნა მიშელ მუსხელის სიკეთე, სისადავე, სულიერი კეთილშობილება, ინტელიგენტობა, ცოცხალი ხასიათი და მგზნებარება, რაც ნამდვილად ახასიათებდა ამ ქართველ კაცს, რომელიც ვერ მოესწრო თავისი მშობლიური უნივერსიტეტი დაემშვენებინა.¹¹

61 წლის მეცნიერის დაკარგვამ დიდი სინანული გამოიწვია მთელ ევროპაში. ეს ჩანს ფრანგული წამყვანი გაზეთების „მონდის“ და „ფიგაროს“ ფურცლებიდან, სადაც ვკითხულობთ... „პირადი ვაჟკაცობა და შემართება, გასაოცარი ენთუზიაზმი, ინტელექტუალური სიმდიდრე შეადგენდა, ხასიათის სიძლიერესა და ნებისყოფის სიმტკიცესთან ერთად, ამ შესანიშნავი პიროვნების თვისებებს. ევროპის უნივერსიტეტთა და ევროპულ მოძრაობათათვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია. მიშელის დაკრძალვამ გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა იგი კოლეგებსა და სტუდენტებში. მისი სახით ჩვენ დავკარგეთ ნათელი გზის და მაღალი კვალიფიკაციის პროფესორი, სულიერებით, კეთილშობილებით და გონიერებით გამორჩეული....“

ასევე ვკითხულობთ გაზეთი „ფიგარო“-ში,¹² რომ ნიჭიერი პროფესორის სიყვარული და პატივისცემა იმდენად დიდი იყო, რომ მუსხელიშვილის გარდაცვალების წლისთავზე ორმა რომაელმა სტუდენტმა 23 წლის ჯანი რუტმა და 22 წლის კარლო გრაციანიმ მონ ბლანზე ერთიანი ევროპის დროშა აღმართა, ერთიანი ევროპისათვის მხურვალე მებრძოლის სახელის უკვდავსაყოფად. მათ ეს დიადი ქცევის აქტი, საყვარელი სტრასბურგელი პროფესორის ხსოვნისადმი მიუძღვნიათ.

მიხეილ მუსხელიშვილის შრომის შედეგი

ევროკავშირში გასაწევრიანებლად ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა არსებობს, მაგრამ არც თუ ისე მიუღწევადია და საამისოდ ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ევროპული ერების ოჯახს საქართველოც მალე შეუერთდება. მ. მუსხელიშვილის შემოქმედების მიზანი და ნატვრაც სწორედ ეს იყო, საქართველო ყოფილიყო დემოკრატიული და ევროპული ყაიდის ქვეყანა. მან საამისოდ პარიზში

11 Revue de Kartvelologie. №45/46. Paris. გვ.184/86

12 Figaro, 12.08.1965

და ბრიუსელში ჩაუყარა საფუძველი ევროპული იდეების დამუშავებას და ევროპული სამართლის საფუძვლებს (ევროკავშირის ფუნდამენტურ კონსტიტუციას) – ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. 1950 წლის 6 აგვისტოს სტრასბურგში, ევროკონფერენციის გახსნის წინა დღეს, ევროპის 8 ქვეყნის 300 ზე მეტმა სტუდენტმა, ევროგაერთიანების მგზნებარე ინიციატორის მიხეილ მუსხელიშვილსა და სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამძღოლობით, მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა, „ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ეხლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთო...“, თქვა მაშინ მ. მუსხელიშვილმა.

დიახ საქართველო ევროპულია, თავისი კულტურით, ისტორიით, რელიგიითა და თავისუფალი მისწრაფებებით. ამიტომაცაა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ დროულად მოხდა ამის გაცნობიერება-აღიარება და საქართველოს ვიზალიბერალიზაციის იმპლემენტაცია. ეს იყო ისტორიული მომენტი საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის.

ვიზალიბერალიზაცია წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ ურთიერთობათა ერთ-ერთ მთავარ შედეგს.

ამდენად, დღეს ვიზალიბერალიზაციის მიღება ერთგვარად წარმოადგენს მიხეილ მუსხელიშვილის ევროგაერთიანების ოთხი ძირითადი კონცეფციის ნაწილს, რომელიც მაშინვე გულისხმობდა: ევროპული ქვეყნების გაერთიანებას (ევროპული კავშირი, კონფედერაცია), ევროპის საერთო ბაზრის შექმნას, ევროპის ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლას, ევროპის ერთიანი განათლების სისტემის შექმნასა და ჰარმონიზაციას. აქედან ბოლო ორ კონცეფციაში საქართველო უკვე აქტიურად მონაწილეობს, დანარჩენი კი კვლავ რჩება ქვეყნის მთავარ გამოწვევად. ვიმედოვნებთ, რომ წარმატებული ღონისძიებების გატარებით საქართველო მალე შეუერთდება დიდ ევროპულ ოჯახს.

გამოყენებული ლიტერატურა:

მ. მუსხელიშვილი, ქართულ-ევროპული მოძრაობის გამოცემა, პარიზი, 1952

მ. მუსხელიშვილი, საქართველო და ევროპა, პარიზი, 1953

საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ტ. 1, მეცნიერება. 1994

საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ტ. 2, მეცნიერება. 1995

ჟურნალი „კავკასიონი“ 1965 წ. ტ. X, პარიზი

ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №15, 1953, სექტემბერი

ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №17, 1954

ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №18, 1954

ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №21-22

ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №24-25, 1957

ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №28-29

ფრ. ჟურნალი „მონდ ნუვო“, №89-90, 1955

ჟურნალი La Taurillon, 2012, 20 ივნისი

გაზეთი „ფიგარო“, 2.ÍÍ. 1965

Figaro, 12.08.1965

Journal Officiel de la Republique Francaise №73. 1944 წლის 31 აგვისტო

Revue de Kartvelologie. # 45/46. Paris. Figaro, 12.08.1965

Berdiev. Les sources et le sens du communism russe

Preface au livre de G.Jorre, L'URSS, la terre et les homes. 1946

Il'sagit de la terminologie de Sir Harold Mackinder, Democratic Ideals and Reality

Edisher Japharidze

PhD in Social Sciences

Georgian Technical Univcrsity

MIKHEIL MUSKHELISHVILI – GEORGIAN EMIGRANT SCIENTIST AT THE OUTSET OF EUROPEAN INTEGRATION

Summary

Georgia has always been aspiring to Europe. Today it is thoroughly pursuing the path of western orientation. From the very first days of European civilization Georgia participated in development of spiritual, cultural, political and economic formations constituting the essence of European life. The Georgians became Europeans when the country converted into Christianity and became a part of Hellenistic world and a sharer of Roman and Greek civilizations. Georgia has significantly contributed to European creative work. In this respect it is important to highlight a Georgian emigrant professor's merits in the development and formation of the European Union.

Mikheil Muskhelishvili was the first Georgian European to preach the idea of the European Union and of erasing frontiers among European countries. He formed the European Center of scientific research and study in Strasburg named "Muskheli" Center (where it is operating under the name) to study issues of European integration. After the War he put forward the idea of uniting Europe into a federation. He maintained federalism was not only the necessity enabling the Europeans to survive but also was a guarantee of peace and prosperity of Europe and freedom and integrity of human race... as he wrote in his work "The structure of Europe's Federalism".

Even before Jean Monnet founded the EU, M. Muskhelishvili had published a few works about European confederation. While Robert Schuman and Jean Monnet were merely talking about uniting Europe, M. Muskhelishvili was publishing articles on the same subject in the leading newspapers and magazines of his time and was actively participating in the processes of creating the European Union.

In August, 1950, in Strasburg, Mikheil Mouskheli with his students and supporters of European Union demolished France-German frontier infrastructure and hoisted the common European flag. M. Muskhelishvili also talked about common European market and common European educational system which meant today's Bologna process. The aim was to bring the educational systems of European countries together and create common European higher educational system.

On February 2, 2017 as a result of successful reforms carried out by Georgian Democratic Government, Georgia got EU visa liberalization (VLAP – Visa Liberalisation Action Plan). We hope it will mark the beginning of Georgia's integration process into the European Union.

Visa liberalization is one of Mikheil Mouskheli's four main concepts of creating the European Union, for which he fought. The concept at that time meant creating the Union of European Countries (EU, Confederation), of European common market, demolishing borders among European countries and creating and harmonizing common European educational system. Georgia has already participated in the last two concepts. We hope that the country will continue carrying out successful reforms and will return to the European family where it truly belongs.

მაია პატარიძე
ისტორიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

როლანდ სპანდერაშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი

საქართველოს პირველი რესპუბლიკის უცნობი ფულადი ნიშნები საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებიდან

1917 წლიდან ამიერკავკასიაში საკმაოდ მძიმე პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა. რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ, დაიშალა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი (Особый Закавказский Комитет), 15 ნოემბრიდან კი ახლად შექმნილმა ამიერკავკასიის კომისარიატმა დაიწყო რეგიონის მართვა. რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების დამხობის შემდეგ შექმნილმა ეკონომიკურმა კოლაფსმა მძიმედ იმოქმედა ამიერკავკასიის რეგიონზეც, მიმოქცევის არხებში საკმაოდ შემცირდა ნაღდი ფულის მასა, საბოლოოდ კი დეფიციტიც შეიქმნა. 1918 წლის 29 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა დებულება ბონების შესახებ, იმავე წლის 5 თებერვლიდან კი მიმოქცევაში გამოვიდა 1,3,5,10,50 და 100-მანეთიანი ბონები, რომელთაც შემდგომ 250 მანეთიანი ნომინალი დაემატა. [დუნდუა...2003:114] კავკასიაში იმ დროს შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციას კარგად ასახავს ცნობა: „მთავრობას კიდევ არ გამოურკვევია თავისი პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთის ფარგლებში. მან თვითონ არ იცის, რა ეკუთვნის საერთო სახელმწიფო ქონებისა და ვალისაგან. ოქროს რეზერვზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთ პირობებში რამდენიმე მილიონი მანეთის გამოშვება კურსის კატასტროფას გამოიწვევს, ისე რომ, კავკასიელი მომხმარებელი ალბათ ადრე მოესწრება იმ ბედნიერ დღეს, როცა წყვილი ფეხსაცმელი რამდენიმე ათასი ელირება, როგორც ეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს იყო“ [ქალაღღის...2007:14]. 1918 წლის 10 თებერვალს თბილისში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის წარმომადგენლობითი ორგანო სეიმი, რომელმაც საკმაოდ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ამიერკავკასიის რუსეთისგან ჩამოშორების იურიდიული გაფორმება გადაწყვიტა. 9 აპრილს სეიმმა დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო და ამიერკავკასია დამოუკიდებელ, ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა. კავკასიასა და რუსეთში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, ფედერაციაში შემავალი მხარეები სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მომხრეები აღმოჩნდნენ, რამაც, საბოლოოდ, 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა გამოიწვია. [ჯავახიშვილი, 1998:5]. ამ პერიოდში საქართველოში მიმოიქცეოდა რუსეთის იმპერიის დროინდელი სახელმწიფო ბანკის მიერ ემისირებული კუპიურები, რუსეთის დროებითი მთავრობის დროინდელი ფულის ნიშნები, ამიერკავკასიის ბონები. ზოგიერთი ქალაქის თვითმმართველობა დამატებით უშვებდა ლოკალურ ბანკნოტებს

ან ჩეკებს, რომელიც შეზღუდული მიმოქცევის არეალში ბრუნავდა [Airapetian, 2009:81,127].

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სხდომაზე საქართველო დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ნოე რამიშვილი, რომელიც მალევე ნოე ჟორდანიამ შეცვალა. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად გიორგი ჟურული დაინიშნა, რომელიც 1919 წელს შეცვალა მისმა მოადგილემ კონსტანტინე კანდელაკმა. 26 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ფულის ნიშნების თაობაზეც, კერძოდ საბჭოს დადგენილებით, მიმოქცევაში დარჩა ამიერკავკასიის ბონები და შემდგომი ემისია სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებთან შეთანხმებით განეხორციელებინათ. ამ საკითხის შესახებ საინტერესო პასაჟია კ.კანდელაკის მოგონებებში: „პირველი დიდი საკითხი, მთავრობას რომ დაუდგა ფინანსიურ-ეკონომიკურ სფეროში დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველსავე დღეს დაუყონებლივ მოსაგვარებლად, იყო ფულის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ფულის ნიშნის საკითხი, მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, მაშინდელი მდგომარეობის ნათლად წარმოდგენით, შეიძლება გაგებულ იქნას ამ საკითხის მთელი სიმწვავე. ჩვეულებრივ პირობებში, დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის ფულის ნიშნის გამოცემა და ისიც ქალაქის ფულის ნიშნის, თითქოს სულ უბრალო საქმე უნდა ყოფილიყო. ჩვენ კი ვსარგებლობდით ჯერ „ამიერკავკასიის ბონით“ შემდეგ „საქართველოს ბონით“ და როგორც პირველი, ისე მეორე რუსეთის მანეთთან (რუსეთის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთთან) იყო დაკავშირებული. მართალია მარტო ჩვენ არ ვყოფილვართ ასეთ მდგომარეობაში. ბალტიის ქვეყნებში და პოლონეთშიც საკუთარი ფულის სისტემის და საკუთარი ფულის ნიშნების შემოღებამდის გვარიან დიდხანს-ხმარებაში იყო რუსული მანეთი. რატომ მოხდა ეს ჩვენში? ჯერ უნდა გავიხსენოთ ის მძიმე პოლიტიკური, სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. ეს მდგომარეობა მოითხოვდა, რომ ყოველგვარი გართულება შინაური ცხოვრებაში, თუნდაც სულ მცირე ყოფილიყო იგი თავიდან აგვეცილებინა; წინამდებ შემთხვევაში არამც თუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობას, არამედ თვით ხალხის ფიზიკურ არსებობას საფრთხე მოელოდა“ [კანდელაკი, 1960:60].

1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული ფულის გარანტი უნდა გამხდარიყო. შემომწირველთა შორის იყვნენ კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი. 1918 წლის ივლისში გამოცხადდა ქართული ბონის დიზაინის კონკურსი, კომისიამ საბოლოოდ მხატვარ იოსებ შარლემანის ესკიზები შეარჩია [ჯავახიშვილი, 1998:9]. 1918 წლის განმავლობაში პარლამენტში მიმდინარეობდა დისკუსია ფულის ნიშნების დამზადების შესახებ, მაშინდელი პოლიტიკური სპექტრი არ იყო ერთ აზრზე. ქართული ბონის სიმყარისა და ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის საქართველოს მთავრობამ გერმანული ბანკებიდან 1918 წლის აგვისტოში აიღო სესხი. წლის ბოლოს საქართველო-სომხეთის ომის დროს გართულდა ეკონომიკური სიტუაცია და გარკვეულწილად ფულის ნიშნების დეფიციტი შეიქმნა, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ბონის საბჭადი ექსპედიცია თბილისში იყო განლაგებული. 1918 წლის 24

დეკემბერს საქართველოს პარლამეტმა მიიღო დადგენილება სახელმწიფო სახაზინო ერთწლიანი 5% ობლიგაციების გამოშვებისა, რითაც შეეცადა ხაზინაში ნაღდი ფულის მასის მოზიდვასა და დარეზერვებას.

1919 წლის 11 ივლისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა დეკრეტი №101 „საქართველოს ბონის გამოცემის შესახებ“:

1. ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამასის მილიონ მანეთისა.

2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებულ იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშუალებით ბონი გამოსყიდულ უნდა იქნას.

3. საქართველოს ბონი უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის ქონებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერ კავკასიის ბონის თანაბრად.

5. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს ერთის, სამის, ხუთის, ათის, ოცდახუთის, ორმოცდაათის, ასის და ხუთასის მანეთის კუპირებისა.

6. საქართველოს რესპუბლიკის ბონი დამზადებულ უნდა იქნას ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და გადაეცეს ტფილისის ხაზინას შესანახად და ხმარებისათვის გამოსაშვებად [საქართველოს..., 1990:290].

1919 წლის ივლისში ბონების ემისიის განხორციელებისას საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, არსებობდა გარკვეული ტიპის საბოტაჟი, იმდროინდელი საბანკო სფეროდან, რადგან არ არსებობდა ჯერ სახელმწიფო ბანკი. ამის შესახებ საკმაოდ საინტერესო ცნობა მოჰყავს კონსტანტინე კანდელაკს: „რა თქმა უნდა, ბანკების წარმომადგენლების მტრული განწყობა ამ საკითხში ერთგვარ საბოტაჟს წარმოადგენდა. გამონვეულს არა ფულის საკითხთან ვინროთ დაკავშირებულ, არამედ მალულ პოლიტიკურ ხასიათის მოტივებით... მათ წინააღმდეგ რეპრესიებით გამოსვლას ძალიან მავნე შედეგი მოყვებოდა სწორედ ფულის ნიშნისათვის: ჩვენ საკუთარი, ეროვნული, საბანკო აპარატი არ მოგვეპოვებოდა და ყველა ჩვენში არსებული საკომერციო ბანკები არაქართველი ბანკირების ხელში იმყოფებოდა“ [კანდელაკი, 1960:60]. ქართული ბონის მიმოქცევაში გაშვების პერიოდში, მთავრობამ შეიმუშავა მეტად მოქნილი მიდგომა, ყველა მენაბრეს შეეძლო მისი კუთვნილი ანაბრის თანხა, მისთვის სასურველი ვალუტით გაენაღებინა, იქნებოდა ეს რუსეთის იმპერიის რუბლები, ამიერკავკასიის ბონი თუ ქართული ბონი. ამის შესახებ კონსტანტინე კანდელაკი იგონებს: „საქართველო ბონის გამოშვების დღეს, დილიდანვე აუარებელი ხალხი მიაწყდა სახელმწიფო ბანკის კარებს, ბევრი იმათგანი ალბათ რაიმე სკანდალის მოლოდინში, ხოლო დიდი იყო გაკვირვება, როცა ბანკის კარებზე სრულიად მოულოდნელი განცხადება წაიკითხეს: „საქართველოს ბონი თავისუფლად ხურდავდება რუსეთის საკრედიტო ბილეთებზე და ამიერ-კავკასიის ბონზეო“ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს განცხადება უბრალო დეკლარაცია არ იყო, კასირები ეკითხებოდნენ კლიენტებს: „რომელი ნიშნით გსურთ ფულის მიღება – ქართულით, ნიკოლოზის“ თუ „ამირკავკასიისო“? ... ათი დღის შემდეგ

ბანკის კლიენტურას არც კი აინტერესებდა, თუ რომელი ნიშნით მისცემდნენ მას ფულს – საქართველოს, ამიერკავკასიის თუ რუსეთის. ხმა გავარდა, საქართველოს ახალი ფულის და წინად არსებულ რუსის და ამიერკავკასიის ფულის ნიშნებს შორის არაფერი განსხვავება ყოფილაო! და ეს ხმა საკმარისი იყო, რათა საზოგადოებაში არსებული შიში გამქრალიყო და საქართველოს ბონს საზოგადოება ნდობით მოპყრობოდა“ [კანდელაკი, 1960:70]. 1919 წელს მოხდა 1,3,5,10,50,100 და 500 მანეთის ნომინალის ქართული ბონის ემისია, ასევე 1919 წელსვე დამატებით მოხდა 50 კაპეიკის ნომინალის ბონის ემისიაც. 1920 წელს დაემატა 1000 და 1921 წელს 5000 მანეთის ნომინალის ბონები.

50 კაპეიკი – ლურჯი ღია ქარვისფერზე – 57X39 მმ

1 მანეთი – ყავისფერი ვარდისფერზე – 77X53 მმ

3 მანეთი ღია მწვანე/მუქი მწვანე/მოყვითალო – 89X60 მმ

5 მანეთი – ყავისფერი და მუქი მწვანე ღია ქარვისფერზე – 115X74 მმ

10 მანეთი – ყავისფერი და ჩალისფერი მუქ ვარდისფერზე – 120X77 მმ

50 მანეთი – ყავისფერი/იისფერი/ღია მწვანეზე – 134X88 მმ

100 მანეთი – ღია და მუქი მწვანე ჩალისფერზე – 156X101 მმ

500 მანეთი – ვარდისფერი, შავი მუქ ცისფერზე – 163X102 მმ

1000 მანეთი – მუქი/ღია მწვანე, ყავისფერი ღია ქარვისფერზე – 163X102 მმ

5000 მანეთი – იისფერი, ღია/მუქი ყავისფერი/ვარდისფერი მუქ ჩალისფერზე – 175X105 მმ.

ყველა ქართულ ბონზე გამოსახული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი, ასევე სახელმწიფოს მეთაურისა და ფინანსთა მინისტრის ფაქსიმილეები. ბონებზე იყო წარწერები: „საქართველოს რესპუბლიკის ბონი“, „მიღება სავალდებულოა თანაბრად რუსეთის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთისა“, „ყალბი ბონის დამზადებისათვის ან გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით“. წარწერები დატანილი იყო ასევე რუსულ და ფრანგულ ენებზე. ქართული ბონები სრულად შეესაბამება, რეგიონში იმ დროისათვის მიმოქცეულ ქალაქის ფულს, როგორც ტექნიკური, ისე ვიზუალური პარამეტრებით. 500,1000 და 5000-მანეთიანი ბონების ნაწილი დაბეჭდილია ჭვირნიშნიან ქალაქებზე, დაბალი ნომინალები კი სრულად უჭვირნიშნო ქალაქებზე.

1919 წლის 11 ივლისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ მოახდინა ქართული ბონების 5 ემისია, ჯამში 18 მილიარდ 400 მილიონი მანეთის ოდენობით.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ფონდებში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ემისირებული ფულადი ნიშნების კვლევა და დღემდე უცნობი ეგზემპლიარების კლასიფიკაცია, მათი შედარება დღემდე ცნობილ ერთეულებთან, მათი ვიზუალური და ტექნიკური შესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, რაც, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ქართული ბონისტიკის ისტორიისა და საქართველოსა და ზოგადად კავკასიის ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. კერძოდ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის

საქართველოს მუზეუმის ისტორიის კოლექციებში¹ დაცულია ქართული ბონები: 50-კაპეიკიანი, 1-მანეთიანი, 3-მანეთიანი, 5-მანეთიანი სერიული ნომრებით ე-0096 და ევ-0009; 10 მანეთიანი სერიული ნომრით დვ-0011; 100-მანეთიანი სერიული ნომრით ა-0065; 500 მანეთიანი სერიული ნომრებით: რშ-0089, რქ-0077, რფ-0033; 5000-მანეთიანი სერიული ნომრებით: ას-0032, ბო-0070, აჩ-0083, ბყ-0051. ასევე 1919 წლის 1000-მანეთიანი 5% სახაზინო ობლიგაცია სერიული ნომრით ბ-00893.

ქართული ბონები დაცულია ასევე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, კერძოდ, კარლო ინასარიძის² ფონდში (მისი ანდერძის თანახმად, მისი არქივი გადმოეცა საქართველოს, კერძოდ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს). წარმოდგენილია რუსეთის დროებით მთავრობის დროინდელი დაუჭრელი ბონები, ე.წ. „შიტები“ და ასევე საბანკო ტრადიციით ფორმირებული ქართული ბონები, კერძოდ: 1920 წლის ემისიის 1000 და 1921 წლის ემისიის 5000-მანეთიანი ქართული ბონები. 1000-მანეთიანი სერიული ნომრით სნ-0048; 5000-მანეთიანი, სერიული ნომრებით: აა-0018; აა-0039; აა-0049; აა -0061; აა-0062; აა-0063 და აა-0066.

სავარაუდოა, რომ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ ემიგრაციაში წასვლისას ხაზინიდან ნაღდი ფული წაიღეს, რათა დაეფინანსებინათ ემიგრაციაში წასვლა, მოეგვარებინათ ყოფითი პრობლემები, დამოუკიდებლობის აღდგენის მერე კი, უკან დაბრუნებულთ ესარგებლათ შემდეგ ზემოთ აღნიშნული კუბიურებით. კარლო ინასარიძის არქივში დაცული ბონები მცირე ნაწილი იქნებოდა იმ რაოდენობიდან, რაც წაიღეს ლევილში. კვლევისას ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყო, 1000-მანეთიანი ბონის 70 ფურცელი და 5000-მანეთიანის 600 ფურცელი, სულ თანხით 3 მილიონ 70 ათასი მანეთი. 1921 წლის თებერვალში საქართველოში მოქმედი კურსის ზუსტი მონაცემები უცნობია ჩვენთვის, მაგრამ ცნობილია 1920 წლის 15 დეკემბრის გაცვლითი კურსი, რომლის თანახმადაც 1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი უდრიდა 18 000 ქართულ მანეთს. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები თანხა, 170,5 გირვანქა სტერლინგს წარმოადგენს.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. 1921 წლის 17 მარტს, ქ.ბათუმში შეიკრიბა დამფუძნებელი კრება და დაადგინა „მთავრობა საზღვარგარეთ გახიზნულიყო და იქ განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად“. 1921 წლის 18 მარტს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ და პოლიტიკურმა მესვეურებმა დატოვეს ბათუმი და კონსტანტინოპოლის გავლით

1 მაღლობას მოვასხენებთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელს, მაგდა გაბრიჭიძეს განეული დახმარებისათვის.

2 ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და ჟურნალისტი. 1963-1984 წლებში ხელმძღვანელობდა რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციას. იყო ლევილის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. ემიგრაციაში მოქმედი საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ჟურნალ „მესამე დასის“ გამომცემელი. ქართული ემიგრაციული ჟურნალისტიკის მოღვაწე. მაღლობას მოვასხენებთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელს, მანუჩარ გუნცაძეს განეული დახმარებისათვის.

პარიზში ჩავიდნენ და ჩასვლისთანავე შეუდგნენ საქმეს. ევროპის წამყვან სახელმწიფოებს, ინგლისს, საფრანგეთს, იტალიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებს 1921 წლის აპრილში დაეგზავნათ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მემორანდუმები, რომელშიც მოითხოვდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ხმის ამაღლებას. 12 მაისს კი ქართველმა დიპლომატმა ზურაბ ავალიშვილმა მიმართა ერთა ლიგის მთავარ მდივანს. ქართველი მოღვაწე მოითხოვდა ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე განხილულიყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და შესაბამისი საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენება [ჩიქავა, 2011:18,19]. 1922 წელს გენუის კონფერენციას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ გაუგზავნა მიმართვა, რომლითაც კონფერენციის მესვეურთაგან საქართველოს შელახული, კანონიერი უფლებების აღდგენასა და საბჭოთა რუსეთისგან საქართველოს გათავისუფლებას მოითხოვდა. ამავე კონფერენციაზე არ დაუშვეს ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის წევრები. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ემიგრაციაში მყოფი მთავრობის უკან დაბრუნება თანდათან ბუნდოვანი ხდებოდა.

ჩვენთვის უცნობია, თუ რა ოდენობის თანხა იქნა ემიგრაციაში წაღებული, ეს იყო მხოლოდ ხაზინიდან გატანილი თანხა თუ პირადი დანაზოგებიც? მაგრამ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ბონები ცალსახად არის საბანკო წესის თანახმად ფორმირებული და უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო ხაზინიდან არის წაღებული. ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის მოხდა ეს ბონები კარლო ინასარიძესთან? გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არ დასრულებულა არქივის დამუშავება. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კარლო ინასარიძის და სხვა ემიგრაციაში მყოფი საზოგადო მოღვაწეების არქივის დამუშავების შემდეგ, მეტი დოკუმენტი და მასალა აღმოჩნდება პირველი რესპუბლიკის ეკონომიკური ისტორიის შესახებ. სავარაუდოა, რომ როგორც ლევილის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ამ სტატუსით მოხდა კ.ინასარიძის არქივში პირველი რესპუბლიკის ბონები, რომელიც ასახავს ემიგრაციაში მყოფი მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის იდეას და წარმოადგენს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური ისტორიის ერთ მოკრძალებულ ფურცელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

კანდელაკი კონსტანტინე, ეროვნული მეურნეობა, წ 2, პარიზი. 1960 წელი, 223 გვ.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921 წლები, „ივერთა მხარე“ თბილისი. 1990 წელი, 496 გვ.
ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი, მეორე გადამუშავებული გამოშვება, შემდგენლები: თედო დუნდუა, გიორგი დუნდუა, ნიკო ჯავახიშვილი და ანა ერისთავი, თბილისი. 2003 წელი, 180 გვ.
ქალაქის ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2007 წელი, 38 გვ.
ჩიქავა იოსებ, ჟორდანისა და ეროვნული ძალების მოღვაწეობა საქა-

რთველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (1921-1933წ.წ.), “გეოიდი“ თბილისი, 2011 წელი, 317 გვ.

ჯავახიშვილი ნიკო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები (1919-1921), საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 1998 წელი, 64 გვ.

Arutiun Airapetian, Marcelo Gryckiewicz, TRANSCAUCASIAN BANKNOTES, H.Gientl Verlag & Publikations service GmbH, Regenstauf, 2009, 352 pages

Maia Pataridze

PhD in History

Senior research Fellow, Georgian National Museum

Roland Spandershvili

Money Museum of National Bank of Georgia

**THE UNKNOWN BANKNOTES OF THE FIRST REPUBLIC OF GEORGIA
FROM THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM AND NATIONAL
MANUSCRIPT CENTRE'S FUNDS**

Summary

After declaring independence of Georgia on May 26, 1918 Transcaucasian temporary money remains in circulation on the territory of Georgia. In June, 1918 „Georgian Money Fund“ was set up, which had to ensure stability of the future Georgian currency. In July 1918 competition was announced for creating money design. Finally sketches designed by painter I. Sharleman were selected. Pursuant to the #101 decree of 11 July, 1919 of Founding Council of Georgia, the government ordered to issue temporary money – Georgian Bones. The Issuer was the Ministry of Finance.

The aim of our conference paper is to study cash nominees of the first Republic of Georgia (1918-1921) particularly Georgian banknotes and treasury banknotes preserved in the historical collections of Georgian National Museum. Also, we will discuss the Bones preserved in Karlo Inasaridze fund in the archive of Korneli Kekelidze National Centre of Manuscript.

In our publication we use the archival and memorable written sources. Visual and technical study of the presented Bones has great importance for further research of Georgian bonistic history as well as for economic history of Transcaucasia.

პოლიტიკური რიტორიკა 1918–1921 წლების ქართული პოლიტიკური დისკურსის მიხედვით

ჩვენი კვლევის საგანი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის პოლიტიკური რიტორიკის საკითხია.

თუმცა, სანამ უშუალოდ საკითხის მიმოხილვის პროცესზე გადავიდოდეთ, აუცილებელია განვმარტოთ რამდენიმე ტერმინი:

1. პოლიტიკური დისკურსი არის პოლიტიკური მეტყველების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მიემართება პოლიტიკოსების ან პოლიტიკური ინსტიტუტების მეტყველებას, რომელიც უმთავრესად ამა თუ იმ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსა და სიტუაციებს უკავშირდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლიტიკური დისკურსის ლექსიკა, ასევე ჟარგონი, მკვეთრად განსხვავდება სხვა დისკურსის ლექსიკისაგან. პოლიტიკური მეტყველების ყოველ აქტს აქვს გარკვეული მიზანი და სამოქმედო გეგმა, წარმოაჩინოს თავისი პოლიტიკური შეხედულებანი და დადებითი გავლენა იქონიოს მსმენელზე არგუმენტაციული სტრუქტურების მეშვეობით.

1.1. პოლიტიკური მეტყველება არის პოლიტიკური დისკურსის ქვედარგი, რომელიც მიემართება გადანყვეტილებების მიღებასა და კონკრეტული მოსაზრებების ჩამოყალიბებას. უმეტესად მას აქვს მონოლოგის სახე და წინასწარ არის მომზადებული პროფესიონალების მიერ. სხვადასხვა პროფესიონალ პოლიტიკოსებს განსხვავებული წარმოდგენები და აზრები აქვთ. თუმცაღა, თითქმის ყოველ მათგანს აქვს უნარი ეფექტურად წარდგენს ფართო აუდიტორიის წინაშე. მათი სამეტყველო ტექსტის მიზანია, გავლენა მოახდინოს მასებზე (Charteris-Black J., 2014: xiii).

2. პოლიტიკური მჭევრმეტყველება¹ არის **მჭევრმეტყველების** ერთ-ერთი დარგი, რომელსაც მიეკუთვნება მოხსენება სოციალურ-პოლიტიკურ თემაზე, საანგარიშო მოხსენება, სხდომებზე წარმოთქმული სიტყვები, პოლიტიკური მიმოხილვა, საპროგრამო სიტყვა, სააგიტაციო სიტყვა, პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები, მემორანდუმზე წარმოთქმული/გაგზავნილი სიტყვა, წინასაარჩევნო მიმართვა და ა.შ.

2.1. მოხსენება შეიძლება იყოს სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვ. თემებზე.

2.2. საანგარიშო მოხსენება (კონფერენციებზე, სხდომებზე) ოფიციალური პირის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც აფასებს, აჯამებს განუთლ სამუშაოებს, წარმატებებსა და ნაკლოვანებებს. საანგარიშო მოხსენებაში ეხებიან აგრეთვე მომავლის ამოცანებსაც.

¹ „**მჭევრმეტყველება**“ არის სინონიმური ტერმინი „**რიტორიკისა**“, რომელიც აქტიურად ენაცვლება მას თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენი დაკვირვებით, „**მჭევრმეტყველება**“ უფრო დიდი ტრადიციის მატარებელი ტერმინი აღმოჩნდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში; ტერმინ „**მჭევრმეტყველებას**“ იყენებს ქართველ მეცნიერთა უმეტესობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საჭიროდ მივიჩნევთ, თანამედროვე ტენდენციის გათვალისწინებით, უპირატესობა მივანიჭოთ „**რიტორიკის**“ გამოყენებას აღნიშნულ სტატიაში.

2.3. მიმოხილვა არის საჯარო სიტყვა, რომელშიც მიმოხილულია ნებისმიერი მოვლენა, მოქმედება მცირე დროში.

2.4. სამიტინგო სიტყვა მკვეთრად პოლიტიკური ხასიათისაა. ეძღვნება საზოგადოდ საჭირობო საკითხებს. სამიტინგო სიტყვა შეიძლება იყოს ვრცელიც და მოკლეც.

2.5. სააგიტაციო სიტყვა მიზნად ისახავს განმარტოს და განაგრძოს მსმენელებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოწოდება ან ლოზუნგი.

პოლიტიკური მჭევრმეტყველების დამახასიათებელი ნიშანია პროგრამულობა, ე.ი. სახელმწიფოს ხელმძღვანელის, პოლიტიკური პარტიის ლიდერის სიტყვა მათივე მოღვაწეობის შესახებ. თანამედროვე პოლიტიკურ მჭევრმეტყველებად მიიჩნევა სახელმწიფოს, პარტიისა და პოლიტიკური ჯგუფების ლიდერთა სიტყვები (კაჭახიძე ვ., 1980: 134).

პოლიტიკურ ორატორს პირობითად ორი ძირითადი სარბიელი აქვს: საგარეო და საშინაო. შესაბამისად, მჭევრმეტყველება გამოიყენება ორივე სფეროში. პოლიტიკური მჭევრმეტყველება „მოქმედების სივრცის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია, ხოლო ფაქტებსა და საგნებზე მსჯელობისას „მიზანშეწონილობის კატეგორიით“ – ყველაზე შებოჭილი. ამიტომ პოლიტიკური ორატორის საჯარო გამოსვლაში კვლავ რჩება ინფორმაციის გასაიღუმლოების, ცნობების გაუვრცელებლობის საჭიროება. „სახელშეკრულებო“, „სამოკავშირეო“ კომუნიკე, თანამეგობრობის, თანამეზობლობის გამოცხადება არ ზღუდავს დაზვერვის, კონტრდაზვერვის, სამრეწველო დაზვერვისა და სოციალური ინფორმაციის შემკრებ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ სამსახურებს ნიადაგ აწარმოონ მათთვის საინტერესო ცნობების მოპოვება“ (კაჭახიძე ვ., 1997: 132-133).

პოლიტიკური რიტორიკისთვის ასევე დამახასიათებელია ის, რომ „ორატორის საჯარო სიტყვა, მიზანშეწონილებითი მეტყველება: თქმისა და არათქმის შერჩევა, სტილისტური ხერხების ზომიერად ხმარება, მიმიკის, ტონალობის, ჟესტიკულაციის მეტ-ნაკლებად, მდგომარეობის შესაბამისად გამოიყენება მჭევრმეტყველების ყოველი დარგის წინაშე დგას, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ არც ერთ დარგს არ მოეთხოვება ისეთი სიფრთხილე და წინდახედულება მოვლენების შეფასებისა და განჭვრეტის დროს, როგორც პოლიტიკურ მჭევრმეტყველებაში. სწორედ ამიტომ ხშირად პოლიტიკური ორატორები მინიშნებით, გადაკრულად, ქარაგმულად გამოთქვამენ აზრებს ან საერთოდ თავს იკავებენ თქმისაგან, რის გამოც მათი სიტყვა თავისებური, სხვათაგან განსხვავებული, შეზღუდულიც კი ჩანს“ (კაჭახიძე ვ., 1997: 132).

ენისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირის კვლევა არ შეიძლება ჩაითვალოს ახალ მიმართულებად. იგი სათავეს არისტოტელედან იღებს, რომელიც ადამიანს „პოლიტიკურ არსებად“ განიხილავს. როგორც ამბობს: „ჩვენ სწრაფად გადავედით არისტოტელედან თანამედროვე პერიოდისკენ, პოლიტიკური ურთიერთობების მიკრო ასპექტებიდან ენების მაკრო ასპექტებზე. ყოველ ეტაპზე კი დავინახეთ, რომ პოლიტიკა ეჯახება ენობრივ საკითხებს და რომ ეს საკითხები ვარიერებს სიტყვების შერჩევიდან ენის არჩევამდე – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაწყებული მცირე დეტალების გარჩევით სიტყვებისა და ფრაზების დონეზე და ენობრივი პოლიტიკით დამთავრებული“ (Chilton, P., 2004: 14). თანამედროვე მკვლევრები მის მიდგომებს განიხილავენ, როგორც ენის თვისებას, განავითაროს პოლიტიკური შეხედულებანი და მსმენელს

მიანოდოს ის იმ სახით, რა სახითაც სურს ეს მთქმელს. ენის ამ კუთხით შესწავლამ განსაკუთრებული დანიშნულება შეიძინა სოციალურ პროცესებში, მაგალითად, ისეთებში, როგორცაა არჩევნები, წინასასარჩევნო კამპანიები, საინაუგურაციო სიტყვები, ყრილობები, მიმართვის სიტყვები და სხვ. ყოველ მათგანზე ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ელემენტი: ერთი მხრივ, მთქმელის ლინგვისტური უნარები, წარმოდგენები, პოლიტიკური შეხედულებები, ხოლო, მეორე მხრივ, მსმენელის დამოკიდებულებები, პოლიტიკური იდენტობა და ასევე, პრაგმატული გარემო.

ენის, როგორც პოლიტიკური იარაღის შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს სხვადასხვა დისციპლინის მკვლევარებს შორის, უფრო მეტიც, თვით ინტერდისციპლინარულ კვლევის საგანადაც შეგვიძლია განვიხილოთ. პოლიტიკური დისკურსის ენობრივ ანალიზს შეისწავლის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა პოლიტიკური მეცნიერებები, პოლიტიკური რიტორიკა, სოციოლინგვისტიკა, ანთროპოლოგია, გამოყენებითი ლინგვისტიკა და სხვ.

პოლიტიკური რიტორიკის ფარგლებში მკვლევრები ატარებენ სხვადასხვა სახის კვლევას, რათა გამოავლინონ პოლიტიკური ენის სხვადასხვა ასპექტი. მაგალითად ისეთები, როგორიცაა პრაგმატიკა, რიტორიკა, სამეტყველო აქტი, სინტაქსი, ლექსიკოგრაფია, ადგილობრივი სემანტიკა, ექსპრესიული სტრუქტურები, დისკურსის კრიტიკული ანალიზი. „მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკის საგანი ნამდვილად უკავშირდება წერით და ზეპირ მეტყველებას, ემპირიული კვლევები ზოგადად ხორციელდება მეთოდოლოგიური პროგრესისგან დამოუკიდებლად, კომუნიკაციის ანალიზში“ (Condor S., Tileaga C., Billig M., 2013: 3). პოლიტიკური გამოსვლების შესწავლა მრავალი კუთხით არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის პოლიტიკური დისკურსის ანალიზი პოლიტიკური რიტორიკის ქრილში.

ისტორიული ვითარება

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (დამფუძნებელი კრება), ხოლო აღმასრულებელი ორგანო – მინისტრთა კაბინეტი (მთავრობა), რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. 1918 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობა კოალიციური იყო და მის შემადგენლობაში შედიოდნენ: მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი – **ნოე რამიშვილი** (სოციალ-დემოკრატი), საგარეო საქმეთა მინისტრი – **აკაკი ჩხენკელი** (სოციალ-დემოკრატი), სამხედრო საქმეთა მინისტრი – **გრიგოლ გიორგაძე** (სოციალ-დემოკრატი), ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – **გიორგი ჟურული** (ეროვნულ-დემოკრატი), იუსტიციის მინისტრი – **შალვა ალექსი-მესხიშვილი** (სოციალისტ-ფედერალისტი), სახალხო განათლების მინისტრი – **გიორგი ლასხიშვილი** (სოციალისტ-ფედერალისტი); მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – **ნოე ხომერიკი** (სოციალ-დემოკრატი), მიმოსვლის გზების მინისტრი – **ივანე ლორთქიფანიძე** (სოციალისტ-რევოლუციონერი).

1919 წლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომლის შედეგადაც დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო. დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შემდეგ, მთავრობა მხოლოდ ამ პარტიამ დააკომპლექტა: მთავრობის თავმჯდომარე – **ნოე ჟორდანია** (სოციალ-დემოკრატი), შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი – **ნოე რამიშვილი** (სოციალ-დემოკრატი), საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი – **ევგენი გეგეჭკორი** (სოციალ-დემოკრატი), მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – **ნოე ხომერიკი** (სოციალ-დემოკრატი), ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – **კონსტანტინე კანდელაკი** (სოციალ-დემოკრატი).

მეცნიერული სიასლე და ღირებულება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ფაქტს დიდი ისტორიული ღირებულება ენიჭება. პროფ. დ. შველიძის სიტყვებით: „საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდი, ისტორიული ხანგრძლივობის თვალსაზრისით, დროის მცირედი მონაკვეთია, მაგრამ ის მართლაც თავისებური „იგავის“, „პატარა ოქროს ხანის“ სახით დარჩა თანამედროვეთა და მომდევნო თაობების ხსოვნაში“ (შველიძე დ., 2013: 5). თუმცა საბჭოთა ბატონობის 70-წლიანი პერიოდის განმავლობაში აკრძალული იყო 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის ობიექტური შესწავლა. ხოლო მას შემდეგ, რაც „ბოროტების იმპერია“ დაიშალა, ქართულ ისტორიოგრაფიაში დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კვლევის ინტენსიური პროცესი.

1918-1921 წლების ქართველი პოლიტიკოსების სიტყვიერი სამოღვაწეო ასპარეზის შესწავლა ძალზე საყურადღებოა, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რასაც დ. შველიძე აღნიშნავს თავის წიგნში: „XX საუკუნის ქართული პოლიტიკური ელიტის პირველი თაობის სამოქმედო პერიოდი 1890-1921 წლები გახლდათ. აქედან, 1890-1917 წლებში ქართველი რევოლუციონერ და პატრიოტ პოლიტიკოსებს რუსეთის იმპერიის სივრცეში უხდებოდათ მოღვაწეობა, 1917-1921 წლებში კი – დამოუკიდებელ ამიერკავკასიასა და საქართველოში“ (შველიძე დ., 2012: 297). ამდენად, ამ პერიოდის პოლიტიკური მეტყველება არსობრივად სხვა ტიპის თემატიკას მოიცავს და უპირველეს ყოვლისა – ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს.

დღესდღეობით მნიშვნელოვანწილად შესწავლილია ამ პერიოდის ესა თუ ის საკითხი, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა, საპარლამენტო კანონმდებლობა, სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მდგომარეობა, პოლიტიკური პარტიების საქმიანობა და ა.შ. თუმცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის მკვლევრები ცალსახად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ ამ პერიოდის შესწავლას არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში, მაგალითად, გ. შარაძე აღნიშნავს: „სამწუხაროდ, 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმის გამო, არა მხოლოდ ფართო საზოგადოებისთვის, არამედ თვით ამ საკითხით დაინტერესებული სპეციალისტებისთვისაც კი თითქმის უცნობი იყო 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და ქართული დიპლომატიის ისტორია. უცნობი იყო ასევე იმ პირთა ვინაობაც, რომელთაც სულ

სამიოდე წლის განმავლობაში შესძლეს მოეცვათ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული არეალი და ხმამაღლა ემცნოთ მსოფლიოსთვის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობის ისტორიული უფლების შესახებ“ (შარაძე გ., 2003: 3). მიუხედავად დღევანდელი აქტიური დაინტერესებისა აღნიშნული ისტორიული ეპოქით, ბოლომდე შესწავლილი მაინც არ არის მთელი რიგი საკითხები.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის (1918-1921 წწ.) პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური შესწავლის ცდას და იმის დადგენას, თუ რა ქმნიდა ამ დროის პოლიტიკურ რიტორიკას.

საკვლევ ტექსტებად ავიღეთ ქართველ პოლიტიკოსთა 1918-1921 წლების საჯარო გამოსვლის სიტყვები, მათ შორის: **მიხეილ მაჩაბლის** სიტყვა, თქმული საქართველოს პარლამენტში მიწის საკითხზე, 1918 წელს; **ნოე ჟორდანიას** სიტყვა, წარმოთქმული დამფუძნებელი კრების სადღესასწაულო სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო, 1920 წლის 14 იანვარს; 1921 წლის 28 თებერვალს, ქუთაისში ჩატარებული საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ანგარიში², რომელიც გაზეთმა „ერთობამ“ გამოაქვეყნა 1921 წლის 2 მარტს. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ მთავრობის თავმჯდომარე **კარლო ჩხეიძე**, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრიგოლ ლორთქიფანიძე** და ფრაქციათა წარმომადგენლები (**შალვა ალექსი-მესხიშვილი**, **ნიკიფორე იმნაიშვილი**, **ივანე გობეჩია**, **სპირიდონ კეღია**, **ივანე გომართელი**), რომელთა გამოსვლის სიტყვები შემოკლებული სახითაა დაბეჭდილი. ბოლოს კი ერთობლივად მომზადდა „მიმართვა ქართველი ხალხისადმი“ და „მიმართვა დასავლეთის ქვეყნების პარლამენტისადმი“ და ა.შ.

ზეპირი გამოსვლის სიტყვათა გარდა, აღნიშნულ პერიოდში ასევე მომზადდა რამდენიმე მიმართვა, რომლებიც არ ეკუთვნის ერთ რომელიმე პოლიტიკოსს, ან პარტიას, არამედ გუნდური მუშაობის შედეგია და გამომხატავს მთავრობის საერთო პოზიციასა და იდეოლოგიას და განეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას. ამიტომ, საკვლევ ტექსტთა სიას ემატება ამ ორი მიმართვის ტექსტიც.

წინამდებარე კვლევა მიმართული იყო იმისკენ, რომ სრულად მოგვეცვა ყველა იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის საჯარო სიტყვა, რომელიც ქმნიდა იმდროინდელ ქართულ პოლიტიკას.

კვლევაში გამოყენებულია 1918-1921 წწ.-ის საჯარო გამოსვლის სიტყვათა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, კონტენტ-ანალიზი. ამ შემთხვევაში, კონტენტ-ანალიზის ობიექტი გახდა საჯარო გამოსვლების შინაარსი. დასაწყისისთვის ჩვენ შევიმუშავეთ კატეგორიათა ჯგუფი, ე.წ. ძირითადი თემები:

- პოლიტიკური ტოპონიმები (ქვეყნები/ქალაქები/რეგიონები), რომლებიც ფიგურირებს საჯარო გამოსვლის სიტყვებში;
- აქტუალური პრობლემები ქვეყანაში;
- პოლიტიკური მიმდინარეობები, მოძრაობები და პარტიები;
- სპეციფიკური სოციალური ურთიერთობები და ა.შ.

ჩვენ აღვრიცხეთ რაოდენობრივად, თუ რამდენჯერ გვხვდება ესა თუ ის თემ-ატური ერთეული: მოხმარებული სიტყვის სიხშირე და სხვ. ამან საშუალება მოგვცა, მიგველო განსაზღვრული რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც დაექვემდებარა

2 ტექსტების უდიდესი ნაწილი სტენოგრაფიული სახითაა ჩანერილი.

კომპიუტერულ დამუშავებასა და სტატისტიკურ ანალიზს. მიღებული შედეგების საფუძველზე დავადგინეთ, თუ რა ხასიათის, ღირებულებითი ორიენტაციის, იდეოლოგიის (მსოფლმხედველობის) საინფორმაციო მასალასთან გვაქვს საქმე.

პოლიტიკური რიტორიკის ნიმუშების დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია

1918-1921 წწ.-ის ქართველი პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლები პოლიტიკურ მჭევრმეტყველების დარგს განეკუთვნება, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს³.

საკუთრივ პოლიტიკური მჭევრმეტყველების დამახასიათებელი ნიშანია პროგრამულობა, ე.ი. სახელმწიფოს ხელმძღვანელის, პოლიტიკური პარტიის ლიდერის სიტყვა მათივე მოღვაწეობის შესახებ (კაჭახიძე ვ., 1980: 134).

პოლიტიკური რიტორიკის ნიმუშების მოცულობა, სტრუქტურა და თემატიკა

ჩვენ მიერ შესწავლილია პოლიტიკური რიტორიკის ნიმუშები მოცულობის, სტრუქტურისა და თემატიკის თვალსაზრისით. ყველაზე მცირე მოცულობისაა მიმართვა დასავლეთის ქვეყნების პარლამენტისადმი, 1921 წლის 28 თებერვალს (ნიმუში 9), 218 სიტყვით, ხოლო ყველაზე დიდი – ნოე ჟორდანიას სიტყვა, თქმული პარლამენტის სხდომაზე 1918 წლის 9 ნოემბერს (ნიმუში 2), 3439 სიტყვით (ტაბულა 1).

ტაბულა 1.			
მეტამონაცემები			
ნიმუშები	სიტყვები	პარაგრაფები	სიმბოლო
ნიმუში 1	2114	36	16192
ნიმუში 2	3439	41	24993
ნიმუში 3	980	13	6779
ნიმუში 4	734	32	5635
ნიმუში 5	1161	21	8114
ნიმუში 6	1037	13	8100
ნიმუში 7	691	14	5202
ნიმუში 8	268	11	2146
ნიმუში 9	218	11	1786

3 იხ. ვრცლად ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, ხელოვნება, თბილისი, 1958


რაც შეეხება თემატიკას, პოლიტიკური მჭევრმეტყველების ნიმუშებში ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა **გლეხების საკითხი, საომარი მოქმედებები, მინის საკითხი, ბრძოლა თვითგადარჩენისათვის, სოფლის მეურნეობა, სამხედრო საკითხი, თავადაზნაურობა, დემოკრატია, მუნიციპალიზაცია, საქართველოს დამფუძნებელი კრება, ბოლშევიზმი, ოსმალეთის საფრთხე, მუშათა კლასი, ლტოლვილები** (ქართველი, სომეხი, ბერძენი ლტოლვილები, თუმცა ყველაზე მეტი ადგილი სწორედ სომეხ ლტოლვილებს ეთმობა, რადგან ეს გახლდათ ყველაზე აქტუალური პრობლემა იმდროისათვის), **კერძო საკუთრება, პრესა** (იმდროისათვის ყველაზე ხშირად საუბარია სომხურ, ქართულ და რუსულ პრესაზე), **მინის დეკრეტი, სოციალისტები, სოციალიზმი, პროპაგანდა, აგიტაცია** და ა.შ. ამდენად, კვლევამ აჩვენა, რომ ქართველ პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლის სიტყვებში გამოიყოფა ის ძირითადი თემატიკა, რომლებზედაც თითოეული პოლიტიკოსი მეტ-ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას.

როგორც კვლევამ აჩვენა, პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლის სიტყვები თავიანთი მოცულობით, სტრუქტურით და თემატიკითა განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ყველაზე მეტად მაინც თემატურ სიახლოვეს ავლენენ, რაც საკითხთა აქტუალიზებით შეიძლება აიხსნას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა პოლიტიკური რიტორიკა 1918-1921 წლების ქართული პოლიტიკური დისკურსის საფუძველზე. წინამდებარე ტაბულაში (იხ. ტაბულა 2) ნაჩვენებია ის თემები, რომლებიც 1918-1921 წლების პოლიტიკურ მეტყველებაში მეტ-ნაკლებად მიმოიხილებოდა და დალაგებულია სიხშირული გამოყენების მიხედვით. ჩვენ განვიხილეთ საჯარო გამოსვლის სიტყვების თემატიკა და მივიღეთ საერთო სურათი იმის შესახებ, თუ რომელი თემები იყო აქტუალური და როგორ იცვლებოდა ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით პოლიტიკოსთა დამოკიდებულება და ხედვა, რაზე კეთდებოდა აქცენტი და რომელი თემა მიეცემოდა დავინწყებას.

მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქართველი პოლიტიკოსები ცდილობენ მოიცვან განსხვავებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა საკითხები, თუმცა ყოველი პრობლემატიკის მთავარი თემა მეტწილად მაინც საქართველოა. ამდენად, მეტი ადგილი ეთმობა საშინაო პოლიტიკას, ვიდრე საგარეოს. პოლიტიკოსები ცდილობენ მოკლედ აღწერონ იმდროინდელი რეალობა და შემოგვთავაზონ პრობლემათა გადაჭრის ეფექტური გზები.


ტაბულა 2.



აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლებში უმეტესად საუბარია აწმყოზე და არსებულ მდგომარეობაზე და ნაკლები ყურადღება ეთმობა საქართველოს წარსულსა და მომავალს; ისინი აქტიურად აანალიზებენ და აქვთ სწრაფი რეაგირება მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე და სიღრმისეულად აფასებენ ამა თუ იმ პრობლემურ საკითხს, არგუმენტირებულად სცემენ პასუხს პოლიტიკურ ძალებს და ამისთვის აქტიურად იყენებენ ადგილობრივ თუ კავკასიის რეგიონის პრესას, რაც მეტყველებს ქართველ პოლიტიკოსთა პროფესიონალიზმსა და მათ მობილიზებულ მოქმედებაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ამ ხანმოკლე პერიოდში.


საჯარო გამოსვლის სიტყვებში გამოყენებული პოლიტიკური ტოპონიმის სიხშირულად შემდეგ სურათს გვიჩვენებს (იხ. ტაბულა 3):

ტაბულა 3. ■ რაოდენობრივი მაჩვენებელი




პოლიტიკური ტოპონიმიკიდან, დასახელებულია შემდეგი ქვეყნები: აზერბაიჯანი, აშშ, ბელგია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი/ინგლისი, ესტონეთი, თურქისტანი, იტალია, ლატვია, ოსმალეთი, პოლონეთი, რუსეთი, საფრანგეთი, საქართველო, სერბეთი, სომხეთი, სპარსეთი, უკრაინა, ჩერნოგორია (იხ. ტაბულა 4), ხოლო ქალაქებიდან: ახალქალაქი, ბაქო, გორი, ეკატერინოდელი, ერევანი, თბილისი / თფილისი / ტფილისი, ლენქორანი, ლიუცერნი, მოსკოვი, პარიზი, როსტოვი, ტრაპიზონი, ქუთაისი, ხაშური, ასევე ნახსენებია აფხაზეთი, გურია, დუშეთი, თიანეთი, იმერეთი, კახეთი, ტამბოვი, ყარაბაზი, ციმბირი; უფრო მსხვილი გეოგრაფიული დასახელებებიდან ნახსენებია: აზია, დასავლეთ ევროპა, დასავლეთი, ევროპა.

ტაბულა 4.



საინტერესო შედეგი მოგვცა ტერმინების – „რუსეთი“, „საბჭოთა რუსეთი“, „ბოლშევიკური რუსეთი“ – გამოყენების სიხშირულმა მაჩვენებელმა, რომლის მიხედვითაც, ამ პერიოდის პოლიტიკურ მეტყველებაში დომინირებს პირველი მათგანი, ხოლო „საბჭოთა რუსეთი“, „ბოლშევიკური რუსეთი“ ჯერ არაა პოლიტიკურ მეტყველებაში დამკვიდრებული და გავრცელებული ფორმები (იხ. ტაბულა 5).

ტაბულა 5.



1918-1921 წლების ქართული პოლიტიკური დისკურსი მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს; ამ დროის პოლიტიკურ რიტორიკას ქმნიდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები: **სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები** და სხვ. თუმცა, პოლიტიკური ნიშნის მიუხედავად, აქცენტი მაინც კეთდებოდა საერთო თემებზე.

ამ დროის პოლიტიკურ დისკურსში ნახსენებია შემდეგი პოლიტიკური მიმდინარეობები, პარტიები და ტერმინები: ანარქია, ბოლშევიზმი, ბოლშევიკური რუსეთი, ბურჟუაზია, ბურჟუაზიული პარტია, გერმანიის დემოკრატია, გერმანიის რევოლუცია, დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი, დემოკრატია, დემოკრატიული საქართველო, ევროპის მუშათა კლასი, ევროპის რევოლუცია, ევროპული დემოკრატია, იმპერიალიზმი, ინტერნაციონალიზმი, კაპიტალიზმი, კაპიტალისტები, კონსერვატიზმი, კონტრრევოლუციური პოლიტიკა, ლიბერალები, მარქსიზმი, ნაციონალ-დემოკრატები, ნაციონალიზმი, ნაციონალისტები, ოქტომბრის რევოლუცია, პროლეტარიატი, რევოლუცია, რუსეთის დემოკრატია, რუსეთის მუშათა კლასი, რუსული ბოლშევიზმი, რუსული იმპერიალიზმი, საერთაშორისო დემოკრატია, საქართველოს პროლეტარიატი, სომეხი ნაციონალისტები, სომხეთის დემოკრატია, სომხური ნაციონალიზმი, სოციალ-დემოკრატები, სოციალიზმი, სოციალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალური რევოლუცია, ფეოდალიზმი, ქართული პროლეტარიატი.

აღნიშნულმა მონაცემმა ცხადყო, რომ ქართველი პოლიტიკოსების 1918-1921 წლების პოლიტიკურ რიტორიკაში ყველაზე აქტიური თემები დაჯგუფებულია სამხედრო თემატიკის ირგვლივ. ესენია: **ბრძოლა თვითგადარჩენისათვის, საომარი მოქმედებები, სამხედრო საკითხი**, ხოლო დანარჩენი თემები ცვალებადი სიხშირით არის წარმოდგენილი საჯარო გამოსვლის სიტყვებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, ხელოვნება, თბილისი, 1958
- კაჭახიძე ვ., სასამართლო მჭევრმეტყველება, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1980
- კაჭახიძე ვ., მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამქადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო, თბილისი, 1997
- შარაძე გ., საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბილისი, 2003
- შველიძე დ., გზა დასავლეთისაკენ: პუბლიკაციების კრებული, უნივერსალი, თბილისი, 2012
- შველიძე დ., დამოუკიდებლობის 1028 დღე: საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატთანე (1918-1921), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013
- ჩვენი საქმე მართალი საქმეა და მან უნდა გაიმარჯვოს: დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში 1921 წლის 28 თებერვალი, რედ. მ. მაცაბერიძე, საქართველო, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2009
- Charteris-Black J., Analysing political speeches: Rhetoric, discourse and metaphor, Palgrave Macmillan, New York, 2014
- Chilton, P. Analysing political discourse: Theory and practice. London: Routledge, 2004
- Condor S., Tileaga C., Billig M., Political rhetoric, Loughborough University Institutional Repository, Oxford University Press, 2013

თანდართული სიმბოლოები და შემოკლებანი:

[...] – სათაური, რომელიც არ ერთვოდა ორიგინალ ტექსტს.

ტექსტები:

- 1. ნიმუში 1** – მიხეილ მაჩაბელი, [სიტყვა, თქმული საქართველოს პარლამენტში მიწის საკითხზე, 1918 წელს];
- 2. ნიმუში 2** – ნოე ჟორდანია, [სიტყვა, თქმული პარლამენტის სხდომაზე 1918 წლის 9 ნოემბერს];
- 3. ნიმუში 3** – ნოე ჟორდანია, [მეორე სიტყვა, თქმული პარლამენტის სხდომაზე 1918 წლის 9 ნოემბერს];
- 4. ნიმუში 4** – ნოე ჟორდანია, [სიტყვა, თქმული დამფუძნებელი კრების სადღესასწაულო სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო, 1920 წლის იანვრის 14];
- 5. ნიმუში 5** – კარლო ჩხეიძე, [სიტყვა თქმული ქუთაისში ჩატარებული საქა-

რთველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე, 1921 წლის 28 თებერვალს];

6. ნიმუში 6 – გრიგოლ ლორთქიფანიძე, [სიტყვა თქმული ქუთაისში ჩატარებული საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე, 1921 წლის 28 თებერვალს];

7. ნიმუში 7 – შალვა ალექსი-მესხიშვილი, ნიკიფორე იმნაიშვილი, ივანე გობეჩია, სპირიდონ კეცია, ივანე გომართელი, [ფრაქციათა წარმომადგენლების გამოსვლები ქუთაისში ჩატარებული საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე, 1921 წლის 28 თებერვალს];

8. ნიმუში 8 – [მიმართვა ქართველი ხალხისადმი, 1921, 28 თებერვალს];

9. ნიმუში 9 – [მიმართვა დასავლეთის ქვეყნების პარლამენტისადმი, 1921, 28 თებერვალს].

Natia Kentchiashvili

PhD student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

POLITICAL RHETORIC ACCORDING TO THE 1918-1921 GEORGIAN POLITICAL DISCOURSE

Summary

In terms of studying Georgian political rhetoric, linguistic analysis of political discourse of the period of the First Republic of Georgia (1918-1921) is of great importance. Our goal is to analyze Public speeches of political figures: Noe Zhordania, Karlo Chkheidze, Grigol Lortkipanidze, Mikheil Machabeli etc. in the context of political rhetoric.

The main task of the study was to determine how the political rhetoric of the First Republic of Georgia was created. The words of the public speech of the politicians differ according to their structure, subject and volume, but they are closely related with their topic, which can be explained by the relevance of these issues. Various professional politicians are of different opinions. However, almost each of them has the ability to effectively present a broader publication. The aim of their texts is to influence the masses. Political speeches can be studied in many ways but in this case, our goal was to highlight the current issue in the public speech of politicians. The methodology of the research is based on the content analysis of the words of Georgian politicians in 1918-1921. We have identified thematic groups that reflect the current and the problematic political situation of our country. The survey gave us a general picture of the topics' relevance and politicians' attitude and vision to the subject matter of any particular topic, which topic would draw attention and which would be forgotten.

Data analysis revealed that Georgian politicians are trying to address different political, social, economic, etc. issues, though the topics are not too diverse and the main focus is made on Georgia. Thus, more space is given to domestic policy rather than

foreign. Politicians are trying to briefly describe the reality and provide effective ways of problem solving.

In addition, the above mentioned data revealed that the political speeches of Georgian politicians of 1918-1921 mainly deal with peasants issues, hostilities, land issue, fight for self-sustaining, agriculture, military issues, nobility, democracy, municipality, the founding council of Georgia, Bolshevism, Ottoman threat, workers' class, Armenian refugees, private property, press, land decree, socialists, socialism, propaganda, agitation etc. Each of these issues is presented in the politicians' speeches and the rest of the themes are presented at a variable frequency in the political discourse of this time. Politicians are trying to correctly assess the political reality of the day and provide you with the most effective ways of problem solving. It is noteworthy that most of the politicians' speeches deal with the present and there is a little room for the future or the historical past of our country. They actively analyze and have a quick response to the ongoing political developments and make a deep discussion on controversial issues, arguably respond to political forces demonstrating professionalism of Georgian politicians and their mobilized action during short existence of the first Democratic Republic of Georgia.

სერგო ვარდოსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

საკულარიზმის ეკლესიური და საერო გაგება საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918–1921)

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის აღდგენას სიხარულით შეხვდა და სრული მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ. ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე და არქიმანდრიტი ნაზარი საქართველოს ეკლესიის სახელით დაესწრნენ ამ ისტორიულ მოვლენას ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში. 1918 წლის 2 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ თავისუფლების მოედანზე გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი. მაგრამ სულ მალე საერო და სასულიერო ხელისუფლებს შორის გაჩნდა გარკვეული უთანხმოებანი, რომელიც თანდათან გაძლიერდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთ მიაჩნდათ, რომ ქვეყანაში დასავლური დემოკრატიული ინსტიტუტები უნდა გაძლიერებულიყო. მათი ხედვით სეკულარულ საზოგადოებაში სარწმუნოებას თავისი მკაცრად განსაზღვრული სივრცე უნდა ჰქონოდა და არასოდეს არ ყოფილიყვნენ ჩარეული საერო საქმიანობაში. კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე და საკათალიკოსო საბჭო კი მიიჩნევდა, ავტოკეფალია აღდგენილ საქართველოს ეკლესიას სჭირდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს საერო ხელისუფლების თანადგომა, მაგრამ თანადგომის ნაცვლად მიიღეს შევიწროება. კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეგუება ეკლესიას, თანახმა ვარ, დიახაც დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გამოჩნდება, სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მარტო სამართლიან გაყოფას ვთხოვლობთ სახელმწიფოსგან“.¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება მაინც თავისი გზით მიდიოდა და აგრძელებდა ეკლესიისა და სახელმწიფოს დაშორების პოლიტიკას. მათი დადგენილებით საკათალიკოსოს ჩამოართვეს საეკლესიო სასწავლებლების შენობები, ქონება, ასევე მინათმოქმედების სამინისტროს წინადადებით ეკლესიას ჩამოერთვა მიწები, სათიბები, ნისქვილები, ტყეები, გაუქმდა რკინიგზაზე მღვდლის თანამდებობა. „ვერ გაგვიგია, რათ დაგვაყენეს კანონის გარეთ? მონასტრებში, ეკლესიებში ადამიანები ცხოვრობენ და რით იარსებონ მათ თუ მიწა არ ექნათ? ვინ უპატრონებს გელათს, მარტვილს, შემოქმედს, ალავერდს, დავით გარეჯს, შუამთას, ბოდბეს, შიომღვიმეს, ქვათახევს, მცხეთას? რომელი სახელმწიფო საქმე უნდა გამოვიდეს ჩვენი ბერების შიმშილისგან განწყვეტით და ჩვენი ქვეყნის საამაყო ისტორიული ნაშთების განზრახ დანგრევა-განადგურებით?“² – გულის-

1 საქართველოს საპატრიარქოს არქივი, მიტროპოლიტ ლეონიდეს ფონდი №6443. გვ. 2

2 საქართველოს საპატრიარქოს არქივი, მიტროპოლიტ ლეონიდეს ფონდი, გვ. 3

წყრომით კითხულობდა კათალიკოსი ლეონიდე.

როგორც საარქივო ჩანაწერებიდან ირკვევა, 1919 წლის მაისში, უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე პირადად შეხვდა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და დაწვრილებით მოახსენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციის შესახებ, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარისგან მხოლოდ სიტყვიერი დახმარება მიიღო რეალურად კი არც ერთი საკითხი არ გადაჭრილა.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას 1920 წლის განკარგულებით, უკეთ დაცვის საბაბით, გელათის და ჯრუჭის მონასტრის განძი ჩამოერთვა ეკლესიას და გადატანილ იქნა სახელმწიფო ხაზინაში, ამის შესახებ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს დეპუტით აცნობა ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარიმ. განრისხებულმა კათოლიკოსმა მთავრობის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ წერილში კატეგორიულად მოითხოვა საეკლესიო განძის კვლავ გელათში დაბრუნება. მაგრამ მთავრობა ამის გაკეთებას არ აპირებდა. როდესაც დარწმუნდა კათოლიკოსი ლეონიდე იმაში, რომ ხელისუფლება მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე, მან ნოე ჟორდანიას ახალი საპროტესტო წერილით მიმართა, რომელშიც მკაცრად დაგმო მთავრობის დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ და მთავრობის თავმჯდომარე პირადად დაადანაშაულა მოვლენების ასე დრამატულად განვითარების გამო. „თქვენ შეუფერებლად შეეხეთ და შეურაცხყავით მორწმუნეთა სვინდისი, იმ ხალხისა, რომელიც ეკლესიის ეზოდან გამოსული ფეხს იბერტყავს, წმიდა ადგილის მტვერი არ გამყვესო. რომელიც ეკლესიის ეზოში ნაპოვნ ლურსმანს ხელს არ ჰკიდებს, ღვთისა არისო, თქვენ აბუჩად იგდებთ როდესაც მის სალოცავ და სათაყვანო წმიდა ნაწილებით სავსე ხატებს, ჯვრებს და ბარძიმ-ფეშხუმებს ტყემლის ტყლაპების ყუთებში აყრევენებთ უბრალო საინების მსგავსად თქვენგან გაგზავნილ საერო პირს. განა ეს თქვენთვის მხრით სხვისი სვინდისის შეგინება არ არის? მორწმუნეთათვის და ბრძოლაში გამოსაწვევი ხელთათმანის გადაგება არ არის? ნუთუ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ამგვარ პროფანაციას მორწმუნე ქართველმა აპატიებს და შეარჩენს ვინმეს? სასტიკად სცდებით. გელათში დანთებულია თქვენგან ისეთი ცეცხლი, რომელიც თუ ახლავე თქვენი ხელით არ ჩააქრეთ სულ ჩქარა ცაში ავარდნილი ჭიაკოკონას წითლად შეღებავს მთელ საქართველოს... ამ ქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს: უკანასკნელი საქციელით თქვენ შარაზე დასვით ქართული ეკლესიის ყოფნა-არყოფნის საკითხი“.³ ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესა და სრულიად სასქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შორის თანამშრომლობის ყველა გზა გადაკეტა. კათოლიკოს-პატრიარქს კიდევ ერთხელ მოუხდა მთავრობის თავმჯდომარესთან დაპირისპირება, 1920 წლის ნოემბრის ბოლოს მთავრობის სხდომაზე კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდესა და საკათოლიკოსო საბჭოს წევრები მოულოდნელად მივიდნენ და შემდეგი განცხადება გააკეთეს: „მოვედით თქვენთან რათა გაგიმეოროთ ჩემი, საეკლესიო უზენაესი ორგანოს და ქუთაისის მღვდელმთავრის დაუკითხავად თქვენმა რწმუნებულმა გელათიდან ქუთაისის ხაზინაში გა-

3 სერგო ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, თბ., 2014 წ., გვ.64-65

დაიტანა ეკლესიის სინმიდენი. ამის გამო მე გიცხადებთ უღრმეს გულისწყრომას და უსასტიკეს გაკიცხვას.

მთავრობის თავმჯდომარე: მე ვწყვეტ სხდომას, საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი და თავისუფალი არ არის, ის ჯერ სახელმწიფოსგან გამოუყოფელია, ვერ შევქმნით სახელმწიფოში სახელმწიფოს. რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, ისინი შეადგენენ სახელმწიფო საკუთრებას და სახელმწიფოს საქმეა, სად შეინახავ მას.

კათოლიკოსი ლეონიდე – მე ვასრულებ ჩემს საღმრთო მოვალეობას, ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გაგვეგო, რომ საეკლესიო ნივთებს თქვენ სახელმწიფო საკუთრებად თვლიდით... ნახვამდის“.⁴

მიუხედავად ამისა, 1921 წლის თებერვალში, როდესაც ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარები გააფთრებით უტევდნენ თბილისს, კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ სამხედრო ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა ბრძოლის ველზე დაღუპული იუნკერების სულის საოხად და ქადაგებისას მხარი დაუჭირა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. იმავე წლის 22 თებერვალს საგანგებოდ შეიკრიბა საკათოლიკოსო საბჭო, სადაც იმსჯელეს შექმნილ ვითარებაზე და საეკლესიო სინმიდეთა დაცვის საკითხებზე. გადაწყდა სიონისა და სვეტიცხოველის სინმიდეთა ქუთაისში გადატანა. აი, ასეთი იყო იმ სამწუხარო დაპირისპირების ისტორია, მაგრამ ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. თუ კარგად გავვიცნობიერებთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას, ნათლად ჩანს, რომ მათთვის საქართველოს ეკლესია არ იყო განსაკუთრებული როლის და მნიშვნელობის ინსტიტუციონალური ორგანიზაცია. ჯერ კიდევ 1918 წლის 6 სექტემბრის კანონით მათ თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია ჩამოართვეს ეკლესიას,⁵ იმავე წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით თბილისის, გორის, ხონის, სოხუმის სასულიერო სემინარიები გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად.⁶ 1919 წლის 17 ივნისის კანონით გაუქმდა საეკლესიო უქმე დღეები: მირქმა, დიდი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე, სამშაბათი სულთმოფენობა, ფერისცვალება, მიძნება, ღვთისმშობლობა, მირქმა, ჯვართამაღლება, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება, სამაგიეროდ უქმე დღეებად გამოცხადდა ახალი წელი, რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი დღე 12 მარტი, ინტერნაციონალის დღესასწაული 1 მაისი და დამოუკიდებლობის აღდგენის დღე 26 მაისი.

1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის 142-ე მუხლით „სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან“. მუხლი 143. „არცერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა“, მუხლი 144. „ხარჯის გაღება სახელმწიფო ხაზინიდან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანხებიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებაზე აკრძალულია“⁷

ასე ესმოდათ სეკულარიზმი მაშინდელ საერო ხელისუფლებას, რაც სასულიერო ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო და კიდევ ერთი სევდიანი ისტორიის გაგრ-

4 სერგო ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, თბ., 2014 წ., გვ.65-66

5 იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. თბ., 1991, გვ.61

6 იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. თბ., 1991, გვ.63

7 იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. თბ., გვ.483

ძელება, 1921 წლის 11 მარტს საქართველოს საეკლესიო და სამუზეუმო სინმიდევით დატვირთული კრეისერი „ერნესტ რენანი“ ბათუმიდან გავიდა... ამ განძის კვლავ სამშობლოში დაბრუნების შანსები თითქმის ნულის ტოლი იყო, მაგრამ 1945 წელს განძი, ი.სტალინის ჩარევით, საქართველოში დაბრუნდა. ხოლო სიონის და სვეტიცხოვლის ის განძი, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ბრძანებით საიდუმლოდ გადაიტანეს ქუთაისში და დამალეს მიტროპოლიტ ნაზარის საეპისკოპოსო სახლის სარდაფში, რომლის ადგილმდებარეობა ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს შეატყობინა პ.ც... 1923 წლის 25 აპრილს, ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარის ლორთქიფანიძის, პარტიული მდივნის ბახტაძის, პოლიტბიუროს უფროსის კუჭუხიძის, რწმუნებულების ცირეკიძის, კეთილაძის და თოდუას თანდასწრებით ამოიღეს. აქ იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რვა ოქროს მიტრა ბრილიანტის თვლებით მოჭედელი, ოქროს ბარძიმ-ფეშხუმები, საპატრიარქო კვერთხები, კუნკულ-ბარტყულები.. რომელიც ხელისუფლებამ მყარ ვალუტაზე გაყიდა დამპყველთათვის სურსათის შესაძენად... იქნებ სჯობდა ის სინმინდეებიც უცხოეთში გაეტანათ, მაგრამ დღეს ადვილია ამაზე მსჯელობა, მაშინ კი რთული და ძნელი გადასაწყვეტი იყო, უფრო მეტიც, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილი საკათალიკოზო საბჭოს სხდომაზე უმტკიცებდა მათ, რომ ბოლშევიკები საეკლესიო განძს გაიტაცებდნენ და უმჯობესი იყო მისი უცხოეთში გადატანა, აღშფოთებით უარყვეს მისი წინადადება... სამწუხაროა, მაგრამ სიონის და სვეტიცხოვლის სინმინდეები და განძი სამუდამოდ დაეკარგა შთამომავლობას.

Sergo Vardosanidze

Doctor in History, Professor

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

ECCLESIASTICAL AND SECULAR UNDERSTANDING OF SECULARISM IN DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA IN 1918-1921

Summary

The ecclesiastical policy of the government of the Democratic Republic of Georgia was based on the experience of European countries and implied separation and full independence from the state. But leaders of the Georgian Apostolic Orthodox Church (Catholicos-Patriarch Leonid) didn't agree with the Government's ecclesiastic policy and legislative acts (Religion Content) adopted by it and considered them unacceptable. Thereby a serious confrontation between ecclesiastic and secular authorities began at the detriment of both – the state and the Georgian Apostolic Orthodox Church.

თენგიზ ვერულავა
მედიცინის აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი
ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ინსტიტუტის დირექტორი
ჩაფიძის გადაუღებელი კარდიოლოგიის ცენტრის უწყვეტი განათლების
სკოლის დირექტორი

ჯანდაცვის სისტემა **საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918–1921)**

მიმდინარე წლის 26 მაისს შესრულდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 100 წლისთავი. 1918 წლის 26 მაისით დაიწყო თვისობრივად ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. დაიბადა XX საუკუნის ევროპული ტიპის, ახალი, საპარლამენტო დემოკრატიული სახელმწიფო.

არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ქვეყნის მთავრობამ შეძლო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება: განახორციელა სასამართლო რეფორმა, ჩამოაყალიბა ადგილობრივი მართვის ორგანოები, პროფესიული კავშირები, მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდის უმთავრეს მოვლენას წარმოადგენდა უნივერსიტეტის დაარსება. 1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, 13 საათსა და 20 წუთზე გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. ეს იყო პირველი ეროვნული უნივერსიტეტი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. უნივერსიტეტის დაარსებაში დიდი ივანე ჯავახიშვილის წვლილი. პროფესორთა საბჭომ უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩია პეტრე მელიქიშვილი.

სამედიცინო განათლება

1918 წლის 27 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე გადაწყდა სამკურნალო ფაკულტეტის შექმნა. იმავე წლის 17 ივნისს პროფესორთა საბჭოს სხდომამ, რომელსაც ესწრებოდა „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების“ თავმჯდომარე სპირიდონ ვირსალაძე, მიიღო გადაწყვეტილება, რომ სექტემბრის თვეში გახსნილიყო საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამედიცინო გაერთიანებული ფაკულტეტი. პროფესორთა საბჭო აღნიშნავდა: „სამკურნალო ფაკულტეტი აუცილებელია უნივერსიტეტისათვის, ამ ფაკულტეტზე ჩვენი ხალხის შვილების ლტოლვა ყოველთვის ძლიერი იყო. მისი შექმნა ნიშნავს დიდ გამარჯვებას ამ საქმისა“. გაერთიანებული ფაკულტეტის პირველ სხდომას, რომელიც ჩატარდა 1918 წლის 20 ოქტომბერს, ესწრებოდნენ პ. მელიქიშვილი, ა. ბენაშვილი, ა. ნათიშვილი, არ. ხარაძე, ზ. ყანჩაველი, სპ. ვირსალაძე, ი. თიკანაძე და გ. მუხაძე. ამას გარდა, სხდომას ესწრებოდნენ პროფ. ივ. ჯავახიშვილი და ი. ყიფშიძე.

1919 წლის 29 აპრილს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პირველ დეკანად არჩეულ იქნა ალექსანდრე ნათიშვილი. იგი შემდგომ არჩეულ იქნა უნივერსიტეტის პირ-

ველ პრორექტორად სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში. აღსანიშნავია, რომ 1918 წლის 15 ნოემბერს თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ალექსანდრე ნათიშვილმა წაიკითხა პირველი ლექცია ადამიანის ნორმულ ანატომიაში.

უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წლებიდან სამედიცინო ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ: ნოვოროსიის (ქ. ოდესის) უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, მედიცინის დოქტორები – სპირიდონ ვირსალაძე, გრიგოლ მუხაძე, ივანე თიკანაძე, ექიმები – მიხეილ წინამძღვრიშვილი, შალვა მიქელაძე. შემდგომ წლებში მათ შეუერთდნენ: ხარკოვის უნივერსიტეტის პროზექტორი, მედიცინის დოქტორი ალექსანდრე ნათიშვილი (1919 წ.), ყირიმის (სიმფეროპოლი) უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი ალექსანდრე ალადაშვილი, ხარკოვის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი სვიმონ ამირეჯიბი, ნოვოროსიის (ქ. ოდესა) უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივანე ბერიტაშვილი, ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკის) უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ კახიანი, ხარკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, მედიცინის დოქტორი ვარლამ მოსემილი (1919 წ.), მოსკოვიდან – მიხეილ ასათიანი, პეტროგრადიდან – მედიცინის დოქტორი ალექსანდრე მაჭავარიანი, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, მედიცინის დოქტორი გაბრიელ ღამბარაშვილი (1920 წ.), ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, ფარმაციის მაგისტრი იოველ ქუთათელაძე, ნოვოროსიის (ქ. ოდესა) უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი სვიმონ გოგიტიძე (1921 წ.) და ოდესის სამედიცინო უნივერსიტეტის პროზექტორი, დოქტორანტი ვლადიმერ ჟდენტი (1922 წ.). მათ მიერ ჩამოყალიბდა ქირურგიის, თერაპიის, მეან-გინეკოლოგიის, კარდიოლოგიის, ფარმაკოლოგიის და სხვა მიმართულებების ქართული სამედიცინო სკოლები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს როგორც საქართველოში სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში, ასევე ახალგაზრდა სამედიცინო კადრების მომზადებაში.

1920 წლისათვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საერთო რიცხვი უდრიდა 138-ს, მათ შორის იყო 21 პროფესორი, 5 დოცენტი, 3 პრივატ-დოცენტი.

სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გადიოდნენ მიხეილის სახელობის საავადმყოფოში, ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტში, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საავადმყოფოში და სხვ. აღნიშნული საავადმყოფოები წარმოადგენდა უნივერსიტეტის ბაზას და ამასთანავე საუკეთესო საშუალება იყო, რომ სტუდენტებს ღირსეული განათლება მიეღოთ.

უნივერსიტეტის გარდა, ქვეყანაში შეიქმნა სამედიცინო პერსონალის მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები. 1918 წელს სიმონ ამირეჯიბმა დააარსა მედიკოს ლაბორანტთა მოსამზადებელი ექვსთვიანი ფასიანი კურსები. ასეთი კურსების მიზანს წარმოადგენდა ისეთი დეფიციტური კადრების მომზადება, როგორიცაა: ექიმი-ლაბორანტები, პროვიზორები, უმცროსი პროვიზორები, მონყალების დები.

ჯანდაცვის სისტემის მართვა

1918 წლის ნოემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სამედიცინო-სანიტარული დეპარტამენტი, რომელიც განაგებდა ქვეყანაში ჯანმრთელობის

დაცვის საქმეს. დეპარტამენტი ჯანდაცვის სფეროში ერთიან, კოორდინირებულ და ცენტრალურ პრინციპზე დამყარებულ ხელმძღვანელობას ახორციელებდა. დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა სიმონ ჯაფარიძე. სამედიცინო-სანიტარიული დეპარტამენტს ექვემდებარებოდა ვეტერინარული მომსახურება.

1920 წლის თებერვალში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა პ. ჭიჭინაძემ დასამტკიცებლად წარადგინა ბრძანების პროექტი საქართველოს სამედიცინო-სანიტარული დეპარტამენტის ბაზაზე ჯანმრთელობის დეპარტამენტის შექმნის თაობაზე. თავის მოხსენებაში მინისტრმა პ. ჭიჭინაძემ დიდი ადგილი დაუთმო ქვეყანაში ჯანდაცვის მდგომარეობის საკითხს. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მალარიის, ტუბერკულოზისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფართო ღონისძიებები ჩატარდა პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის წინააღმდეგ, დადებითი შედეგების ვერ მიაღწიეს. პროექტის თანახმად, აღნიშნული გამოწვეული იყო სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების არაკოორდინირებული ქმედებებით. იგი მოითხოვდა ყველა სამედიცინო დაწესებულების ახლადშექმნილი ჯანმრთელობის დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებას. კანონი ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსების შესახებ მიღებულ იქნა 1920 წლის 13 ივლისს. ჯანმრთელობის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა სპირიდონ ვირსალაძე. დეპარტამენტის მოვალეობას შეადგენდა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაობის წარმართვა. ჯანმრთელობის დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში შედიოდა:

- ა) რესპუბლიკის ყველა სამედიცინო-სანიტარიული ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველობა;
- ბ) საკარანტინო საკითხები;
- გ) ტუბერკულოზის, მალარიის, ქოლერის, ჭირის, ტიფის, სქესობრივი გზით გადამდები და სხვა დაავადებების მართვა;
- დ) ექსპერტიზის საკითხები;
- ე) სამედიცინო-სანიტარიული სტატისტიკის ჩატარება;
- ვ) სახელმწიფო მნიშვნელობის დასასვენებელი კურორტების საექიმო სანიტარიული მართვა;
- ზ) სააფთიაქო და ფარმაცევტული საკითხები;
- თ) სამედიცინო-სანიტარიული კანონის შესრულებაზე მონიტორინგი, სამედიცინო-სამეცნიერო საკითხების შემუშავება.

დეპარტამენტს მართავდა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ქვედეპარტამენტების უფროსები. საბჭოს ხელმძღვანელობდა დეპარტამენტის უფროსი.

სამედიცინო დაწესებულებების ქსელი

ქვეყნის ტერიტორია დაყოფილი იყო მაზრებად, ოლქებად, ქალაქებად. მაზრა წარმოადგენდა ყველაზე მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. შესაბამისად, ინიშნებოდნენ სამაზრო, საოლქო, საქალაქო ექიმები. გეოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური თავისებურებების გამო თითოეულ რეგიონი მოითხოვდა განსხვავებულ მიდგომას. სვანეთი გამოირჩევა მაღალმთიანობით და ენდემური ჩიყვის პრობლემებით. შესაბამისად, სვანეთის მხარეს განსაკუთრებული ყურადღე-

ბა ექცეოდა. იგივე შეიძლება ითქვას ახალქალაქზე, რომელიც ასევე გამოირჩევა მაღალმთიანობით და ეროვნული და აღმსარებლობითი თავისებურებებით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამკურნალო ქსელი დაყოფილი იყო 3 სექტორად:

- ა) სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების ქსელი;
- ბ) მუნიციპალური სამედიცინო დაწესებულებების ქსელი;
- გ) კერძო სამედიცინო დაწესებულებების ქსელი.

გარდა აღნიშნული სექტორებისა, ქვეყანაში სამკურნალო საქმეს ემსახურებოდა კერძო პრაქტიკის მწარმოებელ ექიმთა კორპუსიც.

1919 წლის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებდა 45 საავადმყოფო 1200 საწოლზე. თბილისში არსებობდა 17 საექიმო უბანი, ხოლო ქუთაისში – 13. ახალი სამედიცინო დაწესებულებები შეიქმნა ფოთში, ოზურგეთში, ახალქალაქსა და სვანეთში.

ჯანდაცვის სისტემის ერთეულს წარმოადგენდა სამკურნალო-მეთვალყურე სადგურები და ადგილები. სამედიცინო-სამეთვალყურეო სადგურები განიხილებოდა როგორც სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურებისა და ამბულატორიული მომსახურების ერთგვარი ნაზავი.

1920 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ფინანსური დახმარება უნდა გაენია ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებისთვის. კერძოდ, ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის, ეპიდემიებთან ბრძოლის დროს დაღუპულთა ოჯახებისთვის, შრომის უნარდაკარგულ საექიმო პერსონალისთვის (ექიმებს – 15000 მან., ხოლო ფერშლებს – 10000 მან. აღნიშნული თანხა მათ საშუალო წლიურ ხელფასს შეესაბამებოდა). ბრძანებას ხელს აწერდა საქართველოს დამფუძნებელი კრების ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ცნობილი ექიმი ივანე გომართელი.

დამოუკიდებელ საქართველოში სამედიცინო მომსახურება არ იყო უფასო, თუმცა, სახელმწიფო ცდილობდა ფასიანი სამედიცინო მომსახურების რეალურ, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის ადეკვატურ ციფრებამდე დაყვანას, რაც ფასების განახევრებით გამოიხატა. ამ მხრივ, ქუთაისი იყო პირველი ქალაქი, სადაც მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო დახმარების გაწევა გამოცხადდა. ამ პრაქტიკის პიონერად გვევლინება ქუთაისის ცნობილი ექიმი სამსონ თოფურია. მისი საავადმყოფო უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ სოხუმში გაიხსნა პირველი მუშათა აფთიაქი, რომელიც წამლებს მოსახლეობას უფასოდ აწვდიდა.

წითელი ჯვრის ეროვნული ორგანიზაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი წითელი ჯვრის ეროვნული ორგანიზაციის შექმნისა. 1918 წლის 11 სექტემბერს ჩატარდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდნენ ნოე ჟორდანი (მთავრობის თავმჯდომარე) და გრიგოლ გიორგაძე (სამხედრო მინისტრი). კრება გახსნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელმა, ექიმმა მიხეილ ზანდუკელმა. რუსეთის

ნითელი ჯვრის მთელი ქონება, რაც თავმოყრილია საქართველოში, გადაეცა ქართულ ნითელ ჯვარს. ნითელი ჯვრის საზოგადოებამ თბილისში დიდი მთავრის ქუჩაზე გახსნა საავადმყოფო, რომელიც უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას. ნითელი ჯვრის საზოგადოებასთან დაარსდა მონყალების დების საზოგადოება, რომლის დებულების თანახმად, მონყალების დებს მოეთხოვებოდათ და ევალებოდათ ქართული ენის ცოდნა.

სააფთიაქო საქმე

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სააფთიაქო საქმესაც. 1918 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოება. 1918 წლის დეკემბერს ჩატარდა საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოების ყრილობა. ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოში ფარმაცევტული საქმის ახლებურად, დროის მოთხოვნათა შესაბამისად წარმოებაზე. რეკომენდაცია მიეცა ქვეყანაში კერძო აფთიაქებთან ერთად საქალაქო (მუნიციპალური) აფთიაქების განვითარების ხელშეწყობას.

ჟურნალ-გაზეთები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში დაარსდა ქართული სამედიცინო ჟურნალ-გაზეთები. 1919 წელს გამოიცა პირველი სამედიცინო პერიოდული ჟურნალი „ექიმი“. სარედაქციო კოლეგიის განცხადებით, იგი წარმოადგენდა საქართველოს ექიმთა და ეროვნული სამეცნიერო საზოგადოების გამოცემას, „სამეცნიერო-საზოგადოებრივ სამედიცინო ჟურნალს“. 1918 წლის იანვარში გამოიცა „საქართველოს ექიმის თანაშემწეთა საზოგადოების“ ახალი ყოველთვიური ჟურნალი „ექიმის თანაშემწე“. 1919 წელს გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი „ფარმაცევტი“. 1920 წელს გამოვიდა „ჭლექთან მებრძოლი საზოგადოების“ ჟურნალი „ჭლექი და მასთან ბრძოლა“, რომელიც გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ. ჯანდაცვის ორგანიზაციის საკითხები ქვეყნდებოდა მუნიციპალურ ჟურნალებში: „ერობა და ქალაქი“, „ჩვენი ქალაქი“.

სახელმწიფო ცდილობდა მოსახლეობაში აემალლებინა სანიტარიული განათლება. განათლების მინისტრის ბრძანებით გადაწყდა საგანმანათლებლო სამკურნალო წიგნაკების დაბეჭდვა: „ქართველ ექიმებს კარგად მოეხსენება, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ხალხი საექიმო დახმარების მხრივ. სხვათა შორის, ეს გარემოებაც ხელს უწყობს ხალხში ათასგვარი ცრურწმენების გავრცელებას, რასაც, სამწუხაროდ, მკვიდრათ აქვს გადგმული ფესვები არა თუ სოფლებში, – ქალაქებშიაც კი. გასაჭირის დროს ხალხი გარბის მარჩიელთან, რომ მისგან გაიგოს თავისი ანმყო და მომავალი. მოკლედ რომ მოვსჭრათ, ჩვენი ხალხის უმრავლესობა ჯერ კიდევ ბნელით არის მოცული, და ასე იქნება, სანამ მისი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა არ შეიცვლება. მაგრამ დღევანდელ პირობებშიც კი კერძო თაოსნობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ამიტომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამნიგნობრო სექციამ განიზრახა, დაბეჭდოს მთელი რიგი სამკურნალო წიგნაკებისა... წიგნაკები უნდა დაინეროს მეცნიერულად და მდაბიურად, რომ გასაგები იყოს საშუალო მკითხველისათვის.

ამგვარად, 1918-1921 წლებში, დროის მოკლე პერიოდში საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყნის ისტორიაში პირველად დაიწყო ჯანდაცვის სახელმწიფო დონეზე ორგანიზება და მართვა, სამედიცინო რეფორმასთან დაკავშირებული პროექტების ფინანსური და მორალური მხარდაჭერის განხორციელება, ეროვნული სამედიცინო კადრების მომზადება. შეიძლება თამამად იმის აღნიშვნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის დარგში განხორციელებულმა რეფორმებმა საკუთარი ნვლილი შეიტანეს ქვეყანაში ცივილიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და დემოკრატიული საზოგადოების დამკვიდრების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვერულავა თ., ჯანდაცვის პოლიტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016 წ.

ჟღენტე ვ., გელბახიანი პ., ტატიშვილი ი. მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, თბილისი, 1971

შენგელია მ., ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი, მეცნიერება, 1981

შენგელია მ., ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბილისი, მეცნიერება, 1981

შენგელია მ., რენესანსი და ძველი ქართული მედიცინა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1985

შენგელია რ., ქორჩილავა ჯ., ხიდაშელი ლ., ასათიანი ნ. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია საქართველოში, გაზ. „მედიცინა“, 29 მაისი, 1993, გვ. 3

შენგელია რ., ჯანდაცვის ორგანიზაცია დამოუკიდებელ საქართველოში, თბილისი, 2001

გამყრელიძე ა., ვასაძე ო., საქართველოს ჯანმრთელობის დაცვა საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003

სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია. თბილისი. „საქმედგამი“ 1956, ტ. II

ჯორბენაძე ა., საჯარო გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, 1998 წ.

ჯორბენაძე ა., საჯარო გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, 1998 წ.

გერზმავა, ო., საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, თბილისი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, 2012

ურუშაძე, რ., საზოგადოებრივი ჯანდაცვა, თბილისი, 2002 წ.

Verulava T., Kalandadze, T. Health Care System in Georgia. Tbilisi, Metsniereba, 2001

THE HEALTH CARE SYSTEM OF THE PERIOD OF GEORGIAN INDEPENDENCE (1918-1921)

Summary

May 26, 1918 is the most important date in the history of Georgia. In the short period of Independence of Georgia in 1918-1921, founding Tbilisi State University was one of the greatest events. It was the first National University in Georgia and the whole Caucasus. On February 27, 1918, a Medical Faculty was founded at the Georgian University. It became the center where many well-known Georgian medical scientists were educated.

In November 1918 Medico-Sanitarian Department at the Ministry of Internal Affairs was established, the head of which was appointed Simon Japaridze.

Georgia was divided into districts, regions and cities. Correspondingly were assigned district, regional and city doctors. Approach to each region was different. Special attention was paid to Svaneti and Akhalkalaki. The network of the medical institutions was divided into 3 sectors:

- Network of state medical institutions;
- Municipal medical institutions;
- Private medical institutions;

Special attention was paid to pharmacies. There were two types of pharmacies: city (municipal) and private.

In February of 1920 the Minister of Internal Affairs, Mr. Chichinadze submitted a draft decree of establishment of the Department of Health on the basis of the Medico-sanitarian Department. The draft was approved in July 13. Mr. Spiridon Virsaladze was designated the Head of Department.

The Department of Health was responsible for:

- Supervision over the activities of all medico-sanitary institutions of the Republic;
- Issues of quarantine;
- TB, malaria, cholera, plague, STDs, typhus and other diseases;
- Expertise issues;
- Conducting medico-sanitarian statistics;
- Sanitary management of recreational zones of state importance;
- Issues of pharmacy and pharmaceuticals;
- Monitoring of the correct accomplishment of medical-sanitary law, elaboration of medical-scientific questions.

According to the data of 1919 there were 45 hospitals for 1200 beds in Georgia, 17 medical stations in Tbilisi and 13 in Kutaisi. New medical institutions were established in Poti, Akhalkalaki, and Svaneti region. Medical-supervisory stations are considered as units of health care system and were a kind of mixture of sanitary-epidemiological

stations and ambulatory services.

The first medical journal „The Doctor“ was published in 1919. In January 1918, a new monthly journal „Doctor’s assistant“ was issued. In 1919 was published monthly journal „working pharmacist“. In 1920 biweekly journal „Tuberculosis and Preventive Medicine“ was published.

Thus, in 1918-1921, during the short period, significant reforms were implemented in the Georgian healthcare system. The Government of the Republic of Georgia started to organize and manage health care at the state level for the first time in the country’s history, implement financial and moral support of the projects related to medical reform and prepare national medical staff. The reforms implemented in the field of health care have contributed to the development of civil and democratic society in the country.

Valery Modebadze
Professor

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

CONFLICT BETWEEN RUSSIA AND GEORGIA IN 1918-1921

After the declaration of independence, the Democratic Republic of Georgia faced many problems with its northern neighbor. Both the Red Army and the White Army were equally hostile to the idea of independence of Caucasus and its people were forced to fight against them on the battlefield as well as on the diplomatic front. During the Russian Civil War, Soviet Russia could not dispatch enough troops to Caucasus in order to occupy the Democratic Republic of Georgia. Therefore, it was offering financial, political and military support to separatist forces in Georgia. With the help of Soviet Russia, separatist forces in Abkhazia and South Ossetia organized many uprisings against the Democratic Republic of Georgia. Soviet Russia was also offering assistance to all anti-Georgian organizations: the Caucasian Regional Committee of the Russian Communist party, the Russian National Council of Transcaucasia, the Russian clergy of Tbilisi, the Russian National Council of Batumi and Sukhumi, etc. The Soviet Russia helped these organizations to organize revolts against the Democratic Republic of Georgia. The aim of these anti-government revolts was to overthrow the government and establish a Soviet rule in Georgia.

After defeating General Denikin and the White forces, Soviet Russia approached Caucasus and renewed its subversive activities in the Democratic Republic of Georgia. The Caucasian Regional Committee of the Russian Communist party was doing everything it could to organize „peasants’ and workers’ rebellion“ in Georgia. With the help of Soviet Russia, this organization supported Ossetian separatists and local rebels in the fight against the Georgian government. The aim of this article is to analyze conflicts between Russia and Georgia in 1918-1921. The article also describes the occupation of Georgia by the Red Army and its consequences. This research is based on historical method. Conflicts that took part between Russia and Georgia are analyzed in detail by using the above mentioned method.

INTRODUCTION – THE DECLARATION OF INDEPENDENCE

The Caucasian states managed to free from the Russian imperial dominion in the early 20th century. The Russian Revolution of 1917 triggered the disintegration process of the Russian Empire. The Caucasian states took advantage of this situation and gradually gained independence from Russia. On April 22, 1918 an independent state – The Transcaucasian Democratic Federative Republic was established. This state was short-lived. It soon ceased to exist and after one month of its foundation, Caucasian states declared their independence. Four independent states emerged in Caucasus: Georgia, Azerbaijan, Armenia and the Mountainous Republic of North Caucasus. The Moun-

tainous Republic of the Northern Caucasus officially became an independent state on May 11, 1918. By the end of May of the same year, Georgia, Azerbaijan and Armenia declared their independence. The government of independent Georgia under the leadership of Noe Zhordania tried to promote the idea of the unity of Caucasus and began to lay foundations for this unity. The government of Democratic Republic of Georgia carried the policy of establishing close cultural, economic and military contacts with the Caucasian states. This was particularly evident in the attitude of Georgian government towards Azerbaijan. Common geostrategic interests of the Republic of Azerbaijan and Democratic Republic of Georgia promoted establishment of close ties between these states. Especially important was the cooperation between Azerbaijan and Georgia in the military sphere. In 1919 these two countries signed a military agreement for three years and formed a military alliance against the common enemy. In the summer of 1919 the North Caucasus was conquered by the „white general“ Anton Denikin. After this event Russia approached the borders of Georgia and Azerbaijan. This forced Georgia and Azerbaijan to sign a military-defensive treaty on June 16, 1919, according to which they had to give a joint response to a possible military aggression from the third party (Beka Kobakhidze, 2011). Since gaining independence, Democratic Republic of Georgia established also close relations with the Mountainous Republic of North Caucasus. Georgians were aware that strong and independent North Caucasus was also a guarantee of stability and independence of Georgia. The Mountainous Republic of North Caucasus was a buffer zone between Georgia and Russia. Therefore, Democratic Republic of Georgia supported the Mountainous Republic of North Caucasus morally, politically and financially (Giorgi Arkania, 2016).

CONFLICTS BETWEEN GEORGIA AND RUSSIA

The Democratic Republic of Georgia since its foundation had very strained relations with Soviet Russia. Soviet Russia actively supported separatist movements in Abkhazia and South Ossetia in order to weaken independent Georgia and draw it back into Russia's orbit. In 1918 Bolsheviks organized an uprising in Abkhazia to demand establishment of Soviet rule in Abkhazia and the unification of Abkhazia with Russia. Bolsheviks established a military-revolutionary committee of Abkhazia, created the Red Army, occupied Sokhumi and declared Abkhazia a Soviet Republic. After these events, the military-revolutionary committee of Abkhazia appealed for help to Soviet Russia. Soviet Russia sent approximately 2000 Kuban Cossacks to Abkhazia. Cossacks defeated Georgian troops stationed in Abkhazia and entered Sokhumi (Vakhtang Peradze & Levan Mumladze, 2008).

Bolsheviks created a similar problem in Inner Kartli, where they established the National Council of South Ossetia in 1917. Since its foundation this body began confrontation with the Georgian National Council. Ossetian separatists demanded incorporation of South Ossetia into Soviet Russia and obtained support from Russia's political elites. Ossetian and Abkhazian separatists became especially active after Georgia's declaration of independence (May 26, 1918). For Soviet Russia the independence of Georgia was unacceptable and the Soviet government began to support actively separatist forces in

Georgia. Because of the ongoing civil war, Soviet Russia was unable to dispatch enough troops to Georgia and occupy the Georgian territories in 1918-1920. Therefore, it was doing everything it could to strengthen the Fifth Column in Georgia (Abkhazian and Ossetian separatists, Russian population in Georgia). Initially this activity was controlled by the Caucasian Regional Committee of the Russian Communist party which was established in October 1917 and later – by the Caucasus Bureau of the Central Committee of the Russian Communist Party. In these anti-Georgian organizations especially active were the following Bolsheviks: Phillippe Makharadze, Sergei Kirov, Stephan Shaumian, Sergo Orjonikidze and others. These people received orders from Lenin and Stalin and acted according to them (Vakhtang Peradze & Levan Mumladze, 2008).

Intrusive activities were performed against the Democratic Republic of Georgia by following organizations: The Russian National Council of Transcaucasia, the Russian clergy of Tbilisi, the Russian National Council of Batumi and Sukhumi. The above mentioned organizations actively collaborated with all anti- Georgian forces.

After the restoration of independence, the government of the Democratic Republic of Georgia tried to solve the Abkhazian issue peacefully. For this reason, it reached an agreement with the Abkhaz People's Council on June 8, 1918. This agreement granted Abkhazia wide autonomy. For Abkhazian separatists the above mentioned agreement was unacceptable. They demanded complete independence of Abkhazia and separation of this land from Georgia. Because of their radical demands, solving Abkhazian problem peacefully became virtually impossible. The Georgian army under Major General Giorgi Mazniashvili defeated Kuban Cossacks and the armed forces of Abkhazian separatists and in June 1918 entered Sokhumi. The Georgian armed forces advanced northward along the Black Sea coastline and liberated Gagra from enemies. On July 2, 1918 they took Adler, on July 6 – Sochi, on July 26 – Tuapse. Soviet Russia showed a hostile attitude towards the restoration of Georgian jurisdiction in Abkhazia.

Soviet Russia managed to organize the first serious anti-state uprising against the Democratic Republic of Georgia in the summer of 1918 in Dusheti. The Caucasian Regional Committee of the Russian Communist party sent some Bolsheviks and military instructors to Dusheti in order to organize a rebellion against the Democratic Republic of Georgia. They began recruiting peasants into military units and armed them with guns (Alexandra Artilakva, 1948). The military–revolutionary headquarters of rebel peasants was established. The rebels attacked Georgian officials and military units in several villages and killed some Georgian soldiers. The rebels established contacts with the Terek Soviet Republic and obtained military support from this republic. The Terek Soviet Republic sent specially trained forces under the command of Sasha Gegechkori in order to help the rebels fight against the Democratic Republic of Georgia. The Russian army had also plans to enter Georgia and occupy Dusheti and Tbilisi. The Soviet Russia's plans were thwarted by the vigorous actions of the Georgian regular army and the Georgian People's Guard. The Georgian army managed to defeat the rebels who were forced to flee to the North Caucasus and found refuge in Terek Soviet Republic (Vakhtang Peradze & Levan Mumladze, 2008).

The anti-government revolts took place in 1918 in Shorapani, Sachkhere, Racha – Lechkhumi and Mingrelia. The uprising in Sachkhere was organized with the help of Ossetian Bolsheviks under the command of Isaac Kharebov. In 1918 the Georgian people's guard and the Georgian army quelled the revolt of Ossetian separatists who refused to pay taxes to the Georgian government. In 1918 there were numerous uprisings among the Ossetian peasants who refused to pay taxes to Tbilisi. On March 15, 1918 the Ossetian peasants began an armed revolt against the Georgian government. The rebels managed to hold off an offensive by Georgian People's Guard punitive detachment commanded by an ethnic Ossetian officer, Kosta Kaziev. The rebels occupied the town of Tskhinvali on March 19, 1918. The Georgian People's Guard regained the control of Tskhinvali on March 22, 1918. The revolt was finally quelled by the Georgian armed forces and harsh repressive measures were established in the region.

During the Russian Civil War, Bolsheviks were unable to control all southern regions of Russia. Kuban Cossacks took advantage of this situation and declared independence from Soviet Russia on February 16, 1918. They established The Kuban People's Republic which included all the territory of the former Kuban Oblast of the Russian Empire. The real power in South Russia was in the hands of the Volunteer Army under the leadership of Gen. Mikhail Alekseev. On September 25, 1918 the Georgian government decided to begin negotiations with the above mentioned forces over the border issues. From the Russian side, the commanders of the Volunteer Army and representatives of the Kuban Republic participated in negotiations. The Democratic Republic of Georgia was represented by Minister of Foreign Affairs Evgeni Gegechkori and General Giorgi Mazniashvili. The Command of the Volunteer Army and the Kuban Republic formally recognized the Democratic Republic of Georgia, but accused it of capturing Russian territories. Russians considered even the Georgian territories (Sochi and Gagra) as an integral part of Russia. The Georgian side tried to prove that Russian claims were groundless but Russians did not change their opinion. The parties could not reach an agreement on border issues and could not agree on who was to hold power on the strip of territory between Sochi, Tuapse and Gagra (General Giorgi Mazniashvili, 2014).

The Russian volunteer army tried to separate Abkhazia from Georgia and began offering support to Abkhazian separatists in October 1918. On October 10, the Georgian government announced dissolution of the Abkhaz People's Council and decided to hold new elections in Abkhazia. The Russian Volunteer Army was dissatisfied with this decision and in December 1918 started preparations for the invasion of Abkhazia. In 1919 the Russian Volunteer Army under the command of Denikin entered Abkhazia and occupied the Gagra region. The territorial integrity of Georgia was in danger. On June 14, 1919 the Government of Georgia appealed to the Paris Peace Conference for help, but in vain. At that time, British troops were stationed on the territory of Georgia and British military representatives provided a peaceful solution to the Abkhazian conflict. British military representatives decided to send one of their detachments to Abkhazia which would serve as a barrier between Georgia and the Denikin's army. The British Major-General Corey drew a demarcation line, which the Volunteer Army was prohibited to cross. This time Denikin respected the new frontier, which ran along the river Bzyb (South of Gagra) (Charlotte Hille, 2010).

Since the beginning of 1919 Caucasian Regional Committee of the Russian Communist party tried to trigger new revolts in Georgia. In the same year, the organizers of the rebellion were arrested, but armed demonstrations still took place in Lagodekhi, Signagi, Poti, Gori, Senaki, Samtredia, Chokhatauri, Ozurgeti and Akhalkalaki. Despite the attempts of Bolsheviks to destabilize the country, these revolts failed to gain the popular support. The Georgian government easily quelled these local revolts.

After defeating the volunteer army under General Denikin, Soviet Russia renewed its subversive activities in the Democratic Republic of Georgia since January 1920. The Caucasian Regional Committee of the Russian Communist party called on the population of the region to a massive revolt in order to establish the Soviet rule. This time Bolsheviks hoped that workers would organize uprisings and overthrow the Georgian government. But their dreams were not realized and their plan proved fruitless. Bolsheviks did not enjoy popular support in Georgia and could not win hearts and minds of the local people.

On March 15, 1920 the Caucasian Regional Committee of the Russian Communist party appealed on behalf of workers of the Caucasus to Soviet Russia and requested assistance. The same body adopted the resolution of the establishment of the revolutionary committee in South Ossetia and began recruiting troops in Vladikavkaz, which is the capital of modern-day North Ossetia. On May 6, 1920 the Revolutionary Committee of South Ossetia declared a Soviet republic in the Roki area on the Russian-Georgian border. The Red Army from Vladikavkaz crossed into Georgia and supported local rebels in the fight against the Georgian armed forces in the Java district. In the summer of 1920, the government of the Democratic Republic of Georgia sent a large military unit to South Ossetia and suppressed the rebellion. The Georgian People's Guard under Valiko Jugheli managed to defeat the insurgents in a series of hard-fought battles (Vakhtang Peradze & Levan Mumladze, 2008).

In April 1920 Soviet Russia's Red Army invaded Azerbaijan. A few months later Armenia was conquered by the Red Army. After the occupation of Azerbaijan and Armenia, Soviet Russia developed plans for invading Georgia. But, at that time Soviet Russia was at war with Poland and was unable to launch a war against Georgia. For this reason, Soviet Russia decided to postpone the occupation of Georgia and establish diplomatic relations with the Democratic Republic of Georgia. On May 7, 1920 the Treaty of Moscow was signed between Soviet Russia and the Democratic Republic of Georgia in which Soviet Russia recognized the territorial integrity of Georgia and refused to interfere in its domestic and foreign affairs. In the first two articles of the Treaty, Soviet Russia unconditionally recognized the independence of Georgia and recognized it as the subject of international law (Maia Burdiashvili, 2013). After signing this agreement diplomatic relations were established between these two countries. England played a major role in signing this agreement, calling for both sides to settle the relationship.

The Treaty of Moscow did not settle strained relations between Soviet Russia and the Democratic Republic of Georgia, however. Because of the war with Poland, Soviet Russia was forced to stop temporarily its aggressive policy towards Transcaucasia. By signing this treaty, the Georgian government hoped to win some time to prepare for the upcoming war with Russia. Western countries refused to provide the military-polit-

ical assistance to Georgia. On July 4, 1920 British troops left the territory of Georgia. After the withdrawal of British troops, the Democratic Republic of Georgia was left alone and was forced to rely only on its own resources in the upcoming fight against the Bolsheviks. Although the Russian Bolsheviks recognized Georgia's independence, they planned and intended to overthrow the government of the Democratic Republic of Georgia. The treaty of Moscow was merely a delaying tactic on the part of Russians who, at that time, were mainly concerned about an uneasy war against Poland.

After the nine months of fragile peace, in February 1921, Bolsheviks decided to launch a final offensive against the Democratic Republic of Georgia, on the pretext of supporting „peasants' and workers' rebellion“ in the country. The start of massive attack on Georgia was preceded by a Soviet „People's Uprising“ against the Government of the Democratic Republic of Georgia, mainly in Lori province, populated by Armenians. At the same time the border clashes occurred in the town of Zakatala which was claimed by Soviet Azerbaijan.

Georgians fought heroically against the invaders. But, small Georgian army could not halt for a long time a large and well equipped Red Army, which was attacking Georgia from all directions. After heavy fighting the Red Army defeated Georgian troops. Soviet forces under the command of Orjonikidze took Tbilisi and declared the Georgian Soviet Socialist Republic on 25th of February 1921. The rest of the country was overrun within three weeks and finally, Soviet rule was established in Georgia. Turkey took advantage of this situation and occupied a large portion of southwest Georgia, a fact that was acknowledged by the treaty of Moscow, signed between Russia and Turkey and the Treaty of Kars, signed between Turkey and Transcaucasian Soviet Socialist Republics. In this treaty Ataturk and Lenin reached an agreement that divided the region of Meskheta into two. The Soviet government forced Georgia to cede vast territories to Turkey. Larger part of Meskheta was given to Turkey, while Georgia retained Adjara and Samtskhe – Javakheti region. In other words, under this treaty, Georgia returned the regions of Artani (Ardahan), Artvini (Artvin) and Oltisi (Oltu) to Turkey. The total territory equaled to 12,115 square kilometers with the population of 164,000 (Valeri Modebadze, 2010).

Soviet rule was harsh and inflicted heavy losses on the Georgian state: Georgia was forced to cede territories to its neighboring republics. In 1920 the total area of Georgia equaled to 83.000 square kilometers. Georgia lost many territories that formed an inseparable part of Georgian state and its total area was reduced to 69,700 square kilometers. In addition, Soviet Union established autonomous republics in Georgia that became later major source of ethno-political conflicts.

Russia viewed Georgia as its former colony and as its zone of influence. Therefore, the independence of Georgia was unacceptable for Russia. Both the Red Army and the White Army were equally hostile to the idea of Georgian independence. They fought against the Democratic Republic of Georgia very frequently. The Kremlin did everything it could to draw Georgia back into Russia's orbit.

Bibliography:

- Charlotte Hille (2010) *State Building and Conflict Resolution in the Caucasus*, Leiden: Brill
- Beka Kobakhidze (2011) Georgia's "Caucasian Role" and Russia – 1918-1921 and the Current Situation, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/en/article/viewArticle/4/33>
- Giorgi Arkania (2016) *The Mountainous Republic of the Northern Caucasus and its relations with Georgia* . გიორგი არქანია (2016) ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა და მისი ურთიერთობა საქართველოსთან. <http://caucasiology.ge/file/pdf/fa7fd3fd77cf4908b4e19e0468aa315f>
- Vakhtang Peradze & Levan Mumladze (2008) *Historical Aspects of Relations between Russia and Georgia*, Tbilisi. ვახტანგ ფერაძე & ლევან მუმლაძე (2008) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის ნარკვევები, თბილისი
- Maia Burdiashvili (2013) *National liberation movement in Georgia in 1921-1924*, Tbilisi. მაია ბურდიაშვილი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921-1924, თელავი. <http://tesau.edu.ge/failebi/xarisxi%20uzrunvelyofa/samecniero%20kvleviti%20ganyofileba/disertacia.pdf>
- General Giorgi Mazniashvili (2014) *Memories*, Tbilisi. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი (2014) *მოგონებანი*, თბილისი
- Valeri Modebadze (2010) *Analysis of Meskhetian Problem*, Tbilisi. ვალერი მოდებაძე (2010) *მესხური პრობლემის ანალიზი*, თბილისი. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8633/1/Mecxuri_Problemis_Analizi.pdf
- Alexandra Artalakva (1948) *The revolt of peasants in Dusheti in 1918*, Tbilisi. ალექსანდრა არტილაყვა (1948) *დუშეთის გლეხთა აჯანყება 1918 წელს*, თბილისი. http://digitallibrary.tsu.ge/book/artitayva_glexta/index.html#/0

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ირაკლი ირემაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი
ცენტრ-ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნები: საარჩევნო სისტემა, პოლიტიკური სუბიექტები, საარჩევნო კამპანია და შედეგები

დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობის გზაზე დემოკრატიული საარჩევნო სისტემა და არჩევნები ერთ-ერთ ფუნდამენტურ ინსტიტუტებად მიიჩნევა. დემოკრატიული არჩევნების პოლიტიკური დანიშნულება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო საუკუნის წინ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებშიც მოქალაქეთა დიდ ნაწილს, განსაკუთრებით კი ქალებს სახელმწიფოს მართვის პროცესში მონაწილეობა ეზღუდებოდათ. 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აქტით, საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობას. რესპუბლიკის არსებობის დასაწყისიდანვე ნათელი იყო, რომ ქართულ დემოკრატიას, რესპუბლიკა უამრავი გამოწვევისა და პრობლემების პირობებში უნდა აეშენებინა (*ვოიტინსკი, 2018, გვ. 188*).

სახელმწიფოს მშენებლობის მოდელების შესახებ ქართული პოლიტიკური სპექტრის ძირითადი ნაწილის სიმპათიები პარლამენტარიზმისაკენ იყო მიმართული. დემოკრატიული რესპუბლიკის ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ლიდერი ნოე ჟორდანიას 1918 წლის აგვისტოში რესპუბლიკის მმართველობის სისტემაზე მსჯელობისას, ევროპული ქვეყნების გამოცდილების გააზრების შედეგად, ცალსახად უსვამდა ხაზს რესპუბლიკის პოლიტიკური მოდელის მშენებლობის მთავარ პრინციპს – „ერთია ძალა-უფლება – ერთია მისი წარმომშობი წყარო – ხალხი. უკანასკნელი თავის მონოდებას ანხორციელებს სამი გზით: კანონმდებლობით, ადმინისტრაციული და სასამართლო.“¹

ახლადშექმნილი დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია იტვირთა ეროვნულმა საბჭომ, რომელიც კოჰაბიტაციის წესით დაკომპლექტდა 1917 წლის ნოემბრის საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე და 26 მაისის შემდეგ შეივსო ქართული პარტიების წევრებით (*ბენდიანიშვილი, 2001, გვ. 137*). ეროვნულმა საბჭომ იზრუნა საკანონმდებლო ორგანოში ყველა პოლიტიკური თუ ეთნიკური ჯგუფისათვის ადგილების პროპორციულ განაწილებაზე. 1918 წლის 13

1 ნოე ჟორდანია, *სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია*, გაზ. „ერთობა“, 1918, №184,185,192,193

სექტემბერს დაამტკიცა კანონი, რომლის საფუძველზეც საბჭოს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის დაემატა 26 მანდატი, რომელიც რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის პროპორციული იყო (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990, გვ. 84-109).

მზადება არჩევნებისთვის

საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვის მზადება, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე თვეებში დაიწყო. 1918 წლის ზაფხულიდან მუშაობდნენ საარჩევნო კანონმდებლობაზე (ცინაძე, 2011, გვ. 312). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა (1918 წლის 8 ოქტომბრიდან ეროვნულ საბჭოს სახელი შეეცვალა) 1918 წლის 22 ნოემბერს დაასრულა მუშაობა საარჩევნო კანონმდებლობაზე და მიიღო – „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“. კანონში იმ პერიოდის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის არაერთი გამორჩეული ელემენტი იყო წარმოდგენილი. პირველი თავი განსაზღვრავდა – „დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეული მცხოვრებთა მიერ საყოველთაო – განურჩევლათ სქესისა, თანასწორის, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ“. II თავი კი განსაზღვრავდა – „დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს, თუ არჩევნების დღისთვის ოცი წელი შესრულებიათ. რეგულიარულ ჯარში ჩარიცხულს აქვს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990, გვ. 84-109). საარჩევნო კანონმდებლობაში მცირედი შესწორებები 1919 წლის იანვარში განხორციელდა. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა, მთელი რესპუბლიკა ერთმანდატიან ოლქად განისაზღვრა. დამფუძნებელი კრების არჩევნების სავარაუდო თარიღად 1919 წლის გაზაფხული განიხილებოდა, თუმცა საერთაშორისო პოლიტიკური გამონევეებიდან გამომდინარე, რომელიც პარიზის სამშვიდობო კონფერენციას უკავშირდებოდა, დამფუძნებელი კრების არჩევნების თარიღად 1919 წლის 14-16 თებერვალი განისაზღვრა.²

დამფუძნებელი კრების არჩევნების ორგანიზებისათვის პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისია შექმნა, რომელშიც ყველა საარჩევნო პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელი შევიდა, კომისიის 21 წევრიდან 10 სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. კომისიას სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე ლომთათიძე ხელმძღვანელობდა, კომისიის თავმჯდომარის ამხანაგის (მოადგილის) პოსტებს სოციალისტ-რევოლუციონერი ივანე გობერია და სოციალისტ-ფედერალისტი თედო ლლონტი იკავებდნენ. მდივნის პოსტი სოციალ-დემოკრატმა ანა სოლოლაშვილმა დაიკავა, ხოლო კომისიის ფინანსების განკარგვა ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავას დაევა.³ საარჩევნო კომისიამ ჩამოაყალიბა საქალაქო, სამაზრო და საუბნო საარჩევნო კომისიები, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიღო ვალ-

2 სცხა, ფ. 1834, აღწ.1, საქ. 19

3 სცხა, ფ. 1834, აღწ.1, საქ. 74

დებულება წინასაარჩევნო პროცესებისა და არჩევნების მშვიდობიანად წარმართვასთან დაკავშირებით. პარლამენტის დადგენილებით შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილს უნდა გამოეცა დეკრეტი პოლიციისა და ადმინისტრაციულ მოხელეთა მხრიდან საარჩევნო პროცესში ჩართვის აკრძალვის შესახებ.⁴

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1919 წლის იანვარში დაამტკიცა არჩევნების პროცედურები და საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედების წესები. კომისიის გადანიშნულებით, თითოეული პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო ბიულეტენზე, ამომრჩეველთათვის გასაგებად წარმოდგენილი იქნებოდა საკანდიდატო საარჩევნო სია. თითოეული ამომრჩეველი კი ფარული არჩევანის გაკეთების შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებდა ერთი კონკრეტული პარტიის ბიულეტენს (*ხვადაგიანი, 2016, გვ. 19*). 1919 წლის იანვრის ბოლოსათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირდა 15 საარჩევნო სუბიექტი, რომელთაც საარჩევნო ნომრები შემდეგნაირად განისაზღვრა: №1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; №2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; №3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; №4 სომეხთა რევოლუციონური ფედერაცია „დამნაკცუთიუნი“; №5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია; №6 საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო; №7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია; №8 საქართველოს ეროვნული პარტია; №9 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია; №10 შოთა რუსთაველის ჯგუფი; №11 დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი; №12 ბორჩალოს მაზრის მუსულმანები; №13 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; №14 „ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა“; №15 ელინთა დემოკრატიული პარტია.⁵ საარჩევნო სიებში ჯამში 600 კანდიდატი იყო წარმოდგენილი, საკანდიდატო სიებში 6 პოლიტიკურ სუბიექტს ჯამში 26 ქალი კანდიდატი ჰყავდა წარმოდგენილი (*ირემაძე, ჭანტურიძე, 2017, გვ. 31*). 1919 წლის თებერვლის დასაწყისში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებისთვის მზადება დაასრულა, დაიბეჭდა საარჩევნო ბიულეტენები ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე, პარტიების მოთხოვნების შესაბამისად. პარტიათა ნაწილმა თავადვე დაბეჭდა ბიულეტენები, საარჩევნო კომისიამ შემდგომში ბეჭდვის ხარჯები აუნაზღაურა.

საარჩევნო სუბიექტები

დამფუძნებელი კრების არჩევნებში ყველა პოლიტიკურ სუბიექტს შეეძლო მონაწილეობის მიღება, მათ შორის რესპუბლიკისადმი არცთუ კეთილგანწყობილ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, კომუნისტურ პარტიას, დამნაკცუთიუნსა და სხვ. არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა კომუნისტურმა პარტიამ, თუმცა ამ პერიოდში მათ საქართველოს მოქალაქეთა შორის დიდი გავლენა არ ჰქონდათ (*Kautsky, 1921, pp 71-72*).

არჩევნებში მონაწილეობას იღებდა არსებითად 1892 წლიდან მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ინსტიტუციურად 1903 წლიდან რსდმპ-ის

4 არჩევნების გარშემო, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1919, №30

5 საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების საკანდიდატო სიები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №25

შემადგენლობაში შედიოდა, 1918 წლის ნოემბერში ოფიციალურად გამოეყო რსდმპ-ის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტსა და კვლავ დამოუკიდებელ პარტიად გადაიქმნა (*ბენდიანიშვილი, 2001, გვ.138-140*). ქართული სოციალ-დემოკრატია, თავისი თეორიული საფუძვლიდან გამომდინარე, ბევრად უფრო ახლოს იდგა ევროპულ სოციალ-დემოკრატიასთან, ვიდრე რსდმპ-თან. ქართული სოციალ-დემოკრატის ლიდერები სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის მამამთავრებთან უშუალო კავშირში იმყოფებოდნენ (*ჯონსი, 2007, გვ. 82-83*).

1890-იანი წლებიდან მოყოლებული სოციალ-დემოკრატები ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დომინანტ ადგილს იკავებდნენ. რუსეთის ოთხივე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები ქართულ ოლქებში პარტიამ დიდი უპირატესობით მოიგო, დამაჯერებლად იმარჯვა 1917 წლის რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებშიც. პარტიას ეროვნულ საბჭოშიც უმრავლესობა ჰქონდა მოპოვებული. პარტიის საარჩევნო სიაში, ფაქტობრივად, სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი იყო შეყვანილი.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემდგომ თანაბარი გავლენით სარგებლობდა მემარცხენე, 1904 წელს შექმნილი სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია და 1917 წელს ჩამოყალიბებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. სფპ თავისი დამაარსებლის არჩილ ჯორჯაძის იდეოლოგიურ დოქტრინას ეფუძნებოდა (*შველიძე, 1993, გვ. 54-89*). დაარსებიდან მალევე სდპ-ის შემდეგ ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ სუბიექტად იქცა, მეტ-ნაკლები წარმატებით გამოდიოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე, 1918 წლის მაისიდან ეროვნულ საბჭოში სიდიდით მეორე ფრაქცია ჰქონდა და კოალიციურ მთავრობაში ორ მნიშვნელოვან სამინისტროს – სახალხო განათლებისა და იუსტიციის – ხელმძღვანელობდა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1917 წელს ოფიციალურად დაფუძნდა, თუმცა პარტიის ძირითადი ბირთვი ილია ჭავჭავაძესთან ერთად პოლიტიკური გაერთიანების შექმნის შესახებ ჯერ კიდევ 1900-იანი წლების დასაწყისში მუშაობდა. მემარჯვენე პოლიტიკურ ფლანგზე ედბ, ფაქტობრივად, ერთადერთ მძლავრ პოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენდა. 1917-1918 წლების განმავლობაში ედპ-ს გამოეყო ორი რადიკალური მემარჯვენე ფრაქცია რადიკალ-დემოკრატიული და ნაციონალისტური (ეროვნული), რომლებიც ცალკე პოლიტიკურ პარტიებად ფორმირდა და 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებზე დამოუკიდებლად წარსდგნენ (*ბენდიანიშვილი, 2001, გვ. 140-141*). 1918 წლის განმავლობაში ედბ ეროვნულ საბჭოში სიდიდით მესამე ფრაქციას ქმნიდა და კოალიციური მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მართავდა.

XX დასაწყისში საქართველოში გარკვეული გავლენით სარგებლობდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, რომელიც თავიდანვე რუსული პარტიის ორგანიზაციას წარმოადგენდა. 1918 წლის ივნისში ესერთა ქართული ორგანიზაცია დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა. 1918 წლის მაისიდან ეროვნულ საბჭოში ფრაქციით იყო წარმოდგენილი და კოალიციურ მთავრობაში გზათა და კავშირგაბმულობის სამინისტროს მართავდა (*ბენდიანიშვილი, 2001 გვ. 139-140*).

ძირითადი პარტიების გარდა, არჩევნებში რსდმპ იღებდა მონაწილეობას, რომელიც ქართული ორგანიზაციის გამოყოფის შემდეგ, ფაქტობრივად, სრულიად ურეიტინგო პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა.

არჩევნებში მონაწილეობდა 1890 წელს თბილისში დაარსებული სომხეთის რევოლუციური ფედერაციის „დამნაკცუთიუნის“ საქართველოს ორგანიზაცია. 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში ქართულ საზოგადოებაში დამნაკცუთიუნისადმი უარყოფითი განწყობები გაიზარდა, თუმცა პარტიას გავლენა ჰქონდა ეთნიკურად სომეხი მოქალაქეებით დასახლებულ არეალებში (ხვადა-გიანი, 2016, გვ. 25-26).

არჩევნებში ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დაკომპლექტებული ორი პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობდა – საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო და ბორჩალოს მაზრის მუსულმანები. გარდა ამისა, საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირდა ელინთა (ბერძენთა) დემოკრატიული პარტია.

განსაკუთრებით საინტერესო პრეცედენტს წარმოადგენდა 2 საარჩევნო სუბიექტი -ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა და უპარტიოთა კავშირი. რომელთა სიებშიც ქართველი ინტელექტუალები იყვნენ წარმოდგენილი. უპარტიოთა კავშირი აერთიანებდა – კოტე აფხაზს, ივანე ჯავახიშვილსა და სხვ., ესტეტიური ლიგა კი – ტიცვიან ტაბიძეს, ლადო გუდიაშვილსა და სხვ.⁶

საარჩევნო კამპანია

1919 წლის თებერვალში, გარდა დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, დანიშნული იყო თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები, რომლის თარიღად 2 თებერვალი იყო განსაზღვრული, 1919 წლის იანვრის დასაწყისიდანვე თვითმმართველობისათვის აქტიური საარჩევნო სამზადისი ჰქონდათ გაჩაღებული პარტიებს (*კვარაცხელია, 2014, გვ. 69-87*). 1919 წლის იანვრის შუა რიცხვებიდან პარტიებმა დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის დაიწყეს მზადება. გარდა ამომრჩევლებთან შეხვედრებისა, მიტინგებისა და საარჩევნო საღამოებისა, საარჩევნო სამზადისის მთავარი ხაზი პარტიულ პრესაზე გადიოდა (*ირემადე, ჭანტურიძე, 2017, გვ. 64-79*).

საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდებდა რესპუბლიკის მთავრობა და მისი ოფიციალური პრესის ორგანო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. ვრცელ სტატიებში საუბარი იყო დამფუძნებელი კრების, დემოკრატიულ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და არჩევნების მნიშვნელობაზე. გაზეთის გვერდებს მსხვილი შრიფტით ამშვენებდა მონოდება – „**საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო, თქვენ ხელთაა თქვენი ქვეყნის ბედი! თქვენ უნდა გამოსჭედოთ საქართველოს თავისუფალი ცხოვრება! მოქალაქენო! 14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია! ემზადეთ არჩევნებისთვის!**“.⁷ უშუალოდ არჩევნების დღეებში კი გაზეთი ვრცელ მონოდებებს აქვეყნებდა – „**14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია! მოქალაქენო! ამ დღეს უნდა გადასწყდეს საქართველოს ბედი! თქვენ თვითონ უნდა გამოსჭედოთ იგი! საქართველოს ერთი დიდი მტერთაგანი იქნება არჩევნებისადმი გულცივობა!** ამ საბედისწერო მომენტში, როდესაც მრავალი მტერი გარს გვარტყია და სიკვდილით გვემუქრება, საქართველოს მოქალაქენო, თქვენ უნდა გასცეთ მათ შესაფერისი პასუხი! **იქ სადაც საჭიროა – იარაღით ხელში და იქ, სადაც სიტყვაა**

6 სცხა, ფ. 1834, აღწ. 1, საქ. 86-87

7 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №29

– სიტყვით. დამფუძნებელი კრების არჩევნებში თქვენ უნდა გამოსთქვათ თქვენი მტკიცე სურვილი და უდრეკი ნება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის და დემოკრატიული წესწყობილებების დასაცავად. ერთ ნუთსაც არ დაივიწყოთ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები უდიდესი მოვლენაა ჩვენი ერის ცხოვრებაში! **არჩევნების დღეებში არც ერთი არ დარჩეთ შინ! ყველამ მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს! არც ერთმა არ დაჰკარგოთ ხმა!**“.⁸

პარტიათა პრესის ორგანოები საარჩევნო პერიოდში მუდმივად ბეჭდავდა სააგენტაციო მასალებს. იბეჭდებოდა პარტიის საკანდიდატო სიები, სადაც სახელისა და გვარის გასწვრივ ხშირად კანდიდატების პროფესია და სხვა მცირე ბიოგრაფიული ინფორმაციები იყო დატანილი. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, გამომდინარე იქიდან, რომ არაერთ პრესის საშუალებას მართავდა, უფრო ფართოდ გაშალა საარჩევნო კამპანია. სდპ მოწოდებებსა და პლაკატებს ქართულ, სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე ბეჭდავდა.⁹ 1919 წლის 22 იანვარს გამოაქვეყნა საარჩევნო პროგრამა, რომლითაც პარტია ამომრჩეველს სთავაზობდა პარტიის პოლიტიკურ გეგმებს, პარტიის დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა ეფუძნებოდა პარტიის მიერ განვლილ 25-წლიან პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილებასაც.¹⁰ პარტიული პრესის გვერდებზე წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად იბეჭდებოდა სატირული ლექსები მონინალმდეგეების შესახებ, განსაკუთრებით ხშირი იყო სატირული ლექსები მემარჯვენე ედპ-ის მისამართით. სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კამპანიისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ლიდერის ფაქტორსაც, ნოე ჟორდანიას სატირულ ლექსებში „მოხუც ჰომერად“ ან მსგავსად დადებით კონტექსტშია წარმოდგენილი.¹¹

მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საარჩევნო კამპანიას მიტინგებით, დისკუსიებით, საღამოებისა და პრესის საშუალებით მართავდა. გაზეთ „საქართველოში“ საარჩევნო პერიოდში გვერდები ეთმოზა გიორგი გვაზავას, სპირიდონ კედიასა და სხვა ლიდერთა ვრცელი მიმართევებს. იბეჭდება სლოგანები, საარჩევნო ნომერი, პარტიის წევრებისა და მოქალაქეებისადმი მიმართვები და მოწოდებები.¹² გაზეთი საარჩევნო კამპანიისას ყურადღებას ამახვილებს სდპ-ის საარჩევნო კამპანიაში კანონდარღვევით მონაწილე პირებზე, მემარცხენე პარტიების მიერ ამომრჩეველთა მოტყუებასა და თავიანთი იდეოლოგიური პლატფორმის უპირატესობაზე.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, სხვა პარტიების მსგავსად, აქტიურად იყენებდა პრესის ორგანოს, გაზეთ „შრომას“, რომელშიც საარჩევნო პერიოდში მუდმივად იბეჭდებოდა საკანდიდატო სიები, მოწოდებები, საარჩევნო ნომერი სლოგანებთან ერთად და სატირული ლექსები სდპ-ისა და ედპ-ის შესახებ. განსაკუთრებით აქტიურად მოუწოდებდა პარტია გლეხებს, კერძოდ იბეჭდებოდა მოწოდება – „სოც-რევ. პარტია მოითხოვს მინას მინის მუშებისათვის, თავისუფლებას ყველასათვის. ის სასტიკ ბრძოლას უცხადებს მთელ კაპიტალისტურ წყობილებას მუშათა

8 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №36

9 გაზ. „ერთობა“, 1919, №31

10 დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა, გაზ. „ერთობა“, 1919, №16

11 გაზ. „ერთობა“, 1919, №26

12 გაზ. „საქართველო“, 1919, №34

საბოლოოდ განთავისუფლებისათვის. გაუმარჯოს სიას №3!¹³ პარტიამ 1919 წლის 12 თებერვალს ამომრჩევლებს საარჩევნო პლატფორმა გააცნო.¹⁴

სოციალისტ-ფედერალისტური პარტია ამომრჩევლებს გაზეთ „სახალხო საქმისა“ და „სოციალისტ-ფედერალისტის“ გვერდებიდან ახსენებდა პარტიის მიერ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში განვლილ ბრძოლის გზას.¹⁵ საარჩევნო კამპანიის წარმოებისას ძირითად აქცენტს მინის რეფორმაზე აკეთებდა. სტანდარტულად იბეჭდებოდა მოწოდებები გაზეთის პირველივე გვერდებზე. პარტიამ 1919 წლის 26 იანვარს ამომრჩევლებს საარჩევნო პლატფორმა წარუდგინა.¹⁶

სიდიდით მეორე მემარჯვენე პოლიტიკური ძალა საქართველოს ეროვნული პარტია, საარჩევნო კამპანიას ძირითადად პარტიული პრესის „სალი კლდის“ საშუალებით ახორციელებდა. გაზეთი ბეჭდავდა პარტიულ სიას, გამოაქვეყნა საარჩევნო პროგრამაც. პარტია წინასაარჩევნო კამპანიისას განსაკუთრებით აკრიტიკებდა სდპ-ს და ედპ-ს. გაზეთის წინა გვერდს ამშვენებდა პლაკატი, რომელშიც გლეხი ეროვნული პარტიის საარჩევნო ნომრით „8“ ებრძოდა „№1“-ს მუშის ფორმით და „№2“-ს ინტელიგენტის ფორმით.¹⁷

სხვა პარტიათა საარჩევნო კამპანია არ გამოირჩეოდა განსაკუთრებით აქტიურობით, რადგანაც მათ პრესის ორგანოები ან საერთოდ არ ჰქონდათ, ან გარკვეული სტაბილურობით ვერ გამოირჩეოდა. გამონაკლის წარმოადგენდა დაშნაკუთიუნი.

არჩევნების შედეგები

დამფუძნებელი კრების არჩევნები სამხედრო მოქმედებების გამო გადაიდო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, ასევე პოლიტიკური სირთულეების გამო სოხუმის ოლქსა და ბორჩალოს მაზრაში. კლიმატური პირობების გამო არჩევნები გადაიდო მაღალმთიანეთში – სვანეთის მაზრაში და დუშეთის მაზრის ნაწილში (*ირემადე, ჭანტურიძე, 2017, გვ. 93*).

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო 16 ქალაქისა და 13 მაზრის საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი ოქმები და გამოსცა შემაჯამებელი ოქმი. 14-16 თებერვალს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებულ ამომრჩეველთა დაახლოებით 60%-მა.¹⁸ აქტივობა განსაკუთრებით მაღალი იყო ოზურგეთის მაზრაში, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 80%-ზე მეტი გამოცხადდა საარჩევნო უბნებზე. ოზურგეთის მაზრაში ხმათა 95% სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო.¹⁹ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობისა და დამფუძნებელი კრების მანდატების საერთო რაოდენობის მიხედვით განსაზღვრა საარჩევნო მეტრი, რომელიც კრებაში 1 მანდატს

13 გაზ. „შრომა“, 1919, №20

14 საარჩევნო პლატფორმა დამფუძნებელი კრებისთვის, გაზ. „შრომა“, 1919, №33

15 გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1919, №21

16 საქართველოს მშრომელ ხალხს, გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №441

17 გაზ. „სალი კლდე“, 1919, №31

18 სცსა, ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 67

19 სცსა, ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 52

უდრიდა, ამ რიცხვმა 3759 შეადგინა.²⁰ დამფუძნებელ კრებაში მანდატები 4 პოლიტიკურმა სუბიექტმა მოიპოვა: №1-109, №2-8, №3-5, №5-8. საარჩევნო კომისიამ 9 მარტის სხდომაზე მანდატების განაწილების შესაბამისად დააზუსტა კრების არჩეულ წევრთა სიაც.²¹

1919 წლის აგვისტოსა და 1920 წლის გაზაფხულზე ორი დამატებითი არჩევნები გაიმართა. პირველი – ბორჩალოს, ახალქალაქის, ახალციხის, სვანეთისა და დუშეთის მაზრებში, მეორე – კი სოხუმის ოლქსა და სხვადასხვა მაზრებისა და ქალაქების გამოტოვებულ რამდენიმე უბანში.²² მანდატების განაწილება ორივე დამატებითი არჩევნების დროს შეიცვალა. დამატებით არჩევნებისას კრებაში კიდევ ორი ახალი პარტია იქნა წარმოდგენილი №4 – 3 და №8 – 2 მანდატით. 1920 წლის მაისის მდგომარეობით მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა: №1-102, №2-8, №3-6, №4-3, №5-9, №8-2.²³

დასკვნა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნები, რესპუბლიკის 1028-დღიანი არსებობის განმავლობაში, არაერთ დემოკრატიულ და ინსტიტუციურ რეფორმასთან და პროგრესულ კონსტიტუციის შემუშავებასთან ერთად, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა და რესპუბლიკის მოქალაქეებმა, მრავალი პოლიტიკური დაბრკოლებისა და სამხედრო საფრთხეების მიუხედავად, შეძლეს დემოკრატიული არჩევნების ორგანიზება. ამ არჩევნებში ყველა პოლიტიკურ სუბიექტს შეეძლო მონაწილეობა და თავისუფალი საარჩევნო კამპანიის წარმოება. ასევე ჩართული იყო რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, სქესის, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. განსაკუთრებით მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა საარჩევნო სუბიექტები იდეოლოგიური და ინსტიტუციური თავისებურებებით, მართალია, პოლიტიკურ სპექტრში ცალსახად მემარცხენე-ცენტრისტული და მემარცხენე პარტიები დომინირებდნენ, თუმცა მემარჯვენე სპექტრიც ფართოდ იყო წარმოდგენილი – მემარჯვენე-ცენტრისტულიდან რადიკალურად ნაციონალისტურამდე. მნიშვნელოვანი იყო არჩევნებში ეთნიკურ უმცირესობათა პარტიების მონაწილეობა. საარჩევნო კამპანია, ფაქტობრივად, სრული თავისუფლებით სარგებლობდა და იმდროისათვის, პარტიების ხელთ არსებული რესურსებიდან გამომდინარე, საკმად ფართოდ იყო გაშლილი. საარჩევნო კამპანიაში სატირის როლი მნიშვნელოვანი გახლდა და ამას პოლიტიკურ ოპონენტთა შორის განსაკუთრებული კომფრონტაცია არ გამოუწვევია. მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ასევე ეთნიკური უმცირესობების ენებზე, განსაკუთრებით მემარცხენე პარტიათა, საარჩევნო მასალების არსებობა. რაც შეეხება არჩევნების შედეგებსა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამგვარ დომინირებას, ეს მხოლოდ რესპუბლიკის 9-თვიანი არსებობის შედეგს არ წარმოადგენდა, პარტიის ელექტორარული კაპიტალი, ფაქტობრივად, 25 წლის განმავ-

20 სცსა, ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 67

21 სცსა, ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 17

22 სცსა, ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 17

23 იქვე.

ლობაში დაგროვდა და რუსეთის იმპერიულ რეჟიმის პირობებშიც კი დაახლოებით 70-80% მხარდაჭერით სარგებლობდა. ზოგადად, პოლიტიკურ სპექტრში მემარცხენე პარტიების ამდაგვარი დომინირება და ამომრჩეველთა 93%-იანი მხარდაჭერა ამ პერიოდის საქართველოს განვლილი გზისა და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარეობდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბენდიანიშვილი, ალ. (2001). საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი: მემატთანე
- ვოიტინსკი, ვ. (2018). ქართული დემოკრატია. თბილისი: თსუ-გამომცემლობა ირემაძე, ი. ჭანტურიძე, ს. (2017). პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბილისი: თსუ, ცესკო, IFES
- კვარაცხელია, მ. (2014). ქალაქ თბილისის თვითმმართველობა (1917-1921წწ.) (სადოქტორო ნაშრომი). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, (სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე, შემდგენელი – ე. გურგენიძე). (1990). თბილისი: ივერთა მხარე
- შველიძე, დ. (1993). პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ნაკვეთი 1, ფედერალისტები. თბილისი: არსი
- ცინაძე, ზ. (2011). საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV, თბილისი
- ხვადაგიანი, ი. (2016). საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919. თბილისი: საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია
- ჯონსი, ს. ფ. (2007). სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- გაზ. ერთობა, 1919, №16. დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა
- გაზ. ერთობა, 1919, №26
- გაზ. ერთობა, 1919, №31
- გაზ. სალი კლდე, 1919, №31
- გაზ. საქართველო, 1919, №34
- გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919, №25. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების საკანდიდატო სიები
- გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919, №29
- გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919, №36
- გაზ. შრომა, 1919, №20
- გაზ. შრომა, 1919, №33. საარჩევნო პლატფორმა დამფუძნებელი კრებისთვის
- გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1919, №21. საქართველოს მშრომელ ხალხს. სცსა. ფ. 1834, აღწ.1, საქ. 19

სცსა, ფ. 1834, აღწ.1, საქ. 74

სცსა, ფ. 1834, აღწ. 1, საქ. 86

სცსა, ფ. 1834, აღწ. 1, საქ. 87

სცსა, ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 52

სცსა, ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 17

სცსა, ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 67

Kautsky, K. (1921). Georgia: a Social-Democratic Peasant Republic – Impression and Observations. London: International Bookshops

Irakli Iremadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Library

Head of Center-Library for the Study of Democratic Republic of Georgia

**THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA – THE CONSTITUENT
ASSEMBLY ELECTIONS: ELECTORAL SYSTEM, POLITICAL SUBJECTS,
ELECTION CAMPAIGN AND ELECTION RESULTS**

Summary

The Legislative Branch of the Democratic Republic of Georgia – The Constituent Assembly Election was an important event in the political life of Georgia. The Democratic Republic of Georgia managed to hold free, general and democratic elections with all political subjects. The process of elaboration of election legislation, pre-election campaign and the election process was conducted in a completely democratic and free political regime. Political subjects carried out the election campaign with the help of the party press office to demonstrate election programs, slogans and political biographies. One of the most important things in the elections was political satire, caricaturing and mocking opponents.

Final election results largely reflected the existing interrelation of political powers. Despite the dominance of one party, losing parties voiced no criticism.

The prepared work represents the complete chain of the process related to elections and political trends. It is based on the existing research, materials preserved in National Archives of Georgia and periodic editions of the Democratic Republic of Georgia.

ნაზიც მსაჯულთა სასამართლო პირველი რესპუბლიკის საქართველოში (1918-1921 წწ.)

1. ნაზიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაარსება

საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება (1918-1921) და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მისი მემკვიდრეობა დღევანდელი ქართული სახელმწიფოსათვის ფასდაუდებელი გამოცდილება და სიამაყის საგანია. 26 მაისი, საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღება, იუნკერთა გმირობა და 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმიის თბილისში შემოსვლა. ეს ის ფაქტებია, რომლებიც საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ კარგად იცის, თუმცა თავისუფლების ეს მცირე პერიოდი ჯერ კიდევ მოითხოვს შესწავლას.¹

საქართველოს დროებითმა მთავრობამ მმართველობის დაწყებისთანავე გადანიჭა სასამართლო რეფორმის ჩატარება, რომელიც თავიდანვე მოიაზრებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას. პირველი საკანონმდებლო აქტი, სადაც ამ ინსტიტუტის შესახებ გაიჟღერა, იყო 1917 წლის 21 სექტემბერს მიღებული „სასამართლო დაწესებულების დებულება“. მოგვიანებით სათანადო ცვლილება შემუშავდა „სისხლის სამართლის წარმოების წესდებაში“. 1919 წლის 17 იანვარს კი მიიღეს „კანონი ნაფიც მსაჯულთა შემოღებისა“. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგებოდა ერთი მოსამართლისგან (სხდომის თავმჯდომარე), 12 ძირითადი და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან.² მიუხედავად ამისა, ყველა ეს ნორმა განხორციელდა, როდესაც 1919 წლის 17 იანვარს პარლამენტმა მიიღო ლაკონიური კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ“. იგი იუსტიციის სამინისტროს აკისრებდა ვალდებულებას, შეედგინა ნაფიცი მსაჯულების კანდიდატთა სია.³

საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 23 აპრილის დროებითი კანონით კი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებაში შევიდა დროებითი ცვლილებები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა სოციალურ გარანტიებს შეეხებოდა. სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად გამონწვეულ ნაფიც მსაჯულს გაცდენისათვის მიეცემოდა დღიური სარგო 150 მანეთი, ასევე გათვალისწინებული იყო გზის ხარჯიც. „მანამდე, სანამ ეს ცვლილება განხორციელდებოდა, ნაფიც მსაჯულს, რომელიც იქ არ ცხოვრობდა, სადაც საქმე

1 საქართველოს ეროვნული არქივის მასალები „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ გვ.4 <http://www.archives.gov.ge/uploads/other/2/2784.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.02.2018)

2 იხ: <http://www.msajuli.ge/index.php?m=796> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.02.2018)

3 დოლიძე, ა., „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან“, ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, (რედ: კორკელია, კ.) 2013, გვ.4

ირჩევა, გაცდენისათვის მიეცემოდა დღიურად 5 მან. და გზის ხარჯად ვერსზე – 25 კაპ. ხოლო ვინც იქ ცხოვრობდა, სადაც საქმე ირჩევა, მიეცემა დღიურად 3 მან. იუსტიციის სამინისტროს კი ამ ხარჯების დასაფარად დამატებით ფინანსები გამოეყო. ეს ცვლილება ასევე ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულის დაჯარიმებას „არაკანონიერი მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის.“⁴

1920 წლის აგვისტოს გაზეთ „სახალხო საქმეში“ ვკითხულობთ, რომ „მთელ სესიაში სამი-ოთხი სხდომა თუ შემდგარა. ეს ხდება იმიტომ, რომ არ იღებენ სათანადო ზომებს, რომ ნაფიცმსაჯულნი გამოცხადდნენ სხდომაზე. დამფუძნებელმა კრებამ გასამჯელო გაადიდა თუთხმეტ თუმნამდე სხდომაზე და დაუსწრებლობისათვის კიდევ ჯარიმა გაადიდა ათას მანეთამდე.“⁵

ამ ცვლილებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოქალაქეებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის როლი არ ჰქონდათ გაცნობიერებული, ან მათი დამოკიდებულება არ იყო პოზიტიური ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ და ისინი ხშირად თავს არიდებდნენ მოქალაქეობრივი ვალდებულების შესრულებას.

ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გადასაწყვეტ საქმეებზე თავჯდომარის უფლებას წარმოადგენდა დღიური სარგოს დანიშვნა, არა მარტო ნაფიც მსაჯულებისათვის, არამედ მათთვისაც, ვინც სასამართლოში იყო დაბარებული და ვისაც კანონით ჰქონდა სარგოს მიღების უფლება.⁶

1919 წლის 18 სექტემბერს პირველად გაიმართა ნაფიც მსაჯულთა ყრილობა, რომელსაც სულ 57 ნაფიცი მსაჯული დაესწრო. ყრილობის გახსნას ასევე დაესწრნენ იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე და დეპარტამენტის დირექტორი გ. შორდანიას, რომლებმაც სიტყვით მიმართეს ნაფიც მსაჯულებს.

2. ნაფიც მსაჯულთა დეპუტატის მიმოხილვა

საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 17 იანვარს მიღებული იქნა დებულება „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ.“⁷ ამ კანონის მიხედვით, ნაფიც მსაჯულად უნდა შერჩეულიყო ორივე სქესის პირი, რომელიც ა) იყო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე. რესპუბლიკის მოქალაქეობას განსაზღვრავდა ცალკე დებულება „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა (ქვეშევრდომობისა).“ ამ დებულების მიხედვით საქართველოს მოქალაქედ ითვლებოდა პირი, რომელიც ჩანერილი იყო რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულში; ბ) ასევე, ნაფიცი მსაჯული უნდა ყოფილიყო 25 წელს მიღწეული პირი, რომელიც იყო საქართველოს მოქალაქე, ფლობდა სახელმწიფო ენას და არანაკლებ ერთი წელი ცხოვრობდა საქართველოში. ნაფიც მსაჯულად ყოფნა არ შეეძლო იმას, ვინც ადრე ა) ნასამართლევ იყო, ბ) სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დათხოვნილი იყო, გ) გადამხდელუუნაროს და

4 საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 23 აპრილის დროებითი კანონი <http://www.msajuli.ge/index.php?m=796> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07.02.2018)

5 იქვე

6 იხ: ნაფიც მსაჯულთა დებულების მე-13 მუხლი

7 ბეჟაშვილი თ., მეიშვილი ზ., „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია“ თბილისი., საქართველოს უზენაესი სასამართლო., 2012., გვ.17

ფიზიკური ნაკლის მქონე პირებს (ბრმა, ყრუ, მუნჯსა და შეშლილს).

ნაფიც მსაჯულთა სიაში არ შეიძლება შეყვანათ სამღველოების წარმომადგენელი, სასამართლოს თანამშრომელი, პროკურატურის მუშაკი, სახელმწიფო ბანკის ხაზინადარი და მოლარე, რკინიგზის და ფოსტა-ტელეგრაფის უფროსები, საკარანტინო დაწესებულებათა მოხელენი, გუბერნიის, მაზრისა და სოფლის კომისარი და მისი თანაშემწე, მილიციის მოხელეები, სამხედრო და საზღვაო უწყების ცალკეული თანამშრომლები.

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ“ მესამე მუხლი ასევე ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა ამოსარჩევად მუდმივი და დროებითი სიის შექმნას. ნაფიც-მსაჯულთა საერთო სია უნდა შედგენილიყო ქალაქებში – ქალაქის გამგეობებში და მაზრებში – მაზრის საერობო გამგეობისაგან. საერთო სია უნდა შედგენილიყო ყოველ წელს და უნდა დამთავრებულიყო არაუგვიანეს პირველ ივნისს. ხოლო მორიგ სიაში ყოველი წლისათვის შეტანილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ქალაქებში განსხვავებულად. მაგ: თბილისში – 1200 პირი, ქუთაისში – 1000 პირი, სოხუმში – 800 პირი, ხოლო ის ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სხდომები წელიწადში სამ სესიაზე მეტჯერ არ ტარდებოდა – 60 პირი.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის თავისებურებები ძირითადად ეფუძნება ანგლო-ამერიკულ მოდელს, რომლის მიხედვით, მსაჯულებად შემთხვევითი წესით შეირჩევა 12 მოქალაქე; პროცესს უძღვება ერთი პროფესიონალი მოსამართლე, თუმცა, პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით ვერდიქტის გამოტანის ექსკლუზიური უფლებამოსილება მხოლოდ ნაფიც მსაჯულებს აქვთ.⁸

„წმინდა ნაფიც მსაჯულთა მოდელისგან“ განსხვავებით, ე.წ. „შერეულ მოდელში“, მოსამართლე ნაფიც მსაჯულებთან ერთად მონაწილეობს ვერდიქტის გამოტანაში. 1919 წლის 17 იანვარს, მიღებული „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შემოღების“ შესახებ კანონით მეორე თავის მეთერთმეტე მუხლი პირდაპირ ამბობდა, რომ „დამნაშავედ ცნობილისათვის სასჯელის დადება ნაფიც-მსაჯულებმა უნდა გადაწყვიტონ თავმჯდომარესთან ერთად,“ ე.ი. პირველი რესპუბლიკის საქართველოში მოქმედებდა „წმინდა ნაფიც მსაჯულთა მოდელი“ და მოსამართლისაგან დამოუკიდებლად ნყვეტდნენ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა-არცნობის საკითხს.

3. ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული საქმეთა მიმოხილვა

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამჟამინდელი, თანამედროვე მოდელისაგან განსხვავებული სტილით საქართველოში – ნაფიც ვექილთა საბჭოს სტატუსით 1919-21 წლებშიც მოქმედებდა.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც სახელისუფლო გამოცემას ეკუთვნოდა, მკითხველს პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას ამ ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, ახალი სისტემის სასამართლოს ამოქმედების შემდეგ კი თავად ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობით განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი სხდომის თაობაზე გაზეთი იუწყებოდა: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს

8 შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ., ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, საქართველოს ადამიანთა უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 5

პირველი სხდომა 1919 წლის 8 მარტს გაიმართა. განსახილველი ჰქონდათ ორი საქმე ქურდობის შესახებ. 33 ნაფიც მსაჯულთა კანდიდატს შორის 14 ქალია, 25 ქართველი, 5 სომეხი და 3 რუსი. მსაჯულთა შორის თანახმად კანონისა სხდომაზე 12 მსაჯულს ირჩევენ, თორმეტიდან კი ერთს მამასახლისად“.⁹

ერთ-ერთი საქმე, რომელიც 1920 წლის 3 მარტს სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა საბჭოს მონაწილეობით განიხილა, იყო სახელმწიფო თეატრის დირიჟორ სამუელ სტოლერმანის საქმე. სამუელ სტოლერმანს ბრალად მიუღლის, ალექსანდრას მკვლელობა ედებოდა. „მარტის 3-ს საგანგებო სასამართლოში დაინყო განხილვა სტოლერმანის საქმისა, რომელსაც ბრალი ედება ცოლის მკვლელობაში. საქმის ვითარება შემდეგი იყო: იანვრის 15-ს 1920 წელს დილით, სახელმწიფო თეატრის დირიჟორმა სამოელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანმა თავის ბინაზე, სასამართლოს ქუჩაზე, ორი გასროლით მოჰკლა ცოლი ალექსანდრა ფედოტის ასული,“¹⁰ – 1920 წელს რუბრიკაში „სასამართლო“ „საქართველოს რესპუბლიკამ“ სტოლერმანისთვის ნაფიც მსაჯულთა საბჭოს მიერ ვერდიქტი გამოაქვეყნა. ნაფიც მსაჯულთა საბჭომ სტოლერმანის მიერ ჩადენილი დანაშაული განიხილა, როგორც განზრახი მკვლელობა, რის გამოც ის უვადო თავისუფლების აღკვეთით უნდა დასჯილიყო, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა საბჭომ ის გაამართლა. გაითვალისწინა სტოლერმანის მდიდარი მუსიკალური ბუნება, ღვანლი და დამსახურება იმდროინდელი საქართველოს წინაშე, მისი მძიმე ცხოვრება და ის ტირანია, რომელშიც მას უწევდა ყოველდღიურად მოღვაწეობა და რის გამოც, ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა და რამაც მიიყვანა დანაშაულის ჩადენამდე.

1920 წლის 3 ივნისს სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილა მკვლელობისა და ყაჩაღობის საქმე და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ბრალდებულს, თუმცა ამინისტციის კანონით სიკვდილის დასჯა პატიმრობით შეეცვალა.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი საქმე, რომელიც ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილეს, იყო შალვა მაღლაკელიძის და სხვების საქმე. მაღლაკელიძის და სხვათა საქმის განხილვა თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა და ამიტომ ეს პროცესი, იმ პერიოდის მართალმსაჯულების მუშაობაში, ყველაზე ხანგრძლივად ჩაითვალა. სახელმწიფო მოხელეებს ბრალდება რამდენიმე მუხლით ჰქონდათ წარდგენილი – ხაზინის ფულის გაფლანგვა, ყალბი დოკუმენტების გამოყენება და მოვალეობის გადამეტება. „ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ნაფიცი მსაჯულნი თავიანთის განაჩენით მაღალკელიძეს და აზნაუროვს ამართლებენ, ხოლო დანარჩენებს დამნაშავედ სცნობენ და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნას უსაჯავენ: ჩაჩიბაიას – ორი წელიწად ნახევრით, ხოლო იუშკევიჩს, ხოშტარიას და შენგელიას – წელიწად ნახევრით. სამოქალაქო საჩივარს სასამართლო აკმაყოფილებს. ბრალდებულნი ჩაჩიბაია, იუშკევიჩი და შენგელია წინასწარ გამოძიების დროს ექვს-ექვსი თვე ისხდნენ ციხეში, მაგრამ სასამართლოს განაჩენით ეს დრო მათ სასჯელში არ ჩაეთვლება“.¹¹

გაზეთ „სახალხო საქმეში“ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის თემას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. აქ დეტალურადაა გადმოცემული ნაფიც მსაჯულთა

9 უზენაესი სასამართლო <http://www.msajuli.ge/index.php?m=797> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07.02.2018)

10 იქვე

11 იქვე

სასამართლოს ირგვლივ არსებული პრობლემები. მაგალითად, ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც აღნიშნულ გაზეთშია დასახელებული, არის ნაფიც მსაჯულთა სიების არასრულად, არასწორად შედგენა. „თვით ტფილისშიც კი ვერ შეუდგენიათ სათანადო სისრულით და სისწორით სიები და ხშირია შემთხვევები, როდესაც ნაფიცი მსაჯული გამოირიცხება სასამართლოში სიიდან, ვინაიდან წერა-კითხვა არ იცის, ან არ იცის ქართული ენა.“ ასევე ყურადღება იყო გამახვილებული ისეთ ფაქტებზე, როგორცაა სხდომის გადადება იმ მიზეზით, რომ ნაფიცი მსაჯულები არ ცხადდებოდნენ პროცესებზე და ეს იწვევდა ზედმეტ ხარჯს. „არის ისეთი შემთხვევა, რომ სესია დანიშნულს დროს ვერ გაიხსნა, ვერ გაიხსნა იგი ვერც მეორედ, ყოველ შემთხვევაში ტფილისში უნდა იყოს მიღებული ყოველი ზომა, რომ ასე არ გალიდებოდეს სხდომები, თორემ გარდა მართლმსაჯულების სისწრაფის ინტერესებისა აქ ილახება ჩვენი ღარიბი ხაზინის ინტერესებიც: მოდიან მოწმეები, რომელთაც ეძლევა გზის ხარჯები, აგრეთვე ეძლევა გასამრჯელო იმ მსაჯულთ, რომელნიც მოდიან სხდომებზე და თუ საქმეები ასე ხშირად გადაიდო და სესიაც კი ვერ დაინიშნა, დიდი ხარჯები მოუვა ხაზინას.“

გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ნათქვამი იყო, რომ ასევე კარგი იქნებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამოქალაქო საქმეებიც განეხილა. „ოლქის სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც შემოღებულია, დღეს მხოლოდ სისხლის სამართლის განყოფილებებში მოქმედებს. უნდა იქნეს შემოღებული სამოქალაქო განყოფილებებშიც, რომ ყველა ძიებით საქმეები ირჩეოდეს მათი მონაწილეობით“.¹²

საბოლოოდ, 1921 წლის 21 თებერვლს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლით განისაზღვრა, რომ მძიმე სისხლის სამართლისა და აგრეთვე პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულებისათვის იარსებებდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რითაც ამ ინსტიტუციის კონსტიტუციური გარანტია შეიქმნა და ხაზი გაესვა იმასაც, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სულ უფრო და უფრო ხშირად მიიჩნევა ძვირ სიამოვნებად.¹³

მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ქართული საზოგადოების წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ქვეყანა წინ მიიწევდა და ამ ინსტიტუტის წყალობით მოქალაქეთა სამართალშეგნება უფრო და უფრო ვითარდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბეჟაშვილი თ., მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2012

იორჰენდი ლ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლურ სისტემის მიმოხილვა), 2012

12 იქვე

13 იორჰენდი ლ., (რედ: ნიქარიშვილი კ.), „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლურ სისტემის მიმოხილვა)“, 2012, გვ.17

შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ., ნაფიც მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში-
ბილისი, საქართველოს ადამიანთა უფლებათა ქსელი, 2016
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთი „სახალხო საქმე“
დოლიძე, ა., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და მისი შესაბამისო-
ბა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ადამიანის უფლებები და
სამართლის უზენაესობა, 2013
საქართველოს ეროვნული არქივის მასალები „საქართველოს პირველი რესპუბ-
ლიკა“ გვ.4 <http://www.archives.gov.ge/uploads/other/2/2784.pdf> (უკანასკნელად
იქნა გადამოწმებული 01.02.2018)
<http://www.msajuli.ge/index.php?m=796> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული
02.02.2018)
საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის
23 აპრილის დროებითი კანონი <http://www.msajuli.ge/index.php?m=796> (უკანასკ-
ნელად იქნა გადამოწმებული 07.02.2018)
უზენაესი სასამართლო <http://www.msajuli.ge/index.php?m=797> (უკანასკნელად
იქნა გადამოწმებული 07.02.2018)

George Latsabidze
PhD student in Law
Caucasus University

JURY TRIAL IN THE FIRST REPUBLIC OF GEORGIA (1918-1921)

Summary

The Jury Trial, the function of which is involving ordinary citizens in adjudication process, is a common phenomenon around the world.

The institution of Jury Trial is familiar for Georgia as it has been a part of Georgian common law. In Khevsureti the so called „Rjuli“ comprising 4-12 most outstanding men of the region (all of whom were elderly men except certain cases when young males, for their particular merit, could also become members) was a part of judicial procedures. It's noteworthy that members of such a court were called the juries and heard and adjudicated on each and every case (be it a theft, divorce, reconciliation, etc.) according to old customs and traditions.¹⁴

Pursuant to the amendment made on February 6, 2004 a new form of judicial procedures was introduced ensuring public involvement in the adjudication process. In October 2009, the Parliament adopted a new Criminal Procedure Code introducing the issue of setting up a jury trial; the institute came into force on October 1, 2010.

¹⁴ Bejashvili T., Meishvili Z., The jury trial – a brief history of the origin and development, Tbilisi., The Supreme Court. 2012, p .16

Paragraph 5 of article 82 of the Constitution of Georgia stipulates the following: „in Law courts Jury Trial is introduced in the instances prescribed by Law and follow prescribed legal procedures.“ Earlier than that, the first steps of introducing Jury Trial in Georgia were taken under the first Republic of Georgia. Namely, in 1919 the National Council and the government passed a law on „the Jury Trial“ determining: the list of the cases to be judged by jury trial, the procedures of hearing and duties and obligations of the jury.

Article 81 of the Constitution of Georgia adopted on February 21, 1921 introduced the Jury Trial to adjudicate on the felonious crimes as well as for political and print crimes. However, after the Soviet annexation of 1921, the Soviet regime exterminated all the institutions associated with independence and sovereignty of Georgia including the Jury Trial, as a symbol of impartial and just justice. The Jury Trial never operated in practice.

The aim of the present article is to review and analyze the legal foundations and regulations according to which the Jury Trial was first introduced and put into operation in Georgia in 1917-1921. It also deals with the first composition of the Juries and the cases heard and verdicts reached.

The article uses formal-logical and analytical research methods, which allows revealing its positive and negative sides, problem analysis and reaching a rational conclusion.

As a conclusion the work summarizes the legal acts dealing with and regulating the Jury Trial.

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
და მისი ისტორიული და სამართლებრივი ზეგავლენა
დღევანდელი სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი
სახელმწიფო რესპუბლიკის განვითარებასა
და ჩამოყალიბებაზე**

„სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი.“

კონსტანტინე გამსახურდია

საქართველომ რუსეთთან შეერთების შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში დაკარგა დამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობა. რუსეთის იმპერია საქართველოს საუკუნეზე მეტ ხანს მართავდა, როგორც იმპერიის შემადგენელ ნაწილს. იგი ყოველმხრივ აფერხებდა ქართული ინიციატივების განვითარების თითქმის ყველა სფეროში. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან საქართველოში დამოუკიდებელი ინიციატივების განვითარება ქვეყანას პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების მყარ საფუძველს შეუქმნიდა, რაც რუსეთის ინტრესებს ეწინააღმდეგებოდა.

მე-19 საუკუნის ბოლოდან მნიშვნელოვანი მოვლენები ვითარდება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში: ბატონყმობის გაუქმება, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება, პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება – გააქტიურება და ა. შ. საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება და მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ეს მოვლენა მაშინ ახალი ეპოქის დასაწყისად მიიჩნიეს. ახალი ეპოქის, რომელსაც საქართველოსთვის განვითარება და მშვიდობა უნდა მოეტანა. თუმცა, სამწუხაროდ, მოვლენების განვითარებამ საპირისპირო გვიჩვენა.

თანამედროვე სახელმწიფოს მმართველობის ფორმის შესწავლა და გაანალიზება წარსულის გამოცდილებისა და ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია. სამართლებრივი და ისტორიული გამოცდილების სისტემური ანალიზით შეიძლება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემათა განსაზღვრა და, შესაბამისად, მისი პრევენცია. წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი შეხსენება იქნება იმისა, რომ ჩვენ არა მხოლოდ სამართალმემკვიდრეები ვართ პირველი რესპუბლიკისა, არამედ დღევანდელი ქართული საზოგადოება და სახელმწიფო სწორედ იმ იდეალების დამკვიდრებისაკენ უნდა ისწრაფოდეს.

პირველმა რესპუბლიკამ მცირე ხანს, სულ რაღაც 1028 დღე იარსება, თუმცა გასაანალიზებლად ბევრი ისეთი საკითხი დაგვიტოვა, რასაც თანამედროვეობა-

შიც არ დაუკარგავს აქტუალობა. ეს იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც რუსეთის იმპერიის ყოფილ პერიფერიაზე, ბევრ განვითარებულ ქვეყანაზე ადრე, ჩაატარა საყოველთაო არჩევნები ორივე სქესის მოქალაქეთა მონაწილეობით; მიიღო კონსტიტუცია; დააფუძნა სახელმწიფო ინსტიტუტები; შეიმუშავა კანონმდებლობა.

მცირე ხნით მიღწეულმა დამოუკიდებლობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიის ფურცლებზე. საქართველო იყო პირველი ქვეყანა ამიერკავკასიაში, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ ეთნიკურ და რელიგიურ საკითხებში ტოლერანტობამ და პლურალიზმმა ასახვა ჰპოვა დამოუკიდებლობის აქტსა და კონსტიტუციაში; სამოქალაქო ომში ჩართულ რუსეთის ყოფილ იმპერიაში, დიდი გაჭირვების მიუხედავად, საქართველო სიმშვიდის, სტაბილურობისა და დემოკრატიის კუნძულად რჩებოდა; 1919 წელს საყოველთაო კენჭისყრით აირჩიეს დამფუძნებელი კრება, რომელიც ქართველი ხალხის დემოკრატიულ ნებას გამოხატავდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქალებმა საარჩევნო ხმის უფლება საქართველოში მიიღეს უფრო ადრე, ვიდრე აშშ-ში; დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული და დაფუძნებული ადგილობრივი თვითმმართველობა; საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მოწინავე დემოკრატიული კონსტიტუცია იყო მსოფლიოში და რომლის შემუშავება მოხდა ნამყვან ევროპელ ექსპერტთა დახმარებით.

ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ყოველთვის იბრძოდა, თუმცა ყველა მცდელობა წარუმატებელი იყო. საზოგადოებრივი მოძრაობები, აჯანყებული ჯგუფები, მოაზროვნეები, საზოგადო მოღვაწეები და ა.შ. წლების განმავლობაში ცდილობდნენ რუსეთის წინააღმდეგ გაბრძოლებას. დამოუკიდებლობის მოპოვება არ იყო მარტივი, ამისათვის საჭირო იყო მთელი რიგი ეტაპების გავლა. დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოუდგენელია ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურისა და საერთო მზაობის გარეშე.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება დიდ ნიადაგს ამზადებდა იმ მოვლენისთვის, რომელიც 1918 წლის 26 მაისს მოხდა. დამოუკიდებლობამდე, საქართველო ჯერ ქართველების ცნობიერებაში გაერთიანდა, გაიზარდა და იქცა დემოკრატიულ სახელმწიფოდ. სწორედ წარსულის დამსახურებაა, რომ ქართველი ხალხი მზად იყო დამოუკიდებლობისთვის, რომელიც საქართველოს ასე მოულოდნელად დაატყდა თავს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 100 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს ოფიციალურად შეიქმნა. 2018 წლის 26 მაისს ამ რესპუბლიკის შექმნა აღნიშნა. მიუხედავად იმისა, რომ შექმნიდან სამი წლის შემდეგ, პირველი რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და მისი სრული ანექსია მოახდინა, ამ სამი წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკამ არაერთ წარმატებას მიაღწია.

დამოუკიდებლობის გამოცხადება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, მაგრამ არ იქნებოდა საკმარისი, თუ შემდგომ სწორი ნაბიჯები არ გადაიდგმებოდა. აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცება. ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობას, მძიმე მემკვიდრეობის პირობებში, დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას უნდა დაემტკიცებინა, რომ ქვეყანას შეეძლო, როგორც ღირსეულ სახელმწიფოს, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში არსებობა. საქართველოს

ისტორიის ეს მოკლე მონაკვეთი გამორჩეულია იმით, რომ აღდგა 117 წლის წინათ გაუქმებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა; ამასთანავე, მეთხუთმეტე საუკუნის შემდეგ, პირველად წარმოიშვა ერთიანი ქართული სახელმწიფო. არა სამეფო „რანთა და კახთა.....“, არამედ **ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**. ასევე, ამ რესპუბლიკამ შემოიტანა და წარმატებით დანერგა ისეთი კატეგორიები, როგორც იყო საყოველთაო არჩევნები, ქალთა თანასწორუფლებიანობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, რელიგიური პლურალიზმი და სხვა მრავალი.

აღსანიშნავია 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მმართველობის ფორმის განხილვა. 1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს „საქართველოს დამოუკიდებლობის“ აქტი, რომლის შემდეგ ქართველი ხალხი სუვერენული უფლებათა მატარებელი და საქართველო სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.¹ ეს გახლდათ პირველი სამართლებრივი აქტი, რომელმაც განსაზღვრა დროებითი მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეროვნული საბჭოს, პარლამენტის წინაშე.² ის წარმოადგენდა სხვადასხვა პარტიების კოალიციას, საიდანაც თანამდებობების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ. თავად ეროვნული საბჭო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მთავრობა დაამტკიცა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციის შემსრულებელი გახდა. ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი იყო ყველა მოქმედი პოლიტიკური პარტია, გარდა ბოლშევიკებისა. მათ შორის, ეროვნულ საბჭოში წარმომადგენლობა ჰყავდათ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებსაც. მოგვიანებით, 1918 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა. ამასთანავე, დამოუკიდებელი აქტის საფუძველზე მთავრობის წევრები ანგარიშვალდებულნი და პოლიტიკურად პასუხისმგებელნი იყვნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წინაშე.³ დამოუკიდებლობის აქტით სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად აღიარებულ იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველობის ფორმა დასავლეთის ქვეყნებში მოქმედი კონსტიტუციების მმართველობის საკვანძო პრინციპების შერწყმის – სინთეზის შედეგი იყო. დაიწყო ეროვნულსახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესი.⁴ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იდეოლოგიური საფუძველი იყო ევროპული ტიპის დემოკრატიული სოციალიზმი, რაც პრინციპულად უპირისპირდებოდა სოციალიზმის რუსულ მოდელს, ბოლშევიკურ მაქსიმალიზმს. დაიწყო თითქმის ყველა სფეროს რეფორმირება და ახალი სახელმწიფოებრივი სისტემის დანერგვა. აღნიშნული პერიოდისთვის საქართველო

1 ალექსანდრე ბენდიანაშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბილისი, 2015

2 ბექა ქანთარია, სახელმწიფო მმართველობის ფორმის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში (მმართველობის დასავლურ სისტემებთან შედარებითი კვლევა), საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011

3 საქართველოს პირველი რესპუბლიკა – საქართველოს ეროვნული არქივი <http://www.archives.gov.ge/uploads/other/2/2784.pdf> (10.04.2018)

4 ბექა ქანთარია, სახელმწიფო მმართველობის ფორმის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში (მმართველობის დასავლურ სისტემებთან შედარებითი კვლევა), საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011

მაღალი დემოკრატიული ღირებულებების მაჩვენებელ სუბიექტს წარმოადგენდა და რეგიონში განსაკუთრებული ადგილის მატარებელი იყო.⁵

1918-1921 წლების საქართველოს რესპუბლიკაში, იყო პარტიული სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა. ამასთანავე, აღნიშნული წლები პარლამენტარიზმის ისტორიის საწყისად მიიჩნევა. საქართველოში XII საუკუნეში სამეფო არისტოკრატებსა და მოქალაქეებს შორის შემუშავდა იდეა, რომელიც ითვალისწინებდა სამეფო ძალაუფლების შეზღუდვასა და პარლამენტის ტიპის ხელისუფლების განშტოების შექმნას. აღნიშნული იდეა, ოპოზიციურ ლიდერს, ყულთუ-არსლანს ეკუთვნოდა და მისი აზრით, პირველი ქართული პარლამენტი ორპალატიანი უნდა ყოფილიყო, რომელსაც „დარბაზი“ და „კარავი“ უნდა წოდებოდა. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული იდეა მხოლოდ და მხოლოდ იდეად დარჩა და მან, პრაქტიკული რეალიზება ვერ ვპოვა.⁶

პარლამენტარიზმის ისტორია რეალურად საქართველოში 1918-1921 წლებში, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტით იწყება, როდესაც 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ დამფუძნებელთა კრების არჩევნების დებულება დაამტკიცა, რომელიც დამფუძნებელთა კრების პარტიული სიების მიხედვით არჩევას ითვალისწინებდა. სწორედ აღნიშნული დებულების საფუძველზე, 1919 წელს არჩეულ იქნა დამფუძნებელთა კრება, რომლის შემადგენლობა წარმოადგენდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს.⁷

საქართველო ამ პერიოდში საპარლამენტო რესპუბლიკა იყო. რასაკვირველია, მმართველობის ეს ფორმა მოკლებული იყო წმინდა პარლამენტარიზმისათვის დამახასიათებელ პრინციპებს, რაც გულისხმობდა ნეიტრალური პოლიტიკური ფიგურის – პრეზიდენტისა და მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის უარყოფას, პარლამენტის დათხოვნას. თუმცა, მთავრობის წევრის ინდივიდუალური პოლიტიკური პასუხისმგებლობის არსებობის გამო, იგი გარკვეულწილად უახლოვდებოდა საპარლამენტო მართვის კონსტრუქციას.⁸ სანამ 1919 წლის საქართველოს პარტიულ სისტემაზე ვიმსჯელებთ, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ პარტიული სისტემის განვითარებისთვის აუცილებელი იყო ისტორიული გამოცდილება, რომელიც ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოს საერთოდ არ გააჩნდა. ქვეყნის პარტიული სისტემა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი დემოკრატიულობის განვითარების შეფასებისას, ასევე მნიშვნელოვანია სისტემის ტიპი. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდა დემოკრატიული პოლიტიკური წყობაც, რომლის შედეგი იყო პოლიტიკური პარტიების სისტემის ფორმირების მცდელობა. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებისთანავე, ჩამოყ-

5 ბექა ქანთარია, სახელმწიფო მმართველობის ფორმის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში (მმართველობის დასავლურ სისტემებთან შედარებითი კვლევა), საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011

6 <http://www.parliament.ge/ge/parlamentis-shesaxeb/parlamentisa-da-parlamentarizmis-shesaxeb-saqartveloshi-21> (10.04.2018)

7 იქვე

8 ბექა ქანთარია, სახელმწიფო მმართველობის ფორმის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში (მმართველობის დასავლურ სისტემებთან შედარებითი კვლევა), საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011

ალიბდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი კოალიციური მთავრობა. მართალია, აღნიშნულ მთავრობაში ადგილების უმრავლესობა მმართველ ძალას – სოციალ-დემოკრატიას ეკავა, მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენელი მინისტრები საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდნენ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში.⁹ მართალია, უკვე არსებობდა გარკვეული სოციალური და პოლიტიკური ფორმა, მაგრამ საჭირო იყო მისი კონსტიტუციურ და პოლიტიკურ ფორმაში მოქცევა. ამისათვის კი, საჭირო იყო დამფუძნებელთა კრების მოწვევა. საქართველოს ახალ მთავრობას კონსტიტუციის შესამუშავებლად აუცილებლად სჭირდებოდა ლეგიტიმაცია და ხალხისგან მინიჭებული უფლება. გარდა ამისა, არჩევნების ჩატარება იყო უდიდესი გამოწვევა ახლადშექმნილი დემოკრატიისთვის.¹⁰ ეროვნული საბჭო მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო დამფუძნებელი კრების შექმნა, რაც არჩევნების გზით უნდა მომხდარიყო. 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების დებულება „დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას. არჩევნების ჩატარება ევალებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მისდამი დაქვემდებარებულ საქალაქო, სამაზრო და სასოფლო საზოგადოებათა კომისიებს, რომლებშიც უნდა შესულიყვნენ იმ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები, რომელნიც წარადგენდნენ დეპუტატობის კანდიდატთა სიებს.

ალბათ, ლოგიკურად ისმევა კითხვა, არსებობდა თუ არა იმდროინდელ საქართველოში პარტიული სისტემა და რა როლი შასრულა მან ქართული პარლამენტარიზმის განვითარებაში. რობერტ ჰუმპორნის განმარტებით, „პოლიტიკური პარტია არის იმ მოქალაქეთა ავტონომიური ჯგუფი, რომელსაც საჯარო უწყებებისა და სამთავრობო ორგანიზაციების ხელში ჩაგდების მიზნით, საკუთარი კანდიდატების დასახელება და არჩევნებში ბრძოლა სურს“.¹¹ აღნიშნული კი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პარტიული სისტემა ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპზე იყო. ამასთანავე, პოლიტიკურ პარტიებს გააჩნდათ ყველა ის ნიშან-თვისება, რაც პარტიისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, როგორცაა სტრუქტურა, პარტიული პროგრამა, მიზანი, გეგმაზომიერი იდეოლოგიური ხედვა და გამმიჯნავი ხაზები – პოლიტიკური პარტიების მიერ შემუშავებული ხედვები, პრინციპები და იდეები, რომლებსაც პარტიები ეყრდნობოდნენ მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში.¹² ამასთანავე, იმდროინდელ პოლიტიკურ პარტიებს ახასიათებდათ კოლექტიური იდენტობა და ორგანიზაციული გამონატყლობა. მაგალითად, კლასობრივი თუ სხვა საზოგადოებრივი დაყოფის ასახვა პარტიის ძირითად დოკუმენტებში.¹³ გამმიჯნავ ხაზს ნაკლები

9 ალექსანდრე ბენდიანაშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, (1918-1921), თბილისი, 2015

10 იქვე.

11 Richard s.katz and Wiliam Krotty, Handbook of Party Politics, SAGE Publications, London, 2006

12 Herbert Kitschelt, Party Politics, Formation of Party Cleavages in Post-Communist Democracies: Theoretical Propositions. Published by SAGE, Oct 1, 1995, Downloaded from ppq.sagepub.com at Oxford University Libraries on January 19, 2013

13 იქვე.

სტრატეგიული საკითხებიც ქმნიდა. მსგავსი თემები პარტიებს ორ დაპირისპირებულ ბანაკად ჰყოფდა და ამისდა მიხედვით ნაწილდებოდა ელექტორატიც.

პოლიტიკური პარტიების ნამდვილი ბუმი 1919 წლის პირველ კვარტალში შეინიშნებოდა. რამოდენიმე პარტია მხოლოდ იმიტომ შეიქმნა, რომ მონაწილეობა მიეღო არჩევნებში და თავისი წარმომადგენლები გაეყვანა საქართველოს დამფუძნებელთა კრებაში. ისინი წინასაარჩევნო ბრძოლაში ჩაებნენ ძველ, სტაჟიან პარტიებთან. ზოგიერთ მოღვაწესა და პოლიტიკოსს პარტიების სიმრავლე დადებით მოვლენად, საზოგადოების პოლიტიკური მონიჭეულობის ნიშნად და მრავალპარტიული დემოკრატიად მიაჩნდა. ფაქტია, რომ აღნიშნული ხელისუფლების პარლამენტური ბრძოლა იყო.¹⁴

უმრავლესობა ასეთ შეხედულებას არ ეთანხმებოდა, ვინაიდან, მათი აზრით, „პარტიათა სიმრავლე ნიშნავს საზოგადო მოღვაწეთა ხელოვნურად გამრავლებას. ჩვენი ქვეყნისათვის საკმარისია რამდენიმე პარტია, სერიოზული, ძირგამდგარი, პარტია დიდი საკითხებისათვის მზრუნავი და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია კარლიკური ჯგუფების მოსპობა, ან მათი ასიმილაცია რომელიმე პარტიის მიერ“.¹⁵

პასუხი კითხვაზე, იყო თუ არა პარტიული სისტემა ჩამოყალიბებული იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ასპარაზზე? აუცილებელია მოკლედ განვიხილოთ ის ტიპოლოგიები, რომელიც ჟან ბლონდელმა ჩამოაყალიბა. ბლონდელი გვთავაზობს ისეთ პარტიულ სისტემას, როგორცაა ორპარტიული, ორნახევარპარტიული და მრავალპარტიული სისტემები – დომინანტი პარტიით.¹⁶

თითოეულ პარტიას გააჩნდა წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც მიმართული იყო ამომრჩეველთა ამა თუ იმ სეგმენტისკენ და რომლის გატარებასაც გეგმავდა დამფუძნებელ კრებაში არჩევის შემთხვევაში.¹⁷

1919 წელს ჩატარდა საერთო-სახალხო, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების არჩევნები. სწორედ ამ დღიდან იწყება საქართველოს საარჩევნო ისტორია. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში მანამდეც იყო პარლამენტარიზმის ჩანასახი. კერძოდ, 1917 წელს მოწვეული ინერპარტიული საბჭო, რომელიც შემდგომში, 1918 წელს, პარლამენტად გადაკეთდა. მართლია, ის არ ყოფილა პირდაპირი წესით არჩეული პარლამენტი, თუმცა მან დიდი წვლილი შეიტანა დამფუძნებელი კრების ჩამოყალიბებაში, რომელმაც შეიმუშავა საარჩევნო კანონმდებლობა.¹⁸ შეგვიძლია თამამად აღვნიშნოთ, რომ იმ დროს ცენტრალური საარჩევნო კომისია პირველ არჩევნებს სრულიად მომზადებული შეხვდა. 1918 წელს დაარსდა პირველი საპარლამენტო საარჩევნო კომისია, რომელმაც სამართლებრივი მნიშვნელობის აქტები შეიმუშავა. ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კომისია დაკომპლექტებული იყო მოქმედი პოლიტი-

14 ალექსანდრე ბენდიანაშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბილისი, 2015

15 იქვე.

16 Herbert Kitschelt – Party Politics, Formation of Party Cleavages in Post-Communist Democracies: Theoretical Propositions, Published by SAGE, Oct 1, 1995, Downloaded from ppq.sagepub.com at Oxford University Libraries on January 19, 2013

17 იქვე.

18 ბექა ქანთარია, სახელმწიფო მმართველობის ფორმის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში (მმართველობის დასავლურ სისტემებთან შედარებითი კვლევა), საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011

კური პარტიების წარმომადგენლებისგან, რომელსაც არჩევნები უნდა ჩაეტარებინა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.¹⁹ აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ არჩევნებში მონაწილეობა ორივე სქესის ამომრჩევლებმა მიიღეს; კანდიდატებად დარეგისტრირებული ოცამდე ქალიდან კი დამფუძნებელ კრებაში ხუთმა ქალმა დაიკავა ადგილი; თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს წინასაარჩევნო პერიოდი, რომელიც მიუთითებდა იმდროინდელ საქართველოში დემოკრატიული სისტემის არსებობაზე. არჩევნებში მონაწილე 15 პოლიტიკური სუბიექტიდან დამფუძნებელ კრებაში მხოლოდ 4 მოხვდა. საბოლოო ჯამში, დამფუძნებელი კრება წარმოდგენილი იყო ექვსი ფრაქციით. პარადოქსია, მაგრამ იმ პერიოდში ოპიზიციური პარტიის წარმომადგენლები მიუთითებდნენ ისეთ საგანგაშო ტენდენციაზე, როგორცაა მმართველი პარტიის მიერ წინასაარჩევნო პროცესისას სახელმწიფო რესურსების გამოყენებაზე. აღ. ასათიანი (ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია): „წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა... მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ საარჩევნო მუშაობის დროს კანონი სავალდებულოდ იქნება მიჩნეული და ერთნაირი უფლებით იქნებიან აღჭურვილი ყველა პარტიები. თუ კანონს არავითარი ანგარიში არ გაენია, „პარტიულ ძალთა განწობილების სისტემით“, მმართველი პარტია ყოველთვის მოახერხებს ისეთი შედეგების მიღებას, როგორც ესურვება“.²⁰ აღსანიშნავია, წინასაარჩევნო პერიოდში ბეჭდური მედიის როლი, რომელიც საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეებს მოუწოდებდა საარჩევნო სიებში გადაემონებინათ საკუთარი თავი და აუცილებლად წასულიყვნენ არჩევნებზე და დაეფიქსირებინათ საკუთარი არჩევანი. ვინაიდან, „სწორედ არჩევნების გზით მოხდებოდა იმის შეფასება და გადასინჯვა, თუ რა გაუკეთებიათ თითქმის ერთი წლის განმავლობაში სათავეში მოსულ ხელმძღვანელობას“.²¹

როდესაც საუბარია 1919-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის ფორმასა და სამართლებრივ რეჟიმზე, არ შეიძლება განხილული და გაანალიზებული არ იქნეს საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო და მან მხოლოდ 4 დღე იარსება.²² თუმცა, ისტორიული მნიშვნელობით, აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ის უპირისპირდებოდა თვითნებობას და განსაზღვრავდა სამართლებრივ სახელმწიფოს, სადაც დასაშვები და მიღებული იყო ის, რაც კონსტიტუციით დადგენილ წესებს შეესაბამებოდა. ამასთანავე, მან იმდროინდელი ხელისუფლების შემზღვეველი როლი შეასრულა.²³

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კონსტიტუციის მიღება რთულ პირობებში მოუწია. სახელმწიფოს მთავარ დოკუმენტზე მუშაობა დამფუძნებელი კრების არჩევნისთანავე დაიწყო. დამფუძნებელმა კრებამ მესამე სხდომაზე, რომელიც 1919 წლის 18 მარტს ჩატარდა, აირჩია საკონსტიტუციო კომისია 15 წევრის

19 ალექსანდრე ბენდიანაშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921). თბილისი, 2015

20 იქვე.

21 იქვე.

22 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია <http://constcourt.ge/ge/publications/books/1921-wlis-saqartvelos-demokratiuli-respublikis-konstitucia.page> (10.04.2018)

23 მარინა კობახიძე, პარლამენტი, აღმსარებელი ხელისუფლება და საქართველოს კონსტიტუცია, ჟურნალი „პარლამენტი“, თბილისი, 2017, დეკემბერი

შემადგენლობით. საქართველოს რუსეთის წითელი არმია ესხმოდა თავს, რის გამოც დაჩქარდა კონსტიტუციის მიღების პროცესი. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუცია ერთხმად მიიღო.²⁴ საქართველოს კონსტიტუციის მმართველობის გზა დასავლური ტიპის მმართველობის კონსტიტუციურ მოდელებზე გადის. უნდა აღინიშნოს, რომ საინტერესოდ გადანყვეტილი მმართველობის ფორმის გამო, პირველი კონსტიტუცია იყო ერთ-ერთი პროგრესული ევროპის კონტინენტზე. გარდა ამისა, იგი იმ დროს აღიარებდა ისეთ ღირებულებებს, როგორცაა: თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომელთაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა.²⁵ საქართველოს კონსტიტუციის პროექტს გასცნობია თვალსაჩინო ბრიტანელი პოლიტიკური მოღვაწე რამსეი მაკდონალდი, რომელიც მიუთითებდა, რომ ქართველმა ხალხმა აღნიშნული კონსტიტუციის პროექტის შემუშავებით მთელ კაცობრიობას დაუმტკიცა, რომ ის მაღალი სამართლებრივი კულტურისა და პოლიტიკური შეგნების მქონე ერია.²⁶

საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდ აისახა პირველი მთავრობის მიზნები, შეექმნათ დემოკრატიული, განვითარებული, თანასწორ უფლებებზე ორიენტირებული ევროპული კონსტიტუცია, რომელიც მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებაში.²⁷ მართალია, მას რეალურად არც ერთი დღე არ უმოქმედია, თუმცა იგი მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. მისი აღდენა ორჯერ სცადეს 1990-იან წლებში. პირველად 1992 წლის 21 თებერვალს, როდესაც იგი საქართველოს სამხედრო საბჭომ აღადგინა, თუმცა მან მხოლოდ სამი დღე იმოქმედა. მეორე მცდელობა იყო 1993 წელს, როდესაც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას დაევალა 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება, მაგრამ არც ამჯერად მოხერხდა მისი აღდგენა. მის ნაცვლად მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც დაეყრდნო 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს.²⁸

სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით დასრულდა და დემოკრატია დროებით დამარცხდა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების წევრთა უმრავლესობა 1921 წელს ემიგრაციაში, საფრანგეთში, წავიდა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალი რესპუბლიკა წარმოადგენდა ევროპული ლიბერალიზმის, პარლამენტარიზმის, ნაციონალიზმისა და სოციალიზმის საქართველოსთვის დამახასიათებელ თეორიულ ნაზავს. საქართველოს სოციალ-დემოკრატები იყვნენ პირველები ევროპაში, რომლებმაც რეალურად ხორცი შეასხა სოციალ-დემოკრატიის ლიბერალურ და ყველ-

24 ფირუზ ქაზეშაძე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921, ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი, გამომცემლობა „პოეზია“, თბილისი, 2016

25 ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2002

26 ბექა ქანთარია, სახელმწიფო მმართველობის ფორმის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში (მმართველობის დასავლურ სისტემებთან შედარებითი კვლევა), საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011

27 იქვე.

28 იქვე.

ასათვის თანაბარ ვარიანტს, იმას, რაც ევროპაში 1960-1970-იან წლებში გაჩნდა. მათ ჩამოაყალიბეს მრავალპარტიული საპარლამენტო სისტემა, დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა, გამოსატვის თავისუფლება, ეკონომიკური და პოლიტიკური პლურალიზმი. ასევე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთმანეთისგან ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის ფაქტორი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მისი ორგანიზებული წყობის, შემადგენელი ნაწილების შეთანხმებულების, თანმიმდევრობისა და განლაგების თავლსაზრისით, სრულად პასუხობდა დემოკრატიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ კონსტიტუციის მოთხოვნებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოში პოლიტიკური ძალის ცვლილება იწვევდა კონსტიტუციის ცვლილებას და შესაბამისად, 1995 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად ხდება საქართველოს კონსტიტუციის ცვლილება. 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის პერიოდი დასრულდა რუსეთ-საქართველოს მორიგი ომით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემით და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით. ყველაფერი საქართველოს გასაბჭოებისკენ მიდიოდა. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ქართველებს ამის სურვილი არ ჰქონდათ. ქართველები მზად იყვნენ ნებისმიერი ნაბიჯის გადასადგმელად, ოღონდ დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ. საქართველოს მთავრობას გადადგომა და კაპიტულაციაზე ხელმოწერა არ გამოუცხადებია, ხოლო დამფუძნებელ კრებას თავისი უფლებამოსილება არ მოუხსნია. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ საქართველოს რევკომის მიერ ძალაუფლების აღება რუსეთის აგრესიის მიუხედავად, კანონიერ სახეს მიიღებდა და რევკომი საქართველოს მთავრობის სამართალმემკვიდრედ იქცეოდა. ამიტომ სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველო გახდა რუსეთის ინტერვენციის მსხვერპლი. რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება და ფაქტობრივი ანექსია. საქართველოს ახალი ხელისუფლება, უკანონო რევკომი, ფაქტობრივად, წარმოადგენდა კოლონიურ ადმინისტრაციას და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკურ სუბიექტს. ჩვენი ქვეყნის ისტორია ერთსა და იმავე ადგილზე ბრუნავდა და ყველაფერი ახლიდან იწყებოდა. საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და მისი მნიშვნელობა გავითავისეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, მეზობელი ქვეყნისათვის, კვლავ წარმოუდგენელი და ამავე დროს, ძნელად შესაგუბელია ჩვენი სახელმწიფოებრივი ღირებულებისა და ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის მნიშვნელობის მონაპოვარი. მონაპოვარი, რომელსაც დამოუკიდებლობა ეწოდება და რომელიც 21-ე საუკუნეში ძნელად აღსაქმელი არ უნდა იყოს ცივილიზებული თითოეული საელმწიფოსათვის. მაგრამ, სამწუხაროდ დღეს, ამ წუთას, მაშინ, როდესაც თქვენ კითხულობთ ამ სტატიას 1919-1921 წლის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიულ-სამართლებრივ წარსულზე, ჩემი ქვეყნის – საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია ერთმორწმუნე მეზობელი სახელმწიფოს მიერ...

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუცია
ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, თბ.,
„მერანი“, 2002
- ფირუზ ქაზემზაძე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921, ქართული წიგნის
ეროვნული ცენტრი, თბილისი, გამომცემლობა „პოეზია“, 2016
- ალექსანდრე ბენდიანაშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921),
თბილისი, 2015
- სტივენ ჯონსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918-1921, ჟურნალი
„ჩემი სამყარო“, თბილისი, 2014 წელი
- საქართველოს პირველი რესპუბლიკა – საქართველოს ეროვნული არქივი
ბექა ქანთარია, სახელმწიფო მმართველობის ფორმის საკითხი საქართველოს პირ-
ველ კონსტიტუციაში (მმართველობის დასავლურ სისტემებთან შედარებითი კვ-
ლევა). საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011
- მარინა კობახიძე, პარლამენტი, აღმსარულებელი ხელისუფლება და საქართველოს
კონსტიტუცია, ჟურნალი „პარლამენტი“, დეკემბერი, თბილისი, 2017
- Richard s.katz and Wiliam Krotty – „Handbook of Party Politics“. SAGE Publications.
London, 2006 year
- Herbert Kitschelt – Party Politics, Formation of Party Cleavages in Post-Communist De-
mocracies: Theoretical Propositions. Published by SAGE, Oct 1, 1995, Downloaded
from ppq.sagepub.com at Oxford University Libraries on January 19, 2013
- 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია <http://constcourt.ge/ge/publications/books/1921-wlis-saqartvelos-demokratiuli-respublik-is-konstitucia.page>
- <http://www.archives.gov.ge/uploads/other/2/2784.pdf>
- <http://www.parliament.ge/ge/parlamentis-shesaxeb/parlamentisa-da-parlamenta-rizmis-shesaxeb-saqartveloshi-21>

**THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA AND ITS HISTORICAL AND
LEGAL INFLUENCE ON THE DEVELOPMENT AND FORMATION OF THE
PRESENT-DAY GEORGIAN STATE AS AN INDEPENDENT REPUBLIC**

Summary

The paper deals with the topic of independence of the First Republic of Georgia. The relevance of the topic resonates with the 100th anniversary of independence on May 26, 2018. A thorough study of the history of the First Republic and its analysis in the legislative framework is a much needed task.

The First Republic existed for a short period of less than three years, but has left many issues to study and analyze that are relevant in modern times. This work represents an important step towards the studies of that period. A number of works and numerous articles have been published regarding this issue; however, majority of them are of historical character and are rarely analyzed from the legal perspective. Therefore, the analysis presented in this work examines the details of 1919-1921 First Republic of Georgia in the legal prism.

In the paper, the form of governance of the first republic is analyzed in details. An attempt is made to establish election and party system and analyze the first constitution, necessity of its adoption and its impact on today's reality from the legal perspective.

In order to achieve the purpose, the paper uses historical, legal and non-legal sources, archival materials unknown until recently and preserved in the National Archive of Georgia and the National Library of Georgia. In addition, the paper includes Georgian periodicals published during the existence of the First Republic containing a great deal of information on the subject in question.

თათია ნიკვაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ცირა ჯანანაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური თანაცხოვრება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეფემერულმა 1028-დღიანმა არსებობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში, რაც აისახა როგორც სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ისე ქვეყნის მომავალი განვითარების პერსპექტივებზე. ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისის აქტით, საქართველო გახდა სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფო, რითაც ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა ხალხის მიერ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების პირდაპირი გზით არჩევა წარმოადგენდა, რადგან მას უნდა ჰქონოდა ხალხის მხრიდან ლეგიტიმაცია, რათა მსოფლიოს საქართველო დე-იურე დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ უფრო მარტივად ეცნო. ცხადია, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი საყოველთაო საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში პირველი თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ქვეშ, სამხედრო კონფლიქტის მიმდინარეობის პარალელურად, მოქალაქეებს უნდა ჰქონოდათ ობიექტური შესაძლებლობა, გამოეყვინათ თავისუფალი ნება, რისთვისაც მთავრობას უშეცდომო ნაბიჯები უნდა გადაეღვა.

ამ მხრივ, ახალი ეპოქის ფუნდამენტად მოგვევლინა „დებულება საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“, რომლის ანალიზიც ცხადყოფს, თუ რა ფორმით აისახა დემოკრატიული პრინციპები საარჩევნო კანონში. ამასთან, პოლიტიკური ლანდშაფტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება, რომლის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზები არსებითად მეტყველებდა პოლიტიკურ ბრძოლის ველზე პოლარიზაციასა და „განცდის ინტენსიურობაზე“.

ამგვარად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის მრავალფეროვანი პროცესიდან ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ისტორიაში პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებისა და შემდგომი პოლიტიკური თანაცხოვრების წარმოჩენა-ანალიზს, რისთვისაც გამოყენებულია ინდუქციური, დედუქციური, ლოგიკური და კვლევის სხვა მეთოდები. ნაშრომი საშუალებას გვაძლევს, ნათლად განვსაზღვროთ, თუ რაში მდგომარეობდა დემოკრატიულობის კვინტესენცია ქვეყანაში, რომელიც „ნგრევის პროცესში იშვა.“¹

1 ნოზაძე, ვ., გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წლის 11 აგვისტო

ისტორიული ექსპურსი 1918 წლამდე

საქართველომ სამწლიანი დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის საკმაოდ მწვავე გზა გაიარა. მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ მოსახლეობაში დიდი მღელვარება გამოიწვია. ამას ცხადყოფს 1907 წელს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე ქართველი ანარქისტის, ვარლამ ჩერქეზიშვილის ინიციატივა „ქართველი ხალხის პეტიციის“ შედგენაზე, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით ადანაშაულებდა რუსეთს გიორგიევსკის ტრაქტატის დარღვევაში, ანექსიაში, 1905-1906 წლებში „პოგრომების“ მოწყობაში გურიის ტერიტორიაზე და ითხოვდა ტრაქტატის მუხლების საფუძველზე საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებას. მიუხედავად იმისა, რომ პეტიციას, რომელსაც სამი ათასამდე ხელმომწერი ჰყავდა, რეალური შედეგი არ მოჰყოლია, ჩერქეზიშვილის სიტყვებით, „ასი წლის შემდეგ პირველად იყო, რომ ქვეყნიერებამ საქართველოზე დაილაპარაკა“. ათი წლის შემდეგ კი საქართველო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საჭირო იყო როგორც საშინაო პირობების, ისე ხელსაყრელი საგარეო ვითარების არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აქტიურად მიმდინარეობდა რუსიფიკაციის პოლიტიკა, ქართველმა ხალხმა შეძლო საერთო-ეროვნული ცნობიერების მიღწევა და ამასთან, გაითავისა დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებები. 1917 წელს ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთს მოსწყდა და დაიწყო რუსეთისგან ფაქტობრივი ჩამოშორების პროცესი. შეიქმნა „ამიერკავკასიის სეიმი“, ამავდროულად, ამიერკავკასია თურქეთის მიერ ოკუპაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ პირობებში გამოყოფის საკითხი დაჩქარდა: ბათუმიდან საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი გამოგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი დამოუკიდებლობის გამოცხადებას ითხოვდა: „ურისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოდ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!“ ამრიგად, დამოუკიდებლობის აღდგენაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ, რომელიც, ფაქტობრივად, ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენდა. საბჭო საბოლოოდ შეთანხმდა, რომ მას, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, ქვეყნის დროებითი პარლამენტის როლი შეესრულებინა. თუკი 1908 წელს დაწერილ სტატიაში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ ნოე ჟორნადიას მიუღებლად მიაჩნია საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა, მოგვიანებით იგი პოზიციას შეიცვლის და საჭიროდ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასაც. სეიმის თვითლიკვიდაციის შემდეგ. 1918 წლის 26 მაისს გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა. ნოე ჟორდანიამ მოკლე შესავალი სიტყვის დამთავრების შემდეგ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ წაიკითხა, რომლის პირველი მუხლი გვაუწყებდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

ცენტრალური საარჩევნო კომისია და დაფუძნებული კრების აქტი

საქართველოში სრულიად ახალი ერა დაიწყო – უნდა შექმნილიყო დემოკრატიული სახელმწიფო, რისთვისაც აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნე-

ბა-განმტკიცება. სწორედ დემოკრატიული პრინციპების წარმატებით დანერგვის გამოვლინებაა ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთ-ერთ მონინავე საკითხს სამართლიანი არჩევნების გზით ხელისუფლების არჩევა წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საბჭო, 1918 წლის შემოდგომიდან კი – საქართველოს პარლამენტი, საზოგადოებაში ლეგიტიმურად აღიქმებოდა, საჭირო იყო ხალხის მიერ პირდაპირი გზით მისი არჩევა. 1917 წელს თბილისის საქალაქო სათათბირო არჩევნებისას გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ქალაქის არჩევნები ამ თავისუფლების დროს არის გენერალური რეპეტიცია დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის.“²

არჩევნების სამზადისში შეიქმნა საარჩევნო კომისია, რომელმაც შეიმუშავა „დებულება საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“. მნიშვნელოვანია აღნიშნული დებულების ანალიზი, რათა წარმოჩინდეს, თუ როგორ უზრუნველყოფდა სახელმწიფო სამართლებრივი თვალსაზრისით არჩევნების კანონიერების დაცვას.

აქტის პირველი მუხლის მიხედვით, დამფუძნებელი კრების წევრებად არჩეული უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს მოქალაქეები, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, რომლებიც აირჩეოდნენ პირდაპირი და ფარული კენჭისყრით პროპორციული პრინციპის საფუძველზე. მეორე მუხლის მიხედვით, მთელი საქართველო ცხადდებოდა ერთ საარჩევნო ოლქად, ხოლო არჩევნებზე ხმის მისაცემად რესპუბლიკა დაიყოფოდა საარჩევნო უბნებად. მე-2 თავი საარჩევნო უფლებას ეხებოდა. ახლად აღმოცენებული დემოკრატიული მმართველობის ფონზე საარჩევნო ხმის უფლება მიენიჭათ ორივე სქესის მოქალაქეებს 20 წლის ასაკიდან, ქონებრივი ცენზის მიუხედავად, მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში ქალის საარჩევნო უფლებები ჯერ კიდევ შეზღუდული იყო. მაგალითად, ამავე პერიოდში, დიდ ბრიტანეთში ქალს საარჩევნო უფლება გააჩნდა, თუ მისი ასაკი აღემატებოდა 30-ს და ფლობდა გარკვეულ ქონებას.³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო უფლება ერთმეოდათ სასამართლოს მიერ სასჯელდადებულებს, „გიჟებს ან ჭკუაზე შეშლილებს“, ყრუ-მუნჯებსა და სხვისი მზრუნველობის ქვეშ მყოფებს. ჩამოთვლილი გამონაკლისები შესაძლოა ლოგიკურად აიხსნას მაშინდელი სოციალური ფონისა და რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

დებულების მიხედვით, დამფუძნებელი კრების არჩევნების წარმოების ხელმძღვანელობა ევალებოდათ სხვადასხვა საარჩევნო კომისიას, მათგან მთავარს კი ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია წარმოადგენდა, რომელშიც სამი მნიშვნელოვანი თანამდებობა არსებობდა: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და ხაზინადარი. საინტერესოა, რომ ამ თანამდებობიდან 1 ოპოზიციური პარტიის – ეროვნული-დემოკრატიების წარმომადგენელს ეჭირა.⁴ ცსკ ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობდა: ევალებოდა თვალყურის დევნება დამფუძნებელი კრების არჩევნების მსვლელობისათვის, ამტკიცებდა საარჩევნო უბნებს, იღებდა საკანდიდატო სიებს, ნომრავდა, ამონებდა და აქვეყნებდა საარჩევნო უბნებში, ითვლიდა საბოლოო ხმებს მთელ რესპუბლიკაში შედეგების გამოსარკვევად და უზრუნველყოფდა მის

2 გაზეთი „ერთობა“ 1917, N99

3 <http://www.bbc.co.uk/schools/gcsebitesize/history/mwh/britain/votesforwomenrev_print.shtml>

4 პირველი საყოველთაო დამოუკიდებელი არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, ცესკო, თსუ, 19. <<http://history.cesko.ge/PDF/Brochure%20-%201918.pdf>>

საბოლოო გამოქვეყნებას, ადგენდა დამფუძნებელი კრების არჩეული წევრების სიას და სხვა.⁵

დამფუძნებელი კრების არჩევნები იგეგმებოდა 1919 წლის გვიან გაზაფხულზე. თუმცა დეკემბერში კომისიის წინაშე ინიციატივით წარდგა მთავრობის წევრი, შს მინისტრი ნოე რამიშვილი, რომელიც ცსკ-ს არჩევნების დაჩქარებას სთხოვდა. მალე იხსნებოდა ვერსალის საზავო კონფერენცია, სადაც საქართველოს დელეგაციას უნდა ჰქონოდა იურიდიული ლეგიტიმაცია. ახალი წლის დღესასწაულზე ცსკ-მ დაადგინა არჩევნების თარიღი – 14,15 და 16 თებერვალი.

დებულების მეოთხე თავის მუხლები შეეხებოდა საარჩევნო სიებს, რომლის მიხედვით ისინი უნდა შემდგარიყო ყველა უბანზე, ცალ-ცალკე და გამოქვეყნებულიყო არჩევნებამდე არანაკლებ 30 დღისა. მოქალაქეს უფლება ჰქონდა საჩივრით მიემართა კომისიისთვის. მეხუთე თავი შეეხებოდა დამფუძნებელი კრების საკანდიდატო სიებს. პარტიებს უფლება ჰქონდათ ერთ კოალიციაში შესვლისა, ასევე, დაცული იყო პარტიებს შორის ჯანსაღი კონკურენცია. მეექვსე თავის მიხედვით ხმის მიცემა ხდებოდა საარჩევნო ბარათებით, რომლებიც გარეგნულად ერთნაირი უნდა ყოფილიყო.

ხაზგასასმელია, რომ საარჩევნო უბანზე აკრძალული იყო ყოველგვარი საარჩევნო აგიტაცია. საარჩევნო შენობაში არ უშვებდნენ შეიარაღებულ პირებს და ნასვამ ამომრჩევლებს. კომისიის თავმჯდომარეს უფლება ჰქონდა საჭიროების შემთხვევაში გამოეძახებინა მილიცია ან ჯარისკაცები. აქ აღსანიშნავია დებულების მეცხრე თავი, რომლის თანახმად პირები, რომლებიც შეეცდებოდნენ საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლას, იქნებოდნენ დასჯილნი. მაგალითად, ამომრჩეველთა მოსყიდვა ნებისმიერი გზით და მსგავსი დარღვევებისთვის დებულება ითვალისწინებდა სასჯელს, როგორც დატუსაღების, ასევე ფულადი საზღაურის სახით.⁶

აქედან გამომდინარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება სრულყოფილი, პლურალისტული საქმიანობის შედეგად მიღებული დოკუმენტი იყო, რომელიც პირდაპირი პროპორციული გზით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული, საყოველთაო არჩევნების ჩატარების ფუნდამენტად იქცა.

საარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო კამპანია პარტიებს შორის მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში მიმდინარეობდა. არ იზღუდებოდა სიტყვის თავისუფლება, საარჩევნო შეხვედრები, თავისუფალი გადაადგილება და მიტინგები – მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საომარ დაპირისპირებებში იმყოფებოდა.

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში თითქმის ყოველდღიურად გამოიციემოდა როგორც მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „ერთობა“, ასევე წამყვანი ოპოზიციური პარტიების გაზეთები: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის „საქართველო“, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის „შრომა“ და სხვ. აქტიურ საარჩევნო კამპანიას აწარმოებდა საქართველოს ნაციონალისტური პარტია, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ უპირისპირდებოდა მმართველ

5 ცინაძე, ზ., დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XV-XV, 223

6 იქვე, გვ. 224

ველ სოციალ-დემოკრატებს.⁷ ყველა პარტიისათვის კრიტიკის მთავარი სამიზნე კი სომხური დაშნაკციუთუნი გახლდათ, რომელიც სომხეთთან სამხედრო ესკალაციის პირობებში აშკარად ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის გზას ადგა და აქამდეც ხაზი ესმებოდა ამ პარტიის „პროვოკატორულ და ავანტიურისტულ როლს“⁸.

წინასაარჩევნოდ აქტიურად გამოიყენებოდა საარჩევნო პლაკატები, სადაც დატანილი იყო პოლიტიკური ლიდერების ფოტოები და საარჩევნო ლოზუნგები. მაგალითად, სოციალ-დემოკრატების მიმართვები ასე ჟღერდა: „ომიანობის ხანაში მუშებმა ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული უფლებანი ყველგან დაკარგეს. სოციალ-დემოკრატებმა საქართველოში მოიპოვა 8 საათის სამუშაო დღე და უზრუნველჰყო კავშირთა თავისუფლება და შრომის დაცვა. ხმა მიეცით მუშათა პარტიის სიას!“ საარჩევნო კამპანიის წარმოებისას პარტიები აქტიურად იყენებდნენ პოლიტიკური თემატიკის ლექსებს, სადაც ხშირად ქილიკითა და შარჟით მოხსენიებდნენ ოპონენტებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური იყო გაზეთი „ერთობა“. მთავრობის მოწოდებები აქტიურად იბეჭდებოდა მთავრობის ოფიციალურ ორგანოში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. მაგალითად, „თქვენ უნდა გამოსჭედოთ საქართველოს თავისუფალი ცხოვრება!“

წინასაარჩევნო კამპანიას არ ჩაუვლია დარღვევების გარეშე. გვარდიელების მხრიდან აღინუსხა ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა შეურაცხყოფის ერთეული ფაქტები. ასევე, აღინუსხა ზოგიერთ მაზრაში ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო საქმიანობაში ხელის შეშლის მცდელობები, რაზეც ცსკ დაუყოვნებლივ რეაგირებდა.⁹

აღნიშნული მცირე ხარვეზების ანალიზისას აშკარაა, რომ ცვლილებების ეტაპზე მყოფ საქართველოში არჩევნებისადმი მკეთრი ემოციური დამოკიდებულება შეინიშნებოდა, რაც დღესაც, 21-ე საუკუნეშიცაა დამახასიათებელი. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ციფრული განვითარების ეპოქაში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მსოფლიოში წინასაარჩევნო აგიტაციამ სხვა, უფრო მწვავე და არაცივილური სახე შეიძინა. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო კამპანიამ დემოკრატიული პრინციპების დაცვით ჩაიარა.

არჩევნების პროცესი და დარღვევები

1919 წლის 2 იანვრიდან 14 თებერვლამდე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 18 სხდომა გამართა და უზრუნველყო საარჩევნო პროცესის სრულყოფილად წარმართვის ყველა პირობა. კომისიის გადაწყვეტილებით ბიულეტენები დაიბეჭდა ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე. 27 იანვარს, მორიგ დღესასწაულზე, ცსკ-მ დაასრულა და რეგისტრაციაში გაატარა 15 პოლიტიკური სუბიექტი. ცსკ-ის მუშაობასთან დაკავშირებით არჩევნებში მონაწილე არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხრიდან არ გამოთქმულა ბრალდება. 31 იანვარს საქართველოს პარლამენტმა უკანასკნელი სხდომა ჩაატარა და უფლებამოსილება შეიჩერა.¹⁰

7 პირველი საყოველთაო დამოუკიდებელი არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, ცესკო, თსუ. <<http://history.cesko.ge/PDF/Brochure%20-%201918.pdf>>

8 გაზეთი „სახალხო საქმე“ 1918: N380

9 ცინაძე, ზ., დამფუძნებელი კრების არჩევნები, ჟურნალი „ისტორიანი“, 2013, №5/29

10 ირემაძე, ი., საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, ელ.ჟურნალი CIVICUS N5, 13. <https://issuu.com/cela.ge/docs/civicus_5>

არჩევნები 14-16 თებერვალს ჩატარდა, რომელშიც ამომრჩეველთა დაახლოებით 60%-მა მიიღო მონაწილეობა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. უინსტონ ჩერჩილი ამბობდა: „ცუდ ხელისუფლებას ირჩევს კარგი ხალხი, რომელიც არ დადის არჩევნებზე.“ კარგად ჩანს, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს კარგად ესმოდა და გააზრებული ჰქონდა თავისი მოქალაქეობრივი ვალი, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა წინასაარჩევნო კამპანიამ.

ძირითადი არჩევნები 13 მაზრასა და 17 ქალაქში ჩატარდა. საარჩევნო პროცესის მშვიდ ვითარებაში წარმართვისათვის საარჩევნო კომისიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუდმივი მინერ-მონერა ჰქონდათ. უამინდობის, სამხედრო ვითარებისა და სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმე ადგილზე გადაიდო, თუმცა მცირე ხანში აქ დამატებითი არჩევნები ჩატარდა.¹¹

ეროვნულ-დემოკრატიებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიერება და გამოქვეყნებული შედეგები ეჭვქვეშ დააყენეს. მათ აღნიშნეს, რომ საარჩევნო კომისიების უმრავლესობა ერთფეროვანი იყო, მათში მხოლოდ სოციალ-დემოკრატები შედიოდნენ. ისინი გავლენას ახდენდნენ ამომრჩეველებზე, არასწორად ითვლიდნენ ხმებს. „ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საჭიროდ ჩათვალა ამ მოვლენების აღნიშვნა, მაგრამ არა იმისთვის, რომ დამფუძნებელი კრების სუვერენობა უარყოს, არამედ იმისთვის, რომ ეს მძიმე შედეგები დაგინყებულ არ იყოს დამფუძნებელი კრების მიერ მაშინ, როდესაც იგი საარჩევნო კანონის შემუშავებას შეუდგება მომავალი პარლამენტისთვის.“¹² მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური პარტიების გაზეთები საუბრობდნენ დარღვევებზე, ყველა მათგანი აღიარებდა სოციალ-დემოკრატების დიდი უპირატესობით გამარჯვებას.¹³

არჩევნების შედეგები *

არჩევნების დასრულების შემდეგ, 9 მარტს დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, სამაზრო, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საარჩევნო ოქმების საფუძველზე დაამტკიცა არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

დამფუძნებელი კრების არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა კანონიერი ხმების რაოდენობა იყო 616 150, თუმცა არჩევნებზე მოსულთა რიცხვი შეადგენდა 618 675 კაცს. 2 525 ამომრჩევლის ხმა ბათილად იქნა ცნობილი.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში, თავდაპირველად, 130 მანდატიდან 122 მანდატი ზომიერად მემარცხენე და რადიკალურად მემარცხენე პარტიებმა მიიღეს. მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიებმა კი მხოლოდ 8 მანდატი მოიპოვა და არჩევნებში მესამე ადგილს დასჯერდა. 1919-20 წლების განმავლობაში დამფუძნებელი კრების კიდევ 2 დამატებითი არჩევნები ჩატარდა. აგვისტოსა და სექტემბერში არჩევნები გაიმართა სოხუმის ოლქში, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრებში, სვანეთსა და თიანეთში. განმეორებითი არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანო საბოლოოდ ასე დაკომპლექტდა:

11 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი. <<http://www.archives.gov.ge/ge/page/1919-wlis-saqartvelos-damfudznebeli-krebis-archevnebi1>>

12 ბენდიანიშვილი, ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა: (1918 – 1921 წწ.), 153

13 იხ. სქოლიო 6

* ეყრდნობა ეროვნული არქივის მონაცემებს.

„საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიამ“ 109 მანდატი მოიპოვა; „საქართველოს სოციალ-ფედერალისტა პარტიამ“ – 8 მანდატი; „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ – 8 მანდატი; „საქართველოს სოციალ-ისტ-რევოლუციონერთა პარტიამ“ – 6 მანდატი; „დამნაკცუთიუნმა“ – 3 მანდატი; „საქართველოს ეროვნულმა პარტიამ“ – 2 მანდატი.

აღსანიშნავია, რომ კრების წევრები იყვნენ ორივე სქესის წარმომადგენლები და უმცირესობები, კერძოდ: სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძენი და გერმანელი დეპუტატები.

საბოლოო ოქმში საარჩევნო კომისიამ, მიუხედავად გამოვლენილი მცირედი დარღვევებისა, არჩევნები დემოკრატიულად მიიჩნია და შედეგები დაამტკიცა. 1919 წლის ბოლოსათვის დამფუძნებელი კრება უკვე ექვსპარტიული გახლდათ.¹⁴ ამასთან, საქართველო მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, სადაც ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოვიდა. ეს არჩევნები იმითაც იყო გამორჩეული, რომ დეპუტატებიდან 5 ქალი იყო, „სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ წევრები. ეს მსოფლიოს მაშინდელ რეალობაში უდიდესი მიღწევა იყო, რაც ხაზს უსვამდა საქართველოში ქალთა განსაკუთრებულ როლს პოლიტიკაში.

არჩევნების შემდგომი პერიოდი – პოლიტიკური თანაცხოვრება

1919 წლის 12 მარტს სასახლის თეთრ დარბაზში, დეპუტატებიდან უხუცესმა – სილიბისტრო ჯიბლაძემ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გახსნა¹⁵, რომელზეც პრეზიდენტის მდივნად აირჩიეს სოციალ-დემოკრატი ქალი, ქრისტინე შარაშიძე, რაც მიანიშნებს დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბების სანყისებზე, სადაც ყველა ადამიანი, განურჩევლად სქესისა, თანასწორია.

დამფუძნებელი კრების ზოგიერთ წევრს ჰქონდა ინიციატივა, შექმნილიყო პრეზიდენტის ინსტიტუტი, რასაც ცხარე კამათი მოჰყვა. ოპოზიციური პარტიები წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების გაფართოებასაც. საბოლოოდ დამფუძნებელმა კრებამ უარყო განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტის არჩევის საჭიროება, თუმცა, მიზანშეწონილად მიიჩნია მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების საგრძნობლად გაფართოება და მისი სახელმწიფოს მეთაურის სახით წარდგენა სხვა სახელმწიფოებისთვის.¹⁶

დამფუძნებელი კრების მეორე სხდომაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო რესპუბლიკის თავმჯდომარის არჩევა. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ კანდიდატურად ნოე ჟორდანიას დაასახელა. მას მხარი დაუჭირეს ეროვნულ-დემოკრატებმაც, სოციალისტ-ფედერალისტთა და ესერთა ფრაქციებმა კი კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. მიუხედავად ამისა, ნოე ჟორდანიას ხმების აბსოლუტური უმრავლესობით აირჩიეს პრემიერად.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დამფუძნებელ კრებაში აბსოლუტური უმრავ-

14 ირემაძე, ი., საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, ელ-ჟურნალი CIVICUS N5, 14. <https://issuu.com/cela.ge/docs/civicus_5>

15 <<https://pirvelirespublika.blogspot.com/2016/03/1919-12.html>>

16 ბენდიანიშვილი, ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა: (1918 – 1921 წწ.), თბილისი, 2001, 155-156

ლესობის მიღების შედეგად უფლება ჰქონდა ერთპარტიული მთავრობა შეექმნა და ასეც მოიქცა, რამაც გააძნელა პოლიტიკური პარტიების კონსენსუსი, ოპოზიციის კონსტრუქციული მუშაობა, გარკვეული სიძნელეები შექმნა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში. მმართველ პარტიებსა და ოპოზიციურ მხარეს შორის ეს დაძაბულობა კარგად გამოჩნდა მთავრობის დეკლარაციის სამომავლო პროგრამის განხილვის დროს.¹⁷ სოციალისტ-ფედერალისტებმა და ესერებმა დეკლარაცია მარცხნიდან გააკრიტიკეს, ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ კი მემარჯვენე მხარე დაიჭირა. კიდევ უფრო მკაცრად გააკრიტიკა მთავრობის პროგრამა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ.

1919 წლის 25 აპრილს დამტკიცდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტი, რომლის საფუძველზე ჩატარდა დამფუძნებელი კრების პრეზიდუმის და მუდმივი კომისიების არჩევნები. მუდმივი კომისიების შემადგენლობის დამტკიცების პროცესშიც მწვავე ბრძოლა გაიმართა დეპუტატებს შორის.¹⁸ ყველაზე რთულად შესასრულებელი საქმე დაეკისრა საკონსტიტუციო კომისიას, რომელიც 1 წელი მუშაობდა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენაზე და თითქმის იგივე დრო დასჭირდა მის განხილვას, რაც დამფუძნებელი კრების ფრაქციათა მწვავე დებატების ვითარებაში მიმდინარეობდა. საქართველოს კონსტიტუცია საბოლოო ფორმით 1921 წლის 22 თებერვალს მიიღეს, წითელი არმიის თავდასხმიდან მეთერთმეტე დღეს. იგი ეფუძნებოდა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების მოდელებს, რაც საქართველოს წარმოაჩენდა დემოკრატიულ ქვეყნად, ამ ცნების საუკეთესო გაგებით. ეს კონსტიტუცია იყო 3-წლიანი დამოუკიდებლობის გვირგვინი, ამიტომ დასაფასებელია დამფუძნებელი კრების შრომა და ის წვლილი, რომელიც მათ საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ძირითადი კანონის შექმნაში შეიტანეს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თავისუფალი საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა არჩევნებმა თვალნათლად აჩვენა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველი საზოგადოების პოლიტიკური კულტურის მაღალი დონე. ამაზე მეტყველებს როგორც საარჩევნო აქტივობა, ისე ის სამართლებრივი მექანიზმები, რაც არჩევნებს ზურგს უმაგრებდა. გარდა ქალთა ჩართულობისა, პასიური და აქტიური საარჩევნო უფლება მიეცათ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. შესაბამისად, საზოგადოებას გააზრებული ჰქონდა დამფუძნებელი კრების იდეა – ამომრჩეველს, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, ორგანოში წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა. აქედან გამომდინარე, საქართველომ წარმატებით ჩააბარა „დემოკრატიის ტესტი“. მართლაც, ეს მასშტაბური არჩევნები თანასწორობის, ტოლერანტობისა და სხვა ჰუმანისტური ფასეულობების დემონსტრირება იყო ქვეყანაში, რომელსაც საუკუნეზე დიდხანს დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა, რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინ აღადგინა.

მოქალაქეთა ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე განაწილდა, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს გავრცელებასა და ეკონომიკური დემოკრატიის შექმნას ისახავდა მიზნად, რაც მშრომელთა უფლე-

17 ბენდინიშვილი, ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა: (1918 – 1921 წწ.), თბილისი, 2001, 157

18 იქვე, 161

ბების დაცვასაც გულისხმობდა. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მოსახლეობის დიდი ინტერესი დემოკრატიის გზით მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული. მიუხედავად იმისა, 1921 წელს დამოუკიდებლობის დაკარგვამდე პარტიებს შორის ცივი ომი და დაძაბულობა გრძელდებოდა, რაც მოსალოდნელიც იყო, ისინი მაინც იბრძოდნენ უკეთესი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის. ეს იყო პროგრესული ქვეყანა, რომლის ხელისუფლებაში არ აღმოჩნდა პოლიტიკური ძალა, რომელიც რუსების მხარეზე გადავიდოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბენდიაშვილი, ა. (2001). საქართველოს პირველი რესპუბლიკა: (1918 – 1921 წწ.). თბილისი

ირემაძე, ი. (2015). საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. ელ.ჟურნალი CIVICUS N5

1917:N99). გაზეთი „ერთობა“

(1918:N380). გაზეთი „სახალხო საქმე“

ნოზაძე, ვ. (1918). გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“

ცინაძე, ზ. (2013). დამფუძნებელი კრების არჩევნები. ჟურნალი „ისტორიანი“

ცინაძე, ზ. (2013-2014). დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება. ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XV-XV

გაფრინდაშვილი, გ. (2016). საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) სხდომის გახსნა 1919 წლის 12 მარტს – <https://pirvelirespublika.blogspot.com/2016/03/1919-12.html>

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი. 1919 წლის საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები – <http://www.archives.gov.ge/ge/page/1919-wlis-saqartvelos-damfudznebeli-krebis-archevnebi1>

ცენტრალური საარჩევნო კომისია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (2017). პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. <http://history.cesko.ge/PDF/Brochure%20-%201918.pdf>

BBC History. Votes For Women. http://www.bbc.co.uk/schools/gcsebitesize/history/mwh/britain/votesforwomenrev_print.shtml

Tatia Nikvashvili

BA student of Law, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tsira Jananashvili

BA student of Law, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ELECTIONS TO THE CONSTITUENT ASSEMBLY AND POLITICAL COEXISTENCE IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

Summary

Ephemeral 1028 days of the First Republic of Georgia left a significant trace in the history of Georgia that reflected on the socio-economic situation as well as prospects of future development of the country. On May 26, 1918 pursuant to „the Act of State Independence of Georgia“, Georgia became a subject of international law and thus faced new challenges and opportunities for development.

The start of a new era is obviously impossible without elections, so after the independence, the main issue was election of government in a fair way. Georgia should be ready to pass a „test of democracy“, which meant legitimizing multi-party, universal elections. It was decided to hold the elections of the Supreme Legislative Body of the Democratic Republic of Georgia – the Constituent Assembly.

While the amendments to the Constitution of Georgia in the reality of the XXI century are still important for the issue of elections, the new epoch’s foundation was „the provision of the election of the constituent assembly of Georgia“, which was determined by the universal, equal, direct and secret vote based on the proportional electoral system, popular in European countries. It is interesting to evaluate this provision by taking into consideration democratic principles. It should be emphasized that both sexes in the age group of 20 were granted the right to participate in the elections, which was one of the progressive steps forward towards the democratization of the state.

The Democratic Republic was characterized by many parties, for it was necessary to ensure effective political protection of the public interests. One of the significant challenges in the face of such a political pluralism was the pre-election campaign, during which the deficiencies revealed essentially the role of the society at the stage of change and, in general, the quality of democracy. Thus, it is important to analyze these gaps.

The elections began on February 14, 1919, and lasted for three days, with 15 parties participating, and the mandates were allocated to six of them. Despite the fact that newspapers of the opposition parties were actively speaking about the violations revealed in the elections, all recognized the victory of social democrats with great advantage. The government received the mandate from the Georgian population and began to work on the political, socio-economic basis and on the first constitution in the history of Georgia. During its two-year history, the Assembly adopted 126 laws, notably on citizenship, agriculture, legal system, etc. That is why the election of the Constituent Assembly is a significant step in Georgian political history.

The aim of our work is to evaluate Georgia’s political and legal aspects of this period, in particular to assess elections and political co-existence. It is important to determine what was the quintessence of democracy in the country that was „born in the process of destruction“.

ეკონომიკა

მედეა ზურაბიშვილი
კავკასიის ეკონომიკის სკოლის დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური სამყარო და საქართველოს ცენტრალური ბანკის რეფორმები 1919–1921 წლებში

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარი ტრანსფორმაციის სიღრმით, მასშტაბურობითა და მრავალმხრივობით, 1918–1921 წლები განსაკუთრებულ ისტორიულ მონაკვეთს წარმოადგენს საქართველოსთვის. ესაა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდი. ბუნებრივია, სახელმწიფოებრიობის დაცვისთვის ქვეყანას ესაჭიროებოდა სწორი ნაბიჯების გადადგმა, განსაკუთრებით ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით.

კვლევის მიზანია 1918–1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ეფექტური ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის ფორმირების მიმართულებით დაგეგმილი რეფორმების გაანალიზება, აგრეთვე იმის დადგენა, რამდენად სწორი და პროგრესული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული არსებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

ამასთან დაკავშირებით ნაშრომში განხილულია საქართველოს საფინანსო სისტემის მდგომარეობა 1918–1921 წლებში და ამ სფეროში არსებული პრობლემები. შექმნილი ვითარების გამოსწორების მიზნით მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის კვლევის პარალელურად, ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული რეფორმები, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელმეორედ აღდგენისას, XX საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ დაიგეგმა. კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის, ემპირიული კვლევის და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

მოცემული საკითხის მეცნიერული შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან დღემდე აქტუალურია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) ჩატარებული ეკონომიკური რეფორმების დადებითი გამოცდილების გათვალისწინება.

საქართველოს პირველი ცენტრალური ბანკის გამონაკვეთი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დასრულების პერიოდში. ომის შემდეგ გამეფებულმა ქაოსმა, ქვეყნებს შორის მოშალა ეკონომიკური ურთიერთობები. ომმა მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებას ძლიერი დარტყმა მიაყენა – დაეცა წარმოება, იმატა ინფლაციამ. შესაბამისად, საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე უნდა შეექმნა ეკონომიკის მართვის სათანადო ინსტიტუტების სისტემა, შემოელო ეროვნუ-

ლი ვალუტა, ჩამოეყალიბებინა ფინანსური პოლიტიკის სწორი მიმართულებები.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა მათი დიდი უმრავლესობა რუსეთის მსხვილი ბანკების ფილიალებისა და სხვადასხვა საკრედიტო ორგანიზაციების წარმომადგენლობებისაგან შედგებოდა. ამ პერიოდში თბილისი კავკასიაში ფინანსური კაპიტალის ცენტრი იყო. აქ თავმოყრილი იყო სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებები: კავკასიის ბანკი; თბილისის სავაჭრო ბანკი; ამიერკავკასიის აქციონერული ბანკი; ფრიდონოვის საბანკო კანტორა; 20 საკრედიტო საზოგადოება, რუსეთის ბანკების განყოფილებები, ადგილობრივი იპოთეკური ბანკები და სხვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბანკებს თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის რუსეთიდან ფაქტიურად ჩამოცილების და რუსეთში ბანკების ნაციონალიზაციის გამო კლიენტურის ფულის ნიშნებით დაკმაყოფილება უჭირდათ. ეს კი საზოგადოებაში მღელვარებას და ბანკებისადმი უნდობლობას იწვევდა.

ამ პერიოდში საქართველოში ფუნქციონირებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომლის ძირითადი ფუნქცია ზარაფხანიდან შეტანილი ფულადი ნიშნების ფინანსთა მინისტრის დირექტივებისამებრ განკარგვა იყო. ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არ არსებობდა სტრუქტურა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ფულის მიმოქცევისა და სხვა სასიცოცხლო ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეთა რეგულირებას ძალიან ართულებდა ფინანსური სისტემის ფუნქციონირებას.

ამიტომაც, ჯერ კიდევ 1918 წლის 28 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე გადაწყდა საქართველოს ცენტრალური ბანკის დაარსება, რომელსაც მიენიჭებოდა საემისიო უფლება. საკითხი მეტად აქტუალური იყო, რადგან სახელმწიფო ბანკზე დამოკიდებული გახდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ახალი ფინანსური სისტემის შექმნის პროცესზე მუშაობისას აქტიურად გამოიყენებოდა უცხოელი სპეციალისტების კონსულტაციები.

დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო წრეების წარმომადგენელთა აზრით, ცენტრალური ბანკი თვისებრივად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა დაფუძნებულიყო. იმ პერიოდში სახელმწიფო საემისიო ბანკის რამოდენიმე კლასიკური მოდელი არსებობდა: სრულად დამოუკიდებელი, რომელიც ფუნქციონირებს სააქციო საზოგადოების სახით (მაგ. ინგლისში); წმინდა სახელმწიფო (მაგ. რუსეთში); შერეული (მაგ. გერმანიაში).

ინგლისის მოდელი დაწუნებული იქნა იმ მოტივით, რომ არსებულ სიტუაციაში სახელმწიფოს არ შეეძლო ფულის ემისია და მიმოქცევის რეგულირება სრულად გაუშვას ხელიდან და სავსებით კერძო აქციონერებს გადასცეს.

რუსეთის მოდელით ცენტრალური ბანკის საქმიანობას მთლიანად მთავრობა განაგებდა. ასეთ დროს მთავრობა ემისიის წყალობით ხარჯებს ფარავდა, რაც ქვეყნისათვის არასახარბიელო შედეგების მომტანი იყო. იმისათვის, რომ საზოგადოებაში ქართულ ცენტრალურ ბანკს ნდობა დაემსახურებინა და ეჭვი არ შეეტანათ მის მომავალ საქმიანობაში, ემისიის უფლება მთავრობის ხარჯების დასაფარავად არ უნდა გამოეყენებინა და მისთვის მთავრობას მხოლოდ როგორც ერთ-ერთ კლიენტს ისე უნდა შეძლებოდა სესხებზე მიმართვა.

გერმანიის ცენტრალური ბანკი სააქციო საზოგადოება იყო და ამავე დროს, მის თანხებს მთავრობა განაგებდა. ამიტომაც ეს მოდელიც დაწუნებული იქნა.

დღის წესრიგში დადგა ისეთი ტიპის ცენტრალური ბანკის დაარსების საკითხი, რომელსაც მთავრობა თავისი ფისკალური მიზნებისათვის ვერ გამოიყენებდა. ამ-
ავე დროს იქნებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში და თან საკანონმდებლო ორგანოს
დაქვემდებარებაში. ასეთ პირობებში საქართველოს სახელმწიფო ბანკის მოდელი
შვედეთის სახელმწიფო ბანკის მაგალითზე აიგო, რომელიც საუკეთესო რეპუტა-
ციით სარგებლობდა.

1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამ-
ფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც
ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო
პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა
საფუძველი. წესდების მიხედვით, ბანკის გამგეობა და ზედამხედველობის საბჭო
მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები უნდა ყოფილიყო. ბანკის დაარსები-
სათვის საჭირო ძირითადი თანხა სახელმწიფო ხაზინამ გაიღო (ორმოცდაათი მილ-
იონი მანეთი) და მთელი მისი მოგებაც სახელმწიფო ხაზინას ეკუთვნოდა.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა
შესაძლებელი. კანონის შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურას დაარსების პირვე-
ლივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქ-
ცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა,
აგრეთვე, ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის
მოკლევადიანი სესხების გაცემა.¹

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკს
ჩვეულებრივი ოპერაციების გარდა, თვალყური უნდა ედევნებინა ყველა კერძო
საკრედიტო დაწესებულებათა ოპერაციებისათვის. იგი ფაქტობრივად უნდა ყო-
ფილიყო ბანკების ბანკი და საქართველოს ტერიტორიაზე მთელი საკრედიტო
ურთიერთობების რეგულატორი.

1918 წელს, მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საქა-
რთველოს რესპუბლიკამ საკუთარი ვალუტის შექმნაზე დაიწყო ფიქრი. თუმცა სა-
ნამ სრულფასოვან ქართულ ფულს გამოუშვებდა, მანამ, 1919 წელს დროებითი
გადახდის საშუალება – ქართული ბონი დაიბეჭდა. ქართული ვალუტის ემისი-
ის უფლება იმ დროს ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივა გახლდათ, ქართულ
ბონებზე გამოსახული იყო ქართული გერბი, როგორც საქართველოს რესპუბლიკის
სიმბოლო. იგი უზრუნველყოფილი იყო საქართველოს მთელი ქონებით. საქართვე-
ლოს რესპუბლიკის საზღვრებში ბონის მიღება სავალდებულო იყო, ისე როგორც
რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონებისა.

1918 წლის ივნისშივე დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომა-
ვალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი მყარი გარანტი უნდა
გამხდარიყო. იმ პერიოდში ფინანსურ წრეებში ზოგიერთი თვლიდა, რომ ქვეყ-
ნის ფინანსების უზრუნველყოფა შეიძლებოდა ტყის, ქათურის მარგანცის, თე-
თრი ნახშირის და ბორჯომის მამულების ნაციონალიზაციის გზით. გამოითქმოდა
ვარაუდი, რომ საგარეო სესხის მეშვეობითაც შეიძლებოდა ოქროს რეზერვის შე-
ქმნა. საბოლოოდ გადაწყდა სავალუტო ფონდის შექმნა, რომელშიც უნდა ჩარიცხ-

1 საქართველოს ეროვნული ბანკი, ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები, თბილისი, 2008, გვ. 9

ულიყო 25% იმ წმინდა მოგებიდან, რომელსაც ვალუტით მიიღებდა მთავრობა და მისი ორგანოები სხვადასხვა სავაჭრო ხელშეკრულებებიდან და ოპერაციებიდან.

1920 წელს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა სავალუტო ოპერაციის შემოღებისათვის საჭირო ინსტრუქციები, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო ბანკი საკრედიტო დაწესებულებებზე გასცემდა უცხო ვალუტის შექმნისთვის ნებართვებს. მიღებული იქნა გადანყვებილება, რითაც სახელმწიფო ბანკს უნდა მისცემოდა სავალუტო ფონდი. ამის გამო მას ბაზრის საერთო პირობების მიხედვით, უნდა დაენესებინა ვალუტის კურსი ყოველ განსაზღვრულ დროისთვის. ამ ასპარეზზე სახელმწიფო ბანკის გამოსვლა ვაჭარ-მრეწველთა წრეებისთვისაც ხელსაყრელი იქნებოდა, რადგან მათ საშუალება ეძლეოდათ ზუსტად გაერკვიათ ვალუტის კურსი და შესაბამისად, არ იქნებოდნენ დამოკიდებულნი მხოლოდ კერძო მოთამაშებზე. ამავე დროს დაიგეგმა, რომ ქვეყანაში საქონლის ყიდვა-გაყიდვა და ანგარიშსწორება უსათუოდ მხოლოდ ბონებით განხორციელებულიყო.

ფუნქციონირების მცირე ხნის მიუხედავად, სახელმწიფო ბანკმა საქართველოსათვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო: განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. ამ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აშკარად ზღუდავდა სუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ამ დროისათვის დაბეჭდილ ნებისმიერ ფულის ერთეულთან შედარებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მანეთი ყველაზე მტკიცე ვალუტად ითვლებოდა. მისი კურსი რუსეთის „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთებისა“ და ამიერკავკასიის ბონების პარიტეტული იყო, რის გამოც იგი თავისუფლად მიმოიქცეოდა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის პოსტიმპერიულ ქვეყნებშიც.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის საქმიანობის შედეგად დარეგულირდა ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, შემუშავდა ფულის ახალი რეფორმის გატარების პროექტები და განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

1919 – 1921 წლებში ქართული სახელმწიფო მუშაობდა ეროვნული ვალუტის შექმნაზეც, სახელიც მოფიქრებული ჰქონდათ, მას მარჩილი უნდა დარქმეოდა. ცნობილი მხატვარი ევგენი ლანსერე ხატავდა ერთ-ერთი ნომინალის ნიმუშს, რომელიც ეროვნულ მუზეუმშია დაცული. მარჩილი მიმოქცევაში გერმანული მარკის პარიტეტული კურსით უნდა გასულიყო. თუმცა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო მარჩილის გამოშვება არ დასცალდათ.

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს პირველი სახელმწიფო ბანკი – მსგავსი პრობლემები და გადაჭრის გზები, შედეგი – განსხვავებული

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს, მაშინ როდესაც ქართველმა ერმა აღადგინა დამოუკიდებლად სახელმწიფოებრიობის წარმართვის უფლება. საბჭოთა საქართველოს არ

გააჩნდა დამოუკიდებელი ფულადი, საკრედიტო და სხვა სისტემები. ახალ ქართულ სახელმწიფოს უნდა განეხორციელებინა ცენტრალიზებული ეკონომიკის დემონტაჟი, თავიდან უნდა მოეხდინა ქვეყნის დაბრუნება საბჭოთა ექსპერიმენტიდან ბუნებრივ განვითარებაზე. ქვეყანას უნდა ესწავლა ქცევები, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებთან მიმართებაში, უნდა შეექმნა ცივილიზებული მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი გარემო ეკონომიკის განვითარებისთვის.

1991 წელს მიღებული საბანკო კანონმდებლობა არაერთ ნაკლს მოიცავდა. უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ არ იყო გამოხატული ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, რაც მის საქმიანობაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების არასასურველ ჩარევას ხელს ვერ უშლიდა. ასევე, ცალსახად არ იყო ჩამოყალიბებული მისი ძირითადი ფუნქციები, კერძოდ ცენტრალურ ბანკს ერთდროულად ევალებოდა ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება, „ეკონომიკის შენონასწორებული განვითარებისა“ და მეურნეობის გააქტიურების სტიმულირება. ეს ცენტრალური ბანკისათვის მეტად ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ საკითხებს გულისხმობდა, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლიდა ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას.

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი ისევე როგორც პირველი სახელმწიფო ბანკი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის წინაშე. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ახლა უკვე არ აქვთ მის საქმიანობაში ჩარევის უფლება. საქართველოს ეროვნული ბანკის მოგებაც, რეზერვების შევსების შემდეგ, მიემართება ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

საქართველოში 1991 წლიდან ფინანსური სისტემის ზედამხედველობის სხვადასხვა მოდელი იქნა დანერგული: 1991–2007 წლებში ფინანსური ბაზრის სხვადასხვა სეგმენტს თავისი მაკონტროლებელი ჰყავდა. 2007–2008 წლებში საფინანსო სექტორის მარეგულირებელი ერთიანი ორგანიზაცია – საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო შეიქმნა. 2009–2013 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკი ზედამხედველობდა მთელ ფინანსურ ბაზარს, რადგან 2009 წელს გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე განხორციელდა ეროვნული ბანკის ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური გაძლიერება.

სწორედ ამდაგვარი ზედამხედველობის უფლება ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო ბანკს პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფუნქციონირების დროს.

2013 წელს სადაზღვევო სფეროს ზედამხედველობის ფუნქცია ჩამოშორდა საქართველოს ეროვნულ ბანკს და სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს დაეკისრა.

საქართველოს პირველი სახელმწიფო ბანკის მსგავსად საქართველოს ეროვნულმა ბანკმაც 1993 წელს მიმოქცევაში დროებითი გადახდის საშუალება – კუპონი გამოუშვა. ის ინგლისში დაბეჭდეს. 1994 წელს, როცა საქართველოში ჰიპერინფლაცია განვითარდა, სახელმწიფომ კუპონის მილიონიანი ბანკნოტიც კი მოჭრა. ლარის შემოღებისას სახელმწიფო კურსი იყო 1 მილიონი კუპონი 1 ლართან.

როგორც 1918 წელს, ისე 1993 წელსაც აუცილებლობას წარმოადგენდა ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობისთვის შესაბამისი რეზერვების შექმნა.

1993 წელს საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შექმნა საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენდა. იმ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც ახორციელებდნენ საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, დაევალიათ, სახელმწიფოსათვის სავალდებულო წესით მიეყიდათ საექსპორტო შემოსავლის 12%, შემდეგ ეს წესი 32%-მდე გაიზარდა (ეს წესი 1996 წელს გაუქმდა). ამით ხდებოდა სავალუტო რეზერვების დაგროვება. ამავე დროს საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი კრედიტები და გრანტები, აგრეთვე სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის შესყიდვა.

შედეგად, 1995 წლის 2 ოქტომბერს მიმოქცევაში შემოვიდა ქართული ეროვნული ვალუტა ლარი. ფულის სახელწოდება ალებულია „ვეფხისტყაოსნიდან“, როგორც ზოგადად, ქონების კრებითი სახელი. რაც შეეხება ხურდა ფულს, თეთრებს, ამ სახელით XI საუკუნის ქართულ ფულს, ვერცხლის მონეტებს მოიხსენიებდნენ.

თავდაპირველად საქართველოს ეროვნული ვალუტა მიბმული იყო აშშ დოლარზე 1997 წლამდე – ამის მიზეზი გახლდათ ქვეყანაში მოქმედი ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი. იმ პერიოდისთვის ფიქსირებული კურსის რეჟიმი სასურველ ალტერნატივას წარმოადგენდა, ვინაიდან ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაციის პირობებში, რაც ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებით იყო გამოწვეული, ისედაც შესუსტებული იყო ეროვნული ვალუტისადმი ნდობა და გაცვლითი კურსის მიბმა უზრუნველყოფდა კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას და ნდობის აღდგენას.

1997 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომლის პირობებში გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება საბაზრო ძალების მიხედვით – მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით.

გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო გადამწყვეტი როლი ენიჭება სავალუტო კურსის ფორმირებას, რომლის შედეგებიც უდიდეს გავლენას ახდენს როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე ქვეყნის შიგნით არსებული თითოეული ეკონომიკური ერთეულის წარმატებასა და წარუმატებლობაზე. თანამედროვე ეტაპზე ხშირ შემთხვევებში, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებს, უჭირთ შეინარჩუნონ საკუთარი ფულის მცურავი კურსი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) დახმარების გარეშე.

სსფ-ს უფლება აქვს ცალკეულ შემთხვევაში დაანესოს ფულის გაცვლაზე კონტროლი საგადასამხდელო ბალანსში პრობლემის გადაჭრის მიზნით. ასეთ კონტროლს სსფ საქართველოში ახორციელებდა ლარის კურსის მიმართ 1995/1996 წლებში და, უნდა ითქვას, საკმაოდ წარმატებითაც.

2009 წლის ბოლოს, როდესაც ლარის განმტკიცების მიზნით სსფ-მა საქართველოს გამოუყო 350 მილიონი აშშ დოლარი კრედიტის სახით, რუსეთის მხარემ გამოიყენა ვეტოს უფლება, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგანაც დანარჩენი 23 ქვეყნის წარმომადგენელი იმდენად იყო საქართველოსადმი სასიკეთოდ განწყობილი, რომ გადაწყვეტილება ჩვენს სასარგებლოდ იქნა გამოტანილი. ასე შეიტანა, უკვე მერამდენედ, სსფ-მ უდიდესი წვლილი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში.²

2 იაკობიძე დ., (2015) „მსოფლიო გამოწვევები და საქართველო“, თბილისი, გვ. 156

საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს ურთიერთობა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო და ქვეყანა შიდა თუ გარე პრობლემების მიუხედავად ცდილობდა გამხდარიყო საერთაშორისო საზოგადოების ღირსეული წევრი. 1992 წელს საქართველო გახდა სსფ–ს წევრი. იგი იყენებდა და იყენებს ფონდის, როგორც ფინანსურ, ისე ტექნიკურ დახმარებებს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ამავე წელს საქართველო განწვერიანდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, მსოფლიო ბანკში და გაეროშიც.

1918-21 წლებშიც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავარი საგაერო ვექტორი მიმართული იყო ევროპის ქვეყნებთან დაახლოებისკენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი მცდელობა გამხდარიყო „ერთა ლიგის“ წევრი, სადაც დიდი და მცირე ქვეყნები თანასწორობის პრინციპით ერთიანდებოდნენ, მარცხით დამთავრდა. საქართველო ვერ გახდა „ერთა ლიგის“ წევრი, რის მიზეზადაც დასახელდა კავკასიის რეგიონის არასტაბილურობა და რუსეთის ინტერესები ამ რეგიონისადმი. ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა არ იკისრეს პატარა საქართველოს გამო დიდ რუსეთთან დაპირისპირება, მით უმეტეს მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთი ძალებს იკრებდა.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიით, მაგრამ, ამასთანავე, უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შენარჩუნებისთვის მუდმივი ბრძოლა იშვიათად იძლეოდა დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნისა და ხანგრძლივი განვითარების შესაძლებლობას. სამწუხაროდ, 1919–1921 წლებში საქართველოს პირველმა ცენტრალურმა ბანკმა ხანმოკლე პერიოდში მიუხედავად სწორად შერჩეული საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის კლასიკურ პრინციპებზე დაყრდნობით შეიქმნა, ვერ მოახერხა ისეთი ეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც თვითმყოფადი საკრედიტო სისტემის შექმნასა და დამკვიდრებას შეუწყობდა ხელს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ყველა ქვეყნის ფულადი სისტემა დამოუკიდებლად ვითარდებოდა და შესაბამისად ვერცერთი ქვეყანა სხვა ქვეყანას ვერ დაეხმარებოდა ფულის მიმოქცევის ორგანიზაციაში. ასეთი მექანიზმები არ არსებობდა (გარდა კოლონია-მეტროპოლიის ფულადი სისტემების ბალანსირების მცდელობისა).

ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე საფეხურზე, საქართველოს ტერიტორიული ზომისა და პოპულაციური რიცხოვნობის მქონე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მისი მდგრადობა და განვითარების პერსპექტივა არსებითად განპირობებულია არა მხოლოდ მოცემული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკითა და მისი ეკონომიკური სტრუქტურების ორგანიზებით, ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკის ხასიათით, მისი საგადასახადო ან თუნდაც საკანონმდებლო სისტემის დახვეწის ხარისხით, არამედ დიდწილად განპირობებულია ქვეყნის მსოფლიოს პოლიტიკურ – ეკონომიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხარისხითა და ქვეყანაში გარე კაპიტალის შენაკადების ინტენსივობით. ის თუ რამდენად მომგებიანი ან წამგებიანი იქნება თითოეული ქვეყნისათვის მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში განწვერიანება, მთლიანად დამოკიდებულია სწორად არჩეულ ორიენტაციაზე და მიღებულ განწყვეტილებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანელიშვილი თ., (2004) „ბონები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), თსუ შრომები, სერია „ეკონომიკა“, 1-2
- იაკობიძე დ., (2015) „მსოფლიო გამოწვევები და საქართველო“, თბილისი
- რონდელი ა., (2013) „ერთა ლიგა“, თბილისი
- კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., 2015. „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ <http://sabanko.com/wp-content/uploads/2015/07/4.1> – უკანასკნელად გადამოწმების თარიღი – 10.04.2018 წ.
- საქართველოს ეროვნული ბანკი, ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები, თბილისი 2008 <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/thematicpublications/nbg7.8nbgfunctions.pdf> – უკანასკნელად გადამოწმების თარიღი – 10.04.2018 წ.
- საქართველოს ეროვნული არქივის მასალები – <http://www.archives.gov.ge/uploads/other/2/2784.pdf> – უკანასკნელად გადამოწმების თარიღი – 10.04.2018 წ.
- Stephen F.Jones, 2005. *Socialism in Georgian Colors*, Harvard University Press, Cambridge, London, <http://www.hup.harvard.edu/catalog.php?isbn=9780674019027> – უკანასკნელად გადამოწმების თარიღი – 10.04.2018 წ.
- Andrei Zamoiski, *On the ruins of the Russian Empire: Establishment of New States in Eastern Europe, the Caucasus and Central Asia, 1917-1921* https://notes.cendari.dariah.eu/cendari/ARG_On_the_ruins_of_the_Russian_Empire__1917-1921/notes/777/ – უკანასკნელად გადამოწმების თარიღი – 10.04.2018 წ.

Medea Zurabishvili

PhD Student at Caucasus School of Economics

Caucasus University

FFINANCIAL WORLD AND REFORMS OF GEORGIAN CENTRAL BANK IN 1919-1921

Summary

1918-1921 years represent special historical period for Georgia as all kinds of transformations (different by depth, scale and diversification) occurred in all aspects of social life.

The aim of the present research is to analyse the reforms planned by the Government of Georgian Democratic Republic in 1918-1921 in regard to effective credit, monetary and banking systems formation; the paper also attempts to determine to what extent the solutions were correct and progressive considering existing international practices.

For that purpose, the present work observes conditions of Georgian financial system in 1918-1921 and covers problems existing in this field. Along with evaluating appropriateness

of the decisions made to correct pre-existing conditions, the research also analyzes contemporary reforms conducted by Georgian National Bank planned in the 1990s after second restitution of the state independence.

In the research process were used methods of comparative and statistical analysis as well as empirical research.

Scientific research of the presented problem is of high importance, as the positive experience of outcomes of the economic reforms carried out by the first Democratic Republic of Georgia in 1918-1921 remains highly valuable.

ეკონომიკური რეფორმები საქართველოში დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918–1921)

1917 წელს, რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს, ამიერ-კავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოცხადდა. იმავე დღეს, ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად დაამტკიცა. 1918 წელს ახალი ეპოქის დასაწყისად მოიხსენიებენ, რადგან რუსეთის იმპერიის ასწლოვანი გავლენის შემდეგ საქართველომ იგემა გამარჯვების სიხარული, ძველი ეპოქა დასრულდა და ახალი წარმატებული ეპოქის დასაბამის იმედები გაჩნდა. მიუხედავად მოკლევადიანი დამოუკიდებლობისა, „სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი“ – წერდა კონსტანტინე გამსახურდია.

რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყანას არ შეეძლო დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რადგან ეს თავისთავად ნიშნავდა საქართველოსთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მინიჭებას, რაც, ბუნებრივია, რუსეთს არ სურდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს საშუალება მიეცა დაენყო ეკონომიკის რეფორმირების პროცესი, თუმცა ეს საკმაოდ რთული ამოცანა აღმოჩნდა, რადგან, მონობის წლებმა მოიტანა დანგრეული მეურნეობა, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადებამ – დარღვეული ეკონომიკური ბმა რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან.

ამის მიუხედავად, მოცემულ პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა. ზოგიერთი მათგანი უდავოდ წარმატებული, ხოლო ზოგი მეტ-ნაკლებად შედეგიანი იყო. ბუნებრივია, საქართველოს რეფორმირების გზა უნდა დაგვირგვინებულიყო უზენაესი კანონის შექმნით, რომელიც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი იქნებოდა. ცნობილია, რომ 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ (რუსეთის მიერ ასწლოვანი ოკუპაციის შემდეგ ხელახლა ოკუპაციის პერიოდამდე ცოტა ხნით ადრე) საგანგებო სხდომაზე ერთხმად მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1921 წლის კონსტიტუცია თავისი შინაარსითა და ლოგიკურობით ნამდვილად ღირსეული იყო კონსტიტუციათა შორის. მის მე-8 თავში მოცემული იყო „სახელმწიფო კონტროლის ინსტიტუტი“, რომელსაც საჯარო სექტორის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე კონტროლი უნდა განხორციელებინა. ეს ინსტიტუტი საქართველოში უკვე 1918 წლიდან არსებობდა. ის დიდი მონაპოვარია, რადგან მისი მნიშვნელობა კონსტიტუციაში შეტანითაც დადასტურდა და შემდეგ წლებშიც და დღესაც განიცდის რეფორმირებას. აღსანიშნავია, რომ ამ რეფორმების შესწავლა და შედეგების გაანალიზება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკის რეფორმატორთათვის გამოცდილების გაზიარების კუთხით.

1. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეკონომიკური პროგრამის ანალიზი

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წელს არასახარბიელო მდგომარეობა იყო როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში. ეს, ერთი მხრივ, მსოფლიო ომის შედეგებით იყო გამოწვეული, მეორე მხრივ კი, რუსეთის რევოლუციით. ყოველივე ამან საგრძნობლად შეარყია ეკონომიკური მდგომარეობა რუსეთიდან გამოყოფილ სხვა ქვეყნებშიც.

საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსით, ასევე გამოირჩევა ხელსაყრელი სატრანზიტო მდებარეობის თვალსაზრისით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. თუმცა საქართველომ ვერ მიაღწია ეკონომიკის განვითარების სათანადო დონეს, რადგან მისი ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ რუსეთზე იყო დამოკიდებული.

დამოუკიდებლობის მოპოვების დროისათვის სოციალურ-დემოკრატიული პარტია ხალხში დიდი ნდობით სარგებლობდა. ქართულ სოციალისტურ-დემოკრატიულ პარტიას არ შეეძლო ქვეყნის კურსი ისე წაეყვანა, როგორც ეს სხვა ევროპულ სახელმწიფოებში გაკეთდა. პროგრამა უნდა მორგებულყო საქართველოს სპეციფიკას. პროგრამის შესაბამისობის ანალიზისთვის კი აუცილებელია მისი განხილვა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის კურსი არ მოქცეულა ეკონომიკური პროგრამის ჩარჩოებში. მან გაითვალისწინა საზოგადოების დამოკიდებულებები და შეხედულებები ქვეყნის ეკონომიკის მოწყობასთან დაკავშირებით და, ფაქტობრივად, ყველა ძალა ჩართო ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. ზოგ სფეროში შენარჩუნდა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა.¹ ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებისთვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მთავრობის დეკლარაციებისა და ანგარიშების განხილვა.

1919 წელს დამფუძნებელი კრების სხდომაზე განხილულ იქნა წარსულში განხორციელებული სამთავრობო ღონისძიებები. რადგან საქართველოს იმ დროისთვის საბიუჯეტო სახსრები არ გააჩნდა, რეფორმებისთვის საჭირო ხარჯები ბონების გამოშვებით დაფინანსდა, ანუ მთავრობამ ხარჯების დასაფარად ფულის მასის გაზრდის გზას მიმართა. რაც შეეხება სახსრების განაწილების წყაროებს, მრეწველობის მიმართულებით რეფორმა არ გატარებულა, ცვლილებები არ მოხდარა ასევე გადასახადების ადმინისტრირების კუთხითაც, რასაც სირთულეს თავისთავად ქონების ადმინისტრირება უქმნიდა. გადასახადები შემოსავლის მიღების მნიშვნელოვანი მექანიზმია და მისი მოუწყობელი სისტემა ქვეყანას შემოსავლებს აკარგვინებდა.

უკვე შემდეგ კრებაზე მთავრობამ ბიუჯეტის დაბალანსებისთვის მიზნად ხარჯების შემცირება და შემოსავლის სხვა წყაროების მოძიება დაისახა, რაც უთუოდ კარგი გადაწყვეტილება იყო. შემოსავლის ზრდის საშუალებებად მიიჩნიეს წარმოების განვითარება, საგადასახადო სისტემის ფორმირება და სახელმწიფო ქონების გამოყენებით ფინანსების მოძიება. დღის წესრიგში დადგა ასევე აგრარული რეფორმაც, მშრომელთა კანონმდებლობის დახვეწა და კოოპერატივების ჩაბმა ქვეყნის აღმშენებლობაში.

1 კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, პარიზი, 1935, გვ. 47

კრებაზე გამოითქვა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოსაზრება. მაგალითად, სოციალ-ფედერალისტები მთავარ აქცენტს მშრომელთა კლასზე და მათ უფლებებზე აკეთებდნენ. მათი აზრით, სწორედ მათ შეეძლოთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. აქედან გამომდინარე, ზრდის წყაროს მათთვის აგრარული რეფორმის გადასინჯვა და სახელმწიფოებრივი მეურნეობის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ გადასახადების ადმინისტრირების რეფორმას, რადგან ფიქრობდნენ, რომ გადამხელთა რიცხოვნობა ძალიან მცირე იქნებოდა და სათანადო შემოსავლების დაგროვება მაინც ვერ მოხდებოდა.

სოციალ-დემოკრატების საბოლოო პასუხი საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე იყო ის, რომ მიუხედავად კოოპერატიული, კოლექტიური მუშაობის მნიშვნელობისა ქვეყნისთვის, აუცილებელი იყო ხელი შეწყობოდა კერძო ინიციატივას. აგრარული რეფორმაც კი, რომელიც სხვა ფრაქციათა ინტერესის საგანს წარმოადგენდა, ამ პრინციპებს უნდა დამყარებოდა. სწორედ ეს იყო დასავლეთ ევროპული დემოკრატიული განვითარების გზა.

2. ქართული ფულის საკითხი

დამოუკიდებელი ქვეყნის მიერ საკუთარი ფულადი ნიშნის შემოღება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. თუმცა საქართველო ჯერ ამიერკავკასიის ბონებს, ხოლო შემდეგ ქართულ ბონებს იყენებს, რომელიც რუსულ მანეთთანაა მიბმული. საქართველოში საკუთარი ვალუტის შემოღებას ართულებდა შემდეგი ფაქტორები²:

1. ამიერკავკასიის ბონებზე შეჩვეული საზოგადოება, რომელიც შესაძლოა ახალ ფულად ნიშანს უნდობლად მოპყრობოდა.

2. ახალი ფულადი ნიშნის წინააღმდეგ არაქართველების მიერ მართული ბანკებიც გამოდიოდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართული ფულის ნიშნის მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევა მასზე მოთხოვნის არქონის გამო მის ღირებულებას დასცემდა. ამიერკავკასიური ბონი კი მიმოქცეოდა როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში.

3. საქართველოში არსებული დანესებულებები სავსე იყო რუსი მოხელეებით და ყველაფერი ამის ლიკვიდაცია ფულს მოითხოვდა. ამის დაფინანსებას კი საქართველოს ბიუჯეტი ვერ შესწვდებოდა.

მთავრობის სხდომებზე აქტუალური იყო ამიერკავკასიის ბონის ემისიის საკითხი, თუმცა გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა: ბონი სომხეთზე და აზერბაიჯანზეც უნდა გადანაწილებულიყო. საქართველოს თავდაპირველად ბონის მეტი წილი ერგო, შემდეგ კი აზერბაიჯანს ფულზე საჭიროება გაუჩნდა, რის გამოც ბონების გამოშვება თავად დაიწყო. ამის შემდგომ აშკარა ხდებოდა, რომ აზერბაიჯანი ამიერკავკასიის ბონის გამოშვებას წინ აღუდგებოდა.³

საქართველოში გაზრდილი სახელმწიფო ხარჯები წარმოშობდა საფუძვლიან წინაპირობას იმისას, რომ ქვეყანა სხვა ქვეყნებზე დიდხანს დამოკიდებული ვერ იქნებოდა. კანონი საქართველოს ბონის გამოშვების შესახებ მიღებულ იქნა 1919 წლის 11 ივლისს, რომლის მიხედვითაც ბონი გამოიშვებოდა დროებით, ასევე რუ-

2 კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, პარიზი, 1935, გვ. 63-65

3 იქვე.

სული ფულის პროპორციულად. ბანკებმა ფულის გაცემა ისევე დაიწყეს ქართულ ნიშანში, როგორც რუსულ ფულსა და ამიერკავკასიის ბონებში, ამიტომ ქართულ ფულზე კლიენტთა მხრიდან მოთხოვნა შეიქმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ფულის გაცვლითი კურსი იყო უფრო მყარი, ვიდრე აზერბაიჯანული და სომხური ბონებისა.

ქართული ფულის ღირებულება, ჭარბი ბეჭდვიდან გამომდინარე, მართალია, ეცემოდა, მაგრამ დამოუკიდებლობის დასრულებისათვის ქართულმა ფულმა სხვა ნიშნებთან შედარებით უფრო მეტი სიმტკიცე შეინარჩუნა. ეს გამონვეული იყო დადებითი მოლოდინების შექმნით, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო უცხოეთში დადებული ხელშეკრულებებით, ევროპის ქვეყნებთან გაუმჯობესებული ალბ-მიცემობითა და ტრანსპორტით.

3. სახელმწიფო მონოპოლიები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

შემოსავლების მობილიზების ერთ-ერთ გზად მთავრობამ მარგანეცის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის ფორმირება მიიჩნია. წვრილი მწარმოებლების გაერთიანება განაპირობა იმან, რომ საზღვარგარეთ უხარისხო მარგანეცი გადიოდა, რითაც ქართული წარმოების რეიტინგი ეცემოდა. ასევე ომის დროს საქართველოსთვის ჩაიკეტა ევროპული ბაზარი და მის ადგილს სხვა ქვეყნების პროდუქცია იკავებდა. 1918 წლის 27 სექტემბერს შეიქმნა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა აქციონერული საზოგადოება, რომელიც 165 სანარმოს მოიცავდა და დიდი გამოცდილების პროფესიონალ მრეწველებს აერთიანებდა.⁴ მონოპოლიების შემოღების რეფორმირების მიზნებისთვის სახელმწიფო თავის თავზე იღებდა მარგანეცის ექსპორტს. ასეთი გზით მიღებული შემოსავალი დაფარავდა ტრანსპორტირების, შენახვის და სხვა დანახარჯებს და მოიტანდა სოლიდურ მოგებას. ეს ყოველივე ხელს შეუწყობდა უცხოური ვალუტის შექმნას და ბონის გაცვლითი კურსის გამყარებას. საბოლოოდ, შეიქმნა ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოება. ასევე ფოთლოვან თამბაქოსა და მადნეულობაზე მონოპოლია გამოცხადდა.

4. აგრარული რეფორმა

დემოკრატიული მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეფორმას აგრარული რეფორმა წარმოადგენდა, რასაც, მათი აზრით, დიდი წვლილი უნდა შეეტანა ქვეყნის განვითარებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკურ რეფორმათა შორის მას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. რეფორმის პირველი ნაწილი მიწების კონფისკაცია გახლდათ. მაგრამ საინტერესო იყო, როგორ მოხდებოდა მათი განაწილება. მთავრობის პროგრამა თავდაპირველად ითვალისწინებდა იმას, რომ ეს მიწები გადასულიყო ერობის ან ადგილობრივი კომიტეტების ხელში, რომელიც მასზე იჯარას დაანესებდა, ეს კი ადგილობრივ ბიუჯეტებს შეავსებდა.⁵ თუმცა ოპოზიციური ნაწილის მტკიცებით, გლეხისთვის მიწის საკუთრებაში გადაცემა და საკუთრებაზე მინიმალური

4 თ. ათანელიშვილი, სადისერტაციო ნაშრომი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), გვ 31

5 გაზეთი ერობა, №146, 1918, 14 ივლისი

გადასახადის დაწესება სოფლის განვითარებას უფრო მეტად უზრუნველყოფდა. მიწაზე საკუთრების უფლების მინიჭება, გლეხს მუშაობისათვის უფრო მოტივირებულს გახდიდა. რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ამ მიწების დამუშავება გლეხების მიერ ტექნოლოგიების უქონლობის პირობებში, ამაზე არავინ ფიქრობდა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აგრარული რეფორმის უმნიშვნელოვანესი მიღწევა, გლეხების მესაკუთრეებად გამოცხადება იყო, მათ შორის კი იყვნენ: სახაზინო გლეხები, ახალციხისა და ახალქალაქის გლეხები და ა.შ. რეფორმატორები მიიჩნევდნენ, რომ გამრჯე გლეხები უკეთ დაამუშავებდნენ მიწას და შექმნიდნენ პროდუქტს, რაც სოფელს ხელს შეუწყობდა განვითარებაში. გადაეცემოდათ თუ არა ყველა ნაკვეთი გლეხებს მფლობელობაში და რა ფასად? მიღებული რეზოლუციის თანახმად, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ადგილ-მამულები უნდა ჩარიცხულიყო ხელუხლებელ ფონდში და გადაეცემოდა სახელმწიფოს, მათ შორის საერობო თვითმმართველობებსაც. დანარჩენი ადგილ-მამული, დაწესებული ნორმის ფარგლებში, შეღავათიან ფასებში, კერძო საკუთრებაში გადაეცემოდა უმიწაყლო და ღარიბ გლეხებს.⁶ სახნავ-სათესი მიწა – 500-1000 მანეთად დესეტინა, ხოლო მაღალი კულტურით გაშენებული მიწა (მაგ. ვენახი) – ასეთი მიწისათვის ბაზარზე არსებული საშუალო ფასით. აქედან შემოსული თანხები მიემართებოდა რეფორმათა ანაზღაურებაზე, ასევე მიწაზე არსებულ ზოგიერთ ვალდებულებათა (მაგ., ბანკის ვალი) გასასტუმრებლად და მიწის მოსაწყობი ხარჯების ფონდის შესაქმნელად.⁷

აგრარული რეფორმის ნაწილი იყო მიწების 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილება. ამ დადგენილებით მიწების ყიდვა-გაყიდვა შეჩერდა. ეს საკითხი უნდა განხილულიყო 1919 წლის დამფუძნებელთა კრების სხდომაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, არ განხილულა. 1920 წელს კი მიიღეს დეკრეტი, რომლის მიხედვითაც ყიდვა დაიშვა იმ რაიონებში, სადაც უკვე მემამულეთა მიწების მიღება დასრულებული იყო.

1920 წლის 31 იანვარს მიიღეს დეკრეტი „აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული დავა-საჩივრის განხილვის წესისა“, რომლის მიხედვითაც აგრარულ საკითხთან დაკავშირებული დავას არა სასამართლო, არამედ ადმინისტრაციული ორგანოები განიხილავდნენ.⁸

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ აგრარულმა რეფორმამ აღნიშნული ხარვეზების გამო სოფლის ეკონომიკური მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა.

5. სახელმწიფო ბანკის შექმნა

1920 წლის ივლისამდე სახელმწიფო ბანკის ფუნქციას საქართველოში რუსეთის ყოფილი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა ასრულებდა. 1918 წლის ბოლოს, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მთავრობას სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ კანონპროექტი წარუდგინა. 1920 წლამდე კი მისი დამტკიცება არ მომხდარა.

6 თ. ათანელიძე, სადისერტაციო ნაშრომი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), გვ. 52

7 კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, პარიზი, 1935, გვ. 153

8 თ. ათანელიძე, სადისერტაციო ნაშრომი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), გვ. 61

თბილისის კანტორა უბრალო სალარო იყო, მასში ფული სტამბიდან შედიოდა და ხაზინათა შორის ნაწილდებოდა. ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ფინანსთა სამინისტროს ტექნიკური აპარატი გახლდათ. სწორედ ასეთი ფუნქციების მქონე სახელმწიფო ბანკის არარსებობის გამო, კერძო ბანკები ახალ-ახალ ოპერაციებს თავად ქმნიდნენ, მათი კონტროლი კი ვერ ხერხდებოდა. აქედან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტრო აუცილებლად ხედავდა სახელმწიფო ბანკის შექმნის იდეას და სახელმწიფო ბანკის კანონპროექტიც მოამზადა. ამ კანონპროექტის დამტკიცებას ბევრი სირთულე გადაეღობა წინ. აუცილებელი იყო კონსულტაციების მიღება სპეციალისტებისაგან, ექსპერტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ბანკის ტიპის განსაზღვრა. ერთი ვარიანტი სააქციო ტიპის ბანკის შექმნა იყო, თუმცა მას კერძო აქციონერთა მხრიდან დაბალი სარგებლის მიღების მოლოდინი გამოიხატებოდა. ამ შემთხვევაში ის იქნებოდა რუსეთის სახელმწიფო ბანკის მსგავსი და სრულიად საწინააღმდეგო ევროპული ბანკებისა. მეორე პრინციპული საკითხი კი იყო, ვის უნდა დაქვემდებარებოდა იგი. თუ იგი ფინანსთა სამინისტროს დაემორჩილებოდა, ამ კონტექსტში იგი სრულიად განსხვავებული იქნებოდა ევროპული ბანკებისა. ამიტომ ოპტიმალური გზა უნდა შერჩეულიყო. გადაწყდა, რომ იგი მსგავსი ყოფილიყო შვედური ბანკისა, რაც გულისხმობდა იმას, რომ ის არა კერძო აქციონერებისაგან, არამედ ხაზინიდან დაფინანსდებოდა და სარგებელსაც ხაზინა მიიღებდა, დაქვემდებარების საკითხში კი-იგი პარლამენტს დაექვემდებარებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო ბანკის დაარსება დროში ძალიან გაინელა და იგი დაარსდა მაშინ, როცა ქართული ფულის გაცვლითი კურსი დაეცა. ამიტომ ნაცვლად 50 მილიონისა, მის ასამოქმედებლად 150 მილიონი მანეთი გამოიყო.

საქართველოს სახელმწიფო ბანკს ასევე კერძო ბანკების ოპერაციებისთვის თვალყურისდევნება და კონტროლი დაევალა. ის გახდა ბანკთა ბანკი, რითიც, ფაქტობრივად, საბანკო სექტორის მარეგულირებელი ინსტიტუტი შეიქმნა.

სახელმწიფო ბანკმა მოიპოვა საზოგადოების ნდობაც, რასაც მოწმობს მასში განთავსებული დეპოზიტების ზრდა (1920 წლის სექტემბერი – 412.427 ათასი მან. და დეკემბერი 667.571 ათასი მან.).⁹

სწორედ 1920 წელს შექმნილი ცენტრალური ბანკის ბაზაზე (პრეზიდენტი იასონ ლორთქიფანიძე – 1920 წლის ივლისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე) 1991 წელს შეიქმნა თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკი, რომლის ბაზაზეც, თავის მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი დაფუძნდა.

9 თ. ათანელიძე, სადისერტაციო ნაშრომი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), გვ. 138

გამოყენებული ლიტერატურა:

ათანელიშვილი თ., სადისერტაციო ნაშრომი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გაზეთი ერობა, №146, 1918 წელი, 14 ივლისი
კანდელაკი კ., საქართველოს ეროვნული მეურნეობა: წიგნი I, პარიზი, 1935; წიგნი II, პარიზი, 1960
ხომერიკი ნ., აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, თბილისი, 1920.
ჯავახიშვილი ნ., ქართული ბონისტყკა, თბილისი, 1996.

Tamar Kvantaliani
PhD Student at Caucasus School of Economics
Caucasus University

ECONOMIC REFORMS IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (1918-1921)

Summary

Georgia met its independence with considerable difficulties. However, the idea of independence caused great joy and optimism among the Georgian people. The Democratic government carried out the following reforms: agrarian reform, introduction of georgian money, announcement of monopolies, creation of State Bank, etc. Some reforms were successful and other less so.

The introduction of Georgian currency was a great achievement for Georgia, since its legal tender was still maintaining value when the currencies of neighboring countries were depreciating. The Georgian money was very strong in this regard. Georgian government started issuing money to finance expenses despite the fact that it was not sure how Bon could respond to this.

Agrarian reform, which was aimed at rural development, obviously, was unsuccessful due to many problems. As for the State Bank, It set the foundation for a modern Central Bank and became regulatory institution of banking sector, which still supervises the banking sector in Georgia, sets the effective monetary policy and ensures price stability.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

მაია ახვლედიანი
ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლელა ეძგვერაძე
ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერთი საგანმანათლებლო კერა XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოში

მეოცე საუკუნის დასაწყისი მეტად საინტერესო პერიოდია განათლებისა და კულტურის საკითხებისადმი მიდგომების თვალსაზრისით. ეს არის ეპოქა, როცა საზოგადოების პროგრესული ნაწილი აცნობიერებს ფართო მასების განათლები-სა და კულტურის დონის ამაღლების აუცილებლობას, სწავლების ფორმებისა და შინაარსის მოდიფიცირების საჭიროებას, იზრდება დაწყებითი და საშუალო სას-წავლებლების რიცხვი, სულ უფრო და უფრო მეტი დაბალი წოდების წარმომად-გენელი იღებს ფორმალურ განათლებას, დღის წესრიგში დგება ახალი სახელმძ-ღვანელოების შექმნისა და სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწის, პროფესიონალ მასწავლებელთა მომზადებისა და უკვე მოქმედ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები. კოლონიური მდგომარეობის მიუხედავად, ქართული საზო-გადოება თანდათანობით ახერხებს მშობლიურ ენაზე სწავლების მოცულობის გა-ფართოებას.

ამ ეპოქის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია კულტურულ-საგანმანათლებ-ლო საზოგადოებათა სიმრავლე, რომლებიც წარმოადგენდნენ ფართო მასებში ნიგნიერებისა და კულტურის გავრცელების კერებს. 1917 წლისთვის საქართვე-ლოში მოქმედებდა ოცდაათამდე ასეთი საზოგადოება, რომელთა შორის მუშაო-ბის მასშტაბებითა და მნიშვნელოვნებით უნდა გამოვყოთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, საზოგადოება „განათლება“ (1908-1921 წწ.), საზოგადოება „სინათლე“ (1915 წ.). ამ ორგანიზაციების მოღვაწეობა მოი-ცავდა სახალხო სკოლების გახსნას, ნიგნების გამოცემას, ქართულ ენაზე სწავლები-სათვის მასწავლებელთა მომზადებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საზოგადოება „სინათლის“ მიერ 1915 წელს ქუთაისში დაარსებული სკოლა, რომლის დირექტორად-აც დაინიშნა ცნობილი ქართველი პედაგოგი და მეცნიერი დიმიტრი უზნაძე.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სპეციფიკურ ფორმას წარ-მოადგენდა „სახალხო უნივერსიტეტები“, რომლებიც ფუნქციონირებდნენ თბილის-ში, ქუთაისში, გორსა და ჭიათურაში. ამ ორგანიზაციების ძირითადი დანიშნულე-

ბას ზრდასრულთა შორის განათლებისა და კულტურის გავრცელება შეადგენდა.

პირველი სახალხო უნივერსიტეტი დაარსდა თბილისში 1907 წელს. უნივერსიტეტის ეგიდით ტარდებოდა ლექციები, იმართებოდა კონცერტები, გაიხსნა საღამოს სკოლები მოზრდილთათვის, სადაც სწავლობდნენ საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენლები (მუშები, მოსამსახურეები, ნოქრები და ა. შ.). ამ ხაზს აგრძელებდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტიც, რომელიც 1909 წელს იქნა დაფუძნებული.

ქუთაისის „სახალხო უნივერსიტეტი“ ფართო მასებში განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებასთან ერთად მკვეთრად გამოხატული ეროვნული ორიენტაციით გამოირჩეოდა. იგი, ფაქტობრივად, ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ბაზაზე აღმოცენდა. უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო გიმნაზიის მასწავლებელი ალექსანდრე გარსევანიშვილი. მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა გიმნაზიის თითქმის მთელი კოლექტივი. ეს იყო რუსიფიკაციის მძლავრი ტენდენციების პირობებში ქართულ ენაზე სწავლების უფლების მოპოვებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში ნაწილობრივ პიროვნებათა ჯგუფი, რომელთათვისაც ეს ორგანიზაცია კიდევ ერთი მონაპოვარი იყო ეროვნული სულისკვეთების გაძლიერების თვალსაზრისით. სახალხო უნივერსიტეტთან უშუალოდ დაკავშირებული ქართველი მწერალი, დავით კლდიაშვილი, თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ გაცხადებს გამოხატავდა იმ ფაქტის გამო, რომ გარსევანიშვილმა შეძლო და მთავრობას გამოსცყუა სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა.

უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარედ თავდაპირველად მოსე ქიქოძე აურჩევიათ, შემდგომში იგი შეცვალა ალექსანდრე გარსევანიშვილმა, თავმჯდომარის მოადგილედ დავით კლდიაშვილი იქნა არჩეული. უნივერსიტეტის რეზიდენცია იყო კინოთეატრი „რადიუმი“.

უნივერსიტეტის საქმიანობა საჯარო ლექციების კითხვით დაიწყო. ლექციები საზოგადოებრივ საწყისებზე იმართებოდა. პირველი შეკრება 1910 წლის 31 დეკემბერს გაიმართა ქალაქის თეატრში. დავით კლდიაშვილის აღწერით, უნივერსიტეტის გახსნის დღე ქუთაისში სახალხო ზეიმად იქცა. თეატრი მოზღვავებულ ხალხს ვერ იტევდა. შეკრებილი საზოგადოება ერთმანეთს ულოცავდა ახალი საქმის დასაწყისს. შემდგომში ლექციები რეგულარულად იმართებოდა ყოველ კვირას შუადღით. თეატრისა და კინოს ადმინისტრაცია უნივერსიტეტს უფასოდ უთმობდა დარბაზს. გამგეობის გადაწყვეტილებით, ერთ შეხვედრაზე მხოლოდ ორი ლექცია იკითხებოდა.

„სახალხო უნივერსიტეტის“ მიერ ორგანიზებული ლექციები ქართულ ენაზე იკითხებოდა. ამ ფაქტმა გარკვეული პრობლემები წარმოშვა. ბევრი საინტერესო პიროვნება, რომელთაც განათლება რუსულ ენაზე ჰქონდათ მიღებული, სათანადოდ არ ფლობდა ქართულ ენას, ფაქტობრივად, არ შეეძლო ხანგრძლივი საჯარო ლექციის წაკითხვა. ლექტორთა ძირითად ბირთვს ქართული გიმნაზიის პედაგოგები შეადგენდნენ. თუმცა სათანადო ძალისხმევის შედეგად ამ პროცესში სხვა სფეროში დასაქმებული ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი ჩაერთო.

სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობაში ქუთაისის მთელი განათლებული საზოგადოება იღებდა მონაწილეობას. საჯარო ლექციებსა და მოხსენებებს კითხულობდნენ ღრმად განსწავლული პედაგოგები: დიმ. უზნაძე, ს. რობაქიძე, ს. ხუნდაძე, ალ.

ჯანელიძე, ს. დათეშიძე, ლ. ჩიმაკაძე, ვ. წერეთელი, ს. ქვარიანი, აკ. ფალავა, ალ. წერეთელი, გ. ჭუბაბრია. მუშაობაში მონაწილეობდნენ და უნივერსიტეტს ფულადი სახსრებით ეხმარებოდნენ ქართული გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი, მოადგილე სილოვან ხუნდაძე, მასწავლებლები პეტრე და სიმონ ყიფიანები, თომა მთავრიშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, მწერლები: აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, შალვა დადიანი და მიტროფანე ლალიძე.

სახალხო უნივერსიტეტის ეგიდით ორგანიზებული შეხვედრები წარმოადგენდა სასწავლო-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა და კულტურული დასვენების ნაზავს. ლექციები ტარდებოდა მსმენელთათვის საინტერესო თემებზე. თემატიკის მრავალფეროვნება ქართული საზოგადოების მრავალმხრივ ინტერესებზე მიუთითებს. ლექციებზე განიხილებოდა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, რუსეთისა და მსოფლიო ისტორია, ასევე, ფილოსოფიის, ეკონომიკის, კანონმდებლობის, პედაგოგიკის საკითხები. იმართებოდა დილა-სალამოები, დისპუტები, ლიტერატურული გასამართლებები. ზოგიერთი ლექცია და მოხსენება იბეჭდებოდა პრესაში, გამოიცემოდა როგორც წიგნი (მაგალითად, უნივერსიტეტმა წიგნად გამოსცა შევჩენკოს შესახებ გარსევანიშვილის მოხსენება). მოხსენებებს შორის და დასასრულს ქართული გიმნაზიის გუნდი ნიკო შარაბიძის ლოტბარობით და იმავე გიმნაზიის სიმებიან ორკესტრი არტემ კვაჭანტირაძის ხელმძღვანელობით ასრულებდა მუსიკალურ ნაწარმოებებს. ზოგჯერ პოეტებიც კითხულობდნენ საკუთარ ქმნილებებს.

სახალხო უნივერსიტეტმა უდავოდ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზოგადოების კულტურულ განვითარებაზე. ამაზე მეტყველებს მაღალი ინტერესი საზოგადოების მხრივ. „მხოლოდ 1910 წელს, ე.ი. დაარსებიდან 1 წლის განმავლობაში 18 ლექტორისაგან წაკითხულ იქნა 56 ლექცია, საშუალოდ თითოეულ მათგანს დაესწრო 474 მსმენელი“ (1. გვ.21).

უნივერსიტეტმა თანდათანობით გააფართოვა მოღვაწეობის არეალი. 1910 წელს უნივერსიტეტთან დაარსდა კურსები. კურსების პროგრამით ისწავლებოდა არითმეტიკა, ქართული და რუსული ენა, ბუნებისმეტყველება (ქიმია, ფიზიკა, ბოტანიკა), რუსული ან ქართული ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურა, საქართველოს, რუსეთის და მსოფლიოს ისტორია, გეოგრაფია, კანონმდებლობა და გალობა. მეცადინეობა მიმდინარეობდა კვირაში სამჯერ, 8-დან 11 საათამდე. გაკვეთილი გრძელდებოდა 50 წუთს – დასვენებისათვის 10 წუთი იყო დათმობილი. კონტინგენტი ჯგუფებად იყო დაყოფილი მსმენელთა ცოდნის და მომზადების გათვალისწინებით. სასწავლებელი 3 განყოფილებისაგან შედგებოდა. პირველ განყოფილებაში ირიცხებოდნენ წერა-კითხვის უცოდინარნი, მათ ქართულ წერა-კითხვას და ანგარიშს ასწავლიდნენ, II განყოფილებაში ქართულ, რუსულ ენებს, გეოგრაფიას და ანგარიშს ითვისებდნენ, III განყოფილება კომპლექტდებოდა შედარებით მცოდნე კონტიგენტისაგან, აქ ღრმად ისწავლებოდა ქართული ლიტერატურა. დანარჩენი საგნების სწავლებისათვის ლექციური სისტემა იყო გამოყენებული.

კურსების ბევრმა მსმენელმა მიიღო სიმწიფის ატესტატი. ამით შეექმნათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის შესაძლებლობა. ყურადსაღებია, რომ კურსებზე პედაგოგთა უმრავლესობა მუშაობდა უსასყიდლოდ, ხელფასის გარეშე. ქუთაისის მუზეუმში დაცულია გამგეობის სხდომის ოქმი, სადაც ფიქსირებულია, რომ უნი-

ვერსიტეტის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის „მადლობა გამოეცხადოს სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგეს ი. ოცხელს, რომლის ნება დართვით სიმე-ბიანი ორკესტრი და მგალობელთა გუნდი მისდამი რწმუნებული სასწავლებლისა კონცერტებზე მონაწილეობას იღებდნენ სახალხო უნივერსიტეტში. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსი არიან ბ.ბ. არტ. კვაჭანტირაძე და ნ. შარაბიძე. ესენი მუდამ თანაგრძნობით ეპყრობიან ჩვენ კულტურულ დაწესებულებას და როცა საჭიროც იყო, მონაწილეობას ღებულობდნენ კონცერტების მოწყობაში“ (2. ფ. 2;4.).

„სახალხო უნივერსიტეტი“ იყო მრავალი საინტერესო ინიციატივის მოთავე: მან დააყენა საკითხი სოფლის სკოლებში (ობჩაში, სვირში, აცანაში) ბიბლიოთეკების გახსნის საჭიროების შესახებ, მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსების მოწყობის შესახებ. ცდილობდა მუშაობა გაეშალა რეგიონის მასშტაბით. ადგილობრივი ორგანიზაციების მოწვევით მრავალი ლექცია იქნა წაკითხული ფოთში, სამტრედი-აში, ახალ და ძველ სენაკში, საჩხერეში, ზუგდიდში, ყვირილაში...

უნივერსიტეტის საქმიანობა ვრცელდებოდა კულტურისა და თეატრის სფეროზეც. იგი თანამშრომლობდა ქუთაისში დაარსებულ სცენისმოყვარეთა წრესთან. უნივერსიტეტისა და სცენისმოყვარეთა წრის თანამშრომლობამ სა-ძირკველი ჩაუყარა სახალხო თეატრს, რომლის დანიშნულებასაც, გამგეობის აზ-რით, მშრომელთა მასებში სასცენო ხელოვნების გავრცელება იყო.

უნივერსიტეტის გამგეობის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით დრამატულ კო-ლექტივს სისტემატურად უნდა მოეწყო იაფფასიანი წარმოდგენები და დაედგა დროის შესაფერი მიმართულების პროგრესული და ხალხისათვის გასაგები პიესები. პროფესიონალ მსახიობებთან ერთად ჯგუფში შედიოდნენ სალამოს კურსების მუ-შა-მსმენელები. პიესის წარმოდგენის წინ ერთ-ერთ ლექტორს უნდა აეხსნა დამს-წრე საზოგადოებისათვის როგორც დრამატიული ნაწარმოების მოკლე შინაარსი, ისე მისი მთავარი არსი (5. გვ. 41-42).

თავისი ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში „სახალხო უნივერ-სიტეტი“ ორიენტირებული იყო განვითარებაზე. საქმიანობის თანდათანობით გა-ფართოებასთან ერთად ამაზე მეტყველებს უნივერსიტეტის მსმენელთა გამოკითხ-ვის მიზნით შედგენილი კითხვარი, რომელიც უნივერსიტეტის მუშაობის შეფასების კვალობაზე პრობლემების იდენტიფიკაციასა და განვითარების პერსპექტივების დასახვას ემსახურება.

კითხვარი დაცულია ქუთაისის მუზეუმში და თუმცა არ მოიპოვება მასალა გამოკითხვის შედეგების შესახებ, თავად კითხვარში იკვეთება ავტორის სურვილი დაადგინოს მსმენელთა დამოკიდებულება უნივერსიტეტის მუშაობისადმი და გან-საზღვროს მომავალი მუშაობის ვექტორი.

კითხვარი სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა გამოსაკითხად 1912 წ. (ე.ი. უნივერსიტეტის დაარსებიდან მესამე წელსაა შედგენილი).

1. რა მიზნით დადიოდი ლექციებზე სახალხო უნივერსიტეტში?
2. იშვიათად დაიარებოდი თუ ხშირად?
3. ხარ კმაყოფილი საერთოდ ამ ლექციებზე სიარულით თუ არა?
4. იქნებ გახსოვთ ერთი ლექცია, რომლის შინაარსი გაუგებარი დარჩა თქვენთვის?
5. დადიოდი თუ არა სადღესასწაულო დღეებზე და რა შთაბეჭდილებით ბრუნ-დებოდი სახლში?

6. მოგიტანა თუ არა სარგებლობა შენ, ან შენ ნაცნობ მსმენელებს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა?“ (4. ფ.1)

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის საქმიანობა ღრმა ეროვნულ პრინციპებზე იყო დაყრდნობილი, ვინრო ეროვნული განათლებით არ კმაყოფილდებოდა, მსმენელთა ყოველმხრივი განვითარება ჰქონდა მიზნად, მისი სამუშაო პროგრამა ითვალისწინებდა მოძმე ერების ისტორიისა და ლიტერატურის გაცნობას, ამაზე მეტყველებს სახალხო უნივერსიტეტის მიერ გამართული დიღები და საღამოები და თემატიკა: დიდი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი, უკრაინის დიდი პოეტი შევჩენკო, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, ქართული კულტურის უდიდესი მოამაგე ილია ჭავჭავაძე, ქართული პოეზიის მშვენიება – აკაკი, ალექსანდრე ყაზბეგი, ლევ ტოლსტოი, პოეტი ნეკრასოვი და სხვ.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის უალრესად მნიშვნელოვან მიღწევებზე მეტყველებს ის პარადოქსული ფაქტი, რომ ეროვნული ორიენტაციის საგანმანათლებლო კერის მუშაობა აღნიშნულია იმდროინდელი მთავრობის ჯილდოთი. როგორც ჩანს, სახალხო უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებელთა, ე.ი. ქართული გიმნაზიის მთელი კოლექტივის უანგარო შრომის შედეგებს ხელისუფლებამ გვერდი ვერ აუარა და იმპერიის მასშტაბით მუშაობის შეფასებისას ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტს მეორე ადგილი მიანიჭა (პირველი ადგილი ერგო სამარის სახალხო უნივერსიტეტს).

1918 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ დაიწყო განათლების არსებული სისტემის რეორგანიზაცია. 1918 წლის ივლისში გაუქმდა კავკასიის სასწავლო ოლქი. ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, რომელიც დემოკრატიულმა მთავრობამ განათლების საკითხებთან დაკავშირებით მიიღო იყო ეროვნულ ენაზე განათლების შემოღება, რაც გულისხმობდა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას არა მხოლოდ ქართველთათვის, არამედ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვისაც. ერთ-ერთ პრიორიტეტად იქნა აღიარებული საყოველთაო-სახალხო განათლების გავრცელება. განათლება ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენლისთვის, მიუხედავად წოდებრივი და ეკონომიური მდგომარეობისა. ასევე, მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული „საპროფესიო“ და სპეციალური განათლების სკოლების დაარსება, რომელთა ტიპიც ადგილობრივ მცხოვრებთა ბუნებრივ საქმიანობას გაითვალისწინებდა.

დასახული პრიორიტეტების განსახორციელებლად ხელისუფლება გეგმავდა მთელ რიგ ღონისძიებებს: მასწავლებელთა ქართულ ენაში მოსამზადებელი და მოკლევადიანი საპედაგოგო კურსების ორგანიზებას, უფასო სახალხო სკოლის დაარსებას, ახალი სახელმძღვანელოების მომზადებასა და არსებულის ინსპექტირებას...

დავინწყებული არ იყო ზრდასრულთა განათლების საკითხიც. საყოველთაო სწავლების ფარგლებში მოიაზრებოდა უფროსი ასაკის ადამიანების განათლების საკითხი. 1918 წლის 1 სექტემბერს გამოქვეყნებულ ვ. კაკაბაძის სტატიაში „სწავლა განათლების მოწყობის საქმე“, გამოთქმულია აზრი, რომ აუცილებელია საყოველთაო სწავლება არა მარტო ბავშვებისთვის, არამედ უფროსებისთვის. ავტორი ადასტურებს საკვირაო სკოლებისა და საღამოს კურსების აუცილებლობას, მსჯელობს მათი ორგანიზების პრინციპებზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების უწყება მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სკოლისგარეშე განათლებას, რომელიც სკოლის ასაკს გადაცილებულ მოქალაქეებს აძლევდა საშუალებას შეეძინათ ცოდნა და გონებრივად განვითარებულიყვნენ. საკვირაო სკოლებისა და სახალხო უნივერსიტეტების მხარდაჭერის მიზნით, 1920 წელს სამინისტრომ მოითხოვა და ხაზინამ გაიღო 2 მილიონი მანეთი.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა ამ ეპოქალური ცვლილებების ფონზე მუშაობის რეორგანიზაციის გეგმა შეიმუშავა. ქუთაისის მუზეუმში აღმოჩნდა უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარის ალ. გარსევანიშვილის მიერ შემუშავებული რეორგანიზაციის პროექტი, რომელშიც საყოველთაო განათლების მნიშვნელობის გათვალისწინებით მასშტაბურადაა წარმოდგენილი უნივერსიტეტის სამომავლო მიზნები და ამოცანები.

ალ. გარსევანიშვილი მიმოიხილავს რა „სახალხო უნივერსიტეტის“ მნიშვნელობასა და დანიშნულებას არსებობის პირველ ეტაპზე – „აქამდე სახალხო უნივერსიტეტს უფრო ფართო მასის აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული. გონივრული გართობა, დრო-გამოშვებით გონიერი სიტყვის გაგონება იმ მძიმე ფიზიკური მუშაობის ატმოსფეროში, რომელშიც მუშა იმყოფებოდა... აუცილებლად საჭირო ცოდნის მიცემა არ შეადგენდა მიზანს სახალხო უნივერსიტეტისას“ (4. ფ.2.) – სახავს ახალ, უფრო მნიშვნელოვან მიზნებს.

სახალხო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის გეგმაში ვკითხულობთ: „სახალხო უნივერსიტეტი უნდა იყოს აუცილებელი საფეხური უნივერსიტეტში შესასვლელად იმათთვის, ვისაც საშუალო სკოლა არ გაუთავებია“ (4. ფ.5.) პროექტის მიხედვით რესპუბლიკის მასშტაბით უნდა დაგზავნოდა წერილები წარმოება-დანესებულებებს პერსპექტიული მუშაკები გამოეგზავნათ ქუთაისის უნივერსიტეტში ჩასარიცხად ხელფასის შენარჩუნებით. ასეთი მუშაკები კი 2 საათით ადრე გაეთავისუფლებიათ სამუშაოდან უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად. უნივერსიტეტის მსმენელებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის უნივერსიტეტთან ახლოს სასადილო უნდა გახსნილიყო, უნივერსიტეტის მსმენელებს კარგი სამკითხველო უნდა ჰქონოდათ.

რეორგანიზაციის გეგმის მიხედვით უნივერსიტეტს სამი განყოფილება ექნებოდა:

1. საზოგადოებრივ მეცნიერებათა
2. საბუნებისმეტყველო
3. ფიზიკა-მათემატიკური

ამას გარდა, სახალხო უნივერსიტეტში სპეციალურად უნდა მოწყობილიყო ქართული ენის შემსწავლელი კურსები არაქართველთათვის.

პროექტის ავტორის მიერ დასახული მიზნები აშკარად შეესაბამებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სწავლა-განათლების დასახულ ტენდენციებს. ნათელია, რომ „სახალხო უნივერსიტეტთან“ დაკავშირებული პედაგოგებიც წარმატებით შეძლებდნენ დასახული ამოცანების გადაჭრას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საინტერესო საგანმანათლებლო კერამ არსებობა შეწყვიტა. ეს ფაქტი, როგორც ჩანს, განაპირობა საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე ისტორიულმა პროცესებმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კიკნაძე ზ., (1959) ალექსანდრე გარსევანიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, გვ.21. თბ.
- ქიმ. 2017-18, ფ. 2; 4.
- მახარობლიძე გ., (1929), ჟურნ. „განათლების მუშაკი“, 1929 წ., N8; თბ., გვ. 41-42
- ქიმ. 2017 -288, ფ. 1; ფ. 2; ფ. 5
- ახვლედიანი მ., (2009), ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, //ალექსანდრე გარსევანიშვილი // გვ. 96-104; ქუთ.
- კლდიაშვილი დ., (1961), „ჩემი ცხოვრების გზაზე“, თბ.
- მურღულია თ., (2018), განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918-1921 წლების საქართველოში. დისერტაცია, განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწრის უფლებით

Maia Akhvlediani
Associate Professor
Akaki Tsereteli State University

Lela Edzgeradze
Associate Professor
Akaki Tsereteli State University

ON ONE EDUCATIONAL CENTER IN GEORGIA IN THE 1910S

Summary

The end of the 19th century and the beginning of the 20th century are characterized by an unprecedented surge in the educational processes in Georgia. Special attention should be attached to the organizations that have arisen as a result of the great efforts of the Georgian patriots under conditions of total Russification, where the educational process was conducted in Georgian language. Among these educational centers, there is a decent place for the „People’s University“, which was functioning in Kutaisi in the 1910s.

It was the intention of founders that the University had the function of bringing education into the wider communities. Public lectures were held on a voluntary basis, and they were of mass proportions. Because of great interest from society, they were often conducted in the theater building. According to the archival data, 56 lectures were held during one year, and on average 474 students attended each of them.

The University’s educational function was further enhanced in 1910, when courses were established at the University, where the following subjects were taught: arithmetic, Georgian and Russian languages, Environmental Studies, Russian and Georgian

literatures, world literature, history, geography, legislation and church chanting. These courses contributed considerably to the education of Georgian society. There were groups, in which the the beginners were taught grammar and arithmetic, and the groups, upon successful completion of which the course participants were awarded certificates, which allowed them for continuing their studies at a higher education level.

The „People’s University“ was an instigator of many interesting initiatives: it raised the question of the need to open libraries in rural schools and to organize summer courses for teachers. The University tried to initiate work on a regional scale. By the invitation of local organizations, numerous lectures were held in Poti, Samtredia, Senaki, Sachkhere, Zugdidi ... The activity of this organization were expanded into the field of culture and theater as well. It also collaborated with the dramatic arts circle in Kutaisi.

During the entire period of its functioning, the „People’s University“ was development-oriented. Along with a gradual expansion of activities, this is indicated by a questionnaire drafted for the survey purpose of the University students, which serves to identify problems and set development prospects in the context of assessment of the University. A clear expression of this tendency is a reorganization plan for the „People’s University“, which was developed by Al. Garsevanishvili in 1919, with account for the public needs, and deals with the change in the format of work. It should be noted that this plan envisaged the establishment of Georgian language courses for non-Georgian students.

When assessing activities of the People’s University from the modern positions, a progressive nature of this event is clearly seen, as well as its importance for the development of Georgian society. Unfortunately, the Kutaisi People’s University ceased to function after the 1910s. Many important ideas remained unrealized.

The progressive Georgian society was associated with the People’s University. The initiator of its founding, and later the Chairman of the Board was Al. Garsevanishvili, lectures were delivered and educational activities were carried out by D. Uznadze, S. Robakidze, S. Khundadze, Al. Janelidze, S. Dateshidze, S. Kvariani, Art. Kvachantiradze ... These activities involved I. Otskheli, Akaki Tsereteli, David Kldiashvili, Giorgi Zdanovich, Shalva Radiani, Mitropane Laghidze, who were also supporting the University financially ... We should never forget the names of those educators, who carried out educational activities without any kind of compensation.

დიმიტრი უზნაძე – საქართველოში სასკოლო სისტემის რეფორმატორი (1910–1921)

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია დაახლოებით 1910–1916 წლებში ჩამოყალიბდა. ეს იყო შეხედულებათა სისტემა, რომელიც მოიცავდა სწავლებისა და აღზრდის პრინციპების, პედაგოგიური ცნებების დეფინიციას. იგი საფუძვლად დაედო აქტიური პიროვნების, ახალი ტიპის ქართველის აღზრდის იდეას. მისი პედაგოგიური შეხედულებების საფუძველი პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა გახლდათ, რომელსაც ის ეწეოდა ქუთაისში მეოცე საუკუნის დასაწყისში.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დიმიტრი უზნაძის წერილი „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“. ეს წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“ 1912 წელს. მასში, ექსპერიმენტული პედაგოგიკის მნიშვნელობის გარდა, საუბარია აღზრდის მნიშვნელოვან პრობლემებზე.

სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული აღზრდის რთული ბუნება, რომ იგი არაა ერთგვაროვანი, არამედ აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მიმდინარე პროცესია; აღზრდა აუცილებლობით გულისხმობს აღმზრდელსა და აღსაზრდელს, რომელიმე მათგანის გამორიცხვით წყდება აღზრდის პროცესი. აქ დიმიტრი უზნაძე სავსებით სწორად მიუთითებს და აღნიშნავს აღზრდის, როგორც სოციალური პროცესის რთულ ბუნებაზე.

მსჯელობს რა აღზრდის რთულ ბუნებაზე, დიმიტრი უზნაძე წარმოგვიდგენს მისგან გამომდინარე ერთ–ერთ ძირითად წინააღმდეგობრივ მომენტს, რაც „პედაგოგიური პრაქტიკის“ თვით შუაგულშია ამოთხრილი“, და მას „აღზრდის ტრაგედიას“ უწოდებს. რა არის აღზრდის რთული ბუნების ერთ–ერთი გამომხატველი ეს ტრაგედია? დიმიტრი უზნაძის აზრით, ის აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა წინააღმდეგობაში მდგომარეობს. ბავშვი იოლად არ ემორჩილება აღმზრდელობით ღონისძიებებს, რადგან ისინი თავიანთი სოციალური მიზანდასახულობით გაუგებარია მისთვის. ეს, მართლაც, სიძნელეს ბადებს აღზრდის პროცესში: „ის, რაც აღმზრდელის შეხედულებით კეთილდღეობასა და ბედნიერებას წარმოადგენს, აღსაზრდელის რწმენით ხშირად უბედურება და წამება იქნება.... აღმზრდელი სოციალური თვალსაზრისით ჭვრეტს ამ კეთილდღეობას და აღსაზრდელი კი თავისი საკუთარი ინტერესების მხრით, ინდივიდუალურად. გონიერება მოითხოვს, მყობადი აწმყოს შეწიროთ, მცირე სიამოვნება დიდსა და ხანგრძლივ კეთილდღეობას ანაცვალოთ. მაგრამ მოზარდი სულ სხვაგვარად ფიქრობს და სულ სხვას მოითხოვს. მას მომავალი არა სწამს და მას აწმყოს ვერასდროს და ვერაგზით ვერ ანაცვალებს. იგი მომენტით ცხოვრობს და მომენტის მონაა. ამიტომ იგი

ერთი წუთითაც კი არავის დაუთმობს თავის აწმყოს“.¹

„ნამდვილ პედაგოგიკას, – წერს დიმიტრი უზნაძე, – მხოლოდ ერთი გზა გააჩნია, რომელზე სრბოლაც მას თავისი მიზნის განხორციელებამდე მიიყვანს. ეს გზა თვით ბავშვის ბუნების ნათელყოფაა, მისი ფსიქოლოგიის ცოდნა. მხოლოდ ასეთ შემეცნებას, ასეთ ცოდნას შეუძლია იმ კანონთა და ნორმათა ნათელყოფა, რომელთაც უნდა ექვემდებარებოდეს აღმზრდელი, თუ გსურს რომ, მისი მოქმედება გონიერს ნიადაგზე იყოს დამდგარი. ამრიგად, ნამდვილი პედაგოგიკის ნიადაგსა და საფუძველს ბავშვის ფსიქოლოგიის შემეცნება უნდა შეადგენდეს“.² „აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში, უეჭველია, გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუძს „ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა“. პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობას წარმოადგენს, სწორედ, ბავშვის ბუნების უშუალო წვდომა, მისი გრძნობებისადმი „სულიერი მღელვარებისადმი“ თანაგრძნობა– ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან.

ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და აღზრდის ტრაგედიის კვლევის გარდა, დ. უზნაძე აქტიურად ერთვება რეფორმატორულ საქმიანობაში. 1915 წელს მან დაიწყო თავის მიერ შექმნილი პედაგოგიური სისტემის გადმოტანა და განხორციელება ქუთაისში, მაშინდელ ახლად შექმნილ ქართულ სკოლაში, რომელიც „სინათლის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

1917 წლის 27 მარტს ქუთაისში კლასიკური გიმნაზიის ეზოში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო დიმიტრი უზნაძემ. ყრილობის დღის წესრიგში იდგა საკითხი: ერთგვარი სკოლების დაარსება, პროგრამები და მომავალი სასწავლო წლიდან სკოლის ნაციონალიზაცია. სკოლების შემუშავებისა და დაარსების შესახებ მოხსენება გააკეთა დიმიტრი უზნაძემ. მან კრებაზე წამოაყენა შემდეგი დებულებები: „1. საპროფესიო განათლება და ზოგადი განათლება ცალ-ცალკე უნდა არსებობდეს; 2. საზოგადო განათლების სკოლა წინ უნდა უსწრებდეს საპროფესიო განათლების სკოლას; 3. საზოგადო განათლების სკოლა უნდა იყოს რვანლიანი, ამასთანავე ყველასათვის სავალდებულო და ერთი; 4. საზოგადო განათლების სკოლა ყველა ძალას უნდა ავითარებდეს, ამიტომ მინიმალური პროგრამა ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს; 5. საზოგადო განათლების სკოლა გზას უნდა უხსნიდეს მოწაფეს ყოველი დარგის საშუალო სკოლისათვის; 6. მიზანი საზოგადო განათლების სკოლისა არის ხასიათის სიმტკიცის შემუშავება; 7. მთლიანი სწავლა – აღზრდა საზოგადო სკოლაში უნდა იყოს დაფუძნებული თვითმმართველობაზე; 8. საპროფესიო სკოლა უნდა უნდა იყოს სავალდებულო ყველასათვის, ვინც სხვა ტიპის სკოლაში არ გადადის; 9. საპროფესიო სკოლები სხვადასხვა დარგისა უნდა იყოს ადგილის მიხედვით“.³

დიმიტრი უზნაძის მიერ წამოყენებული დებულებები დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობამ მოიწონა და გადასცა მთავარ გამგეობას გასავრცელებ-

1 უზნაძე, დ., აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, ჟურნალი „განათლება“, 1912, №6, გვ. 429-431

2 უზნაძე, დ., ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი, ქუთაისის სტამბა, ქუთაისი, 1912, გვ.55

3 უზნაძე, დ., ნაციონალური სკოლის შესახებ, გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917, 28 მარტი, გვ.3

ლად. დაიწყო მუშაობა ახალი სახელმძღვანელოების, სასკოლო პროგრამების, მასწავლებლების გადამზადებაზე, ტერმინოლოგიის დადგენაზე და სხვა. დიმიტრი უზნაძე აქტიურად იყო ჩართული ამ საქმიანობაში, რასაც ადასტურებს ცნობა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის სხდომის ოქმიდან. 1917 წლის 30 მარტს ჩატარდა მასწავლებელთა კავშირის გამგეობის პირველი სხდომა. სხდომაზე დ. უზნაძე არჩეული იქნა თავმჯდომარის ამხანაგად. კრებამ მიიღო დადგენილება, რომ „1. მომავალი სექტემბრიდან განხორციელებული იქნას სკოლების ნაციონალიზაცია; 2. დაევალოს დ. უზნაძეს, გ. ნიორაძეს და ვლ. ნაცვლიშვილს შეკრიბონ ცნობები და წარმოადგინონ, თუ რა და რა სახელმძღვანელოები მოიძებნება დღეს ქართულ ენაზე, როგორც საშუალო, ისე დაბალ სკოლებში სახმარებლად, აგრეთვე, თუ დამზადებული აქვს ვინმეს მასალა და აპირებს დაბეჭდვას. შეკრიბონ მასალა დღეს არსებული რუსული სახელმძღვანელოებიდან, რომელიც გამოდგება და ივარგებს გადასათარგმნად; 3. დაარსებული იქნას სამი სექცია: პირველდანიეებითი-დაბალი; მაღალი და საშუალო; მასწავლებელთა ასეთი სექციების წევრთა სარეკომენდაციო სიების შედგენა დაევალოს დ. უზნაძეს, გ. ნიორაძეს და ვლ. ნაცვლიშვილს“.⁴

1917 წლის 16 მაისს თბილისში გაიხსნა კავკასიის მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ყრილობის დელეგატი დიმიტრი უზნაძე. ყრილობაზე მან წაიკითხა მოხსენება ეროვნული სკოლის მნიშვნელობის შესახებ, სადაც მან ჩამოაყალიბა შემდეგი დებულებები: „1. სკოლის ცხოვრებაში გატარებული იქნას ნაციონალიზაციის პრინციპი; 2. ნაციონალური სკოლის პროგრამების შესაქმნელად ყველა ტიპის სკოლის ოლქთან შეიქმნას მუდმივი კომისია ამ საკითხების შესამუშავებლად; 3. სასწავლო ენად ყველა სკოლაში აღიარებული იქნას სამშობლო ენა; 4. ყველა სკოლაში შემოღებული იქნას გაძლიერებული სწავლება: სამშობლო ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის; 5. ნაციონალური სკოლის გარანტიისათვის მოეთხოვოს დროებით მთავრობას გამოსცეს დეკრეტი რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხის სკოლათა ნაციონალიზაციის შესახებ; 6. მომავალი სასწავლო წლის დაწყებიდან სწავლების ენად საპედაგოგო სასწავლებლებში შემოღებულ იქნას მონაფეთა სამშობლო ენა“.⁵

დიმიტრი უზნაძეს საუკეთესო სკოლად მიაჩნია მხოლოდ ორი სახის სკოლა: საზოგადო განათლებისა და პროფესიონალური. ორივე უფასო და სავალდებულო. საზოგადო განათლება უნდა უსწრებდეს პროფესიულს, რომ პროფესიულმა განათლებამ ვინრო ჩარჩოებში არ ჩამოაყალიბოს და განავითაროს პიროვნება. დიმიტრი უზნაძე პროფესიულ განათლებას უყურებს პრაქტიკული თვალსაზრისით. მას მიაჩნია სხვადასხვაგვარი პროფესიული სკოლების დაარსება ადგილების მიხედვით. მაგალითად, სადაც მეხილეობას და მებოსტნეობას მისდევენ იქ მას საჭიროდ მიაჩნია მებაღეობის პროფესიული სკოლის გახსნა და ასე შემდეგ. შემდეგ მოხსენებაში ეხება სასკოლო პროგრამებს, სწავლების მეთოდებს. გასაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მომავლის სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლებას და წინ წამოსწევს მასწავლებელთა მომზადების იდეას. საჭიროდ მიაჩნია გაიხსნას სამასწავლებლო სემინარიები.

4 ბოცვაძე, ლ., თავისუფალი აღზრდა ბავშვისა, ჟურნალი „განათლება“. 1908, № 7-8, გვ. 199

5 უზნაძე, დ., ეროვნული სკოლის მნიშვნელობის შესახებ, გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917, 17 მაისი, გვ. 3-4

ყრილობამ მიიღო უზნაძის შემდეგი დებულებები: 1. განათლების სისტემა აგებული იქნას ორ სკოლაზე; საზოგადო განათლებისა და პროფესიონალურზე; 2. საზოგადო სკოლა წინ უნდა უსწრებდეს პროფესიონალურს; 3. საზოგადო სკოლა ხანგრძლივი უნდა იყოს. მან უნდა მისცეს მოზარდს საზოგადო განათლება, რომელიც საჭიროა პროფესიული სკოლისათვის; 4. ზოგადი განათლების სკოლას მხედველობაში აქვს შემდეგი: ა. მთლიანი საზოგადო განათლება; ბ. საშუალო სასწავლებელში გადასვლის შესაძლებლობა; გ. პროფესიონალური სკოლა; 5. სახალხო სკოლა მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვის მტკიცე ხასიათის აღზრდას. სახალხო სკოლა შრომის სკოლაა, რომელიც ბავშვს ავარჯიშებს გარდა საერთო მეცადინეობისა, იმ ხელსაქმეზე, რომელიც არის უმთავრესი დანიშნულება პროფესიონალური სკოლისა“.⁶

ამრიგად, ყრილობაზე უზნაძის პედაგოგიურ შეხედულებებს მთელი კავკასიის მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილი გაეცნო. ამას დაემატა ისიც, რომ რუსულ ენაზე დაიბეჭდა უზნაძის მიმოხილვა-„კავკასიის სკოლის რეფორმის შესახებ“. მასში განხილულია განათლების სტრუქტურის, აღზრდის მიზნისა და პედაგოგიკის პრინციპული საკითხები. შრომაში, ჩვენი აზრით, ნათლად ჩანს, თუ რა საკითხები აწუხებდა მაშინდელ ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას. კერძოდ, „ახალი თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის“ საკითხი, ნებისყოფის მიმართება და ხასიათის მოქალაქეობრივი გამოკვეთილობა, სკოლის დემოკრატიულ პრინციპებზე მონყობა, სკოლაში თვითმმართველობის შემოღება, ძველი ინტელექტუალური სკოლის შეცდომების გამოსწორება, რადგან მარტო ცოდნა ვერ ქმნის სიცოცხლის მშენებელს. ცოდნა არის ნათურა, რომელიც გზას უნათებს კულტურის მშენებელს. „სხვანაირად, – სახალხო სკოლის ძირითადი მიზანი დღეს უდავოდ ადამიანის ხასიათის აღზრდა არის“.⁷

ნაშრომში ზოგადი განათლების საფეხურები და მათი ხანგრძლივობის საკითხი ბავშვის ასაკობრივი განვითარების ფსიქოლოგიასთან არის შეთანხმებული. დიმიტრი უზნაძე იცავს შვიდწლიანი სკოლის ორ საფეხურს. მომავალი სკოლა უნდა იყოს შრომის სკოლა, სადაც ხელგარჯილობას ცენტრალური ადგილი უკავია და აღმზრდელით ამოცანას ასრულებს და ააშკარავებს მოწაფის პროფესიულ მიდრეკილებებს.

ჩვენი აზრით, ნაშრომი – „კავკასიის სკოლების რეფორმის შესახებ“ იმ პერიოდისათვის პედაგოგიკის საკითხებზე გამორჩეული თეორიული მნიშვნელობის შრომაა, რომელშიც ნათლად ჩანს კავკასიის ხალხების მისწრაფება ეროვნული სკოლისა და ახალი პედაგოგიური სისტემის შექმნისაკენ.

1918 წელს შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩამოყალიბდა ახალი სამთავრობო სტრუქტურები. გადაწყდა ძველი სასკოლო სისტემის გაუქმება და ახლის შექმნა. ახალი სკოლა უნდა დაფუძნებოდა ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის აღზრდას, რომელიც მოითხოვდა მეცნიერულად დასაბუთებული და პედაგოგიურად ახალი სკოლის შესაფერის პრინციპებს.

მიუხედავად დ. უზნაძის მიერ მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომისა 1918

6 უზნაძე, დ., ეროვნული სკოლის მნიშვნელობის შესახებ, გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917, 19 მაისი, გვ. 4

7 ბოცვაძე, ლ., თავისუფალი აღზრდა ბავშვისა, ჟურნალი „განათლება“, 1908, № 7-8, გვ. 206

წლისათვის საქართველოში სასკოლო რეფორმა არ გატარდა მისი კონცეფციის შესაბამისად.

სასკოლო განათლება იყოფოდა ორ საფეხურად: დაწყებით ანუ უმცროს მოსამზადებელ განყოფილებად და საშუალო განათლების მიმცემ ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებად, რომელთა სასწავლო საგნები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, როგორც ნუსხის ჩამონათვლის სახით, ასევე საგანთა სწავლების საათობრივი დატვირთვითაც.

1920 წელს საქართველოში შეიქმნა საქართველოს სკოლის სარეფორმო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც არჩეული იქნა დიმიტრი უზნაძე. ამ კომისიამ იარსება 1921 წლის 25 თებერვლამდე. დიმიტრი უზნაძეს დაევალა ახალი პროექტის შემუშავება. 1920 წელს დიმიტრი უზნაძემ დაწერა მნიშვნელოვანი გამოკვლევა „სახალხო განათლების სისტემის ძირითადი პრინციპების შესახებ“. ამ ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ „ქართული ერთიანი სკოლა“ შემდეგ პრინციპებსა და დებულებებზე უნდა ყოფილიყო აგებული:

1. პირველი საფეხური (6-10 წლამდე) – 4 წლიანი სკოლა, რომლის პირველი კლასის სასწავლო კურსი საბავშვო ბაღისა და სკოლის ელემენტებს შეიცავდა;

2. მეორე საფეხური (10-14 წლამდე) – 4 წლიანი კურსით, რომელიც ორ შტოს შეიცავს: ა. ჰუმანიტარულ-თეორიულს და ბ. რეალურ-პრაქტიკულს;

3. მესამე საფეხური იყოფოდა: ა. სამეურნეო და სამრეწველო – სატექნიკო სკოლებად; ბ. მაღალი პროფესიონალური და მაღალი ზოგადი განათლების სკოლებად (4 წლიანი).

ზოგადი განათლების სკოლა შეიცავდა: ა. რეალურსა და ბ. ჰუმანიტარული სკოლის ტიპებს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კიდევ ორ შტოდ იყოფოდა:

1. ნეოჰუმანიტარულ და კლასიკურ სკოლად, რომლის ხანგრძლივობა ოთხი წლით იყო განსაზღვრული.

2. მესამე საფეხურით სრულდებოდა სავალდებულო სწავლების პერიოდი, რის შემდეგ სწავლის გაგრძელება შეიძლებოდა უნივერსიტეტებში, პოლიტექნიკუმებში, ან სხვა ტიპის უმაღლეს სკოლებში.

საშუალო სკოლებში გათვალისწინებული იყო: დედაენის, მშობლიური ლიტერატურის, სამშობლოს და მსოფლიო ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ზნეობისა და უფლებების, ფიზკულტურის, ხელგარჯილობის და სახვა დისციპლინების სწავლება.⁸

დიმიტრი უზნაძე მხარს უჭერს პროფილურ სწავლებას. მეორე საფეხურის კურსის დასრულების შემდეგ იგი მოწაფეთა განაწილებას ორი თვალსაზრისით ხედავდა: 1. ბუნებრივი ნიჭიერების ინტენსივობით და 2. სულიერი დისპოზიციების რომელობის თვალსაზრისით.

დიმიტრი უზნაძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი – „სახალხო განათლების სისტემის ძირითადი პრინციპების შესახებ“ მართლაცდა პროგრესული ხედვაა საქართველოში განათლების სისტემის ევროპულ დონეზე მოწყობისა და განხორციელებისა. როგორც ნადაჟდა ბერულავა აღნიშნავს, ამ შრომაში განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს სამი საკითხი: „1. სახალხო განათლების სოციალური სა-

8 სარიშვილი, ტ., სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში, განათლება, თბილისი, 1956, გვ. 316

ფუძვლები; 2. სახალხო განათლების სისტემის აგებულება (ზოგადი და საპროფესიო განათლება ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით); 3. აღზრდის მიზანი და მისი განხორციელების გზები“.⁹

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე კრიტიკულად უდგებოდა არსებულ პედაგოგიურ სისტემებს, აანალიზებდა მათ და ქმნიდა თავის პედაგოგიურ კონცეფციას, რომელთა დანერგვას და განხორციელებას ცდილობდა 1910 – 1920 წლებში. მაგრამ უზნაძის რეფორმის განხორციელებას ხელი შეუშალა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა დიმიტრი უზნაძის პროექტები განათლების სისტემის ევროპულ დონეზე მოწყობისა.

მიგვაჩნია, რომ დიმიტრი უზნაძის მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო სისტემა და პედაგოგიკური კონცეფცია თავიდანვე ეფუძნებოდა განწყობის თეორიის საფუძვლებს.

უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი, „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ქცევა განწყობის სახით მოცემული“.

განწყობის ცნების შინაარსს უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის. რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რალაციის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განსახორციელებლად. თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელს ფაქტორს ქცევის განხორციელებისთვის. მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ეს ყველაფერი უნდა იცოდეს მასწავლებელმა, რაც დაეხმარება მას გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში. რადგან მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიანოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებს და უნარ-ჩვევებს. განწყობის თეორია ხომ არსებითად ქცევის ახსნითი მოდელია. როგორც მოტივია, ისეთია ქცევაც. მოტივი (ან მოთხოვნილება) განსაზღვრავს ქცევის ფსიქოლოგიურ შინაარსს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს აქტივობაში მოსწავლის ჩართვას. თუ

9 ბერულავა, ნ., დიმიტრი უზნაძე, განათლება, თბილისი, 1967, გვ. 204

ახალი აქტივობის მიმართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტები) მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შევუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

როგორც მ. ბოჭორიშვილი წერს, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოვარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. როგორი უნდა იყოს ეს მასალა?

„მასალა ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის, მეორე მხრივ, იგი დაშორებული უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა შეუძლებელი იქნება. მოსწავლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს, მასწავლებელი მასალას ისე აწვდის მონაფეს, რომ იგი მისანვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მონაფის ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს“.¹⁰ საკლასო ოთახში შექმენით ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.

საქართველოში, მასწავლების განათლების თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში თანდათანობით მიმდინარეობს დ. უზნაძის განწყობის თეორიის იმპლემენტაცია და იგი ემსახურება საქართველოში განათლების სისტემის განვითარების ევროპულ ხედვას. კერძოდ, მასწავლებელი სასწავლო პროცესში:

1. გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს და უქმნის მოსწავლეს დადებითი განწყობას;
2. არგებს მასალას მოსწავლის განწყობას/აქტუალური დონე + წინსვლა/;
3. ქმნის მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებულ საკლასო გარემოს, რაც მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს;
4. არ აკეთებს აქცენტს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე, მოჰყავს მთელი მისი ბუნება მოქმედებაში;
5. ახდენს ბავშვის პიროვნების მთელი ძალების გახსნას.

დიმიტრი უზნაძის მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო სისტემა და პედაგოგიკური კონცეფცია თავიდანვე ეფუძნებოდა განწყობის თეორიის საფუძვლებს, რომელთა დანერგვა და სრულყოფა ხორციელდება თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში. საინტერესოა მისი მოსაზრება მოსწავლეთა სეფასების საკითხებზე. უზნაძის თეორიის თანახმად, „ციფრული შეფასება“ ხელს უშლის მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ნდობისა და სიყვარულის ატმოსფეროს განვითარებას, რაც მისი აზრით ძალიან სუბიექტური რამაა.

უზნაძის ეს მოსაზრება, დამოკიდებულება აქტუალური გახდა თანამედროვეობაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ სწავლების დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასება ჩანაცვლდა განმავითარებელი შეფასებით, რომელიც უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი, რათა მან, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, როგორც ამას მოითხოვს ეროვნული სასწავლო გეგმა და, მეორე მხრივ, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარების თანაბარი პირობები შეუქმნას განსხვავებული პოტენციალის მქონე ყველა მოსწავლეს.

10 ბოჭორიშვილი, მ., პედაგოგიკის საკითხები, გამომცემლობა „უსტარი“, თბილისი, 2013, გვ. 21

დღევანდელი მთავრობა, საგანმანათლებლო დანესებულებები და საერთაშორისო სააგენტოები ხელს უწყობენ მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. შეიქმნა კონცეფცია „სწავლება წარმატებისთვის“, რათა დაეხმაროს მასწავლებელს საგანმანათლებლო სისტემაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაში. ეფექტური უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიდგომა არის მოქნილი, რათა თანხვედრაში იყოს მთავრობების სპეციფიკურ მოთხოვნებთან და მასწავლებელთა საჭიროებებთან.

საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 20 თებერვალს მასწავლებლის საქმიანობის დანებების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა დაამტკიცა, რომლის საფუძველზეც მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს კარიერული წინსვლა სქემით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში და გადაინაცვლოს მომდევნო საფეხურზე.

მიგვაჩნია, რომ დიმიტრი უზნაძის მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო სისტემა და პედაგოგიკური კონცეფცია თავიდანვე ეფუძნებოდა და ეხმარებოდა მასწავლებლისა და საგანმანათლებლო სისტემის განვითარებაზე ორიენტირებას, რაც თანხვედრაშია თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- უზნაძე, დ. (რედაქტორი ზ. ცუცქერიძე). (2005) პედაგოგიური თხზულებანი. „კოლორა“, თბილისი
- უზნაძე, დ. (1912). აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა. ჟურნალი „განათლება“, №6
- უზნაძე, დ. (1912). ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი, ქუთაისის სტამბა „ძმობა“, ქუთაისი
- ბოცვაძე, ლ. (1908). თავისუფალი აღზრდა ბავშვისა. ჟურნალი „განათლება“, № 7-8 ბერულავა, ნ. (1967). დიმიტრი უზნაძე. განათლება, თბილისი
- მალრაძე, მ. (2008). განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი
- სარიშვილი, გ. (1956). სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში. განათლება. თბილისი
- უზნაძე, დ. (1917. 28 მარტი). ნაციონალური სკოლის შესახებ. გაზეთი „სახალხო ფურცელი“. გვ. 3
- უზნაძე, დ. (1917. 17 მაისი). ეროვნული სკოლის მნიშვნელობის შესახებ. გაზეთი „სახალხო ფურცელი“. გვ. 3-4
- უზნაძე, დ. (1917. 19 მაისი). ეროვნული სკოლის მნიშვნელობის შესახებ. გაზეთი „სახალხო ფურცელი“. გვ. 4
- ბოჭორიშვილი, მ. (2013). პედაგოგიკის საკითხები. გამომცემლობა „უსტარი“. თბილისი

<https://www.britishcouncil.ge/teach/supporting-teacher-development>

Imeri Basiladze
Professor
Akaki Tsereteli State University

Nato Kobuladze
Associate Professor
Akaki Tsereteli State University

DIMITRI UZNADZE – A REFORMER OF THE SCHOOL SYSTEM IN GEORGIA (1910-1921)

Summary

Dimitri Uznadze's pedagogical concept was formulated approximately per 1910-1916. This was a system of views, which included the definition of the principles of teaching and education, and pedagogic concepts. This became the basis of the idea of education of an active person, a new kind of Georgian. The basis for his educational views was his practical educational endeavours in Kutaisi at the beginning of the twentieth century.

Dimitri Uznadze considers only two types of school to be the best: general education and professional education, both free and compulsory. General education should precede professional education, in order to make sure that professional education does not form and develop personality within the narrow confines.

In 1920, Dimitri Uznadze wrote an important paper on „Basic Principles of Public Education System“. However, the implementation of Uznadze's reform was hampered by conquest of Georgia by Soviet Russia. Dimitri Uznadze's projects on setting up the education system at the European level were unacceptable for the Soviet authorities.

We think that the educational system and pedagogical concept proposed by Dimitri Uznadze were based on the foundations of Theory of Set, which is introduced and enhanced in the modern Georgian educational system.

According to Uznadze's theory, „numerical evaluation“ prevents development of the atmosphere of trust and love between pupils and teachers that, in his view, is highly subjective.

This view and attitude of Uznadze has become increasingly relevant in modern times, which is reflected in the fact that at the initial stage of education, definitive evaluation was replaced by developmental evaluation, which should be frequent and multilateral, on the one hand, to facilitate inclusive development of learners, as required by the national curriculum and, on the other, to create equal conditions for all learners with different capacities so as to allow them to demonstrate and develop their full capacities.

მარიამ მანჯგალაძე
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
კავკასიის უნივერსიტეტი

ქეთევან ინწკირველი
ასისტენტ-პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი

განათლების სისტემა და ენობრივი პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921წწ.)

განათლების სისტემასა და ენობრივ პოლიტიკაზე სტატიის წერისას, ბუნებრივი იქნება მოკლედ გავიხსენოთ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში არსებული ტრადიცია. მართალია, კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის სტრატეგიასა და პროგრამაზე დეტალურად შეუძლებელია საუბარი და არც ის ვიცით დაზუსტებით, რომელ ენაზე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, მაგრამ ბერძენი ფილოსოფოსის თემისტოხოსის ცნობით, სასწავლებელში უმაღლესი კვალიფიკაციის რიტორიკული განათლების მიღება იყო შესაძლებელი (III საუკუნის II ნახევარი). მეოთხე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ეკლესიებთან სკოლებიც იქმნებოდა, ითარგმნებოდა და იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, საეკლესიო წიგნები. XI –XII საუკუნეებში გვექონდა გელათისა და იყალთოს აკადემიები; უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კერები იყო საზღვარგარეთაც, მაგ., პეტრიწონისა და ათონის ივერთა მონასტრებში. ქვეყნის ისტორიის ურთულესი პერიოდის გავლის შემდეგ, XIX საუკუნეში იწყება წარმატებული მცდელობა შეიქმნას სასკოლო სახელმძღვანელოები, გამოიცეს წიგნები, ჟურნალ – გაზეთები და სხვ. თერგდალეულთა თაობა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ქართული ენის ფუნქციონირების, სტანდარტიზაციის, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიმართულებით. წიგნში „ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები“ მანანა ტაბიძე წერს: „ქართულ ისტორიულსა და ლიტერატურულ წყაროებში დასტურდება ქართული ენის ფუნქციონირებისა და სახელმწიფო როლის სოციალური შეფასების შემცველი მასალებიც და ენობრივი კონტაქტების ამა თუ იმ ფორმის აღწერის ცდებიც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციების მქონე ქვეყნებში ენობრივი პოლიტიკა სრულიად გააზრებული და მართული მოვლენა იყო და ქვეყნის მესვეურთა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა“ (მ.ტაბიძე, გვ. 22).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ 1918-1921 წლებში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სისტემის წარმომადგენლებისათვის არსებობდა მრავალსაუკუნოვანი წინაპირობა, დაარსების პირველი დღეებიდანვე დაწყებულიყო კონკრეტული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება.

საქართველოს საისტორიო არქივის ფონდში №1935, საქართველოს დემოკრატი-

ული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს დოკუმენტში – აღწერა №1 – ვკითხულობთ: 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე, სხვა სახელმწიფო ინსტიტუციებთან ერთად, მუშაობას იწყებს სახალხო განათლების სამინისტრო. იგი ამოცანად ისახავდა ახალი სკოლების გახსნას, მოსახლეობის სწავლა-განათლებას, სკოლების ახალი კადრებით უზრუნველყოფას, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მატერიალურ უზრუნველყოფას, არაქართველთა სწავლების საკითხების მოგვარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო დანებს უზრუნველბათა მოწყობისა და მუშაობის უზრუნველყოფას, პროფტექნიკური, საზღვაო, სახელოსნო და უსინათლოთა სასწავლებლების გახსნას, სასწავლო პროგრამების შემუშავებას და სხვ. განათლების სამინისტრომ იარსება საქართველოს გასაბჭოებამდე, ხოლო 1921 წლის 25 თებერვლიდან ქვეყნის საგანმანათლებლო პროგრამებზე ზრუნვა განათლების სახალხო კომისარიატის პეროგატივა გახდა.

საისტორიო არქივში დაცული საკვლევე პერიოდის (1918-1921 წ.წ.) მასალა ეტაპობრივ შესწავლასა და გაანალიზებას მოითხოვს, შესაძლებელია გავეცნოთ: განათლების სამინისტროს სხდომის ჟურნალებსა და ოქმებს, ბრძანებებს და მინისტრის განკარგულებებს; სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის წესდება-პროექტებს, სკოლების, გიმნაზიების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და პედსაბჭოს სხდომების ოქმებს, სკოლების გაეროვნების, რეორგანიზაციისა და მატერიალური უზრუნველყოფის, ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ ინფორმაციას. დაცული მასალები პოლიტექნიკური უნივერსიტეტის გახსნის, პროფტექნიკური სკოლების, ჟურნალ-გაზეთების გამოცემის, საქმის უზრუნველყოფის და სხვ. (შ. გოზალიშვილი, აღწერა, ფონდი №1935).

განათლების სისტემის რეფორმა

შეიძლება მოკლედ ჩამოვთვალოთ თუ რა ტიპის ღონისძიებები ტარდებოდა განათლების სისტემის მოსაწესრიგებლად:

- გამოიცემოდა განათლების მინისტრის ბრძანებები და განკარგულებები სკოლების, გიმნაზიების, მასწავლებელთა შერეული დანყებითი სკოლის გახსნის შესახებ;
- სამინისტროსთან არსებულ სასწავლო კომიტეტში მუშავდებოდა წესდება-პროექტები;
- შეიქმნა ამიერკავკასიაში პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შეიქმნა უმაღლესი და საშუალო განათლების მთავარი გამგეობა;
- დაიწყო ეროვნული სკოლების შექმნა, რეორგანიზაცია და მატერიალური უზრუნველყოფა;
- შეიქმნა ქართული ენის სწავლების მოსამზადებელი კურსები;
- გამოიცა კანონი განათლების სამინისტროში ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა წარდგენის შესახებ;
- მომზადდა კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დეპარტამენტის დაარსებისა და საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დეპარტამენტის დაარსების შესახებ;
- მიმდინარეობდა მუშაობა უცხოელი ლექტორების მოსაწვევად საქართვე-

ლოში ლექციების წასაკითხად;

- შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდნენ სტუდენტებს საზღვარგარეთ სწავლის დასაფინანსებლად და სხვ.

მაგალითად, განათლების სამინისტროს 1920 წლის საკანცელარიო მასალებში ვკითხულობთ, რომ მიიღეს კანონი განათლების სამინისტროში ბექდვითი სიტყვის ნაწარმოებთა წარდგენის შესახებ; განიხილეს კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დეპარტამენტის დაარსების შესახებ; კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დეპარტამენტის დაარსების შესახებ; მოისმინეს მოხსენებითი ბარათი საქართველოს განათლების მდგომარეობის შესახებ; იმსჯელეს განათლების სამინისტროს მოწვევით იტალიიდან ლოლა კონდუმარის ჩამოსვლისა და მონტესორის სისტემაზე ლექციების წაკითხვის შესახებ; გაიცა ბრძანება თსუ რექტორის, პროფ. ივანე ჯავახიშვილის სასწავლო კომიტეტის თავჯდომარედ დანიშვნის შესახებ; დამტკიცდა განათლების სასწავლო კომიტეტისა და სატერმინოლოგიო კომისიის წევრთა სია და სხვ. (ფონდი 1935, გვ.67; 80).

ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეფორმად შეიძლება ჩაითვალოს 1918 წლის ნოემბერში მასწავლებელთა ეროვნული ყრილობის მიერ გავრცელებული მიმართვა სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ, რომელიც გულისხმობდა ორგანო ორგანოს შექმნის საჭიროებას: საერთო სახელმწიფოებრივსა და კერძო ეროვნულს („განთლება“, 1918, გვ. 50-73).

რას გულისხმობდა ეს რეფორმა?

- აუცილებელი იყო ყველა ტიპის სკოლის გაქართულება. გადაწყდა, პედაგოგთა დეფიციტის გამო, მოწყობილიყო მოკლევადიანი საპედაგოგო კურსები მასწავლებელთა მომზადების დონის ასამაღლებლად;

- რადგან გაქართულებულ სკოლას არა ჰქონდა ახალი სახელმძღვანელოები და ინვენტარი, საჭირო გახდა მუდმივმოქმედი ორგანოს შექმნა, რომელიც იზრუნებდა სახელმძღვანელოების გამოცემასა და მათი გავრცელების მონესრიგებაზე;

- აუცილებელი იყო გაქართულებული სახელმძღვანელოების შეფასება, რომ „სახმარად მხოლოდ საუკეთესონი მოიწონონ“;

- სერიოზული პრობლემა იყო ტერმინოლოგიის სიჭრელე, ამიტომ სპეციალურ კომისიას დაევალა ტერმინების შემუშავება;

ეროვნულ საბჭოსთან არსებულ სახალხო განათლების დარგში ბევრი რამ იყო გასაკეთებელი: საყოველთაო, სავალდებულო, პირველდანიეებითი სწავლის თანდათანობითი შემოღება და განვითარება; მასწავლებელთა თეორიული და პრაქტიკული მომზადება; სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენა; საბავშვო წიგნების გამოცემა; თვალსაჩინო ხელსაწყო ნივთების კოლექციათა შექმნა; სკოლების მართვა-გამგებლობის საქმის მონესრიგება. აქედან გამომდინარე, შეიქმნა კომისიები:

- საბავშვო საგნების გამომცემელი
- სკოლისთვის სახელმძღვანელო გეგმისა და პროგრამის შემუშავებელი
- არსებულ სახელმძღვანელო წიგნების გადამთვალეირებელი და დამფასებელი
- ახალი სახელმძღვანელო წიგნების გამომცემლობის მეთვალყურე
- სალექციო ბიურო ან მასწავლებელთა კურსების მომწყობი

- საეგზამენო
- სარეკომენდაციო
- საპრემიო ჟიური და სხვ.

პროგრამების შემდგენელ კომისიებში უნდა შესულიყვნენ ფიზიკის, ქიმიის, არითმეტიკის, გეომეტრიის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, კანონმდებლობის, პოლიტიკური მეცნიერებისა და ბულალტერიის სპეციალისტები. ვინაიდან გაეროვნებული სკოლებისთვის მომზადებულ მასწავლებელთა რიცხვი მცირე იყო, სასწრაფოდ შეიმუშავეს მოკლევადიანი კურსები, რომლებიც ამუშავდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: თბილისში, თელავში, ხაშურში, ქუთაისში, ზესტაფონში, ფოთში, ბათუმში, სოხუმსა და სამურზაყანოში („განათლება“ გვ. 9-23).

მნიშვნელოვან პუბლიკაციად უნდა ჩაითვალოს განათლების მინისტრის, ნოე რამიშვილის მოხსენება საყოველთაო განათლების აუცილებლობის შესახებ, რომელიც ჟურნალ „განათლებაში“ დაიბეჭდა (განათლება, 1919, №2-3).

ნოე რამიშვილი რამდენიმე საკითხს შეეხო:

- როგორი უნდა იყოს საყოველთაო სწავლება?
- რამდენ ხანს უნდა გრძელდებოდეს?
- რომელი წლიდან უნდა იყოს სავალდებულო სწავლება?
- ვინ ან როგორ ახორციელებს და ვინ ხელმძღვანელობს?
- ვის უფლებას შეადგენს მასზე ზრუნვა?

მინისტრი იქვე დასძენს, რომ ამ კითხვებზე პასუხი უკვე შემუშავებული აქვს სამინისტროს. იგი თვლის, რომ მიუხედავად მწირი სახელმწიფო ხაზინისა, საყოველთაო სწავლება უნდა იყოს უფასო. დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის შვილს უნდა შეეძლოს ასეთ სკოლაში სწავლა-განათლების მიღება. სწავლის მეთოდი უნდა იყოს ისეთი, რომელიც პირველ დაწყებით სწავლას აახლოებს დაბალი სპეციალური ცოდნის შეძენასთან, ე. ი. მეთოდი უნდა იყოს ზედმინვენით თვალსაჩინო, საგნობრივი, ამერიკული. ეს ნიშნავს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა და საპატიო ადგილი ეთმობა ხელგარჯილობის სწავლებას. იგი უნდა იყოს დამხმარე საშუალება, როგორც მეთოდი საზოგადო განათლების სასწავლო საგანთა უკეთ შესათვისებლად. ამ მიზნით, ხელსაქმე უნდა შევიდეს პირველი დაწყებითი სკოლის სასწავლო საგნების სიაში.

ნოე რამიშვილი საუბრობს სამგანყოფილებიან პირველდაწყებით სასწავლებელზე. საზოგადოების ნაწილი მხარს უჭერს სწორედ ამ სისტემას. თუმცა ის თვლის, რომ 3 წელი ცოტაა დამთავრებული და დასრულებული ცოდნის მისაღებად, რადგან ამ ხნის განმავლობაში ყმანვილი რიგიან წერა-კითხვასაც ვერ შეისწავლის, მან კი უნდა შეისწავლოს არითმეტიკა, საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი, ბუნებისმეტყველების ელემენტარული საფუძვლები... ასეთი ცოდნის მისაღებად კი რამიშვილს მიზანშეწონილად მიაჩნია ოთხგანყოფილებიანი პირველი დაწყებითი სასწავლებლების გახსნა. სწორედ ამ სისტემას ემხრობა დამფუძნებელი კრების განათლების კომისია.

მოხსენებაში ერთ-ერთი საინტერესო საკითხია მოსწავლის ასაკი. იგი ამბობს, რომ სხვა ქვეყნების გამოცდილებით, შესაფერისი ასაკია 7 წელიწადი, თუმცა, როგორც გამონაკლისი, შეიძლება მიიღონ 8, 9 და 10 წლის ბავშვებიც.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს სასწავლებელს, მინისტრი

თვლის, რომ ამის გადაწყვეტა საკანონმდებლო დაწესებულების კომპეტენციაა. ამიტომ მისი ხელმძღვანელობა და განხორციელება იმ ორგანოს უნდა მიენდოს, რომელიც იმოქმედებს კანონმდებლობით მიღებული ცოდნის თანახმად. იგი ამბობს, რომ საჭიროა 399 ახალი სკოლის გახსნა, რაც შეუძლებელია 1 წლის განმავლობაში და ამისთვის არც თანხაა, არც მასწავლებელთა საკმარის რიცხვი, არც სასკოლო შენობები. ეს გეგმა უნდა განხორციელდეს მომავალი 4 წლის განმავლობაში.

საინტერესოა ასევე ნოე რამიშვილის მოსაზრება, თუ რას უნდა ემსახურებოდეს სკოლა და როგორი უნდა იყოს მისი აღზრდის სისტემა: „თანამედროვე სკოლას ერთადერთ მიზნად მხოლოდ ცოდნის გადაცემა დაუსახავს მოწაფეთათვის, ხოლო ცოდნას ამ შემთხვევაში მხოლოდ მეხსიერების საფუძველზე უხდება დამკვიდრება, ამით აიხსნება ცუდად გაგებული, გადაჭარბებული ინტელექტუალიზმი, რომელიც დღევანდელ ჩვენს სკოლას ახასიათებს და რომელიც ამ სკოლის უმთავრეს ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს („განათლება“ 8-12). იგი დასძენს, რომ აღზრდის მიზანი მეხსიერებისა და ცოდნის ფარგლებში არ უნდა იყოს მომწყვდეული, არამედ უმთავრესად ადამიანის მთლიანი ბუნების მომზადებისკენ უნდა იყოს მიმართული, ამიტომ აუცილებელია სკოლის ჰუმანიტარული მიმართულებით განვითარება, რომლის მიზნაც იქნება ადამიანისა და ბუნების შესწავლა.

რამიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სკოლის თვითმართველობის გონივრული ფორმების განხორციელებას, რომლის საფუძველზეც გაძლიერდება მოსწავლის გამბედაობა და ინიციატივის ნიჭი. ასეთი გეგმა დიდ მომზადებას მოითხოვს და არც ერთბაშად შეიძლება მისი განხორციელება. განათლების სამინისტრომ გაითვალისწინა ამ გეგმის განხორციელების აუცილებელი საჭიროება და დაიწყო მუშაობა. შედგა კომისიები, სამინისტროს აზრით, დასახული გეგმის განხორციელება უნდა მოხდეს თანდათანობით, სამი წლის განმავლობაში -1919-23 წლებში.

უმნიშვნელოვანესია დებულებები საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებაც: საყოველთაო სწავლება საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქისთვის – ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის – უნდა ყოფილიყო სვალდებულო და უფასო.

ამდენად, სახელმწიფო სკოლაში შესაბამისი ასაკის მოსწავლეთა სწავლის უზრუნველსაყოფად ახლადჩამოყალიბებულმა საქართველოს რესპუბლიკამ განსაკუთრებული კონტროლი დაანესა. საყოველთაო სწავლების ორგანოდ სცნო პირველდანიებითი სახალხო ოთხწლიანი კურსი, განსაზღვრა ასაკი, შექმნა სასკოლო ქსელი, ჩამოაყალიბა სახელმძღვანელოების შექმნის პრინციპები. საყოველთაო სწავლების შემოღების ხელმძღვანელობა დაევალა სახალხო განათლების სამინისტროს, ხოლო მისი პრაქტიკულად განხორციელება ადგილობრივ თვითმართველობებს. ჩაითვალა, რომ სახელმწიფოს საერთო კულტურის ასამაღლებლად, მოქალაქეთა საკეთილდღეოდ, აუცილებელი იყო გარკვეული ღონისძიებების გატარება მასების ცნობიერების ასამაღლებლად. აუცილებლობად ჩაითვალა წერა-კითხვის გავრცელება ხალხში, რომელთა ასაკი 17 წლის ზემოთ იყო, შესაბამისად, გადაწყდა საკვირაო სკოლების შექმნა უკვე არსებულ სასწავლო დაწესებულებებში. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ეს იყო განათლების სისტემის მოწესრიგების პირველი სერიოზული მცდელობა, რომელსაც, სამწუხაროდ, განხორციელება არ ეწერა.

ენობრივი პოლიტიკა

ენობრივი პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეფორმის მცდელობად უნდა ჩაითვალოს:

- ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად სალიტერატურო ქართულისათვის პროექტის შემუშავება, საორგანიზაციო კომისიისა და სასწავლო კომიტეტის შექმნა;
- ქართული ენის სწავლების მოსამზადებელი კურსების შექმნა;
- ტერმინოლოგიური კომისიის შექმნა;
- ქართული მეცნიერული ენის შემუშავება;
- ენობრივად გამართული სახელმძღვანელოების შექმნაზე ზრუნვა და სხვ.

თუ როგორი უნდა ყოფილიყო სახელმძღვანელოების ენა, ამის შესახებ ჟურნალ „განათლებაში“ საინტერესოდ მსჯელობს მასწავლებელი გრ. ლორთქიფანიძე: „ყოველი სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც ემსახურება ამა თუ იმ მეცნიერების დარგის შესწავლას სკოლაში, აუცილებლად აწინდელი მეცნიერების მიხედვით, მარტივად, ადვილად გასაგებად, თვალსაჩინოდ და მოწაფის გონებისადმი ძალდაუტანებლად უნდა იქნეს შედგენილი; ენაც სახელმძღვანელო წიგნისა უსათუოდ სადა, ამა თუ იმ მოწაფის წლოვანების შესაფერი, წმინდა, ფაქიზი, მრავალსიტყვაობას მოკლებული, მკაფიოდ აზრის გამომხატველი და გრამატიკულადაც სწორი უნდა იყოს. ყოველი ცნების გამომხატველი ახალი სიტყვა, ახალი ტერმინი სინამდვილით უნდა ჰხატავდეს ამა თუ იმ ცნებას“. („განათლება“ 1918 წ., გვ. 66).

დაიწყო ზრუნვა სალიტერატურო ქართულისათვის. დაიწერა პროექტი „ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიის და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ“ (მასალები კონფერენციისათვის).

საორგანიზაციო კომისია დაარსდა სასწავლო კომიტეტის მიერ. მისი შემადგენლობა კი ასეთი იყო: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, სერგი გორგაძე. კომისიაში ზოგჯერ მონაწილეობას იღებდა დიმიტრი უზნაძეც. კომისიამ სისტემატური მუშაობა დაიწყო 1920 წლის 4 აპრილს და უკანასკნელი სხდომა ჰქონდა 1921 წლის 16 აპრილს. იყო კრიტიკული, საინტერესო, მნიშვნელოვანი სამეცნიერო მსჯელობები კონტრეკულ საკითხებზე, მაგ., გამოცემაში „სალიტერატურო ქართულისათვის“ ვკითხულობთ: „შენიშვნა: ა. შანიძეს ახალ ენაში საჭიროდ მიაჩნია ხარის ხმარებაც, ხოლო ს. გორგაძე აუცილებლად არა სთვლის იოტის (ი-ეს) ხმარებასაც კი თანამედროვე სალიტერატურო ენაში“. („სალიტერატურო ქართულისათვის, თფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“, კალოუბნის ქ. №14, 1921 წ., გვ. 3)

შეჯამების სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის მანძილზე იყო მცდელობა გატარებულიყო სერიოზული რეფორმები განათლების სისტემის მოსაწესრიგებლად. ქვეყნის მასშტაბით ენობრივი პოლიტიკის გატარების თვალსაზრისითაც პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიებები ამ პერიოდში დაიწყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

გამსახურდია, ს. (1975) სწავლა– განათლება ძველ საქართველოში. თბილისი: განათლება
ტაბიძე, მ. (2005) ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები. თბილისი
საქართველოს საისტორიო არქივის მასალები: ფონდი №300, ამონაწერი1, №159
სალიტერატურო ქართულსათვის, სტამბა „სახალხო საქმე“, თფილისი, 1921
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, <http://ena.ge/explanatory-online>

Mariam Manjgaladze
Dr. of Philology, Professor
Caucasus University

Ketevan Instkirveli
Assistant Professor
Caucasus University

EDUCATIONAL SYSTEM AND LANGUAGE POLICY IN THE FIRST DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

Summary

In 1918-1921 the educationalists of the first Democratic Republic of Georgia had a few-centuries-old tradition of having particular models of education, which was why necessity of reforms and of a new language policy came into sharp focus upon declaration of independence.

The following measures were taken for enhancing the educational system:

- o Orders were issued by the Minister of Education for opening schools, gimnaziums and mixed primary school for teachers;
- o Charter-projects were developed at the educational committee;
- o The first university was founded in the Transcaucasus;
- o A board for secondary and higher education was established;
- o National schools were established, reorganized and given financial support;
- o preparatory courses of the Georgian language started;
- o The law requiring printed works be submitted to the Ministry of Education was passed;
- o The law on establishing scientific department and central scientific archive of the Republic of Georgia was passed;
- o Special endeavors were used to attract foreign lecturers to Georgia;
- o Students got financial support to travel abroad to pursue their education.

In respect to language policy the following steps could be considered as serious attempts:

- o Along with organizational and educational committees, a special project for developing literary Georgian was made to settle controversial issues of Georgian orthography;
- o Preparatory courses were launched for teaching Georgian language;
- o A commission of terminology was set up;
- o Georgian scientific language was worked-out;
- o Work on textbooks written in good Georgian started, etc.

All points considered the following conclusion can be reached: during the short-lived First Georgian Democratic Republic serious attempts were made for reforming Georgian educational system and the first significant steps were taken in language policy.

ია ლადუა
ფილოლოგიის დოქტორი
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმის უნიკალურ წიგნთა ფონდის კურატორი

სკოლების „გაეროვნებას“ პოლიტიკა პირველი რესპუბლიკის დროს

1917 წელს, თებერვლის რევოლუციისა და შემდგომ 1918 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სკოლების „გაეროვნებამ“ და საყოველთაო სავალდებულო სწავლების დანერგვამ შეუქცევადი სახე მიიღო.

1918-1919 წლების განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრო, პედაგოგების დიდ საზოგადოებასთან ერთად, აქტიურად მუშაობდა საბაზისო სწავლების განახლებული მოდელის შემუშავებაზე, ეროვნული სკოლის პრინციპების ჩამოყალიბებასა და სასკოლო ადმინისტრირების საკითხებზე.

ამ დროისათვის გადაიდგა ძირითადი, ფუნდამენტური ნაბიჯები: რეგიონული სკოლების ქსელი ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცათ, გაფართოვდა სასკოლო ქსელი, დაიწყო სკოლების შენობების მონყობა და მონყესრიგება. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ახალი სასკოლო ლიტერატურის მომზადება და დანერგვა გახდა.

განათლების რეფორმის მესვეურთ კარგად ესმოდათ, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სკოლების „გაქართულებას“ (sic: გაეროვნებას). მიუხედავად მრავალი პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემისა, რომელიც თან ახლდა ამ პროცესს, პირველი რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა ამ კუთხით მიზანმიმართული და შეუქცევადი გახლდათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „გაეროვნება“ არ ეხებოდა მხოლოდ განათლების სფეროს. ეს იყო პროცესი, რომელსაც უნდა მოეცვა მთელი ქვეყანა და რომელიც ითვალისწინებდა ეროვნული მიმართულების, მსოფლმხედველობისა და პრინციპის დანერგვას ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ თუ კულტურულ სფეროებში. მაგრამ, ამასთანავე, მათ კარგად ესმოდათ, რომ საფუძველი ამისა განათლების სისტემას უნდა შეექმნა.

პროცესი არ დაწყებულა 1918 წლის 26 მაისის შემდგომ. საკითხი სკოლების გაეროვნების შესახებ საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველსავე ყრილობაზე დაისვა, რომელიც 1917 წლის 19-23 ნოემბერს მიმდინარეობდა და რომელზედაც აირჩიეს პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანო – ეროვნული საბჭო. ყრილობის მეორე დღეს, 20 ნოემბერს, სხდომაზე დადგა სკოლების გაქართულების საკითხი და შეიქმნა სკოლებისა და უნივერსიტეტის სექცია, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ სექციას დაევალა სკოლების გაქართულებისა და ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების საკითხის მომზადება.

ყრილობაზე მიღებულმა „გაეროვნების“ გადამწყვეტილებამ მართლაც ფართო მასშტაბი მიიღო და 7 თვის შემდეგ შედეგი რომ თვალსაჩინო იყო, ამას ადას-

ტურებს განათლების მინისტრის 1918 წლის 1 ივლისის მოხსენება „ყველა საფეხურისა და ხარისხის ქართულ სკოლებში სამშობლო ენაზე მოწყობისა“.

სანამ სტატისტიკურ მონაცემებს შეეხება, მოხსენებაში მინისტრი საუბრობს, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართულ ენაზე სწავლებას და სწორედ ამ სიტყვებით შეგვიძლია დავინახოთ იმდროინდელი მთავრობის არა მხოლოდ ხედვა და დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, არამედ სწორი მიდგომა ისეთი მგრძობიარე და რთული თემისადმი, როგორცაა ქვეყნის სიყვარული და მოქალაქეობის შეგრძნება.

*„უმთავრესი საფუძველი კულტურულ ცხოვრებისა ენაა. სამშობლო ენა ეს ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი“.*¹

ამავე მოხსენებაში მინისტრი ამახვილებს ყურადღებას, რომ ეს პროცესი უკვე ერთი წელია დაწყებულია და მიუხედავად იმისა, რომ შედეგებსაც მიაღწიეს, სწორედ ახლა დგას მთავარი ეტაპი და საჭიროა, ბოლომდე განახორციელონ დაწყებული საქმე. *„უნდა მოვანყოთ ეროვნული სკოლა ყველა საფეხურისა და ხარისხისა, როგორც საზოგადო განათლებისა, ისე საპროფესიო. პირველდაწყებით უმაღლეს სკოლებში ეგრეთ წოდებული ნაციონალიზაცია, სხვაგვარად რომ ვსთქვათ – სწავლება სამშობლო ენაზე სავსებით განხორციელებულია დასავლეთ საქართველოში და მხოლოდ პირველ კლასში აღმოსავლეთ საქართველოში“.*²

1918 წლის 25 ივლისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ იბეჭდება კანონპროექტი სახალხო განათლების შესახებ. იმავე წლის 20 აგვისტოს განათლების მინისტრი მთავრობის წინაშე გამოდის მოხსენებით, რომელშიც აღნიშნავს, რომ ყველა ქვეყანას ესაჭიროება, თავისი პირობების მიხედვით შექმნას სწავლა-აღზრდის სისტემა, რომელიც დღეს საქართველოს არ გააჩნია და სწორედ ამიტომ უნდა შეიცვალოს არსებული სისტემა. მინისტრი მთავარ დაბრკოლებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სწავლების ენად რუსულია შემოღებული და თვლის, რომ ეს უკუღმართობაა და დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.³

ამ პრობლემის გადასაწყვეტად მინისტრი 2 გზას წარმოაჩინს: 1. დაუყოვნებლივ შემოიღონ მოთხოვნა, რომ ქართველი მოქალაქეების შვილებისთვის სწავლების ენა აუცილებლად ქართული უნდა იყოს და 2. ეროვნული უმცირესობის მოქალაქეთა შვილებსაც უნდა ჰქონდეთ საშუალება, განათლება საკუთარ ენაზე მიიღონ.

მინისტრს კარგად ესმოდა, რომ ეს ადვილად განსახორციელებელი არ იყო სკოლების ეროვნული სიჭრელის გამო. მაგრამ მას ჰქონდა იდეა, დახურულიყო ყველა სასწავლებელი და შემდეგ შექნილიყო სხვადასხვა ეროვნებისთვის განკუთვნილი სასწავლებლები, რომლებშიც გადანაწილდებოდნენ გაუქმებული სკოლის მოსწავლეები.⁴

საისტორიო ცენტრალური არქივის პირველი რესპუბლიკის განათლების ფონდში დაცულია „დებულებანი საყოველთაო სწავლების შესახებ“ (პირველი დამფუძნებე-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №58, 1r.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №58, 1r-v.

3 ჭუმბურიძე დოდო, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 9

4 ჭუმბურიძე დოდო, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 10

ლი კრების დადგენილება), რომელშიც მითითებულია, რომ სწავლა სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა შვილებისთვის; პირველდანიყებითი სახალხო სკოლა 4-წლიანი კურსითაა; სკოლებს ხელმძღვანელობას უწევს სახალხო განათლების სამინისტრო, პრაქტიკულად ადგილზე ასრულებენ ადგილობრივი თვითმმართველობა: ერობა და ქალაქები.⁵

განათლების რეფორმის გამტარებლებს კარგად ესმოდათ, რომ გაეროვნება საკმაოდ რთული პროცესი იყო. შესაბამისად, მწვავედაც აკრიტიკებდნენ – პროცესსაც, სახელმძღვანელოებსაც, მასწავლებლების ცვლილებებსაც. განათლების მინისტრი 1918 წლის 1 ივლისის მოხსენებაში ამაზეც ამახვილებს ყურადღებას: „სავალდებულო იქნება სამშობლო ენაზე სწავლება. ამგვარი რეფორმა მოზარდი თაობისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს და შეიძლება მიგვივითონ „პედაგოგიურ თანდათანობაზე“... შეუძლებელია ჩვენი ვითომ და პედაგოგიურ თანდათანობის დაცვისთვის გადაგვარების პოლიტიკას შემდეგშიაც ვემსახუროთ.“⁶ როგორც ჩანს, სწავლების მთლიანად ქართულ ენაზე გადასვლის საკითხი იმდროინდელი მთავრობისთვის მხოლოდ სოციალური სახის რეფორმას არ წარმოადგენდა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ეროვნული საკითხი, რომელიც ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას უზრუნველყოფდა. ეს მართლაც სწორად ესმოდათ პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრებს.

სკოლების გაეროვნების საკითხში 2 უმთავრესი პრობლემა იდგა – 1. შესაბამისი პროგრამის შემუშავებისა და 2. ამ პროგრამის სწორად სწავლების, ანუ მასწავლებელთა კადრების.⁷

თუკი თვალს გადავავლებთ 1918 წლის სახალხო განათლების მინისტრის ბრძანებებს, უმრავლესობა შეეხება გაეროვნების საფუძველზე მასწავლებელთა გათავისუფლებას. მაგალითისთვის მოვიყვანოთ სახალხო განათლების მინისტრის, გიორგი ლასხიშვილის, რამდენიმე ბრძანებას:

28 აგვისტოს ბრძანება №31: „შტატის გარეშე რჩებიან: 1. ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უსპენსკი გიმნაზიის გაეროვნების გამო მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან; 2. ტფილისის ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის ინსპექტორი ალექსანდრე ივანის ძე კომპანეცი გიმნაზიის გაეროვნების გამო მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან“.⁸

31 აგვისტოს ბრძანება №36: „შტატს გარეშე რჩება: ყოფილ ამიერკავკასიის საოსტატო სემინარიის დირექტორი სმირნოვი სასწავლებლის გაეროვნების გამო მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. ინიშნება მასწავლებელი კირილე არველაძე გორის (ყოფილ ამიერკავკასიის) საოსტატო სემინარიის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებლად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან“.⁹

5 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №4, 17რ.

6 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №58, 2რ.

7 რამდენადაც მტკივნეული არ უნდა იყოს, ეს პრობლემა დღესაც დგას ჩვენი განათლების სისტემის წინაშე.

8 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №14, 54რ-v.

9 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №14, 59რ.

მართალია, ეს ცვლილება აუცილებელი იყო და როგორც ვხედავთ, ქართველი მასწავლებლები ინიშნებიან ყველგან, მაგრამ პრობლემას წარმოადგენდა უკვე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. მათ ხომ, ფაქტობრივად, მანამდე არ ჰქონდათ ქართულ ენაზე სწავლების გამოცდილება. განათლების მინისტრი თავის 1918 წლის 1 ივლისის მოხსენებაში ამაზეც ამახვილებს ყურადღებას: „სკოლის გაეროვნების საქმეში ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მასწავლებელთა შედარებით მოუმზადებლობა ქართული ენის მხრით. ქართველი მასწავლებელი არ არის იმდენათ მომზადებული და დახელოვნებული, რომ ქართულ ენაზე სწავლება ადვილად აწარმოვოს. დღემდის მას უხდებოდა მხოლოდ რუსულ ენაზე სწავლება. ამ დაბრკოლებას ადვილად დავძლევთ, თუკი მოვანყობთ ქართულ ენაზე კურსებს.“¹⁰ იქვე ასახელებს კურსებზე შესასწავლ საგნებსაც:

„ამ კურსებზე შემდეგი საგნები იქნება ნაკითხული:

- ა) პსიხოლოგია და ლოგიკა (20 ს.)
- ბ) პედაგოგიკა და პედაგოგიურ მოძღვრებათა ისტორია (20 ს.)
- გ) ენათმეცნიერების შესავალი (20 ს.)
- დ) ქართული ენის გრამატიკა (15 ს.)
- ე) ქართული ლიტერატურის და გრამატიკის მეთოდიკა (15 ს.)
- ვ) ქართლი ლიტერატურა ძველი დროიდან მე-19 საუკუნემდე (50 ს.)
- ზ) მსოფლიო ლიტერატურის მოკლე ისტორია (20 ს.)
- თ) მე-19 საუკუნის რუსეთის ლიტერატურა (10 ს.)
- ი) მათემატიკა (45 ს.)
- კ) ფიზიკა (მეტოდიკით) (15 ს.)
- ლ) ბუნების მეტყველება:
 - ბოტანიკა (15 ს.)
 - ზოოლოგია (15 ს.)
 - მინერალოგია და გეოლოგია (15 ს.)
 - ქიმია (15 ს.)
- მ) საზოგადო გეოგრაფია (20 ს.)
- ნ) კავკასიის და საქართველოს გეოგრაფია (20 ს.)
- ო) საქართველოს ისტორია (30 ს.)
- პ) მსოფლიო ისტორია (45 ს.).“¹¹

გ. ლასხიშვილი აქვე აღნიშნავს, რომ კურსები უფასოა და ითვალისწინებს ბინის, კვების ხარჯებსაც. ის ითხოვს, რომ მთავრობამ კურსებისთვის ბიუჯეტიდან გაითვალისწინოს 150.000 მანეთი.¹²

ამავე მოხსენებაში მინისტრი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ შემუშავდება ტერმინოლოგია ამა თუ იმ დარგისა; ეს მართლაც მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც, ვიტყვოდი, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და დღესაც მწვავე პრობლემად დგას.

გაეროვნების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ჰუმანიტა-

10 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №58, 2რ.

11 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №58, 3რ.

12 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №58, 3ვ.

რული სპეციალობის სასკოლო პროგრამებს. კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებას როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართული სკოლებისთვის. ეს საგნები სავალდებულო იყო ორივე ტიპის სკოლისთვის.

დღეისათვის ჩვენ გვინტერესებს ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა. სრული სურათისთვის გთავაზობთ 1918-1919 წლის სასწავლო წლისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამა კლასების მიხედვით:¹³

„I კლასი:

გრამატიკა: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა. წერიტი ვარჯიშობა – განვლილი ლექსების ზეპირად წერა, მოკლე შინაარსები;

II კლასი:

სალიტერატურო მასალა ითვალისწინებს: ხალხური ლექსები, შიო დედაბრემვილის მოთხრობები, რაფიელ ერისთავის ლექსები, აკაკის ლექსები (მათ შორის „ხარაბუზა და ფუტკარი“) და სხვ.

საზოგადო შენიშვნა: სალიტერატურო მასალის გავლის დროს უმთავრესი ყურადღება მიქცეული იქნება გარკვევით კითხვას, ძნელი სიტყვების თუ ფრაზების ახსნა-განმარტებას და ბავშვების საზოგადო მსოფლ-მხედველობის გაფართოების, აგრეთვე დეკლამაციებისა და განსაკუთრებით წმინდა სალიტერატური ენის შეთვისებას.

სალიტერატურო მასალა ორივე კლასისთვის ამოღებულ იქნება „ბუნების კარიდან“, ხოლო თვით მასწავლებელი იხელმძღვანელებს ს. ხუნდაძის გრამატიკით.

III კლასი:

სალიტერატური მასალა გათვალისწინებულია: გომელაური, ქართველი მწერლები, ნაწილი I. მათ შორის: ვაჟას „ბუნების მგოსნები“, აკაკის „განთიადი“, ილიას „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „რამდენიმე ეპიზოდი კაკო ყაჩაღის ცხოვრებიდან“ (ზოგი ადგილი ზეპირად), ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, დავით კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძე“.

გრამატიკა: რთული წინადადება და მისი შემადგენლობა.

IV კლასი

სალიტერატური მასალა გათვალისწინებულია: გომელაური, ქართველი მწერლები, ნაწილი II. მათ შორის: ილიას „კაცია-ადამიანი?!“, „ველადიკავკაზიდან თბილისამდე“, „პოეტი“, აკაკის „პოეტი“, „თორნიკე ერისთავი“, ბარათაშვილის „მერანი“, „სული ობოლი“. ცნობანი „სიტყვიერების თეორიიდან“ – სტილისტიკის საკითხები.

13 ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის თხზულებათა ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ამიტომ გთავაზობთ შემოკლებით. დოკუმენტი დაცულია: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №80, 1რ-6ვ.

V კლასი

ზეპირსიტყვიერება – ხალხური ლირიკა და მისი თვისებები, დღესასწაულები, უმთავრესი გმირები ისტორიული ლექსებისა.

ანბანი და მისი ისტორია. მწერლობის ცენტრები – პალესტინა, სინა, ანტიოქია, ბიზანტია, ტაო-კლარჯეთი. თარგმანები – ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, არსენ იყალთოელი. ორიგინალური მწერლობა – იაკობ ხუცესის, იოვანე საბანისძისა და გიორგი მერჩულეს თხზულებები, „წმინდა იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, არსენ კათალიკოსი და მისი „შრომანი“, იოანე ბერაი და მისი თანამზრახველნი შატბერდის კრებულის შექმნაში. სასულიერო პოეზია – მიქაელ მოდრეკილი, სტეფანე და იოანე ტბევარი, ეზრა, მინჩხი, ქონქოზაისძე.

VI კლასი

„ოქროს ხანა“, სასულიერო მწერლები ამ ხანაში. დავით აღმაშენებელი. ნიკოლოზ კათალიკოსი [გულაბერისძე] და მისი „სვეტიცხოვლის „ ისტორია. საერო პოეზია – მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის თავგადასავალი, დრო შოთასი, ხასიათი „ვეფხისტყაოსნისა“, პოეტური და ისტორიული მხარე...

დაქვეითების (XIII-XVI ს.ს.) ხანა; აღორძინების ხანა (XVII-XIX ს.ს.) – ანტონ I, გაიოზ მთავარეპისკოპოსი, ნიკოლოზ თბილელი, ბესარიონ ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი ბატონიშვილი.

საერო ლიტერატურა – თეიმურაზ I, არჩილი, დავით გურამიშვილი.

XIX-XX საუკუნეების ლიტერატურა: შესავალი, მოკლე ისტორია საქართველოს რუსთთან შეერთებისა და ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ქართულ სოციალურ ცხოვრებაში და მეცნიერება-ხელოვნებაში.

გარდამავალი ხანა; ევროპის გავლენის დასაწყისი და პოეზიის საზოგადო კალო – რომანტიკული. ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი.

რეალიზმი – გიორგი ერისთავი („შემლილი“, „გაყრა“, „დავა“); დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.

VII კლასი

„მე-6 კლასის მასალა მე-7 კლასის პირველ ნახევარში ცოტა შემოკლებით, რადგან ჩამორჩენულია და მეტი დრო არა აქვს.¹⁴

წლის მეორე ნახევარში: ილიას, აკაკის, ვაჟას, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლომოურისა და ეკატერინე გაბაშვილის თხზულებები.“

ამავე დოკუმენტში გვხვდება რუსულენოვანი სკოლებისთვის ქართული ენისა პროგრამა (4r-v); ქუთაისის რეალური სასწავლებლის უფროს მოსამზადებელ განყოფილების სასწავლო პროგრამა (5r) და პროგრამა უმცროსი მოსამზადებელი კლასისთვის (5v-6r).

¹⁴ როგორც ჩანს, მე-6 კლასისთვის ეს მასალა ვრცელი აღმოჩნდა და ის გადადიოდა მეშვიდე კლასშიც. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღ. 1, საქმე №80, 4r.

გარდა პროგრამებისა, სკოლების გაეროვნების პროცესის ფარგლებში შემუშავდა სახელმძღვანელოები, საყმანვილო ლიტერატურა და ტერმინოლოგია. ამ პროცესს კურირებდა განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც გახლდათ ივანე ჯავახიშვილი, მდივანი – მიხეილ ზანდუკელი.

საკითხავი ლიტერატურის გამოცემასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ საყმანვილო ჟურნალ „ნაკადულთან“ დაარსებული წრე, რომელსაც უნდა გამოეცა საყმანვილო ლიტერატურა. წრეს ხელმძღვანელობდა ჟურნალის რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამოიცემოდა როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურა ქართულ ენაზე – კლასიკა, მსოფლიო ფოლკლორის, ზღაპრების, არაკების საუკეთესო ნიმუშები. ბუნებრივია, ეს ძალიან კარგი წყარო იყო იმდროინდელი სკოლებისთვის.

უნდა აღვნიშნოს, რომ პროგრამებისა თუ სახელმძღვანელოების შედგენას უმტივიწეულდ არ ჩაუვლია და ავტორები თუ რეფორმის გამტარებლები ხშირად გამხდარან კრიტიკის ობიექტი, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი, რომ ნაყოფიერად გაეგრძელებინათ მუშაობა. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ განათლების სამინისტროს დადგენილების მიხედვით, პრემიით ჯილდოვდებოდა ახალი და საუკეთესო სახელმძღვანელოების ავტორები. ამით მთავრობა მოტივაციას აძლევდა ავტორებსაც და ხელს უწყობდა ქართული სკოლებისთვის ხარისხიანი სახელმძღვანელოების შექმნას. სწორედ ამიტომ წერდა 1920 წლის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“: *„იმდენად მომნიშვებული გამოდგა იდეურად გაეროვნების საქმე, რომ ქალაქის ზღაპრულმა სიძვირემ ოდნავადაც ვერ შეაფერხა იგი და ჩვენი წიგნის მალაზიები სახელმძღვანელოებით არის სავსე“*.¹⁵

თუკი შევაჯამებთ პირველი რესპუბლიკის საქმიანობას სკოლების „გაეროვნების“ საკითხში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო აუცილებელი და პროგრესული ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. ვინაიდან ის არ ითვალისწინებდა მხოლოდ განათლების სისტემის რეორგანიზაციას. გაეროვნება, ნაციონალიზაცია სკოლებისა იყო საფუძველი პიროვნების აღზრდისა ეროვნული მსოფლმხედველობითა და მოქალაქეობრივი შეგნებით. სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები თუ მთავრობის პრინციპული, შეუქცევადი ნაბიჯები ერთიანობაში ცხადყოფს, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი გაეროვნების პროცესს. საუკუნის გადასახედიდან კი ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო საუკეთესო ნაბიჯი, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ აღსრულდა ობიექტური მიზეზების გამო.

რაც მთავარია, განათლების პრობლემა დღესაც საკმაოდ მწვავედ დგას ჩვენს ქვეყანაში და კარგი იქნება, თუკი საფუძვლიანად შევისწავლით, გავაანალიზებთ პირველი რესპუბლიკის მთავრობის ქმედებებს ამ კუთხით. შეიძლება, ენობრივი თვალსაზრისით არ სჭირდება ჩვენს სკოლებს „გაეროვნება“, მაგრამ მენტალური თვალსაზრისით ნამდვილად გვესაჭიროება, რადგან თუკი მათ ასი წლის წინ ცარიზმის პოლიტიკის შედეგებისგან გათავისუფლება უწევდათ, ჩვენ ასი წლის შემდეგ ბოლშევიკურ-კომუნისტური ცნობიერებისგან გათავისუფლება და ამ მხრივ „გაეროვნება“ ნამდვილად გვჭირდება.

15 ჭუმბურიძე დოდო, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 61

გამოყენებული ლიტერატურა:

- ჭუმბურიძე დოდო, განათლება 1918-1921 წლებში, თბილისი, 2000
საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, ალ. 1, საქმე № 1
საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, ალ. 1, საქმე № 4
საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, ალ. 1, საქმე № 14
საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, ალ. 1, საქმე № 26
საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, ალ. 1, საქმე № 28
საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, ალ. 1, საქმე № 29
საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, ალ. 1, საქმე № 58
საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, ალ. 1, საქმე № 80

Ia Ghadua

*Doctor of Philology, Curator of the Fund of Unique Books
of the Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature*

„NATIONALIZING“ POLICIES OF SCHOOLS DURING THE FIRST REPUBLIC **Summary**

In 1917, the „nationalization“ of schools and introduction of universal compulsory studies became irreversible after the February Revolution, and then after 1918.

During 1918-1919, the Ministry of Education of the Democratic Republic of Georgia together with the teachers of the great community were working on the development of the revised model of the basic studies, as well as determining the principles of national school and considering issues of school administration.

Basic, fundamental steps were taken at this time: the network of regional schools was handed over to local self-governments, the school network was expanded, renovation and arrangement of school buildings were launched. Yet, the most significant challenge was to prepare and introduce new school literature. Particular importance was given to both curricula and textbooks as well as home reading materials; their purpose was to enhance the student's world view and promote national spirit.

The report focuses on the issues regarding processing of humanitarian school textbooks during the First Republic of Georgia (Georgian Language and Literature, History, Geography), as well as the approaches on which the learning process was based.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921) და ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხები¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისთანავე (1918 წ.) დაიწყო საკანონმდებლო საქმიანობაც. მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი და ნორმა რეგულირდებოდა საქართველოს პირველი პარლამენტის მიერ მიღებული კანონით. ეროვნული უმცირესობების უფლებების შესახებ, მათ შორის, განათლების, ეროვნული უმცირესობების ენების დაცვის საკითხების ნორმირებისათვის გამოიცა რამდენიმე დადგენილება. აღნიშნული საკითხი შესულია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტშიც:

„საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წელს, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

(საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918 წ.)

1918 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს სახელმწიფო ენა“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსს. მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს, რომ იმავე წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში „წესი ენის ხმარებისა“, შევიდა დამატება და პარლამენტში სახელმწიფო ენასთან ერთად განისაზღვრა ეროვნული ენების გამოყენების პირობები და პროცედურები. კერძოდ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტის წევრებისათვის დაშვებული იყო თავიანთ მშობლიურ ენაზე წარმოეთქვათ სიტყვა, თუ სათანადოდ ვერ ფლობდნენ სახელმწიფო ენას და ასევე, თუ პარლამენტის კიდევ ერთ წევრს მაინც შეეძლო იმ ენაზე საუბარი. ასევე, რეგლამენტის მიხედვით, ამ სიტყვის შინაარსი უნდა თარგმნილიყო ქართულ ენაზე, თუ მინიმუმ 15 დეპუტატი მოითხოვდა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე 1919 წლის 14 იანვარს მიღებული კანონი „ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა“, სადაც განსაზღვრული იყო, რომ იმ რეგიონებში, სადაც მცხოვრებთა ნახევარზე მეტი საუბრობს არაქართულ ადგილობრივ ენაზე, თვითმმართველობის დადგენილებით, შესაძლებელია საქმის წარმოება ქართულთან ერთად სხვა ენაზეც ყოფილიყო შემოღებული.

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს არსებობდა ყველა პირობა,

¹ აღნიშნული კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტის ნომერი PHD_F_17_175). პროექტის სახელწოდება: აფხაზური და ოსური ენების სწავლება: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა.

რომ მათ თავიანთი მშობლიური ენა შეენარჩუნებინათ და მიეღოთ როგორც პირველდანიყებითი და საშუალო განათლება, ასევე, უმაღლესი განათლება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აფხაზებისა და ოსების განათლების საკითხები, მათ შორის, აფხაზური და ოსური ენების სწავლებისათვის განხორციელებული საქმიანობა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებისას უკვე არსებობდა აფხაზური და ოსური მოსახლეობისათვის საანბანო და სასკოლო განათლების ტრადიცია, რომელიც შემდგომშიც გაგრძელდა, თუმცა ახალი ასპექტებიც შეიძინა.

საკითხის ისტორიისათვის უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრები აფხაზებისა და ოსებისათვის მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო კერის შექმნა. აღნიშნულ პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია. შესაბამისად, რუსეთის იმპერია დაინტერესებული იყო, ერთი მხრივ, სწავლა-განათლების კერების დაარსებათ, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობაში რუსული ენის პოპულარიზაციით, მათ შორის, რუსული ენის ცოდნის უზრუნველყოფითა და საქმისწარმოებითი და ყველა სხვა ტიპის წერილობითი კომუნიკაციის რუსულ ენაზე წარმართვით. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, გეროორიევსკის ტრაქტატისა და 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის შემდეგ, რუსეთი უკვე მტკიცედ იკიდებს ფეხს საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ტ. რუხაძე, 1937 წელს გამოცემულ კვლევაში „საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“, აღნიშნავს, რომ მეფის რუსეთის შემოსვლას საქართველოსა და ამიერკავკასიაში შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები ჰქონდა, მათ შორის, კავკასიის ნედლეულის მოპოვება და ახლო აღმოსავლეთისკენ გზის გახსნა. „მეფის რუსეთის ხელისუფლებას აღნიშნული მიზნების განხორციელება მხოლოდ თავისი მოხელეებისა და ჯარის მეშვეობით (თუ ადგილობრივი დასაყრდენი ძალა არ ეყოლებოდა) მეტად გაუძნელდებოდა. ამიტომ ყველაზე ადრე მან ეს ძალა, მცირე ნაწილის გამოკლებით, ქართველ თავადაზნაურობაში ჰპოვა. მაგრამ რუსული ენის უცოდინარი, რუსულ კანონებს შეუჩვეველი, ბიუროკრატიული მართვა-გამგეობისათვის უცხო, რუსულად „გაუნათლებელი“ ფეოდალურ-პარტიკულარულ ტენდენციების მქონე ქართველი თავადაზნაურობა მეფის მთავრობისათვის ყველაფერში გამოსადეგი არ იქნებოდა. ეს გარემოება გათვალისწინებული ჰქონდა მეფის რუსეთის ხელისუფლებას საქართველოში გაბატონების პირველსავე წლებიდან. რუსული სკოლა მთავარი იარაღი იქნებოდა, რომელიც მთავრობას ახლო მომავალში ახალი მართვა-გამგეობისათვის შესაფერ კადრსაც მისცემდა... და მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასა და თანამშრომლობას შეუწყობდა ხელს“ (ხუნდაძე 1937, გვ. 74).

რუსეთის იმპერიაში განათლების საკითხების მიმართ არსებობდა ორგვარი მიდგომა: რეგიონალური და ცენტრისტული (კამბალოვი 2007). რეგიონალური პოლიტიკის მიხედვით, საჭირო იყო რუსეთის იმპერიაში შემავალ რეგიონებზე ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე ზრუნვა, მათ შორის, განათლების საკითხების რეგიონისათვის შესაბამისად წარმართვა, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება, მათ მშობლიურ ენაზე განათლების კერების დაარსება და სხვ. ცენტრისტული მიდგომის მიხედვით, ყველაფერი უნდა შესრულებულიყო რუსეთის ცენტრალური ინტერესების გათვალისწინებით, მათ შორის, განათლების საკითხებშიც, უნდა დანერგილიყო რუსულენოვანი განათლება და ხელშეწყობაც მხოლოდ რუსულენოვან განათლებას უნდა ჰქონოდა.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ რუსეთის იმპერიაში განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ იყო კავკასია და კავკასიელი ხალხები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი განათლების მინისტრი, გიორგი ლასხიშვილი (1866-1931), თავის მემუარებში, რომელიც 1885-1915 წლებს ეხება, აღნიშნავს: „კავკასიის ბიუროკრატის ჩვეულებად და კანონად ჰქონდა რომელიმე კავკასიელ ერის ნიშანში ამოღება და იმისი განსაკუთრებით დევნა-შევიწროება. პირველმა მთავარ-მართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა განსაკუთრებით ქართველობა მიიჩნია იმპერიისათვის საშიშ ელემენტად და განსაკუთრებით ქართველ ერს დაუნყოფევნა. ქართული ენა, ქართული სკოლა, ეკლესია, ქართული საზოგადოებრივობა ათვალწუნებული იყო და განიცდიდა განსაკუთრებულს დევნას. იანოვსკი, სამოსწავლო ოქლის მმართველი მძვინვარებდა სკოლაში, ეგზარხოსები ეკლესიაში და, ბოლოს, მეფის ჯალათებმა აწამეს და ბოლოს დაქირავებულის მკვლელებით სიცოცხლე მოუსპეს გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს – დიმიტრი ყიფიანს, – რომელმაც გაჰბედა და ხმა ამოიღო ბიუროკრატის ამ თავგასულობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. იმ ხანაში ბიუროკრატია კავკასიის დანარჩენ ერებს – სომხებსა და თათრებს თითქოს ეფერებოდა და, შედარებით ნაკლებ შევიწროებას აყენებდა, რათა ამგვარად იზოლაციაში მოემწყვდია ქართველი ერი და თავისუფლად, ხელშეუშლელად ეწარმოებინა მის წინააღმდეგ გამანადგურებელი პოლიტიკა. 90-იანი წლების დასასრულს, პირიქით, ჯერი მიდგა სომხებზე. ეხლა სომხობა იქნენ აღიარებული იმპერიისთვის მეტად საშიშ ელემენტად და კავკასიის ბიუროკრატამ სომხებზე მიიტანა მძლავრი იერიში“.

აფხაზური ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შემდეგი: მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან რამდენიმე სოფელში შემოღებული ყოფილა სწავლება აფხაზურ ენაზე: „1866 წელს რამდენიმე აფხაზური სოფლის სამრევლო სკოლებში შემოღებულ იქნა სწავლება აფხაზურ ენაზე, რაც უეჭველად დადებითი ფაქტი იყო, მაგრამ 1884 წელს „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“ საერთოდ აკრძალა სწავლება აფხაზურ ენაზე და არსებულ სამრევლო სკოლებში შემოიღო სწავლება რუსულ ენაზე“ (გვანცელაძე 2010) მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ქართველი და აფხაზი საზოგადო მოღვაწეების ხელშეწყობითა და ურთიერთთანამშრომლობით დაიწყო აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა. როგორც აღნიშნულია, ერთ-ერთი პირველი ასეთი სახელმძღვანელო იყო იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური ხედვებითა და მეთოდების გაზიარებით შემუშავებული წიგნი „აფხაზური ანბანი“, რომელიც 1909 წელს გამოიცა. ამ წიგნში აფხაზურ ენაზე შექმნილ საბავშვო ტექსტებთან ერთად შეტანილი იყო იაკობ გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოდან „Русское слово“, თარგმნილი რამდენიმე მოთხრობა.

ოსთა განათლების საკითხებზე მსჯელობისას ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ოსები ცხოვრობენ კავკასიის როგორც ჩრდილოეთით (რუსეთის ფედერაციაში შემავალი დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანია), ასევე სამხრეთით, საქართველოს ტერიტორიაზე (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი). მეცხრამეტე საუკუნეში ორივე ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად რუსეთის იმპერიის ცენტრალიზებული მმართველობისა იმპერიის ტერიტორიაზე, საქართველოში გან-

ვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგანმანათლებლო საქმიანობამ, თავისი კვალი დააჩნია ოსთა განათლების საკითხს, მათ შორის, განსაკუთრებით, საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნულთან კავშირში მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, 1743 წელს დაარსდა ოსური სასულიერო კომისია მოზდოკში, რომელმაც 1814 წელს თბილისში გადმოინაცვლა. სასულიერო კომისიაში შედიოდნენ ქართველი სასულიერო პირებიც. კომისიის მთავარი მიზანი იყო ადგილობრივი სასულიერო კადრების მომზადება. 1864 წლიდან 1990 წლამდე სამხრეთ ოსეთში ფუნქციონირებდა 24 სკოლა. სასულიერო სკოლების გვერდით იხსნებოდა საერო, ე. წ. სამინისტრო სკოლები. პირველი ასეთი სკოლა ცხინვალში 1881 წელს გაიხსნა. 1915 წელს კი 20 საერო სკოლა იყო. ოსთა განათლების საკითხებს ყურადღებას აქცევდა ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“, აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ოსური ენის სწავლების საკითხებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. „ივანე ჯავახიშვილმა 1917 წლის 12 მაისს უნივერსიტეტის დასაარსებლად გამართულ სხდომაზე უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა კვკასიის ხალხთა ენების, კულტურის, ზეპირსიტყვიერებისა და ზნე-ჩვეულებათა შესწავლა“ (ბეპიევი 2017, გვ. 65). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის 2 მაისს გამართულ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოზე ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით დაწესდა ოსური ენის სწავლება და აღნიშნულის შესრულება დაევალა იმჟამად პროფესორის მოადგილეს, შემდგომში ცნობილ ენათმეცნიერს, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დეპუტატების 1918 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით, უნდა დაჩქარებულიყო საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა. შეიქმნა სპეციალური საკონსტიტუციო კომისია და კონსტიტუციის ცალკეული თავები განანილდა კომისიის წევრებს შორის. მაგალითად, პ. საყვარელიძეს დაევალა შეემუშავებინა შემდეგი საკითხები: საზოგადო დებულებანი, სახელმწიფო ტერიტორია, მოქალაქეთა უფლებანი; ს. დადიანს – ეროვნული უმცირესობების უფლებანი; რ. არსენიძეს – საკანონმდებლო ორგანო; ი. ჩერქეზიშვილს – კორპორაციული უფლება; კ. მაყაშვილს – სამოსამართლო მმართველობა და სხვ. „1920 წლის გაზაფხულზე საკონსტიტუციო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ სპეციალური თავის შემუშავებას და ამას საკმაოდ მონაწილეობა“ (მაცაბერიძე 2013, გვ. 27)

განათლების საკითხებზე მსჯელობისას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დეპუტატებს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, მათ შორის, პედაგოგებისა და პროფესორების საპარლამენტო და პოლიტიკურ საქმიანობასთან შეთავსების საკითხებზე. კერძოდ, სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახური შეუთავსებლად ჩაითვალა პედაგოგების საქმიანობასთან. დეპუტატი გიორგი გვაზავა აღნიშნავდა, რომ პროფესორების საქმიანობა საქართველოსთვის შესაძლოა უფრო სასარგებლო ყოფილიყო, ვიდრე მათი სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახური: „იმიტომ, რომ სწორედ პროფესორები შეიძლება, ჩვენთვის უფრო საჭირონი არიან, გონებით, ჭკუით, განათლებით ბრწყინვალენი არიან, და პროფესორები, რასაკვირველია, ძალიან სასურველია, რომ დარჩნენ“ (სდკ, სტ. ანგარიშები, 1919, გვ. 16). შესაბამისად, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრობა სახელმწიფო

დანესებულებებში სამსახურთან შეუთავსებელი იყო გარკვეული თანამდებობების დასაკავებლად. უმაღლესი სკოლის პროფესორები, პრივატდოცენტები, რექტორები ერთგვარ გამონაკლისს შეადგენდნენ, თუმცა „მოგვიანებით, უკვე 1920 წელს საკონსტიტუციო კომისიის მიერ გამოცემული კონსტიტუციის პროექტის 58-ე მუხლი აფართოებს იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომლის დაკავების უფლება ჰქონდა დეპუტატს. პროექტის ამ მუხლის მიხედვით, პარლამენტის წევრს უფლება ეძლეოდა დაეკავებინა მთავრობის წევრის, სახელმწიფო კონტროლიორის, მინისტრის მოადგილის ან ადგილობრივი მმართველობის ხმოსნის თანამდებობები. აქ ჩანს საქართველოს პირველი რესპუბლიკის 1919 წლის 4 აპრილის დებულების 1-ი პუნქტის „შენიშვნის“ გავლენა, თუმცა ამ დებულებისაგან განსხვავებით, კონსტიტუციის პროექტის 58-ე მუხლი გამონაკლისს არ უშვებს სახელმწიფო კონტროლიორის მოადგილეების, უმაღლესი სკოლის პროფესორების, პრივატდოცენტების და რექტორების, ასევე სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსებზე. პროექტით დეპუტატს ეკრძალებოდა ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობების დაკავება. თუ გადავხედავთ დასავლეთ ევროპის კონსტიტუციათა უმრავლესობას, დაცულია შეუთავსებლობის პრინციპი“ (ქანთარია 2012, გვ. 199).

ეროვნული უმცირესობების უფლებების, ასევე, განათლების საკითხებთან დაკავშირებით, რამდენიმეთვიანი მუშაობა ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში. მასში სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებული იყო უფასო დანყებითი განათლება (მუხლი 110) და სხვ. „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეული იყო ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებებისა და გარანტიების ჩამოყალიბება. ეროვნული უმცირესობების უფლებები კონსტიტუციის მე-14 თავში აისახა. ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს საკუთარ ენაზე სწავლისა და განვითარების უფლება ეძლეოდა, ისევე როგორც საკუთარი თვითმმართველობებისა და კავშირების დაარსების შესაძლებლობა. თავიანთი უფლებების დასაცავად, მათ შორის აღნიშნული კავშირების საშუალებით, ისინი უფლებამოსილი იყვნენ, სასამართლოსათვის მიემართათ (პაპუაშვილი 2013, გვ. 15)“

საკონსტიტუციო მუშაობა დაჩქარებულ რეჟიმში, საომარ პირობებში მიმდინარეობდა. არსებობდა საფრთხე, რომ კონსტიტუციის ბოლომდე შემუშავება და მიღება შეფერხდებოდა შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო. წითელი არმიის თავდასხმის პირობებში დამფუძნებელთა კრების სხდომა ბათუმში გაიმართა. საქართველოს დამფუძნებელთა კრებამ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია ერთხმად მიიღო. როგორც აღნიშნავენ, კონსტიტუციის მიღებას სახალხო ზეიმი არ მოჰყოლია, ზარბაზნების ხმა უკვე ბათუმშიც ისმოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში სრულად აისახა ის ხედვები და ძირითადი ტენდენციები, რაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის დეპუტატებსა და მთავრობას ჰქონდა ეროვნული უმცირესობების უფლებების, ასევე, ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხების, მათი კულტურის შენარჩუნების, ეროვნული უმცირესობების ენების შენარჩუნების, სწავლებისა და ამ ენების გამოყენების შესახებ. კონსტიტუციის მეთოთხმეტე თავი მთლიანად ეხება ეროვნულ უმცირესობებს და განსაზღვრავს იმ ძირითად უფლება-მოვალეობებსა და ვალდებულებებს, რაც სახელმწიფოს გააჩნია ქვეყნის მოქალაქე ეროვნუ-

ლი უმცირესობების მიმართ. მეთოთხმეტე თავის პირველივე მუხლში (მუხლი 129) განსაზღვრულია ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხები, მათ შორის, მათ მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი: „მუხლი 129. არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, 2013). აღნიშნული ჩანაწერი კონსტიტუციაში გულისხმობს შემდეგს: ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შეუძლიათ თავისუფალ სოციალურ და ეკონომიკური განვითარებასთან ერთად, საკუთარი კულტურული და ნაციონალური განვითარებისათვის ზრუნვა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, მშობლიურ ენაზე განვითარება, მათ შორის, ბეჭდური მასალის მომზადება და გამოცემა.

კონსტიტუციის მეთოთხმეტე თავში სულ 9 მუხლია, სადაც თანმიმდევრულად არის ახსნილი და გაანალიზებული სახელმწიფოებრივი ხედვა ეროვნული უმცირესობების მიმართ. 130-ე მუხლში ვკითხულობთ: „ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძლიერებლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგალში. ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით. ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით. ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშვალეები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, 2013). როგორც ვხედავთ, ამ მუხლში ეროვნული უმცირესობების გაერთიანებების შესახებ არის საუბარი, რომლებშიც კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად შესაძლებელია გარკვეული საქმიანობების წარმართვა.

უთუოდ მნიშვნელოვანია კონსტიტუციის 134 და 135 მუხლები, სადაც ასევე საგანგებოდ არის საუბარი ეროვნული უმცირესობებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსების ვალდებულებებზე, ასევე, ეროვნული უმცირესობებისათვის მშობლიურ ენაზე განათლების საკითხებზე: „მუხლი 134. ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით. მუხლი 135. ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, 2013).

ეროვნული უმცირესობების შესახებ შედგენილი მეთოთხმეტე თავის ბოლო ორი მუხლი ეხება ეროვნული უმცირესობების ენების დაცვის საკითხებს და განსაზ-

ღვრავს სახელმწიფო ენისა და უმცირესობების ენების მოხმარების წესებს (მუხლი 136), ხოლო 137-ე მუხლში ასახულია საქართველოს პარლამენტში ეროვნული უმცირესობების უფლებების, მათ შორის, დებატებში მონაწილეობის ენობრივი ფაქტორები. ეს კი, თავის მხრივ, ემყარება 1918 წლის 1 ოქტომბერს მიღებულ კანონს „საქართველოს სახელმწიფო ენა“, ასევე, იმავე წლის 15 ოქტომბერს მიღებულ რეგლამენტს „წესი ენის ხმარებისა“ და სხვ. „მუხლი 136. ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც. მუხლი 137. არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს. დაწერილებით წესს განსაზღვრავს კანონი“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, 2013).

ცნობილი გერმანელი მკვლევარი, ვოლფგანგ ბაბეკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საქმიანობას საკონსტიტუციო საკითხებში ეროვნულ უმცირესობებთან კავშირში ასე აფასებს: „1921 წლის 21 თებერვალს საქართველოში მიიღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუცია, რომელსაც ძალაში შესვლა, სამწუხაროდ, თურმე არ ეწერა. უკვე ოთხი დღის შემდეგ საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის შედეგად გამოცხადდა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ – სსსრ. ამით დასრულდა ქვეყნის თითქმის სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდი. 1921 წლის კონსტიტუცია იმ დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ კონსტიტუციად ითვლებოდა და შეიცავდა მრავალ სოციალ-დემოკრატიულ ელემენტს, მაგალითად, სოციალ-ეკონომიკური უფლებების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს და ცალკე თავს ეროვნული უმცირესობების უფლებათა შესახებ (ბაბეკი 2002, გვ. 10).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო საქმიანობა, ასევე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია აშკარად მიუთითებს, რომ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, მათ შორის, აფხაზებისა და ოსების უფლებები, ასევე, მათი მშობლიურ ენაზე განათლების საკითხები კანონით იყო რეგულირებული და ამას პრაქტიკული ასახვაც ჰქონდა, თუმცა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის გამო, დაგეგმილი საკანონმდებლო ღონისძიებები ვერ განხორციელდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაბეკი ვოლფგანგ, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), გერმანულიდან თარგმნა კ. კუბლაშვილმა, გერმანული გამოცემა 2001, ქართული გამოცემა 2002

ბეპიევი ნაირა, ოსური ენის ისტორია, თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2017

გვანცელაძე თეიმურაზ, აფხაზური ენის ფუნქციონირება განათლების სფერო-

ში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი სპეკალი, თბ., 2010 <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/2/20>

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია

Камболов Т.Т. Языковая ситуация и языковая политика в Северной Осетии: история, современность, перспективы: Монография / Под редакцией доктора филологических наук М.И. Исаева; Северо-Осетинский государственный университет. Владикавказ: Издательство СОГУ, 2007

ლასხიშვილი გიორგი, მემუარები (1885-1915). ელ. ვერსია: <http://litklubi.ge>

მაცაბერიძე მალხაზ, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ნორმატიული აქტები (1918-1921)

პაპუაშვილი გიორგი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, კრებულში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, ბათუმი, 2013

საქართველოს ეროვნული არქივის მასალები, ავტორ-შემდგენლები: ბექა კობახიძე, დიმიტრი სილაქაძე, ანტონ ვაჭარაძე. თბ., 2016

სდკ, სტ. ანგარიშები, 1919 წ; მე-6 სხდომა, გვ. 16, სეა, ფონ. 1833, აღნ. 1, საქ. 181, ფურც. 1

ფუტკარაძე ნუგზარ, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებები კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი ბათუმი 2011

ქანთარია ბექა, დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, დისერტაცია. ელ.ვერსია: http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000444/Kantaria.B.%20daculia%202012%20tslis%207%20marts_.pdf

ხუნდაძე ტრ., საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, წიგნში: სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სახალხო განათლების ისტორიის სექცია, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა, ტფილისი, 1937

DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (1918-1921) AND EDUCATIONAL ISSUES OF ETHNIC MINORITIES²

Summary

As soon as the first republic of Georgia was created, legislative activities began. Many important questions and provisions were regulated by the law adopted by the first Parliament of Georgia. On October 1, 1918 the Parliament of the First Republic of Georgia adopted the law „the State Language of Georgia“ which defined the status of the state language of Georgia. It is also important to note that on October 15 of the same year additions were made to the regulations of Parliament of Georgia – „Rules for the Use of the Language“, and in Parliament conditions and procedures of use of national languages were defined alongside with the state language. In particular, the representatives of ethnic minorities were allowed to make a statement before members of Parliament of Georgia in their native language, if they didn't know well the state language, and also if at least one member of Parliament could speak that language. Besides, according to regulations, contents of this statement should be translated into Georgian if required by at least 15 members.

It is also important to mention the law adopted on January 14, 1919, „the Use of language in local governments“ which defined that in those regions in which more than a half of inhabitants spoke a local language other than Georgian, according to the decision of self-government, records management could be conducted in other language along with Georgian.

There were all conditions for representatives of ethnic minorities living in Georgia in the first Republic of Georgia so that they could keep their native language and get a primary and secondary education, and also the higher education. Educational issues of Abkhazians and Ossetians, including the activity carried out for the purpose of learning the Abkhazian and Ossetian languages, are important in that regard. It is also necessary to note that when establishing the First republic of Georgia, there already existed the tradition of elementary and school education for the Abkhazian and Ossetian population which was further developed.

In the report we will discuss legislative activity of the First Republic Georgia on the rights of ethnic minorities, including educational issues.

2 This research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) (grant number PhD_F_17_175). project title is: Teaching Abkhazian and Ossetian Languages: History and Contemporary Situation.

**1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს
განათლების სისტემის რეფორმირების გამომცდილება და
პოსტკოლონიური ქვეყნის გამონვავები – ისტორიული
ბაკვეთილი თანამედროვეობის ჭრილში**

*„სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავალი თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისა, რადგან ქვეყნის მომავალი მომავალი თაობის კუთვნილებაა და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება“
ილია ჭავჭავაძე.¹*

1918 წლის 26 მაისს, მას შემდეგ, რაც ერთი წლით ადრე რუსეთში მეფის ხელისუფლება დაემხო, თბილისში, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის“ მიღებით შეიქმნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენიდან 100 წელი გავიდა და მიუხედავად იმისა, რომ 27 წელია, საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაიბრუნა, მაგრამ პოსტკოლონიური მემკვიდრეობის დაძლევა და დემოკრატიული, რეალურად დამოუკიდებელი და განვითარებული სახელმწიფოს მშენებლობა კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება.

ე.წ. ფრანკოფონიური პოსტკოლონიალიზმის მამამთავარი ფრანც ფანონის თანახმად, „კოლონიზებული სექტორი ესაა შიმშილის, უპურობის, უხორცობის, უფეხსაცმლობის, უნახშირობის, უშუქობის განყოფილება, ესაა მუხლებზე მდგომი ადამიანის პოზიცია. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს შემთხვევაში ანალოგიურ მდგომარეობაში ქვეყანა სწორედ რუსული კოლონიზაციის ფორმალური დასრულების პირველივე ათწლეულში, 1990-იან წლებში აღმოჩნდა (და შესაძლოა, ეს პროცესი დღემდე გრძელდება), რაც კოლონიზაციის პერიოდში ჩადებული ნაღმების ამოქმედებით აიხსნება. ამავე დროს, სწორედ ამ ათწლეულმა კიდევ უფრო გაართულა და გაახანგრძლივა კოლონიური მემკვიდრეობისგან, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ტრავმებისგან გათავისუფლების პროცესი.“ მისი თქმით, „დეკოლონიზაცია არასოდესაა უჩუმი, რადგან ის ფოკუსირებულია ყოფაზე და ძირშივე ცვლის მას; ის ცვლის ცხოვრების ჩვეულ რიტმს და ქმნის ახლებური ტიპის კაცობრიობის ახალ ენას; დეკოლონიზაცია მართლაც ახალი თაობის ქმნილებაა, ნივთი, რომელიც გათავისუფლების პროცესთან ერთად ახალ ადამიანს აყალიბებს (ფანონი: 1961, 2).²

1 ილია ჭავჭავაძე განათლების შესახებ. 22.11.2015 <https://edu.aris.ge/news/ilia-chavchavadze-ganatilebis-she-saxe.html>

2 სვანიძე ნ. (ნ ნოემბერი, 2017). საუბრები პოსტკოლონიალიზმზე, ფრანც ფანონი და შავკანიანთა საკითხი. ერი და განათლება. მოძიებულია 19 მაისი, 2018, <http://www.edulive.ge/geo/news/story/67534-tsiklidan-saubrebi-postkolonializmze-frants-fanoni-da-shavkanianta-sakitkhi>

ბუნებრივია, რომ საქართველო, როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მნიშვნელოვანი გარდაქმნების განხორციელების აუცილებლობის წინაშე დადგა. ქვეყანამ დაიწყო გეგმიური ეკონომიკიდან კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა, მბრძანებულ-ადმინისტრაციული და ტოტალიტარული მმართველობიდან დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. ცხადია, რომ ყოველივე ეს განათლების სისტემის რეფორმირების გარეშე შეუძლებელი იქნება. ამდენად, განათლების სისტემის რეფორმირებას 1918-1921 წლების გამოცდილების გათვალისწინებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, რომ გამოვიტანოთ სასარგებლო დასკვნები პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის 3-წლიანი გამოცდილებიდან, რათა ვუპასუხოთ მომავლის გამონვევებს. ამისათვის, ნაშრომის ამოცანაა, გავანალიზოთ საქართველოს განათლების სისტემის მემკვიდრეობა, მდგომარეობა, განხორციელებული რეფორმები და პერსპექტივები ქვეყნის პოსტკოლონიურ ორივე ეტაპზე.

ახალგაზრდა და მომავალმა თაობებმა ნათლად უნდა დაინახონ, თუ რა გავლენა მოახდინა კომუნისტურმა და საბჭოთა რუსულმა ოკუპაციამ ქვეყნის და მათ შორის განათლების სისტემის განვითარებაზე და რა რისკებს უქმნის ჩვენს დამოუკიდებლობასა და განვითარებას.

ნაშრომის ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის ორივე ეტაპზე საქართველოს განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი იყო პოსტკოლონიურ მემკვიდრეობასთან გამკლავება და განათლების სისტემის გააზრებული, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული, ეფექტური და ეფექტიანი რეფორმირება.

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო ეროვნული ხასიათის ცვლილებების განხორციელება ქვეყნის განვითარების სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის განათლების კუთხით. ქვეყანაში დაიწყო საყოველთაო-სახალხო განათლების გავრცელება. ყველა სოციალური ფენა ენაფებოდა ცოდნის წყაროს, მათ შორის უღარიბესი გლეხობაც. ქართველი რეფორმატორები ცდილობდნენ ევროპული განათლების სისტემის გამოცდილების გადმოღებას.³

განათლების რეფორმირებით დაინტერესებულ პირებს მიაჩნდათ, რომ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში ყველა საფეხურის სახელმწიფო სკოლა უნდა შექმნილიყო და ამოსავალ პრინციპად მისი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება მიაჩნდათ.⁴

განათლების მართვის სისტემის რეფორმირების კუთხით სხვადასხვა ცვლილებები განხორციელდა: გაუქმდა კავკასიის სასწავლო ოლქი⁵; კავკასიის სამოსწავლო

3 მურღულია თ. (2018). განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918-1921 წლების საქართველოში. სადოქტორო ნაშრომი, აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტი, ქუთაისი. გვ. 42

4 ქუთათელაძე ნ., (1919), საშუალო სკოლის რეორგანიზაციის გამო, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №157, გვ. 23

5 18.07.1918, №18 ბრძანება, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1920, № 136, გვ. 3

კომისარიატის ნაცვლად შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ე.წ. „სამოსწავლო საბჭო“, რომლის „სამეცნიერო კომიტეტის“ წევრებიც (ცნობილი მეცნიერები, პედაგოგები, ხელოვნების მუშაკები) ჩაირიცხნენ განათლების სამინისტროს შემადგენლობაში⁶; დამტკიცდა ახალი შტატები, მასწავლებლის ჯამაგირი წელიწადში-4800 მანეთით განისაზღვრა, ეს იყო თვეში ოთხასი მანეთი⁷; ქალაქის განათლებას სასწავლებლების საბჭო განაგებდა; სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეში კერძო სკოლები და ინიციატივები ფართოდ იყო ნახალისებული⁸. შეიძლება ითქვას, რომ პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირობებში განათლების სისტემა საკმაოდ დეცენტრალიზებული იყო, ვიდრე ის დღეს არის, მაშინ, როცა გაცხადებული დეცენტრალიზაციის პოლიტიკის მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობების როლი სკოლების მართვის პროცესში სამართლებრივი ნორმების მიხედვით მინიმალურია და ისიც ფორმალურ ხასიათს ატარებს, ხოლო კერძო სექტორის როლის მიხედვით, დღესაც ანალოგიური ვითარება გვაქვს, მოსწავლეებს საბაზისო ვაუჩერის სახით სახელმწიფო დაფინანსება კერძო სკოლებშიც მიჰყვებათ.

განათლების სამინისტრო ქმნიდა სამსაფეხურიან სწავლებას: 1. პირველდანიწყებითი (დაბალი სკოლები და გიმნაზიების მოსამზადებელი განყოფილებანი), 2. უმაღლეს დანიწყებითი (გიმნაზიების 1-4 კლასები) და 3. გიმნაზიები (გიმნაზიების 5-8 კლასები). ამათგან I და II უნდა დამორჩილებოდა ადგილობრივ თვითმმართველობებს, მესამე კი – სამინისტროს. 1919-1920 სასწავლო წელს საშუალო სკოლის 1-3 კლასი გაუთანასწორეს უმაღლესი დანიწყებითი სკოლის 1-3 კლასებს, ხოლო 1920-21 სასწავლო წლისათვის კი საშუალო სკოლის მე-4 კლასიც ასევე გაუთანასწორდა უმაღლესი დანიწყებითი სკოლის მე-4 კლასს. 1919 წლის 22 ივლისის მთავრობის გადაწყვეტილებით საშუალო სკოლა 4 კლასით განისაზღვრა. უმაღლეს დანიწყებითი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი ახალი ტიპის გიმნაზიის მე-5 კლასში უგამოცდოდ შევიდოდნენ. ძველი ტიპის გიმნაზიის (მოიცავდა 1-8 კლასებს) მე-5 კლასში მიღებისათვის კი საჭირო იყო გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში.⁹ საინტერესოა, რომ დღესაც სკოლა სამ საფეხურიანია.

1920 წელს განათლების სისტემის რეფორმირების მორიგი ტალღა მომზადდა სკოლის საორგანიზაციო კომისიის მიერ დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით¹⁰ და რომ არა საბჭოთა რუსეთის ოკუპაცია, ის რეალობად იქცეოდა. საერთო განათლების სკოლის ძირითადი დებულებების მიხედვით: უნდა დანერგილიყო სავალდებულო უფასო რევანლიანი სწავლება; I კლასში უნდა მიეღოთ 6 წლის ბავშვები; თანაბარი ყურადღება უნდა მიქცეოდა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო საგნებს და განათლება დაფუძნებოდა შრომას; საშუალო სკოლა იქნებოდა ორგ-

6 ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი (ქსსა), ფონდი 19, საქმე 155, ფურც. 18

7 მურღულია თ., 2018. განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918-1921 წლების საქართველოში. სადოქტორო ნაშრომი, აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტი, ქუთაისი. გვ. 45-46

8 დეკრეტი „ამიერკავკასიის სკოლების სრული რეორგანიზაციის შესახებ“, ჟურნალი „განათლება“, 1918, № 1. გვ. 89

9 მურღულია თ. (2018). განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918-1921 წლების საქართველოში. სადოქტორო ნაშრომი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი. გვ. 47-48.

10 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, № 38

ვარი–საერთო განათლებისა და პროფესიული. საშუალო სკოლის კურსი 4 წლით განისაზღვრებოდა. პროფესიული სკოლა კი სხვადასხვა ტიპისა იქნებოდა.¹¹

„ქართული ერთიანი სკოლა“, დ. უზნაძის ხედვით, შემდეგ პრინციპებსა და დებულებებზე უნდა აგებულიყო:

✓ პირველი საფეხური (6-10 წლამდე) – ოთხწლიანი სკოლა, რომლის პირველი კლასის სასწავლო კურსი საბავშვო ბაღისა და სკოლის ელემენტებს შეიცავდა;

✓ მეორე საფეხური (10-14 წლამდე) – ოთხწლიანი კურსით, რომელიც ორ მიმართულებას ეფუძნებოდა: ჰუმანიტარულ-თეორიულსა და რეალურ-პრაქტიკულს;

✓ მესამე საფეხური იყოფოდა სამეურნეო და სამრეწველო-სატექნიკო სკოლებად; მაღალი პროფესიონალური და მაღალი ზოგადი განათლების სკოლებად (ოთხწლიანი).¹²

განათლების სამინისტროს, ასევე, საჭიროდ მიაჩნდა **სკოლებში თვითმმართველობის** დანერგვა, რაც, მათი აზრით, გამბედაობასა და ინიციატივას განავითარებდა. ასევე, დიდი ადგილი უნდა დათმობოდა **ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდას**.¹³ მართალია, დღეისათვის ზოგადი განათლების დეცენტრალიზაცია დეკლარირებული პოლიტიკაა, მაგრამ სკოლების რეალური თვითმმართველობა ჯერ კიდევ, 100 წლის შემდეგაც, გამოწვევაა.

თუ პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირობებში ქართულმა საზოგადოებამ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაენყო და განეხორციელებინა სერიოზული სისტემური რეფორმები, კომუნისტური რეჟიმის დანგრევისა და დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ ანალოგიური პროცესები საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

კერძოდ, ზოგადად განათლების სისტემის რეფორმირების პროცესი XX საუკუნის 90-ანი წლების შუა პერიოდიდან იღებს სათავეს, მაგრამ ის არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. უფრო სისტემური ხასიათი რეფორმამ 2001 წლიდან „საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის“ დაწყებით მიიღო, მაგრამ რეფორმებმა განსაკუთრებული მასშტაბი და რადიკალურობა ვარდების რევოლუციის შემდეგ შეიძინა.

კერძოდ, 2004 წლიდან გატარებული რეფორმის მთავარი პრიორიტეტები სისტემის დეცენტრალიზაცია და კორუფციის აღმოფხვრა გახლდათ. მის ფარგლებში მრავალი ცვლილება განხორციელდა (სკოლების დარეგისტრირება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, მათთვის საბანკო ანგარიშების გახსნა და ქონების გადაცემა უვადო უზუფრუქტის წესით, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება, კლასის დაფინანსებიდან ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსების მოდელზე გადასვლა და სხვა), მაგრამ დეცენტრალიზაციის კუთხით გამორჩეულად მნიშვნელოვანი იყო სკოლებში უმაღლესი თვითმმართველი ორგანოს – სამეურვეო საბჭოების, არჩევა და მათი საშუალებით მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მაქსიმალური ჩართვა ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორცაა

11 მურღულია თ. (2018). განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918-1921 წლების საქართველოში. სადოქტორო ნაშრომი, აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტი, ქუთაისი. გვ. 48-49

12 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №78

13 ჟურნ. „განათლება“, 1919, №2, გვ. 43

ბიუჯეტის, შინაგანანუსის დამტკიცება, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება, დირექტორის არჩევა და სხვა.¹⁴

სამეურვეო საბჭოს გარდა, შეიქმნა სკოლის მართვის ახალი სტრუქტურული ერთეულები: დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტი, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობა.¹⁵

რეფორმის მასშტაბურობის მიუხედავად, 2014 წელს ჩატარებული კვლევის – „სკოლის სამეურვეო საბჭოები საქართველოში“ თანახმად, სამეურვეო საბჭოები არაეფექტურად ფუნქციონირებენ (Sedere, Shatirishvili and Gorgadze, 2012) და მათი ზოგადი კონცეფცია საზოგადოებისთვის გაუგებარია (Berryman, Mikeladze and Andguladze, 2011), მაგრამ ამავე კვლევის მონაწილე რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ სამეურვეო საბჭოები სკოლებში აუცილებელია და ის უნდა შენარჩუნდეს, რადგან იგი სკოლის დონეზე დემოკრატიული მართვის ინსტრუმენტია და მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს სკოლის საზოგადოებისათვის.¹⁶

მართალია, თანამედროვე საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა ბევრად დეცენტრალიზებულია. ვიდრე სადმე, მაგრამ დეცენტრალიზაციის, როგორც დემოკრატიზაციის პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტის მიზანი – საზოგადოების/მშობლების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, ვერ არის მიღწეული, სკოლები ამით არ გამხდარა უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული.

განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით დემოკრატიულმა რესპუბლიკამ რუსული კოლონიური მმართველობისაგან მძიმე მემკვიდრეობა ჩაიბარა.¹⁷ 1915 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში არსებობდა 1689 დაწყებითი სკოლა და სხვა დაბალი ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება. ყველა ამ სასწავლო დაწესებულებაში, მეორეკლასიან სასწავლებელთა გამოკლებით, ირიცხებოდა 131 249 მოსწავლე.¹⁸ დაწყებითი და სხვა დაბალი ტიპის სასწავლებელთა ქსელში დიდი ადგილი ეჭირა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს. მათი რიცხვი სკოლების საერთო რაოდენობის 46%-ს შეადგენდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლობდა 46 025 მოსწავლე, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 36%-ს შეადგენდა.¹⁹

1919 წელს პირველდაწყებითი სასწავლებლების (სწავლა 7 წლის ასაკიდან) სტატისტიკა საქართველოს ქალაქებისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: თბილისის მაზრა – 59, გორის – 124, თელავის – 42, სიღნაღის – 75, დუშეთის – 38, თიანეთის – 31, ქუთაისის – 196, ოზურგეთის – 142, სენაკის – 123, ზუგდიდის – 104, შორაპნის – 124, რაჭის – 67 და ლეჩხუმის – 56, სულ 1182. ხელისუფლება გე-

14 საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 38

15 საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 35

16 აფხაზავა რ. და ბრეგვაზე თ. (2014), „სკოლის სამეურვეო საბჭოები საქართველოში – პრაქტიკა, გამოწვევები და რეკომენდაციები“, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, გვ. 6-7

17 1905–1907 წწ. 2187 ათას მცხოვრებზე საქართველოში ძლივს 600 სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი მოდიოდა.[144, გვ. 26]

18 სიგუა ს., 1969, „სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში“, თბ. გვ.36

19 მურღულია თ. (2018). განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918-1921 წლებში საქართველოში. სადოქტო რონაშრომი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, გვ. 13

გმავდა, რომ ასეთი სკოლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა, სადაც სავალდებულო უფასო ოთხნობიანი სწავლება იქნებოდა, 1924 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო.²⁰

უფრო მეტიც, 1920 წლის თებერვალში გამოვიდა მთავრობის დადგენილება **საყოველთაო სავალდებულო უფასო განათლების** შესახებ. მისი მიხედვით, უფასო და სავალდებულო გახდა რევანლიანი განათლება, ბუნებრივია, რომ გაიზარდა ამ ტიპის სასწავლებელთა რიცხვიც და მარტო 1920 წლის პირველ ნახევარში გაიხსნა 150 დაწყებითი სკოლა. ამ ეტაპზე სულ თბილისში 82 სკოლა იყო 700 მასწავლებლით, აქედან ქართული – 24, სომხური – 18, რუსული – 23, მუსულმანური – 2, ოსური – 1, პოლონური – 1, გერმანული -1, ბერძნული – 1 და ასირიული – 1. 1920–1921 სასწავლო წელს უნდა გახსნილიყო კიდევ 179 სკოლა, ხოლო საქართველოში სულ უნდა ყოფილიყო 1991 სკოლა. აქედან 151 უმაღლესი დაწყებითი იქნებოდა.²¹

ყურადსაღებია, რომ ყველა სკოლაში სწავლება მხოლოდ და მხოლოდ მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა,²² მაგრამ ამავდროულად ხაზი უნდა გავუსვათ ეროვნული უმცირესობების მიმართ გატარებულ პოლიტიკას. ვინაიდან ქართულ საბჭოურ პედაგოგიკურ ლიტერატურაში ზემოთ აღნიშნული დებულება სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ გამოცხადებული იყო, როგორც „ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილება“.²³ ახალგაზრდა სახელმწიფო თავის არაქართველ მოქალაქეებს ჰპირდებოდა სწავლების უზრუნველყოფას თავიანთ მშობლიურ ენაზე და არა რუსულ ენაზე, რაც მანამდე იყო მიღებული.²⁴

1920 წელს, მთავრობის დავალებით, თბილისში შეიქმნა ვაჟთა 2 რუსული, 3 სომხური და ქალთა 3 სომხური და 2 რუსული გიმნაზია. საერთოდ კი, ქალაქში ამ წელს მოქმედებდა 23 რუსული და 18 სომხური სასწავლებელი. რუსული ჯგუფები არსებობდა გორის, ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის გიმნაზიებშიც, ხოლო სოხუმში – 2 რუსული გიმნაზია.²⁵

„რეალობაა, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესმა ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა განათლების ხარისხის ამაღლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. ინტერნაციონალიზაცია მოიცავს როგორც სტუდენტთა, ასევე აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს, საერთაშორისო თანამშრომლობას კვლევითი პროექტების ფარგლებში. სწავლების ინტერნაციონალიზაციის პრინციპი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი გამოძახილია 1918–1921 წლების დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკისა.“²⁶

20 ჟურნ. „განათლება“, 1919, № 2

21 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 131

22 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. № 58

23 სარიშვილი ტ., სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობა რევოლუციამდე საქართველოში, თბილისი, 1956, გვ. 294

24 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, № 13

25 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, № 28

26 მურულუა თ. (2018), განათლება და პედაგოგიური აზროვნება 1918-1921 წლების საქართველოში, სადოქტო რონაშრომი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი. გვ.58

განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით განსაკუთრებით რთული ვითარება აფხაზეთში იყო შექმნილი, სადაც 1917 წლის შემდეგ მხოლოდ 1919 წლის სექტემბრიდან განახლდა. რისთვისაც ზაფხულში, გალში, სამურზაყანოს მასწავლებელთათვის მოეწყო სპეციალური კურსები. ქართულის მასწავლებლები საერთოდ არ ჰყავდათ გუდაუთაში, ტამიშსა და სხვაგან. განათლების ყველაზე მსხვილ ცენტრს აფხაზეთში სოხუმი წარმოადგენდა.²⁷

თავისი არსებობის მხოლოდ 3-წლიანი არსებობის მიუხედავად, დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ქართველი ხალხის ნება და პროგრესულობა განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით ყველაზე ნათლად წარმოაჩინა 1921 წლის კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც: 1) „პირველდანიყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდანიყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა. სწავლა–განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა“ (თავი 12. მუხლი 110) და 2) „სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდანიყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცემელ–დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნით განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად“ (თავი 12. მუხლი 111).

ფაქტია, რომ განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით 1921 წლის კონსტიტუცია გაცილებით უფრო პროგრესული იყო, ვიდრე დღეისათვის მოქმედი საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „...დანიყებითი განათლება სავალდებულოა. სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს საბაზო განათლებას. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება“.

მართალია კომუნისტური მემკვიდრეობის შედეგად სკოლების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონის, მოსახლეობის დიდი ნაწილის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თუ სხვა მრავალი პრობლემის გამო. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის შემდეგაც განათლების ხელმისაწვდომობა კვლავ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება.

იმის დემონსტრირებისთვის, თუ რამდენად მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა კომუნისტურმა წყობამ დამოუკიდებელ საქართველოს, გამოდგება ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ განათლების სისტემის ყველაზე დიდი პრობლემა მასობრივი კორუფცია გახდა.²⁸ 2004 წლიდან განხორციელებული რეფორმის და, კერძოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებით, ეს პრობლემა, ფაქტობრივად, დაძლეული იქნა. მაგრამ ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, ქართულ რეალობაში კვლავ აქტუალურ პრობლემად, როგორც 2004 წელს ღია

27 მურლულიათ. (2018). განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918-1921 წლების საქართველოში. სა-დოქტორო ნაშრომი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი. გვ. 57

28 საქართველოს ჰუმანური განვითარების ანგარიში (2008). რეფორმები და რეფორმებს მიღმა, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, გვ. 47

საზოგადოების ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო კვლევის,²⁹ ასევე 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებით,³⁰ კერძო რეპეტიტორობის მასშტაბები, სკოლაში საგაკვეთილო პროცესის ფარგლებში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა და შედეგად სოციალური უთანასწორობა დარჩა.

კერძოდ, 2011 წელს საქართველოში კერძო რეპეტიტორობის ფენომენის თემაზე განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში „... რეპეტიტორთან ყოველი მეოთხე მოსწავლე ემზადებოდა. მაჩვენებლები იზრდება საფეხურების ზრდასთან ერთად და კრიტიკულ მაჩვენებელს დამამთავრებელ კლასში აღწევს (იხილეთ დანართი, დიაგრამა №1). მასშტაბები განსხვავებულია საქართველოს ცენტრსა და პერიფერიაში, ისევე როგორც მაღალშემოსავლიან და დაბალშემოსავლიან ჯგუფებში. შესაბამისად, დედაქალაქში მცხოვრები, მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახის დამამთავრებელ კლასში მყოფი თითქმის ყველა მოსწავლე ემზადება რეპეტიტორთან“ (იხილეთ დანართი, დიაგრამა №2). აქვე აღნიშნულია, რომ „მოთხოვნა კერძო რეპეტიტორობაზე გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ამ სერვისის გამოყენების რეალური მაჩვენებლები – კერძო რეპეტიტორობის აუცილებლობას გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობის 90% ადასტურებს. გამოკითხულთა 60% რომელიც არ ემზადება, მიზეზად მხოლოდ ფინანსების სიმცირეს ასახელებს.“³¹

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ „მშობელთა დანახარჯი განათლებაზე დაახლოებით 300 მილიონი ლარის ფარგლებშია, რაც სახელმწიფოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებასთან მიმართებით 85,5%-ს შეადგენს. ზოგად განათლებაზე მშობელთა მიერ განუხლები ხარჯებში კერძო რეპეტიტორობის წილი 40%-ს შეადგენს, რაც გვიჩვენებს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმწიფო დაფინანსებასთან მიმართებით რეპეტიტორობის წილი დაახლოებით 35%-ს შეადგენს.“³²

მართალია, რომ აღნიშნულ სფეროში კვლევებისა და სანდო მონაცემების სიმცირის გამო ძნელია იმის ობიექტურად დასაბუთება თუ რამდენად ახდენს გავლენას კერძო რეპეტიტორობა მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, სწავლის შედეგებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის მაჩვენებელზე, მაგრამ მოთხოვნა ასეთ მომსახურებაზე დიდია. ვინაიდან სერვისი ხელმისაწვდომი არ არის ყველა მსურველთათვის, კერძო რეპეტიტორობა განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით სოციალური უთანასწორობის პრობლემას წარმოქმნის.³³

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით განათლების ხარისხზე დადებითი გავლენა მოახდინა რეფორმის ისეთმა კომპონენტებმა, როგორებიცაა სახელმძღვანელოების რეფორმა, მასწავლებელთა სერტიფიცირება, სწავლების შინაარსის ცვლილება, საატესტატო გამოცდები და სკოლებში მანდა-

29 მაჩაბელი გ., ბრეგვაძე თ., აფხაზავა რ., 2006, „კერძო რეპეტიტორობა“ კვლევის ანგარიში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 56

30 მაჩაბელი გ., ბრეგვაძე თ., აფხაზავა რ., 2011. „კერძო რეპეტიტორობა“ კვლევის ანგარიში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 30

31 იქვე, გვ. 30

32 იქვე, გვ. 29

33 იქვე, გვ. 30

ტურის ინსტიტუტის შემოღება (იხილეთ დანართი, დიაგრამა №3), კერძო რეპეტიტორობაზე ასეთი მაღალი მოთხოვნის გამომწვევ მიზეზებს, კვლევაში მონაწილეთა ყველაზე დიდი ნაწილი სასკოლო განათლების დაბალ ხარისხს ასახელებს (იხილეთ დანართი, დიაგრამა №4), რაც თავის მხრივ სკოლის დონეზე (სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და დამტკიცება; თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების სისტემა; სწავლა-სწავლების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა...) და სკოლის გარეთ – სისტემის დონეზე (სასწავლო პროგრამების ეროვნული სტანდარტი; სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები და დამხმარე მასალები; პროფესიული განვითარების სისტემა...) არსებული ფაქტორებით შეიძლება იყოს განპირობებული.

სასწავლო დანესებულებების ხელმისაწვდომობასთან ერთად პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა მოსახლეობაში **წერა-კითხვის მცოდნეთა დაბალი მაჩვენებელი** იყო – „1907 წლის კავკასიის კალენდრის ცნობით, საქართველოში წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცი მათი საერთო რაოდენობის 37,8%-ს შეადგენდა, ხოლო ქალი კი – დედაკაცთა საერთო რაოდენობის 23,6%-ს. საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა უცოდინრობის სიბნელეში იმყოფებოდა“.³⁴

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე დარგის მთლიან რეორგანიზაციაზე დაიწყო ზრუნვა, შეუდგა სკოლამდელი დანესებულებებისა და სკოლების ქსელის გაფართოებას, სასწავლო გეგმებისა და პედაგოგიური მიდგომების გადახედვას, სახელმძღვანელოების გამოცემას, პედაგოგების მომზადების კერების გაფართოებას³⁵ და, რაც მთავარია, მშობლიური ენაზე სასწავლო პროცესის გადაყვანას.³⁶ 1920 წელს ძირითადად დამთავრდა თბილისის სკოლების გაეროვნება.³⁷

მართალია, 70 წლის შემდეგ საქართველომ, დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ, მემკვიდრეობით სრულწლოვანთა წერა-კითხვის ცოდნის თითქმის 100%-ანი მაჩვენებელი მიიღო ორივე სქესის წარმომადგენელთათვის,³⁸ მაგრამ დღევანდელი სამყარო განათლების სისტემის წინაშე თვისობრივად სხვა ამოცანებს აყენებს, რასაც **ნიგნიერება** ჰქვია.

ნიგნიერების დონის შემოწმების მიზნით ქვეყანა ჩართულია ნიგნიერების საერთაშორისო კვლევაში – PIRLS-ი, რომელიც ამოწმებს წაკითხულის გააზრების უნარს: რამდენად იგებს, იაზრებს 9-10 წლის მოზარდი სხვადასხვა ტიპის ტექსტიდან მიღებულ ინფორმაციას; შეუძლია თუ არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა; შეუძლია თუ არა ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და დასკვნის გამოტანა;

34 სიგუა ს., სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 36

35 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე 59. ფ. 102

36 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, № 13

37 მურულუა თ. (2018), განათლება და პედაგოგიური აზროვნება 1918-1921 წლების საქართველოში. სადოქტორო ნაშრომი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, გვ. 38, 52

38 საქართველოს ჰუმანური განვითარების ანგარიში (2008). რეფორმები და რეფორმებს მიღმა, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, გვ. 94

ძალიან სამწუხაროა, რომ ქართველ ბავშვებს PIRLS-ის 2011 წლის კვლევის მიხედვით საერთაშორისო სკალირებულ საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ. მათი წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი 488-ია, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება PIRLS-ის საშუალო მაჩვენებელს (500). კვლევაში მონაწილე 45 ქვეყნიდან 32 ქვეყანას PIRLS-ის სკალის საშუალო მაჩვენებელზე (500) მაღალი შედეგი აქვს, 12 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, საშუალოზე დაბალი.³⁹

ქართველ მოსწავლეთა მხოლოდ 2%-მა დაძლია PIRLS-ის საერთაშორისო სკალის უმაღლესი საფეხური, მაღალი – მოსწავლეთა 21%-მა, საშუალო – 60%-მა, დაბალი კი – 86%-მა. მოსწავლეთა 14% აღმოჩნდა მიღწევის საერთაშორისო სკალის დაბალი საფეხურის ქვემოთ. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოსწავლეთა 14%-ს გაუჭირდა დაბალი საფეხურისთვის განსაზღვრული დავალებების შესრულება კი.

აღნიშნული სტატისტიკა ნათლად მეტყველებს, თუ რამდენად მძიმე და გაუმართლებელი იყო ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაცია და წერა-კითხვის ცოდნის მხრივ თითქმის 100%-ანი საბჭოთა კომუნისტური მემკვიდრეობის მიუხედავად, რეალურად რა შედეგები მოუტანა დამოუკიდებლობის წყვეტამ ქვეყანას.

განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე რეაგირების კუთხით 100 წლის წინანდელი გამოცდილება იმითაც საინტერესოა, რომ დამოუკიდებლობის წლებში ეროვნული კულტურის განვითარებასა და ხალხში განათლების გავრცელების საქმეში მნიშვნელოვანი წინსვლის განმსაზღვრელი არა მარტო ხელისუფლების ძალისხმევა იყო, არამედ საზოგადოების მზაობა და სამოქალაქო აქტიუობაც. კერძოდ „1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინა პერიოდში საქართველოში 30-მდე კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება („განათლება“, „სინათლე“, „სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება“...) არსებობდა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ორგანიზაცია იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ისახავდა სახალხო სკოლების გახსნას, არსებული სკოლებისათვის დახმარების განევას და, ამ გზით, ცოდნისა და განათლების გავრცელებას ხალხში. ამასთანავე, საზოგადოება თავიდანვე ცდილობდა მის მიერ დაარსებულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა აეგო ეროვნულ ნიადაგზე და წარემართა მეცნიერულ საფუძველზე... დღიდან დაარსებისა 1920 წლამდე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გამოუცია სულ 253 სახელწოდების წიგნი“.⁴⁰

სამწუხაროა, მაგრამ სკოლებში სამეურვეო საბჭოების მუშაობაში მშობლებისა და მასწავლებლების ჩართვის მიუხედავად საზოგადოების ჩართულობა სკოლის ცხოვრებასა და სხვადასხვა გამოწვევების დაძლევაში მაინც დაბალია.

39 http://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pirls_2011_2013.pdf

40 ჟურნ. „განათლება“, 1920, № 4-5

დასკვნები

100 წლის წინ ქართული საზოგადოება ბევრად უფრო მომზადებული შეხვდა განათლების რეფორმირების გამოწვევებს, ვიდრე 70 წლის შემდეგ.


100 წლის წინ საქართველოს მემკვიდრეობა შედარებით ნაკლებ ხელშემშლელი იყო დამოუკიდებელი ქვეყნის განვითარებისა და განათლების სისტემაში განსახორციელებელი რეფორმებისათვის, ვიდრე საბჭოთა მემკვიდრეობის შემდეგ.

27 წლის დამოკიდებლობის თავზე, სისტემაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, პოსტკოლონიური საბჭოთა მემკვიდრეობისთვის თავის დაღწევა და განვითარების გზაზე მტკიცედ და ეფექტურად გადასვლა კვლავ გამოწვევაა.


განათლების სისტემის დემოკრატიზაცია და შესაბამისად სწორად გატარებული დეცენტრალიზაციის პოლიტიკა, მისი დაკავშირება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან, ეკონომიკური განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პირველი დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილების გათვალისწინებით, არის საქართველოს, როგორც პოსტკოლონიური ქვეყნის უმთავრესი გამოწვევა და პრიორიტეტი.

დანართები


დიაგრამა №1.



დიაგრამა №2.




დიაგრამა №3.



დიაგრამა №4.

კერძო რეპეტიტორობის მიზეზები (პასუხების %)



გამოყენებული ლიტერატურა:

- მურლულია თ. (2018). განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918-1921 წლების საქართველოში. სადოქტორო ნაშრომი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
- საქართველოს კონსტიტუცია
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საქართველოს მთავრობის #84 დადგენილება, 2004 წლის 18 ოქტომბერი
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
- მაჩაბელი გ., ბრეგვაძე თ., აფხაზავა რ., (2008), დეცენტრალიზაციის რეფორმის მიმდინარეობის შეფასება – კვლევის ანგარიში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი
- საქართველოს ჰუმანური განვითარების ანგარიში (2008). რეფორმები და რეფორმებს მიღმა, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი
- აფხაზავა რ., ბრეგვაძე თ. (2014), „სკოლის სამეურვეო საბჭოები საქართველოში – პრაქტიკა, გამოწვევები და რეკომენდაციები“, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი
- გოგლიჩიძე ა. (2012), ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა: სწავლა-სწავლების სისტემის მართვის განვითარება, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბილისი
- მაჩაბელი გ., ბრეგვაძე თ., აფხაზავა რ., (2006), კერძო რეპეტიტორობა, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი
- მაჩაბელი გ., ბრეგვაძე თ., აფხაზავა რ., (2011), კერძო რეპეტიტორობის ფენომენი სკვლევა საქართველოში, ანგარიში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი

<http://www.edulive.ge/geo/news/story/67534-tsiklidan-saubrebi-postkolonial-izmze-frants-fanoni-da-shavkanianta-sakitkhi>
<https://edu.aris.ge/news/ilia-chavchavadze-ganatilebis-sheaxe.html>
http://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pirls_2011_2013.pdf

Aluda Goglichidze
Caucasus University

THE EDUCATION SYSTEM REFORM EXPERIENCE OF INDEPENDENT GEORGIA OF 1918-1921 AND THE CHALLENGES OF POSTCOLONIAL COUNTRY – HISTORIC LESSON IN THE VIEW OF MODERNITY

Summary

On May 26, 1918, one year on after the demise of the Tsar's power in Russia, the First Democratic Republic of Georgia was founded in Tbilisi by enacting the Act of Independence of Georgia, which in turn lasted only for three years due to the Soviet occupation, however, even after 100 years this stage of Georgian state history holds an important role and place in development of modern Georgia.

27 years on after the collapse of the Soviet Union, the country re-gained independence but overcoming the postcolonial legacy and building a democratic, really independent and developed state still proves to be a difficult task and the development of education system is crucial on this path.

Therefore, this work intends to extract useful conclusions from the three-year experience of the first independent republic in order to deal with the challenges of the future. For this purpose the work aims to analyse the legacy, the state, implemented reforms and the prospects on both postcolonial stages of the country.

The hypothesis is that at both stages of independence it was crucial for Georgia to deal with the postcolonial legacy and to reform the education system that was well-thought, based on democratic values and was both – efficient and spectacular.

As a result of analysis and comparison of the education system of the Democratic Republic of Georgia and the modern one, we can say that the first republic of 1918-1921 was indeed the beginning of a new era of the country. It is the fact that a century ago Georgian society was better prepared for the education reform challenges than 70 years later on. A century ago Georgian legacy was less hindering for development of an independent country and for the reforms necessary to carry out in the education system than the Soviet legacy; even after 27 years of independence, regardless of implemented reforms into the system, getting rid of the postcolonial Soviet legacy and efficiently switching to the development route remains a challenge.

At last, democratisation of the education system and correctly implemented decentralisation policy, its relation to the national interests, to the requirements of economic development and labour market, considering the experience of the first democratic republic, are the main challenges and priorities for Georgia as a postcolonial country.

კულტურა

ნუგეშა გაგნიძე
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრიგოლ რობაქიძის 1917-18 წლების პუბლიცისტიკა

გრიგოლ რობაქიძის (1880-1962) შემოქმედების სირთულე და წინააღმდეგობრიობა განსაზღვრა მისმა პრობლემებით აღსავსე ცხოვრებამ. ორჯერ ემიგრირებული მწერლის ნაწარმოებების დიდი ნაწილი დაკარგულია, ნაწილი მიმოფანტულია სხვადასხვა ქვეყანაში. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ბევრი ინერება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მკვლევრები და მკითხველი მეტწილად სუბიექტურ დამოკიდებულებას იჩენენ გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიისა და ნაწარმოებებისადმი, რაც ართულებს ზოგჯერ სიმართლის დადგენას ბურუსით მოცულ ფაქტებთან დაკავშირებით. ამდენად, მისი ნაშრომების მოძიება და კვლევა აქტუალურია და, უფრო მეტიც, აუცილებელია მე-20 საუკუნის ქართველი მწერლის შემოქმედების ყველა ასპექტის შესწავლა და მისთვის კუთვნილი ადგილის დამკვიდრება ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გრიგოლ რობაქიძემ, თავდაპირველად, მე-20 საუკუნის 10-იან წლებში, საზოგადოების ყურადღება როგორც პუბლიცისტიკა მიიქცია. 1911-1920 წლებში „სახალხო გაზეთსა“ და „საქართველოში“ დაბეჭდილი მისი სტატიები, საყოველთაო განსჯის საგანი იყო. ეს ნაშრომები ძირითადად ეხებოდა ისტორიის, ფილოსოფიის, ლიტერატურისა და პოლიტიკის პრობლემურ საკითხებს. ამავე პერიოდიდან გაიცნო საზოგადოებამ იგი როგორც პოეტი – არაჩვეულებრივი სონეტების ავტორი და როგორც ქართველი სიმბოლისტიკის უფროსი მეგობარი. 20-იანი წლებიდან მწერალმა მკითხველი ალაფრთოვანა დრამებითა და რომან „გველის პერანგით“, რომლებიც, საბედნიეროდ, ორიგინალის ფორმით არსებობს და რომლებიც დღევანდელი პერსპექტივიდან უკვე კლასიკაა.

იმ მცირერიცხოვან ნაშრომთა შორის, რომლებიც გრ. რობაქიძემ მშობლიურ ენაზე გერმანიაში ემიგრაციამდე (1931) გამოაქვეყნა, შემორჩენილია საგაზეთო სტატიები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის რევოლუციებისა (1917 თებერვალ-ნოემბერი) და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში (1918 წელი) გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილი პუბლიკაციები: „ირაკლი წერეთელი“, „რუსეთის ტრაგედია“, „ბოლშევიკების აჯანყება“, „ფანტასმების ქალაქი“, „დიონისოს კულტი და საქართველო“, „ქართული რენესანსი“, „ბესიკი“, „ჰელენები და ქართველები“, „გურია და სოციალიზმი“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „სოციალისტური იმპერიალისტები“, „კიბა აბაშიძე“, „პასუხად გრიშაშვილს“, „სო-

ნეტი საქართველოში“, „ქართული ლექსი“, რადგან მათში ლიტერატურულ-ფილოსოფიურ საკითხებთან ერთად დომინირებს პოლიტიკური და სოციალური თემებიც.

გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკა ნაკლებადაა შესწავლილი ლიტერატურათმცოდნეობაში. კრიტიკოსები მეტწილად აქცენტებს აკეთებენ მის რომანებზე, ლირიკასა და დრამებზე. მწერლის მიერ 1917-1918 წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ აღნიშნავენ აკაკი ბაქრაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი და ნუგეშა გაგნიძე. ვაჟა ჩხაიძე ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, რომელმაც 1999 წელს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში გამოაქვეყნა სტატია „გრიგოლ რობაქიძე 1917-1918 წლების პოლიტიკური მოვლენების შესახებ“. რუსუდან გახარამ 2009 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე „გრიგოლ რობაქიძე და ქართული პრესა (1907-1921 წწ.)“, რომლის მესამე თავი მწერლის პუბლიცისტიკის ეძღვნება http://www.damoukidebloba.com/c/news/grigol_robaqidze). 2014 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა“ დაბეჭდა ხათუნა ჭანიშვილის ნაშრომი „გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკა (1917-1921)“. ავტორი საფუძვლიანად მიმოიხილავს გრ. რობაქიძის 1917-1921 წლებში გამოქვეყნებულ სტატიებს გაზეთ „საქართველოში“ და განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებს რამდენიმე მათგანზე: „ფანტასმების ქალაქი“, „დიონისოს კულტი და საქართველო“, „რენესანსი“, „ბესიკი“ და „ალექსანდრე ჭავჭავაძე“.

თემათა და საკითხთა სიმრავლისა და მრავალფეროვნების გამო შეუძლებელია რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომით სრულყოფილი სურათის წარმოდგენა იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელთაც გრ. რობაქიძე თავის საგაზეთო სტატიებში ეხება საქართველოს ისტორიის ურთულეს პერიოდში. ამდენად, ჩვენ შევეცდებით, წვლილი შევიტანოთ გრ. რობაქიძის პუბლიცისტიკის კვლევის საქმეში და მწერლის ბიოგრაფიიდან და შემოქმედებიდან ნათელი მოვფინოთ უცნობ და საყურადღებო ფაქტებს. გამომდინარე იქედან, რომ 1917-1918 წლები უდიდესი პოლიტიკური მოვლენების პერიოდია რუსეთში, ევროპასა და, საერთოდ, მთელს მსოფლიოში, ყურადღებას გაავამახვილებთ იმ სტატიებზე, რომლებშიც გრ. რობაქიძე გვევლინება პოლიტიკურ ექსპერტად. იგი გასაოცარ დასკვნებს აკეთებს რუსეთში მიმდინარე ეპოქალურ პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. ეს, ერთი მხრივ, არცაა გასაკვირი. ამ პერიოდისათვის მას საფუძვლიანი ცოდნა და საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს შეძენილი და დაგროვილი: სწავლობდა ტარტუსა და ყაზანის უნივერსიტეტებში; ლექციებს ისმენდა გერმანიისა და საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში; 1916-17 წლებში სამხედრო პირი იყო სპარსეთში. ამდენად, გრ. რობაქიძის მოსაზრებები საქართველოში არსებულ პოლიტიკურ და ლიტერატურულ მდგომარეობაზე, თუ კონკრეტულ პიროვნებათა შესახებ, განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) ბოლო წლებსა და რუსული რევოლუციების პერიოდში. 1917-1918 წლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში იგი ცდილობს ობიექტური შეფასება მისცეს მიმდინარე მოვლენებსა და აბსოლუტურ მონარქიას რუსეთში, ახსნას რუსეთის ტრაგედიის მიზეზები, ცდილობს ჩანვდეს რუსული პოლიტიკისა და კულტურის არსს, რომელმაც „აპოკალიფსური სულის გაშლით თითქოს სხეული დაკარგა“ (რობაქიძე 1917: №233).

პირველი სტატია, რომელიც გრ. რობაქიძემ ფსევდონიმით გივი გოლლენდ

გაზეთ „საქართველოში“ რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის მიძიმე დღეებში გამოაქვეყნა, არის „ირაკლი წერეთელი“. ეს ნაშრომი მან დაწერა როგორც შეფასება, ან რეცენზია ირაკლი წერეთლის საჯარო ლექციისა „ომი და რევოლუცია“, რომელიც სახელმწიფო თეატრში გაიმართა. გასული საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი ირაკლი (კაკი) გიორგის ძე წერეთელი (1881-1959) გრ. რობაქიძისათვის საინტერესო ფიგურაა, რადგან რუსეთში მის სახელს ალექსანდრე კერენსკისთან ერთად მოიხსენიებდნენ და მას პირველი რევოლუციის ტვინად ასახელებდნენ (რობაქიძე 1917: №222). გრ. რობაქიძეს უკვე ძალზე ცნობილი პოლიტიკური ფიგურის, წერეთლის ორატორული ხელოვნება აინტერესებდა. სამწუხაროდ, მოლოდინი გაუცრუვდა, როგორც თავად აღნიშნავს. მისი აზრით, „ირაკლი წერეთელი საშუალოზე ნაკლები ორატორი აღმოჩნდა“ (რობაქიძე 1917: №222). გრ. რობაქიძეს არ მოეწონა ორატორის არც ხმის ტემბრი, არც ჟესტიკულაცია და არც ლექციის შინაარსი. ძალზე მკაცრი და დაუნდობელია იგი კაკი წერეთლის საჯარო ლექციის განხილვისას. გრ. რობაქიძე საქმის ცოდნით ცდილობს ახსნას ლექციის უარყოფითი მხარეები. მართალია, იგი კ. წერეთელს ეთანხმება იმაში, რომ რუსეთის ჯარის დეზორგანიზაცია და ანარქია ქვეყანაში მეფის თვითმყობელობის მემკვიდრეობა იყო, მაგრამ მიმდინარე პროცესებში დამნაშავედ მოქმედი პოლიტიკური ძალებიც მიაჩნია. გრ. რობაქიძე მიუთითებს ერთ ფრიად საყურადღებო მომენტზე: „საუბედუროდ, წერეთელს სხვებთან ერთად ავიწყდება, რომ თავისუფლება არ არის მარტო პოლიტიკური ცნება, – იგი დიდი საკულტურო პრობლემაა“ (რობაქიძე 1917: №222). აქ პუბლიცისტს მაგალითად მოჰყავს, თუ როგორ მგზავრობენ მოქალაქეები გარმანიაში ტრამვაით, რომელშიც კონდუქტორი არაა, მაგრამ „ყოველი მოქალაქე საჭიროდ სთვლის უწყებულები გროში ყუთში ჩაადგოს. სცადეთ ეს რუსეთში და თქვენ დაინახავთ რა მოხდება...“ (რობაქიძე 1917: №222). დიდი დრო გავიდა ამ სტატიის შექმნიდან და თავისუფლება, როგორც პოლიტიკური ცნება და როგორც „საკულტურო პრობლემა“, კვლავ პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში და, საერთოდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ასეთივე რთული და უცვლელია დემოკრატიის თემაც. გრ. რობაქიძე იწონებს კ. წერეთლის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ „მარტო რუსეთს თავისი ძალებით რევოლუციის ხსნა არ შეუძლია, რევოლუციურმა დემოკრატიამ საერთაშორისო დემოკრატიას უნდა მიმართოს, – და სანამ უკანასკნელისაგან დახმარების გარანტია არ იქნება, მანამდე რუსეთი მზად უნდა იყოს თავის დასაცავად, როგორც სახელმწიფოსა, ისე ნაციონალური მხრით, აჩქარება, ავანტიურა, კავშირის შეწყვეტა (აქ უთუოდ ბოლშევიკები ჰყავდა სახეში) რუსეთს მიიყვანს იზოლაციაში: – ეს კი სასიკვდილო რამ იქნება არა თუ რევოლუციისათვის, არამედ თვით რუსეთისათვისაც“ (რობაქიძე 1917: №222). როგორც სტატიიდან ირკვევა, კ. წერეთლის შეხედულება რევოლუციურ დემოკრატიასთან დაკავშირებით გრ. რობაქიძეს მოსწონს, მაგრამ ის მისგან ასევე ელის პასუხს შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს საერთაშორისო დემოკრატია რუსეთის რევოლუციის შესახებ, კ. წერეთლის ბზარშეპარული ხმითა და მაღალი პათოსით წარმოთქმული იმედი მოკავშირეთა კონფერენციაზე სავარაუდო პოლიტიკური გაერთიანების შესახებ გრ. რობაქიძეს საეჭვოდ მიაჩნია, რადგან საეჭვოა თავად ომი დემოკრატიული ზავისათვის, რადგან კონფერენციაზე შეუძლებელია

მოპირდაპირე სახელმწიფოთა დემოკრატია და საკითხავია, რამდენად მისაღები იქნება მოკავშირეთათვის რუსეთის მიერ წარმოდგენილი დემოკრატია (რობაქიძე 1917: №222).

სტატიაში „ირაკლი წერეთელი“ გრ. რობაქიძემ ზუსტად შეაფასა რუსეთში მიმდინარე მოვლენები: როგორც ცარიზმის მძიმე მემკვიდრეობა, ასევე ანარქია და პოლიტიკურ ძალთა არადემოკრატიული რევოლუციური ქმედება. მისი პროგნოზები ბოლშევიკურ პარტიასთან, რუსეთის საერთაშორისო იზოლაციასთან და თავისუფლებასთან დაკავშირებით რამდენიმე წელიწადში გამართლდა, ხოლო თავად მას საკუთარი ცხოვრებით მოუხდა პასუხისგება ამგვარი პოლიტიკური მოსაზრებების გამო.

შემდგომი ნაშრომი, რომელიც გრ. რობაქიძემ გაზეთ „საქართველოს“ ორ ნომერში გამოაქვეყნა, არის „რუსეთის ტრაგედია“. სტატიის დასაწყისიდანვე იგრძნობა ავტორის ღრმად კრიტიკული დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, სიძულვილი „ჩრდილოეთის სფინქსისადმი“, რომლის ისტორიის ტრაგედია მის „საშინელს უცნაურობაშია“. ამ ტრაგედიას კი, მისი აზრით, ორი მომენტი ახასიათებს: „ტრაგედიის განმცდელში უნდა იყოს ორი შინაძალა ერთი-მეორის მოწინააღმდეგე“ (რობაქიძე 1917: №232). იგი განიხილავს ნიკოლაი ბერდიაევის მოსაზრებებს იმ წინააღმდეგობებთან დაკავშირებით, რომელთაც რუსეთის ტრაგედია განსაზღვრეს: რუსეთი ანტისახელმწიფოებრივი და ამავდროულად ბიუროკრატიული ქვეყანაა, იგი არაშოვინისტურია და ნაციონალურიც, უსაზღვრო სულის თავისუფლების ქვეყანაცაა და საშინელი მორჩილების მხარეც. ბერდიაევი რუსეთის ანტინომისტურ ყოფას ვაჟური და ქალური საწყისი ურთიერთობაში ეძებს და ამ საკითხს ქალური საწყისისადმი უპირატესობის მინიჭებით ხსნის. მიუხედავად იმისა, რომ ბერდიაევის მოსაზრებები გრ. რობაქიძეს საინტერესოდ მიაჩნია, არ იზიარებს მათ. უფრო მეტიც, მის კონცეფციას მცდარად მიიჩნევს და მკითხველს საკუთარ მოსაზრებებს გაზეთ „საქართველოს“ შემდეგ ნომერში სთავაზობს, რომელსაც კვლავ ნ. ბერდიაევის საგულისხმო დებულებით იწყებს, რომ „რუსეთის ისტორიის გულ-ნება აპოკალიფსია. მისი სული მიმართულია აბსოლუტურისა და უკანასკნელისაკენ“ (რობაქიძე 1917: №233). ამ მოსაზრების გასამყარებლად გრ. რობაქიძეს ვიარესლავ ივანოვისა და ნიკოლაი გოგოლის შეხედულებები მოჰყავს. იგი ეთანხმება დიდ რუს მოაზროვნეებს და კიდევ უფრო შორს მიდის რუსეთის ტრაგედიის ახსნისას. მისი აზრით, მეფის თვითმპყრობელობისაგან თავდახსნილი რუსეთი საშინელ ანარქიაში ჩავარდა. გრ. რობაქიძეს ყურადღების მიღმა არ რჩება რუსეთის „რელიგიური ძიებები“ და ბოლშევიკების სწრაფვა სოციალიზმისაკენ. ცხადია, იმედგაცრუებულია მწერალი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიმდინარე მოვლენებით და არ არის პოზიტიურად განწყობილი ბოლშევიკებისადმი, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ „სოციალიზმის კარებს უკვე მიუახლოვდნენ“. ნიჭიერი, ძლიერი და მაქსიმალისტი რუსი ერის ტრაგედიის ერთ-ერთ მიზეზად ქართველი პუბლიცისტი მიიჩნევს იმას, რომ იგი დაბადებით „ბოლშევიკია“. ქაოსის ფრთებზე უფსკრულის პირას მფრინავი რუსეთის მომავალს გრ. რობაქიძე ეჭვის თვალთ უყურებს (რობაქიძე 1917: №233).

რუსეთის რევოლუციის თემას ეძღვნება გრ. რობაქიძის სტატია „ბოლშევიკების აჯანყება“, რომელიც მან 1917 წლის 27 ოქტომბერს კვლავ გივი გოლლენდის სახელით გამოაქვეყნა. მასში იგი დეტალურად აღწერს რუსეთის თანადროულ

მდგომარეობას; გამოჰყობს სამ მთავარ პოლიტიკურ ძალას, რომლებიც რუსეთის 1917 წლების რევოლუციების პერიოდში ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად მისწრაფიან: კადეტური (რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობის დასამყარებლად მისწრაფის), ბოლშევიკური (რომელსაც სასწრაფოდ სოციალისტური რესპუბლიკის დამყარება სურს) და მენშევიკური (რომელიც არც ბოლშევიკებს მიჰყვება და კადეტებსაც საეჭვო თვალთი უყურებს). ამ მიმღე პოლიტიკურ სურათს ემატება ის, რომ ქვეყანა მიდრეკილია დეცენტრალიზაციისაკენ, რუსეთის ჯარი გარყვნილია, ეკონომიკა დაქვეითებული, წარმოება დაცემული, ტრანსპორტი ჩამკვდარი. „აი ასეთ დროს, როცა მთელი რუსეთი უფსკრულისაკენ მიექანება, კადეტები ჯარის გაჯანსაღებაზე და ომის გაგრძელებაზე ფიქრობენ, მენშევიკები და ესერები იმედებს პარიზის კონცეფციაზე ამყარებენ, – ბოლშევიკები და მაქსიმალისტები კი თვითონ ამ ანარქიას მიჰყვებიან. მკითხველისათვის ცხადია, რომ ანარქია იმარჯვებს და მასთან ერთად მისი იდეოლოგიაც“ (რობაქიძე 1917: №237). გრ. რობაქიძეს უჭირს დაასახელოს საიმედო პოლიტიკური ძალა იმ „სტიქიური აღრევის“ გამო, რომელიც ქვეყანაში სუფევს, თუმცა ბოლშევიკების უპირატესობას აღიარებს.

სტატიაში „ბოლშევიკების აჯანყება“ გრ. რობაქიძე ზედმინეწით კარგად ასახავს, თუ როგორ აღარ ემორჩილებიან ბოლშევიკები დროებით მთავრობას და როგორ იკავებენ მნიშვნელოვან პუნქტებს პეტროგრადში. მათ მიმართ წინააღმდეგობრივად განწყობილი მწერალი ხაზგასმით მიუთითებს: „ვინც იმარჯვებს ანარქიით, იგი იმავე ანარქიით დაიღუპება“ (რობაქიძე 1917: №237). სამწუხაროდ, ეს წინასწარმეტყველება რვა ათეული წლის შემდეგ დიდი ძალისხმევის შედეგად აღსრულდა – მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს დასრულდა მძიმე სოციალისტური დიქტატურის არსებობა.

ყველაზე საგულისხმოდ შეიძლება მივიჩნიოთ „ბოლშევიკების აჯანყების“ ბოლო ნაწილი, რომელშიც გრ. რობაქიძე კავკასიისა და საქართველოს მოსახლეობას აფრთხილებს: „ნუ ვიქნებით უბრალო მორჩილნი იმ ფანტაზიებისა, რაიც პეტროგრადის ნისლში მოელანდებათ. ჩვენ საკუთარი გზა გვაქვს, – და ვეცადოთ ყველა ძალების შემოკრებას, რომ რევოლუციაში შობილი ეროვნული განთავისუფლების გზა ანარქიით არ მოვსპოთ“ (რობაქიძე 1917: №237). იმდროინდელ პოლიტიკოსებს კარგად რომ გაეაზრებინათ გრ. რობაქიძის წინასწარმეტყველურად თქმული ეს სიტყვები, საქართველოს ისტორიული განვითარების გზა, ალბათ, სხვაგვარი იქნებოდა.

ისტორიულ-კულტურული და ლიტერატურული თვალსაზრისით, საყურადღებოა გრ. რობაქიძის 1917 წლის 29 ნოემბერს გამოქვეყნებული სტატია „ფანტასმების ქალაქი“. მასში ავტორი ხატოვნად წერს პეტერბურგზე როგორც „ჭაობის ნისლებისგან შობილ ქალაქზე“. მისი აზრით, რევოლუციამდე იგი ბიუროკრატიული ქალაქი იყო, ხოლო რევოლუციის შემდგომ „ფანტასმების ნამდვილ ქალაქად“ იქცა, სადაც ყოველ დღე რაღაც ახალი ზმანება იბადება. გრ. რობაქიძე მიიჩნევს, რომ ამ ქალაქმა რეალობის შეგრძნება დაკარგა და „სოციალური ფანტაზიის ციებ-ცხელებითაა“ დაავადებული. ყოველივე ეს მას დიდ უბედურებად არ მიაჩნია. „უბედურება ის არის, რომ რასაც ეს ფანტასმების ქალაქი იტყვის, იმას მთელი რუსეთი იმეორებს. მერე რა დროს? რევოლუციის დროს, როცა თავისუფლება მყარდება. და განა ეს არის თავისუფლება?! თავისუფლება პირველ ყოვლისა თავისთავა-

დობაა, – ზერელედ აყოლება კი ნამდვილი მონობა. შესაძლოა, ამგვარი „აყოლა“ რუსის ხალხისათვის მართებულად იყოს, – მაგრამ სხვებისთვის, ჩვენთვის?! თავის თავის დამარხვა. ნაკლები ცქერა პეტერბურგისაკენ, – მეტი ყურადღება თავის თავისა, – აი სადღეისო დევიზი“ (რობაქიძე 1917: №239). ამ შემთხვევაშიც გამართლდა გრ. რობაქიძის წინასწარმეტყველება. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას სოციალზმის დიქტატურა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი – მოჰყვა. სოციალზმის იდეას „აყოლილმა“ საქართველომ 1921 წელს განუსაზღვრელი დროით დაკარგა დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

საქართველოს ისტორიის პრობლემურ საკითხებზე მსჯელობისას 1917-18 წლების პუბლიკაციებში გრ. რობაქიძე ცდილობს მათი ფილოსოფიური ძირების წარმოჩენას. აღსანიშნავია 1917 წლის 21 ნოემბერს გამოქვეყნებული სტატია „ქართული რენესანსი“. მწერალი მიიჩნევს, რომ „მეოცე საუკუნე საქართველოს ისტორიაში სამნიშვნელო უღელტეხილით დაიწყო: – ისახება ქართული რენესანსი. ამ მოვლენის „მტკიცება“ მეტად საძნელოა: ეხლახან მისი „შეგრძნობა“ თუ შეიძლება მხოლოდ“ (რობაქიძე 1917: №257). ქართული რენესანსის ჩასახვის სიმბოლოდ გრ. რობაქიძე წინამურის ტრაგედიას მიიჩნევს. მსხვერპლი „საქართველოს მძლავრი მხედარი“ ილია ჭავჭავაძეა. ამ ტრაგედიის გამო ქართველმა ხალხმა განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნო სამშობლო. ქვეყანა ახალ სიძნელეთა პირისპირ აღმოჩნდა. ესენია ანთროპოლოგიური და სახელმწიფოებრივი პრობლემები. ანთროპოლოგიური პრობლემა თემურ პარტიკულარიზმს უკავშირდება: „იმერელი, ქართლელი, კახელი, გურული, მეგრელი და სხვა – ერთი ხის შტოა ყოველი მათგანი. ეს ერთგვარი მრავალფერობაა: მდიდარი სხვა–და–სხვაობა. მაგრამ მეორის მხრით ეს „სხვაობა“ იმ ზომამდე მიდის ხანდახან, რომ უნებლიედ ფიქრი იბადება: შესაძლოა ისინი სხვა და სხვა ხის დმას (?) წარმოადგენენ, ნათესაურს რკალში მოქცეულს. ყოველს შემთხვევაში ჩვენში არსებული პარტიკულარიზმი დამაფიქრებელია მეტად“ (რობაქიძე 1917: №257). ანთროპოლოგიური პრობლემა უკავშირდება სახელმწიფოს ჩამოყალიბების საკითხს. გრ. რობაქიძის აზრით, რადგან საქართველოში აბსოლუტიზმი არ ყოფილა, ამან შუწყო ხელი ეროვნულ დაქსაქსულობას და ფეოდალურ მიდრეკილებებს. გრ. რობაქიძე ეთანხმება მარქსისტებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს ერთიანობა რუსების ხელმწიფების ქვეშ განმტკიცდა. მაგრამ მონობით გაერთიანება მას საშინელებად მიაჩნია. სამწუხარო რეალობაა: „პოლიტიკურს ცხოვრებაში ჩვენ ვერ შევქმენით მტკიცე და მძლავრი ხელმწიფება. ამან ხელი შეუწყო ჩვენი „ანარქიული“ ბუნების განვითარებას“ (რობაქიძე 1917: №257).

საქართველოს მესამე დიდ პრობლემად გრ. რობაქიძე მიიჩნევს „გავლენას“. „მონღოლების შემოსევა, არაბ–სპარსული გავლენა, ბიზანტიური „შემორევა“, რუსული „შემოსვლა“. თავისთავად ცხადია, რომ ყოველს ჯანსაღ ერს შესწევს შემტევი ძალა, რომელიც ამ გავლენას უმკლავდება: ამ ბრძოლაში ყალიბდება ერის შემოქმედება“ (რობაქიძე 1917: №257). გრ. რობაქიძის აზრით, საქართველოს ჰქონდა შემტევი ძალა, მაგრამ არასაკმარისი. ამდენად, გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში „შედუღებული და გარდაქმნილი“ კი არ არის, არამედ „მეტ–ხორცი“, რაც „მესამე სიძნელეა ქართული რენესანსის წინააღმდეგ ამართული“ (რობაქიძე 1917: №257). ეს სამი მთავარი სიძნელე: ანთროპოლოგიური, სახელმწიფოებრივი და უცხოურის გავლენა უნდა სძლიოს ქართულმა რენესანსმა

და მხოლოდ ამ შემთხვევაში შექმნის იგი ნამდვილ სტილს. „ქართულ რენესანსს“ გრ. რობაქიძე ოპტიმისტურად ამთავრებს. მისი აზრით, საქართველო განთავისუფლდება და გაერთიანდება. მთლიანი საქართველო კი მრავალ სიძნელეს გადალახავს (რობაქიძე 1917: №257).

სოციალ-პოლიტიკურ თემებს უტრიალებს გრ. რობაქიძე სტატიებში „გურია და სოციალიზმი“ და „სოციალისტური იმპერიალისტები“, რომლებიც ხატოვანებით გამოირჩევა ჩვენ მიერ განხილული პუბლიკაციებიდან. მათში გრ. რობაქიძე არ გვევლინება მხოლოდ პოლიტიკურ ექსპერტად. ნაშრომში „გურია და სოციალიზმი“ იგი ჩვეული ოსტატობივ გვიჩვენებს საქართველოს უმშვენიერესი კუთხის გურიის ლანდშაფტსა და გურულების გონებამახვილობას, მათ სისხარტესა და განსწავლულობას. მისი აზრით, ღირსეულ გურულთათვის „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნა უბრალო ჩვეულებაა და შაირობა ისეთივე მოთხოვნილება, როგორც „საამო გასეირნება“. მიუხედავად იმისა, რომ გურული ღარიბია, იგი ამაყია და გემოვნებიანი, კარგად ჩაცმული და კარ-მიდამოც დიდებულად აქვს მოვლილი. ყველაზე საყურადღებოდ გრ. რობაქიძეს მიაჩნია ის, რომ „სოციალ-დემოკრატია საქართველოში გურულებმა შექმნეს. ჯერ მარტო თაოსანთა გვარები: ინგოროყვა-ნინოშვილი, ნოე ჟორდანიას, მახარაძეები, ოთხი რამიშვილი, ცინცაძეები, ლომთათიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ბენია ჩხიკვიშვილი, შარაშიძეები, ხომერიკი, კირ. ნინიძე, ჟორჯოლიანები, კილაძეები, ირეთელი, ლალიონი-მამულაიშვილი და სხვა მრავალი“ (რობაქიძე 1917: №269). გურულთა განსაკუთრებულ გატაცებას სოციალიზმის იდეებით გრ. რობაქიძე ხსნის იმით, რომ ისინი „სულით აზნაურნი არიან და ყოფით ღარიბნი“. მაგრამ სოციალისტურ სამოსში გამოწყობილი ნიჭიერი გურული „წარჩინებულობის“ და „რჩეულობის“ გრძნობას არასოდეს ჰკარგავს და ვერც ვერავინ დააკარგვინებს (რობაქიძე 1917: №269).

უკრაინა-რუსეთის ურთიერთობების საკითხს გრ. რობაქიძე განიხილავს სტატიაში „სოციალისტური იმპერიალისტები“. იგი შემფოთებულია იმ ფაქტით, რომ „ბოლშევიკები უკრაინას გასრესას უპირებენ“. გაოცებული მკითხველისათვის, რომელსაც რუსეთი ერთა განმამთავისუფლებელი ჰგონია, მას მტკიცე პასუხი აქვს: „ბოლშევიკები მოდიან **სოციალისტურ იმპერიალისტებად** – ეს გამოთქმა ბევრს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ ამაშია მოქცეული ბოლშევიკების სოციალური სულისკვეთება“ (რობაქიძე 1917: №273). სიტუაციას განსაკუთრებით ართულებს ის, რომ რუსეთი მზად არაა არც სოციალური და არც ეკონომიკური გარდაქმნებისათვის. გრ. რობაქიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთის სახელმწიფო იშლება, მასში შემავალ ერებს დამოუკიდებლობის მოპოვება სურთ, „არც ერთი ერი არ აპირებს ბოლშევიკური სოციალიზმის განხორციელებას. აი, სად მარხია ძალღის თავი: – ბოლშევიკები ომს უცხადებენ ყოველ ხალხს, რომლებიც ბოლშევიკებს არ მიჰყვება“ (რობაქიძე 1917: №273). უკრაინისადმი ომის გამოცხადებაც ამის დასტურია. მაგრამ პუბლიცისტი იმედოვნებს, რომ ბოლშევიკები ვერ გაიმარჯვებენ რუსეთში შემავალ ერებზე. სამწუხაროდ, რუსეთი დღესაც ბოლშევიკური სულისკვეთებით აგრძელებს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში თავისი ძალაუფლების გავრცელებას და არ თმობს იმ ტერიტორიებს მეფის რუსეთისაგან მემკვიდრეობით რომ მიიღო.

მრავალ საკითხთა შორის, რომელთაც გრიგოლ რობაქიძე განიხილავს 1917-

18 წლების პუბლიკაციებში, ყველაზე არსებითი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხია. ყოველი ფილოსოფიურად თუ ლიტერატურულად გააზრებული თემა მისკენ მიემართება. მწერალი კატეგორიული, თავდაჯერებული და შეუვალი მოსაზრებების ჩამოყალიბებისას. გრ. რობაქიძის პოლიტიკურ თემებზე დანერგულ სტატიებში გამქრალია მისი პროზისათვის დამახასიათებელი ლირიზმი და მუსიკალობა. პოლიტიკური პუბლიცისტიკაც, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედება, ცხადყოფს, რომ იგი პატრიოტი და სამშობლოს ბედზე ღრმად დაფიქრებული ავტორია. გრ. რობაქიძის ბევრი შეხედულება დღესაც, 100 წლის შემდეგაც, აქტუალურია: უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუციებისა და ანარქიის შემდეგ ერმა და ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს საკუთარი განვითარების გზა ისევე, როგორც ლიტერატურასა და ხელოვნებაში არ უნდა დაკარგოს თვითმყოფადობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქცევა იგი მსოფლიო ისტორიისა და კულტურის საუკეთესო ნაწილად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გახარია, რუსუდან: სადოქტორო დისერტაცია „გრიგოლ რობაქიძე და ქართული პრესა (1907-1921 წწ)“
<http://old.press.tsu.ge/GEO/internet/disertaciebi/rusudan%20gaxaria.pdf>
- გოლლენდ, გივი [გრიგოლ რობაქიძე]: „ირაკლი წერეთელი“, „საქართველო“, №222, 10.10.1917, გვ. 2
- რობაქიძე, გრიგოლ: „რუსეთის ტრაგედია“, „საქართველო“, №232, 21.10.1917, გვ. 2. გადმობეჭდილია: გრიგოლ რობაქიძე: „ჩემი ცხოვრება“, „ენგადი: მოთხრობა“, „ჩაკლული სული: რომანი“, ლექსები, წერილიები, მთავარი რედ. მ. ხარშილავა, რედ. ლ. არაბიძე. თბილისი: „გეა“ 1994, გვ. 317-322
- რობაქიძე, გრიგოლ: „რუსეთის ტრაგედია“ (დასასრული), „საქართველო“, №233, 22.10.1917, გვ. 2
- გოლლენდი, გივი [გრიგოლ რობაქიძე]: „ბოლშევიკების აჯანყება“, „საქართველო“, №237, 27.10.1917, გვ. 2
- რობაქიძე, გრიგოლ: „ფანტასმების ქალაქი“, „საქართველო“, №239, 29.10.1917, გვ. 2
- რობაქიძე, გრიგოლ: „დიონისოს კულტი და საქართველო“, „საქართველო“, №250, 11.11.1917, გვ. 2
- რობაქიძე, გრიგოლ: „ქართული რენესანსი“, „საქართველო“, №257, 21.11.1917, გვ. 2
- რობაქიძე, გრიგოლ: „გურია და სოციალიზმი“, „საქართველო“, №269, 10.12.1917, გვ. 2
- გოლლენდ, გივი [გრიგოლ რობაქიძე], „სოციალისტური იმპერიალისტები“, „საქართველო“, №273, 15.12.1917, გვ. 2
- ჩხაიძე, ვაჟა: „გრიგოლ რობაქიძე 1917-1918 წლების პოლიტიკური მოვლენების შესახებ“. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 1 (35), ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 1999, გვ. 108-110
- ჭანიშვილი, ხათუნა: „გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკა (1917-1921)“. თბილისი: „მერიდიანი“, 2014

GRIGOL ROBAKIDZE'S PUBLICISM IN 1917-1918

Summary

Grigol Robakidze's (1880-1962) works are emblematic of his life full of hardships, contradictions and problems. Most of them are lost or scattered in different countries. Scholars and readers' subjective attitude to his biography and his books complicate the search for the truth in them.

The originals of his publications can be found only in the Georgian Press which came out before his immigration to Germany (1931). The most significant of them are articles published in *The Saqartvelo* in 1917-1918. In the articles „Irakli Tsereteli“, „Tragedy of Russia“, „Bolsheviks' Rebellion“, „Cult of Dionysus and Georgia“, „Georgian Renaissance“, „Besiki“, „Hellenes and Georgians“, „Guria and Socialism“, „Aleksandre Chavchavadze“, „Socialist Imperialists“, „Kita Abashidze“, „Response to Grishashvili“ and „Sonet in Georgia“, the author considers Literary and Philosophical issues along with political and social themes. By that time Grigol Robakidze had already gained valuable experience while studying at Tartu and Kazan Universities. Later he also attended lectures in the Universities of France and Germany and as a military man visited Iran in 1916-1917. Accordingly as a result of it his thoughts about the political and literary life of Georgia as well as about some individuals after World War I and before the Russian Revolution are of special interest.

In his publications of 1917-1918 Grigol Robakidze tries to give an objective assessment of the Russian monarchy, to explain the reasons for the Russian tragedy as well as to understand the essence of Russian politics and culture. He also pays his attention to the religious quest of Russia and the Bolsheviks inclination to socialism.

In „Bolsheviks' Rebellion“ he emphasizes the idea that Georgia must not be involved in foggy Petrograd's fantasies. He believes that Russia is rushing into abyss and argues that Georgia has its own way of development and its national independence movement must not be destroyed by anarchy. If politicians of that time had taken into consideration G. Robakidze's prediction the history of Georgia could have taken another route.

In his 1917-1918 publications Grigol Robakidze also touches on problematic issues of the history of Georgia which he considers as the Dionysian Mysteries. It's very painful for the writer to realize its contemporary social and political phenomenon. He believes that Georgian Marxists' idea of integration with Russia means falling into slavery.

Of all the issues thoroughly studied by Robakidze the most essential one is independence of Georgia. All his philosophical and literary works concern this theme. Lyricism and musicality typical of his other works disappear in his articles written on political issues. However all his publications confirm that he is greatly patriotic and very thoughtful about the fate of his motherland. Many of his ideas are still topical today. We should remember that even after revolutions and anarchy the nation must not lose the path of its development.

1918 წლის გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაციის ფილოსოფიური გააზრებისთვის

1918 წელს გაზეთი „საქართველო“ თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ამ პუბლიკაციების კვლევა ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ წარსულის პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური ფონის ძირითადი პრინციპების გასააზრებლად, არამედ აქტუალურია, ჩვენი დროის პრობლემებისა თუ არამართებული ტენდენციების ამოსაცნობადაც, საუკუნოვანი მთავარი ფიქრის ახალ რეალობაში ჩასართავად. ეპოქათა წამყვან იდეათა კონტექსტუალური ანალიზი, სწორედ რომ, საშუალებაა კულტურულ-პოლიტიკური იდენტობის გასააზრებლად და დროისგან მორთმეული ფასეული ძღვენია, ვინც თავს წარსულის ლოგიკურ გამგრძელებლად მიიჩნევს, ვინც არ განიხილავს საკუთარი თავის, დროის, აზროვნების მანერისა და ქმედებების მნიშვნელობას გუშინდელი პასუხისმგებლობებისა და გადაწყვეტილებებისგან დამოუკიდებლად, ვისაც მიაჩნია, რომ კონკრეტული დრო და კონკრეტული გადაწყვეტილებები ისევე განსაზღვრავს ზოგადსა და მასშტაბურს, როგორც ერთი მიემართება მრავალს, ან ადამიანი ღმერთს. ამიტომ, ასწლიანი ქრონოლოგიური მანძილი და მისი თითოეული მონაკვეთის შეფასება ჩვენთვის, იმ დაუნერვლი, უნივერსალური კანონის დამდგენია, მომავლის მართებული ორიენტირების მონიშვნას რომ წაადგება.

ამ ტიპის კვლევისათვის, ძირითადად, გამოვიყენეთ მასალის დახარისხების, რეტროსპექტული, ანალიზისა და სინთეზის, შეფასების, ასევე სისტემური, ქრონოლოგიური და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურას, 1918-1921 წლების პერიოდული გამოცემებისადმი მიძღვნილი კონკრეტული კვლევები არ განხორციელებულა გასაგები (ვგულისხმობთ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სისტემის ანარქიულობა), მაგრამ ჩვენი აზრით, არაობიექტური მიზეზების გამო, თუმცა იმ ტიპის კვლევებში, როგორც გახლავთ შოთა გაგოშიძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XX საუკუნის 20-იანი წლები), ნოდარ ტაბიძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, „პუბლიცისტიკის საკითხები“, სადაც პუბლიცისტიკის არსის, ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის დიფერენციაციის, იდეათა განფენასა და პუბლიცისტური ოსტატობის ხერხების შესახებ ვითარდება მსჯელობა. პერიოდული გამოცემების ისტორიით დაინტერესებულთათვის საგულისხმოა ალექსანდრე კანდელაკის „ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“, გივი კაპანაძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხები“, მისივე „ქართული მედია და საქართველოს საგარეო პოლიტიკა“, იოსებ ბოცვაძის „ქართული ჟურნალისტიკა“ და მისივე „პრესა და მწერლობა“, იოსებ ჭუმბურიძის „ჟურნალისტიკა დროში“, დალი ჩიკვილაძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხები“, მისივე „ქართული

პუბლიცისტიკა“, პუბლიცისტიკის ენას იკვლევს მაია დარსალია ნაშრომში „მეტა-ფორის შემეცნებითი ღირებულებისათვის პუბლიცისტიკის ენაში“, საგულისხმოა ასევე პაატა გუგუშვილის „ქართული პუბლიცისტიკის ისტორია“, მიხეილ გოცაძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ და სხვა ავტორების პუბლიკაციები.

1918 წლის 7 აპრილი. 26 მაისამდე 49 დღე დარჩენილიყო. გაზეთი „საქართველოს“ 75-ე ნომრის პირველ გვერდზე ასეთი სათაურები იკითხება: „ახალი კურსი“, რომლის ავტორია პოეტი და საზოგადო მოღვაწე შალვა ამირეჯიბი. იგი აკრიტიკებს გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ სოციალ-დემოკრატიულ მოსაზრებას რუსული რეალობის სიყვარულის გამო, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ „პოლიტიკა უკან უნდა მისდევდეს ცხოვრებას, როგორც მწყემსი ბატ საქონელს და აღნიშნავს: „ჩვენ კი ვფიქრობთ, ადამიანის გონება იმით განიჩქვება ცხოვრების სტიქიური მოვლენებიდან, რომლებიც თავის-თავად მეტად უსიცოცხლო ფაქტებიდან შესდგებიან, რომ გონიერებას სტიქიაში და ცხოვრების პროცესში ანგარიში შეაქვს“ (ამირეჯიბი, 1918). ასი წლის შემდეგ, როგორც დამოუკიდებელი, მაგრამ ოკუპირებული ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების წევრს, მაქვს თუ არა უფლება, ან ვარ თუ არა ვალდებული დავსვა იგივე შეკითხვა ქვეყნის კურსთან, გონიერებასთან, სტიქიურ მოვლენებთან ან უსიცოცხლო ფაქტებთან დაკავშირებით. ვარ თუ არა საუკუნის-წინანდელი რეალობის უშუალო მემკვიდრე და გამოძერწა, განსაზღვრა თუ არა კონკრეტულმა ისტორიულმა რეალობამ ჩემი ცხოვრება. არსებობს თუ არა რეალური საფრთხე ჩრდილების ტყვეობაში მოქცევისა და ცოცხალ ენაზე უარის თქმისა, ვარ თუ არა ვალდებული მოვლენები რეტროსპექტულად, კონტექსტუალურად დავინახო, გავიაზრო და რაც მთავარია, ამ პროცესში ვიყო ცოცხალი, შეძლები-სდაგვარად შეუმცდარი, ვიმეტყველო რეალური და არა ხელოვნურად შექმნილი ენით. სუბიექტის მხრიდან ობიექტური ხდომილებების ადექვკტურად აღქმის სურვილი, მართალია, არ არის მინიმალური ადამიანური ამბიციის (დადებითი მნიშვნელობით) მაჩვენებელი, მაგრამ დაძაბულობისა და ძალისხმევის ხარისხზე, ალბათ მიუთითებს. არის თუ არა სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ დემოკრატების წარმომადგენელთა აზროვნებისა და მეტყველების მანერას შორის რადიკალური განსხვავება. აქ საქმე გვაქვს ერთი სამეტყველო და სააზროვნო ველის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან, თუ მათ შორის, საერთო ისტორიული გამოცდილების, კულტურული ტრადიციის მიუხედავად უძირო უფსკრულია, რომელიც შთანთქმით ემუქრება თითოეულს. ჩვენი ფიქრით, უფსკრულს უახლოვდება ორივე ძალა, განსხვავება კი ისაა, რომ ერთი გრძნობს, უფრთხის და აცხადებს ამის შესახებ, მეორე კი დუმს ძალიან უბრალო და საბედისწერო მიზეზის გამო. მიზეზის, ინტუიტიური ცოდნის, პიროვნული, ისტორიული პასუხისმგებლობის, საკუთარი თავის გაგების ნების არარსებობის; მონუმენტური, საბჭოთა, სახალხო, კოლექტიური, თვითდაჯერებული, მატერიალური ფასეულობების ერთგულების, თავისუფლების არცოდნის გამო. მიზეზთა ჩამოთვლა ძალიან მარტივია და თითქოს XX საუკუნის იმ უსიცოცხლო, შინაარსისგან დაცლილ, კარნავალს ემსგავსება, სამყაროს რომ თავდაყირა აყენებს, აღრევს, ძველ ფუნქციას აბსოლუტურად აცლის და მას აღარაფერი აქვს საერთო იმ „კარნავალურ მეზალანსებთან, სადაც ლალი, ფამილარული დამოკიდებულება ყველაფერზე ვრცელდება, რაც არაკარნავალური იერარქიული მსოფლგანცდით დახშული, ჩაკეტილი, განცალკევებული და ერთ-

მანეთისაგან დაცილებული იყო“ (ბახტინი, 2008), სადაც დიალოგი იყო მთავარი და განსხვავებული ხმების ერთობა პოლიფონიურობას ბადებდა. აქ კი დიალოგი გამორჩეულია, ვინაიდან ერთი ხმის იმიტაციას არაფერი ესმის ნამდვილი ხმის. ორი ხმა კი მართლაც ცხოვრებისა და ყოფნის მინიმუმია (ბახტინი). ასე, რომ განაჩენი საკუთარი თავისა და ქვეყნის მიმართ მარტივადაა გამოტანილი. თუ არ არსებობს დიალოგის სურვილი საკუთარ თავთან, თუ არ არსებობს პასუხისმგებლობის გააზრების აუცილებლობა, თუ ეთადერთი სიმართლის მქადაგებელი ხელისუფლებაა და ეჭვი არასდროს ეპარება საკუთარი ფიქრისა და ქმედების მართებულობაში, თუ ფიქრობს, რომ დამოუკიდებლობა სენია, შესაბამისად, თუ საზოგადოებას არ ანუხებს დამოუკიდებლობის მეორე დღეს რუსული დროშის ფრიალი (ლოგიკურად და სიმბოლურად) ქართველების წილ სამყაროში უსათუოდ დაისადგურებს დიდი გამყინვარება (გამყინვარების შემდეგ სამოქალაქო ომი, დაშორებული აფხაზეთი და შიდა ქართლი). ეს ხდომილება, კი 21-ე საუკუნის ქართველი მოქალაქისთვის აღარაა ჩვენგან დამოუკიდებელი, განყენებული, წარსულის საკუთრება, რომელიც მხოლოდ რიგ შემთხვევაში შეიძლება გაიხსენო, გააანალოზო კონფერენციაზე. როგორც მერაბ მამარდაშვილი ამბობდა „რაკი ისტორიაში ვცხოვრობთ, ჩვენი ბედი იკვანძება ისტორიაში“ (მამარდაშვილი, 1992, გვ. 25).

რატომ ჭირს, ერთი შეხედვით მარტივ ჭეშმარიტებებთან დამეგობრება, რატომ ამბობენ ადამიანები საკუთარი ნებით უარს იმ რეალობაზე, რომელიც მათ ადამიანურ სიცოცხლეს განაპირობებს და საფრთხეს უქმნის, რატომ წერს სიმონ ქვარიანი გაზეთ „საქართველოს“ 120-ე ნომერში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეოცე დღეს, რომ მთავრობა გლოვობს ამ ძვირფას დღესო, რატომ ვიგებთ მისივე წერილიდან ერთი ტრაგიკული ფაქტის შესახებ, რომლის გააზრების შედეგად, გარდაუვლად მოჩანს 1921 წელი. „პირველსავე დღეს ვიღაცა ფანატიკოსმა აფხანიკმა ჩამოგლიჯა საბჭოს შენობის თხემზე მოფრიალე ეროვნული დროშა და აღმართა ისევ ნითელი რუსული ბაირალი წარწერით „გაუმარჯოს რუსეთის დამფუძნებელ კრებასო... ამას მზერს საქართველოს მთავრობა, ამას ითმენს ქართველი ერი“ (ქვარიანი, 1918). ფაქტი კონკრეტულია, მაგრამ სრულ სურათს ასხავს. შესაძლოა არც იყოს გასაკვირი ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულება, სიმონ ქვარიანი ხომ ქვეყნის პრეზიდენტს იმავე წერილში საყვედურობს საქართველოს ავტონომიის ღირსადაც არ თვლიდაო. ცნობილია პრეზიდენტის დამოკიდებულება პრესის მიმართაც, „ჩვენმა ხალხმა უნდა წარმოშობოს ახალი მკითხველი, აალორძინოს ახალი გონებრივი მოთხოვნები, გაიძლიეროს ახალი მისწრაფება და მით ბოლო მოუღოს ძველ დაობებულ პრესას და მასთან ერთად ძველ მკითხველსაც“ (ჟორდანია, 1900).

რადგან პუბლიცისტურ ტექსტებს, არქიტექტონიკა ავალდებულებს პრობლემის გადაჭრის გზების წარმოდგენას, შევეცდებით არ მოვწყდეთ ამ კონტექსტს და ლოგიკური ვერსია ჩამოვაცალიბოთ, მაგრამ იქამდე აუცილებელ მოვალეობად ვრაცხთ, ზემოთ აღწერილ მოვლენათა მიზეზების გარკვევას. შეძლების გვარად, მათ ჩვენეული ინტერპრეტაციით მივაგნოთ. ასინლისწინდელ ქართულ პოლიტიკურ რეალობაში აბსოლუტიურად ატროფირდა ცოცხალი დიალოგის უნარი, ატროფიის გამომწვევი ბევრი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ უმთავრესი, ალბათ, ინდივიდუალური ხმების ნაკლებობაა. თუ არ გააჩნია სუბიექტს მეტყველების უნარი, მისი გაუგებარი

სიტყვები კოლექტიური, ტენდენციური, სინდისის ტრადიციას მოწყვეტილი სივრცის მკვდარ, უფუნქციო ნაწილად გადაიქცევა, რომელიც მუდმივად იცხოვრებს დიადი საქმეების თუ იდეების ილუზიებით. ააშენებს უტოპიურ სივრცეებს, დაანგრევს საკუთარს, სხვისი რეალური სამყაროს კანონებს დაარღვევს და შეიმოსება ერთადერთი უშინაარსო, იმიტირებული იდეით. ამ დროს იკარგება მთავარი ხმა-შინაგანი, ყველაზე ზუსტი, უტყუარი, შრომის, ე.წ. „სულიერი ვარჯიშით“ განმტკიცებული, ინდივიდუალური და განუმეორებელი, სამყაროს წესრიგისა და კანონების ამრეკლავი. სულიერი ვარჯიში, საკუთარ თავთან და შემდეგ სხვასთან, შეხვედრის ყველაზე რაფინირებულ, რთულ და შემეცნების სიხარულით აღსავსე გამოცდილებას მიანიჭებს ალბათ, ადამიანის დიალოგის უნარს, სადაც უსათუოდ მოიკრებს ძალას მისუსტებული სამყარო და საკუთარი თავის მოსმენას დაჩვეული ადამიანი შეძლებს სხვის მოსმენასაც და თუ შემხვედრი ხმა არ არის ცოცხალი, შეეცდება მის გაცოცხლებას. ამ უმთავრეს ადამიანურ ჩვევას კი მხოლოდ მოცალეობით, განსჯითა და ქმედებით, საკუთარ თავსა და სამყაროზე დაკვირვებითა და ფიქრით შეძლებს. როდის იწყება ფიქრი საკუთარ თავზე, საკუთარ სიმართლესა და სინდისის სიფხიზლეზე, როდის იბადება ადამიანის გონებაში მთავარი სათქმელი, ალბათ არავინ იცის, გარდა საკუთარი სინდისისა, მაგრამ ჩვენი აზრით, აქ არის საბედისწერო წერტილის მოხელთებისა თუ დაკარგვის მხიარული ალბათობა, როდესაც ან შედგება პირველი და შემდეგ მუდმივი შეხვედრა საკუთარ თავთან, მეორე ადამიანთან და მთელ სამყაროსთან, ან არა. მეტაფორულად შესაძლოა ითქვას, ან იწყება სიცოცხლის აქტი, ან არა. მთელი ტრაგიკომიკურობა ამ შეხვედრისა კი ამ არჩევანის თავისუფლებაშია. და თუ დავუბრუნდებით 1918 წლის, შეიძლება ითქვას, ე.წ. დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობისა და ხელისუფალთა ადამიანურ არჩევანს, ცხადია, მათი მზერის, სმენისა და ხედვის არარსებობამ ათქმევინა ვასილ წერეთელს „არასდროს, როგორც ეს უკანასკნელ დროს, საქართველოს მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ასე ხელშემწყობი პირობები არ წარმოშობილა. მცირეოდენი ცდა და გარჯა კმაროდა, რომ მონობის მძიმე უღელი კისრიდან გადაგვეგდო და ჩვენი თავის პატრონობა, საკუთარი ბედის ქმნის უფლება ხელში ჩაგვვარდნოდა. იმავე დროს არასოდეს საქართველოს პოლიტიკურ მეთაურებს მარჯვე და მოხერხებული დრო ასე ცუდად არ მოუხმარიათ“ (წერეთელი, 1918). რეალობის ასე გააზრება, თითქოს ერთგვარი საბაზი უნდა ყოფილიყო მოვლენების ცვლილებისა, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიების ძალისხმევა საკუთარი მოვალეობის მნიშვნელობის გააზრებისა და ქმედებებისა, უშედეგო აღმოჩნდა. ალბათ აქ დგება ადამიანის და საზოგადოების საკუთარ თავთან შეხვედრის გამოცდილების სიმძაფრის საკითხი. თუკი საზოგადოების გარკვეული ნაწილს სრულიად გააზრებული ჰქონდა საკუთარი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა, რატომ ვერ აჯობა აზროვნების სიღრმემ ზედაპირულ სიმრავლეს? აზროვნების აქტი როდისაა შედეგიანი? თუკი მას ადამიანი ფლობს, როგორც ხელოვნებას? აზროვნების თვისება ხომ შედეგზე ორიენტირებული ქმედებაა, მაგრამ საკუთარი თავის დანახვის აუცილებლობა, ხანდახან უფრო ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს. ალბათ, სამყაროს გარდაუვალმა კანონებმა ამ კუთხით იმუშავა და გამოლვიძების იდეის მნიშვნელობამ პიროვნულ ხმათა სიმძაფრე გადანონა, თუმცა ისტორიის ტრიალმა აჩვენა, რომ ფრაგმენტულმა სიფხიზლემ შეაფერხა და პერსპექტივაში გაადნო ყინულის სქელი ფენა, მაგრამ ამისთვის თაობათა ხანგრძლივი ცვლა

მოითხოვა. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის განცდა, რასაც ქრისტიანული კულტურა გულისხმობს, იგნორირებული აღმოჩნდა უმრავლესობის მხრიდანაც, და საკუთარ თავში ღვთის ხატის პატივისცემა, რაც შემოქმედებითობას, სიცოცხლეში ჩართულობასა და დიალოგის ცოდნას გულისხმობს, დაიკარგა. ბუნებრივად დაიკარგა სხვისი მოსმენისა და მისი განსხვავებულობის აღქმის უნარი. აქედან ლოგიკური იყო, სახალხო იდეებისა და კოლექტიური ცნობიერებისაკენ გადაქცევა „ვითარცა ლერწამთა“. დრო ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, მხოლოდ მეტაფორა და ნუთისოფლის საზომი გამოდის. იგი არ იცვლება, არც ჩქარობს, არც ნანობს და არც იგვიანებს, გულგრილია ადამიანთა არჩევანის შესაბამისად და ნდობითაც ვერ გამოირჩევა. აბა სხვაგვარად როგორ ვიფიქროთ, როცა უცნობი ავტორი გაზეთ „საქართველოს“ 98-ე ნომერში სათაურით „ნადრევი სიხარული“ წერს: „და როცა რუსეთში ბოლშევიკები აღარ იქნებიან, იმედი ვიქონიოთ, დამოუკიდებელი კავკასიის ერთა ბედი ისე იქნება მონყობილი, რომ ასეთი ადვილი აღარ იქნება რუსეთის მოსვლა“. როგორც ჩანს, ნადრევია ყველა სიხარული, რომელსაც აზროვნების ტექნიკა და ჰიგეინა უმტყუნებს. თუ მთავარ მოაზროვნეთა გამოცდილებას დავაკვირდებით, აზროვნების სიხარულს მარტოდ მყოფობის, თვითდაკვირვების, სამყაროს კანონების ახსნის მცდელობა, ყურადღების, მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობა განაპირობებს, იგი გადამდებია და სამუდამო.

1918 წლის 24 მაისი, პარასკევი, გაზეთი „საქართველო“ №99. ორი დღე დამოუკიდებლობამდე. „ჩვენ ვდგავართ დიადი საფრთხის წინაშე, ჩვენ შეიძლება დავკარგოთ არა თუ ე. წ. დემოკრატიული ფრონტი, არამედ ყოველგვარი შესაძლებლობა ერის თავისუფალი განვითარებისა, ...ყველაფერი ის, რისი იმედით სუნთქავდა რუსეთის მონობისა და უსაშინელეს ეროვნული დევნის დროს ერის საუკეთესო ნაწილი და ამის მთავარი მიზეზი იქნება ჩვენი საკუთარი უსუსურობა, პოლიტიკური აღზრდის უქონლობა და გასაოცარი სიბეცე, რომელიც ახასიათებდა ე.წ. რევოლუციის დემოკრატიის მესვეურთ, მართვა-გამგეობისა და ძალაუფლების მათ ხელში გადასვლისა“. სიმპტომატური და იშვიათად მყარი საბუთია ეს ამონარიდი, ჩვენი დამოუკიდებლობის ხარისხის გასააზრებლად. 26 მაისამდე ორი დღით ადრე გაზეთი იუწყება მთავარი საფრთხის შესახებ. დასაფიქრებელია ის, რომ ავტორი არ ადანაშაულებს უცხოს, მტერს, რუსეთს. საკუთარ უსუსურობასა და სიბეცეს ჩივის. აქნდაკებს საკუთარ თავსა და ხელს აძლევს თანამედროვეთ დიდ ჩრდილში ავტოპორტრეტის კორექციისათვის, სადაც ფერები არ ჩანს, მაგრამ ჩანს მკვეთრი მონასმები, მთავარი შტრიხები ხასიათის ამოსაცნობად. საკუთარი ქანდაკების ძერწვა ერთადერთი მართებული გამოსავალია დაბინდული დამოუკიდებლობიდან. ინტუიცია არ ღალატობს ავტორს არასახარბიელო მომავლის ჭვრეტისას, თუმცა შრომასა და შინაგან ვარჯიშს არ მიატოვებს, რადგან ინდივიდუალური სიცოცხლის შესანარჩუნებლად, საკუთარი ქანდაკების დასასრულებლად ესაჭიროება ძალა. რატომ სთავაზობს სამყარო ამ ხედვის ადამიანებს უარეს რეალობას? ისინი ხომ ამას არ იმსახურებენ? ალბათ იმიტომ, რომ ადამიანობის იდეა თანაგანცდისა და თანაზიარობის მოდელს გულისხმობს და იმიტომაც, რომ ერთი სამყარო, რომელიც მართლაც გმირულია და მათემატიკური ჰარმონიით გაჯერებული, საბოლოო პასუხს ვერ დადებს ჯერ მძინარე და უშრომელი, გაურკვეველი ცვალებებისა თუ ამოსაცნობი წევრების გამო. საბოლოო პასუხის მისაღებად მათი გააქტიურება,

სახელების დარქმევა და უცნობიდან რეალურ ციფრებად თუ რიცხვებად გადაქცევა საჭირო. ამ პროცესს კი დრო და ძალისხმევა ესაჭიროება უნივერსალური ენერგიიდან კონკრეტულ ქმედებამდე, რადგან მართალია განტოლებები ადამიანების მიერ იწერება სახელმძღვანელოებში, მაგრამ მათი ნამდვილი ავტორი უხილავია. მას კი, ვისაც ღვიძავს, ვინც აზროვნებს და ცხოვრობს, ხშირად უხდება შეხვედრა სამყაროს ავტორთან, ვინაიდან მისი ქმნილების, კოსმოსის ლოგიკური წესიერების პრინციპის ამოცნობითაა დაკავებული. აზროვნებისა და სიცოცხლი იდეაც, შესაბამისად, ვერ იქნება ეგოისტური და მხოლოდ საკუთარი ქმედებებისთვის ვერ მოითხოვს გასამჯელოს, რადგან ხვდება, რომ მისთვისაც კარგავს 1918 წლის 26 მაისი ფასს, ვინაიდან ბევრია უსიცოცხლო ირგვლივ, მათ გაცოცხლებას კი დრო, ენერგია, და ადამიანად ყოფნის ცოდნა თუ გამოცდილება სჭირდება. თუ ეს დღე თითოეულისთვის არ გახდა ძვირფასი, მაშინ არსი იკარგება და თავიდანაა აღმართი ასავლელი. ამიტომ ინდივიდუალური ტკივილი უკვე გაუსაძლისი ხდება და თითქოს იძულების აქტად გადაიქცევა, რომ ჩაერთოს ადამიანად დაბადების ურთულეს, უმთავრეს პროცესში და შესაბამისი ვალდებულება გააძლიერებს იმ ძალისხმევას, რომელიც შეძლებს 2018 წელს საერთოეროვნული სიხარულით შეეგებოს 26 მაისს. ამ შემთხვევაში, ალბათ აზროვნების ძალამ იმუშავა და ოკუპირებულ, მაგრამ დამოუკიდებელ ქვეყანად ჩამოაყალიბა საქართველო სლოგანით: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“, რადგან ქართველებსა და დანარჩენ სამყაროს კვლავ დასჭირდა შესხენება XX საუკუნის დასასრულის მთავარი ნიუსის.

თიბათვის 30, კვირა. ინფორმაცია გავრცელდა კირიონ კათალიკოსის გარდაცვალების შესახებ. „ქუთაისიდან მრავალტანჯულ საქართველოს ეკლესიას, რომელმაც მრავალტანჯვით გამოგლიჯა თავისუფლება ორთავიან არწივს, უცნაურმა ბოროტებამ მოსტაცა მისი სიამაყე უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოსი კირიონ მეორე. სამიტროპოლიტო საბჭო და სასამართლო გულმოკლულნი დასტირიან ქართველთა ეკლესიისა და ერის მოჭირნახულის ნაშტს და იმედოვნებენ, რომ თავისუფალი ერი საქართველოსი გასწმენდს თავის მიწანყალს საქართველოს სახელმწიფოს და ეკლესიის მტერთა და მოღალატეთაგან (ანტონ ქუთათელი).

კირიონ კათალიკოსის გარდაცვალება ლოგიკური დასასრულია იმ სააზროვნო მოდელისა და რეალობისა, რაც განმსაზღვრელი ძალა აღმოაჩნდა 1918 წელს ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, იმ უფსკრულის საჩვენებლად, ორ მთავარ პოლიტიკურ ძალას შორის, ქვეყნის მომავლის განსაზღვრა რომ იტვირთეს. გერონტი ქიქოძემ აღნიშნა კიდევ ეროვნული საბჭოს ყრილობაზე „ცხადია, რომ თუ სახელმწიფოებრივი, ფინანსური და მილიტარული ორგანიზაცია ვერ მოვანერსებთ, შეიძლება რომელიმე მეზობელი ან უცხო სახელმწიფო დაგვეპატრონოს, მაგრამ ეს თქვენი ბრალი იქნება და არა ჩვენი. იმიტომ რომ სახელმწიფოს დღეს თქვენ მეთაურობთ. ამ მხრივ ჩვენსა და თქვენს შორის მართლა მთელი უფსკრულია. თქვენ გგონიათ, რომ ხსნა წითელ გვარდიაში“ (ქიქოძე, 1918).

ქართველ ხელისუფალთათვის 1918 წელს ხსნა წითელ გვარდიაში იყო. 2018 წელს ქართველთათვის ხსნა აღარ გახლავთ წითელ გვარდიაში, მაგრამ ხსნას თუ ისევ გარედან ველით, ყველა ავტორიტეტული ფილოსოფიური აზრი გვეტყოდა, რომ სახელმწიფოს თავისუფლება მხოლოდ მისი მოქალაქეების შინაგანი გიმნაზიური წვრთნის შედეგად მიიღწევა.

აღნიშნული მასალის ქრონოლოგიურად, თემატურ-იდეურად გააზრების შედეგად, დადგინდა მოვლენების საზრისის მნიშვნელობა; საზოგადოებაში პიროვნულ ხმათა შემცირებამ, არასასურველი მომავლისადმი ინტუიციური ქვრეტა ტრაგიკული გახადა.

გრიგოლ რობაქიძის, გერონტი ქიქოძის, ვასილ წერეთლის, სიმონ ქვარიანისა და უცნობ ავტორთა პუბლიცისტური ტექსტების მიხედვით, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ღირებულებითი პრობლემების ნუსხა დადგინდა. გაირკვა ავტორთა მიერ გადაჭრის გზების ვერსიების არსი, მნიშვნელობა და უშედეგობაც.

პუბლიკაციების ავტორთა მიერ, პრობლემათა გადაჭრის გზების ვერსიების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების შედეგად, დადგინდა საზოგადოების ძირითადი ნაწილის აზროვნების, მისი არასწორი პრიორიტეტების ეპოქალური მნიშვნელობა, რომელსაც მცირე ნაწილის მართებული აზრი ვერ გაუმკლავდა.

ინტელექტუალთა მიერ, ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტის არსებობის მიუხედავად, დაიბადა დაუძლეველი შიშის განცდა. რუსული რეალობის ადექვეტურმა აღქმამ, ტრაგიკული ნილაბი მოარგო ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხანგრძლივ პერსპექტივას.

ჩვენ მიერ, ქრონოლოგიური პრინციპის დარღვევა წითელ, საბედისწერო, პრესაბჭოურ დროში 1918 წლის მოვლენებსა და განსჯით ნაწილში ბახტინისეული კვლევითი-კარნავალური მოგზაურობა დაგვეხმარა, დაგვედგინა ხანმოკლე, დანაშაულებრივი, საუკუნის დასაწყისის მთავარი მიზეზები. მეტად დავრწმუნდით. მამარდაშვილისეული „აზრის ჰიგიენის“ მნიშვნელობის უპირატესობაში, თავისუფალი აზრის არასწორი გაგების დანაშაულებრიობასა და ტრაგიკულობაში.

შესაბამის დასკვნათა წარმოდგენით, პრევენციისთვის, მთავარ მოვალეობად მიგვაჩნია, საუკუნის შემდეგ, მოვლენათა საზრისის ძიების, ამ კუთხით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გააზრების, უპირობო აუცილებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ამირეჯიბი შ., „ახალი კურსი“, გაზეთი „საქართველო“, № 75, 1918

ბახტინი მ., კარნავალიზებული ლიტერატურა, სჯანი, 2008, № 9

გაზეთი „საქართველო“, № 99, 109, 119

ევროპული კულტურის ორი საფუძველი, სერია ევროპული ძიებანი, სტატიების კრებული, თბილისი, 2008

მამარდაშვილი მ., საუბრები ფილოსოფიაზე, მეცნიერება, თბილისი, 1992

მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი, „კირიონის გარდაცვალება“, გაზეთი „საქართველო“, № 126, 1918

ჟორდანიას ნ., „ქართული პრესა გუმინ და დღეს“, წერილები, თბილისი, 1900

ქვარიანი ს., „დღევანდელი ვითარება და ჩვენი მთავრობის მოვალეობა“, გაზეთი „საქართველო“, № 120, 1918

ქიქოძე გ., „გ. ქიქოძის სიტყვა“ გაზეთი „საქართველო“, №123, 1918

წერეთელი ვ., „რა გზას უნდა დავადგეთ“ გაზეთი „საქართველო“, №75, 1918

Бахтин М., Проблемы поэтики Достоевского, Москва, 1968.

FOR PHILOSOPHICAL UNDERSTANDING OF SEVERAL PUBLICATIONS IN NEWSPAPER „THE SAKARTVELO“ IN 1918

Summary

In 1918 the printed organ of the National-Democratic party „Sakartvelo“ was renowned for its thematic diversity. Study of editorials published in a few issues (N75, 90, 99, 67, 109, 119, 123, 126) is important for us not only for comprehension of the fundamental principles of political, cultural and economic background but also is relevant for understanding modern problems and trends and incorporating the main thinking into the new reality.

Was there a radical difference between the thinking and speech of the representatives of the Social-Democrats and National-Democrats? Here we deal with the opposing representatives of the same speech and thinking field as there is a vast chasm despite the common historical experience and cultural traditions menacing to devour them. We believe that both forces were on the edge of the abyss; however, there still was a difference between them – one fully comprehended everything and spoke aloud about it, while the other was silent because of a simple and fatal reason – because of lack of vision, intuition, individual and historical responsibility and misunderstanding oneself.

No one knows when the human being starts thinking about his/her life, the truth and consciousness, when the main message is born in his/her mind; nobody but his/her inner voice. It is the point of grasping or losing the fatal point of meeting with his/her self for the first time, with another person and with the whole world; however, this meeting can either take place or not. We can metaphorically say it is the beginning of the act of life. Tragedy and comedy of the meeting is in the freedom of choice. Therefore, we can say that in 1918 the choice made by majority of the citizens and authorities of the so-called independent Georgia was a result of lack of vision, hearing and glance.

By chronological, thematic-ideological analysis of the above mentioned materials we grasped the essence of the thought; reduction of individual voices in the society made intuitive contemplation of the unwelcome future tragic.

On the basis of analysis and evaluation of the approaches to the problem solving of the publications' authors, we established epochal meaning of wrong priorities and wrong thinking of a bigger part of the society which cannot be dealt with by thinking of minority.

After analyzing and evaluating the publications authors' views on problem solving methods, versions and interpretations, we ascertained significance of the majority's thinking and their wrong priorities with which opinion of minority was unable to cope.

დამოუკიდებლობის დღე ემიგრანტთა ცნობიერებაში

XX საუკუნის ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ჩვენი ქვეყნის კულტურულ და საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნეს. მათი უამრავი ნაშრომი მეცნიერების, ლიტერატურის, პოლიტიკის, სამართლისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში შერწყმულია საქართველოს ისტორიული ბედისწერის კარდინალურ საკითხებთან.

დღეს, როცა მთელი ერი აღნიშნავს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 100 წლისთავს, ამას თავისი, განსაკუთრებული სიმბოლური და თანაც მეტად რეალური მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან ისტორიის სვლა და სახეობა ცვალებადია, მაგრამ უფრო ცვალებადია ის, თუ როგორ იწერება ეს ისტორია.

აქ, ლესინგს უნდა დავესესხოთ: „რომ თვით არსთა გამრიგე გამოცხადდეს ჩემს წინაშე და მარჯვენა ხელში მთელი ჭეშმარიტება ეპყრას, მარცხენაში კი ჭეშმარიტების ძიება და მითხრას „ამოირჩიე!“, – მე მივეკვროდი მარცხენა ხელს და ვეტყოდი: – ეს მომეც, უფალო!“.

ამ ნაშრომში ჭეშმარიტების ძიებით გვინდა წარმოვადგინოთ პარიზში გამოშვებულ ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოგონებები, რომლებშიც საქართველოს ისტორიის ეპოქალური მოვლენები გაშუქებული.

გასული საუკუნის დასაწყისში ერთი მეორეს მიყოლებით, უდიდესი მნიშვნელობის აქტებმა ამოხეთქა ქართველი ერის ნებისყოფის ისტორიული სინამდვილიდან, როცა „ერმა ნებაყოფლობითი, გადაწყვეტილი ნაბიჯით, აღადგინა ეროვნული და სახელმწიფოებრივი სრული სუვერენობა“.

ჯერ კიდევ 1917 წლის (12) 25 მარტს, მცხეთაში შემდგარმა საქართველოს ეპისკოპოს-სამღვდელოების ყრილობამ აღდგენილად გამოაცხადა მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის ავტოკეფალია (რაც რუსეთის სინოდს გაუქმებული ჰქონდა 1811 წელს).

„ეს გახლდათ საქართველოს სულიერი სუვერენობის აღდგენა.“

26 იანვარს 1918 წელს – უკვე დამოუკიდებელი კავკასიის პირობებში – მოხდა გახსნა თბილისის სახელმწიფო ქართული უნივერსიტეტის – მემკვიდრე გელათისა და იყალთოს აკადემიებისა.

„ეს იყო საქართველოს სუვერენობის აღდგენა: გონების სფეროში!“

და ბოლოს – 26 მაისს 1918 წელს საქართველომ აღადგინა თავისი „საერთაშორისო სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სუვერენობა.“

ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია რომელიმე ამ აქტის დაკავშირება „ოქტომბრის რევოლუციასთან“, როგორც ამას „ცდილობენ და რის ჩანერგვასაც ლამობენ, რათა ქართველთა ის თაობანი, ვინც ამ დიადი ფაქტების მომსწრენი არ იყვნენ, ამაში დააჯერონ“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 9).

დღეს, უკვე დადგა დრო, საქართველოს დამოუკიდებლობიდან საუკუნის გასვლის შემდეგ მაინც, ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოქმედებაზე დაყრდნობით ისტორიის სასამართლოს წინაშე წარმოვადგინოთ მათ მოგონებებში მოტანილი უტყუარი მონმობა-ჩვენებები.

საილუსტრაციოდ განვიხილავთ ჟურნალ „კავკასიონის“ XIII ნომერში გამოქვეყნებულ მოგონებებს, რომლის ერთ-ერთი ავტორი გახლდათ 1929 წლიდან ამ ჟურნალის რედაქტორი ვიკტორ ნოზაძე. მან სახელწოდება „კავკასიონი“ ჟურნალისათვის საგანგებოდ აარჩია, რადგან იგი ფუნდამენტურ პოლიტიკურ კონცეფციასაც შეიცავდა და ამასთან ერთად გულისხმობდა კავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივ გაერთიანებას საქართველოს მეთაურობით.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს აღდგომისა და მისი ბრწყინვალეების დღეს, ქართველ ხალხთან ერთად დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ახალგაზრდა ვიკტორ ნოზაძეც, რომელმაც მაშინდელი განწყობილება დიდი ექსტაზით გადმოსცა ნახევარი საუკუნის შემდეგ 1968 წელს ჟურნალ „კავკასიონში“ დაბეჭდილ წერილში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა“: „ქართველმა ერმა კვლავ აღიდგინა თავისი სახელმწიფო; საქართველო კვლავ გამოვიდა ისტორიის ფართო შარაზე თავისი საკუთარი სახით; თავისი პირადი სახელით და გვარით; თავისი პასპორტით. მრავალი საუკუნის შემდეგ ეს იყო ჭეშმარიტი აღდგომა საქართველოსი“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ.41).

მოგონების ავტორი, აქვე, ხაზგასმით იმასაც აღნიშნავდა: „როგორც თეთრმა, იმპერატორულმა რუსეთმა არ შეასრულა თავისი იმპერატორული სიტყვა, ისე წითელმა რუსეთმა არ შეასრულა თავისი მარქსისტულ – ლენინური სიტყვა; იგი საქართველოს შეესია მას შემდეგ, რაც ჯერ თურქეთთან მეგობრული კავშირი შეკრა და მას ქართულ-სომხური ტერიტორიები დაუთმო და მიაჩუქა (ბათუმი, ართვინი, არდაგანი, ყარსი). გააჩუქა სხვისი მიწა-წყალი 25 ათასი კვ. კილომეტრი!“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 44).

მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო წითელმა რუსეთმა საქართველოზე თავდასხმა და მისი ჯარები დამოუკიდებელ რესპუბლიკას შეესივნენ (11 თებერვალი 1921 წ.). მოსკოვის რადიომ მთელს მსოფლიოს ამცნო, რომ ქართველი მუშები და გლეხები თითქოს საქართველოს მთავრობას აუჯანყდნენ და ამიტომაც მათ თბილისზე გაილაშქრეს.

ეს უსაზიზღრესი ტყუილი წითელმა რადიომ მთელს მსოფლიოს მოსდო. „რასაკვირველია მან დამალა თავისი მუხანათური თავდასხმა და შემოსევა... და დღესაც ყოველ შემთხვევაში ამას იმეორებენ, თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ ეს ტყუილია და სიცრუეა“ (1968, გვ. 44).

ვიკტორ ნოზაძის მოგონება იმის დასტურია, უცხოეთის ცის ქვეშ თუ როგორი აქტიურობით აწარმოებდა სიტყვითა და კალმით ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასა და დემოკრატიული მსოფლმხედველობის სრული სისავსით წარმოჩენას.

საერთოდ, უნდა ითქვას ისიც, რომ წარსული მხოლოდ მაშინ არის გაკვეთილი მომავლისათვის, როცა იგი ობიექტური სისწორით იქნება შესწავლილი, როცა ამ წარსულიდან არაფერი არ იქნება დამალული. აქედან გამომდინარე, დავიმონმებთ ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე დაბეჭდილ კიდევ ერთ მოგონებას, რომლის

ავტორი გახლდათ ესეისტი თამარ პაპავა: „26 მაისს დილით ჩვენი ოჯახიდან ყველანი გაიკრიფნენ. ჰაერი არ გვეყოფნიდათ სახლში... სახაზინო თეატრის დარბაზში, სადაც ბ. ნოე ჟორდანია კითხულობდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს, შეუკავებელი ტირილი ისმოდა... იმ დროს ვლასა მგელაძე, მამა დავითზე ასული, აკაკის, ილიას, ვაჟას ულოცავდა საქართველოს აღდგომას“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 64).

დიდი ილია ამბობდა: – „ყოველი ადამიანი დაუნერეელი საინტერესო წიგნია, მით უმეტეს, მწერლისა და შემოქმედის ცხოვრება, რომელიც მთელი გულითა და შემოქმედებით დაკავშირებულია თავისი ქვეყნის ყოველდღიურ მაჯისცემასთან, უშუალოდ განიცდის სამშობლოს ტკივილს, მის სიხარულს, მწუხარებას, თუ ბედნიერებას“.

ეს სიტყვები უშუალო კავშირშია მწერალ აკაკი პაპავას ბიოგრაფიასთან, რომელმაც იცხოვრა და განვლო დიდი ეპოქალური ძვრები და ქართველები, იგემა დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფლება, სამშობლოს ოკუპაცია და ემიგრაციის ნარ-ეკლიანი გზის სუსხი.

საქართველოს დამოუკიდებლობის ბედნიერებისა და ამაღლების გრძნობებია აჟღერებული ლექსში „26 მაისი ჩვენთან“:

„გახსოვთ, გახსოვთ თქვენ თბილისი,
იმ დღეს მოკაშკაშე,
კვლავ აღმდგარი ერი მისი,
სიყვარულით სავსე...“

მე ვლოცულობ იმ მაისზე,
მუხლებს ვიყრი წამსვე;
მიყვარს ხატი მისი ისე, -
ედემს მივამსგავსე;
მათობს იგი გადმორიყულს
აქაც, უცხო კარზე,
მომიოხებს დაფლეთილ გულს,
ნაგებს ეკალ-ნარზე...“ (1968, გვ. 64).

ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგაც დიდი ემოციური მუხტითაა დატვირთული ემიგრანტ პავლე სარჯველაძის მოგონება „როგორ იდღესასწაულა 1920 წელს თბილისმა 26 მაისი“, რომელიც გვხიბლავს თავისი სინრფელით, შედარებით უცნობი ფაქტების სიზუსტით აღწერით, სადაც ემიგრანტი მთელი სისავსით წარმოაჩენს მის სულიერ სამყაროს: „თავისუფლების მოედანი ხალხით გაჭედოდა. წინააღმდეგობა მოსულნი იმერი და ამერი, აჭარისა და შავშეთის, კახეთისა და ჯავახეთის, სვანეთისა და იმერეთის, გარე კახელები – სამღვდლოებით – ყველანი მორთულან... ქართველთა საუკუნო ტანჯვა-წამება დავინწყებას მისცემია. მათ მკერდს ამშვენებს ამ დღისათვის საგანგებოდ მოქარგული, პატარა სამფეროვანი დროშები, ხოლო მოედანს გარს ერტყმის ფართოდ გაშლილი დროშები...“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 66).

ამ მოგონებათა ნაკადში ავტორს დიდი უშუალოებით, სიფაქიზით აღწერილ უცნობ ფაქტებთან ერთად, კალმის ერთი მოსმით აქვს დახატული ერის შვილთა

ზნეობრივი სახეც: „სასახლიდან გამოდის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. მას შეეგება ჯგუფი ქართველობისა კოტე აფხაზის მეთაურობით; ქართული მაღალი კულტურის და ზნეობის წარმომადგენელი გაბრწყინებული თვალებით მისჩერებოდა საქართველოს მიმრქმელს და მათ შეხვედრაში იქსოვებოდა სახე ქართველთა მთლიანობისა...“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 68).

საერთოდ, სიხარული მისი დადებითი ფორმის მიხედვით ადამიანის ახალ ადაპტაციას ახდენს; და თან ახალ ორიენტაციასაც ანიჭებს ადამიანის ინსტიქტებს, ჩვეულებებს ან კიდევ სრულიად ახალ ჩვეულებებს ქმნის.

ყურადღებას იპყრობს ემიგრანტთა ცნობიერების ნაკადში დანახული 26 მაისის დღე: „თბილისის ქუჩებში აუარებელი ხალხი ირეოდა. ისმოდა ამქრების ზურნა-დუდუკი, დასტა-დასტა მეზურნეები მიჰყვებოდნენ მოქალაქეებს. აღფრთოვანებული ახალგაზდობა როკვით, სიმღერით მიემართებოდა რუსთაველის გამზირზე... ქალაქს მტრედის ფერსა ჰფენენ მზის პირველი სხივები... ჰაერს მოაქვს დილის საარის კენესა...“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 64-65).

მსგავსი აღფრთოვანების სურათებია დახატული ემიგრანტ ა.სარჯველაძის მოგონებაში „დამოუკიდებლობის ხანა“: „ეროვნული თავისუფლების სიყვარულმა, საკუთარი ქართული სახელმწიფოს დამკვიდრების და მისი მომავლის აღორძინების იმედებმა გადაავიწყა მოსახლეობას ნივთიერი გაჭირვება; არ შეუშინდა სიმარტოვეს, მრავალ დაბრკოლებას და მხნედ შეუდგა აღმშენებლობის საქმეს. რა გაკეთდა? რას მივალნიეთ? როგორ პირობებში – ყველა ამისი დანვრილებითი აღწერა მომავალ ისტორიკოს უნდა მივანდოთ...“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 59).

ინდივიდუალური ხედვითაა დასურათხატებული საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დღეები ლევან ზურაბიშვილის მოგონებაში: „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის რამოდენიმე გემზე, ფრიალებდა ქართული ეროვნული დროშა: შავი-თეთრი – და – შვინდისფერი, ესე იგი თამარ მეფის ისტორიული ფერები და საქართველოს შექმლო ეთქვა შოთას სიტყვები: „ავმართე დროშა მეფისა, აღმითა წითელ შავითა“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 81).

საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანა, მართალია, მოკლე იყო, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსით იგი ძალზე მდიდარი გახლდათ. რუსეთის საუკუნოვანი ტყვეობიდან თავდახსნილმა ჩვენმა ქვეყანამ აღმშენებლობა დაიწყო და იგი ევროპული სახელმწიფოებრივი განვითარების გზას დაადგა, მაგრამ სულ მალე „რისხვით მობრუნდა ცის ცარგვალზე ბედის ბორბალი“. ქართველი ხალხის აღმაფენა 25 თებერვლის კატასტროფამ შეცვალა.

ეს ტრაგიკული დღეებია გადმოცემული უცნობი ავტორის მოგონებიდან, რომელიც 1921 წლის 9 ივნისით თარიღდება. 26 მაისის აღნიშვნა ბოლშევიკებმა აკრძალეს, მაგრამ რაკი სტუდენტობამ ეროვნული დროშებით გამოსვლა მაინც გადაწყვიტა, რევოლუციურმა კომიტეტმა მაშინ ბრძანება გამოაქვეყნა: „რაც შეიძლება მეტი ზეიმით იდღესასწაულოს 26 მაისი, მაგრამ არავითარი ეროვნული ხასიათი არ უნდა ჰქონდეს ამ დღესასწაულს; აკრძალულია რაიმე დროშის გამოტანა, გარდა წითლისა... ხალხმა უნდა იდღესასწაულოს მხოლოდ საქართველოს განთავისუფლება მენშევიკური იმპერიალიზმისაგანო“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 70).

უცნობი ავტორი მოგონებაში „ტრამეული ცნობიერების“ გამომხატველ ეპიზოდებსაც წარმოაჩენს, რაც კარგადაა გამომხატული ბოლშევიკების დადგენილებაში:

„საერთო კრებაზე გადაწყვეტილი იყო, რომ ყოველი ნამდვილი ქართველი და ყოველი სამშობლოს მოსიყვარულე ადამიანი სახლიდან არ გავა 26 მაისს. მართლაც, 26 მაისს რუსების, სომხების და (რუსი) ურიების გარდა არავინ იყო ქუჩაში... რუსები ზეიმობდნენ და ის „ქართველები“, რომლებსაც ჩვენ „რუსებს“ ვეძახით (მახარაძე და სხვანი)...“ (1968, გვ. 70).

საერთოდ, ემიგრანტთა მოგონებებში გახსენების ნაკადი ორი პარალელური ხაზით ვითარდება: ერთია მოგონებები სამშობლოზე, მის დამოუკიდებლობაზე, რომელიც ქართველი ერის აღმაფრენის წუთებთანაა დაკავშირებული, მეორეა – საბჭოთა ყოფის ამსახველ მესხიერებით არსენალთან დაკავშირებული „ტრავმული ცნობიერება“, რაც თავისუფლება დაკარგულ სამშობლოს დატოვებით გამოიხატება. ორივე მოვლენა რეალობაა, მაგრამ მტკივნეული განცდა უფრო სამშობლოში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება.

„არავინ უნდა დაივიწყოს კათოლიკოსის სიტყვა, რომელიც მან ჯალათებს უთხრა: – სული ჩემი ღმერთს, გული ჩემი – სამშობლოს, ხოლო მძორი ჩემი – თქვენ, ჯალათებო!“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 8).

1922 წელს გენუის კონფერენციაზე საქართველოს კათოლიკოსმა მალულად გადააგზავნა მემორანდუმი, რომელშიც თხოვდა გენუის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს ქართველი ხალხის უბედურებისათვის ყურადღების მიქცევას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ქართული სახელმწიფო გახდა მსხვერპლი არა შინაურ ძალთა ამხედრებისა, არა ხალხის უნდობლობის ნიადაგზე, არამედ უცხო ძალისა და მისი იარაღისა“ („კავკასიონი“ XIII, 1968, გვ. 63).

ამკარაა, ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა სააზროვნო არეალში ჩართული ინდივიდუალური მესხიერება, რომანტიკული წარსული, მოგონებები, კომუნიკაციური მესხიერების კვალდაკვალ იქცა კულტურულ მესხიერებად, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა მათი „ტრავმული ცნობიერება“, ტრაგიზმის განცდა.

სწორედ, ამგვარი კულტურული მესხიერება გახდა ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საფუძველი, საყრდენი და თავშესაფარი უცხოეთში, რომლის დასტურიც ზემოთხსენებული მოგონებებია.

ერთი შეხედვით, მოგონებები თითქოს ხელს არ უწყობენ არც პროგრესულისა და არც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, მის წინა პლანზე წამოწევას, და, არც მალალი მხატვრული დონითა და სტილისტური დახვეწილობით გამოირჩევა, მაგრამ, აქ მთავრი ის გახლავთ, რომ მოგონებები თავისუფალი აზრის მაგალითებია. მათ ავტორებს, მართალია, სიცოცხლეში არ ანებივრებდა საზოგადოება, მაგრამ ემიგრაციაში, როგორც ყურნალ „კავკასიონის“ რედაქტორი ვიკტორ ნოზაძე განმარტავდა: „დროა უკვე, ეს ძვირფასი ისტორიული მასალა, რომელსაც ყოველი მოგონება წარმოადგენს, უცხოეთში მაინც იბეჭდებოდეს და უკვალოდ არ განიბნეოდეს“.

ამრიგად, ემიგრანტულ პრესის ფურცლებზე, კერძოდ „კავკასიონში“ დაბეჭდილ მოგონებებს, საერთოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმით, რომ ეს მოგონებები საქართველოში მზის სინათლეს ვერ ნახავდნენ, მეორე – ემიგრაციაში იყვნენ ქართველები, რომლებსაც რაღაც სათქმელი ჰქონდათ, მაგრამ ასპარეზის უქონლობის გამო ვერაფერს ამბობდნენ; მესამე – ბევრისათვის ისეთი სერიოზული გამოცემა, როგორც ყურნალ „კავკასიონი“ გახლდათ, საბაბი იყო იმისათვის, რომ მიგდებუ-

ლი ინტელექტუალური მუშაობა, ემიგრანტულ პირობებში უაზრობად მიჩნეული, ისევ განახლებულიყო და ემიგრანტებს თავიანთი უნარი საბოლოო დაკარგვისაგან გადაერჩინათ; მეოთხე – პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი მოგონება ემიგრანტთა კვალს დატოვებდა და მათ ღირსებას უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მომალთაობათა თვალშიც უფრო გაზრდიდა. ამასთან ემიგრაციაში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები ყველაზე აქტუალური ბრძოლის საშუალება გახლდათ, რადგან ბეჭდვითი სიტყვით ემიგრაციის მებრძოლთა სიტყვა სამშობლოშიც აღწევდა.

გარდა ამისა, პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი ემიგრანტთა შემოქმედება იმ ნიჰილიზმის გაქარწყლებასაც წარმოადგენდა, რომელიც მაშინ მუსირებდა: „დღეს-დღეობით არც ერთი ემიგრაცია ყოფილა, რომ დაპყრობილი ერი გაენთავისუფლებინოს. საქართველოს დამარცხებული სუვერენული უფლება ისევ საქართველოშია და მისთვის მებრძოლი და მისი აღმდგენი ძალაც და შესაძლებლობაც იქ დარჩენილ ქართველთა ხელშია. და ის ვინც იქიდან გამოიქცევა ამ ბრძოლასაც მოსწყდება“ (შარაძე, 2004, გვ.79).

მათ საპირისპიროდ ვიკტორ ნოზაძესა და ინტელექტუალურ ემიგრანტთა დიდ ნაწილს ღრმად სწამდათ: „ემიგრაციაში მყოფთ ახალგაზრდობას შესაძლებლობა ეძლეოდა, ემიგრანტული პრესის ფურცლებზე გაშუქებული უტყუარი მასალებით გაერკვიათ ისტორიული სიმართლე, ჩამოეყალიბებიათ გარკვეული შეხედულებანი, ხვალის ნება და ეროვნული ღრმა შეგნებით მტკიცედ დაკავშირებოდნენ თავისი ქვეყნის ახალგაზრდებს. რათა ეროვნული გოლგოთის ძნელად სავალ გზიდან გადაეხვეცათ საბჭოთა რუსეთის მიერ თავს მოხვეული კეთილდღეობა“ (2004, გვ.79).

ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მოგონებები უდაოდ ჭეშმარიტების გზის ძიების დასაწყისი გახლდათ სამანს იქით და სამანს აქეთაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბეთანელი, რ., (1968), ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 50 წლის თავზე 1917-1967, „კავკასიონი“ XIII
- ვარდანი, ბ., (ნოზაძე, ვიქტორი) (1968), ახალი საქართველო-რესპუბლიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა, „კავკასიონი“ XIII
- ზურაბიშვილი, ლ., (1968), ქართული უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის თავზე პარიზში, „კავკასიონი“ XIII
- პაპავა, თ., (1968), მოგონება, „კავკასიონი“ XIII
- პაპავა, ა., (1968), 26 მაისი ჩვენთან, „კავკასიონი“ XIII
- სარჯველაძე, პ., (1968), როგორ იდღესასწაულა 1920 წელს თბილისმა 26 მაისი, „კავკასიონი“ XIII
- სარჯველაძე, პ., (1968), როგორ იდღესასწაულეს 26 მაისი 1921 წელში, „კავკასიონი“ XIII
- სარჯველაძე, პ., (1968), დამოუკიდებლობის ხანა, „კავკასიონი“ XIII
- შარაძე, გ., (2004), ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბილისი, „მეცნიერება“, 2001-2003

Mariam Marjanishvili
Doctor of Philology
Kutaisi State Historical Museum

INDEPENDENCE DAY IN EMIGRANTS' CONSCIOUSNESS

Summary

Today, when the whole nation is celebrating the 100th anniversary of the independence of Georgia, it has its own special symbolic and, at the same time, quite real meaning. Due to the fact that history progress is changeable, it is even more changeable how this history is written.

From this point of view, we have studied the Georgian political emigrants' memories on the pages of the journal „Kavkasioni“, which was published in Paris. In their memoirs, they depicted epoch events of the history of Georgia. The past is the lesson for the future only if it is accurately and objectively studied, when nothing is concealed.

Georgian political emigrants' memoirs mainly appeal to us with their honesty, accurate description of comparatively unknown facts and vivid depiction of their spiritual world.

The description of the happiness after announcing the independence of Georgia in the emigrants' stream of consciousness is followed by the episodes of „traumatic consciousness“ conditioned by the following processes.

Generally, the stream of memories in the emigrants' memoirs develops in two parallel directions: memoirs about home country, its independence, which is connected with the height of the Georgian nation, and the second – „traumatic“ memories connected to Soviet times, which is expressed by leaving the country. Both are reality, but the feelings connected with the processes going on in the country are more painful.

So, the memoirs published on the pages of the journal „Kavkasioni“ are the beginning of the long way to look for the truth.

სამუზეუმო სფეროს განვითარება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამიოდე წელი იარსება (1918-1921), მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქვეყნის კულტურის, მათ შორის სამუზეუმო სფეროს განვითარებაშიც. სწორედ ამ წლებში განხორციელდა საქართველოს მუზეუმის შექმნის იდეა, რომელსაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისიდან აყენებდნენ ევროპულ განათლებას ნაზიარები ქართული სამეფო არისტოკრატისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, მაგრამ მაშინდელ ისტორიულ გარემოებათა გამო, მისი ხორცშესხმა კარგა ხნით გადაიდო.

ქვეყანაში პირველი სამუზეუმო დაწესებულება – რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების მუზეუმი დაარსდა 1852 წელს, რომლის ბაზაზე, მოგვიანებით, 1865 წელს შეიქმნა კავკასიის მუზეუმი. თუმცა, პროფ. ლევან ჭილაშვილისა და სხვა მეცნიერთა აზრით, ქვეყანაში სამუზეუმო საქმიანობის ჩასახვა-ჩამოყალიბებას, „გაცილებით ადრე ჩაეყარა საფუძველი... იგულისხმება მთელი რიგი ისტორიული მოვლენის მისანიშნებელი ძველი ნივთის საგანგებო დაცვა და შენახვა, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად“.¹

მსგავს ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული ინფორმაციის ყველაზე ძველ წერილობით წყაროს წარმოადგენს ანტიკური პერიოდის ბერძენი გეოგრაფის ფლავიუს არიანეს (ახ. წ. 95-175) შავი ზღვის გარშემო მდებარე ქვეყნებში მოგზაურობის ამსახველი მასალა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ფაზისში ჩასულ სტუმრებს და სხვა მნახველებს ათვალიერებინებდნენ ქალღმერთ რეას ქანდაკებას, არგონავტების ხომალდ „არგოს“ ლუზის ნაშთებს და სხვა ღირსშესანიშნავ მასალებს“.² ხოლო შუა საუკუნეების ხანის საქართველოში მატერიალური კულტურის ძეგლების თავისებურ საცავს (ძველბერძნული „მუსეიონების“ ანალოგიას)³ ძირითადად წარმოადგენდა ქართული საეკლესიო – სამონასტრო ცენტრები როგორც საქართველოში (გელათი და ბაგრატის ტაძარი, შუამთა, ოშკი და სხვ.), ასევე მის ფარგლებს გარეთ (ათონი, იერუსალიმი, სინას მთა და სხვ.). ცნობილია ასევე, რომ ქართველ მეფეთა სასახლეებშიც თავმოყრილი იყო დიდძალი საუნჯე, რომელსაც სამუზეუმო მნიშვნელობა გააჩნდა. მაგალითად, ერეკლე II-ის თბილისის სასახლის

1 ჭილაშვილი ლ. *მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები* (ლექციების კურსი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984, გვ. 26

2 ფლავიუს არიანე, *მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო*, თბ., 1961, გვ. 39

3 მუსეიონი (ძველბერძნ. – Μουσείον) უზენაეს ღვთაებათა და მუზეუმის თაყვანსაცემად აგებული ტაძრები, სადაც ინახებოდა ტაძრისთვის შემოწირული და ღვთაებებისთვის საჩუქრად მორთმეული ხელოვნების ნიმუშები (ავტორის შენიშვნა).

საცავის შესახებ ცნობა ეკუთვნის თეიმურაზ ბაგრატიონს,⁴ რომლის თანახმად, ირკვევა, რომ მეფის „სალაროსა შინა“, მონყობილი ყოფილა მუზეუმი, სადაც ძველი მონეტები, საჭურველი და სხვა მასალები ინახებოდა. სასახლეებში მუზეუმების შექმნის თვალსაზრისით უდავოდ საინტერესოა სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მიერ ზუგდიდის სამთავრო რეზიდენციაში 1850-იან წლებში დაარსებული კაბინეტ-მუზეუმი, რომელშიც განთავსდა „მთავრის მიერ წლების მანძილზე შეგროვებული ნუმიზმატიკური, პალეოგრაფიული და არქეოლოგიური, საომარი აღჭურვილობისა და ქრისტიანულ სინმინდეთა კოლექციები, ჰერალდიკური ატრიბუტიკა და სიძველეთა სხვა ნიმუშები“.⁵

ცნობილია, რომ ქვეყანაში კულტურული ცხოვრების აღმავლობისათვის სამუზეუმო ორგანიზმის აუცილებლობას კარგად გრძნობდნენ რუსეთში ევროპულ განათლებას ნაზიარები ქართველი ბატონიშვილებიც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა იოანე ბატონიშვილის წერილობითი მოხსენება (1799) საქართველოს უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-სადმი, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, საუბარია ბიბლიოთეკა-მუზეუმების გახსნის საჭიროებაზეც. ანალოგიური აზრია გატარებული დავით ბატონიშვილის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში შემუშავებულ სამართლის ნიგნშიც.⁶

სრულიად დასაშვებია ზემოთ მოყვანილი ფაქტები განვიხილოთ საქართველოში სამუზეუმო წარმონაქმნების პირველსახეებად და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ერთ სივრცეში თავმოყრის მცდელობებად, რასაც არც შემდგომ წლებში დაუკარგავს აქტუალობა. ვინაიდან, ქვეყნის პირველი სამუზეუმო დაწესებულება – რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი, რომელიც 1852 წელს ჩამოყალიბდა კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის (1782-1856) ხელშეწყობით, წარმოადგენდა იმ პოლიტიკის გამტარებელ სტრუქტურას, რასაც რუსეთის ცარიზმი ახორციელებდა კავკასიის სრული კოლონიზაციისა და იმპერიასთან შერწყმის მიმართულებით.⁷ როგორც წესი, მუზეუმს ხელმძღვანელობდნენ რუსეთიდან მოვლინებული მეცნიერები (ვ. სოლოგუბი, ი. ბართოლომეი და სხვ.) და მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის კოლექციის ფორმირებაზე წარმატებით მუშაობდნენ ქართველი მოღვაწეებიც (რაფიელ ერისთავი, ლევან ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ყიფიანი და სხვ.), ისინი აქტიურად ვერ მონაწილეობდნენ მუზეუმის მართვაში. რადგან, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა ეროვნული კადრების სრული უგულვებელყოფის პროცესი და ყველა მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობიდან იდევენებოდნენ ქართული საზოგადოების წარმომადგენლები, როგორც სრულიად უსარგებლონი „უუნარობისა და

4 ბაგრატიონი თ., ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს საქართველოსა, სანკტ-პეტერბურგი, 1848 წ. გვ. 52

5 ბერაია ლ., კალანდია გ., ქარაია ი., დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის გზამკვლევი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემა, თბ., 2009, გვ. 20

6 ჭილაშვილი ლ., მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები (ლექციების კურსი), 1984, გვ. 35

7 იგივე მიზანს ემსახურებოდა რუსეთის იმპერიის მიერ 1887 წელს თბილისში კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის (შემდგომში – მუზეუმი) დაარსება; ასევე, 1899 წელს დაფუძნებული კავკასიის კულტურული კომიტეტის მუზეუმი (ამჟამად – საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი), რომლის მიზნად დასახული იქნა კავკასიაში ხალხური რენვის ნიმუშების შეგროვება, აღდგენა და წარმოებაში დანერგვა (ავტორის შენიშვნა).

საქმეში გამოუცდელიობის გამო“.⁸ განსხვავებული იყო სამუზეუმო საკითხში მათი თვალსაზრისებიც. ქართველები თვლიდნენ, რომ საქართველოში ყველა პირობა არსებობდა სამუზეუმო საქმის სათანადოდ განვითარებისათვის (ამ თვალსაზრისს თავგამოდებით იცავდა რაფიელ ერისთავი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მუზეუმის ეთნოგრაფიული მასალების სისტემატიზაციაში),⁹ ხოლო რუსი ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ მუზეუმი უნდა დახმარებოდა რუს და დასავლეთ ევროპელ მეცნიერებს კავკასიის ხალხთა კულტურის გაცნობაში და ამიტომ, XIX საუკუნის II ნახევრიდან „უხვად უგზავნიდნენ ევროპის მუზეუმებს ქართულ სამუზეუმო ნივთებს“.¹⁰

ქვეყნიდან უნიკალური მასალების მასიური გადინება და ის გარემოება, რომ კავკასიის მუზეუმის დირექცია ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდა ახალი ექსპონატებით ფონდების შევსებას, ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომაც კვლავ მკვეთრად ისმებოდა საკითხი ეროვნული სამუზეუმო ცენტრის დაარსების შესახებ და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც იდგმებოდა. კერძოდ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ 1884 წელს შეიქმნა არქეოლოგიური („საარხეოლოგო“) მუზეუმი, რომელმაც დიდი სამუშაოები განახორციელა სამუზეუმო კოლექციების შეგროვების მიმართულებით, თუმცა, შენობის უქონლობისა და უსასხრობის გამო, ვერ შეძლო საქმიანობის გაგრძელება. ასევე, თბილისის მოსახლეობის მხარდაჭერითა და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა (ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანიას და სხვ.) თაოსნობით, სიონის ტაძართან დაარსდა საეკლესიო მუზეუმი („ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ძმობასთან არსებული საეკლესიო განძთსაცავი“, 1888), რომლის მიზანი იყო საქართველოს ეკლესია-მონასტრებში შემონახული იმ ისტორიული ნივთების საგანგებო განძთსაცავში გადატანა, რომლებიც ყოველდღიურ ხმარებაში აღარ გამოიყენებოდა.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1907 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სამუზეუმო კომისიის (ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, კალისტრატე ცინცაძე და სხვ.) შექმნა, რომელმაც მიზნად დაისახა „ქართული მუზეუმის“ დაარსება, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო მისთვის სათანადო ფართის გამოძახვა, რაც ძალზე ართულებდა სამუზეუმო მასალების მოძიება-დაცვისა და კვლევის საკითხს. თუმცა, მიუხედავად შენობისა და ფინანსური რესურსების უქონლობისა, მუზეუმმა დიდძალი მასალა შეაგროვა (მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირთა ნივთიერ და ფულად შემონიარულობათა ხარჯზე) და 1917 წლისათვის „მის კოლექციაში იყო 2432 არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი, 1427 ხელნაწერი, 550 ნაქსოვი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ტილო, აგრეთვე 73 ფრესკის ასლი, 38893 მონეტა“¹¹ და ა. შ. (ამჟამად ეს მასალები დაცულია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).

8 Акты собранные Кавказской археографической комиссией, т. VIII, Тифлис, 1881, გვ. 5

9 ქარაია ი., მუზეუმის გიდეების სახელმძღვანელო, თბ., 2015, გვ. 22

10 Читая Г., Этнографические исследования Грузинской ССР, „Советская этнография“, 1948, 4, გვ. 175

11 ჭილაშვილი ლ., მუზეუმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები (ლექციების კურსი), 1984, გვ. 55

ქართული მუზეუმის შექმნის იდეა მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში განხორციელდა, როცა 1918 წლის 1 აგვისტოს ქვეყნის მთავრობამ მიიღო დეკრეტი კავკასიის მუზეუმის გაუქმებისა და მის ბაზაზე საქართველოს მუზეუმის დაარსების შესახებ. დეკრეტით დამტკიცებული დებულების თანახმად, საქართველოს მუზეუმის მიზანსა და ამოცანებს შეადგენდა საქართველოს მეცნიერულად შესწავლის ხელშეწყობა, რისთვისაც მუზეუმს „თავი უნდა მოეყარა, მოენესრიგებინა, შეენახა და მეცნიერულად დაემუშავებინა ყველა მასალა და კოლექცია, რომლებიც შეეხებოდნენ საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ფიზიკურ ბუნებას, ეთნოგრაფიასა და ისტორია-არქეოლოგიას“.¹² ცხადია, ამ მიზნების მიღწევა მუზეუმის მესვეურთა დიდ ძალისხმევას საჭიროებდა, ვინაიდან, პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციებისა და გართულებული საგარეო პოლიტიკის შედეგად, ქვეყანა ეკონომიკურად გაჩანაგებული იყო და მუზეუმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხები არ გააჩნდა, დაუმთავრებელი იყო მუზეუმის ახალი შენობაც.¹³ შესაბამისად, დახურული იყო გამოფენები და აღარც სპეცთანხები იკრიბებოდა, იშვიათად ტარდებოდა ექსპედიციები, მაგრამ „ახალი ვითარება საიმედო ნიადაგს ქმნიდა მუზეუმის ფუნქციონირების განახლებისათვის“,¹⁴ რაც, პირველ რიგში, მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობაში ახალჩამოყალიბებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა (ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. მაკალათია, შ. ამირანაშვილი და სხვ.) ჩართვით გამოიხატა. მათი დიდი შემართების შედეგად, მუზეუმში, რომელიც იმხანად შედგებოდა ხუთი განყოფილებისა (გეოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ისტორია-არქეოლოგიის) და ბიბლიოთეკისაგან, სამეცნიერო მუშაობა არ შეწყვეტილა და სამუზეუმო საქმიანობაც უფრო მიზანმიმართულად წარიმართა.

ეროვნულ ხელისუფლებას კარგად ესმოდა ქვეყანაში სამუზეუმო საქმის განვითარების მნიშვნელობა და მიუხედავად მძიმე კრიზისისა, ცდილობდა შეძლები-სდაგვარად დახმარებოდა საქართველოს მუზეუმს, რომელიც სახალხო განათლების სამინისტროს სისტემაში შედიოდა. კერძოდ, 1919 წლის 19 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს დეკრეტი საქართველოს მუზეუმის შენობის დასამთავრებლად მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფის შესახებ, 1919-1920 წლებში განათლების სამინისტრომ მუზეუმს „ნივთების შესაძენად გადასცა 104.800 მანეთი, ხოლო 1920 წლის დასაწყისიდან სამეცნიერო, საგამომცემლო და საოჯახო ხარჯებისათვის“ ყოველთვიურად გამოიყოფოდა 3333, 3750 და 1250 მანეთი.¹⁵ ამ თანხებით მოხერხდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპედიციების მოწყობა ახალი მასალების მოპოვებისა და შესწავლის მიზნით.

12 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ., 1990 გვ. 107

13 კავკასიის მუზეუმი 1910 წელს დაიხურა შენობის ავარიულობის გამო. მუზეუმის ახალი შენობის (ნ. სევეროვის პროექტი) მშენებლობა რამდენჯერმე შეჩერდა ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამო და საბოლოოდ დასრულდა საბჭოთა მთავრობის მმართველობის პერიოდში, 1928 წელს (ავტორის შენიშვნა).

14 ჩხაიძე გ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932), თბ. 2003, გვ. 227

15 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივი, 1919, 148/136, ფ. 79

1919 წელს დაისვა საკითხი ქვეყანაში გაბნეული სამუზეუმო ნივთების საქართველოს მუზეუმში თავმოყრის შესახებ და 1920 წლის აპრილში დაარსდა ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის საგნების შესყიდვის ფონდი, რომლის კომისიის წევრთა (ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი და სხვ.) ინიციატივით, განათლების სამინისტროდან და სახელმწიფო ხაზინიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხები გამოიყოფოდა კოლექციონერებისა და მოსახლეობისაგან ნუმიზმატიკური მასალის, ხელოვნების, საომარი აღჭურვილობის, საიუველირო ნაწარმისა და სამოსელის ნიმუშების, უნიკალური ხელნაწერებისა და სხვა მასალების შესაძენად. მაგალითად, 1920 წელს მუზეუმმა შეიძინა კოლექციონერ ა. ტეროგანეზოვის კუთვნილი ნუმიზმატიკური მასალა (არშაკიდების, სასანიდების, ქართული, რომაული, ბერძნული და სხვა 700-მდე მონეტა), „გ. ბაგრატიონის, მ. ვაჩნაძის, გ. შერვაშიძის, ყაფლან ორბელიანისა და მარიამ ერისთავის ოჯახებიდან ისტორიული სამკაული, იარაღი, ტანსაცმელი, ხალიჩები და სხვა ნივთები“.¹⁶

ისტორიული ნივთებისა და ხელოვნების ნიმუშების მუზეუმში თავმოყრის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 28 მაისის დეკრეტს: „საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვის შესახებ“,¹⁷ რომლის თანახმად, საზღვარგარეთ გატანას არ ექვემდებარებოდა:

1. ყოველგვარი მიწაში და სასაფლაოებში ნაპოვნი ნივთები ლითონისა, ძვლისა, თიხისა, მინისა და ხისა;
2. ყოველგვარი საეკლესიო ნივთი და სამკაული, ხატი, ჯვარი, ჭურჭელი, შესამოსელი, ქსოვილები, ნაკერ-ნაქარგი ნივთები, ხელნაწერი და ძველი ნაბეჭდი ნიგნები, სიგელ-გუჯარნი, ქანდაკებანი და ჩუქურთმიანი ქვები;
3. ყოველგვარი ძველი იარაღი, საომარი და საოჯახო;
4. ყოველგვარი ძველი სამკაული დედაკაცისა და მამაკაცისა;
5. ძველი ფულები, მედლები, ჟეტონები;
6. სურათები, ნახატები და მხატვრული ნაწარმოებები.“¹⁸

დემოკრატიული მთავრობის მიერ გატარებული ამ და სხვა ღონიძიებების, ასევე საზოგადოების შემოწირულობათა შედეგად, საქართველოს მუზეუმი ნელ-ნელა იქცა ქართული მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სამუზეუმო მნიშვნელობის ნივთების შენახვის, დაცვისა და სამეცნიერო კვლევის ცენტრად, რომელიც ურთიერთობებს ამყარებდა ევროპის სხვადასხვა ქალაქების (პარიზის, ლონდონის, ბერლინისა და რომის) მუზეუმებთან.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის 1920 წლის 30 მარტის დეკრეტი სამხედრო-ისტორიული მუზეუმის ბაზაზე¹⁹

16 ჩხაიძე გ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932), თბ. 2003, გვ. 230

17 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990, გვ. 396

18 იქვე, გვ. 397

19 სამხედრო-ისტორიული მუზეუმი – დიდების ტაძარი (არქიტექტორი: ა. ზალცმანი), თბილისში 1888 წელს გაიხსნა რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით, რუსეთის არმიის წარმატებების უკვდავყოფისა და მისი ძღვევამოსილების დემონსტრირების მიზნით. მუზეუმის ექსპოზიციონარული სხვადასხვა სახის სამხედრო აღჭურვილობის გარდა, დიდი ადგილი ეკავა პორტრეტებს, ბატალური სცენების ამსახველ ფერწერულ ტილოებს, სამხედრო პირთა ფოტოგამოსახულებებს. პირველი მსოფლიო ომის დროს მოხდა დიდების

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების შესახებ, რომლის ხელმძღვანელად დიმიტრი შევარდნაძე²⁰ დაინიშნა. მოკრძალებული ბიუჯეტის ფონზე გალერეის მუშაობის მასშტაბი ძალზე დიდი იყო და მისი საგამოფენო პოლიტიკაც იმთავითვე გამოიკვეთა: ქართული და არაქართული, ძველი და ახალი პერიოდის სახვითი ხელოვნების ნიმუშების შეგროვება და გამოფენა, ანუ „ყოველივე იმისა, რაც ფასეული შექმნილა ან მოხვედრილა საქართველოს ტერიტორიაზე“.²¹

ეროვნული გალერეის პირველი ექსპოზიცია 1920 წლის ოქტომბერში გაიხსნა. ექსპოზიციის მოწყობას წინ უძღოდა მიზანდასახული შრომა და მთელი საქართველოს მასშტაბით ხელოვნების ნიმუშების შეგროვება. დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობამ რამდენჯერმე გამოყო ნამუშევრების შესაძენი თანხა, ხშირი იყო კერძო პირთა შემოწირულობებიც, რის შედეგადაც 1920-იანი წლებისათვის გალერეა უკვე ფლობდა რაოდენობრივად და ხარისხობრივად საკმაოდ მნიშვნელოვან ფონდსაცავს. მათ შორის მრავლად იყო ჰოლანდიური, ფრანგული და იტალიური მხატვრული სკოლების, აღმოსავლური ხელოვნების (ირანული, ჩინური, ინდური) ნიმუშები. ძველი ქართული ხელოვნების კოლექციასთან ერთად, ფონდსაცავში მალე გაჩნდა ახლად ჩამოყალიბებული ქართული მხატვრული სკოლის მნიშვნელოვანი ნიმუშებიც: თვით დ. შევარდნაძის მიერ მოპოვებული ფიროსმანის ნამუშევრების კოლექცია, ალ. ბერიძის, გ. გაბაშვილის, ალ. მრეველიშვილის და იმ სხვა მხატვართა ნამუშევრები, რომელთაც აკადემიური განათლება მიიღეს დასავლეთ ევროპისა და რუსეთის სამხატვრო სასწავლებლებში. გალერეის ცენტრალურ ნაწილში განთავსდა ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი (5000 წიგნი, ძირითადად იშვიათი უცხოური გამოცემები), რომელიც თბილისში პირველ სახელოვნებო ბიბლიოთეკას წარმოადგენდა. ფაქტობრივად, ეროვნულმა გალერეამ, რომლის ძირითად დანიშნულებას თანადროული სახვითი ხელოვნების წარმოჩენა წარმოადგენდა, სახვითი ხელოვნების მუზეუმის ფუნქციაც შეითავსა, რითაც თბილისში კიდევ ერთ მძლავრ სამუზეუმო დაწესებულებას – საქართველოს ხელოვნების მუზეუმს ჩაეყარა საფუძველი.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გასაქანი მიეცა ახალი მუზეუმების დაფუძნებასაც. 1919 წლის 3 იანვარს დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სამეფო გვარეულობის ქონების კონფისკაციის“ შესახებ, რომლის თანახმად, „საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მდებარე ყველა ადგილ-მამული, რომელიც ეკუთვნოდა სამეფო გვარეულობის წევრთ, როგორც დაბა-ქალაქებში, აგრეთვე მათ გარეშე, გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონებად“.²² ბუნებრივია, ამ კანონის მიღებისა და დადი-

ტაძრის ექსპოზიციის ევაკუაცია და მუზეუმამაც არსებობა შეწყვიტა (ავტორის შენიშვნა).

20 დიმიტრი შევარდნაძე (1885-1937), მხატვარი და საზოგადო მოღვაწე, სწავლობდა ციურხისში, მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში. 1916 წელს მისი თაოსნობით დაარსდა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“, აქტიურად მონაწილეობდა საისტორიო და გეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობაში, დიდია მისი დამსახურება მუზეუმის კოლექციების დაკომპლექტების სფეროში, ფიროსმანის ნამუშევრების სამუზეუმო კოლექციის კუთვნილებად ქცევაში, აგრეთვე ქართული ისტორიული ძეგლების შესწავლასა და დაცვაში. დ. შევარდნაძე 1937 წლის საბჭოთა რეპრესიებს შეეწირა, როცა სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად (მ. ჯავახიშვილი, ს. ახმეტელი), წინ აღუდგა თბილისში მეტეხის ტაძრის დანგრევას.

21 http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=54

22 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990, გვ. 201

ანების უკანასკნელი მემკვიდრის ნიკო დადიანის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ (1917), სახალხო კუთვნილებად გამოცხადდა დადიანების ყოფილი სასახლეებიც, სადაც მუზეუმის შექმნა გადაწყდა. მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას რწმუნებით, ექვთიმე თაყაიშვილსა და დამფუძნებელი კრების წევრს გიორგი ფალავას დაევალებათ „დაათვალიერონ ქ. ზუგდიდში მინგრელსკის ყოფილი სასახლის ქონება. ამასთანავე მათ უფლება ეძლევათ, გადმოიტანონ თბილისში ის ნივთები, რომლებსაც საჭიროდ დაინახავდნენ არქეოლოგიური ან სხვა რაიმე მიზნებით“.²³ 1919 წელს „სამეგრელოს თავადის განძეულობის აღმწერმა კომისიამ“ დადიანების მოურავის ვლადიმერ ალშიბაიას მიერ მითითებული სამალავიდან მთავართა განძეულობის ნაწილი (ოქროსა და ვეცხლის ხატები და სხვა ნივთები, ჭურჭელი, სურათები, ხალიჩები და სხვა) ამოიღო და საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმის საცავში გადაიტანა. მოგვიანებით, 1920 წელს მუზეუმის პირველმა დირექტორმა აკაკი ჭანტურია²⁴ დიდი სამუშაოები გასწია გაფანტული კოლექციების შეგროვებისა და სისტემატიზაციის მიმართულებით, რადგან სამეგრელოს მთავართა სასახლეებში (ზუგდიდი, ჭკადუაში, სალხინო) დაცული და გლეხების მიერ დატაცებული ეროვნული საგანძურის მუზეუმში განთავსებას და ექსპონირებას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა. თუმცა, „ზუგდიდში მუზეუმის გახსნის პატივი, ბედიის ირონიით, ბოლშევიკებს ერგოთ,²⁵ როცა 1921 წლის 1 მაისს აქ გაიხსნა მუზეუმი, რომელსაც თავდაპირველად „სამეგრელოს მუზეუმი“, ხოლო შემდეგში – ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი ეწოდა (ამჟამად – დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი).

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ასევე დიდად უწყობდა ხელს ჯერ კიდევ 1881 წელს წამოჭრილი დასავლეთ საქართველოს საისტორიო მუზეუმის ქუთაისში დაარსების იდეის განხორციელებას. მუზეუმში უნდა განთავსებულიყო 1912 წელს დაფუძნებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის ფილიალის სამუზეუმო განყოფილების მიერ შეგროვებული და მოსახლეობის მიერ შემონირულ სიძველეთა საკმაოდ მდიდარი კოლექცია, გელათის მონასტერში დაცული სინმინდეები, უნიკალური ხატები და ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც ტრიფონ ჯავფარიძისა²⁶ და საზოგადოების გამგეობის სხვა წევრთა მეოხებით, იმ პერიოდის განუკითხაობის წლებს გადაურჩა. გარდა ამისა, სამუზეუმო

23 იქვე, გვ. 244

24 აკაკი ჭანტურია (1881-1941), ქართველი მეცნიერი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ზუგდიდის მუზეუმის დამაარსებელი და პირველი დირექტორი. სხვადასხვა დროს სწავლობდა დიდი ბრიტანეთისა და აშშ უნივერსიტეტებში, სადაც გეოლოგიური მეცნიერების პარალელურად, ეუფლებოდა ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ხელოვნებისა და სამუზეუმო საქმის საფუძვლებს, მონაწილეობდა ბრიტანეთის მუზეუმის (British Museum) სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მას საქართველოს მთავრობის მეთაურმა ნ. ჟორდანიამ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შესთავაზა, მაგრამ ა. ჭანტურიას მიზანს მხოლოდ ზუგდიდში, დადიანების ყოფილ სასახლეებში მუზეუმის გახსნის უფლების მოპოვება წარმოადგენდა, რაც, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, წარმატებით განხორციელდა.

25 კალანდია გ., გაძარცვული საგანძური, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2006, გვ. 39

26 ტრიფონ ჯავფარიძე (1876-1937), ქუთაისის საისტორიო საზოგადოებისა და სახელმწიფო საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის დამაარსებელი და პირველი დირექტორი (1922-1930), სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის რწმუნებული დასავლეთ საქართველოში (1921-1930), ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგი. იგი ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდისა და ანტისაბჭოთა ორგანიზებული ქმედების ბრალდებით წარმოებულ 1937 წლის საბჭოთა რეპრესიებს შეენირა.

ნივთების შეგროვების მიზნით, წლების მანძილზე საზოგადოების გამგეობამ არაერთი ექსპედიცია მოაწყო (სამეგრელო, სვანეთი, იმერეთი), რის შედეგადაც მუზეუმის კოლექციაში თავი მოიყარა დიდძალმა მასალამ: მრავალრიცხოვანმა არქეოლოგიურმა, ეთნოგრაფიულმა, ნუმიზმატიკურმა ნივთებმა, ძველმა ხელნაწერმა წიგნებმა, ქედური ხელოვნების ძეგლებმა და ა.შ. ასე რომ, როცა 1922 წლის დეკემბერში, საქართველოს განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით, ქუთაისში დაარსდა საისტორიო მუზეუმი (ამჟამად, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი), მასში განთავსდა უნიკალური კოლექცია, რომელიც საკმაოდ გამდიდრდა ქვეყნის პირველი დემოკრატიული მთავრობის ძალისხმევით, თუმცა მას მუზეუმის დაარსების საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა.

ზემოაღნიშნული ფაქტები და მასალები ნათლად ცხადყოფს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) არსებობის პერიოდში მიმდინარე კულტურულ პროცესებსა და დემოკრატიული მთავრობის როლს ქვეყნის პირველი მუზეუმების შექმნაში, ავლენს მათი ჩამოყალიბების წინაპირობებსა და გარემოებებს, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ეროვნული სამუზეუმო ინსტიტუციების ფორმირება და შემდგომი განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ჭილაშვილი ლ. მუზეუმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები (ლექციების კურსი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984
- ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭალაძის თარგმანი და გამოცემა, თბ., 1961
- ქარაია ი., მუზეუმის გიდეების სახელმძღვანელო. აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცენ. ISBN 978-9941-0-8369-3, გამომცემლობა „დამანი“, თბ., 2015
- ბაგრატიონი თ., ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს საქართველოსა, სანკტ-პეტერბურგი, 1848
- ბერაია ლ., კალანდია გ., ქარაია ი. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის გზამკვლევი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემა, თბ., 2009
- კალანდია გ., გაძარცვული საგანძური, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2006
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ., 1990
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივი, 1920, 149/137, ფ. 116, 79
- ჩხაიძე გ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და გ. ჩიტაიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამოცემა, თბ., 2003
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 21 აგვისტო, #188
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი: http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=54

Акты собранные Кавказской археографической комиссией, т. VIII, Тифлис, 1881, гл. 5
Читая Г., Этнографические исследования Грузинской ССР, „Советская этнография“, 1948, гл. 4

Inga (Klara) Karaia
PhD in Humanities, Professor
Caucasus University

DEVELOPMENT OF MUSEUM FIELD DURING THE PERIOD OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (1918-1921)

Summary

The paper reviews development issues of museum culture during the years of the first Democratic Republic of Georgia (1918-1921), it analyzes prerequisites and circumstances of the establishment of the first museums of the country, the contribution of the democratic government to the creation of a number of museums in Georgia and to their future development.

The idea of creating Georgian museum in Tbilisi was born as early at the beginning of 19th century by representatives of the Georgian royal aristocracy and intellectuals who were educated in Europe but because of the historic circumstances, this intention was not fulfilled and was delayed for a long time. The first museum institution– the museum of the Caucasian Department of the Russian Imperial Geographic Society (since 1865 named as The Caucasus Museum), established in 1852 was managed by scientists from Russia, who considered that museum had to help Russian and Western European scientists to get acquainted with the culture of the Caucasus peoples and to enrich museum collections with exhibits. Such attitude caused dissatisfaction among the Georgian intellectuals. That was why the issue of establishment of the National Museum Center had been periodically provided and was realized only in the years of the first Democratic Republic of Georgia (1918-1921) when in 1919 under the decision of the independent Georgian government the Museum of Georgia/Central museum of history and nature (currently Simon Janashia Museum of Georgia) was founded.

With the support of the first Democratic Government of the country many new museums were founded in Georgia. Among them was „Museum of Samegrelo“ which was placed in the former palace of the Dadianis, princes of Samegrelo. After the tragic death of Niko Dadiani, last successor of prince Dadianis in 1919, the independent Georgian parliament approved the law on „confiscation of royal property“, the former palace of the Dadianis was announced as a public affiliation and it was decided to establish museum under the leadership of Akaki Chanturia, who had recently returned from Great Britain. Under the decree by Noe Zhordania (Chairman of the Government) a special commission (with participation of famous public figures, including Ekvtime

Takaishvili) was established and on May 1, 1921 the museum was opened under the name of „Museum of Samegrelo“ (now the Dadiani Palaces State Historical-Architectural Museum).

In addition, the idea dating back to 1881 about establishment of the History Museum of West Georgia in Kutaisi was also realized. There a rich collection of antiquities collected by the Museum division of Kutaisi Branch of the Historical-ethnographical Society (founded in 1912) was preserved and the collection was enriched with holy things from Gelati Monastery: unique icons, manuscripts and historical documents. At the decision of the Democratic government (1888) on the basis of the Temple of Glory (i.e. the Russian Military-Historical Museum) the National gallery was opened in October 1920 and with great effort of painter Dimitri Shevardnadze there were displayed on the permanent exhibition Georgian portrait paintings (so-called Tbilisi school) of 18th-19th centuries, as well as Russian, West European, Iranian and modern Georgian artworks.

The archival materials obtained and the results of the conducted research show the contribution of the First Democratic Republic of Georgia to the creation and development of the first Georgian museums depicting the history and culture of the country.

სალომე ჭანტურიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.)
შემსწავლელი ცენტრის თანამშრომელი
ოსუ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორანტი

შალვა ქიქოძის ჩანახატები საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ჟურნალებიდან

შალვა ქიქოძის ცხოვრება და მოღვაწეობა ისეთივე ხანმოკლე აღმოჩნდა, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა. მხატვარი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის შემოქმედება სწორედ რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას ემთხვევა და უკავშირდება. ჩვენი კვლევის საგანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ჟურნალებია. კერძოდ კი – მათში შალვა ქიქოძის გრაფიკული ჩანახატები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს შექმნილმა თავისუფალმა გარემომ, პოლიტიკური წნეხისაგან თავისუფლებამ, ადამიანებს სხვადასხვა შესაძლებლობა გაუჩინა და შემოქმედებითი თავისუფლებისკენ უბიძგა. ნლების განმავლობაში აკრძალული, მრავალჯერ დახურული ჟურნალ-გაზეთები თავიდან იწყებენ არსებობას. ამავე დროს, ახალი სტამბები იხსნება. ყოველგვარი ცენზურის გარეშე, ყველაფერი იწერება და იბეჭდება. შალვა ქიქოძე იმ დროს მოღვაწე მხატვრების მსგავსად თანამშრომლობს პერიოდულ გამოცემებთან, ქმნის არაერთ ჩანახატს თუ კარიკატურას, რომელიც ნათლად ასახავს არა მხოლოდ მხატვრის ნიჭსა თუ შემოქმედებით ბუნებას, არამედ თავისუფალი სახელოვნებო სივრცის არსებობასაც კი.

მხატვრის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე არაერთი წერილი თუ მონოგრაფია არსებობს. თუმცა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის ფურცლები ინახავენ მასალებს, ჩანახატებს, რომლებიც მკვლევრებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობია. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მივიჩინეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდული პრესის რამდენიმე უცნობი მასალის საზოგადოებისათვის გაცნობა.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე, არასრული პერიოდი ქვეყნის კულტურის ისტორიის ორგანული ნაწილია. ეს არის პერიოდი, როდესაც ძალიან მოკლე დროის განმავლობაში ქართული კულტურა ახალ საფეხურზე აღმოჩნდა. მსოფლიო კულტურული პროცესების მონაწილე გახდა. ამავე დროს, შეძლო საკუთარი თვითმყოფადი სახე ეჩვენებინა და ღირსეული მონიწივე ადგილი დაემკვიდრებინა თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში.

სამწუხაროდ, საბჭოთა რეჟიმის პირობებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიან არსებობას და, ცხადია, კულტურასაც ტაბუ ჰქონდა დადებუ-

ლი. ფაქტობრივად, იმ ეპოქის იგნორირება ხდებოდა, რომელმაც მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

დამოუკიდებლობის წლებში მოღვაწეობდნენ ქართველ მხატვართა ჯგუფი, რომელიც შეიძლება თამამად მივაკუთვნოთ მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანთა რიცხვს. დიმიტრი შევარდნაძე, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, დავით კაკაბაძე, შალვა ქიქოძე, მიხეილ ჭიაურელი, ძმები ზდანევიჩები – ეს იმ მხატვართა ჯგუფია, რომელსაც, ფაქტობრივად, ქართულ ეროვნულ მხატვრობას ჩაუყარა საფუძველი. მათთან ერთად კი მოღვაწეობდნენ ოსკარ შმერლინგი, ალექსანდრე ზალცმანი და სხვ.

შალვა ქიქოძის ყველაზე აქტიური შემოქმედებითი პერიოდი სწორედ რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უკავშირდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდი სხვაობა არ არის მის მიერ შესრულებულ ადრეულ ჩანახატებსა თუ პარიზულ შარჟებში. შალვა ქიქოძის ბავშვობისდროინდელი ნამუშევრებიც კი (13-14 წლის ასაკში შექმნილი ჩანახატები) ტექნიკური თვალსაზრისით გამართულია. ჩანახატების შექმნისას მხატვარი ყურადღებით აკვირდება ასახვის ობიექტს და მსუბუქი კონტურის ხაზის დამატებით შტრიხებს ავლებს. შალვა ქიქოძის თავისებურება სწორედ მის თანდაყოლილ მხატვრულ ნიჭს გულისხმობს. 13-14 წლის ასაკიდან იგი საკმაოდ ოსტატურია.

შალვა ქიქოძის სახელი 1918-1921 წლების პრესაში არაერთხელ გამოქვეყნდა. იგი აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მიმდინარე კულტურულ ცხოვრებაში. მონაწილეობდა იმ დროს გამართულ გამოფენებში.

მხატვრის შემოქმედებაზე პირველი რეცენზია მხატვარ დავით კაკაბაძის ეკუთვნის, რომელიც 1919 წლის ჟურნალში „შვიდი მნათობი“ გამოქვეყნდა (კაკაბაძე: 1919, გვ.123-126).

დავით კაკაბაძის წერილი 1919 წლის მაისში გამართულ „ქართველ მხატვართა სურათების გამოფენას“ შეეხებოდა, სადაც გამოფენაზე წარმოდგენილ მხატვართა ნამუშევრებს შორის შალვა ქიქოძის ნახატებსაც განიხილავდა: „შალვა ქიქოძე ახალგაზრდა მხატვარია, ამიტომ მისი გამართლება უფრო მომავალშია. ესეც თავის შემოქმედებას ფერადობაზედ ამყარებს. ხაზულობას ჯერ მის ნაწარმოებში ვერ მიუღია გარკვეული სახე. აღსანიშნავია მისი „ქალაქი“ (საკუთრება გ. ქიქოძისა), სადაც ფერადობა კარგად არის შეგნებული. „ავტოპორტრეტის“ ფერადოვნება ვერ არის კარგად შეხამებული ერთმანეთში.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მხატვრობის მეორე რიგს ეკუთვნიან ისინი, რომელთა შემოქმედება ხაზულობაზედაა დამყარებული. ამ რიგს ეკუთვნიან ვლ. გუდიაშვილი და ერეკლე თოიძე“ (კაკაბაძე: 1919, გვ.126).

1928 წელს საქართველოს მხატვართა საზოგადოებამ გამოაქვეყნა შალვა ქიქოძის ნამუშევრების კატალოგი (ქიქოძე: 1928), რომელსაც ბიოგრაფიული ცნობებიც ჰქონდა დართული. ტექსტში მხატვრის დაბადების და სხვადასხვა გამოფენებზე მონაწილეობის თარიღებს შორის არსებობდა ხარვეზები.

სამეცნიერო სფეროში შალვა ქიქოძის შემოქმედებისადმი ინტერესი 1960-იანი წლებიდან გაჩნდა. მის შესახებ დღეს არაერთი ნაშრომი არსებობს, მათ შორის მონოგრაფიული.

1963 წელს ჟურნალში „Литературная Грузия“ რუსულად გამოქვეყნდა ქეთევან ბაგრატიშვილის სტატია „შალვა ქიქოძე“ (Вагратишвили: 1963, №7 ст.75-78). ავტო-

რი მხატვრის ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად მის ავტობიოგრაფიულ აქვეყნებს, რომელთაც მისი წერილები ერთვის (მამისა და დისადმი).

1965 წელს ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ ქეთევან ბაგრატიშვილი კვლავ აქვეყნებს წერილს „შალვა ქიქოძე“ (ბაგრატიშვილი: 1965, №1, გვ.28-30). ამჯერად უფრო ვრცელს. ავტორი მხატვრის ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად, მისი ნამუშევრების ანალიზს გვთავაზობს, აქვეყნებს ფერწერულ ტილოების: „ხევსურეთი“ და „ავტობიოგრაფი“ ფოტოებს, აგრეთვე რამდენიმე გრაფიკულ ჩანახატს ნიკო ფიროსმანის, ალექსანდრე ჟორჟოლიანის, მიხეილ ქორელის, გერონტი ქიქოძისა და ალექსანდრე მრეველიშვილის პორტრეტებით.

1967 წელს ა. სიგუა ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ აქვეყნებს წერილს (სიგუა: 1967, №2, გვ.41), სადაც ნიკო ნიკოლაძის არქივში აღმოჩენილ ჩანახატზეა საუბარი. ფანქრით შესრულებულ ჩანახატზე ნიკო ნიკოლაძე და ხატვის პროცესში თავად შალვა ქიქოძეა გამოხატული. ავტორი მკითხველს რუსუდან ნიკოლაძის ნაამბობს, ნახატის შერულების ისტორიას აცნობს.

1970 წელს ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ ვ. დაუშვილის წერილი „შალვა ქიქოძე“ გამოქვეყნდა. ავტორი შალვა ქიქოძის წერილებთან ერთად, მის რამდენიმე ფერწერულ ნამუშევარს განიხილავს (დაუშვილი: 1970, №8, გვ. 26-32).

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ შალვა ქიქოძის შემოქმედებაზე ყველაზე ვრცელი და მრავლისმომცველი კვლევა ხელოვნებათმცოდნე ირინე აბესაძეს ეკუთვნის, რომელმაც მხატვარს არაერთი წერილი თუ მონოგრაფია მიუძღვნა.

1979 წელს ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ ირინე აბესაძის წერილი „ქართული ფერწერის ექსპრესიონისტული ტენდენციები (1914-1921 წწ.)“ გამოქვეყნდა (აბესაძე: 1979, №3, გვ.22-30), სადაც შალვა ქიქოძის ნამუშევარი „უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად“ არის განხილული.

1990 წელს ირინე აბესაძე აქვეყნებს მონოგრაფიულ ნაშრომს „შალვა ქიქოძე“, რომელშიც მხატვრის დაზუსტებულ ბიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, მისი ფერწერული ნამუშევრებიცაა განხილული (აბესაძე: 1990).

2005 წელს ირინე აბესაძე და შალვა ქიქოძის პირველი მკვლევარი ქეთევან ბაგრატიშვილი აქვეყნებენ მონოგრაფიას „შალვა ქიქოძე – კულტურული მემკვიდრეობა“ (აბესაძე, ბაგრატიშვილი: 2005). ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა მხატვრის გრაფიკული ჩანახატების გაცნობის მიზნით, აქ წარმოდგენილია არა მარტო მხატვრის ბიოგრაფიული ცნობები თუ პირადი წერილები, არამედ მისი გრაფიკული ნამუშევრების სია – დაცული როგორც სახელმწიფო საცავებში, ისე კერძო კოლექციებში.

ხელოვნებათმცოდნე ცისია კილაძე ორ სტატიას უძღვნის შალვა ქიქოძის შემოქმედებას, 2011 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში იგი მხოლოდ მხატვრის ერთ ფერწერულ ნამუშევარს: „უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად“ განიხილავს (კილაძე: 2011). მეორე სტატიაში „დიდი ქალაქის, ურბანული გართობის თემა შალვა ქიქოძის შემოქმედებაში“, მხატვრის პარიზულ ნამუშევრებს მიმოიხილავს (კილაძე: 2013-2014).

2015 წელს ირინე აბესაძისა და მაია ციციშვილის ავტორობით დაიბეჭდა შალვა ქიქოძის 120 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ალბომი: „შალვა ქიქოძე, Salva

Kikodze“ (აბესაძე, ციციშვილი: 2015). ნაშრომში წარმოდგენილია შალვა ქიქოძის ნამუშევრების ფოტოასლები სხვადასხვა მუზეუმიდან და კერძო კოლექციიდან. მხატვრის ფერწერულ ნაწარმოებებზე მაია ციციშვილის ვრცელი წერილია, ირინე აბესაძე კი მის გრაფიკულ მემკვიდრეობაზე საუბრობს. ნაშრომი საინტერესოა როგორც ამ სფეროს მკვლევრებისათვის, ისე მხატვრის შემოქმედებით დაინტერესებული ადამიანებისათვის.

ნამუშევრების განხილვამდე საჭიროდ მიგვაჩნია, მხატვრის ბიოგრაფიული ცნობების განხილვა, რაც დაგვეხმარება მისი შემოქმედებისა და ეპოქის ხასიათის დამატებითი შტრიხების გასაცნობად.

1895 წლის 27 მაისს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში დაიბადა შალვა ქიქოძე. როგორც მხატვრის ბიძაშვილი – გერონტი ქიქოძე იგონებს: „შალვამ ხატვა თითქმის ლაპარაკთან ერთად დაიწყო. ის ფანქრით ხატავდა ყველაფერს, რასაც შეეძლო შთაბეჭდილება მოეხდინა ამ პატრიარქალურ და იდილიურ გარემოში აღზრდილ ბავშვზე... იგი ჯერ კიდევ ორი-სამი წლისა იყო, როდესაც მარჯვენა ხელზე დამბლა დაეცა და იძულებული გახდა მარცხენა ხელით ეხატა (აბესაძე: 1990, გვ. 20)“. 1902 წელს თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში დაიწყო სწავლა. სრული კურსის დასრულების შემდეგ გაემგზავრა მოსკოვში. 1914 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სტიპენდიით მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. პარალელურად, მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სამხატვრო სასწავლებელში ჩასაბარებლად ემზადებოდა. თუმცა, პირველ ცდაზე ვერ მოახერხა და 1916 წელს მიაღწია მიზანს. შალვა ქიქოძე არდადეგების დროს საქართველოში ბრუნდებოდა, ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს, 1916 წელს „ქართველ მხატვართა საზოგადოების“ მიერ მოწყობილ ნაბახტევის ექსპედიციაშიც მიიღო მონაწილეობა.

ჯერ კიდევ საქართველოში, გიმნაზიაში სწავლის დროს დაიწყო კარიკატურებისა და სხვადასხვა შინაარსის ჩანახატების გაკეთება; 13 წლიდან კი – ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობა. ნახატებს ძირითადად chalice-ს ფსევდონიმით აქვეყნებდა. მხატვარი იუმორისტულ ჟურნალებთან „ლახტი“ და „ემმაკის მათრახი“, ასევე სახელოვნებო ჟურნალებთან „თეატრი და ცხოვრება“, „თეატრი და მუსიკა“, „Рампа и жизнь“ (მოსკოვში ცხოვრების დროს) მუშაობდა.

მხატვრის საქართველოში დაბრუნება და აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება 1918 წლიდან იწყება, სწორედ ამ დროს საქართველომ წლების ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა. დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918 წლის ბოლოს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მდივნად ინიშნება. ეს არის დრო, როდესაც ქართული თეატრი პირველ ნაბიჯებს დგამს, პარიზიდან ახლადდაბრუნებული გიორგი ჯაბადარი აარსებს დრამატულ სტუდიას, რომლის მთავარ მხატვრად შალვა ქიქოძე ინიშნება. 1919 წლიდან იწყება სამუზეუმო სივრცის შექმნა და სხვადასხვა სახის გამოფენების ორგანიზება. საშემოდგომო გამოფენაზე შალვა ქიქოძის რამდენიმე ნამუშევარი გამოიფინა, რომლის შემდეგაც მიღწეული წარმატების შედეგად დავით კაკაბაძესა და ლადო გუდიაშვილთან ერთად სახელმწიფოს ხარჯით საფრანგეთში გაემგზავრა სასწავლებლად. თუმცა, სამწუხაროდ, 1921 წელს სამკურნალოდ გერმანიაში მყოფი გარდაიცვალა.

ცხოვრების ხანმოკლე წლების მიუხედავად, მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ათეულობით ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევარს ითვლის. ნახატების უმრავლესობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ზოგი კერძო კოლექციებშია გაბნეული. თუმცა, არსებობს არაერთი ჩანახატი, რომლებიც მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესიდან შემოგვრჩა. 1918-1921 წლების ჟურნალ-გაზეთებიდან შალვა ქიქოძის ხელმოწერილი 58 კარიკატურა მოვიძიეთ. აქედან 29 ჩანახატის შესახებ, ჟურნალების გარდა სხვა ცნობა არ გვაქვს. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩანახატის დედანები დღემდე დაკარგულად ითვლება. ზემოთ აღნიშნული ჟურნალების გარდა, ჯერ კიდევ უცხოეთში გამგზავრებამდე, იგი აქტიურად მუშაობდა, ასრულებდა სხვადასხვა შეკვეთას.

1919 წელს ჟურნალ „ახირებულის“ პირველი და მეორე ნომერი დაასურათა. ჟურნალში სულ 15 კარიკატურაა. აქედან 12 chalico-ს ხელმოწერით, 3 კი ხელმოუწერელია.

1919 წლით თარიღდება ჟურნალი „Искусство“, სადაც შალვა ქიქოძის 5 კარიკატურაა დაბეჭდილი.

1919 წლის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე, მხოლოდ ერთი ჩანახატი გვხვდება: „ნინო ჩხეიძე – ელენე“.

1919 წლის ჟურნალ „ხელოვნებაში“ 2 ჩანახატია ქართული დრამატული სტუდიის დადგმული სუმბათაშვილის პიესიდან „ლალატი“.

1919 წლის ჟურნალ „ემმაკის მათრახის“ № 1, 2, 3 დაასურათა. სულ შექმნა 7 კარიკატურა. აქედან მხოლოდ №1-ის 4 კარიკატურაა ცნობილი (აბესაძე, ბაგრატიშვილი: 2005, გვ. 156). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ჟურნალის ასლი, თუმცა, დედნები დაკარგულად ითვლება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხოლოდ ჟურნალ № 3 გამოქვეყნებულ კარიკატურას „გვარდიის დღე“ ერთვის შ.ქიქოძის ხელმოწერა. დანარჩენ შემთხვევაში ხელმოწერა ყველგან chalico-ს ფსევდონიმითაა დაფიქსირებული.

1920 წელს შალვა ქიქოძე უკვე საფრანგეთში იმყოფება. თუმცა, მას ჟურნალებთან თანამშრომლობა არ შეუწყვეტია.

შალვა ქიქოძე პარიზიდან 1920 წლის 24 აპრილით დათარიღებულ წერილში მამას წერს: „ნესტორი (კალანდაძე) რატომ ჟურნალებს არ მიგზავნის? ჩემი კარიკატურები თუ მიიღო? (აბესაძე, ბაგრატიშვილი: 2005, გვ. 48)“. 1920 წლის 7 დეკემბერს კი დას – ანეტა ქიქოძეს უგზავნის შემდეგი შინაარსის წერილს: „ნესტორ კალანდაძეს გადაეცი, რომ მის სახელზედ სურათები მე ცალკე გამოვაგზავნე და იმანაც სამინისტროში მიაკითხოს (აბესაძე, ბაგრატიშვილი: 2005, გვ. 67). როგორც მისი წერილებიდან ირკვევა, ნესტორ კალანდაძე¹ და გაბო ცისკარიშვილი² საფრანგეთში უგზავნიდნენ საქართველოში გამომავალ პერიოდულ გამოცემებს (აბესაძე, ბაგრატიშვილი: 2005, გვ. 109, 110, 111, 112). მათი გაცნობის შემდეგ კი შალვა ქიქოძე საფრანგეთიდან აგზავნიდა სიტუაციურ ჩანახატებს. ნესტორ კალანდაძის წერილი შალვა ქიქოძეს, პარიზში:

1 ნესტორ კალანდაძე (1874-1942) – მწერალი, პუბლიცისტი, მხატვარ-კარიკატურისტი. ფსევდონიმით „ემმაკი“, ჟურ. „ემმაკის მათრახის“ რედაქტორი.

2 გაბო ცისკარიშვილი – მწერალი, პუბლიცისტი, ჟურ. „ემმაკის მათრახის“ სარედაქციო წევრი.

„ძმაო შალვა, წერილს გინერ
 თბილისიდან პარიზს შენა,
 თქვენმა ტურფა დანახატმა
 მათრახეთი დაამშვენა.
 მაგრამ მაინც ძველებურა
 რომ არ იჯდე პარიზს უქმა,
 გეგზავნება ამ წერილთან
 მსუქანი და კარგი ლუკმა.
 ეს აკაკი ჩხენკელია
 შენგნით მრავალგანანამი,
 და კვლავ მასზე სავარჯიშოდ
 შენ გიდგება, ძმაო, ჟამი.
 გასწიე და გამოსწიე,
 მოიხმარე თუ გსურს გუდი...
 საცა გინდა, გამოაბი
 გინდა რქები, გინდა კუდი.
 მომიკითე ძმურად ყველა
 ჯოჯოხეთის წარმომადგენს,
 ის ბ-ნი კაკაბაძე
 აქ სურათებს რად არ ადგენს?
 თქვენ მანდედან დაგვიწიეთ,
 აქ კი ჩვენზე იყოს რიგი
 თათრულ, სომხურ კომუნისტებს
 აენწებათ კუდის რიკი.
 ან მშვიდობით. გთხოვოვ, მიიღო,
 სალამი და ტრფობა წრფელი.
 სამაგიეროთ თქვენს ნახატებს
 ველი, ველი, ველი, ველი“.

შენი ეშმაკი

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1920 წლის ჟურნალ „ეშმაკის მათრახის“ № 24, რომელიც 2 მაისით თარიღდება საფრანგეთში მივლინებული შალვა ქიქოძე კარიკატურებს პირველად აქვეყნებს. 1920 წლის № 47, 48, 52 ჟურნალებს ემატება რუბრიკა „საგარეო საქმეები“, სადაც უცხოეთში მიმდინარე ამბებს შალვა ქიქოძის ჩანახატები ასურათებს.

1921 წლის ჟურნალ „ეშმაკის მათრახის“ № 57, 58, 59 დასურათებაც მასვე ეკუთვნის. შალვას ჩანახატების გვერდით კი ლადო გუდიაშვილის რამდენიმე ჩანახატი გვხვდება, მათ შორის ლადო გუდიაშვილის დახატული შალვა ქიქოძეც.

ამრიგად, ჟურნალ „ახირებულისა“ და „ეშმაკის მათრახის“ ფურცლები შალვა ქიქოძის რამდენიმე უცნობ კარიკატურას ინახავს. ესენია: ჯერ კიდევ უცხოეთში გამგზავრებამდე „ახირებულისთვის“ რვეული I კარიკატურები: „დანვრილშვილება“, „ინფორმაცია“ (უნამუსობა 2 მოქმედებათ) და „მგლის თავზე სახარება“. ასევე იგივე ჟურნალის რვეული II-ის „ორგვარი ბზობა“, იუმორისტული პოემის „ოთარ-

იანი“ 3 სცენა და „ახირებული ხმის მიცემა“. ყველა კარიკატურა პოლიტიკური ხასიათისაა, რომლებიც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ არსებულ რეალობას ეხმიანებიან.

რაც შეეხება ჟურნალ „ემშაკის მათრახს“ 1919 წლის № 2, ერთი ორ სიუჟეტური უცნობი კარიკატურაა სათაურით: „სურათი, რომელსაც წარწერა არა სჭირია“, ასევე 1919 წლის ჟურნალ № 3 გამოქვეყნებულ კარიკატურა „გვარდიის დღე“, აღსანიშნავია, რომ ჩანახატის სახედ გამოყენებულია 1918 წელს დახატული ნესტორ კალანდაძე – „ემშაკი“. 1920 წლის № 24 „უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა“ და „შალიკო პარიზშია“ წარმოდგენილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1920 წლის № 47, 48, 52 ჟურნალებს ემატება რუბრიკა „საგარეო საქმეები“, სადაც უცხოეთში მიმდინარე მოვლენებია წარმოდგენილი, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უკავშირდება. ჩანახატების მთავარი პერსონაჟი თავად შალვა ქიქოძეა, რომელიც გამოსახულია როგორც ქვეყნის წარმომადგენელი. ის კარლო ჩხეიძესთან³ ერთად, მილიერანთან⁴ და ლოიდ ჯორჯთან⁵ მართავს შეხვედრებს. 1921 წლის ჟურნალ „ემშაკის მათრახის“ № 57, 58, 59 დასურათებას ემატება ლადო გუდიაშვილის ჩანახატები, ასევე ახალი პერსონაჟები: ლადო ახმეტელი⁶, დავით კაკაბაძე და ვასო ყუშიტაშვილი⁷.

ჩანახატების ცალ-ცალკე გარჩევას არ შევუდგებით, ეს ჩვენი კვლევის მიზანი არ არის. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს, ერთი საუკუნის წინანდელ ფურცლებზე არსებული ჩანახატები მხატვრულად შედარებით სუსტად აღსაქმელია. თუმცა, ფასდაუდებელია მათი არსებობა. ტექნიკური თვალსაზრისით, მისი ხაზი ადრეული ასაკიდან საკმაოდ ოსტატურია. თუმცა, მოგვიანებით იცვლება მხატვრის ინტერესის საგანი. შალვა ქიქოძე რუსეთსა და საქართველოში დიდ ყურადღებას პოლიტიკას უთმობს, ხოლო პარიზში მისთვის უჩვეულო გარემოსაც ასახავს.

შალვა ქიქოძის შემოქმედებაში სასურათო სიბრტყის ნამყვანი, მაორგანიზებელი ელემენტი არის ხაზი, მოქნილი, დინამიკური და თან ძალიან ლაკონური. ამავე დროს შვეული და პარალელური ხაზების მონაცვლეობა შუქ-ჩრდილის ქმნის და ფორმების წარმოჩენას ემსახურება. მეტყველია ყველა დეტალი, იქნება ეს სხეულის ცალკეული ნაწილები თუ სახის ნაკვთები. ზომიერება, ექსპრესიულობის ჩვენება და ფსიქოლოგიური მომენტების წინ წამოწევა მხატვრის სახასიათო ნიშნებია. დაკვირვების მანერაზე მეტყველებს ხაზის სისხარტე, ასახვის ობიექტის საინტერესო რაკურსის არჩევა.

შალვა ქიქოძის მიერ შესრულებული ათეულობით გრაფიკული ნამუშევარი მის

3 ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926) – ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და პარლამენტის თავმჯდომარე.

4 მილიერანი ალექსანდრე იეტიენ (1859-1943) – ფრანგი პოლიტიკოსი.

5 დევიდ ლოიდ ჯორჯი (1863-1945) – ბრიტანელი პოლიტიკოსი.

6 ვლადიმერ ახმეტელაშვილი – ლადო ახმეტელი (ფს. შვარცი) (1875-1942) – ჟურნალისტი, ეკონომისტი, პოლიტიკოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში საქართველოს ელჩი გერმანიაში.

7 ვასილ ყუშიტაშვილი (1894-1962) – ქართველი რეჟისორი, მოღვაწეობდა საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. იყო ანტუნანის თეატრის რეჟისორი. შ. დიულონთან ერთად საფუძველი ჩაუყარა პარიზის თეატრს „ატელიე“.

ინდივიდუალურობას წარმოაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ მხატვარი ძალიან ლაკონურად და მხოლოდ კონტურის საშუალებით შემოწერს ფორმას, ზუსტად ასახავს პიროვნების სახასიათო შტრიხებს. სისხარტე, დინამიკურობა და ზომიერება არის ის ნიშნები, რომლებიც სწორედ რომ შალვა ქიქოძის შემოქმედებას უკავშირდება.

დაკვირვების უნარი, სიტუაციის სწრაფად აღქმისა და ლაკონურად გადმოცემის ნიჭი, ცხადია, მხატვრის თანდაყოლილი თვისებაა, თუმცა, ხაზით ამ ყველაფრის ზუსტად გადმოცემა მისი მუშაობის, ასახვის საგნისა და ობიექტისადმი დიდი ხნის დაკვირვების შედეგია. სატირულ კარიკატურებში იუმორიც კი იმდენად ზომიერი და არაგამაღიზიანებელია, რომ მნახველის კეთილგანწყობას იწვევს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შალვა ქიქოძის შემოქმედებას ფართო ასპარეზი გაუშალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფალმა სივრცემ და ეპოქამ, რომელშიც იგი მოღვაწეობდა. არსებულმა პოლიტიკურმა და კულტურულმა გარემომ კი მხატვარს სატირულ-იუმორისტულ ჟანრში თავის წარმოჩენის შესაძლებლობა მისცა. სწორედ ამიტომ, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, შალვა ქიქოძე და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გადაჯაჭვულია ერთმანეთთან, მათი არსებობაც ხანმოკლეა, თუმცა, ერთი მხრივ, საქართველოს რესპუბლიკამ დაგვიტოვა ფასეულობები, რომელზეც დღემდე დგას ქვეყანა, მეორე მხრივ, კი მხატვარმა შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის თვითმყოფადი ნამუშევრები. საბედნიეროდ, საბჭოთა ცენზურას ეს პერიოდული გამოცემები გადაურჩა, და ჩვენამდე მათი მეშვეობით მოაღწია მხატვრის რამდენიმე ჩანახატმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბესაძე ირინე, ციციშვილი მაია, შალვა ქიქოძე, Shalva Kikodze, თბილისი, 2015
- აბესაძე ირინე, ქეთევან ბაგრატიშვილი, შალვა ქიქოძე – კულტურული მემკვიდრეობა, თბილისი, ნეკერი, 2005
- აბესაძე ირინე, შალვა ქიქოძე, თბილისი, ხელოვნება, 1990
- აბესაძე ირინე, ქალის კულტი ქართველ მხატვართა გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებში, ლიტერატურა და ხელოვნება, 2010, №4, გვ. 85-90
- ახირებული, ჟურ., 1919, № 1, 2
- ბაგრატიშვილი ქეთევან, შალვა ქიქოძე, საბჭოთა ხელოვნება, 1965, №1, გვ. 28-32
- ბენდიანიშვილი ალექსანდრე, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი, მემატინე, 2001
- ბერიძე ვახტანგ, კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921), თბილისი, მეცნიერება, 1992
- ემმაკის მათრახი, ჟურ., 1920, № 24, 47, 48; 1921, №57, 58, 59
- თეატრი და ცხოვრება, ჟურ., 1918, № 15
- კილაძე ც., უღროდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად, Academia, 2011, გვ. 52-64
- კილაძე ც., დიდი ქალაქის, ურბანული გართობის თემა შალვა ქიქოძის შემოქმედებაში, Academia, 2013-1014, გვ. 79-95
- ქიქოძე შალვა, სურათების გამოფენა (1928, თბილისი), ტფილისი, 1928
- შვიდი მნათობი, ჟურ., 1919, № 2

ჩიხრაძე მზია, თბილისი 1910-1921 წლებში, ისტორიული მემკვიდრეობა, 2014, № 9, გვ. 33-38
Искусство, ჟურ., 1919, 23 თებერვალი

Salome Tchanturidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Library
Center-Library for the Study of Democratic Republic of Georgia

**THE GRAPHIC WORKS OF SHALVA KIKODZE
(PUBLISHED IN MAGAZINES DURING THE
FIRST DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA)**

Summary

The life of Shalva Kikodze was as short as the existence of the first Democratic Republic of Georgia. He was one of the painters whose art was related to the Republic of Georgia. The subject of our research is the graphic works by Shalva Kikodze published in magazines during 1918-1921.

Free political and social environment in the first Democratic Republic of Georgia allowed people to be creative. In 1918-1919 prohibited newspapers and magazines were republished. Furthermore, printing houses opened. Articles were written and published without any censorship. Shalva Kikodze, like painters of his era, was working for periodical publications. His graphic works and caricatures express the freedom of this period.

Despite short life of Shalva Kikodze, dozens of paintings and graphic works were made by him. The Majority of the arts are exhibited in the National Museum of Georgia. Some of them belong to private collectors. Though many samples of his art were only published in magazines and newspapers.

We have found 58 caricatures in magazines made by Shalva Kikodze in 1918-1921. Original samples of 29 works are lost.

Many essays, articles and letters are written about the work of Shalva Kikodze. Though there are many more samples in magazines still unknown for the wide public and researchers. That's why we have decided to introduce the work we have found in the printed media.

გიორგი მეურმიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის დოქტორანტი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

დარეჯან აბულაძე
კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის მაგისტრი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ეკა მაზიაშვილი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ევგენი ლანსერე-დამოუკიდებელი საქართველოს **კულტურის სათავეებთან**

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობა თავისი მნიშვნელობით უნიკალურია. აქ დაცული არტეფაქტები მუდამ წარმოადგენდა უმთავრეს დოკუმენტურ წყაროს, რომელსაც ეყრდნობა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევა. ზოგადი მნიშვნელობით, მისი ღირებულება განუსაზღვრელია და სავსებით ბუნებრივია, რომ ამ მრავალმხრივ და მრავალპროფილიან ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ნიმუშებს სწავლობდა და იკვლევდა ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების არაერთი თაობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევა-ძიება საუკუნენახევარზე მეტ დროს მოიცავს, ფონდსაცავებში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი ექსპონატები, რომელთაც მკვლევარის ხელი ან საერთოდ არ შეხებია, ან ნაწილობრივ ყოფილა დამუშავებული. სწორედ ამ უკანასკნელის სფეროში თავსდება ჩვენი საკვლევი თემა, რომელიც ეძღვნება ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ეთნოლოგიისა და ახალი ისტორიის დამხმარე ფონში დაცულ ნივთიერ თუ საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ამსახველ მხატვრულ ნამუშევრებს, რომლებიც იქმნებოდნენ, როგორც სავსე სამუშაოების დროს, ასევე კამერალურ პირობებში. მასალის დოკუმენტური გაფორმება მოითხოვდა მაღალ პროფესიონალიზმს და საამისოდ ინვესტდნენ ისეთი მაღალი დონის ოსტატებს, როგორც იყვნენ: ევგენი ლანსერე, იოსებ შარლემანი, მაქს ტილკე, სერგო ქობულაძე, მოსე თოიძე, დავით გველესიანი, შალომ კობოშვილი და სხვა საზოგადოების მიერ დაფასებული და აღიარებული მხატვრები. დროთა განმავლობაში მათი ძალისხმევით დაგროვდა ნამუშევართა მთელი სერია, რომელიც შედგება არქიტექტურული ნახაზების, ფერწერული ტილოების, ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების, ავეჯის, სამეურნეო იარაღის, ოქრომჭედლობის ნიმუშების, სანესო რიტუალური ნაგებობების, იარაღის და სხვა ტიპის ნახატებისაგან. აღსანიშნავია, რომ ამ ნამუშევართა შორის გამოირჩევა ე. ლანსერეს შემოქმედება. მიუხედავად იმისა,

რომ ფონდში დაცულია მისი ნახატების არც ისე დიდი რაოდენობა, მნიშვნელოვანია ამ ნამუშევართა კომპლექსური კვლევა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველი პროფესიონალი მხატვრების: ა. ბერიძის, რ. გველესიანის, რ. ტატიშვილის, გ. გაბაშვილის, დ. გურამიშვილის, მ. თოიძის, ი. ნიკოლაძის, ა. მრევლიშვილის, დ. შევარდნაძის, გ. მესხის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ა. ციმაკურიძის და სხვათა გარდა, თბილისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სხვადასხვა ეროვნების მხატვრები, რომლებსაც განათლება რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ჰქონდათ მიღებული. მათ შორისა იყო ევგენი ევგენის ძე ლანსერე (1875-1946), XX საუკუნის გამოჩენილი რუსი ხელოვანი, ფერმწერი, გრაფიკოსი, მონუმენტალისტი, თეატრალური მხატვარი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხელოვნების განვითარებაში. მისი სწავლების მეთოდებით აღიზარდა ხელოვანთა ის თაობა, რომელთა როლი მნიშვნელოვანი იყო, როგორც ქართული ხელოვნების განვითარებაში, ასევე ზოგადად ქართული კულტურის სფეროში. ლანსერეს შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია 1905-1907 წლების რუსეთის პირველმა რევოლუციამ, რაშიც გამოიკვეთა ცარიზმის უმაგალითო დესპოტიზმი, ყოველივე ამან შემდეგში ნათელი ასახვა ჰპოვა არა მარტო მხატვრის შემოქმედებაში, არამედ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაშიც. მისი განცდები კარგად ჩანს ბიძამისისთვის (ხელოვნების ევროპულ ორიენტაციის პოზიციაზე მდგომ) ალექსანდრე ბენუასადმი მიწერილ წერილში: „სამინლად ვწუხვარ, რომ დღეს აქ არა ხარ, რათა საკუთარი თვალით ნახო ისტორიის ცოცხალი დინება, მე არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი, რომ ამ დროს არ ვიყო რუსეთში, მით უმეტეს პეტერბურგში.“ (კუკულაძე: 1979: 7). სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის მის მიერ დასურათებული ჟურნალების „ჟუპელი“ და „ადსკაია პორტასთვის“ შექმნილი ნახატები, რომლებშიც გამოსჭვივის პოლიტიკური სატირა იმპერიალისტური რუსეთის მოხელეებზე. აღნიშნული ნამუშევრები, სპეციალისტთა აზრით, არ ჩამოუვარდება ცნობილი ფრანგი მხატვრის ონორე დომიეს კარიკატურებს. 1905-1907 წლების რევოლუციის გავლენით ე. ლანსერემ შექმნა ლ. ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის“ წიგნის ილუსტრაციები, ნახატების სიუჟეტებში იგრძნობა ნაწარმოებში ასახული მებრძოლი სული, რასაც გადმოსცემდა ავტორი. საქართველოსაც მხატვარი პირველად სწორედ 1917 წელს „ჰაჯი-მურატის“ ილუსტრაციებზე მუშაობის დროს ესტუმრა. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს შესახებ, მას უკვე ჰქონდა ცნობები, რადგან აქ მოღვაწეობდნენ, როგორც მისი დედ-მამა, ასევე პაპა დედის ხაზით და ბიძა დედის მხრიდან, სახელგანთქმული ფერმწერი, თეატრალური მხატვარი, ხელოვნების ისტორიკოსი და თეორეტიკოსი ალექსანდრე ბენუა. ლანსერე გაეცნო დალესტნის თვალწარმტაც ადგილებს, სადაც მიმდინარეობდა მოქმედება ნაწარმოებში. 1918 წ. ე. ლანსერე დალესტანში დაუახლოვდა ახალგაზრდა მხატვარ ხალილ მუსაევს. რომელზედაც დიდი გავლენა იქონია ლანსერესთან ურთიერთობამ და მხატვარს თბილისში გამოჰყვა. დალესტანში ცხოვრების პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ე. ლანსერე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციური თემებისადმი მიძღვნილ ილუსტრაციების შესრულებაში, რომელიც გამოდიოდა და იბეჭდებოდა არალეგალურ პრესაში. გიორგი ჩუბინაშვილისა და ექვთიმე თაყაიშ-

ვილის მონვევით თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, ე. ლანსერემ დაიწყო მუშაობა მხატვრად თბილისის სახელმწიფო მუზეუმში და ფერწერის მასწავლებლად მიწვეულ იქნა სკლიფასოვსკის გალერეაში.

1918 წლის 26 აგვისტოს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ხელოვნების კომისიაზე გამოაცხადა კონკურსი სახელმწიფო გერბის შექმნის შესახებ, აღნიშნულ კონკურსში გაიმარჯვა იოსებ შარლემანის პროექტმა, რომელშიც მონაწილეობდა ე. ლანსერეც. მან, პროფესორ ი. შარლემანთან ერთად, შექმნა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო გერბის ესკიზები.

საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, ევგენი ლანსერე 15 წლის განმავლობაში ეწეოდა უაღრესად პროდუქტიულ მოღვაწეობას და გახდა არა მხოლოდ ხელოვანთა აქტიური წევრი, არამედ ზოგადად ქართული კულტურის მოღვაწეც. ე. ლანსერეს ხელმძღვანელობით დაიხატა თბილისის რკინიგზის სადგურის ორი პანო: „აღამიანი იმორჩილებს ბუნებას“ და „მუშა სამყაროს მფლობელი“, რომელთაც დღემდე არ მოუღწევით. ასევე მისი რჩევით ლენინგრადიდან მოიწვიეს გამოჩენილი მოქანდაკე ი. შადრი და მისი ახლო ნათესავი, კომპოზიტორი ალექსანდრე ჩერეპინი.

მეფის რუსეთის და მენშევიკური ხელისუფლების პირობებში ქართული ხელოვნების განვითარება და ახალგაზრდა კადრების აღზრდა, დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საქართველოში მოღვაწე ხელოვანთაგან მხოლოდ ერთეულები, ისიც საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლები თუ იგზავნებოდნენ პეტერბურგსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განათლების მისაღებად. ამიტომ ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის აუცილებელი პირობა იყო უმაღლესი სამხატვრო დაწესებულების შექმნა. ე. ლანსერე, გიგო გაბაშვილთან, იაკობ ნიკოლაძესთან, მოსე თოიძესთან, ელიშე თათევისთან და იოსებ შარლემანთან ერთად ითვლება თბილისის სამხატვრო აკადემიის დამაარსებლად. 1922 წელს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა სრული შემადგენლობა. ხელოვნების ისტორიის პროფესორად არჩეულ იქნა გიორგი ჩუბინაშვილი, ხატვის – ე. ლანსერე, ქანდაკების – ი. ნიკოლაძე, ხუროთმოძღვრების – ა. კალგინი, ფერწერის – გ. გაბაშვილი. 1922 წლის აპრილშივე პროფესორთა საბჭო შეუდგა მუშაობას, ხოლო იმავე წლის 14 მაისს, საბჭოს საზეიმო სხდომაზე აკადემიის პირველი რექტორის, პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილის შესავალი სიტყვით ოფიციალურად გაიხსნა საქართველოს სამხატვრო აკადემია – პირველი უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში. დიდია ე. ლანსერეს ღვაწლი ქართველ ფერმწერთა აღზრდაში. მის მოსწავლეთა შორის იყვნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვრები: აპოლონ ქუთათელაძე, უჩა ჯაფარიძე, დიმიტრი ნალბანდიანი, სოლომონ ვირსალაძე; საქართველოს სსრ სახალხო მხატვრები და რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: კორნელი სანაძე, სერგო ქობულაძე, სამსონ ნადარეიშვილი, იოსებ გაბაშვილი, სევერიან მაისაშვილი, შალვა, ლეო და იორამ მამალაძეები, პეტრე ოცხელი, ფელიქს ვარლამიშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, რევაზ მირზაშვილი, შალვა მაცაშვილი, ნიკოლოზ ყაზბეგი, დარეჯან ძნელაძე, შალვა აბრამიშვილი, კოტე გრძელიშვილი, დავით წერეთლი, ირინე შტემბერგი, ლადო ქიქოძე, კოტე ჭანკვეტაძე, არჩილ ჟორდანი, ირაკლი მდივანი, კარლო კუკულაძე და სხვ. მისი ხელოვნების აკადემიაში

პედაგოგად მიწვევა დიდ გავლენას ახდენდა ახალგაზრდა ქართველ ხელოვანთა შემოქმედებით ხედვასა და მიღწევებზე. მისი როგორც პიროვნების როლი საკმაოდ დიდი იყო, რადგან წარმოადგენდა ფრიად მაღალი კულტურული ღირებულებების მქონე ადამიანს. ე. ლანსერე თავის მოწაფეებს ასწავლიდა არა მხოლოდ ხატვის ტექნიკას, არამედ თუ როგორი უნდა ყოფილიყო საღებავის სტრუქტურა, მოსახატი გრუნტი, რა იყო გასათვალისწინებელი ხატვის პროცესის დროს. მისი მოსაზრებით მხატვარს უნდა სცოდნოდა ქიმიაც და ფიზიკაც, რათა ნახატი უფრო თვალსაჩინო და გამძლე ყოფილიყო. პროფესორს უკვე მეორე კურსიდან გაჰყავდა სტუდენტები ველზე სამუშაოდ, ბუნებაში აძლევდა ფერთა გამის აღქმის საშუალებას. ე. ლანსერეს მოწაფის კ. კუკულაძის თქმით: „მასსოვს ჩვენ მესამე კურსელები მაისის თბილ დღეებში გავემგზავრეთ ქვანახშირის საბადოებზე ტყიბულში, სადაც ბევრი საინტერესო ეტიუდი და ჩანახატი შევქმენით. არანაკლებ საინტერესო იყო ჩვენი ყოფა მოძმე სომხეთის სპილენძის უმდიდრეს საბადოებში. ქ. ალავერდში, სადაც თვალწინ გადაგვეშალა მ. სარიანისეული მზიური პეიზაჟი, ოქროს შემოდგომის წარმტაცი სურათებით. ავარჯარებული ლუმელები, ხელებდაკოჭრილი მუშა-ოსტატებით. თვალსაჩინო მასალას იძლეოდა ინდუსტრიული პეიზაჟის შესაქმნელად. შრომის ამ სიმფონიაში, მის რომანტიკულ ატმოსფეროში, თვით ევგენი ლანსერეც ახალგაზრდული შემართებით ხატავდა ჩვენთან ერთად. ნაშუადღევს მუშათა სასადილოში სადილობისას, თვითონ, ხან ერთ, ხან მეორე მზისაგან და ცეცხლისაგან გარუჯულ მუშას მიუჯდებოდა და გატაცებით ხატავდა მათ პორტრეტებს“ (კუკულაძე: 1979: 16). ლანსერე მოსწავლეების პრაქტიკულ აღზრდას ამჯობინებდა, რადგან, მისი აზრით, ფერწერის თეორიის სწავლება პედაგოგის მოვალეობა იყო, ხოლო მხატვრის თავდაჯერებულობისა და ტექნიკის დასახვეწად ბუნებაში მუშაობას მიიჩნევდა ყველაზე ძლიერ მასწავლებლად. არ ზღუდავდა სტუდენტების შემოქმედებით ფანტაზიას, მათ ჩანაფიქრს კი არ უწუნებდა, არამედ რჩევას აძლევდა, რადგან მასწავლებლის დოგმატური მსჯელობის კედელში არ მოექცია მათი პროტენციალი. სწორედ მსგავსი მიდგომებისა და სტუდენტების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების შედეგად შეარქვეს „სტუდენტების მეგობარი“.

ე. ლანსერე ძირითადად მუშაობდა ტემპერითა და სილიკატური საღებავებით. მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, იგი სრულყოფილად ფლობდა სხვადასხვა მასალის გამოყენების ტექნოლოგიურ და ტექნიკურ საშუალებებს: ფრესკულს, ენკაუსტიკურს, „ფრესკო ა სეკოს“, სილიკატურს, საგრაფიტოს და მის მიერ საუკეთესოდ მიჩნეულ ემულსიურს. ე. წ. ახალ ტემპერას. ამიტომ მისი კლასში მუშაობაც განსხვავდებოდა სხვა სამხატვრო პედაგოგების მიდგომებისგან. სტუდენტთა ტექნიკური ვირტუოზობის გამომუშავების დაოსტატების მისაღწევად ხშირად მიმართავდა ხატვას ნატურიდან (პორტრეტი, ნატურმორტი, ეტიუდი) „ერთ სეანსში“. რაც გულისხმობდა სწრაფ ხატვას, რადგან ნატურას სწრაფად აცვლევინებდა პოზას. მსგავსი მუშაობის სტილი სტუდენტთა შორის მოწყობილ შეჯიბრს წააგავდა, ამიტომაც თითოეული მათგანი მუყაითობას იჩენდა. ამით იგი აწრთობდა მოწაფეთა აღქმას, რათა სწრაფად შეეცნოთ დანახული. გამოემუშავებინათ მხედველობითი მეხსიერება, ნახატის სიზუსტე და განზოგადების უნარი. თითოეულ მათგანს გამოევილინა დამოუკიდებლობა, ინდივიდუალობა, დაეხვეწა საკუთარი ხელწერა და შემოქმედებითი კრედიტო (კუკულაძე: 1979).

1921 წელს ე. ლანსერემ ტიცინ ტაბიძის თხოვნით გააფორმა ალბომი ნინო ჭავჭავაძის ცხოვრების შესახებ. 1925 წ. დაასურათა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „პალიასტომის ტბა“. აუცილებელია აღვნიშნოთ ე. ლანსერეს ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილი. 1922 წ. სახკინმრეწვმა ე. ლანსერე მიიწვია რეჟისორ ი. პერესტიანის ფილმ „სურამის ციხის“ დადგმაში მონაწილეობის მისაღებად. ფილმის დადგმისას, დიდ ტილოებზე მუშაობის დროს, მან რუსეთის თეატრებში შექმნილი გამოცდილება გაუზიარა ახალგაზრდა მხატვარ-დეკორატორებს: ვ. აკიშის, კ. ტირის, ძმებ ფ. და ი. ნოვაკებს. 1925 წელს ივ. პერესტიანის ფილმ „ჰაჯი-მურატის“-ათვის შექმნა ესკიზები. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დატვირთულ შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა, მაინც ჩვეული ენერჯითა და შესაშური შემართებით ეკიდებოდა თითოეულ დეტალს. ე. ლანსერე კოტე მარჯანიშვილის მიერ მიწვეულ იქნა თეატრში „მაკბეტის“ ესკიზების შესაქმნელად. ლანსერეს ნამუშევრები დეკორაციის 13 და კოსტიუმის 9 ესკიზი ინახება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუზეუმში.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მოღვაწეობა მხატვარს საშუალებას აძლევდა ახლოს და ძირფესვიანად გაცნობოდა საქართველოს მატერიალური კულტურის უძველეს ნიმუშებსა და მათ ისტორიას. იგი თავის შემოქმედებაში ხშირად გამოხატავდა ხალხის რეალისტურ სახეს, მათ მისწრაფებებსა და სურვილებს, არ უშინდებოდა შეექმნა ისეთი ტილოები, სადაც ჩანდა ღრმა ირონია საზოგადოების მმართველი ფენის მიმართ. 1921 წელს მხატვარ ა. პ. ასტრაუმოვა-ლებედევასათვის მიწერილ წერილში, იგი აღნიშნავს თავისი საქმიანობის შესახებ მუზეუმში, თეატრსა და არქეოლოგიურ ექსპედიციებში (მასხარაშვილი: 1972). ამავე წელს ის მონაწილეობას იღებდა გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებულ ექსპედიციაში, რომელიც ითვალისწინებდა დავით გარეჯის უდაბნოს შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიცია მიმდინარეობდა საკმაოდ რთულ გარემოში, მონაწილეთა თავდაუზოგავმა შრომამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. ე. ლანსერემ მოახერხა ჩაეხატა დავით გარეჯის ლანდშაფტი და ზედმიწევნით გადმოეცა გარემო პირობები მთელი თავისი დიდებულებით, ასევე შეექმნა სამონასტრო კომპლექსში არსებული ფრესკების ასლები. რის გამოც, გ. ჩუბინაშვილმა თავის ნაშრომში „დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები“ უდიდესი მადლობა გადაუხადა მხატვარს.

საქართველს მთავრობის დავალებით, ე. ლანსერემ ტემპერის ტექნიკით შეასრულა ორი შესანიშნავი ფრესკა რესპუბლიკის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მესამე სართულის კედლებზე, რომელთაგან ერთი დღემდე შემორჩენილია, მასზე გამოსახულია: „პირველი პოლიტიკური გამოსვლა ბათუმის რევოლუციური მუშებისა, 1902 წ. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით“ და მეორე: „ზაჰესის მშენებლობა“, რომელსაც დღემდე არ მოუღწევია. ფრესკების მოხატვის დროს მასთან ერთად მუშაობდნენ – შ. აბრამიშვილი, რ. მირზაშვილი და პ. ბლიოტკინი.

მხატვარმა ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობის დროს იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და შექმნა უნიკალური ჩანახატები. განსაკუთრებით საინტერესოა სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ფშავ-ხევსურეთის, გარე კახეთის მონახულების შედეგად შექმნილი ნამუშევრები. 1921 წ. აჭარაში მოგზაურობის დროს შექმნილი ნახატებიდან წარმოდგენილია სამეურნეო შენობა-ნაგებობათა

ჩანახატები, სადაც ერთ ფურცელზე შესრულებულია ბეღელი და ძველებური წისქვილი. მხატვარს დეტალურად აქვს ასახული წისქვილის კონსტრუქცია (სურ. 1), ფერადებით შესრულებული დარბაზული სახლის შიდა ინტერიერი, სადაც წარმოდგენილია შუაციცხლის პირას მჯდომი კაცი, კერის თავზე ნაჭაზე დაკიდებული კარდალით, იქვე მდგომი ტაბლა, დერგი და ხის ქოშები, ამ ნახატში გადმოცემულია გლეხისთვის დამახასიათებელი სიმარტივე და უბრალოება (სურ. 2). მხატვარი წარმოგვიდგენს აჭარელთა დამახასიათებელი საცხოვრისის ტიპს, ოდა სახლის ხედს გვერდიდან, რომელსაც ქვედა სართული ქვით აქვს აგებული, ზედა კი ხის მოაჯირითა და რიკულებითაა გაფორმებული. ნახატს გვერდით შავი ფანქრით მიხატული აქვს მოაჯირის ორნამენტები და ტემპერით დახაზული სახლის გეგმა (სურ. 3). ე. ლანსერეს შესრულებული აქვს ოდა სახლის შიგნით ნაგები ბუხრის ჩანახატი, რომელიც აჭარისთვის იყო დამახასიათებელი და მთელს კავკასიაში იყვნენ ცნობილი, აჭარელი ბუხრის ოსტატები. მსგავსი ბუხარი განსხვავდება დარბაზულ სახლში არსებული კერისგან (სურ. 4). ჩანახატი წარმოგვიდგენს ხელსაბან ჭურჭელს და მის დეტალურ განხილვას, თუ როგორ მაგრდებოდა ტოლჩა. ჩანახტული აქვს ხელსაბანი თასი და კარის დეტალები, თითოეულ მათგანს ახლავს მხატვრის მიწერილი განმარტებანი (სურ. 5). ფერადებით შესრულებული სამზარეულო კუთხე, წარმოადგენს ოთახის აღწერას. კედელზე მიმაგრებული ხის თაროებზე განლაგებული ჭურჭლით, კარადით და სამზარეულო აღჭურვილობით (სურ. 6). სვანეთში მოგზაურობის შედეგად მხატვარმა უფრო მკვეთრი და მრავალფეროვანი გახადა ნახატის ფერები, რაც აშკარად განსხვავდება დავით-გარეჯის ბუნების ბაცი ტონებისგან. სვანური კოშკები და მთის მწვერვალები მხატვრის ხასიათსაც გადმოგვცემს (სურ. 7, 8, 9, 10). მაღალი მხატვრული პროფესიონალიზმითაა შესრულებული ქართველი ქალის სამოსი. არსებობს აღნიშნული ნახატის ორი ეგზემპლარი, ერთი დასრულებული, ხოლო მეორე – დაუსრულებელი სახით. ნახატში წარმოდგენილია ქალის სახის დახვეწილი ფორმები და ტასაცმლის შესანიშნავად გადმოცემული ქსოვილის ფაქტურა, რომელიც საერთო ჯამში ქმნის ქართული ეროვნული სამოსელის საერთო იერს (სურ. 11). მოგზაურობის და საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის, უშუალოდ გაცნობის შედეგად მხატვარმა შექმნა ქართული სახეებისა და ტანსაცმლის ჩანახატები (სურ. 12, 13, 14). აღნიშნული ნახატები ინახება ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ეთნოგრაფიისა და ახალი ისტორიის განყოფილების დამხმარე ფონდსაცავში.

თუ გავითვალისწინებთ ე. ლანსერეს მაღალ პროფესიონალიზმს და საქმის დიდ სიყვარულს, თითოეულ ნამუშევარში ზედმინევენითი მონდომებითა და სიზუსტითაა ასახული თითოეულ დეტალი. ე. ლანსერემ დაგვიტოვა, მართლაც თვალსაჩინო მაგალითები საქართველოს ცხოვრების ისტორიიდან, მის ნამუშევრებში გადმოცემულია საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალა, ლანდშაფტისა და გარემოს რეალისტური ნახატები, ისტორიული ძეგლებიდან გადმოხატული ასლები, ქართული ეროვნული სამოსის ჩანახატები და ბევრი სხვა. მისი ღვაწლი დასაფასებელია, როგორც საქართველოს ისე სხვა სახელმწიფოების მიერ, სადაც მას უწევდა მოღვაწეობა.



სურათი 1




სურათი 2



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5



სურათი 6



სურათი 7



სურათი 8



სურათი 9



სურათი 10



სურათი 11



სურათი 12



სურათი 13



სურათი 14

გამოყენებული ლიტერატურა:

გელაძე თ. „სამეცნიერო დამხმარე ფონდი“. ეთნოლოგიური ძიებანი V ტომი. მე-რიდიანი. 2013

კარბელაშვილი მ., ოსკარ შმერლინგი, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXXIX სამეცნიერო სესია, მოხსენებათა კრებული, თბილისი, 2000

კუკულაძე კ., ევგენი ლანსერეს შემოქმედების მიმოხილვა, თბილისი. ხელოვნება 1979

ლებანიძე დ., ძველი თბილისის ყოფა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მხატვართა შემოქმედებაში. კრებული „ქართული ხელოვნება“ 9. სერია ბ, თბილისი, „მეცნიერება“, 1991

მახარაშვილი გ., ევგენი ლანსერე და კავკასია, თბილისი, 1972

ნადირაძე ე., სმითი ბონი ნეიბ, გელაძე თ., მაქს ტილკე კავკასიის ხალხთა კოსტიუმები, „დიოგენე“, 2005

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1964, ტ. IV

„საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთი. ევგენი ლანსერე: „თბილისი ჩემი სიყვარული“ რემ დავიდოვი. თბილისი. 1998. 9 დეკემბერი

ფერაძე თ., რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX საუკუნე), თბილისი, 1964

ქიქოძე გ., „წერილები ხელოვნებაზე“, თბილისი, 1936

ციციშვილი მ., XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული ფერწერა, „ხელოვნება“, 1997

ციციშვილი მ., ვაჩიშვილი ნ., სოხაძე მ., თეატრის მხატვრობა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია, თბილისი, 2006

ჩუბინაშვილი გ., დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები, თბილისი, 1948

Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии, М., 1975
Библиографический словарь искусства. М., 1972
Путеводитель по кавказу, Тифлис, 1896
Лансере Е.Е., Каталог выставки, М., 1961
Таханаева П., Лансере в Дагестане, Бизнес-Успех №2, 2009
Энциклопедия искусства XX века, М., „Ольма-пресс“, 2002
Энциклопедия мировой живописи, М., „Ольма-пресс“, 2002

George Meurmishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University PhD student
Georgian National Museum

Daredjan Abuladze
Master of Cultural and Social Antropology
Georgian National Museum

Eka Maziashvili
Georgian National Museum

EUGENE LANCERAY– AT THE EDGE OF CULTURE OF INDEPENDENT GEORGIA

Summary

National Museum of Georgia keeps unique Georgian cultural heritage. These artifacts are considered the main documents for humanitarian sciences. The museum organized an expedition with the purpose to search and acquire exhibits from all around the Caucasus. The expedition included a group of artists who drew collected materials on the spot and sketched social situations and local people. These expeditions resulted in launching this kind of methodological approach at the National Museum of Georgia, having made the depiction of materials and examples both in situ and ex situ as a mandatory activity. More than 46 artists, including Eugene Lanceray, the famous Russian artist (1875-1907), were involved in these studies. He was one of the founders of Georgian Art Academy, museum artist, theater artist and active member of Georgian society. With Iosif Charlemagne he created a coat of arms of Georgia. The Georgian museum commissioned him to travel around different parts of Georgia and depict everyday life of the locals. He created whole series of paintings, as well as buildings, various weapons, furniture, clothes, portraits, etc. His work and art methodology had a great influence on the development of Georgian art.

Subject of this study is E. Lanceray's works, kept in the Museum of Georgia. These paintings are primary sources containing unique details of social life, which are not found in written sources.

გიორგი ჩართოლანი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული დრამატული სტუდიის როლი პროფესიული
ქართული თეატრის ფორმირების პროცესში 1918-20 წლებში

1918-21 წლების ქართული კულტურის ცხოვრება გამორჩეული და უნიკალურია. მისი უნიკალურობა უპირველესად განპირობებულია არა იმდენად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნით, რამდენადაც საკუთრივ ახალი სახელოვნებო დარგების, ჟანრების და ფორმების წარმოშობით, ქართულ კულტურაში დანყებული რეფორმატორული და ხშირ შემთხვევაში რევოლუციური ძვრებითაც კი.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდში ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესები, შეუძლებელია განვიხილოთ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რამდენადაც თითოეული დარგის განვითარება, ძირეულად ცვლიდა და გავლენას ახდენდა სხვა დარგების თვისებრივ ტრანსფორმაციაზე.

ხელოვნების ნებისმიერი დარგი, რომელიც ამ პერიოდში ცდილობს განახლება-აღორძინებას, უმთავრეს გამოწვევად მიიჩნევს იმ სახის პროფესიული სკოლების არარსებობას, რომელმაც უნდა შექმნას პროფესიონალთა იმგვარი თაობა, რომლის წარმომადგენლებიც არა მხოლოდ საკუთარი ნიჭიერების ხარჯზე შეძლებენ ერთეული მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნას, არამედ მათ ექნებათ დარგის განვითარებისთვის საჭირო სპეციალური ცოდნა დაფუძნებული მწყობრ სისტემაზე, რაც საბოლოო ჯამში საფუძველს მოუზადებს პროფესიული ქართული კულტურის შექმნას.

ამგვარი სკოლის შექმნა კი სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო თეატრალური ხელოვნებისთვის, რადგან თეატრი კოლექტიური შემოქმედებაა და ამ შემოქმედების პროდუქტის, სპექტაკლის შექმნას სჭირდება არა ერთი ან ორი ადამიანი, არამედ ადამიანთა ჯგუფი.

მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ თეატრალურ რეფორმა სამი ეტაპისაგან შედგება.

პირველი – რეფორმის მომზადება: რეჟისორის პროფესიის დამოუკიდებელ პროფესიად ჩამოყალიბება, ახალი დრამატურგიის წარმოშობა, თეატრალური საქმისწარმოებისა და თეატრალური დისციპლინის განმტკიცებისათვის აქტიური ბრძოლის დასაწყისი.

მეორე – რეფორმის სრულყოფა, ანუ ქართულ თეატრში გიორგი ჯაბადარის თეატრ-სტუდიის მეშვეობით, პროფესიულად განსწავლული ახალი თაობის მოსვლა, რომელიც რეფორმის უშუალო განმახორციელებელი უნდა ყოფილიყო.

მესამე – რეფორმის დასასრული: კოტე მარჯანიშვილის ქართულ თეატრში მოსვლა და სანდრო ახმეტელის მოღვაწეობის დასაწყისი რუსთაველის თეატრში.

ამ რეფორმის მეორე ეტაპი ემთხვევა 1918-20 წლებს.

სტუდია, თეატრალური ორგანიზმის ცხოვრების იმგვარ ფორმას წარმოადგენს, სადაც იქმნება მისი განახლებისთვის უმთავრესი – თანამოაზრეთა კოლექტივი, თაობა. ქართული თეატრის ისტორიის განვითარების ამ ეტაპზე მხოლოდ სტუდიას შეეძლო შეექმნა ქართული თეატრისათვის აუცილებელი ახალი თაობა.

თეატრალური ხელოვნების სტუდიური ფორმა არსებობის სამ ძირითად პრინციპს მოიცავს. პირველი – სტუდია-სკოლა, პროფესიული სასწავლებელი. მეორე, თეატრალური ძიებებისა და ექსპერიმენტების ლაბორატორია და მესამე – სტუდია თეატრალური საქმის წარმოების, ორგანიზაციული სტრუქტურის განმახლებელი.

ახალგაზრდა შემოქმედთა სტუდიად ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს, შემოქმედებითი ცხოვრების განახლება, უფრო ზუსტად კი, თვისებრივი სახეცვლილება წარმოადგენს. ამდენად, ექსპერიმენტები, ცდები, სხვადასხვა საშემსრულებლო ფორმისა და ტექნიკის მოსინჯვა, ახალი გამომსახველობითი საშუალებების ძიება საარსებო აუცილებლობითაა განპირობებული.

მსოფლიო თეატრის განვლილ ისტორიას თუ გადავხედავთ, სტუდიური მოძრაობები, ძირითადად, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური ცვლილებების ეპოქას ემთხვევა. განსაკუთრებით მომძლავრდა იგი მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც რეჟისორული ხელოვნება თავის ძალას იმტკიცებს და თანდათან მომავალი თეატრის განმსაზღვრელი ხდება, როდესაც ანსამბლი სათეატრო ხელოვნების საფუძვლად იქცევა. მე-20 საუკუნის მსოფლიო რუკაზე ახალმა თეატრმა, თვითდამკვიდრების ერთ-ერთ საშუალებად სტუდიური მოძრაობა აირჩია, რადგან სტუდიას, არსებული თეატრალური კოლექტივებისაგან განსხვავებით, ის უპირატესობა გააჩნდა, რომ იგი წარსულის გავლენისგან სრულიად თავისუფალ ახალ თაობას აერთიანებდა.

საქართველოშიც 1918 წელს დაარსებული დრამატული სტუდიის მიზანიც იყო ყველა იმ მნიშვნელოვანი რეფორმის გატარება იყო, რომელიც ქართული თეატრს პროფესიული კადრებით შეავსებდა და მას ევროპული მოწყობის პროფესიული თეატრისთვის დამახასიათებელ სახეს შესძენდა.

ევროპაში განსწავლული, ევროპის საუკეთესო სცენებზე ნამუშევარი რეჟისორისა და პედაგოგის გიორგი ჯაბადარის მიერ დაარსებული სტუდია, უპირველესად მიზნად ისახავდა სათეატრო ხელოვნების სასწავლებლის შექმნას, მაგრამ დაარსებიდან სულ რამდენიმე თვეში, მან დაიწყო თეატრალური სეზონის წარმოებაც, რაც, ერთი მხრივ, გახდა სტუდიის, როგორც სასწავლო დაწესებულების მუშაობის ხელისშემშლელი, მაგრამ, მეორე მხრივ, თეატრ-სტუდიის სპექტაკლებმა მნიშვნელოვნად რეფორმატორული ძვრები განახორციელეს არსებულ სათეატრო ესთეტიკაში.

„ქართული თეატრის აღორძინება – ქართული დრამატული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლიდან 30 წლამდე) გამოცხადონ სრულიად ახალი დასის შესადგენათ. ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობებით გამართავს წარმოდგენებს ჯერ თბილისის საღაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს, დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს,

ხმის დაყენებას და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება – სიმღერას... “.¹

1918 წლის 25 მარტს გაზეთ „ალიონში“ გამოქვეყნებული ამგვარი განცხადებით ეცნობა ქართველ საზოგადოებას, საქართველოს დედაქალაქში ახალი დრამატული სტუდიის გახსნა.

„ქართული თეატრის აღორძინება“ – XX საუკუნის დასაწყისის ქართული ხელოვნების არც ერთ წარმომადგენელს ასე კატეგორიულად არ განუცხადებია თავისი მიზნის შესახებ. განცხადების სათაურიც და შინაარსიც ომში პირველ გასროლას ჰგავდა. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ იწყებოდა სრულიად ახალი ერა ქართულ თეატრში.

1918 წლის ოქტომბერში ექვსი თვის მუშაობის შემდეგ, სტუდიამ პრესისთვის განცხადება გააკეთა პირველი სპექტაკლის გამართვის შესახებ.

„სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, გიორგობისთვის 18ს-1918წ.

ქართული დრამატული საზოგადოების ახალი დასი ჰხსნის თავის ახალ სეზონს წარმოდგენილი იქნება

ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა

მუსიკალური დრამა 5 მოქმედებად ბრიესი პიესა რამდენჯერმე იქმნება წარმოდგენილი სხვა და სხვა ანსამბლით. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი“.²

დასის შემადგენლობაში სხვა ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად, შედიოდნენ მომავლში ქართული თეატრის და კინოს ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ: ვერიკო ანჯაფარაძე, აკაკი ვასაძე, მიხეილ ჭიაურელი, მიხეილ გელოვანი, ცაცა ამირეჯიბი, გიორგი არაძე-იშხნელი, პლატონ კორიშელი, დიმიტრი მჭავია და უკვე სახელმწიფო რეჟისორები აკაკი ფალავა, კოტე შათირიშვილი, ვალერიან შალიკაშვილი და მიხეილ ქორელი.

სტუდია სეზონს იწყებდა ფრანგი დრამატურგის ეჟენ ბრიეს პიესით „სარწმუნოება“. მე-20 საუკუნის დასაწყისის ფრანგული დრამის ეს წარმომადგენელი, სრულიად უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისათვის. ამდენად, ერთგვარ რისკსაც კი წარმოადგენდა ამ მასალით სეზონის გახსნა, რადგან მაყურებელში ინტერესის აღძვრისთვის, მისი მოზიდვისათვის, უფრო გონივრული იქნებოდა ნაცნობი მასალის ჩვენება, თუმცა გიორგი ჯაბადარმა შეგნებულად აუარა გვერდი გაბატონებულ სტერეოტიპებს და თეატრალურ ხელოვნებაში ახალი სიტყვის სათქმელად ქართული საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი დრამატურგის პიესას მიმართა, რადგან ახალი პრობლემების, ახალი აზროვნების შემცველი დრამატურგია უნდა ყოფილიყო, გიორგი ჯაბადარის აზრით, ახალი საუკუნის ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოების მსოფლმხედველობის გამომხატველი.

თეატრ-სტუდია ამ სპექტაკლით თავისებურად უერთდებოდა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულოგიური პროცესებს, რომლებსაც ქართული კულტურის ორიენტაციის საკითხი უნდა გასაზღვრა. თეატრ-სტუდიამ ევროპული ახალი დრამის წარმოდგენით, საზოგადოებას შეატყობინა, რომ მომავალი ქართული თეატრი, ისევე როგორც საზოგადოდ ქართული ხელოვნება, თავის ორიენტაციას

1 გაზ. „ალიონი“, 1918, 25 მარტი, გვ.1

2 გაზ. „საქართველო“, 1918, გიორგობისთვის (ნოემბერი) 13, გვ.1

ევროპული ხელოვნებისკენ იღებს. სწორედ ფრანგული დრამით სტუდიის პირველი სეზონის გახსნა წაუყენეს თეატრ-სტუდიას პირველ ბრალდებად მისმა მოწინააღმდეგეებმა: „თეატრს ჰქმნიდა დრამა, და ცხადია, აქედან თავისთავად“ ეროვნულ თეატრს ეროვნული დრამა ჰქმნის. ჩვენი ეროვნული დრამა მართალია არ არის დიდი ესთეტიკური ფასეულობისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სცენაზე იგი მაინც პოულობს მნიშვნელოვან არტისტულ განსხეულებას... ახლად გამართულ სტუდია უთუოდ ეროვნულ დრამაში უნდა ცდილიყო სხეულეყო არტისტული ტემპერამენტი.

ბატონ ჯაბადარს უცხო დრამისათვის მიუმართავს, სტუდიისათვის ასეთი დანყება საძნელოა მეტად. არტისტობა „სხვადქცევა“ და ეს „ქცევა“ რასაკვირველია ეროვნულს სხეულში უფრო ადვილია, ვიდრე უცხო ბუნებით ფარგლებში“.³ თუმცა, არსებობდა სრულიად განსხვავებული აზრიც: „პიესის პირველმა წარმოდგენამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. მეორეზეც საკმაო ხალხი დაესწრო. მიუხედავად იმისა, რომ „ავთა ენათ“ საზოგადოებრივი აზრი მოშხამეს. ბევრს იმედი აღეძრა: აჰა ძლივს, ველირსებით ჩვენის სცენის განახლებასო. ასე არც უსაბუთო იყო, მაგრამ... თურმე ჩვენში ხელოვნება და მის ოფიციალ ჭირისუფალთა გრძნობა-აღლოიანობა იმდენად გაყინულია, რომ ამ ახალ ქურუმთა ცივგულა სუსხისაგან ფრთები დასცვენიათ. ეს კი დიდი უსამართლობა და უმადურობაა ჩვენი სასცენო ხელოვნების წინაშე. საერთო შთაბეჭდილება არაჩვეულებრივი იყო: ასეთი შეხამებით შერჩეული ფერებით, ერთსულოვნებით დადგმული პიესა იშვიათად გვინახავს: ხმა, მუსიკა, ფერები, ცეკვა, მორთულობა, სახის მოხატულობა, გრიმი და სხვ. დიდი ხელოვნებით იყო შესხმული. წუნია პატარძლებმა სხვა რომ ველარა გააწყეს რა ჩასჩურჩულებდნენ: რალა თარგმანით დაინყეს სეზონი, პიესა მომაბეზრებელიაო და სხვა ასეთ „ნაკლთა“ ჩამოთვლაში კი თითქმის ხელიდან გაეპარათ ის გარემოება, რომ ჩვენი სასცენო ხელოვნების ცის ტატნობზე ახალი სხივი გამოჩნდა და გაძლიერებისათვის ხელი უნდა შეეწყოთ. ახალგაზრდა სცენის მუშაკნი იმდენად მომზადებულნი იყვნენ, რო ძნელად თუ ერთს მეორეს ამჯობინებდით: თითქოს ზეპირად ასრულებდნენ, მოკარნახის ხმა სულ არ ისმოდა. თითოეული მსახიობთაგანი გასაოცარი ტიპიურობით ახორციელებდა ნაკისრ როლს...“⁴ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ფრანგი დრამატურგი ეჟენ ბრიე ფრანგული ტენდენციური დრამის წარმომადგენელია. ამ ტიპის დრამატურგიიდან გიორგი ჯაბადარისათვის ყურადსაღები იყო მისი უმთავრესი პრინციპი – პიროვნული არჩევნის საკითხი. იმ პერიოდის ქართული ცხოვრების სინამდვილეში საზოგადოების, თუ მისი კონკრეტული წევრის არჩევნის პრობლემა, ერთ-ერთი გადამწყვეტი საკითხია ქვეყნის მომავალი ორიენტირის განსაზღვრის ურთულეს საკითხთა შორის. ქართველ საზოგადოებას თვალნათლივ უნდა დაენახა, რომ იგი დგას მთავარი გამოწვევის წინაშე – გააკეთოს სწორი არჩევანი პროგრესს, წინსვლის, განვითარების, თუ რეტროგრადულ ყოფის, გაცვეთილ ტრადიციულ მსოფლმხედველობას და ჩაკეტილ საზოგადოებრივ ცნობიერებას შორის.

პიესის სცენური გაცოცხლებისათვის გიორგი ჯაბადარმა ანსამბლური თეატრის პრინციპებს მიმართა. რეჟისორული თეატრისათვის დამახასიათებელი ეს თეატრა-

3 გაზ. „საქართველო“, 1918, ნომბრის 24, გვ.2-3

4 გაზ. „საქართველო“, 1918, ნომბრის 24, გვ.2-3

ლური მოდელი ასეთი ტიპის დრამატურგიის გასცენურების ყველაზე ოპტიმალური საშუალებაა. ამასთან, მხატვრულმთლიანი სპექტაკლი მხოლოდ აქტიორთა ანსამბლით მიიღწევა. ამის შესახებ აღნიშნავდა კიდევ ერთ-ერთი რეცენზენტი თავის სტატიაში:

„ყველაფერი შედარებითია და როდესაც ჩვენს ძველ წარმოდგენებს ვადარებთ ამ წარმოდგენას, შეუძლებელია არ ითქვას, რომ ჩვენი თეატრი ნინსვლის გზას დასდგომია; მას მოუწადინებია არა მარტო თითო-ოროლა ნიჭით გავიღეს იოლად ფონს, არამედ სასცენო ხელოვნებაში ხელოვნება შეიტანოს.

ჩვენ წინ გუშინ ორი სამი არტისტის გარდა უმრავლესობა პირველად გამოვიდა სცენაზე და პირველადვე ასეთს შედარებით რთულ პიესაში, როგორცაა „სარწმუნოება“.

ამ უკანასკნელი ძიების დროს სასცენო ხელოვნებაში უფრო განმტკიცდა ის აზრი, რომ უმჯობესია საერთო ანსამბლი იყოს უზადო, ვიდრე დრო და დრო იფეთქოს ერთ-მა რომელიმე ნიჭიერმა არტისტმა და სხვები კი უბრალო სტატისტები იყვნენ. ცხადია რეჟისორს სწორედ ამ მხარისაკენ მიუქცევია ყურადღება და ყოველი მოქმედი პირი ცდილობდა ხელოვანი ყოფილიყო“.⁵ სპექტაკლი „სარწმუნოება“ იმითაცაა ყურადსაღები, რომ ეს არის ვერიკო ანჯაფარიძის დებიუტი ქართულ სცენაზე. ის სპექტაკლში მთვარე როლს, ქურუმი ქალის იაუმას როლს თამაშობდა და მას პარტნიორობას მისი მომავალი მეუღლე მიხეილ ჭიაურელი უწევდა.

ქართული კლუბის სცენაზე გიორგი ჯაბადარის მიერ 1918 წლის 18 ნოემბერს წარმოდგენილი თეატრ-სტუდიის პირველი სპექტაკლის, **„რეპეტიცია თითქმის 150-ჯერ გამართეს და პიესა ზეპირად შეისწავლეს“**⁶ და იგი დაიწყო ზუსტად დანიშნულ დროს, საღამოს რვა საათზე, მესამე ზარის შემდეგ, რაც ქართული თეატრალური პროცესისთვის გამორჩეულ სიახლეს წარმოადგენდა.

„ბ-ნ ჯაბადარს ეტყობა საკმაოდ განვითარებული ჰქონია სახელოვნო გემოვნება, სასცენო უნარი, ცოდნა და თუ იმდენი ძალა გამოიჩინა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი სახელოვნო ყინულიც გააღხო მომავალი მისია და ამ რწმენით ვუსურვებთ წარმატებას...“⁷

1919 წელი სტუდიის ცხოვრებაში ის პერიოდია, როდესაც მან ხელი მიჰყო თეატრალური სეზონის ინტენსიურ წარმოებას. წარმოდგენების სისტემატური მართვა უფრო იძულებით ხასიათს ატარებდა, ვიდრე შემოქმედებითს. სტუდიას თავი უნდა ერჩინა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. თანხა, რომელსაც გახსნამდე დაპირდნენ სტუდიას, დაპირებდად დარჩა და არავითარი მატერიალური დახმარება არანაირი ორგანიზაციისაგან, არც მთავრობისაგან, 1919 წლის ბოლომდე არ მიუღია. (1919 წლის ბოლოს იგი კოორდინატორთა ცენტრალური კავშირის სუბსიდიის შედის). სტუდიისგან კი მოითხოვდნენ სეზონის ინტენსიურ წარმოებას და იგიც იძულებული იყო ზედიზედ რამდენიმე წარმოდგენა გაემართა.

თეატრ-სტუდია ქმნიდა ახალ თეატრალურ მოდელს, რომელსაც ნაწილობრივ, იმ ხანად ევროპაში ახლად ფეხმოკიდებული პირობითი თეატრის სახე ჰქონდა.

5 ბორჩელი, გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, 2 ნოემბერი, გვ. 4

6 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, №14, გვ.15

7 ნინამძღვარი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, №16, გვ.14

მაგრამ პირობითი თეატრის ესთეტიკა არა მხოლოდ რეჟისორის მეტაფორულ აზროვნებაში გამოხატული, არამედ აქტივორთა ანსამბლის კოორდინირების საშუალებით გაცოცხლებული.

სამწუხაროდ, ექსპერიმენტები, სიახლეები, ახალი პრინციპების და თვისებრივად განსხვავებული თეატრალური მოდელის დამკვიდრების ცდები, სრულიად მიუღებელი იყო ქართული საზოგადოების ერთი ნაწილისთვის. განსაკუთრებით მათთვის, ვინც თანდათან კარგავდა თეატრალურ ხელოვნებაში გაბატონებულ მდგომარეობას, რადგან სტუდია ქმნიდა არა მხოლოდ ახალი ტიპის მსახიობთა ანსამბლს, არამედ საფუძველს უმაგრებდა ძველი თეატრის უპირველეს მეტოქეს – რეჟისორულ თეატრს. რეჟისორების ვ. შალიკაშვილის, მ. ქორელის, ა. ყუშიტაშვილის, ა. ფალავას თეატრ-სტუდიაში მოწვევა, ამ მოტივითაც იყო ნაკარნახევი.

თეატრ-სტუდიისადმი საზოგადოების დამოკიდებულება თანდათან იძაბებოდა და 1919 წლის ბოლოს გაზეთი „სახალხო საქმე“ წერდა: **„რედაქციას საჭიროდ მიაჩნია ამ საკითხის თაობაზე (საუბრია სტუდიაზე – გ.ჩ.) ყველას მისცეს საშუალება თავისი აზრი გამოსთქვას.“**⁸ საკმაოდ ბევრმა გამოთქვა თავისი მოსაზრება. აზრი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული. აჯამებდნენ რა თეატრ-სტუდიის განვლილი მუშაობის შედეგებს, ბევრი რეცენზენტი აღნიშნავდა: **„სტუდია თავის დანიშნულებას უნდა დაუბრუნდეს, სტუდიამ ხელი უნდა აიღოს სასეზონო წარმოდგენების მართვაზე, თუნდა ამ წარმოდგენებს გამარჯვებაც სდევდეს თანა. წარმოდგენების სამზადისი ხელს უშლის სტუდიის მუშაობას და მოწაფეთა განვრთნას. კარგ მასალას ფრთხილი მოვლა-პატრონობა და მუდმივი თვალ-ყურის დევნა უნდა...“**⁹ აშკარაა, საზოგადოების ერთი ნაწილი მიდის დასკვნამდე, რომ ახალი სამსახიობო ძალებით ქართული თეატრის განახლება უფრო საჭიროა, ვიდრე მრავალრიცხოვანი და თუნდაც მრავალფეროვანი პიესებისგან შემდგარი რეპერტუარით. სტუდიის საშუალებით უნდა მომხდარიყო ქართული თეატრის პროფესიონალიზაცია და ესხნა იგი შემთხვევითი მსახიობებისაგან. ეს მისცემდა საშუალებას აღორძინებულიყო ქართული სცენა და არა ის, რომ მას კვირაში ერთხელ ახალი წარმოდგენა გაემართა.

საქართველოს დედაქალაქში სტუდიისათვის საკუთარი შენობაც კი ვერ მოიძებნა. ამიტომ, იგი ხან ერთ, ხან მეორე ორგანიზაციას სთხოვდა რამდენიმე ხნით დაეთმო ოთახი რეპეტიციებისათვის. **„...სტუდია დღეს იღუპება და იღუპება უბინაობის გამო, თავის საკუთარ დედა-ქალაქში. ჩვენ ვიცით, რომ სტუდიელებს ჰსურთ და ეს ორი წელიწადია ჰსურთ მელიქ-აზარიანცის თეატრი მინიატური. თუ კი ქალაქმა ევრეინოვისათვის შესაძლოდ სცნო სენატშიაც კი გადაეტანა მელიქ-აზარიანცის საკითხი, რატომ არ შეიძლება მოხდეს იგივე ქართული სტუდიისათვის, მით უფრო ევრეინოვი იმდენ ქირას ვერ გადაიხდის, რამდენსაც კოოპერატივთა კავშირი, რომელსაც სურს ამ თეატრის შეკეთება. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გადაეცეს ეს თეატრი, რადგან იმავე ბატონ პერონეს ტფილისში აქვს ოთხი სინემატოგრაფი...“**¹⁰ არაერთგზის ამგვარი მოთხოვნების მიუხედავად, თეატრ სტუდიას შენობა არ გამოეყო, რაც მისი დაშლის ერთ-ერთი საფუძველი შეიქნა.

8 „სახალხო საქმე“, 1919, 28 ნოემბერი, გვ. 4

9 ადვაქტ პ., „სახალხო საქმე“ 1919, 15 ნოემბერი გვ. 3

10 ვინმე, „სახალხო საქმე“ 1919. 24 დეკემბერი, გვ. 2

სტუდიის ირგვლივ შექმნილი ატმოსფერო თანდათან იძაბებოდა. დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. უბინაობამ, მტრულმა გარემოცვამ, შურმა ციხე შიგნიდან გატეხა. თანამოაზრეთა კოლექტივის ბზარი გაუჩნდა. კონფლიქტი ისე გამწვავდა, რომ სტუდიის დამაარსებელი გიორგი ჯაბადარი იძულებული გახდა მიეტოვებინა მის მიერ შექმნილი კოლექტივი. სტუდიიდან წასვლის წინ მან საჭიროდ ჩათვალა ქართველი საზოგადოებისთვის აეხსნა წასვლის მიზეზები.

„ჩემი მიზანი იყო დამეყენებინა თეატრი ისეთ ნიადაგზე, როგორც მოწყობილია ევროპაში. შემექმნა ახალგაზრდა ძალები, რომელნიც თუ ძველებივით ნიჭიერები არ იქნებოდნენ, ის უპირატესობა მაინც ექნებოდათ, რომ შეითვისებდნენ ერთგვარ სკოლას.

უმეცრებმა ჩვენ მოგვნათლეს „ძიების თეატრად“ ... ყველგან ამას გაიძახოდნენ, რომ სტუდიამ „ახალი“ არაფერი შექმნაო. ბატონმა ახმეტელმა ერთ კრებაზე განაცხადა: მე სტუდიაში ახალი ვერა ვნახე, იქ მხოლოდ წარმოდგენები უფრო „დაუთოვებულია“ (ეს ბატონ ახმეტელის ტერმინია).

ბატონმა ა. ფალავამ თავის მოხსენებაში სთქვა: სტუდიის წარმოდგენები „კორექტორული“ და სხვა არაფერიო.

ეს ორნი მართალს ამბობენ და მიზანიც ჯერ-ჯერობით ის იყო, რომ ჩვენი წარმოდგენები „კორექტორული“ და „დაუთოვებული“ ყოფილიყო, რომ ყველას სცოდნოდათ როლები და მიზანსცენები და ეს როლები შესრულებული ყოფილიყო, ინტონაციის მხრივ შეგნებით სწორედ და არა ისე ყალბად, როგორც აქამდის; ყოფილიყო ანსამბლი ისე როგორც თანამედროვე თეატრშია და არა ისე, როგორც წინად იყო: ერთი რომელიმე როლი არ ყოფილიყო გამოჩენილი. ჩვენ გვინდოდა დაგვემყარებინა დისციპლინა ჩვენ საქმეში, დისციპლინა მკაცრი და არა ისეთი, როგორც აქამდის გამეფებულა ქართულ თეატრში.

აი, ჯერჯერობით გვინდოდა ამისათვის მიგვეღწია და განა მეტის გაკეთება შეიძლებოდა ერთ წელიწადში? ჩვენ ქართველები მოუთმენელი ხალხი ვართ, ყველაფერი უცებ გვინდა: ბედნიერება, სიმდიდრე, თეატრი და სხვა. ერთ წელიწადში მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო, ისიც იმისთანა პირობებში, რანაირ პირობებშიც ჩვენ ვიმყოფებოდით: არა გვექონდა ერთი პატარა ოთახიც კი, სამადლოდ ხან ვინ შეგვიკედლებდა, ხან ვინ. თითქოს ძალად, ჩვენთვის ყოველისფერი გაძნელდა, ყოველმხრივ თავს გვესხმოდნენ, ყოველმხრიდან ინტრიგებს ეწეოდნენ. სცდილობდნენ საქმე ჩაეფუშათ, რადგან ნათლად გრძნობდა მტერიც კი, რომ სტუდიამ ქართულ დრამატიულ ხელოვნებაში შეიტანა ახალი სხივი, რომ სტუდიელებმა იცოდნენ როლები და არაფრით ნააგავდნენ „ძველებს“ ეს რა თქმა უნდა არ მოსწონდათ, მაგრამ სტუდია მაინც უმაგრდებოდა, იტანდა ყოველსავე გაჭირვებას და მუშაობდა შეგნებულად, ახალგაზრდული ალტაცებით.

გარედან ინტრიგებმა ვერაფერი დაგვაკლეს. თითოეული გამოსვლა „რეცენზენტებისა“ ჩვენ წინააღმდეგ – გვმატებდა მხოლოდ ახალ ენერგიას, რადგან ძალიან კარგათ ვიცოდით, ვინ იყვნენ ეს „რეცენზენტები“, რა მიზნით და ვისი შთაგონებით სწერდნენ.

ფული რომ აღარ გვექონდა – კოოპერატივი აღმოვაჩინეთ და როდესაც კოოპერატივთან მოლაპარაკება დავინწყეთ, დასტა-დასტა ხელმოუწერელი წერილები მისდიოდა და გამგეობას ჩვენს საწინააღმდეგოდ. მაგრამ ამანაც ვერა დაგვაკლო რა და მივიღეთ

სუფსიდია იმ პირობით, რომ სათავეში ყოფილიყო კოლეგია. მე ძალიან წინააღმდეგი ვიყავი და ბოლოს დაეთანხმე მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე არ ჩაშლილიყო.

ორი თვის მუშაობის შემდეგ ციხე შიგნიდან გატყდა. ზოგიერთ პირთა ნყალობით ინტრიგები დაიწყო შიგნით. ამ მოვლენამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენში მუშაობა სერიოზულად ჯერჯერობით არ შეიძლება. ჩვენი ნაკლი არის შური და ეს შური იბადება უფრო უკულტურო პირთა შორის, რომელთაც თითონ საქმის გაკეთების უნარი არა აქვთ და სცდილობენ სხვის გაკეთებული საქმე ჩაშალონ და გააფუჭონ. არის ჩვენში ასეთი ჯურის ხალხი ეშმაკობით სავსე, რომელნიც პირში გილიმიან და პირს – უკან სამარეს გითხრიან. ამისთანა ხალხს აქვს დღეს გასავალი.

ასეა თუ ისე საქმე ჩაიშალა და ის სტუდია, რომელიც მე დავაარსე დღეს აღარ არსებობს“.¹¹

როგორც ვხედავთ, გიორგი ჯაბადარი თეატრ-სტუდიის ნორმალური მუშაობისათვის ხელისშემშლელ ბევრ ობიექტურ მიზეზს ასახელებს და აქვე ზუსტად აფასებს სტუდიის მნიშვნელობას ქართული თეატრის განვითარების ურთულეს პროცესებში.

1920 წლის ჟურნალი „კავშირი“ (კოოპერატორთა კავშირის ორგანო) აქვეყნებს ცნობას: „ცენტრალური კავშირის გამგეობის უკანასკნელი სხდომების საგანი იყო ის მეტად მძიმე პირობები, რომელშიდაც უხდება მუშაობა დრამატულ სტუდიას, როგორც არის, მაგალითად, საკუთარი სათეატრო დარბაზის უქონლობა, სასცენო მასალის სიძვირე და სხვ. გამგეობა იძულებული შეიქმნა მდგომარეობის გათვალისწინების შემდეგ დაედგინა, სანამ პირობები არ გაუმჯობესდება, შეეჩერებინა სტუდიის მოქმედება“.¹²

თეატრ-სტუდიის ახალგაზრდა მსახიობები სახელმწიფო დასს შეუერთდნენ. გიორგი ჯაბადარი კი საზღვარგარეთ გაემგზავრა.

საზოგადოების განვითარების ამ თუ იმ ეტაპზე აღმოცენებული ნებისმიერი მოვლენის სრულფასოვანი შესწავლა დროს და გარემოს კონტექსტშია მხოლოდ შესაძლებელი. მით უფრო, თუ ეს მოვლენა შემოქმედებითი ხასიათისაა. ქართული დრამატული თეატრ-სტუდიის წარმოშობაც ქართული კულტურის ისტორიაში იმ ეტაპზე, როდესაც ქვეყანამ აღადგინა დამოუკიდებლობა და ქართველი საზოგადოების აზროვნებაში დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მონყობის, კულტურული რეფორმის და ახალი საუკუნის ქართული ხელოვნების ფორმირების ერა დადგა, სრულიად კანონზომიერი მოვლენაა და ეროვნული კულტურის განვითარების ზოგადი ტენდენციებიდან გამომდინარეობს.

1918-20 წლებში განსაკუთრებული ძალით დაისვა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის საკითხი. ე. წ. ძველი თაობის ქართველების „ევროპიზაცია“ რომ თითქმის შეუძლებელი იყო, ეს ყველასთვის ნათელი აღმოჩნდა. საჭირო იყო ევროპული მსოფლშეგრძნების მქონე ახალი თაობის აღზრდა. ამიტომ, ყველა ეროვნული სკოლა, რომელიც ნაციონალური კულტურის და მეცნიერების შექმნისთვის იყო მონოდებული, ევროპულ მოდელზე აიგო.

ევროპულ მოდელზე მონყობილმა გიორგი ჯაბადარის თეატრ-სტუდიამ აღ-

11 ჯაბადარი გ., „საქართველო, 1920, 17 მარტი, გვ.4

12 „კავშირი“, 1920 № 3-4, გვ. 16

ზარდა უნივერსალური ტიპის განსწავლული მსახიობი, რომელიც სრულად ფლობდა პროფესიისათვის საჭირო ყველა საშუალებას: ხმას, მეტყველებას, სხეულს. რომელსაც შეეძლო ნებისმიერი ჟანრის სპექტაკლებში თამაში, რომელიც თანაბარი პასუხისმგებლობით უდგებოდა დიდი თუ მცირე როლების შესრულებას. მსახიობი, რომელიც გაიზარდა კლასიკურ თუ თანამედროვე ევროპულ დრამატურგიაზე და, რომელმაც თანამედროვე ქართული დრამის სიახლეებიც შეისისხლხორცა. სწორედ ამ სტუდიაში აღზრდილი მსახიობებისაგან დაკომპლექტდა შემდგომში რუსთაველის თეატრის ახალგაზრდული დასი, რომელსაც დაეყრდნო ქართული თეატრის ორი უდიდესი რეფორმატორის, კოტე მარჯანიშვილის და სანდრო ახმეტელის შემოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, თბილისი, 1963, 388 გვ.
- კიკნაძე ვ., რეჟისურის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1982, 277 გვ.
- ნადიბაიძე ფ., ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი მე-20 საუკუნის საქართველოში 1900-1921 წწ. თბილისი, 1980, 224 გვ.
- ქორელი მ., მოგონებები და წერილები, თბილისი, 1969, 230 გვ.
- ჯაბადარი გ., დიქცია, თბილისი, 1980, 69 გვ.
- გაზეთი „საქართველო“, 1918-20 წ.წ.
- გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918-20 წ.წ.
- გაზეთი „ერთობა“, 1920 წ.
- ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1918-20 წ.წ.
- ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“, 1919 წ.
- ჟურნალი „ახალი ძალა“, 1920 წ.

George Chartolani
Doctor of Art Studies, Professor
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

THE ROLE OF GEORGIAN DRAMA STUDIO IN THE PROCESS OF FORMATION OF PROFESSIONAL GEORGIAN THEATER IN 1918-20

Summary

The life of Georgian culture of 1918-21 is unique. New, genres and forms are created in arts field. Georgian culture undergoes reformist and often even revolutionary shifts.

During the independence of Georgian state, processes in Georgian arts field cannot be judged independently from each other, as each sector's development has changed and influenced another.

Study of any event, especially the one dealing with creativity, taking place at any

stage of social development is only possible in the context of time and environment. Emerging of the Georgian Drama Theater Studio is absolutely natural phenomenon and is based on general tendencies of development of national culture.

In 1918-20, Georgia's political and cultural orientation was given special significance. Therefore, all the schools, created to built national culture and science were constructed according to the European model.

All the fields of art in this period are striving for renewal and set a major challenge – raising a generation that will prepare the basis for professional Georgian culture.

Creation of a new school was necessary for theatrical art, because the art of theater is a collective art and the creation of a performance requires a group of people working at the same task.

The purpose of the drama studio established in Georgia in 1918 was to carry out all the important reforms in the Georgian Theater, which would fill the Georgian theater with professional staff.

The studio founded by Giorgi Jabadari was not only giving a professional education but also had a theatrical repertory season for 2 years. Theater-studios repertoire was based entirely on European drama. Theater-studio was in line with its performances in the socio-political or cultural processes taking place in Georgia. Theater-studio, presenting the new European drama, informed the public that the future Georgian theater, as well as the Georgian art in general, takes its way towards European art.

Giorgi Jabadari Theater studio built according to the European model, raised universal type of educated actor who had a full command of all the means necessary for the profession: voice, speech, body and who could play in performance of any genre; an actor who grew up on classical or modern European dramaturgy.

Afterwards the studio actors formed the core of troupe of Rustaveli Theater. Two great reformers of Georgian Theater Kote Marjanishvili and Sandro Akhmeteli used this troupe to base their creative talent on.

The work is fully based on the materials that Georgian press of 1918-21 publishing about the theater studio and the memories of studio's former actors.

It is noteworthy that there is not a fundamental thesis, except for my research, in Georgian art scholarship, about Giorgi Jabadari's drama studio.

მარინე ვასაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სათეატრო ჟანრები, ფორმები და ენა მეოცე საუკუნის
20-იანი წლების ქართულ და ევროპულ თეატრში

მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამოკიდებულება ზოგადად ქართული ხელოვნებისადმი და კონკრეტულად კი სათეატრო ხელოვნებისადმი. ხშირად დაისმის კითხვა, 1918 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობა რატომ დავკარგეთ, რა იყო ამის მიზეზი. ამ თემას, ბოლო წლებია აქტიურად იკვლევენ მეცნიერები და საზოგადოება. ჩვენი აზრით, სხვასთან ერთად, მიზეზთა ჩამონათვალს შორისაა: მაშინდელი მთავრობის ნევრთა უმრავლესობის პოლიტიკური მრწამსი, სოციალისტური იდეებით გატაცება, ეროვნული თვითშეგნების განცდის ნაკლებობა. ეს კარგად ჩანს მათ დამოკიდებულებაში ქართული თეატრისადმი. ყურადსაღები და აქტუალურია ამ საკითხის გაანალიზება, ვინაიდან დღესაც სახელმწიფო სტრუქტურების დამოკიდებულება კულტურისადმი ძალიან გვაგონებს იმ პერიოდისას. 1992 წლიდან მოყოლებული დღევანდელი დღის ჩათვლით, ვერცერთმა აქამდე არსებულმა მთავრობამ, ვერ შეიგნო, რომ კულტურა ქვეყნის „სავიზიტო ბარათია“, რომ არ შეიძლება ყველაზე მცირე დაფინანსება კულტურას ჰქონდეს.

უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გიორგი ჯაბადარის მიერ სტუდიის დაარსება. სწორედ ამ სტუდიაში აღზრდილ ახალგაზრდებზე დაყრდნობით შექმნა კოტე მარჯანიშვილმა ფენომენი, რასაც დღეს თანამედროვე ქართულ თეატრს ვუნოდებთ. გიორგი ჯაბადარის სტუდია და იმ პერიოდის „ქართული დრამა“ ქართულ თეატრმცოდნეობაში ნაკლებადაა შესწავლილი. ამიტომ, მიგვაჩნია ამ თემის კვლევა საინტერესოდ და აქტუალურად.

1918-1921 წლის ქართული თეატრის შესახებ ძალიან მწირი სამეცნიერო ლიტერატურაა შექმნილი. ამ პერიოდის ქართულ თეატრზე შესაძლებელია ცნობები მოვიპოვოთ: აკაკი ვასაძის ორტომეულის – „მოგონებები ფიქრები“ – პირველ ტომში, ვასილ კიკნაძის „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის“ პირველ ტომში, ამირან ციციშვილის ნაშრომში „უცხოეთში მოღვაწე ხელოვანნი“, გიორგი ჩართოლანის სადისერტაციო ნაშრომში – „მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული თეატრალური რეფორმა და გიორგი ჯაბადარის თეატრ-სტუდია“ და სტატიებში. რა თქმა უნდა, 1918-1921 წლის საქართველოს და დღევანდელ პერიოდში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი ფაქტი სხვადასხვა ავტორთან განსხვავებულადაა მონოდებული.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ევროპაში არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ომის მსვლელობისას თუ შემდგომ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, ადამიანთა ცნობიერებაში ფასეულობათა გადაფასება გამოიწვია. რა თქმა უნდა, ამ მოვ-

ლენებმა ასახვა ჰპოვა ზოგადად კულტურასა და ასევე სათეატრო ხელოვნებაში. სწორედ ამ პერიოდში იქმნება იდეურ-შინაარსობრივად და ფორმით განსხვავებული დრამატურგია, ე. წ. „ახალი დრამა“, უფრო მოგვიანებით „ინტელექტუალური დრამა“, რომელიც „ეგზისტენციალიზმის“, „აბსურდის“ წინამორბედი. ასპარეზზე გამოდიან სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობრივ-ეთიკური პოზიციები-სა და მხატვრული სტილის მქონე დრამატურგები: იბსენი, სტრინდბერგი, ზოლა, ჰაუპტმანი, ჩეხოვი, შოო, მეტერლინი და სხვები, რომლებიც დაუპირისპირდნენ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციულ, ძველ თეატრალურ სისტემას. ახალი დრამის ავტორებმა შეცვალეს დრამის არა მარტო ფორმა და სტრუქტურა, არამედ პრობლემატიკაც. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იქმნება ახალი მიმდინარეობები: ნატურალიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, ინტელექტუალური დრამა და სხვ. ახალმა დრამატურგიამ, სათეატრო დადგმებსა თუ საშემსრულებლო ხელოვნებაში ცვლილებები მოითხოვა და მოიტანა კიდეც. უპირველეს ყოვლისა, ჩნდება პროფესიონალი რეჟისორის, დადგმის უშუალო ხელმძღვანელის არსებობის აუცილებლობა. რეჟისორის ჩანაფიქრს, ინტერპრეტაციას, კონცეფციას ექვემდებარება სპექტაკლის შემადგენელი ყოველი კომპონენტი: სამსახიობო ხელოვნება, მხატვრობა, განათება, მუსიკა... სწორედ ამ პერიოდში, თეატრთან მიმართებით ჩნდება ცნება: ანსამბლური, სინთეზური ხელოვნება.

„ქართული პროფესიული რეჟისურა, ანუ სარეჟისორო თეატრი, ისევე როგორც ევროპული, ერთ საუკუნეზე მეტს ითვლის. ვგულისხმობთ იმას, რომ სარეჟისორო თეატრს (ზოგადად) საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის 80-იან წლებში – ჩ. კინი, გ. კრეგი, ა. აპია, ან. ანტუანი, ო. ბრამი, მ. რეინჰარდტი, კ. სტანისლავსკი, ვს. მიეიერჰოლდი...“ (ვასაძე მ, 2016, გვ. 31). მსოფლიო სათეატრო რუკაზე, მათ გვერდითაა კოტე მარჯანიშვილისა და ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელის სახელები, რომელთა საქართველოში შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისი, პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ეპოქას ემთხვევა.

თბილისი XX საუკუნის დასაწყისში ინტელექტუალური და კულტურული სამყაროს ერთგვარ ოაზისად იქცა. XX საუკუნის დასაწყისიდანვე რუსეთში პოლიტიკური არეულობა იწყება, რასაც თან დაერთო ეკონომიკური დასუსტება. ამას მოჰყვა პირველი მსოფლიო ომი 1914 წ. იმ ხანად, საქართველოში, რუსეთიდან და ევროპიდანაც ძალიან დიდი ე. წ. „ინტელექტუალური ნაკადი“ შემოედინებოდა. იმ ეპოქის, ევროპულ თუ რუსულ კულტურასა და ხელოვნებაში არსებული ე. წ. „ავანგარდის“ ყველა მიმდინარეობა, იდენტურად ვითარდებოდა თბილისსა და საქართველოში – ნატურალიზმი, სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი და ა. შ. თბილისი იყო ისეთივე კულტურული ცენტრი, როგორც სხვა ევროპული კულტურული ცენტრები. თბილისი ჩართული იყო მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესებში და, უფრო მეტიც... მაგალითად, გასაბჭოების შემდეგ, თბილისიდან ევროპაში გადახვეწილი ძმები ზდანევიჩები განაპირობებდნენ ევროპულ და ზოგადად მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესების განვითარებას. თბილისი უშუალო მონაწილე იყო ევროპული სახელოვნებო დარგების მიმართულებების განვითარებისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საქართველოში, სათეატრო ძიებების თვალსაზრისით, 1918-1921 წლებში საინტერესო ვითარებაა. 1914 წელს ქართული თეატრის შენობა დაინვა და თბილისში

მუდმივი ქართული დასი აღარ არსებობდა, ქართველი მსახიობები ქართულ წარმოდგენებს, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც თამაშობდნენ ზუბალაშვილების სახალხო თეატრში, ქართულ კლუბში, „ტარტოს“ სახელწოდებით არსებული რუსული თეატრი კი თითქმის ყოველდღიურად მართავდა სპექტაკლებს. უსახლკაროდ დარჩენილი ქართველი სათეატრო მოღვაწეები საგასტროლო ტურნეებს აწყობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მოქმედი თეატრები ქუთაისსა და ბათუმშიც არსებობდა. იმ პერიოდის ქართულ თეატრში ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები გვერდი-გვერდ მოღვაწეობდნენ და ერთად იბრძოდნენ ქართული თეატრის აღორძინებისათვის, თანამედროვე სათეატრო ხელოვნების დამკვიდრებისათვის. სწორედ იმ პერიოდში დრამატურგიულ მოღვაწეობას იწყებს პოლიკარპე კაკაბაძე. აკაკი ვასაძე წიგნში „მოგონებები, ფიქრები“ ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტს იხსენებს. მიხეილ ქორელი ქუთაისის თეატრში მუშაობდა რეჟისორად. ახალგაზრდა პოლიკარპე კაკაბაძე მასთან მისულა სახლში და წაუკითხავს პიესა „სამი ასული“. მიხეილ ქორელს შეუქია ახალბედა დრამატურგი, მშვენიერი სიმბოლისტური დრამა დაგინერიაო, მაგარამ ამ არეულ დროში ჩვენს მაყურებელში წარმატება არ ექნება. დღეს უფრო ისტორიული დრამები აინტერესებთო: ერისთავის „სამშობლო“, სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“. აქვე აღვნიშნავთ, რომ იბსენის, ჰაუპტმანის, მეტერლინკის პიესები ქართულ თეატრში პირველად ლადო მესხიშვილს დაუდგამს.

1918 წელს საფრანგეთიდან თბილისში, „თავისუფალი თეატრის“ დამაარსებლის, ანდრე ანტუანის მოწაფე, რეჟისორი გიორგი ჯაბადარი ბრუნდება. ჯაბადარი, დრამატული სტუდიის შესაქმნელად, ახალგაზრდა მსახიობებს აგროვებს. თავის მომავალ სტუდიას „ქართული თეატრის აღორძინება“ უწოდა. გიორგი ჯაბადარმა საქართველოში მყოფი საუკეთესო ძალები შემოიკრიბა. თეატრ-სტუდიის მთავარი რეჟისორი და სასცენო მეტყველების პედაგოგი თავად გიორგი ჯაბადარი იყო; ახალგაზრდები სასცენო ოსტატობას ვალერიან შალიკაშვილთან და კოტე შათირიშვილთან ეუფლებოდნენ, ისინი სტუდიის დამდგმელი რეჟისორებიც იყვნენ. რეჟისორის ასისტენტებად შაქრო ბერიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი მუშაობდნენ; პლასტიკასა და ცეკვაში სერგეი ვაკარეცი და ბაუერ-ზაქსი ავარჯიშობდნენ; ფარიკაობას ზ. ციციშვილი ასწავლიდა. ჯაბადარის სტუდიაში ახალბედების გვერდით თამაშობდნენ მსახიობები: ცაცა ამირეჯიბი, ანეტა ქიქოძე, გიორგი არადელ-იშხნელი, იუზა ზარდალიშვილი, მიხეილ გელოვანი, მიხეილ ჭიაურელი. პირველი წლის სტუდიელები იყვნენ: ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე გურგენიძე, ალისა ქიქოძე, მიხეილ ცინცაძე, დიმიტრი მჟავია, გიორგი სარჩიმელიძე, მიხეილ ხერხეულიძე, მიშა თუხარელი, ლადო ფანიაშვილი, კოტე სუმბათაშვილი, შოთა აღსაბაძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, პეტრე ცხაკაია, აკაკი ვასაძე და სხვები. ჯაბადარის სტუდია განთავსებული იყო „ქართული კლუბის“ სადეკორაციოსა და კულისებში.

გიორგი ჯაბადარი ანტუანის და ფრანგული სამემსრულებლო სკოლის მეთოდებს აუფლებდა სტუდიელებს. სამხატვრო თეატრის სკოლაგამოვლილი ვალერიან შალიკაშვილის ლექციებიდან ახალგაზრდები სტანისლავსკის სისტემის ელემენტებს სწავლობდნენ. რაც ნიშნავს სცენაზე ქვეტექსტს, მიზანს, გამოსახვის საშუალებას, ხასიათს, გარდასახვას, ბიოგრაფიასა და სხვა. აქტიორული ოსტატობის დაუფლებას დამატებითი საათები ეთმობოდა. პირველ წელს სტუდიელები მუშაობდნენ:

გედევანიშვილის პიესაზე „სინათლე“, ეჟენ ბრიეს დრამაზე „სარწმუნოება“, სუმბათაშვილის „ღალატზე“, ედმონ როსტანის „თეთრ ვახშამზე“ და სხვა.

გიორგი ჯაბადარი ცდილობდა ევროპაში არსებული თანამედროვე სათეატრო ჟანრები და მიმდინარეობები ქართულ სცენაზე დაემკვიდრებინა. სტუდიელებთან მუშაობის დროს საფრანგეთში მიღებულ ცოდნას გადასცემდა ახალგაზრდებს. ჯაბადარს გულწრფელად უკვირდა, ყველაფერ ახალს, მოდერნიზებულს საქართველოში დეკადენტობას რატომ არქმევდნენ. მას მაგალითად მოჰყავდა ომის შემდგომი რეპერტუარი საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში, სადაც იქმნებოდა და იდგმებოდა ბრიეს „სარწმუნოება“, ჯაკოსის „ვითა ფოთლები“, მეტერლინკი, ვანლენბერგი, როსტანი და ა. შ. ყველას რომ დეკადენტები შეეარქვათ, სად მივალთო? ჯაბადარს კარგად ესმოდა, რომ ახალი, თანამედროვე დრამატურგია ახალ გამოქმედებად სახველობით საშუალებებს, ხერხებს მოითხოვს: მსახიობისაგან, რეჟისორისაგან, სცენოგრაფისაგან. სტუდიელებთან და კოლეგებთან ფრანგული თეატრი მოჰყავდა მაგალითად და ამბობდა, რომ თეატრალური ტრადიციებით მდიდარი ფრანგული თეატრი მუდმივად სიახლეთა ძიებაშია. ანდრე ანტუანის მიგნებებზეც ესაუბრებოდა ახალგაზრდებს. მაგალითად, მიზანსცენების აგების პრობლემის ანტუანისეულ გადანყვეტაზე. ანტუანმა, ჯერ კიდევ XX ს. ათიან წლებში, მიზანსცენების აგება გეომეტრიული და ოპტიკური კუთხიდან განიხილა და შემდეგ დასკვნამდე მივიდა, რომ სცენაზე ყველაზე მოკლე მანძილი ორ წერტილს შორის პირდაპირი ხაზი კი არ არის, არამედ – მრუდე, ე. ი. ტემპის შეგრძნება სავალდებულოა არამარტო მეტყველების დროს, არამედ სცენაზე მოძრაობის დროსაც.

მეორე წელს სტუდიაში სამუშაოდ მიხეილ ქორელი მიიწვიეს. სტუდიელებს შეემატნენ: ელენე ციმაკურიძე, შალვა ლამბაშიძე და უშანგი ჩხეიძე. რეჟისორის თანაშემწედ ჯაბადარმა დოდო ანთაძე მიიღო. მიხეილ ქორელმა სტუდიური მუშაობა გამოაცოცხლა. მას, როგორც გამოცდილ რეჟისორს და ხელმძღვანელს უპირატესობა ჰქონდა გიორგი ჯაბადართან შედარებით და მალე წამყვანი ფიგურა გახდა სტუდიაში. იმ არეულ წლებში გიორგი ჯაბადარმა ვერ შეძლო გადაეჭრა თეატრ-სტუდიის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული, შემოქმედებითი საკითხები. მას აღარც სახსრები ჰქონდა, რაც შეეძლო, ყველაფერი სტუდიას შესწირა. 1919 წლის ბოლოს, გიორგი ჯაბადარი თვალცრემლიანი გამოეთხოვა სტუდიელებს და საფრანგეთში გაემგზავრა. ჯაბადარის წასვლით სტუდია, ფაქტობრივად, დაიხურა. სტუდიელებმა, ამხანაგობა დააარსეს და გასტროლები მოაწყვეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში.

1920 წლის აპრილში თბილისში საგასტროლოდ ჩამოდის მოსკოვის „სამხატვრო თეატრის“ დასის ნაწილი, ვასილ კაჩალოვის და ოლლა კნიპერ-ჩეხოვას მეთაურობით. მათ საგასტროლო რეპერტუარში იყო: ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“, ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, კნუტ ჰამსუნის „ალსავლის კარიბჭესთან“, და „ცხოვრების ბრწყინებები“ (კოტე მარჯანიშვილის დადგმული) და სცენები დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვებიდან“. „მხატვლების“ გასტროლები ქართული თეატრის მოღვაწეებს დაეხმარა, ეთხოვათ დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის, დღევანდელი რუსთაველის თეატრის შენობა შეესყიდათ „ქართული დრამისათვის“ და დოტაცია არა თეატრის დირექციისათვის, არამედ ახლად არჩეული „დრამატული საზოგადოებისათვის“ გადაეცათ.

რუსეთიდან ახალდაბრუნებული იყო ლადო ალექსი-მესხიშვილი. აკაკი ფაღავამ, მომავალი „ქართული დრამის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა, ვასო აბაშიძემ და ლადო მესხიშვილმა ნოე ჟორდანიას სთხოვეს, ქართული დრამისათვის სახელმწიფო თეატრი ენოდებინა. ამ თხოვნაზე მთავრობის თავმჯდომარეს უპასუხია: „შესძლებენ მერმე, ქართველი მსახიობები ასეთი მაღალი პრესტიჟის გამართლებასო?“ (ვასაძე აკ, 2010, გვ. 65).

„ქართულ დრამას“ შენობა შეუძინეს. „ქართულ დრამაში“ იმჟამად მოღვაწე თითქმის ყველა მსახიობი და რეჟისორი მოხვდა. მათ შორის იყვნენ „ჯაბადარელებიც“. რეჟისორთა დასაყრდენ ძალას სწორედ ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. 1920 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში, დღევანდელი რუსთაველის თეატრის შენობაში, შალვა დადიანის „გუშინდელნი“ გაიხსნა სეზონი. სპექტაკლი კარგად მიიღეს, მაგრამ შემდეგ წარმოდგენებზე დარბაზში მაყურებელმა იკლო. მაყურებლის მიზიდვის, შემოსავლის გამო თეატრის ხელმძღვანელობა იძულებული იყო ზედიზედ შეექმნათ ახალი სპექტაკლები. ყოველ კვირას ახალ პრემიერას თამაშობდნენ, სახელდახელოდ შეგროვილი ტრაფარეტული დეკორაციებით, ნაქირავები გარდერობით. ამგვარ შემოქმედებით ცხოვრებას კი, სტუდიურ მუშაობას მიჩვეული „ჯაბადარელები“ ვერ იღებდნენ. „ახალი დრამის“ აფიშაზე ამოიკითხავდით: სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ვალერიან გუნიას „აღლუმი“, ალ. დიუმას „მარგარიტა გოტიე“, სარდუს „მადამ სან-ჟენი“, ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“ და „სულელი“, სენკევიჩის „ვიდრე ჰზვალ უფალო“, ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?“, იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლი“, სანდრო შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“ და „ბერდო ზმანია“. რეპერტუარის ჩამონათვალი ნათელს ხდის, რომ „ქართულ დრამაში“ მუშაობდნენ როგორც კლასიკაზე, ასევე, თანამედროვე ევროპულ თუ რუსულ დრამატურგიაზე. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ძიებები მიმდინარეობდა საშემსრულებლო ხელოვნებაში ახალი ფორმებისა და ხერხების მისაგნებად. „ბერდო ზმანიას“ დადგმაზე ახალგაზრდა სანდრო ახმეტელი მიიწვიეს.

დასის ახალგაზრდობა იმედით შეხვდა დამწყებ რეჟისორს, რომელიც სანდრო შანშიაშვილის პიესას – „ბერდო ზმანია“ – დაგამდა. ქართულ ლიტერატურაში პირველ ექსპრესიონისტულ დრამას. მისმა დებიუტმა წარმატებით ჩაიარა და სპექტაკლმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე.

„ბერდო ზმანიას“ რეპეტიციების პერიოდში, როდესაც შემოქმედებითი ჯგუფი მიზანსცენებზე გადავიდა, რეჟისორმა მსახიობისაგან პლასტიკური მოძრაობები მოითხოვა. სანდრო ახმეტელის რეპეტიციები მიზანსცენებზე უფრო პლასტიკურ წვრთნას ჰგავდა. „მსახიობის სხეული ისე უნდა მეტყველებდეს, როგორც სიტყვა“, – ხშირად უმეორებდა ახმეტელი მსახიობებს. რეჟისორი გატაცებით უყვებოდა მსახიობებს 1912 წელს რეინჰარდტის გასტროლებზე პეტერბურგში, მის ცნობილ „ოიდიპოს მეფეზე“, ოიდიპოსის შემსრულებელ სანდრო მოისის სამსახიობო ხერხებზე. განსაკუთრებულად გამოყოფდა ოიდიპოსის თვალების დათხრის სცენას. სწორედ ამ პერიოდში ექსპრესიონისტული მიმართულება ყალიბდება ხელოვნებაში. გერმანულმა სათეატრო ექსპრესიონიზმმა – ჟანრებისა, ფორმების, ხერხების თვალსაზრისით, უამრავი ცვლილება, სიახლე, მიგნება შეიტანა გერმანულ თეატრალურ ხელოვნებაში და უდიდესი გავლენა იქონია მსოფლიო თეატრის განვითარებაზე. სანდრო ახმეტელი მრავალ საინტერესო ფაქტსა და მოვლენაზე ესაუ-

ბრებოდა ახალგაზრდა მსახიობებს, იმდროინდელი პეტერბურგისა და მოსკოვის თეატრალური ცხოვრებიდან. იმ პერიოდში რუსეთში, პირობითი თეატრის მიმდინარეობას სათავეში ვსევლოდ მიეერჰოლდი ედგა. სანდრო ახმეტელი ცდილობდა, ახალგაზრდებს წარმოდგენა შექმნოდათ მსოფლიოს მონინავე თეატრალურ მიმდინარეობებზე.

სანდრო ახმეტელმა მოკლედ გააცნო შემოქმედებით კოლექტივს „ბერდო ზმანიას“ მისეული კონცეფცია. რეჟისორს დეკორაცია შირმებში სურდა გადაენწყვიტა, მაგრამ მხატვარმა ვალერიან სიდამონ-ერისთავმა ვერ გაბედა მთელი დადგმის ამგვარად გადანწყვეტა და ფერწერულ დეკორაციასაც მიმართა. დიმიტრი არაყიშვილის მუსიკაც არ იყო რეჟისორის ჩანაფიქრის თანხვედრი. მოქმედ პირთა ტანსაცმელი სიმბოლურიც იყო და ისტორიულ-ეთნოგრაფიულიც. მიზანსცენებში უფრო ჩანდა პრინციპული ერთიანობა. მასობრივი და ცალკეული მიზანსცენებიც ბარელიეფის პრინციპებზე ააგო ახმეტელმა. მსახიობთა მეტყველებაში დეკლამაციური კილო ჭარბობდა. მიუხედავად ამისა, სპექტაკლი ქართული თეატრის მაშინდელი ცნობილი დადგმებისგან, გამომხატველი საშუალებებით გამოირჩეოდა. დადგმის მთავარი ძალა, ის, რასაც წარმოდგენა მიჰყავდა, სპექტაკლის სწორი ტემპო-რიტმის მონახვა და მოქმედებაში მისი თანმიმდევრული განვითარება იყო. იმ პერიოდის ქართულ თეატრში, ამგვარი ტემპო-რიტმით აგებული სხვა სპექტაკლი არ არსებობდა.

სამხატვრო თეატრი და მისი რეჟისურა, შემოქმედებითი მეთოდი და „მხატელ“ მსახიობთა სახელები ქართულ თეატრსა და საზოგადოებაში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. გამოცდილი რეჟისორები სიამაყის გრძობით ნერგავდნენ ქართულ თეატრში სამხატვრო თეატრის „რეალიზმს“, „განწყობას“, „პაუზებს“, რეპერტუარს. რაც მთავარია, გარკვეულ პიესებს სამხატვრო თეატრის მიზანსცენებითაც დგამდნენ. სანდრო ახმეტელი კი შემოქმედებითი ორიგინალობით განსხვავდებოდა, მაგრამ მხატვრული პრინციპები ჯერ არ ჰქონდა დახვეწილი. მის პირობით-სიმბოლისტურ სპექტაკლს ჩანაფიქრის სახე უფრო ჰქონდა, ამიტომაც პრაქტიკაში სრულყოფილად განხორციელება გაუჭირდა. ამასთან, მაშინდელი „ქართული დრამის“ დასის უმრავლესობა ყოველივე ახლს ეჭვის თვალით უყურებდა.

თეატრის ხელმძღვანელობამ სანდრო ახმეტელს ცაგარელის – „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ – ახალ დეკორაციებში აღდგენა დაავალა. სპექტაკლმა ვერაფერი შესძინა დამწყები რეჟისორის სახელს და არც თავად ახმეტელმა იშრომა ბევრი მის აღსადგენად. მარჯანიშვილის „ქართული დრამის“ თეატრში მისვლამდე, საინტერესო ახალგაზრდა რეჟისორის ს. ახმეტელის მოღვაწეობა ქართულ თეატრში დროებით შეწყდა.

ქართულ რეჟისურას უმაღლესი განათლება, სპეციალური ცოდნა, სამხატვრო თეატრსა თუ ევროპის თეატრებში ხანგრძლივი მუშაობით მოპოვებული გამოცდილებაც ჰქონდა. მაგრამ მან ვერ შეძლო ქართული თეატრი სრულად ამოეყვანა პროვინციალიზმის ჭაობიდან და მიენიჭებინა მისთვის მაღალი პროფესიული კულტურა. საამისოდ, რეჟისურისა და მხატვრული კოლექტივის ნიჭი და პირადი გამოცდილება არ იყო საკმარისი, საჭირო იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მხარდაჭერაც. ქართული თეატრი, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრივი ზრუნვის გარეშე არსებობდა და მისი „მეურვეც“ – ახლად არჩეული დრამატული საზოგადოებაც, „ქართული დრამის“ შემოქმედებით საკითხებში არ ერეოდა.

სამწუხაროდ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები კარგად ვერ აცნობიერებდნენ სათეატრო ხელოვნების მნიშვნელობას. დაფინანსება ძალიან მწირი იყო. უფრო მეტიც, მათ საქართველოში (1919 წ.) ზაქარია ფალიაშვილის პირველი ოპერის – „ახესალომ და ეთერის“ – შექმნის და დადგმის მნიშვნელობაც ვერ გააანალიზეს და გააცნობიერეს... დადგმა ხელისშემშლელ პირობებში განხორციელდა და ტექნიკურად აუნყოფელი სპექტაკლი ღამის ორ საათზე დასრულდა. იმდროინდელ განათლების მინისტრის მოადგილეს განუცხადებია: „მთელ ქართულ თეატრს ბალეტის ერთი ნომერი მირჩევნიაო“ (ვასაძე აკ., 2010, გვ. 57). ამ ფრაზით, მან დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამოკიდებულება გამოხატა ქართული ხელოვნებისადმი. ამისდამიუხედავად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1918-1921 წლების ქართული თეატრში ევროპულის მსგავსად, ძიებები მიმდინარეობდა, როგორც საშემსრულებლო ხელოვნებაში, ასევე დრამატურგიაში. ჩამოყალიბდა სტუდია, რომელშიც პირველი პროფესიონალი რეჟისორები და მსახიობები აღიზარდნენ. ეს კი, რა თქმა უნდა, კარგი ბაზა იყო რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული, თანამედროვე ქართული თეატრის რეფორმატორის, სარეჟისორო, ანსამბლური, სინთეზური თეატრის შემქნელი კოტე მარჯანიშვილისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვასაძე აკ., მოგონებები, ფიქრები, ტ. 1, „კენტავრი“, 2010
ვასაძე, მ., რობერტ სტურუას სათეატრო ენის სემიოტიკა, „კენტავრი“, 2016
კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ.1, თბ., 2001
კიკნაძე ვ., ცხოვრება სანდრო ახმეტელისა, თბ., 1986
ჩართოლანი გ., გიორგი ჯაბადარი ქართული თეატრის რეფორმის სათავეებთან, „თეატრი“, №1 (309), 2018

Marine Vasadze

Doctor of Art Study, Associate Professor

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

THEATRICAL GENRES, FORMS AND LANGUAGE IN GEORGIAN AND EUROPEAN THEATRE OF THE 1920S

Summary

Like the European, Georgian professional directing or the so-called „director’s theater“ is more than a century old. This implies that in general, the „director’s theater“ was founded in the 1880s – Ch. King, G. Craig, An. Antoine, O. Brahm, M. Reinhardt, K. Stanislavski, V. Meyerhold. On the global theatre map, these names are accompanied

by those of Kote Marjanishvili and Sandro Akhmeteli whose artistic pursuits started simultaneously with the birth of the first independent Georgian Republic.

At the beginning of the XX century, Tbilisi had turned into an oasis of intellectual and cultural world. At the same time, Russia started to experience political turmoil, accompanied by the overall economic downfall and followed by the start of the first World War in 1914. During those times, Georgia and Tbilisi were receiving strong „intellectual currents“ from Russia and Europe, absorbing and developing the same avant-gardist trends, that existed in the contemporary Europe and Russian culture and art – impressionism, naturalism, impressionism, expressionism, symbolism, futurism and the like. Like other European centres of culture, Tbilisi was a cultural centre, participating in the global cultural processes and moreover, contributing to them. Tbilisi was an integral part of the development of European artistic genres, which is an important factor.

Historical-typological and dialectic methods used for the analysis allowed analysing what kind of theatrical experiments were taking place in the contemporary Europe, Russia and Georgia.

World War I (1914-1918) brought not only physical and moral suffering to people but resulted in economic hardships. People were protesting, many took to the streets and artists depicted these processes in their works. Many welcomed the October Revolution as a salvation, a liberating event. In some European countries, (f. e. France, Netherlands), governments systems were changing. Likewise, the Russian Empire was starting to shake under the pressure of forthcoming changes accelerated by the war. Hence, Georgia being a province of the Russian Empire at the time, famous Georgian poets, writers, directors and other representatives of culture, welcomed the changes with certain eagerness, much as it happened in Russia. However, many realised their mistake quite soon and either emigrated to foreign countries or stayed and were imprisoned or executed after Sovietization.

Unfortunately, representatives of the first Georgian Republic government did not appreciate the importance of theatre art, allocating meagre finances to it. Moreover, they were not able to grasp the importance of staging the first Georgian opera „Abesalom and Etheri“ by Zaqaria Paliashvili in 1919. Despite these obstacles, in 1918, former pupil of Antoine and a recent returnee from France, Giorgi Jabadari and „MKHAT“ alumnus Valerian Shalikashvili, established a drama studio in Georgia. The academic repertoire, theatre genres and forms applied in directing, acting and scenography were identical to those existing in Europe and Russia.

Around the time, Sandro Akhmeteli starts his first directing acts and the greatest director of all the times and of global importance, Kote Marjanishvili, returns from Russia. It was Kote Marjanishvili, jointly with great Georgian actors and directors, who, on the basis of the first promotion of the drama studio, built the phenomenon that is called „Georgian Theatre“ today.

ლაშა ჩხარტიშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტიკური და შემოქმედებითი ქაოსი ქართული თეატრის
სცენაზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში
(1918-1921)

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით განსაკუთრებით აქტუალურია 1918-1921 წლების ქართული თეატრი. მეტადრე ეს პერიოდი საფუძვლიანად არ არის შესწავლილი ქართველი თეატრმცოდნეების და თეატრის ისტორიკოსების მიერ. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე წერილს, ან მოკლე მიმოხილვას აღნიშნულ პერიოდზე.

ქართული სათეატრო შემოქმედებით-პოლიტიკური ცხოვრება დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ბევრ საგულისხმო ისტორიას და მნიშვნელოვან ფაქტს ინახავს, რომელიც თავისი თვისობრიობით არც დღეს კარგავს აქტუალობას. მე-20 საუკუნის დასაწყისის მოვლენების ანალოგებს ვპოულობთ მე-20 საუკუნის 90-იან წლებშიც, მაშინ, როცა საქართველო კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

სამეცნიერო კვლევა ეფუძნება ინდუქციურ მიდგომას. კვლევისას გამოყენებულია კონტენტ-ანალიზის მეთოდი. კვლევა ეყრდნობა ძველ წერილებს, დღიურებს, საგაზეთო სტატიებს, რეპორტაჟებს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით 1918-1921 წლების ქართულ თეატრზე საკმაოდ მცირე სამეცნიერო ლიტერატურაა შექმნილი. ფაქტობრივად ვასილ კიკნაძის მონოგრაფიის „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის“ (ტომი 1) გარდა, არ არსებობს თანამედროვე, საბჭოთა ან პოსტსაბჭოთა პერიოდის მონოგრაფია, გაკვლევა ამ პერიოდზე. ჩვენი ნაშრომი სწორედ იმ პერიოდის თანამედროვე თეატრის მოღვაწეთა მოგონებებს, პრესას და არქივს ეფუძნება. ნაშრომში გამოყენებულია უშანგი ჩხეიძის, ვალერიან გუნიას, აკაკი ვასაძის და სხვათა მოგონებები; იმ პერიოდის პრესა (გაზეთები და ჟურნალები).

1918 წელს იწყება „მუდმივი თეატრის“ ისტორიის ახალი ეტაპი. მას ქართული დრამის თეატრი ეწოდა. პროცესები, რომელიც იმჟამად მიმდინარეობდა უაღრესად წინააღმდეგობრივი და მრავალფეროვანი იყო. პოლიტიკურმა ქაოსმა და მრავალპარტიულმა დაპირისპირებებმა ხელი შეუშალა ეროვნული ცნობიერების გამთლიანებას. ხალხი საუკუნეობით გადასჩვეოდა დამოუკიდებლობას და ამიტომ უჭირდა ახალ პირობებთან შეგუება.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ქართულ თეატრში რეფორმისტულ მუშაობას ეწეოდნენ პირველი ქართველი პროფესიონალი რეჟისორები: ალ. ნუნუნავა, მის. ქორელი, ვალ. შალიკაშვილი, აკ. ფალავა და სხვები. 1918 წლიდან აფიშაზე ჩნდება ალექსანდრე ახმეტელის სახელი. ექსპერიმენტული ძიებები, რომლებიც პროფესიონალმა რეჟისორებმა დაიწყეს, გაგრძელდა 1918-1921 წლებშიც. მაგრამ განვითარების კულმინაციას ოდნავ მოგვიანებით მიაღწია. განსაკუთრებით

ეს კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემოქმედებაში გამოვლინდა. ეს ძიებები საბოლოოდ პოლიტიკური პორცესების – რეპრესიების დაწყების შედეგად, 1933 წელს დასრულდა.

1917 წლის 30 აპრილს გაიმართა მსახიობთა ყრილობა პროფესიული კავშირის დასაარსებლად. ყრილობას უძღვებოდა ალ. წუნუნავა, თავმჯდომარედ აირჩიეს კოტე ანდრონიკაშვილი. შედგა 1917-1918 წლების სეზონის სამუშაო გეგმა. ყრილობამ რეჟისორად მოიწვია ვალ. შალიკაშვილი. სეზონი გაიხსნა ვალ. შალიკაშვილის პიესით „გადაჭრილი მუხა“.

1918 წელს ალექსანდრე წუნუნავამ შეადგინა სახელმწიფო დასი, რომელსაც დაენიშნა თვიური ხელფასი. ამ ფაქტს მანამდე მოსამზადებელი სამუშაოები უძლოდა, რომელსაც ალექსანდრე წუნუნავა ხელმძღვანელობდა, ხოლო 1920 წლის 4 ივლისს შეიკრიბა დრამატული საზოგადოების რეჟისორთა კოლეგია. კოლეგიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ლადო მესხიშვილი, ალექსანდრე წუნუნავა, აკაკი ფალავა, მიხეილ ქორელი და ალექსანდრე ახმეტელი. სხდომას უძღვებოდა ალექსანდრე ახმეტელი. კოლეგიამ განიხილა რეპერტუარის საკითხი. თეატრის ისტორიკოსი, ვასილ კიკნაძე წერს: „კოლეგიაზე დაასახელეს 40-მდე პიესა. საოცრად ეკლექტური იყო ეს რეპერტუარი, ყველაფერი ერთად იყო ჩაყრილი. ეს კი სურათს ხატავს რა მდგომარეობაში იყო მაშინდელი თეატრი“ (კიკნაძე, 1986, გვ. 69).

1917 წელს ვახტანგ გარეკმა გამოქვეყნა წერილი „ხელოვნება თავისუფალ საქართველოში“. ეს წერილი ერთგვარი პროგრამული ხასიათის კვლევაა იმ პერიოდის ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებზე. თეატრზე ის წერდა: „ეს იყო ერთგვარი სახლი, სადაც ქართველ ადამიანს ესმოდა ქართული ენა, ხედავდა თავის წინაპართა გმირულ საქმეს და ნათლად გრძნობდა სამშობლოს სულისკვეთებას“ („საქართველო“ №4, 1917), მაგრამ ისტორიულად ამ უცილობელმა მისიამ ქართული თეატრი ჩამოაშორა ესთეტიკურ პრობლემებზე ზრუნვას. იგი იყო საგანმანათლებლო, იყო ცხოვრების სარკე, სოციალურ-ეროვნულ მოძრაობათა ტალღაზე, მაგრამ არ ეცალა ეზრუნა სტილურ მრავალფეროვნებაზე.

დამოუკიდებელმა საქართველომ მემკვიდრეობად მიიღო ისეთი თეატრი, რომელიც იბრძოდა განახლებისთვის. ეძებდა კრიზისული მოვლენებიდან თავის დაღწევის გზას.

დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში საქართველო მრავალპარტიულ ქვეყანას წარმოადგენდა. თეატრში კი იწყებოდა ახალი ბრძოლის ტალღა – რეჟისურის დამკვიდრებისთვის. ამ პერიოდს დაემთხვა პირველი პროფესიონალი რეჟისორების მოსვლა ქართულ თეატრში, რომლებიც ცდილობდნენ ახალი ესთეტიკის დამკვიდრებას, რაც ჟანრობრივ მრავალფეროვნებასთან ერთად, მეთოდოლოგიურ რეფორმებსაც გულისხმობდა თეატრში. რეჟისურის ხელოვნებას უნდა ჩაენაცვლებინა თეატრში გამეფებული მსახიობის ინსტიტუტი, რაც არ იყო იოლი. ყველა მსახიობს თავისი მხარდამჭერი ჰყავდა მთავრობაში, რეჟისორებსაც თავიანთი ფავორიტები პოლიტიკოსთა შორის და მათი პოლიტიკური სიმპათიებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ამ გემოვნებისა და სიმპათიების განსხვავებულობამ ბევრი პრობლემა შექმნა თეატრშიც. ერთადერთი რაზეც ახალი თაობის რეჟისორები თანხმდებოდნენ – რეჟისურის ინსტიტუტის დომინანტობა – იყო. ამიტომაც თეატრს არ ჰქონდა ერთიანი, სისტემური, თანმიმდევრული მხატვრული

სახე. „ამ დიდ მოძრაობაში ისტორიამ რეჟისორს დაავალა გართულებული თეატრალური ცხოვრების მეთაურობა. ქართველმა რეჟისორებმა უყოყმანოდ მიიღეს ეს ისტორიული მისია. საქმის წარმატებას მრავალი ფაქტორი უშლიდა ხელს: მძიმე მატერიალური პირობები, უბინაობა, სახელმწიფოსგან გულგრილობა, გადასაწყვეტი იყო მრავალი შემოქმედებითი, ორგანიზაციული და ამინისტრაციული პრობლემა.“ (კიკნაძე, 1982. გვ. 133).

1917-1918 წლების სეზონში დაიდგა ნ. შიუკაშვილის „სულელი“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს ველარ ნახავ“, უ. შექსპირის „ჭირველი ცოლის მორჯულება“, გ. ჰაუტმანის „მეეტლე ჰენშელი“, ლ. ანდრეევის „დღენი ჩენი ცხოვრებისა“, ვ. გუნიას „აღლუმი“ და „და-ძმა“, გ. სუნდუკინის „პეპო“, ყაზბეგის „ქეთევან ნამებული“. მომდევნო სეზონებზე რეპერტუარში გაჩნდა ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“, ჰ. ჰეიმანის „იმედის დაღუპვა“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, „ანტიგონე“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, შ. დადიანის „გუშინდელნი“, ბ. ლავრენიევის „რდევავ“ ვ. კირშონის „პური“, უ. შექსპირის „მაკბეტი“, ე. ტოლერის „კაცი-მასა“, ჰ. იბსენის „ნორა“, ჰ. ჰაუპტმანის „ჰანელე“, ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“ და სხვა მრავალი.

1918-1921 წლების ქართული თეატრის რეპერტუარის შესწავლისას იხატება სურათი, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენს. რეპერტუარს აკლია ერთიანი კონცეფცია, საერთო თემატიკა, ერთი იდეის გარშემო გაერთიანება. სხვადასხვა რეჟისორი სხვადასხვა პრობლემაზე სვამს აქცენტს. სამაგიეროდ ინერგება ახალი ხედვა თეატრის განვითარებისა, რომელიც შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა.

დამოუკიდებელი საქართველოს თეატრის რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო, არა მხოლოდ ავტორთა თვალსაზრისით, არამედ ჟანრობრივაც. ამ პერიოდში ვხვდებით ქართულ, დასავლეთ ევროპულ და რუსულ თანამედროვე და კლასიკურ პიესებს. ჟანრობრივად კი: ტრაგედიებს, ყოფით დრამებს, სოციალურ კომედიებს, ვოდევილებსა და ფარსებს. მათგან ბევრი საეჭვო მხატვრული ხარისხის ნაწარმოებია, თუმცა ვხვდებით გამორჩეულ ავტორებს მნიშვნელოვანი პიესებით.

მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის თეატრში იჭრება მოდერნისტული სტილი. ამ მხრივ, გამორჩეულია 1919 წელს დადგმული ი. გედევანიშვილის „სინათლე“, რომელსაც ფარო გამომხაურება მოყვა პრესაში. სპექტაკლზე საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი შეიქმნა, რაც გამოწვეული იყო აქამდე უჩვეულო თეატრალური სტილით, ახლებური განათებით, სცენოგრაფიით და მუსიკალური გაფორმებით. რაც ყველაზე მთავარია: სპექტაკლი გამოხატავდა დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში არსებულ პოლიტიკურ და შემოქმედებით ქაოსს.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1920-1921 წლების სათეატრო სეზონში მიხეილ ქორელის მიერ განხორციელებული შალვა დადიანის „გუშინდელნის“ დადგმა. ეს იყო ამ პიესის პირველი სცენური ინტერპრეტაცია, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა და ეს წარმატება თითქოს საუკუნეებია თან სდევს მას.

შ. დადიანის „გუშინდელნით“ გაიხსნა 1920-1921 წლების ქართული თეატრის სეზონი. სპექტაკლის შესახებ დოდო ანთაძე (შემდგომში ცნობილი რეჟისორი) წერდა: „სპექტაკლში მონაწილეობდნენ ჩვენი საუკეთესო ძალები, რომლებმაც შესან-

იმნავად გაითამაშეს ეს ნიჭიერი კომედია. მსახიობები თამაშობდნენ მონდომებით, შეწყობილად. ანსამბლურობა ამ სპექტაკლში სასვებით იყო მიღწეული. სასაცილონი იყვნენ და თან გულსიტკივილს ინვედნენ სცენაზე განსახიერებელი პერსონაჟები, ზედმინვენით რეალისტურად იხატებოდა მაყურებლის წინ ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრება, მისი ჭირ-ვარამი, მოქმედება მკვირცლად ვითარდებოდა, გაისმოდა მოხდენილი დიალოგი, ყოველი მოქმედი პირი მისთვის დამახასიათებელი ენით გადმოგვცემდა თავის განცდებს და ფიქრებს. სპექტაკლს ეტყობოდა მცოდნე რეჟისორის ხელი. არა მარტო მსახიობთა შესრულებაში, მათ ცხოველ ურთიერთობაში, არამედ მრავალ წვრილმანშიც იგრძნობოდა მიხეილ ქორელის დაკვირვებული, გემოვნებით აღსავსე რეჟისორული მანერა, დადგმის სტილი ჰარმონიულად შეწყობილი იყო თვით პიესის ბუნებასთან, მას ახასიათებდა სიმსუბუქე და სისადადავე, სიმკვირცხლე და თბილი, ოდნავ სევდიანი იუმორი. მსახიობები შესანიშნავად თამაშობდნენ..“ (ანთაძე, 1962, გვ. 82).

შალვა დადიანის არანაკლები გამოხმაურება და წარმატება ჰქონდა სანდრო ახმეტელის მიერ დადგმულ სიმბოლისტურ-ექსპრესიონისტულ პიესას „ბერდო ზმანია“. პიესა ალექსანდრე (სანდო) შანშიაშვილმა 1916 წელს დაწერა. ის 1920 წელს დაიდგა. სპექტაკლმა დიდი რეზონანსი გამოიწვია, რაც მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. სპექტაკლში დადგმის სრულიად ქართული თეატრისთვის სრულიად ახალი, განსხვავებული სტილისტიკა გამოიკვეთა. ამ სპექტაკლში ს. ახმეტელი ეძებდა ძლიერ პიროვნებას, რომელიც ებრძვის არსებულ სიტუაციას. მოგვიანებით ს. ახმეტელი ე.წ. „გმირულ-რომანტიკულ“ თეატრს ქმნის, რომელიც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონცეფციით პოლიტიკური, ხოლო ფორმით ნაციონალური (ქართული) თეატრი იყო. მისი სპექტაკლი პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანებოდა და ასახავდა იმ რეალობას, რაც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში იყო. ს. ახმეტელმა ამ სპექტაკლით გარკვეული გარდატეხა მოახდინა თეატრში: „გადალახა დეკორაციული შაბლონი, მან მოშალა რამბა ისე, რომ სცენა და პარტერი გააერთიანა. სცენა გაანათა არა რამპიდან, არამედ მალლიდნ, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა სცენის ილუზია“ (კიკნაძე ვ, 1982, გვ. 150). ლიტერატურის კრიტიკოსის შალვა აფხაიძის თქმით, „ეს იყო სრულიად ახალი სიტყვა ჩვენს სათეატრო ხელოვნებაში. სცენა პირველად ამღერდა მუსიკით, არტისტმა პირველად იგრძნო თავისი სხეული, როგორც შემოქმედებითი მასალა. ამ სპექტაკლში ს. ახმეტელმა პირველად შეამზადა ნიადაგი ჩვენში სინთეზური თეატრის შექმნისთვის. იგი გამოჩნდა, როგორც მონუმენტური თეატრის ანსამბლის და არა ინდივიდუალური თეატრის ვიზიონერი“ (კიკნაძე ვ, 1964, გვ.12). სპექტაკლმა აზრთა სხვადასხვაობა რომ გამოიწვია, ბუნებრივი იყო იმიტომ, რომ ანგრევდა თეატრალურ შტამებს, ქმნიდა ახალ, განსხვავებულ თეატრს, უცხო იყო თავად ჟანრიც – სიმბოლიზმი. ამავე სპექტაკლზე მსახიობი უშანგი ჩხეიძე წერდა: „განსხვავდებდა იმჟამინდელი მთელი ქართული თეატრისგან, კარგად ორგანიზებული და გამართული მასიური სცენებით, მსახიობების თამასში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული მათი მოძრაობის პლასტიკურობას, ჟესტს და საერთოდ მათი თამაშის გარეგნულ ფორმას, რაც თუ არ ვცდები უფრო პირობითი იყო, ვიდრე სხვა დადგმებში. სპექტაკლში შეტანილი იყო აგრეთვე ცეკვები. ეს სპექტაკლი ახალ ელფერს ატარებდა. ეს იყო მკვეთრი შუქი სიახლის“ (ჩხეიძე უ, 1975, გვ. 67).

აზრთა სხვადასხვაობის მიზეზს საინტერესოდ ხსნის მსახიობი და რეჟისორი აკაკი ვასაძე, რომელიც თავის მოგონებებში წერს: „ეს პიესა, მაშინ, უჩვეულო ფორმით დაწერილი მოგვეჩვენა. ვერ მივხდით, რომ საქმე გქვონდა ექსპრესიონისტულ დრამასთან ქართულ ლიტერატურაში. სანდრო ახმეტელი ამ დადგმით ცდილობდა ეჩვენებინა ჩვენთვის და რალაც წარმოდგენა მაინც გქვონოდა მსოფლიოს თეატრალურ მონინავე მიმდინარეობებზე.“ (ვასაძე აკ, 1974, გვ. 107).

არანაკლები ცვლილებები განხორციელდა საოპერო რეჟისურაში. ამ ცვლილებებს სათავეში სანდრო ახმეტელი ედგა. მისი რეფორმატორული ხედვა გამოვლინდა დიმიტრი არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დადგმაში. მაშინდელი პრესა წერდა, რომ ახმეტელმა „სრულიად ახალი მიზანსცენები შემოიტანა, გუნდის ჩაცმულობაც სხვაგვარი იყო, უფრო დაახლოებული ქართულ ყაიდასთან. საქებარია ს. ახმეტელის დაკვირვებული მუშაობა და სასცენო გემო“ („თეატრი და ცხოვრება“, 1920, გვ.15). ამავე სპექტაკლზე მეორე რეცენზიაც გამოქვეყნდა, რომელშიც რეჟისორს მაღლობას უხდიან ორიგინალური დადგმისთვის („თეატრი და ცხოვრება“, 1920, გვ.14). სწორედ ამ პერიოდში, ს. ახმეტელისავე სიცოცხლეში მის მიმართ გაჩნდა ეპითეტები: „ორიგინალური“, „ეროვნული“, „ნოვატორული“...

დამოუკიდებელი საქართველს პერიოდის თეატრს და შექმნილ პოლიტიკურ-შემოქმედებით ქაოსს ასე აფასებს თეატრის ისტორიკოსი ვასილ კიკნაძე: „XX საუკუნის დასაწყისიდან ახალ ქართულ საბჭოთა თეატრამდე განფენილი დრო რთულია არა მარტო პოლიტიკური და ღრმა სოციალური ძვრებით, წინააღმდეგობებით, სხვადასხვა სოციალური ფენის დაპირისპირებით, არამედ დაძაბული კულტურული ცხოვრებითაც. თეატრის განვითარების გზაც ზიგზაგობრივია და მასში საცნაური თვით ცხოვრებით ნაკარნახევი პროცესები. ამ პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია რეჟისურის წარჩინება და მისი ბრძოლა თეატრალური აზროვნების ახლი ფორმების დამკვიდრებისათვის“ (კიკნაძე ვ, 1982, გვ. 155). სწორედ ამ ბრძოლის მაგალითია 1918 წლის საქართველოს პარლამენტის 50-ე სხდომის გამოსვლის ჩანაწერი, სადაც სათეატრო საკითხები იხილებოდა (სხდომა ჟანრებზე კამათს მიეძღვნა). პარლამენტის წევრი იყო ჟურნალისტი, პოლიტიკოსი და რეჟისორი სანდრო ახმეტელი. ამ ჩანაწერიდან ირკვევა, ალექსანდრე ლომთათიძე წინააღმდეგი იყო თბილისში ოპერეტის თეატრის გახსნის, რომელსაც დიდი წინააღმდეგობას უწევდა სანდრო ახმეტელი: „რატომ არ გინდათ, რომ დემოკრატია სიმღერა გაიცნოს? მე შემძლია ვისმინო ფარსი, ვისმინო დრამა და ამავე დროს ოპერეტა, კომიკური რამ. რატომ გგონიათ, რომ ოპერეტა გარყვნილია? რატომ შეიძლება დრამა იყოს თავისუფალი გადასახადიდან და ოპერეტა არა? რაც შეეხება იმას, რომ ბალეტს დაედოს გადასახდი: ეს უფრო გასაკვირია ჩემთვის, მით უფრო, რომ ბალეტი ისეთივე საჭიროა ჩვენი აღზრდისთვის, როგორც დრამა და ოპერა. ბალეტი იმიტომ ხომ არაა მიუღებელი თქვენთვის, რომ იგი ქორეოგრაფიული მოქმედებაა, ხოლო დრამასა და ოპერეტაში ლაპარაკობენ და მღერიან?“ (კიკნაძე ვ, 1986, გვ.43). ამ ბრძოლაში მაშინ სანდრო ახმეტელმა გაიმარჯვა, კენჭისყრის შედეგად ოპერეტის განმარტებაში ამოიშალა სიტყვა გარყვნილი. ასევე ბალეტი და ოპერეტა გათავისუფლებულდა გადასახადიდან.

დამოუკიდებელმა საქართველომ მემკვიდრეობად მიიღო ისეთი თეატრი, რომელიც იბრძოდა განახლებისათვის, ეძებდა კრიზისული მოვლენებიდან თავის დაღწ-

ევის გზებს. „თითქოს უცნაური რამ ხდება! ქართველ ხალხს აუსრულდა რისთვისაც იბრძოდა, სისხლს ღვრიდა, ოცნებობდა და აი, უცებ ქვეყანა თითქოს დაიბნა, გაოგნდა, მოუმზადებელი აღმოჩნდა დამოუკიდებლობისთვის. მეტად რთული იყო ქვეშევრდომული ფსიქოლოგიიდან გათავისუფლება, ეროვნული კონსოლიდაციის მიღწევა, რადგან საზოგადოება სხვადასხვა პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ ერში არ ჩანდა ყველაზე დიდი იდეალები, რის გამოც უნდა გაერთიანებულიყვნენ“ – წერდა ვასილ კიკნაძე 2001 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“ (ტ. 1, გვ. 437). სამწუხაროა რეალობაა, რომ ისტორია მეორდება, ვინაიდან 1991 წელს, როცა საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა და გახდა თავისუფალი, ქართული თეატრი კვლავაც ინერციით აგრძელებდა მეტაფორის ენით დიქტატურაზე საუბარს, მაშინ, როცა საქართველოს სახელმწიფომ სრული თავისუფლება მოიპოვა. ქართული თეატრის წინაშე 1918-1921 წლებში და 1991 წელსაც თეატრს გაუჭირდა აქტუალური თემების მოძებნა, ახალი მხატვრული პრობლემების და ფორმების მოძიება, რაც გაცილებით მწვენილოვანი იყო, ვიდრე ინერციით თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეა მეტაფორის ენით.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში პოლიტიკურ-შემოქმედებითი ქაოსის პარალელურად, ქართულ თეატრში განხორციელდა შემდეგი პოზიტიური მოვლენები:

1. ჩამოყალიბდა სახელმწიფო ქართული დასი (1918 წ.);
2. თეატრში მოვიდა პროფესიონალ რეჟისორთა პირველი თაობა (1917 წ.);
3. მომავალი პროფესიონალი კადრების აღზრდისთვის შეიქმნა სასცენო ხელოვნების სტუდია და ჩატარდა პირველი მისაღები გამოცდები (1918 წ.);
4. შეიქმნა და სცენაზე დაიდგა პირველი ქართული ოპერები, რომელმაც ტრადიცია დაუდო რეჟისორულად გააზრებული საოპერო დადგმების ტრადიციას (1918-1920 წწ.);
5. განხორციელდა არაერთი შემოქმედებითი ექსპერიმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანთაძე დ., დღეები ახლო წარსულისა, თბ., 1962, ტ 1
ვასაძე აკ., მოგონებები, ფიქრები, „საბჭოთა ხელოვნება“, 1974, №7
კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ.1, თბ., 2001
კიკნაძე ვ., ცხოვრება სანდრო ახმეტელისა, თბ., 1986
კიკნაძე ვ., ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1982
კიკნაძე ვ., სანდრო ახმეტელი, თბ., 1964
გარიკი ვახტანგ, „ხელოვნება თავისუფალ საქართველოში“, გაზ. „საქართველო“, №4, 1917
ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920, №2
ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920, №4

Lasha Chkhartishvili
PhD in Arts, Assistant Professor
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

POLITICAL AND CREATIVE CHAOS ON GEORGIAN STAGE IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (1918-1921)

Summary

New stage of theatre's history starts in 1918, it was called Georgian drama theatre. Processes going through that period were really tough and diverse. Political chaos and multi-party confrontation was a barrier for uniting the national consciousness. People became unaccustomed to sovereignty for centuries so adaptation to new environment was very hard.

Before the sovereignty was declared, the first Georgian professional reformist theatre directors were : Al. Tsutsunava, Mikh. Koreli, Val. Shalikashvili, Ak. Paghava, and others. The experimental researches took place in 1918-1921 as well.

The main subjects of our research is finding answers to questions such as: what did the theatre gain from the sovereignty? Did it cause any kind of development of the theatre? What kind of crucial activities have been detected and what was the reason for that? What kind of base did these activities create for new Georgian theatre? During research we discovered that in that period rather than solving aesthetic problems, theatre had already become political tribune. Multi-party and inner contradictions really became obstructive for unification around common idea. V.Garick published a letter: „Art in Free Georgia“ in newspaper: „Georgia“ in 1917. This letter is a kind of program modelled type of research about ongoing processes of Georgian art in that period. That is what he was writing about theatre: „It was like a house, where a Georgian could hear the Georgian language, could see his ancestors' heroism and clearly feel aspiration for homeland“, but according to history the above mentioned mission kept Georgian theatre apart from caring about aesthetic problems. It was educational, was a mirror of life, was on the top of social-national movement but didn't have spare time to think and care about stylistic diversity.

Independent Georgia received the theatre as a heritage. The theatre had been fighting for renovation, was searching for the right ways of critical situations. The first generation of the professional directors stepped in the theatre in that current period they were fighting to establish the new theatre. This battle was not easy, it was followed by resistance.

In the process of researching Georgian theatre repertory of 1918-1921, we have the clear reflection of the political life of that period. The repertory has a lack of thematic wholeness, unification around one main idea. Each director focuses on different problem. On the other hand, new theatrical vision was being implemented and this process was long-term.

The modern style breaks in the Georgian theatre in the period of sovereignty. The best example is „Light“ directed by I.Gedevanishvili in 1919 which was followed by huge response in media. Contrastive thoughts had been spread in the society about this play that was caused by the unusual, unique theatrical style for that period, by the modern stage lighting, by scenography and music. The most important thing to mention is that the play was expressing political and creative chaos existing in the period of independent Georgia.

Anar Yerkebay
PhD in Art History, Associate Professor
Kazakh National Arts Academy named after T. Zhurgenov

THE GEORGIAN THEATER OF THE INDEPENDENCE PERIOD: A VIEW FROM THE SIDE

The period that entered the history of Georgia as the period of independence of the Georgian Democratic Republic covers 1918-1921. During this short but historically important period, there have been changes not only in the political, social, but also in all the spheres of spiritual and cultural life of the country. The long-term scenic art of Georgia, despite the difficult situation in the country, continued to work and develop new trends in art. One of these centers was the Georgian Drama Society, which organized a theater studio that was headed by the renowned Georgian director Giorgi Jabadari, who had returned from France. G. Jabadari staged the „The Faith“ by E. Brieux, „The White Dinner“ by E. Rostand, „The Treason“ of A. Yujin-Sumbatoff and others. Although the studio existed for only two years, during this time, it revealed a galaxy of talented young actors and contributed to its creative growth. From this studio came the famous later masters of the Georgian theater like Veriko Andjaparidze, Ushangi Chkheidze, Dodo Antadze, Akaki Vasadze, Shalva Gambashidze, Mikhail Gelovani and others (Kiknadze, 1982, p. 184).

In October 1920 in Tbilisi, director A. Pagava and the playwright N. Shiukashvili assembled the troupe and opened the season of the State Drama Theater with Shalva Dadiani's play „Yesterday's“ directed by M. Korelli. In 1920, director Sandro Akhmeteli staged the experimental play „Berdo Zmania“ based on S. Shanshiashvili's play. Even then Akhmeteli tried to realize the most important of Fuchs's ideas – the design of scenic space with the help of architectural and pictorial forms. For the director was the main desire to merge into one whole the word and the plastic of the actor, artistic design, choreography, rhythm, music and light. It was also important to create actors' ensemble, because the expressive folk scenes acquired tremendous importance in the play. In February 1921, the Bolsheviks came to power and a new era began. But, the independence of the country in 1918-1921 prompted theatrical art to speak in a new way.

The second independence of Georgia from Russia came in 1991.

The collapse of the Soviet Union was one of the most significant events of the late XX century. Many countries gained sovereignty, a new era of history began. For countries that were in the conditions of forced integration for 70 years, the opportunity was opened to declare the world community themselves as new, independent, democratic, secular states. With the gaining of independence, each of the states of the former USSR expanded its cultural borders, established cultural ties with the near and far abroad.

International theatrical festivals were held not only with the participation of representatives of post-Soviet countries, but from Europe and America. Theatrical groups have significantly expanded the opportunity to participate in international events.

For today, festivals, competitions and other cultural projects that are the objects of cultural cooperation, realize their potential, using all the traditions of building a trade dialogue. In comparison with the Soviet period, in modern times, cultural cooperation goes hand in hand with democratic transformations in the country and global integration processes. Since the 1990s, a new stage in the development of a humanitarian dialogue is beginning, which based on long-term traditions of cultural cooperation.

Creative relationships between Georgia and Kazakhstan are developing intensively in recent years. At festivals in Almaty and Astana, the audience got acquainted with the colorful theatrical art of Georgia. The art of Georgia as a country which is not a part of the CIS, quickly absorbed the Western vector of development and joined the European festival movement. Today in Georgia there are several major world-class festivals and various international theater projects are being realized.

One of such festivals is the Tbilisi International Theater Festival, held since 2009, which unites creative artists and paves the bridge between the theatrical art of Europe and Asia.

The main program of the Tbilisi International Theater Festival is the Georgian Show Case, which aims to integrate the national theater into the world cultural space. In addition, this festival opens new opportunities for theatrical figures in the exchange of experience, coproduction of plays with foreign colleagues, etc. The program of the festival presents not only new productions, but also a new drama, modern choreography, creative experiments.

Indeed, the Georgian Show Case perfectly performs its role. Foreign guests and festival participants, directors, producers and managers inspire this program and upon their arrival in their countries they implement plans for cooperation with their Georgian colleagues. This contributes to creative progress, the development of competitiveness among national theaters. Therefore, the practical significance of this program is enormous (World Festivals., 2017., p. 432).

The Kazakh theaters have not yet participated in the theater festivals in Georgia, but theater critics plays an important role in the connections between the two countries' theaters. Kazakh theater critics several times took part in the unique Georgian Show Case program and witnessed interesting productions.

We noticed that the Georgian theater, which has rich centuries-old traditions during the years of independence, has mastered new vectors of development, new stage stylistics, and opened new names. We had the opportunity to watch the performances of world famous stage masters like Robert Sturua, Rezo Gabriadze, as well as Levan Tsuladze, David Doyashvili, Dato Tavadze, Mikhail Charkviani, Irakli Gogia and other directors.

I especially want to mention a young 25-year-old director David Tavadze, who is already well known not only in Georgia, but also abroad. His staging of „Prometheus: 25 years of Independence“ represents the history of Georgia through eight characters-symbols. On the stage, four guys and four girls of the same age of independence tell their stories. Each of the characters is chained, as if the hero of the ancient drama Prometheus. A bold decision of political tragedy gives answers to many questions of modern spectators.

It is interesting that the age of the characters and the years of independence of the country coincide with each other. The young people on the stage are the new generation of a new country in which it is necessary to grow and develop, to form and become an independent person. Their main question is to find the line between human freedom and independence of the country. Did independence really bring the freedom that is necessary for the spirit of mankind? Is the person independent, independent from the circumstances, from any social regime, from the social burdens of life? Or a person is like in the myth of Prometheus, who is a symbol of proud and rebellious humanity, despite the fact that no elemental forces of nature or spirit are afraid of him, yet the freedom of the spirit is still chained to the rock? Whatever you say, every myth grew out of reality and still nourishes it. These questions and answers to them became the main leitmotif of Dato Tavadze's performance.

The author and the director of the play is playwright David Gabunia. Set designer – Ketik Nadibaidze. Actors: Magda Livanidze, Kato Kalatozishvili, Yako Chilaya, Keta Shatirishvili.

Through the fate of modern heroes of the play theater rises to understanding people's tragedy, to explain the moral sources of their historical destiny, finding along the way great strength and certainty of social analysis. In the play, the struggle of world-views, the struggle of characters, temperaments, the struggle of good and evil in the soul of a person are firmly tied to a specific period of people's history – the last 25 years of the country. In the development of the action of the play the characters themselves note in passing time milestones of rising events. The director and actors, first of all, are interested in the turning points of the heroes' fate, from which it is necessary to draw deep moral and emotional lessons.

On the stage, two white walls, which restrict freedom to young people, create a dead-end situation. Actors act in the role of victims of modern history and spectators, who coolly and indifferently look at the spiritual and physical sufferings of their contemporaries. Each of the actors is a person, a society. Separating from the general mass, each of them tells its story, its attitude to what is happening around, its perception of contemporary events. And the garbage scattered on the floor – cut polyethylene material gives an association of public garbage, which seems to be the right things, but at the same time they can't be used, thrown out, trampled into the mud. The life of characters as these cellophane pieces, the strength of which is tested throughout the scenic time.

Despite the very free scenic composition of the material, it faithfully conveys the spirit of modernity, the atmosphere of today's condition of society, the history of independence. D. Tavadze remains faithful to the emotional elements of the modern theater. He continues to search for a bright artistic spectacle, where the increased emotionality of the action of a subordinate is clearly organized rhythmic score of the play, where a combination of a major directorial smear with precise and labeled actor's work in the purposeful interaction of the director's will with the creative aspirations of the artist.

The director puts the actor in such scenic conditions, in which he is most expressive

and widely distributed with the spatial environment, extracting from each plastic paint a performance of maximum artistic content. And where the director's intention falls on the bright actor's individuality of the performers, bright modern characters, heroes of our times and the history of independence are born.

The ability of the director to extract maximum emotional content from each scenic situation and with amazing ease to instantly switch the action of the performance to the most contrasting in the heat of feelings game pieces, manifested in this performance with exhaustive completeness and strength. D. Tavadze subordinates the entire visual structure of the play to the disclosure of internal conflicts and shocks. Every detail in the decoration becomes a figurative and emotional milestone in the development of the conflict of the performance: polyethylene, table, chairs, etc. He seeks the utmost expression of the subjective truth of the heroes of the spectacle, endowing them with equality to each other and demanding a temporary non-interference in their thoughts and actions in terms of objective moral actions (World Festivals., 2017., p. 432).

The intensity of the emotional tension of the characters is transmitted by the young actors of the Theater of the Royal Quarter not simply through a specifically conditioned, causal series of sequential analysis, but also through the organic sense of the image as a single artistic structure. Concrete historicism of a scenic nature does not force them to deliberately depict one or other of the social colors, but rather to develop and approve the eternal values of the essence that are uniquely and uneasily manifested in a certain historical and social situation. To this leads the act its understanding of the synthesis of thought and feeling, emotion and analysis. Beginning his monologue with the words "Remember", each actor is transferred to his memories. Each monologue reveals the spiritual world of the modern young generation, whose high self-awareness can rise to the comprehension of the deepest philosophical issues and for which war is not only a tragic curse, not only an inevitable battle between hostile states, but also a sacred duty to protect the native land, the struggle for one's own independence.

Boldly interweaving among themselves a publicistic, documentary and artistic form, the director and author of the play reveal the modern history of the independence of his country. Therefore, he shows modern Prometheus. Prometheus is not satisfied with the existing system, seeking a way out of this situation, a fighter for both physical and spiritual freedom.

Literature:

Kiknadze V., Georgian Drama Theatre History, Tb., 2002
World Theatre Festivals, Al., 2017

